ჯონ აპდაიკი

ბაჭია, გაიქეცი

ოთხტომეული

ტომი I

მთარგმნელი პაატა ჩხეიძე

ჯონ აპდაიკი (1932-2009)

ამერიკელი პროზაიკოსი, პოეტი, ლიტერატურული კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე ჯონ ჰოიერ აპდაიკი პენსილვანიის შტატის ქალაქ შილინგტონში, ნიდერლანდელი იმიგრანტის – მასწავლებლისა და დიაკვნის ოჯახში დაიბადა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჰარვარდის უნივერსიტეტში ინგლისურ ლიტერატურას სწავლობდა. 1954 წ. ინგლისში, ოქსფორდის ხელოვნების სკოლის ფერწერის ერთწლიანი კურსი დაამთავრა იმ მიზნით, რათა აეხდინა ბავშვობის ოცნება – უოლტ დისნეის კინოკომპანიაში მხატვარ-მულტიპლიკატორად ემუშავა. მაგრამ განზრახვა განუხორციელებელი დარჩა. სამაგიეროდ, ჟურნალ «ნიუ-იორკერში» შეუდგა საქმიანობას და სწორედ ამ გამოცემის ფურცლებზე გამოაქვეყნა პირველი მომცრო მოთხრობები. ორწლიანი მუშაობის შემდეგ ჯონ აპდაიკი ჟურნალის კრიტიკის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში.

აპდაიკის პირველ ლიტერატურულ ნაშრომებს მკითხველთა დაინტერესება მოჰყვა, რამაც უბიძგა, პროფესიონალური მწერლობის გზას დასდგომოდა. 1957 წ. ბოსტონის მახლობლად მდებარე «ბევერლი ფარმსში» გადავიდა საცხოვრებლად და იქიდან მოყოლებული, წელიწადში თითო ნაწარმოებს გამოსცემდა. ლექსების ორ კრებულს 1959 წ. მოჰყვა პირველი რომანი – «ბაზრობა თავშესაფარში» (Poorhouse Fair).

მომდევნო წელს დღის სინათლეზე გამოვიდა რომანი «ბაჭია, გაიქეცი», რომელმაც ფართო გამოხმაურება პოვა და შემდგომში საყოველთაოდ ცნობილი ტეტრალოგიის პირველ ნაწილად იქცა (სწორედ ამ ტეტრალოგიას ვთავაზობთ მკითხველს «ჩემი რჩეული მსოფლიოს» სერიით, ჯონ აპდაიკის ოთხტომეულის სახეით).

პროვინციული ქალაქის ჩვეულებრივი მცხოვრების,

ახალგაზრდა ჰარი ენგსტრომის – მეტსახელად ბაჭიას მაგალითზე, მწერალი ე.წ. საშუალოსტატისტიკური ამერიკელის ცხოვრებას გადმოგვცემს და ამ თითქოსდა უპრეტენზიო ამოცანის გადაჭრისას, 60-იანი წლების აშშ-ის ყოფის შთამბეჭდავ, განზოგადებულ სურათს გვიხატავს.

თუმცა ტეტრალოგიამ თავისი საბოლოო სახე მრავალი წლის შრომის შედეგად მიიღო და მის ჩამოყალიბებას 30 წელიწადი დასჭირდა. მეორე რომანი – «ბაჭია ბრუნდება» 1971 წ. გამოვიდა. მანამდე კი, 1968 წ. აპდაიკმა გამოაქვეყნა რომანი – «(საქორწინო) წყვილები», რომელიც ბესტსელერად იქცა. მას მოჰყვა სხვა სქელტანიანი ნაწარმოებებიც, კრიტიკული სტატიები და ესეები, რომლებშიც აპდაიკი» ყველაზე ხშირად, რელიგიისა და სექსის პრობლემებს სვამდა, თანამედროვე საზოგადოების მანკიერებებს ეხებოდა და შედეგად, ე.წ. «ქრისტიანული მწერლის» სახელი დაიმკვიდრა.

ტეტრალოგია ბაჭიას შესახებ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-ის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ასახავს და მთავარი გმირის ცხოვრების ფონზე საზოგადოებისთვის საჭირბოროტო პრობლემებს ეხმიანება. «ბაჭია, გაიქეცი» (1960): ბაჭია ენგსტრომი კოლეჯის დამთავრების შემდეგ ცდილობს, თავი დააღწიოს მოსაწყენ ყოველდღიურობას, ცოლ-შვილზე ზრუნვას, რასაც საბოლოოდ, გაქცევით ახერხებს... «ბაჭია ბრუნდება» (1971): ბაჭია ვერ ახერხებს საკუთარი განუმეორებელი ინდივიდუალობისა და თვითგამოხატვის რეალიზებას და ოჯახში ბრუნდება. მოქმედება ათწლეულში განვითარებული სამოქალაქო მოძრაობების – ჰიპებისა და შავკანიანთა საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლის ფონზე ვითარდება; სათანადო ასახვას პოვებს აგრეთვე აშშ-ისთვის ნაციონალური ტრიუმფით – მთვარეზე ადამიანის გადასხმით გამოწვეული სიამაყე, და სახელმწიფოს უდიდესი მარცხით – ვიეტნამში ომით გამოწვეული სიმწარე. «ბაჭია გამდიდრდა» (1981): ბაჭია «მშვიდდება», მდორე ცხოვრებას მისდევს, წარმატებულ საქმოსნად, სანიმუშო ოჯახის მამად იქცევა და გოლფის თამაშით იქცევს თავს. ახლა მისთვის ორი ძირითადი ფასეულობა – კეთილდღეობა და სექსი არსებობს და მნიშვნელობა დაკარგა ცხოვრების აზრის უწინდელმა ძიებამ... «ბაჭია ისვენებს» (1990): პრეზიდენტ რეიგანის დროინდელ ამერიკაში მცხოვრები ბაჭიასთვის ერთადერთ მიზნად გამდიდრება ქცეულა, რადგან სექსი ძალზე სახიფათო გახდა –

შესაძლოა, შიდსით დასნეულდე. მაგრამ ცხოვრება უამრავ სხვა დაავადებასა თუ ხიფათსაც შეიცავს და ბაჭიასაც კალათბურთის თამაშისას ერთ-ერთი მათგანი ჩაუსაფრდება... თუმცა, ნუ გავუსწრებთ მოვლენებს – თქვენ ხომ ჯერ მხოლოდ ტეტრალოგიის პირველი ტომი გიჭირავთ ხელში...

* * *

კეთილი ზრახვები, გულქვაობა, გარეშე გარემოებები.

ბლეზ პასკალი, «აზრები», 507

ბიჭები ტელეფონის ბოძზე მიხრახნილი ფარის გარშემო კალათბურთს თამაშობენ. ფეხთა სიმრავლე, ცალკეული შეძახილები. ხრეშზე კედების ფრატუნი და შარიშური კატაპულტივით ისვრის ამ ხმებს სადენებს ზემოთ მარტის ცის ტენიან სილაჟვარდეში. პატარა შესახვევში საქმიან კოსტიუმში გამოწყობილი ბაჭია ენგსტრომი მოაბიჯებს. მოთამაშეთა დანახვაზე ჩერდება და მათკენ იყურება, თუმცა ოცდაექვსი წლისაა, სიმაღლით ექვსი ფუტი და სამი დუიმი. ბაჭიის კვალობაზე ის, ცოტა არ იყოს, მაღალია, მაგრამ ფართო თეთრი სახე, მქრქალი ცისფერი თვალების გარსი და მოკლე ცხვირის ქვეშ ზედა ტუჩის ნერვიული ტოკვა პირში სიგარეტის ჩადებისას ნაწილობრივ მაინც ამართლებს ბავშვობაში შერქმეულ ამ მეტსახელს. დგას და ფიქრობს: იზრდებიან ბიჭები, ყოველი მხრიდან გვავიწროებენ.

ბიჭებს ეუცნაურებათ მისი იქ ყოფნა. ისინი ხომ საკუთარი სიამოვნებისთვის თამაშობენ და არა ვიღაც ბიძასთვის, კაკაოსფერი ორბორტიანი პიჯაკით ქალაქში რომ დაეხეტება. ისე, საინტერესოა, რატომ დადის ფეხით ქუჩაში ამხელა კაცი. მანქანა სად ჰყავს? კბილებში გაჩრილი სიგარეტი მრისხანე სახეს აძლევს. იქნებ იმათნაირია, სიგარეტის ან ფულის სანაცვლოდ ბიჭებს ხელოვნური ყინულის ფაბრიკისკენ გასეირნებას რომ სთავაზობს? მათ სმენიათ ამგვარი რამ, მაგრამ არცთუ ძალიან ეშინიათ – ისინი ხომ ექვსნი არიან ერთის წინააღმდეგ.

ბურთი რგოლს ხვდება, ექვსივეს თავზე გადაუფრენს და სწორედ იმ ერთის ფეხებთან ეცემა, რომელიც ელვისებურად

ეუფლება მას. ადგილზე გაშეშებული ბიჭები გაოცებით შესცქერიან მის მუქ სილუეტს, ქარხნის მილივით მოულოდნელად რომ გამოჩნდა გაზაფხულის ცის ფონზე. თამბაქოს ცისფერი კვამლისგან თვალებმოჭუტული კაცი ფრთხილად გადაადგილდება და ნერვიულად ატრიალებს ბურთს გაფარჩხულ ვეება თითებში. ფრჩხილებზე ფართო, თეთრი ნახევარმთვარეები მოუჩანს. მოულოდნელად ჩაიკუზება, ბურთი პიჯაკის მარჯვენა გადანაკეცზე გასრიალდება, მხარს მოსწყდება და თითქოს ფარისკენ არც კი მიფრინავს – მას ხომ არ დაუმიზნებია. მაგრამ, აი, იგი კალათში თავსდება და მორიდებული შრიალით ბადეში ეშვება.

– ჰეი! – ამაყად იძახის ბაჭია.

– გამართლებაა, – ამბობს რომელიღაც ბიჭი.

– ოსტატობაა, – პასუხობს ბაჭია, – შეიძლება, თქვენთან ერთად ვითამაშო?

პასუხის ნაცვლად ბიჭები ერთმანეთს გაოცებულნი შესცქერიან. ბაჭია პიჯაკს იხდის, აკურატულად კეცავს და სანაგვე ყუთის სუფთა სახურავზე დებს. შემდეგ მის უკან ამოძრავებულ სარჟის კომბინეზონებში შეიჭრება და ერთ-ერთს სუსტი ხელებიდან ბურთს გამოსტაცებს. გადატკეცილი ნაცნობი ზედაპირის შეხება სხეულში უწინდელ მოქნილობას უღვიძებს. ეჩვენება, რომ შორეული წლების გავლით ახალგაზრდობას დაუბრუნდა. ფრთებად გადაქცეული ხელები ზევით თავისით მიილტვის და რეზინის სფერო მისი კინკრიხოდან კალათისკენ მიქრის. ამჯერად ვერ აწვდენს. ისე ზუსტად ჰქონდა დამიზნებული, რომ ძირს ჩამოვარდნილი ბურთის დანახვაზე თვალებს გაოცებით ჭუტავს და ფიქრობს, იქნებ კალათში ისე ჩაეშვა, ბადეს არც კი შეეხოო.

– ეი, ჩემს მხარეს ვინ ითამაშებს? – კითხულობს იგი.

ხანმოკლე უსიტყვო ფუსფუსის შემდეგ მისკენ ორ ბიჭს გზავნიან. სამნი ოთხის წინააღმდეგ. და თუმცა ბაჭიამ თავიდანვე არახელსაყრელი პოზიცია დაიკავა ფარიდან ათიოდე ფუტში, ეს მაინც უსამართლობაა. ანგარიშს არავინ ითვლის, პირქუში დუმილი აღიზიანებს. ბიჭები ერთმანეთისთვის თითო-ოროლა სიტყვას თუ იმეტებენ, მას კი ვერავინ უბედავს რაიმეს თქმას. გაგანია თამაშში ბაჭია გრძნობს, თუ როგორ ირევიან ისინი მის გარშემო, ცხარობენ,

ბრაზობენ, ცდილობენ, ფეხი დაუდონ, მაგრამ ხმას არ იღებენ. მას კი სულაც არ სჭირდება ასეთი პატივისცემა. სურს უთხრას, რომ მის ასაკს ყურადღება არ მიაქციონ, რომ ეს არაფერს ნიშნავს. ათიოდე წუთის შემდეგ მისი ერთ-ერთი პარტნიორი მეტოქის მხარეს გადადის და ბაჭია ენგსტრომი მეორე ბიჭთან ერთად ხუთის წინააღმდეგ რჩება. ბიჭი პატარაა, მაგრამ უკვე მორცხვობს, ცოტათი გაუბედავია, თუმცა მსუბუქად მოძრაობს და ექვსეულიდან ნამდვილად საუკეთესოა. წარბებამდე ჩამოფხატულ მწვანეპომპონიან ნაქსოვ ქუდში იდიოტივით გამოიყურება. თანდაყოლილი, ხალასი ნიჭის პატრონია. მისი ცქერა ერთი სიამოვნებაა – თითქოს დაფრინავს, მიწას ფეხს არც კი აკარებს. თუ გაუმართლებს, დროთა განმავლობაში მაღალი კლასის სპორტსმენი გახდება, სკოლის ჩემპიონი. ბაჭიასთვის ეს უცხო არ არის. თითო-თითო საფეხურით თანდათან მაღლა მიიწევ, ყველა «ვაშას» გაჰყვირის, ოფლი თვალებს გივსებს, ხმაურისა და შეძახილების ტალღას ზევით აჰყავხარ, მერე კი თამაშიდან გადიხარ. თავდაპირველად კვლავაც ახსოვხარ, მაგრამ მაინც თამაშგარე მდგომარეობაში ხარ, და თავს კარგად, გრილად და ლაღად გრძნობ. მაღლა და მაღლა ასული, თითქოს წყალში გაიხსენი, განზავდი და ამ ბიჭებისთვის უფროსების სამყაროს, ცის ნაწილი გახდი, თავის ყოველ აწევაზე თვალში რომ ეჩხირებათ. მათ იგი არ დავიწყებიათ. უფრო უარესი – მის შესახებ არც კი სმენიათ. ბაჭიას კი თავის დროზე მთელ ოლქში ჰქონდა სახელი განთქმული. საშუალო სკოლის ბოლოსწინა კლასში «ბ» ლიგის რეკორდი დაამყარა შედეგიანობის მხრივ, მომდევნო წელს კი თავადვე გააუმჯობესა იგი, რომელიც მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ, ანუ ოთხი წლის წინ იქნა მოხსნილი.

ბაჭია ზედიზედ ათავსებს ბურთს კალათში ერთი ხელით, ორით, ქვემოდან, ადგილიდან, ტრიალში. ნახტომში, ორი ხელით მკერდიდან. სათამაშო სფერო რბილად და ნარნარად მიფრინავს წინ. ბედნიერია, რომ ხელები კვლავაც მტკიცედ უმოძრავებს. გრძნობს, როგორ თავისუფლდება ხანგრძლივი დაღვრემილობისგან. სამაგიეროდ ტანი უმძიმდება და ქოშინებს, რამაც ლამის გააცოფოს. როდესაც ხუთეული კვნესას უმატებს და სიჩქარეს აგდებს, ერთ-ერთი ბიჭი, რომელიც შემთხვევით წააქცია, დგება და მოთხუპნილი სახით კოჭლობით ტოვებს იქაურობას. ბაჭიაც წასასვლელად ემზადება.

– კარგი. ბებერიც მიდის. სამგზის «ვაშა», – ამბობს ის და თავის პომპონიან პარტნიორს მიმართავს:

– აბა, მშვიდობით, ვარსკვლავო.

იგი უსაზღვროდ მადლიერია ამ ბიჭისა, რომელიც უანგარო აღფრთოვანებით კიდევ დიდხანს ვერ აცილებს მას თვალს, მაშინ, როცა დანარჩენები კუშტად გაფხორილან.

ბაჭია დაკეცილ პიჯაკს იღებს, ხელში წერილივით იჭერს და გარბის. შესახვევში. ჩაურბენს ხელოვნური ყინულის მიტოვებულ ფაბრიკას თავისი დამპალი ღარებით სატვირთავი პლატფორმის გასწვრივ; სანაგვე ყუთებს, გარაჟებს, მკვდარი, შარშანდელი ყვავილების დომხალს მავთულიანი ბადის მესრებში. მარტი დგას. ყველაფერი თავიდან იწყება. მომწარო, სიყვარულისგან გამჭვირვალე ჰაერში ბაჭია რაღაც ახალ დანაპირებს გრძნობს, პერანგის გამობერილი ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს იღებს და სვლის შეუნელებლად ვიღაცის ნაგვის ურნაში ისვრის. საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილია. ზედა ტუჩი მაღლა ეწევა და კბილებს უშიშვლებს. დიდი ზამშის ფეხსაცმელები ყრუდ მიტყაპუნობს შესახვევში მიმოფანტულ ნაგავზე.

იგი გარბის. გზაჯვარედინზე მეორე ქუჩაზე შეუხვევს. ეს უილბერ-სტრიტია ჯაჯმაუნთის დასახლებაში, ბრუერის, პენსილვანიის შტატის სიდიდით მეხუთე ქალაქის გარეუბანში. აღმართს მიუყვება. გასცდება დიდი სახლების ჯგუფს – აგურითა და ცემენტით ნაგებ სიმაგრეებს ფერადშუშიანი კარებითა და ნაირგვარი ყვავილების ქოთნებით, საცხოვრებელ რაიონს ნახევარი ქუჩით ზემოთ, ერთბაშად რომ ააგეს ოცდაათიან წლებში. დაწყვილებული ხის სახლები მთის ფერდობზე კიბის საფეხურებივითაა განლაგებული. თითოეული მათგანი ქვედაზე ექვსი ფუტით მაღლა მდებარეობს და ამ სივრცეში ორ-ორი განიერი, დაბინდული, რომელიღაც მხეცის თვალებივით მომზირალი ფანჯარა ნაირფერი ხის ყავრითაა შემოჭედილი – სისხლჩაქცევის ფერით დაწყებული და ნაკელის ფერით დამთავრებული. საღებავაქერცლილი ფასადები ოდესღაც თეთრად გამოიყურებოდა. იქვე ერთ რიგად თხუთმეტამდე სამსართულიანი სახლი ჩამწკრივებულა, თითოეულს ორი შესასვლელი კარი აქვს. მეშვიდე კარი მისია. ხის საფეხურები გადახეხილა, კიბის ქვეშ ნაგავია დაგროვილი, საიდანაც

მივიწყებული სათამაშო, პლასტმასის ჯამბაზი ამოჩრილა. მან მთელი ზამთარი აქ გაატარა, თუმცა ბაჭიას ეგონა, რომ რომელიმე ბავშვი მას თვალს აუცილებლად მოჰკრავდა და წაიღებდა.

იგი აქოშინებული ჩერდება ნახევრად ბნელ ვესტიბიულში. აქ ნათურას დღისითაც კი არ აქრობენ. ყავისფერი ბატარეის თავზე სამი ცარიელი, თუნუქის საფოსტო ყუთი ჰკიდია. დერეფნის მეორე მხრიდან წყენით იყურება ერთი სართულით ქვემოთ მცხოვრები მეზობლის დაკეტილი კარი. სახლში მუდამ იგრძნობა რაღაცის სუნი. შესაძლოა, მიზეზი მოხარშული კომბოსტო, ორთქლით გათბობის ჟანგიანი სუნთქვა ან კედელში ჩარჩენილი რაიმე რბილი ნივთის ლპობაა, მაგრამ ამის დადგენა ბაჭიას ძალას აღემატება. იგი სულ ზევით ადის, თავის ბინაში.

კარი დაკეტილია. იგი საკეტში პატარა გასაღებს უყრის. სირბილის შემდეგ, მიუჩვევლობის გამო, ხელი უკანკალებს, გასაღები არ ემორჩილება და ლითონს კაწრავს. როდესაც გააღებს, ხედავს, რომ სავარძელში მოკალათებულ ცოლს ხელში კოქტეილ «ძველმოდურით» სავსე ჭიქა უჭირავს და დაბალ ხმაზე ჩართულ ტელევიზორს უყურებს.

– აქ ყოფილხარ, – ამბობს იგი, – კარი რატომ ჩაკეტე?

ქალი მას ამღვრეული, ტელევიზორთან დიდხანს ჯდომისგან გაწითლებული მუქი თვალებით მისჩერებია.

– თავისით მიიხურა.

– თავისით მიიხურა, – იმეორებს კაცი, მაგრამ იხრება და ცოლს გადატკეცილ შუბლზე კოცნის. მინიატიურული ქალია, წენგოსფერი და ისეთი დაჭიმული კანით, თითქოს შიგნიდან რაღაც მთელი ძალით ცდილობს პატარა სხეულის გაწელვას. გუშინდელს აქეთ ბაჭიას იგი ძველებურად ლამაზი აღარ ეჩვენება. ამის მიზეზი ორი პატარა ნაოჭია ტუჩების კუთხეებში, რაც პირს სიხარბის იერს აძლევს. აგრეთვე, გამეჩხერებული თმა, რომლის ქვეშაც თავის ქალა ილანდება. სიბერის ამ უმცირესმა ნიშნებმა ისე შეუმჩნევლად წამოყო თავი, რომ ხვალ ისინი, შესაძლოა, კვლავაც გაქრნენ და ჯენისი ისევ მისი გოგო გახდება. ახლა კი იგი ამის გაკეთებას ხუმრობით ცდილობს.

– რისი გეშინია? ვინ შემოგივარდება ამ კარში? ეროლ ფლინი?[1]

ქალი არ პასუხობს. კაცი პიჯაკს აკურატულად ასწორებს, განჯინასთან მიდის და მავთულის საკიდარს იღებს. განჯინა სასტუმრო ოთახში აქვთ და მისი კარი მხოლოდ სანახევროდ იღება, რადგან წინ ტელევიზორი უდგას. ბაჭია ცდილობს, კარის მეორე მხარეს არსებულ როზეტში შეერთებულ სადენს არ გაედოს. ერთხელ ჯენისს, რომელიც ორსულობისა და სიმთვრალის დროს ძალზე მოუხერხებლად მოძრაობდა, ფეხი ამ სადენში გაეხლართა და ასორმოცდაცხრადოლარიანი ტელევიზორი კინაღამ ძირს გადმოაგდო. საბედნიეროდ, ბაჭიამ სწორედ მაშინ მიირბინა, როდესაც ტელევიზორი სახიფათოდ შექანდა, პანიკაში მყოფ ჯენისს კი ჯერაც არ დაეწყო გაშმაგებით ფეხის ქნევა მისი გათავისუფლების მიზნით. რამ შეცვალა ასე? რისი ეშინია? მისთვის დამახასიათებელი გულმოდგინებით იგი მარჯვედ უყრის საკიდარს პიჯაკში, გრძელ ხელს იწვდენს და მას შეღებილ მილზე, დანარჩენი ტანსაცმლის გვერდით ჰკიდებს. იქნებ ლაცკანიდან ფირმის ემბლემა მოხსნას? არა, არ ღირს – ხვალ ამავე კოსტიუმს ჩაიცვამს. მას სულ ორი კოსტიუმი ჰქონდა, თუ მუქ ლურჯს არ ჩავთვლით, ამ სეზონისთვის ძალზე თბილს. იგი კარს ხელს ჰკრავს და ისიც ტკაცუნით იკეტება, მაგრამ მაშინვე იღება ერთი-ორი დუიმით. გააწყალა გული – თითქოს ის არ კმაროდა, რომ საკეტის გაღებისას ხელი ბებრულად უკანკალებდა, ჯიბრზე ჯენისმაც გაიგონა ეს ხმაური.

– თუ აქა ხარ, მანქანა სადღაა? ქუჩაში არ არის, – ეკითხება იგი და მისკენ ტრიალდება.

– დედის სახლთან დგას. გაიწიე, ხელს მიშლი.

– დედის სახლთან? დალახვროს ეშმაკმა, უკეთესი ადგილი ვერ შეარჩიე?

– რა ხმაური იყო იქ?

– სად იქ? – კაცი გვერდზე გაიწევა, რათა ტელევიზორს არ ჩამოეფაროს.

ქალი უყურებს, თუ როგორ ასრულებს «მაუსკეტერებად»[2] წოდებული ბავშვთა ჯგუფი მუსიკალურ ნომერს, რომელშიც დარლენი[3] პარიზელ მეყვავილეს თამაშობს, კუბი[4] – პოლიციელს, მაღალი მოცინარი ახალგაზრდა კი – შეყვარებულ

მხატვარს. ეს სამნი და კარენი (მოხუცი ფრანგი ქალის კოსტიუმში გამოწყობილი, რომელსაც პოლიციელი კუბი ქუჩაში გადასვლაში ეხმარება) ერთად ცეკვავენ.

შემდეგ იწყება სარეკლამო გადაცემა, რომელშიც შოკოლად «ტუტსის» ხუთი ნატეხი შესაფუთი ქაღალდიდან გამოდის და ხუთ ასოდ გადაიქცევა: «ტ-უ-ტ-ს-ი». ისინიც ცეკვავენ და მღერიან, მერე კი სიმღერ-სიმღერით უკანვე ბრუნდებიან. ხმა მუცლიდან წამოსულს, ექოკამერისას ჰგავს. ბაჭიას ეს ასჯერ მაინც ექნება ნანახი, ახლა კი გული ერევა. გული უფანცქალებს, ყელი უშრება.

– ჰარი, სიგარეტი არა გაქვს? – ეკითხება ჯენისი, – ჩემი დამიმთავრდა.

– რა? გზაში მთელი კოლოფი ნაგვის ყუთში გადავაგდე. აღარ ვეწევი, – მისთვის გაუგებარია, როგორ შეუძლია ვინმეს მოწევაზე ფიქრი, როდესაც მას აზიდებს.

– ნაგვის ყუთში გადააგდე? დიდებულია. აღარ სვამ, ახლა აღარც ეწევი. წმინდანობას ხომ არ აპირებ?

– ჩუ-უ.

გამოჩნდა სახელგანთქმული მაუსკეტერი ჯიმი – მოზრდილი, მრგვალი, მიტყეპებული შავი ყურებით. ბაჭია მას ყურადღებით აკვირდება, პატივსაც სცემს და იმედოვნებს, რომ მისგან რაიმე სასარგებლოს გადმოიღებს თავისი სამუშაოსთვის – იგი ბრუერის იაფი საქონლის მაღაზიებში ერთი სამზარეულო მოწყობილობის დემონსტრირებას ახდენს. «ანდაზებში, ანდაზებში არის ბევრი სიმართლე, – მღერის ჯიმი და გიტარას აჩხაკუნებს, – ისინი ჩვენ გვასწავლიან, რა ვქნათ, თუ არ გვიმართლებს. ანდაზები გვეხმარება გავხდეთ უკეთესი მაუს-კე-ტერები».

შემდეგ ჯიმი გიტარას გვერდზე გადადებს, ღიმილს მოისხეპს და ეკრანიდან ქადაგებს: «შეიცან თავი შენი, – თქვა ოდესღაც ერთმა ბრძენმა მოხუცმა ბერძენმა. შეიცან თავი შენი. რას ნიშნავს ეს, ძვირფასო ბიჭებო და გოგონებო? ეს ნიშნავს, რომ უნდა იყოთ ის, რაც ხართ. ნუ ეცდებით, დაემსგავსოთ სალის, ჯონს ან ფრედს. ნუ შეიცვლებით. ღმერთს არ უნდა, რომ ხე ჩანჩქერად გადაიქცეს, ყვავილი კი – ქვად. უფალი ყოველი ჩვენგანისთვის იმეტებს რაღაცის განსაკუთრებულ ნიჭს».

ჯენისი და ბაჭია უჩვეულოდ მიყუჩდნენ. ორივე მათგანი მორწმუნეა. ღვთის სახელის ხსენებაზე ისინი დანაშაულს გრძნობენ. «ღმერთს სურს, რომ ზოგი ადამიანი მეცნიერი გახდეს, ზოგი – მხატვარი, ზოგიც – მეხანძრე, ექიმი ან აკრობატი. იგი ყოველ ჩვენგანს ამ მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული ნიჭით აჯილდოებს, ოღონდ იმ პირობით, რომ ვიმუშავებთ და მათ განვითარებაში წვლილს შევიტანთ. ჩვენ უნდა ვიმუშაოთ, ბიჭებო და გოგონებო. მაშასადამე, შეიცან თავი შენი. ჩასწვდი საკუთარ ნიჭს, მერე კი იმუშავე და მისი განვითარება სცადე. ასეთია ბედნიერებისკენ მიმავალი გზა». ჯიმი ტუჩებს კუმავს და მაყურებელს თვალს უკრავს.

ეს კარგი იყო. ბაჭია ცდილობს, გაიმეოროს ტრიუკი – ტუჩები მოკუმოს, თვალი ჩაუკრას, თავი მოუყაროს თავის მაყურებელს და მათთან ერთად გაილაშქროს უხილავი მტრის წინააღმდეგ, რომელიც შენს ზურგს უკან ჩასაფრებულა, – ეს გინდ უოლტ დისნეი იყოს და გინდ უნივერსალური «მაგიური სახეხელას» მწარმოებელი ფირმა. შენ კი იცი, რომ ეს სიცრუეა, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, მაყურებელს ხომ მოზიდვა უნდა. ჩვენ, ყველანი, ერთი თოკით ვართ დაკავშირებულნი. სამყაროს ტყუილით უდგას სული. ის არის ჩვენი ეკონომიკის საფუძველი. ვიტეკონომია – თანამედროვე დიასახლისის პაროლია, ერთადერთი სიტყვა, რომელიც ნიშნავს ვიტამინების შენარჩუნებას უნივერსალური «მაგიური სახეხელას» საშუალებით.

ჯენისი დგება და როცა ეკრანზე უკანასკნელი ამბების გამოშვება უნდა გაჩნდეს, ტელევიზორს თიშავს. პატარა შუქვარსკვლავი ნელ-ნელა ქრება.

– ბავშვი სად არის? – ეკითხება ბაჭია ცოლს.

– დედაშენთან.

– დედაჩემთან? ავტომობილი – დედაშენთან, ბავშვი – დედაჩემთან. ღმერთო ჩემო, როგორ გეხერხება ყველაფრის აწეწვა!

ქალი დგება. კაცი ლამის გაცოფდეს ამ უაზრო და უფორმო ბელტის დანახვაზე, რადაც იგი ორსულობამ გადააქცია. მას სპეციალური კაბა აცვია მუცელზე U-ს ფორმის ამონაჭრით, ბლუზის ქვეშ კი კომბინაციის თეთრი ნახევარმთვარე მოუჩანს.

– დავიღალე.

– აბა, რა იქნებოდა. ეს მერამდენეა? – ეკითხება იგი და «ძველმოდურით» სავსე ჭიქაზე მიუთითებს.

– დედაჩემთან შევლამდე ნელსონი დედაშენს მივუყვანე. ქალაქში ვაპირებდით გასვლას, – ცდილობს ქალი ახსნას, – მისი მანქანით წავედით, მაღაზიებში შევიარეთ, ვიტრინებში საგაზაფხულო ტანსაცმელი შევათვალიერეთ. მან კროლთან ფასდაკლების აქციაზე თავისთვის მშვენიერი შარფი იყიდა. ქიშმირის, ჭრელი, შოტლანდიური, – მას ენა ებმის, რომელიც უფერული კბილების ორი რიგის დაძლევას ვერ ახერხებს.

კაცს შიში იპყრობს. დაბნეულობის დროს ჯენისი საშინელი სანახავია: ორბიტიდან გადმოცვენილი თვალები, ჩამოვარდნილი ქვედა ყბა, პირის ნაცვლად – იდიოტური ხვრელი. მას შემდეგ, რაც მბზინავ შუბლთან თმა შეუთხელდა, ბაჭიას ყოველთვის ეჩვენება, რომ იგი დასუსტდა, ნაკლებად მოძრავი გახდა და მალე მის წინაშე ერთიანად დანაოჭებული და გამეჩხერებულთმიანი ბებრუხანა იდგება. ცოლი მან შედარებით გვიან მოიყვანა, ოცდასამი წლისამ, და თუმცა იმ დროისთვის ჯენისს სკოლა ორი წლის დამთავრებული ჰქონდა, კვლავაც მოზარდს ჰგავდა პატარა, მორცხვი მკერდით – დაწოლილს ორი პატარა ბორცვი მოუჩანდა. ნელსონი ეპისკოპალურ ეკლესიაში გამართული საქორწილო ცერემონიიდან შვიდი თვის თავზე დაიბადა, ხანგრძლივი და მძიმე მშობიარობის შედეგად, ამიტომ ბაჭიას ახლანდელი შიში წარსულისას ერწყმის და სინაზეში გადადის.

– რა იყიდე?

– საბანაო კოსტიუმი.

– საბანაო კოსტიუმი? მარტში? ბრ-რ!

წამით ქალი თვალებს ხუჭავს; ალკოჰოლის მსუბუქი სუნისგან ბაჭიას ზიზღის გრძნობა უჩნდება.

– მომეჩვენა, რომ თუ ამას ვიყიდდი, დრო უფრო სწრაფად გავიდოდა და მალე მომერგებოდა.

– რა გაშფოთებს? თუ სხვა ქალებს მოსწონთ ორსულობა, შენ რა ჯანდაბა გემართება? მითხარი, რა უცნაურობა გჭირს?

ქალი თაფლისფერ თვალებს ახელს და ცრემლებით ევსება, ქვედა ქუთუთოებიდან გადმოსდის და წყენისგან ავარდისფრებულ ლოყებზე მოედინება. ქმარს შეხედავს და ჩაფიქრებით წარმოთქვამს:

– ნაძირალა ხარ.

ბაჭია ცოლს უახლოვდება, ხელებს მოხვევს, მსწრაფლ შეიგრძნობს ცრემლებისგან გაცხელებულ სუნთქვას და გაწითლებულ თვალებში ჩასცქერის. მოზღვავებული სინაზისგან მუხლებს ხრის და ცდილობს, თეძოებზე მიეკრას, მაგრამ ქალის დიდი მუცელი ხელს უშლის. იგი კვლავ წელში იმართება, ცოლს ზემოდან დაჰყურებს და ამბობს:

– კეთილი. მაშასადამე, საბანაო კოსტიუმი გიყიდია.

დანარჩენი სამყაროსგან ქმრის მკერდითა და ხელებით გამიჯნული ჯენისი მხურვალედ წარმოთქვამს:

– არ გამექცე, ჰარი. მე შენ მიყვარხარ.

ბაჭია ცოლისგან გრძნობების ასეთ გამოხატვას არ ელოდა.

– მეც მიყვარხარ. კარგი, დამშვიდდი და თხრობა განაგრძე. მაშასადამე, შენ საბანაო კოსტიუმი იყიდე.

– წითელი, – ამბობს დასევდიანებული ქალი და კაცს ეკვრის, მაგრამ სიმთვრალეში მისი სხეული მყიფე და შეხებისას უსიამოვნოდ მოუწესრიგებელი ხდება, – ზემოთ განასკვულია, თან დაპლისული ქვედაწელი მოჰყვება, რომელიც საბანაოდ წასვლისას შეგიძლია გაიხადო. გზაში ფეხებზე ვენები ისე ამტკივდა, რომ მე და დედა კროლის სარდაფში ჩავედით და შოკოლადის ნაყინი ავიღეთ სოდიან წყალთან ერთად. მათ კაფე მთლიანად გადაუკეთებიათ და ახლა იქ ბარი აღარ არის. მაგრამ ტკივილმა არ გამიარა და დედამ შინ წამიყვანა, თან მითხრა, რომ შენთვის რთული არ იქნებოდა მანქანისა და ნელსონის წამოყვანა. თანაც ვიფიქრე, სასმელი ტკივილს დამავიწყებს- მეთქი.

– გასაგებია.

– მეგონა, უფრო ადრე დაბრუნდებოდი. სად იყავი?

– არსად, ქალაქში დავეხეტებოდი. ქუჩაში ბიჭებს კალათბურთს ვეთამაშებოდი.

ისინი ერთმანეთს დასცილდნენ.

– წაძინება ვცადე, მაგრამ ვერ შევძელი. დედამ მითხრა, დაღლილი სახე გაქვსო.

– ასეც უნდა იყოს. შენ ხომ თანამედროვე დიასახლისი ხარ.

– თვითონ კი აღმა-დაღმა დაეხეტები და თორმეტი წლის ბიჭივით ერთობი.

ბაჭია ბრაზობს, ცოლმა მისი ხუმრობა რომ ვერ გაიგო დიასახლისის – იმ წარმოსახვითი პიროვნების შესახებ, რომელსაც «მაგიური სახეხელას» ფირმის აგენტებმა თავიანთი საქონელი უნდა მიჰყიდონ, ვერ იგრძნო მასში ჩადებული ირონია, სიბრალული და სიყვარული. ვერაფერს გააწყობ კაცი – სულელია და მორჩა.

– არც შენ ხარ ჩემზე უკეთესი. დამჯდარხარ და აღუა ბავშვების გადაცემებს უყურებ.

– საინტერესოა, ვინ სისინებდა, მოსმენაში ხელს მიშლიო?

– ეჰ, ჯენის, – ოხრავს კაცი, – ერთი გემოზე უნდა მოგეფერო. ისე, არც ადრე გაწყენდა.

ქალი მას დიდხანს შესცქერის წყნარად, ბოლოს კი ეუბნება:

– წავალ, ვახშამს მოვამზადებ.

კაცს მონანიების სურვილი უჩნდება:

– მე კი გავიქცევი და მანქანით ბავშვს მოვიყვან. საბრალო ბიჭი, ალბათ, ჰგონია, რომ მივატოვეთ. ნეტავ რატომ ფიქრობს დედაშენი, რომ დედაჩემს სხვის ბავშვებზე ზრუნვის გარდა საქმე არა აქვს?

მასში კვლავ მატულობს აღშფოთება – ამ ქალს არ ესმის, რომ გადაცემაში ჯიმის ყურება სამუშაოსთვის სჭირდება. ხომ უნდა იშოვოს ფული იმ შაქრისთვის, რომელსაც იგი იმ დაწყევლილ «ძველმოდურში» იყრის.

ქალი სამზარეულოში მიდის – გაბრაზებული, მაგრამ არცთუ ძალიან. ან სერიოზულად უნდა განაწყენებულიყო, ან არაფრად ჩაეგდო, – კაცმა ხომ მხოლოდ ის თქვა, რაც მრავალჯერ გაუკეთებია. ყოველ სამ დღეში ერთხელ სამი წლის

განმავლობაში. რამდენი გამოდის? დაახლოებით სამასი. ასე ბევრი? მაშ, რატომ ითხოვს ეს ამდენ ძალისხმევას? ქორწინებამდე გაცილებით ადვილი იყო. მაშინ თვითონ ამას სწრაფად ახერხებდა. ახალგაზრდა გოგო იყო. ნერვები ახალ ძაფს მიუგავდა. კანსაც ნორჩი ბამბის სუნი ასდიოდა. სამუშაოს შემდეგ ბრუერში თანამშრომლის ბინაში მიდიოდნენ. რკინის საწოლი, ვერცხლისფერი მედალიონებით გაწყობილი შპალერი, დასავლეთით გამავალი ფანჯრებიდან მდინარის ნაპირას უზარმაზარი აირსაცავები მოჩანდა. იმ პერიოდში ორივენი კროლის უნივერმაღში მუშაობდნენ: იგი ჯიბიანი თეთრი ხალათით, რომელზეც «ჯენი» იყო ამოქარგული, შაქარყინულსა და თხილს ყიდდა, ბაჭია კი ცხრიდან ხუთ საათამდე სართულით მაღლა შეფუთულ ჩარჩოებს შლიდა და რბილ სავარძლებსა და ჟურნალის ხის მაგიდებს ეზიდებოდა. ყუთებში ჩაყრილი ბურბუშელებისგან ცხვირი და თვალები ეწვოდა. ლიფტების უკან ნაგვის ვედროები ჭუჭყიან შავ ნახევარწრეზე განელაგებინათ; იატაკი გაღუნული ლურსმნებით იყო მოფენილი. ხელები სწრაფად უშავდებოდა და ის პედერასტი ჩანდლერი საათში ერთხელ მათ დაბანას აიძულებდა, რათა ავეჯი არ დასვრილიყო. საპონი, სახელწოდებით «ლავა». ნაცრისფერი ქაფი. ჩაქუჩისა და თათიანი ძალაყინისგან ხელებზე ყვითელი კოჟრები უჩნდებოდა. 5:30-ზე საზიზღარი სამუშაო დღე სრულდებოდა და ისინი ერთმანეთს გასასვლელთან ხვდებოდნენ, სადაც ჯაჭვი გაებათ, რათა მყიდველები აღარ შემოსულიყვნენ. ორმაგ კარში მწვანე შუშით გაწყობილი მდუმარების კამერა იყო მოთავსებული. იქვე, არცთუ ისე ღრმა ვიტრინებში, ფრთიანი შლაპებითა და ვარდისფერი მარგალიტების ფარღულებით მორთული უსხეულო მანეკენების თავები გამოსამშვიდობებელ ჭორებს ისმენდნენ. კროლის ყველა თანამშრომელს სძულდა უნივერმაღი, მაგრამ დღის ბოლოს მას ნელა, თითქოს ცურვით ტოვებდნენ. ჯენისი და ბაჭია ერთმანეთს ამ მკრთალად განათებულ, მწვანეიატაკიან კართაშორის კამერაში ხვდებოდნენ, რომელიც წყალქვეშა სამყაროს წააგავდა. ერთადერთ, ჯაჭვით დაუბმელ კარის საგდულს ხელს ჰკრავდნენ და გარეთ გამოდიოდნენ. იქ კი, იმის დაუზუსტებლად, თუ სად მიდიოდნენ, ნაზად ხელიხელჩაკიდებულნი, წყნარად მიემართებოდნენ ვერცხლისფერი მედალიონებისკენ სამუშაოდან მომავალი მანქანების საპირისპირო მხარეს და ფანჯრიდან გადმოღვრილი

საღამოს შუქის ჰორიზონტალურ სხივებში სიყვარულით ტკბებოდნენ. კაცის შემოხედვაზე ჯენისი სირცხვილით იწვოდა, ამიტომ მას თვალების დახუჭვას აიძულებდა. საშინაო ფეხსაცმელივით, აბრეშუმივით მაშინვე რბილად გადაიხსნებოდა ხოლმე. ბოლოს, როდესაც უკანასკნელ ზღვარსაც გადალახავდნენ, უცხო საწოლში დაკარგულებივით იწვნენ. მედალიონების ვერცხლი და მიმავალი დღის ოქრო.

სამზარეულო პაწაწინა ოთახს წარმოადგენს სასტუმრო ოთახის უკან, ვიწრო გასასვლელს ხუთიოდე წლის წინ ულტრათანამედროვედ მიჩნეულ მანქანებს შორის. ჯენისს ძირს რაღაც ლითონის საგანი უვარდება – ეს ან ქვაბია, ან ჭიქა.

– რამე არ დაიწვა! – გასძახის ბაჭია.

– შენ ისევ აქ ხარ? – ეხმაურება ჯენისი.

კაცი განჯინასთან მიდის და პიჯაკს იღებს, რომელიც ეს-ესაა აკურატულად ჩამოკიდა. ფაქტობრივად, ის ერთადერთია, ვინც აქ წესრიგის დაცვას ცდილობს. ოთახში დიდი არეულობაა: «ძველმოდურის» ჭიქა ფსკერზე ამჟავებული ნალექით; სავარძლის სახელურიდან გადმოსავარდნად გამზადებული, სიგარეტის ნამწვით სავსე საფერფლე; დაჭმუჭნილი ხალიჩა; ძველი, მწებვარე გაზეთების დაუდევრად დაწყობილი შეკვრები; ყველგან მიმოფანტული დამტვრეული სათამაშოები – თოჯინას ფეხი, მუყაოს გაღუნული ნაჭერი; გუნდა-გუნდა მტვერი ბატარეების ქვეშ. უსასრულო, უიმედო ქაოსი მტკიცე ბადედ იყრის თავს მის ზურგზე. იგი ფიქრობს და ვერ გადაუწყვეტია, ჯერ რომელს მიაკითხოს – მანქანას თუ შვილს. იქნებ ჯერ შვილს შეუაროს? ცხადია, მისი ნახვა უფრო უნდა. სამაგიეროდ, მისის სპრინგერი უფრო ახლოს ცხოვრობს. მაგრამ, ვაითუ, იგი ფანჯარაში იყურება, რათა დანახვისთანავე მიახალოს, რომ ჯენისს დაღლილი სახე აქვს? საინტერესოა, ვინ არ დაიღლება შენთან ერთად მაღაზიებში წანწალით, შე წუწურაქო! სქელუა ალქაჯო, ბებერო ბოშავ! შვილთან ერთად მისულს, შესაძლოა, არაფერი უთხრას. ბაჭიას ჭკუაში უჯდება ბიჭთან ერთად გასეირნების აზრი. ნელსონი ორ-ნახევარი წლისაა და კავალერისტივით ტაატით დადის. მინავლებულ დღის სინათლეზე ისინი ხეებს შორის გაივლიან, უეცრად ტროტუართან, მთვარიდან ჩამოვარდნილივით, მამამისის მანქანა გაჩნდება. ეს უფრო მეტ დროს წაიღებს, – დედა ყოველგვარი ქარაგმების გარეშე ეტყვის მას, რომ ჯენისი

არაფრის მაქნისია. ამგვარი საუბარი ბაჭიას ყოველთვის აღიზიანებდა. სავსებით შესაძლებელია, რომ დედას მხოლოდ კბილის გაკვრა სურდა, მაგრამ იგი მის სიტყვებს ყოველთვის სერიოზულად აღიქვამდა, დედას ხომ მბრძანებლობა უყვარდა, ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ მაინც. აჯობებს, ჯერ მანქანა წამოიყვანოს, მერე კი შვილს გაუაროს. მაგრამ ასე რატომღაც არ უნდა. არ უნდა და მორჩა. მას თავგზა ებნევა და ამ დომხალისგან გული ერევა.

– ერთი კოლოფი სიგარეტიც გამოიყოლე, საყვარელო, კარგი? – იძახის სამზარეულოდან ჯენისი ჩვეულებრივი, მშვიდი ხმით. ესე იგი, მას აპატიეს და ყველაფერი ძველებურად რჩება.

შემოსასვლელის თეთრ კარზე ბაჭია საკუთარ უსიცოცხლო, ყვითელ ჩრდილს მოჰკრავს თვალს და ადგილზე შეშდება. გრძნობს, რომ მახეში გაება. ამას წყალი არ გაუვა. იგი სახლიდან გამოდის.

ქუჩაში უკვე ბნელა და გრილა. ნორვეგიული ნეკერჩხლებიდან ნორჩი წებვადი კვირტების სუნი იფრქვევა. უილბერ-სტრიტის გასწვრივ, სასტუმრო ოთახების განიერი ფანჯრებიდან მოვერცხლისფრო ტელევიზორების ეკრანების მიღმა მდებარე სამზარეულოებში ანთებული ნათურების ნაზი, გამოქვაბულის სიღრმეში დანთებული ცეცხლის მსგავსი შუქი მოჩანს. დღე მთავრდება. ბაჭია დაღმართს მიუყვება. დროდადრო გზად ხის ხორკლიან ქერქს ან ცოცხალი ღობის გამხმარ ტოტს შეავლებს ხელს, რათა მატერიის სტრუქტურა ოდნავ მაინც შეიგრძნოს. კუთხეში, უილბერ-სტრიტისა და პოტერ-ავენიუს გადაკვეთაზე, საფოსტო ყუთი ბინდბუნდში თავის ბეტონის ბოძს მიყრდნობია. ორფირფიტიანი ქუჩების მაჩვენებელი, იზოლატორებიანი, სოლისებრი სატელეფონო ბოძი საღამოს ცის ფონზე და სახანძრო ჰიდრანტის ოქროსფერი ბუჩქი ნამდვილ ტევრს ქმნის. ოდესღაც მას ბოძებზე აძრომა უყვარდა. შეადგები მხრებზე მეგობარს, აიწევი და მიფოფხავ ზევით, ადიხარ, როგორც კიბეზე, სანამ კადონს არ მიაღწევ, საიდანაც სადენების სიმღერა ისმის. საზარელი მონოტონური ჩურჩული. იგი ყოველთვის აღუძრავდა სურვილს, უხეში ძელებისთვის ხელები გაეშვა და ქვემოთ ჩავარდნილიყო, მთელი ზურგით შეეგრძნო სიცარიელე, რომელიც ვარდნისას ფეხებიდან ხერხემლის ბოლომდე დაუვლიდა. ბაჭია იხსენებს, როგორ მიაღწია ერთხელ კადონს და აღმოაჩინა, რომ

ხელისგულები შიგ შერჭობილი ხიწვებისგან ერთიანად ახურებოდა. როგორ იჯდა, უსმენდა სადენების გუგუნს და წარმოიდგინა, რომ გაიგო, რას ეუბნებოდნენ ადამიანები ერთმანეთს, შეიტყო მათი საიდუმლოებები. იზოლატორები გიგანტურ ლურჯ კვერცხებს ჰგავდნენ ქარის სანავარდო ბუდეში.

ბაჭია პოტერ-ავენიუს მიუყვება. მდუმარე სიმაღლეზე დაკიდებული სადენები ნეკერჩხლების ცოცხალ კენწეროებს სერავენ. მომდევნო კუთხეში ხელოვნური ყინულის ფაბრიკიდან წამოსული წყალი ოდესღაც სლუკუნით ჩაედინებოდა საკანალიზაციო მილში და ქუჩის მეორე მხრიდან გამოედინებოდა. ბაჭია გზას გადაჭრის და არხის გასწვრივ მიაბიჯებს, რომლის წვრილი კალაპოტიც ადრე მწვანე შლამის ზოლებით იყო დაფარული. ისინი თავგამოდებით ცდილობდნენ, ფეხსაცმელები დაესველებინათ, თუ გაბედავდი და ფეხს დააბიჯებდი. ერთხელ იგი არხში ჩავარდა, თუმცა ვერ იხსენებს, რატომ მიდიოდა სრიალა ნაპირზე. არა, გაახსენდა – გოგონებს აწონებდა თავს. ამ გზით მასთან ერთად ლოტი ბინგამენი და მარგარეტ შელკოპფი, ზოგჯერ კი ბარბარა კობი და მერი ჰოიერი ბრუნდებოდნენ ხოლმე დაწყებითი სკოლიდან. ხშირად მარგარეტს ცხვირიდან სისხლი სდიოდა. ეს, ალბათ, ზედმეტი ჯანმრთელობისგან ემართებოდა. მამა ლოთი ჰყავდა. მშობლები აიძულებდნენ მაღალყელიანი, ღილებზე შესაკრავი ფეხსაცმელები ეტარებინა, თანაც მაშინ, როცა მათ უკვე აღარავინ იცვამდა.

იგი კიჯირაიზ-სტრიტზე უხვევს, რომელიც ვიწრო და მოხრეშილ შესახვევს წარმოადგენს პატარა კარტონაჟის ფაბრიკის უკანა, ყრუ კედლის გასწვრივ, სადაც ძირითადად ასაკიანი ქალები მუშაობენ, გაივლის ლუდის ბითუმად გაყიდვის მაღაზიის ცემენტის ფასადსა და ძველებურ ფერმერულ სახლს – ქვისგან ნაგებს, ახლა კი ფიცრებით აჭედილს, – დასახლების უძველეს შენობას, რომელიც მოწითალო ქვიშაქვის უხეში ლოდებისგან არის აგებული. ამ ფერმისგან, რომლის მესაკუთრეც თავის დროზე ჯაჯმაუნთის მთელი ფართობის ნახევარს ფლობდა, ახლა მხოლოდ აქა-იქ დამტვრეული, დაცერებული ღობით გარშემორტყმული ეზო შემორჩენილა, სადაც ყავისფერი ლატანების გროვა და დამპალი ფიცრები ყრია. ზაფხულობით აქ უამრავი სარეველა წამოყოფს თავს, მწვანე, ცვილივით რბილი ღეროები, აბრეშუმისებრი

თესლის მქონე რძიანი ჭოტები და წყალნარევი ყვავილის მტვრით დაფარული გრაციოზული ყვითელი ყვავილედები.

სპორტულ ასოციაციას, სახელწოდებით «მზის შუქი», ძველი ფერმერული სახლიდან მომცრო უშენი ადგილი გამოყოფს. ეს არის ქალაქური მრავალბინიანი სახლის მსგავსი აგურის მაღალი შენობა, რომელიც თითქოს რაღაც გაუგებარი მიზეზების გამო აღმოჩნდა ამ ბინძურ შუკაში სანარეცხე ორმოებსა და უკანა ეზოებს შორის. ფიცრული ფარდულის სიდიდის უცნაური მინაშენი, რომელსაც ყოველ ზამთარს აგებენ ქვის საფეხურებზე ავდრისაგან ბარის დასაცავად, მას ავის მომასწავებელ იერს აძლევს. ბაჭია ამ კლუბში რამდენჯერმეა ნამყოფი. იქ მზის შუქის ხსენებაც კი არსადაა. პირველ სართულზე ბარია განთავსებული, მეორეზე ბანქოს სათამაშო მაგიდები დგას, რომელთაც ღრმააზროვანი დუდუნით შემოსხდომიან ადგილობრივი ძველი მკვიდრნი. ალკოჰოლი და ბანქო ბაჭიასთვის ყოველთვის სევდიან ბებერ გარყვნილთან ასოცირდება, რომელსაც პირიდან ცუდი სუნი ამოსდის, უფრო მეტ სევდას კი მასში ამ შენობაში გამეფებული პოლიტიკური ინტრიგების ატმოსფერო იწვევს. კალათბურთში მისი ყოფილი მწვრთნელი, მარტი ტოთერო, რომელიც სკოლიდან სკანდალურად გაგდებამდე ადგილობრივ პოლიტიკურ სამყაროსთან იყო დაკავშირებული, ახლა აქ ცხოვრობდა და, როგორც ამბობდნენ, კვლავაც გავლენიანი პირი იყო. ბაჭიას პოლიტიკა არ უყვარს, მაგრამ მას ოდესღაც ტოთერო უყვარდა. დედის შემდეგ ტოთერო მისთვის ყველაზე დიდ ავტორიტეტს წარმოადგენდა.

ბაჭიას ცოტათი აშინებს ის აზრი, რომ მისი ყოფილი მწვრთნელი ამ მივარდნილ ადგილას ცხოვრობს. იგი სვლას აგრძელებს და საძარე სახელოსნოსა და მიტოვებულ საქათმეს ჩაუვლის. მას სულ თავდაღმართში უწევს სიარული, რადგან ჯაჯმაუნთის დასახლება ჯაჯის მთის აღმოსავლეთ ფერდობზეა გაშენებული, რომლის დასავლეთი ფერდობი ქალაქ ბრუერის თავზე აღმართულა. თუმცა დასახლებისა და ქალაქის შეხების წერტილად მხოლოდ გზატკეცილი თუ ჩაითვლება, რომელიც მთას სამხრეთიდან ერტყმის და ფილადელფიამდე ორმოცდაათი მილის მანძილზეა გაჭიმული, ისინი არასდროს შეერწყმიან ერთმანეთს, რადგან მათ შორის ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ ორი მილის გაყოლებაზე განიერი მწვანე თხემია აღმართული. მთაზე ხრეშის კარიერები,

სასაფლაოები და ახალი საცხოვრებელი კვარტალებიც არის, მაგრამ გარკვეულ საზღვარს ზემოთ ასობით აკრი ხელუხლებელი ტყეა, რომლის ბოლომდე ათვისებაც ადგილობრივმა ბიჭებმა ვერაფრით მოახერხეს. თვალწარმტაც სერპანტინებზე მეორე სიჩქარით მცოცავი ავტომანქანების ხმაური თანდათან იპყრობს აქაურობას. მაგრამ უზარმაზარ სივრცეებზე გადაჭიმულ გაუვალ ფიჭვნარში წიწვებით დაფარული მიწა ხმებს ახშობს და უსასრულო მწვანე გვირაბებით სულ უფრო და უფრო მაღლა მიიწევს, და გეჩვენებათ, რომ მდუმარებაზე საშინელ ადგილას მოხვდით. შემდეგ, როდესაც მზით სავსე მდელოს წააწყდებით, რომლის დამალვაც ტოტებს დაეზარათ, ან ჩამოქცეულ ქვის სარდაფს, მრავალი ასეული წლის წინ რომ ამოთხარა ვიღაც მამაცმა გოლიათმა, შიშისგან კანკალს დაგაწყებინებთ, ვაითუ, სხვისი ცხოვრების კვალმა ტყის ყურადღება ჩემზე გადმოიტანოს და მუქარით შეფოთლილმა ხეებმა გამოიღვიძონო. ეს შიში თქვენში საგანგაშო ზარივით ჟღერს, რომელსაც ვერაფრით ჩაახშობთ, პირიქით, იგი ძლიერდება და თქვენც უფრო სწრაფად გარბიხართ. მაგრამ, აი, ბოლოს და ბოლოს, მკაფიოდ გაისმის ღრჭიალი, მოახლოებული მანქანის მძღოლი სიჩქარეს გადართავს და ტანმაღალი ფიჭვების მიღმა თვალს გზის დამცავი დაბალი ბოძკინტების სითეთრე ხვდება. როდესაც მყარ ასფალტს მშვიდობიანად მიაღწევთ, დგახართ და ფიქრობთ: ფეხით დაეშვათ დაღმართზე თუ გამვლელ მანქანას დაელოდოთ, სასტუმრო «ბელვედერამდე» მიაღწიოთ, იყიდოთ შოკოლადი და ბრუერის ხედით დატკბეთ – ხალიჩასავით გაფენილი წითელი ქალაქით, სადაც ყოველი ხე, თუნუქი და წითელი აგურიც კი თიხის ქოთნებისთვის დამახასიათებელ ფერებში, ნარინჯისფერ-წითლადაა შეღებილი, რაც მას მსოფლიოს ყველა ქალაქისგან განასხვავებს, თუმცა ადგილობრივი ბიჭებისთვის სხვა ფერის ქალაქი არც არსებობს.

ჯაჯს ადრე შემოაქვს ბინდბუნდი დასახლებაში. ჯერ მხოლოდ შვიდია დაწყებული, გაზაფხულის ბუნიაობის წინადღე, მაგრამ უკვე ყველა სახლი, ტოლით გადახურული ფაბრიკები და დიაგონალებზე გაფანტული ქუჩები ბორცვის ფერდობზე ცისფერ ჩრდილშია ჩაძირული, რომელიც ასე უხვად ავსებს ველ-მინდვრებს მთის აღმოსავლეთით. ჩრდილის განაპირას ორ რიგად მდგარი რანჩოების დიდ ფანჯრებში წითლად ღაჟღაჟებს ჩამავალი მზე. მისი სხივების ტალღა ზღვის

უკუქცევასავით ტოვებს სახლებს, თესვის მომლოდინე ყავისფერ, შემორაგულ მიწებსა და გოლფის სათამაშო მინდორს – რომ არა ქვიშის ნაკვეთების ყვითელი ლაქები, შორიდან იგი გრძელი საძოვარი ეგონებოდა კაცს, – და ერთიმეორის მიყოლებით აქრობს იმ ფანჯრებს, ხეობის მეორე მხარეს, ბორცვების დასავლეთ ფერდობებზე, მაღლა-მაღლა მიიწევს და იქ კიდევ დიდხანს იწონებს თავს საღამოს შუქის ელვარებით. ბაჭია არ ჩქარობს ამ შესახვევის მიტოვებას, საიდანაც ეს ვრცელი ხედი იშლება. ოდესღაც ის აქ გოლფის მოთამაშეთა ინვენტარს დაათრევდა.

ბუნდოვანი მოუთმენლობით შეპყრობილი, იგი პირს იქცევს და მარცხნივ უხვევს, ჯექსონ-როუდისკენ, სადაც ოცი წელი გაუტარებია. მისი მშობლები აქვე ცხოვრობენ აგურის ორსართულიან სახლში, რომლის კუთხის მხარეც, სამწუხაროდ, მათ მეზობლებს, ბოლჯერებს ეკუთვნით. მისის ენგსტრომის გულის გასახეთქად, ისინი პატარა ეზოსაც ფლობენ. ამ ბოლჯერების ფანჯრები მთელ შუქს იტაცებენ, ჩვენ კი ამ ვიწრო ხვრელში შევყუჟულვართ.

ბაჭია ბალახ-ბალახ უხმაუროდ უახლოვდება მშობლიურ სახლს, გადაახტება კოწახურის დაბალ, ცოცხალ ღობესა და მავთულის ბადეს, რომელიც აქ იმიტომ გაუჭიმავთ, რომ ბავშვები ქუჩაში არ მოხვდნენ. გაზონის გავლით იგი ორ მოცემენტებულ ბილიკს შორის მიიპარება, რომლებიც აგურის კედლებს მიუყვება. ერთ-ერთის იქითა მხარეს ოდესღაც თვითონ ცხოვრობდა, მეორის მიღმა კი – ზიმების ოჯახი. მისის ზიმი, გონჯი ქალი ბაზედოვის დაავადებისგან გადმოკარკლული თვალებითა და მოლურჯო მომჩვარული კანით, ერთთავად თავისი ქალიშვილის, კეროლინის, საოცრად ლამაზი ხუთი წლის ბავშვის ლანძღვაში იყო. მისტერ ზიმი ერთი წითური და სქელტუჩება კაცი გახლდათ, აი, კეროლინში კი, სისრულე და სიგამხდრე, წითელი და ლურჯი ფერები, ჯანმრთელობა და შთამბეჭდაობა აუცილებელი პროპორციით შეზავებულიყო. მისი ადრეული სილამაზე არა აქ, არამედ სადღაც საფრანგეთში, სპარსეთში ან თუნდაც სამოთხეში გაფურჩქნილს ჰგავდა. ამას ჰარიც კი ამჩნევდა, რომელიც მასზე მხოლოდ ექვსი წლით იყო უფროსი და გოგოებს აინუნშიც არ აგდებდა. სამსახურიდან დაბრუნებული მისტერ ზიმი ქალიშვილს, როგორც წესი, აუცილებლად გამოექომაგებოდა ხოლმე და ახლა ცოლ-ქმარს შორის იწყებოდა გაუთავებელი

ჩხუბი. ისინი საათობით უყვიროდნენ ერთმანეთს, მეზობლებს ესმოდათ, როგორ იხსნებოდა ძველი ჭრილობები ზღვისიმიერი ყვავილების ღამეული გადაშლის დარად. ზოგჯერ დედა ამბობდა, ასე დიდხანს არ გაგრძელდება და ქმარი ცოლს მოკლავსო, ხანაც დაასკვნიდა – შვილი გამოასალმებს სიცოცხლეს ორივეს ძილშიო. გოგონა ამ აუტანელ ვითარებას თითქოს არც კი განიცდიდა: სახლიდან სკოლაში წასასვლელად გამოსულს თავის გულისმაგვარ სახეზე მუდამ ღიმილი ეფინა, ქუჩაში კი ისეთი გამომეტყველებით მიდიოდა, კაცი იფიქრებდა, მთელი სამყარო მას ეკუთვნისო, თუმცა ენგსტრომებმა კარგად იცოდნენ, რომ ორიოდე წუთით ადრე ამას ქალის მორიგი ისტერიკა უძღოდა წინ – მათი ფანჯრები ერთმანეთისგან ხომ მხოლოდ ექვსიოდე ფუტით იყო დაშორებული. როგორ ითმენს ეს საცოდავი კაცი ამდენს? თუ კეროლინი და დედამისი არ შერიგდებიან, ერთ მშვენიერ დღეს მარჩენალისა და მფარველის გარეშე დარჩებიან. მაგრამ დედის ვარაუდები არასდროს მართლდებოდა. როდესაც ზიმები გადავიდნენ, სამივენი ერთად წავიდნენ თავიანთი ფურგონით – ცოლიც, ქმარიცა და შვილიც. მათი ავეჯის ნაწილი კი კვლავაც ტროტუარზე იდგა დაქირავებული სატვირთო მანქანის გვერდით. მისტერ ზიმს ახალი სამუშაო ეშოვა კლივლენდში, ოჰაიოს შტატში. საცოდავები, მათზე გულდაწყვეტით არავინ იფიქრებს. მაგრამ მალე ინანეს კიდეც. სახლის საკუთარი ნახევარი ზიმებმა მართლმორწმუნე მეთოდისტების ხანდაზმულ წყვილს მიჰყიდეს. კაცმა უარი განაცხადა მათსა და ენგსტრომებს შორის მდებარე გაზონის გაკრეჭაზე. მისტერ ზიმი დარშიც და ავდარშიც, ყოველ უიკენდზე მუშაობდა ეზოში, – თითქოს ეს მის ცხოვრებაში ერთადერთი სიხარული იყო, რაც სულაც არ მიკვირს, – და გაზონის გაკრეჭა არასდროს ავიწყდებოდა. მოხუცი მეთოდისტი მხოლოდ თავის ნახევარს უვლიდა – სათიბელას ერთ რიგზე ატარებდა, მერე კი ჯიკავ-ჯიკავით იმავე გზით უკან აბრუნებდა, თუმცა ასეთივე წარმატებით შეეძლო გაზონის მეორე ნახევარიც გაეკრიჭა და სასაცილო მდგომარეობაში არ დაეტოვებინა. როდესაც მესმის, თუ როგორი თვითკმაყოფილებით დაახრიგინებს ბილიკზე ბებერი იდიოტი სათიბელას, წნევა მაღლა მიწევს და ყურები მიწუის. ერთ ზაფხულს დედამ ბაჭიასა და ქმარს გაზონის საკუთარი ნახევრის გაკრეჭა აუკრძალა, ამიტომ იმ დაჩრდილულ ზოლში ხშირი ბალახი ამოვიდა, ხორბლის მსგავსი მცენარეები და რამდენიმე ოქროწკეპლაც კი. ბოლოს,

აგვისტოში, ქალაქის სამმართველოდან ვიღაც ჩინოვნიკი მოვიდა და თქვა, რომ ძალიან წუხდა, მაგრამ მუნიციპალური საბჭოს გადაწყვეტილებით, ბალახი უნდა მოეთიბათ. ამაზე კარში მდგარმა ჰარიმ მიუგო, დიახ, დიახ, რა თქმა უნდაო. ამ დროს დედა გამოჩნდა და როცა გაიგო, რაც ხდებოდა, განაცხადა, რომ ეს მისი ყვავილნარი იყო და არავის მისცემდა მისი გაფუჭების უფლებას. ბაჭიას დედის მაგივრად შერცხვა. ჩინოვნიკმა ჯერ ქალს შეხედა, მერე ჯიბიდან გაქონილი წიგნაკი ამოიღო და დადგენილება წარმოადგინა. დედა კვლავ თავისას იმეორებდა. მაშინ მოსულმა მას ჯარიმის ოდენობა შეატყობინა და წავიდა.

შაბათს, როდესაც დედა საყიდლებზე ბრუერში წავიდა, მამამ გარაჟიდან ნამგალი გამოიტანა და ყველა სარეველა მოჭრა, ჰარი კი ნამკალზე სათიბელას მანამ დაატარებდა წინ და უკან, სანამ გაზონის მათი ნახევარიც ისეთივე კოხტა არ გახდა, როგორიც მეთოდისტისა, ეგაა, უფრო მუქი ფერის იყო. ბაჭიამ თავი დამნაშავედ იგრძნო და შეშინებული ელოდა მშობლების ჩხუბს დედის დაბრუნების შემდეგ. ამგვარი კინკლაობა თავზარს სცემდა. როდესაც გაბრაზებული სახე ეჭმუხნებოდათ და პირიდან ბოროტი სიტყვები ამოსდიოდათ, მას ეჩვენებოდა, რომ წინ შუშა ჰქონდა აფარებული და ჰაერი არ ჰყოფნიდა. ძალა ეცლებოდა და იძულებული ხდებოდა, სახლის შორეულ კუთხეში დამალულიყო. მაგრამ ამჯერად ჩხუბი არ შედგა. მამამ იგი იმით გააოცა, რომ უბრალოდ იცრუა. ასე თქვა, მეთოდისტმა ვეღარ მოითმინა და გაზონი გაკრიჭაო, თან შვილს თვალი ჩაუკრა, რამაც მისი განცვიფრება გააორმაგა. დედამ დაიჯერა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ გახარებია. მთელი კვირის განმავლობაში სულ იმას იმეორებდა, იმ ბებერ წმინდანს უნდა ვუჩივლოო. თანდათანობით მან მართლაც ირწმუნა, რომ ეს მისი ყვავილნარი იყო. გაზონის სიგანე ბილიკებს შორის ერთ ფუტს ოდნავ აღემატებოდა. ჰარის ეჩვენებოდა, რომ მასზე სიარული ისევე სახიფათო იყო, როგორც მაღალი კედლის თავზე.

იგი უკან ბრუნდება და სამზარეულოს განათებულ ფანჯრამდე მიდის. ცდილობს, არ იხმაუროს, ცემენტზე აბიჯებს, თითის წვერებზე იწევა და მკვეთრად განათებულ კუთხეს შესცქერის. იქ, მაღალ სკამზე, საკუთარ თავს ხედავს და უეცრად უცნაური ეჭვი შეიპყრობს, რომელიც მაშინვე გაუვლის. ეს მისი შვილია. ბიჭის მოკლე კისერი ისევე ბზინავს, როგორც სამზარეულოში

არსებული ყველა გაკრიალებული ნივთი – პრიალა მუშამბის კუწუბებით მორთულ თაროებზე მოთავსებული თეფშები, ჭიქები, მოქრომული სახელურები და ალუმინის ფორმები ნამცხვრებისთვის. დედის სათვალეც ბზინავს, როდესაც მაგიდასთან მდგომს იდაყვში მოხრილ ფუნთუშა ხელში ლობიოთი სავსე კოვზი უჭირავს, რომელსაც ორთქლი ასდის. სახეზე აბსოლუტური სიმშვიდე აღბეჭდვია, არადა, ცოტათი მაინც უნდა ღელავდეს, რადგან ბიჭის წასაყვანად არავინ მოდის. მისი წაგრძელებული სახე და ნისკარტივით დაწახნაგებული ცხვირი მხოლოდ ერთ სურვილს გამოხატავს – ბავშვის დანაყრებას. პირის გარშემო თეთრ ნაოჭებს მოუყრია თავი, რომლებიც ღიმილში იკარგებიან – ბაჭია ვერ ხედავს, მაგრამ ნელსონმა, ალბათ, პირი გააღო და ლობიო შეჭამა. მაგიდასთან მსხდომნი ქებას არ იშურებენ: მამა მოკლე-მოკლე შენიშვნებით კმაყოფილდება და აღფრთოვანებას ვერ მალავს – მათი ნათქვამი არამკაფიოდ ისმის. ბაჭია სიტყვებს ვერ არჩევს, რადგან ხმებს ფანჯრის მინა და თავში მოძრავი სისხლის ხმაური ახშობს. მამა სამსახურიდან ახალი დაბრუნებულია. მას მელნით მოთხვრილი ლურჯი პერანგი აცვია და, როდესაც შვილიშვილის ქებას მორჩება, ასაკი უფრო ეტყობა – თმაგათეთრებულს დაღლილი სახე აქვს. კისერი ფეხსაცმლის ზონრების კონას მიუგავს. შარშან ჩასმულმა ახალმა კბილებმა სახე შეუცვალა, ოდნავ დაუპატარავა კიდეც. პარასკევთან დაკავშირებით მოოქრულ შავ ტანსაცმელში გამოწყობილი მირიამი თეფშში იჩიჩქნება და პატარას სავსე კოვზს უწვდის. მისი წვრილი, სამაჯურიანი ხელი საერთო სურათს ბარბაროსული შტრიხით ავსებს. იგი გადამეტებულად იღებება – ცხრამეტი წლის ქალიშვილი მწვანე ქუთუთოების გარეშეც კარგი შესახედავია. კბილები წინ წამოსწევია, ამიტომ იშვიათად იღიმება. ნელსონის კისერს მკვეთრი შუქი ეცემა. იგი დიდ, ხუჭუჭა თავს წინ სწევს, მოკლე ვარდისფერ ხელს იწვდის და ცდილობს, მამიდას კოვზი წაართვას. ბაბუა სიცილს ვერ იკავებს, მიმის ზედა ტუჩი მაღლა ეწევა, ღიმილი მოჩვენებით ღრმააზროვან გამომეტყველებას ამსხვრევს და იგი იმ გოგოს ემსგავსება, რომელსაც ბაჭია ველოსიპედით ასეირნებდა, როდესაც ისინი ჯაჯმაუნთის მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით მთის ძირში დაქროდნენ, გოგონას გაშლილი თმა ბიჭს სახეზე უღიტინებდა. იგი ნელსონს კოვზს აძლევს, რომელიც მაშინვე ძირს აგდებს მას და ყვირის: «წავაქციე! წავაქციე!» ბაჭიას ეს კარგად ესმის. ცხადია, პატარას სურს, თქვას,

დავაქციეო. მიმი და მამა იცინიან და მას რაღაცას ეუბნებიან, დედას კი გაბრაზებით მოუკუმავს ტუჩები და პირში თავის კოვზს ჩრის. მის შვილს აჭმევენ, ბაჭიას სახლისგან განსხვავებით, აქ ბედნიერება სუფევს. იგი ცემენტზე ნაბიჯს უკან დგამს და უხმაუროდ ბრუნდება ბალახის ზოლზე. ამჯერად გაბედულად და სწრაფად მოქმედებს. სიბნელეში ჯექსონ-როუდზე კიდევ ერთ კვარტალს გაივლის, ცერად გადაკვეთს ჯოზეფ-სტრიტს, გაირბენს ერთ კვარტალს, მეორეში სვლას შეანელებს და მალე დაინახავს, რომ მისი მანქანა წესების დარღვევით ქუჩის მარცხენა მხარეს დგას და გახარებული იკრიჭება. ბაჭია ჯიბეს ხელით ისინჯავს და ტანში აცივებს. გასაღები არა აქვს. ყველაფერი, მთელი მისი გეგმა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სისულელეები ჩაიდინა ამჟამად თავგზააბნეულმა ჯენისმა, – ან წასვლისას მისთვის გასაღების მიცემა დაავიწყდა, ან მანქანაში ჩარჩა. ბაჭია ცდილობს გამოიცნოს, რომელი ვარიანტი უფრო სავარაუდოა, მაგრამ ვერ ხვდება. ცოლს ასე კარგად არ იცნობს. ანდა საიდან უნდა იცოდეს, რა მოუპრიტინებს თავში. მან ხომ ეს თვითონაც არ იცის. იდიოტია.

სპრინგერების ვრცელი სახლი წინიდან კი არა, უკნიდანაა განათებული. ბაჭია ხეების ტკბილ ჩრდილში მიიპარება იმ შემთხვევისთვის, თუ მოხუცი ქალი ჩაბნელებულ სასტუმრო ოთახში ზის და მას ელოდება, რათა საკუთარი აზრი გააცნოს. იგი მანქანას წინიდან შემოუვლის. ეს ორმოცდათხუთმეტ წელს გამოშვებული «ფორდია», რომელიც მოხუცმა სპრინგერმა, ჰიტლერივით რომ ატარებს ყვითელ, პატარა ულვაშს, 1957 წელს ზუსტად ათას დოლარად მიჰყიდა, ვინაიდან მშიშარა ნაძირალას რცხვენოდა – ის ხომ მანქანებით ვაჭრობდა, – რომ მისი ქალიშვილი იმ კაცზე ქორწინდებოდა, რომელსაც მხოლოდ ოცდათექვსმეტ წელს გამოშვებული «ბიუიკი» ჰყავდა, ისიც ას ოცდახუთ დოლარად ნაყიდი ტეხასში ჯარში მსახურობის დროს. მან ბაჭიას ათასი დოლარი მოსთხოვა, რომელიც არ ჰქონდა, თავისი «ბიუიკი» კი ეს-ეს არის ოთხმოც დოლარად შეეკეთებინა. აი, როგორ ხდება. რასაც დასთეს, იმას მოიმკი. როდესაც იგი მარჯვენა კარს აღებს, დაჭიმული ზამბარის ტკაცუნი შეაკრთობს. თავს სასწრაფოდ შიგნით შეყოფს და შვებით ამოისუნთქავს. მადლობა ღმერთს. განათებისა და მინასაწმენდების ღილაკებს ქვემოთ შავად მოჩანს გასაღების რვაკუთხოვანი სილუეტი. ღმერთო, დაიფარე

ის სულელი. ბაჭია მანქანაში ჯდება. კარს რაც შეიძლება ფრთხილად მიხურავს. სპრინგერების მობათქაშებული სახლის ფასადი კვლავაც გაუნათებელია. იგი მას რაღაცით ნაყინისგან დაცარიელებულ ფარდულს აგონებს. ბაჭია გასაღებს «სტარტის» ნიშნულამდე გადაატრიალებს. ძრავა ერთი კი დააცემინებს და დაიქოქება, მაგრამ ვინაიდან იგი ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს და აქსელერატორს ძალზე სუსტად აწვება, ზამთრის ბოლო დღეს ოთხი საათის განმავლობაში ცივ ჰაერზე მყოფი ძრავა ქრება. ბაჭიას ლამის გული ამოუხტეს მკერდიდან, ყელზე თითქოს გამხმარი ჩალა უღიტინებს. დავუშვათ, ქალი არც გამოვიდეს, ჯანდაბას მისი თავი. საეჭვო ისაა, რომ ბიჭი მასთან არაა, თუმცა შეუძლია თქვას, რომ ახლა მიდის მის წამოსაყვანად. ბოლოს და ბოლოს, ასე მოქცევა ყველაზე ლოგიკური იქნებოდა. მაგრამ გული არ მიუწევს ტყუილის, თუნდაც სარწმუნო ტყუილის სათქმელად. იგი თითების ბოლოებით ოდნავ ამოსწევს შემწოვს და კვლავ ქოქავს ძრავას. როდესაც აქსელერატორს აწვება, გვერდზე გაიხედავს და დაინახავს, რომ სპრინგერების სასტუმრო ოთახში შუქი ინთება. შეჭიდულობის სატერფულს ფეხს აუშვებს და «ფორდი» ადგილიდან წყდება.

გადაჭარბებული სიჩქარით გაივლის ჯოზეფ-სტრიტს, ყურადღებას არ აქცევს «სდექ» სიგნალს და მარცხნივ უხვევს. შემდეგ ჯექსონ-როუდს ქვემოთ მიუყვება, სადაც ირიბი კუთხით ცენტრალურ ტრასაზე გადის, რომელიც იმავდროულად ფილადელფიისკენ მიმავალი 422-ე გზატკეცილია. სდექ. ფილადელფიაში წასვლა არ სურს, მაგრამ დასახლების განაპირას, ელექტროსადგურის მიღმა, გზა ფართოვდება და ერთადერთი სხვა შესაძლებლობა ჯაჯმაუნთის გავლით უკან დაბრუნება, მთის გარშემოვლა და ბრუერის შუაგულში, საღამოს მოძრაობაში შერევაა. მას სურს, აღარასოდეს ნახოს ბრუერი – ფერადი ქოთნების ქალაქი. სამზოლიან გზატკეცილს ოთხზოლიანი ცვლის და სხვა მანქანასთან შეჯახების საფრთხეც ქრება – ყველანი ერთმანეთის პარალელურად მიდიან, როგორც ჯოხები მდინარის ჩქერობში. ბაჭია რადიოს ჩართავს. თავდაპირველად ზუზუნი გაისმის, შემდეგ კი მშვენიერი ზანგი ქალის მელოდიური ხმა: «უსიმღეროდ დღე-ე ა-ა-რასოდეს დასრულდება, უსიმღეროდ»... შინაგანი სიწმინდის შეგრძნება სიგარეტს მოითხოვს, მაგრამ ბაჭიას აგონდება, რომ აღარ ეწევა

და თავს კიდევ უფრო სუფთად იგრძნობს. იგი უკან გადაწვება, მარჯვენა ხელს დასაჯდომის საზურგეზე დებს, მანქანას კი მარცხენით მიასრიალებს ბინდბუნდით შემოსილ ავტოსტრადაზე. «სიმინდის ყანაში, – მომღერლის ხმა ვიოლონჩელოს შიგა ნაწილივით იზნიქება, – ბალახი იზრდება – გზატკეცილის ირგვლივ გზა უსასრულოდ მიემართება დაღმართზე რომელიღაც მუქი ფრინველის მსგავსად, – აქ არაფერს არავითარი აზრი არა აქვს – ექსტაზში სკალპი იკუმშება, – უსიმღეროდ». ბაჭია რეზინის სუნს გრძნობს, მაშასადამე, გათბობა ჩართულა. იგი პატარა ბერკეტს «ზომიერზე» აყენებს.

«საიდუმლო სიყვარული», «შემოდგომის ფოთლები» და კიდევ რომელიღაც სიმღერა, რომლის სახელწოდებაც ვერ გაარჩია. მუსიკა ვახშმისთვის. მუსიკა საჭმლის კეთებისას. იგი დანანებით ემშვიდობება დაუპატიჟებელ სანახაობას: ჯენისი ვახშამს ამზადებს, ტაფაზე რაღაც შიშხინებს, ალბათ, დაკეპილი ხორცი, ზეთდასხმული წყალი უნუგეშოდ იბუშტება, გამლღვალი ლობიოდან ვიტამინები ქრება. ბაჭია რაიმე სასიამოვნოს გახსენებას ცდილობს, მაგალითად, თუ როგორ ისვრის ბურთს შორი მანძილიდან ცალი ხელით, მაგრამ ფრიალო კლდეზე დგას, მის ქვემოთ უფსკრულია, რომელშიც მაშინვე ჩავარდება, როგორც კი ბურთს ხელს გაუშვებს. იგი კვლავ წარმოიდგენს, რომ დედა და და მის შვილს საჭმელს აჭმევენ, მაგრამ როდესაც მზერას წარსულს მიაპყრობს, დაინახავს, რომ ბიჭუნა ტირის, შუბლი გასწითლებია, ფართოდ დაღებული პირიდან ცხელი სუნთქვა ამოსდის. მაგრამ რაღაც ხომ მაინც უნდა იყოს: ხელოვნური ყინულის ფაბრიკიდან წამოსული ჭუჭყიანი წყალი არხში მოედინება, გზად შემხვედრ ქვებს თავს ყვითლად დასტრიალებს, წრიულად იჭავლება და ნაპირებში შლამის წვრილ ძაფებს არხევს. მეხსიერებაში მოულოდნელად ჯენისის თრთოლა ამოუტივტივდება უცხო საწოლზე წარმავალი დღის შუქზე. ამ სურათის წასაშლელად მირიამს უხმობს. აი, მიმი მისი ველოსიპედის ჩარჩოზე ზის, მიმი სიბნელეში ციგაზე მოკალათებულა, მას კი იგი ჯექსონ-სტრიტის ამაღლებულ ნაწილში მიჰყავს. გოგონას კაპორი ახურავს და გულიანად იცინის. მუნიციპალიტეტის მუშებს გზა გადაუღობავთ და მოძრაობა შეუჩერებიათ, რათა ბავშვებს ციგაობაში ხელი არ შეუშალონ. მარხილის თავკავები სტვენით მიქრიან ქვემოთ, დატკეპნილ ბნელ ფერდობებზე. მაგრად

დამიჭირე, ჰარი, ნაპერწკლები ცვივა – თავკავები წიდაში შეიჭრა, რომელიც ძირში უსაფრთხოების მიზნით დაუყრიათ. ისეთი ღრჭიალი ისმის, გეგონებათ, სიბნელეში უზარმაზარი გული ფეთქავსო. ერთხელაც რა, ჰარი, მერე კი წავიდეთ, გპირდები, ჰარი, გეხვეწები, ოჰ, როგორ მიყვარხარ, – ეს პატარა მიმია, მხოლოდ შვიდი წლისაა, მეტის არა, მუქი კაპორი ახურავს. ქუჩა ცვილივით რბილია, თოვა კი არ წყდება. საბრალო ჯენისი უკვე ერთ ამბავში იქნება. ან თავის დედას ურეკავს, ან – მისას, ანაც ვინმე სხვას. ვერ გაუგია, რატომ ცივდება ვახშამი. რა სულელია. მაპატიე.

იგი სიჩქარეს უმატებს. მომრავლებული მანქანების ანთებული ფარები ხიფათს შეიცავს. გზა მას ფილადელფიისკენ მიაქანებს. ვერ იტანს ფილადელფიას. მსოფლიოში ეს ყველაზე ბინძური ქალაქია. წყალი ნამდვილი საწამლავია, ქიმიკატების სუნი სდის. მას სამხრეთისკენ სურს წასვლა, რუკაზე ქვემოთ რომ არის აღნიშნული, ფორთოხლის ბაღების, მხრჩოლავი მდინარეებისა და ფეხშიშველა ქალების მხარეში. ვითომ ამაზე ადვილი რა უნდა იყოს – იარე მთელი ღამე, მთელი დილა, მთელი დღე, შეჩერდი პლაჟთან, ფეხსაცმელები გაიძვრე და მექსიკის ყურის სანაპიროზე დაიძინე. გაიღვიძებ იდეალურად ჯანმრთელი იდეალურად განლაგებული ვარსკვლავების ქვეშ. იგი აღმოსავლეთისკენ მიემართება. ამაზე ცუდი რა უნდა იყოს – ავადმყოფობებისკენ, ჭვარტლისა და სიმყრალისკენ, მიყრუებულ სულის ხუთვაში, სადაც ათიოდ ფუტსაც ვერ გაივლი, ვინმე რომ არ გაიტანო. ეგაა, რომ გზატკეცილი გასაქანს არ აძლევს, გზის მაჩვენებელზე კი წარწერაა: პოტსთაუნი 2. მან დამუხრუჭება დააპირა, მაგრამ შემდეგ ჩაფიქრდა.

თუ აღმოსავლეთით მიემართება, სამხრეთი მის მარჯვნივაა. მოულოდნელად, თითქოს მთელი ქვეყანა მისი სურვილების შესრულებას ცდილობდა, გამოჩნდა ფართო გზატკეცილი და მარჯვნივ მოსახვევთან წარწერა: გზა 100 უესტ-ჩესტერი-უილმინგტონი. გზა 100 – მშვენიერია, კატეგორიულად ჟღერს. მას არ უნდა უილმინგტონში, მაგრამ გზა კი იქით აქვს. არასდროს ყოფილა უილმინგტონში. ეს დიუპონების სამფლობელოა. საინტერესოა, დიუპონების ქალები ლოგინში როგორ იქცევიან.

მაგრამ ხუთი მილიც არ გაევლო, როცა იგრძნო, რომ

გზატკეცილი იმავე ხაფანგის ნაწილად იქცა. იგი პირველივე მოსახვევში უხვევს. მანქანის ფარები გზისპირა ქვაზე წარწერას გამოაჩენს: 23. კარგი რიცხვია. თავის პირველ შეჯიბრებაზე 23 ქულა დააგროვა. საშუალო სკოლის ბოლოსწინა კლასის უბიწო მოსწავლემ.

დიუპონების ფეხშიშველა ქალი. ნამზეური კანი, ჩიტივით პატარა, ქალწულის მკერდი. საფრანგეთში, საცურაო აუზის კიდეზე. ტიტველი ქალი და ფული, ბევრი ფული, მილიონები. თქვენ ფიქრობთ, რომ მილიონები თეთრ ფერს უკავშირდება. და დიუპონების ოკეანედ ქცეული ოჯახური სიმდიდრის უშფოთველ ფსკერზეა ჩამარხული. საინტერესოა, მდიდარი გოგონები ფრიგიდულები არიან? თუ ნიმფომანები?[5] ალბათ, სხვადასხვანაირი. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ მხოლოდ ქალები არიან, შთამომავლები რომელიღაც ბებერი გაიძვერასი, რომელსაც სხვებზე მეტად გაუმართლა ინდიელების ძარცვაში. არსი კი ერთია, გინდ სასახლეში იცხოვრონ და გინდაც ჯურღმულებში. იქ, ჭუჭყიან მატრასებზე, სითეთრე თვალში უფრო საცემია. საოცარია, როგორ მოილტვიან შენკენ, როდესაც თვითონ უნდათ, და თუ არ უნდათ, ცხიმის გროვას წარმოადგენენ და მეტს არაფერს. საკვირველია, რომ ვნებიანი ქალები მკვრივები და მშრალები არიან, ზანტები კი პირიქით, უფრო ტენიანები. ზანტი და უხალისო უძახე და მთელი ენერგია უნდა შეალიო. მთავარი აქ ისაა, რომ ჯერ საჭირო კონდიციამდე უნდა მიიყვანო. მომენტის დაჭერა კი რთული არ არის: პატარა ბუჩქის ქვეშ კანი ძალზე რბილი და ლეკვის კისერივით დამყოლი ხდება.

23-ე გზატკეცილი დასავლეთით მოსაწყენ პროვინციულ ქალაქებს გაივლის – ქოვენთრივილს, ელვერსონს, მორგანთაუნს. ბაჭიას უყვარს ასეთი პატარა ქალაქები. ფერმერული სახლების მაღალი კუბები გზის ახლოს ლიცლიცებენ. რბილი, ცარცით შეთეთრებული გვერდები. ერთ-ერთ ქალაქში ბაჭიამ მკვეთრად განათებულ ბარს მოჰკრა თვალი და მის მოპირდაპირე მხარეს, კავეულის ფარდულთან, ავტოგასამართი სადგურის გვერდით შეჩერდა. რადიოში ყური მოჰკრა, რომ უკვე რვის ნახევარი იყო, მაგრამ ფარდული ჯერაც არ დაეკეტათ, ვიტრინაში ნიჩბები, სათესელები, ბოძისთვის ორმოს ამოსათხრელი ექსკავატორები, ლურჯი, ნარინჯისფერი და ყვითელი ნაჯახები, ანკესები და ბეისბოლის სათამაშო ხელთათმანებიც კი მოჩანს. იქიდან საშუალო ასაკის კაცი

გამოდის, ჩექმა, ხაკისფერი განიერი შარვალი და ორი პერანგი აცვია.

– დიახ, სერ, – ამბობს იგი და მეორე სიტყვას აშკარად გამოყოფს, როგორც ეს კოჭლ კაცს ემართება ხოლმე სიარულისას.

– თქვენთან ბენზინის ჩასხმა თუ შეიძლება?

კაცი ბენზინის ქაჩვას იწყებს. ბაჭია მანქანიდან გადმოდის, უკნიდან შემოუვლის და ეკითხება:

– აქედან ბრუერამდე რა მანძილი იქნება?

ფერმერი ყურადღებით უგდებს ყურს ბენზინის ბუყბუყს, თავს მაღლა სწევს და მას უნდობლად უყურებს.

– თუ მოტრიალდებით და იმ გზას გაუყვებით, ხიდამდე თექვსმეტი მილი დარჩება.

თექვსმეტი. ორმოცი მილი გაიარა, რათა თექვსმეტი მილით დასცილებოდა.

მაგრამ ესეც საკმაოდ შორია. აქ სულ სხვა სამყაროა. სუნიც სხვაა, ამ მიყრუებულ, მყუდრო ადგილს სიძველის დამღა ადევს.

– პირდაპირ რომ წავიდე?

– ჩერჩთაუნში მიხვალთ.

– ჩერჩთაუნის იქით რაღაა?

– ნიუ-ჰოლანდი. ლანკასტერი.

– რაიმე რუკა ხომ არ მოგეძევებათ?

– რომელ ადგილს ეძებ, შვილო?

– რომელს? ზუსტად არ ვიცი.

– საით გაგიწევია? – მოთმინებით არკვევს კაცი. მას ერთდროულად კეთილი, ეშმაკური და სულელური გამომეტყველება აქვს.

მხოლოდ ახლა აცნობიერებს ბაჭია, რომ იგი დამნაშავეა. ესმის, როგორ აღწევს ბენზინი ბაკის ყელამდე და ამჩნევს, თუ

როგორი გულმოდგინებით წურავს ფერმერი ბაკში ყოველ წვეთს და ამ სიკეთეს მიწაზე დაღვრის საშუალებას არ აძლევს. არადა, ქალაქში ავტოგასამართი სადგურის თავხედი მოსამსახურე სწორედ ასე მოიქცეოდა. აქ თითოეულ წვეთ ბენზინს უფრთხილდებიან, ის კი მივარდნილ ადგილებში დაწანწალებს, თანაც მალე დაღამდება კიდეც. ამ მხარეში კანონები უსხეულო სულები როდი არიან, ისინი ირგვლივ დაეხეტებიან და მიწის სუნს აფრქვევენ. ბაჭიას სხეულს უმიზეზო შიში ეუფლება.

– ზეთი არ შევამოწმო? – ეკითხება კაცი და შლანგს დაჟანგული სვეტის კედელზე ჰკიდებს. ძველებურია, მომრგვალებული და შეღებილი ზედა ნაწილით.

– არა. თუმცა მოიცა, კი. შეამოწმეთ, თუ შეიძლება. გმადლობთ.

დამშვიდდი. შენ მხოლოდ რუკა ითხოვე. რა არის აქ საეჭვო? უბრალოდ, ეს ნეხვის ჭია ძალიან ძუნწია. ვიღაც ყოველთვის სადღაც მიდის. დაე, შეამოწმოს ზეთი, მე ხომ აღარსად გავჩერდები, სანამ ჯორჯიამდე გზის ნახევარს მაინც არ გავივლი.

– ერთი ის მითხარით, სამხრეთით რომ წავიდე, ლანკასტერამდე შორია?

– პირდაპირ სამხრეთით? არ ვიცი. გზით ოცდახუთ მილამდე იქნება. ზეთი წესრიგში გაქვთ. ლანკასტერი აირჩიეთ?

– დიახ, ასე მგონია.

– წყალს დავხედო?

– არა. წყალი საკმარისია.

– აკუმულატორი?

– წესრიგშია. წასვლის დროა.

კაცი კაპოტს ხურავს და ჰარის ღიმილით შესცქერის.

– ბენზინისთვის სამი და ოთხმოცდაათი, ახალგაზრდავ, – სიტყვები მკაფიოდ ისმის, ხაზგასმით, როგორც ხეიბრის მძიმე, ფრთხილი ნაბიჯები.

ბაჭია მას ხელში ოთხ ერთდოლარიან კუპიურას უდებს.

დაკოჟრებული ხელია, უხეში, ფრჩხილები დიდხანს ხმარებისგან დაბრეცილ ნიჩბებს მიუგავს. კაცი კავეულის ფარდულის კარში უჩინარდება, ალბათ, შტატის პოლიციაში რეკავს. ისე იქცევა, თითქოს რაღაცას ხვდება, მაგრამ საიდან? ბაჭიას ერთი სული აქვს, მანქანაში დურთოს თავი და აქაურობას მოშორდეს. დასამშვიდებლად საფულეში დარჩენილ ფულს ითვლის. სამოცდაცამეტი. დღეს ხელფასი აიღო. დიდი რაოდენობით ტკაცუნა კუპიურებთან შეხება ნერვებს უმშვიდებს. ფერმერი ფარდულში შუქს აქრობს და ათცენტიანით ხელში, მაგრამ ურუკოდ ბრუნდება. ჰარის გაწვდილ ხელში მონეტას მსხვილი ცერათითით ჩაუდებს და ეუბნება:

– ყველაფერი გადავქექე, მაგრამ ნიუ-იორკის შტატის რუკის გარდა ვერაფერს მივაგენი. შემთხვევით, იქით ხომ არ აპირებთ?

– არა, – პასუხობს ბაჭია და მანქანისკენ მიემართება. კეფის თმით გრძნობს, რომ ფერმერიც უკან მიჰყვება. იგი ავტომობილში ჯდება და კარს მიიჯახუნებს, კაცი კი თავისი მომჩვარული ფიზიონომიით უკვე მასთანაა. იგი იხრება და ფანჯარაში თავის შეყოფას ცდილობს. დახეთქილი თხელი ტუჩები ღრმააზროვნად უმოძრავებს. ზედ ნაიარევი აქვს, რომელიც ცხვირამდე აღწევს. სათვალე მეცნიერს ამსგავსებს.

– თუ სადმე მისვლას აპირებთ, ჯერ უნდა გაარკვიოთ, რა ჰქვია იმ ადგილს.

ბაჭია ვისკის სუნს გრძნობს.

– მე ასე არ ვფიქრობ, – მშვიდად პასუხობს იგი.

ტუჩები, სათვალე, ცრემლის ფორმის ნესტოებიდან გამოჩრილი შავი ბეწვები – არაფერი გამოხატავს ოდნავ გაოცებასაც კი. ბაჭია მანქანას ქოქავს და იქაურობას ტოვებს.

იგი ლანკასტერში მიემგზავრება. სიმსუბუქის სასიამოვნო შეგრძნება უკვალოდ ქრება. იმის გამო, რომ იმ ჭკუასუსტმა არაფერი იცოდა, მთელი არემარე ავის მომასწავებლად ეჩვენება. ჩერჩთაუნს იქით სიბნელეში ამიშების ოთხთვალას გადაასწრებს. ადამის დროინდელ ცხენშებმულ ეკიპაჟში წვერმოშვებულ მამაკაცსა და შავებში ჩაცმულ ქალს მოჰკრავს თვალს. ორივეს ეშმაკივით ბოროტი მზერა აქვს. კაცს წვერი

ნესტოებიდან გამოჩრილ ბეწვებს მიუგავს. ბაჭია ცდილობს ამ ადამიანების უბიწო ცხოვრებაზე იფიქროს, იმაზე, თუ როგორ განერიდებიან ისინი მოსაჩვენებელ კეთილდღეობას, მეოცე საუკუნის ვიტამინების რეკეტს, თუმცა ქალი და კაცი მისთვის მაინც ეშმაკებად რჩებიან. ადვილი მოსალოდნელია, რომ ისინი რომელიმე მანქანამ გაიტანოს, მაგრამ არაფერს ეპუებიან, დაეხეტებიან გზებზე ოთხთვალაზე დამაგრებული ერთადერთი მქრქალი წითელი ამრეკლავით და ბაჭიასა და მისნაირთა მიმართ, მათი უზარმაზარი უკანა შუქფარების გამო, უსაზღვრო სიძულვილით არიან აღვსილნი. ნეტავ ვინ ჰგონიათ თავი? ბაჭია მათ ვერაფრით ივიწყებს. უკანა ხედვის სარკეში ისინი აღარ ჩანან. ჩაუქროლა და მათგან კვალიც კი აღარ დარჩა. მხოლოდ წამიერად თვალის შევლება გვერდიდან – ქალის ფართოყვრიმალებიანი სახე, როგორც კვამლის სამკუთხედი კვადრატულ ჩრდილში. მაღალი, თმიანი კუბო ცოცხალ-მკვდარი ჯაგლაგის ჩლიქების ბაკუნში გზაზე მიხრიგინებს. ამიშები ხომ საქონელს სიქას აცლიან. ფანატიკოსები. თავიანთ ქალებთან სქესობრივ კავშირს ფეხდგომელა ამყარებენ, მინდორში, გაუხდელად, მხოლოდ შავ ქვედაკაბას აიწევენ ზევით და ეგაა. მის ქვეშ არაფერი აცვიათ. არანაირი საცვალი. ფანატიკოსები. ნეხვთაყვანისმცემლები.

ბარაქიანი მიწა თითქოს წყვდიადს ჰაერში უკუაგდებს. ღამით მინდვრები უსიცოცხლოდ გამოიყურება. როდესაც ლანკასტერის განათება მანქანის ფარების სუსტ შუქს ერწყმის, იგი შვებით ამოისუნთქავს. მანქანას კაფესთან აჩერებს. საათი 8:04-ს უჩვენებს. გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ შტატიდან გასვლამდე არ ეჭამა. შესასვლელთან სტელაჟიდან რუკას იღებს და სანამ კატლეტსა და სამ ფუნთუშას მიირთმევს, ადგილმდებარეობაში გარკვევას ცდილობს. იგი ლანკასტერშია. მის გარშემო პატარ-პატარა ქალაქებია სასაცილო სახელწოდებებით: ბერდ-ინ-ჰენდი – დღევანდელი კვერცხი, პარადაიზი – სამოთხე, ინტერკორსი – სქესობრივი კავშირი, მაუნთ-ეარი – საჰაერო მთა, მესკეტი – თილისმა. ალბათ, როცა მათში ცხოვრობ, ისინი სასაცილო აღარ გეჩვენება. როგორც ჯაჯმაუნთი – მოსამართლე მთა. ეჩვევით. ხომ უნდა ერქვას ქალაქს რაღაც სახელი.

ბერდ-ინ-ჰენდი, პარადაიზი – თვალები ძალაუნებურად კვლავ ამ ნატიფ ასოებს მისჩერებია რუკაზე. რესტორნის სინთეტიკური ბრჭყვიალების შუაგულში მყოფს, სურვილი

უჩნდება, იქით გაემგზავროს. პატარა ფუმფულა ქალები, ნამცეცა ძაღლები ქუჩებში, შაქარყინულის სახლები მზის ლიმონისებურ სხივებში.

მაგრამ არა, მისი მიზანი სამხრეთის თეთრი მზეა, ცის უზარმაზარი ბალიში. რუკის მიხედვით, სავარაუდოდ, დასავლეთისკენ უფრო მიდიოდა, ვიდრე სამხრეთისკენ. იმ ნეხვის ჭიას რუკა რომ ჰქონოდა, მე-10 გზით პირდაპირ სამხრეთისკენ გაემართებოდა. ახლა კი ისღა დარჩენია, ლანკასტერის ცენტრიდან 222-ე გზაზე გავიდეს და მერილენდამდე იმგზავროს, მერე კი 1-ელ გზაზე გადაუხვიოს. იგი იხსენებს «სეთედი ივნინგ პოსტში» გამოქვეყნებულ წერილს, რომლის მიხედვითაც, გზა 1-ლი ფლორიდიდან მენამდე მსოფლიოში ყველაზე თვალწარმტაც ადგილებს გაივლის. იგი იღებს ჭიქა რძესა და ვაშლის ღვეზელს ხრაშუნა ჰაეროვანი ქერქით, რომლისთვისაც საზრიან მცხობელებს დარიჩინიც შეურევიათ. დედა ღვეზელს ყოველთვის ამატებს დარიჩინს. ბაჭია ათიანს ახურდავებს, ანგარიშს ასწორებს და ავტოსადგომისკენ კმაყოფილი მიემართება. ბრუერთან შედარებით, აქაური კატლეტები უფრო მსუყეა და თბილი, ფუნთუშებიც კარგი გამომცხვარია. საქმე კარგად მიდის.

ქალაქიდან გასვლას ნახევარ საათს ანდომებს. 222-ე გზაზე გასული, სამხრეთისკენ რეფტონს, ჰესდეილს, ნიუ-პროვიდენსს, კოუორვილს, მექანიკს-გროუვსა და იუნიკორნს გაივლის, შემდეგ მოსწორებული ადგილები იწყება, ისეთი უსიცოცხლო და უსიამოვნო, რომ მხოლოდ ოკვუდში აცნობიერებს, რომ მერილენდს მიაღწია. რადიოში განუწყვეტლივ გაისმის: «სხვისი არც ხელები მინდა, არც ტუჩები», «სტაგერ ლი», «რეიკოს» ფირმის გამჭვირვალე შალითები დასაჯდომებზე გადასაფარებლად, «ოჰ, ფეხებზე რომ მეკიდოს» კონი ფრენსისის შესრულებით (რეკლამა დისტანციურად მართვადი გარაჟის კარისა), მელ ტორმი – «შინ მივრბივარ, რომ პატიება ვთხოვო», «ეს ძველი გრძნობა», ტელევიზორ «ვესტინჰაუზის» რეკლამა, რომელსაც დიდი ეკრანი და ღილაკებით ავტომატურად აწყობის სისტემა აქვს – «ზედმიწევნით მკაფიო გამოსახულება არა უშორეს ცხვირისა ეკრანიდან», «იტალიელი კოვბოის სიმღერები», «აბა, კი» დუეინ ედის შესრულებით, ბურთულიანი კალმის – «ფეიფერმეიტის» რეკლამა, «მე უკვე დიდი ვარ», თმის გამვლების რეკლამა, «წავიდეთ სახეტიალოდ», უკანასკნელი

ცნობები (პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა დაიწყეს მოლაპარაკება გეტისბერგში, ლჰასაში ტიბეტელები ჩინელ კომუნისტებს ებრძვიან, დალაი ლამას, ამ შორეული და ჩამორჩენილი ქვეყნის სულიერი ლიდერის ადგილსამყოფელი უცნობია, მოსამსახურემ პარკ-ავენიუზე მდებარე სახლიდან მემკვიდრეობით 250 ათასი დოლარი მიიღო, ხვალიდან გაზაფხული იწყება), სპორტის სიახლეები («იანკებმა» მაიამიში «მამაცები» დაამარცხეს, ვიღაცამ ვიღაცასთან ანგარიში გაათანაბრა ჩოგბურთში ღია პირველობაზე სენტ-პიტერსბერგში, ადგილობრივი საკალათბურთო ტურნირის შედეგები), ამინდი (დარია და სეზონის შესაფერისი სითბო), «ბედნიერი ორგანი», «გამიშვით», სქულკილის სადაზღვევო კომპანიის რეკლამა, «როკსვილი» (ბაჭიას ეს მოსწონს), «სურათი, რომლის დახატვასაც ვერც ერთი მხატვარი ვერ შეძლებს», რეკლამა საპარსი კრემისა «ბარბაზოლი – ახალი ფორმულა», რომელიც კანს ასუფთავებს და რაღაცის ემულსაციას ახდენს, «ფეხსაცმლის ვარდისფერი ზონრები» დოდი სტივენსის შესრულებით, პატარა ბიჭის, ბილ ტესმანის წერილი – მას მანქანა დაეჯახა და მადლობელი იქნება, თუ წერილებსა და ღია ბარათებს გაუგზავნიან, «პტი ფლერ» (პაწია ყვავილი), «ფანგო» (დიდი), წმინდა მატყლისგან დამზადებული «ვულ-ტექსის» კოსტიუმების რეკლამა, ჰენრი მანჩინის «ჩხუბი», «ყველას უყვარს ჩა-ჩა-ჩა», რეკლამა ხელსახოცებისა «ღვთის წყალობა» და მაგიდის სუფრებისა «საიდუმლო სერობა», «ჩემი გულისცემა», რეკლამა საპრიალებელი პასტისა «სისწრაფე» და ლანოლინის კრემისა, «ვენერა» და კვლავ იგივე ახალი ამბები. სად არის დალაი ლამა?

ოკვუდის გავლისთანავე ბაჭია 1-ელ გზაზე გადის; ცხელ-ცხელი სოსისების კიოსკებს, სარეკლამო ფარებსა და ძელური ქოხების შესახედაობის გზისპირა ტავერნებს მოულოდნელად უსიცოცხლობის ნიშანი ადევს. რაც უფრო შორს მიდის, მით უფრო უძლიერდება იმის შეგრძნება, რომ მისკენ უზარმაზარი, მოუწესრიგებელი კონგლომერატი მოიწევს – ამჯერად, ბალტიმორი ნაცვლად ფილადელფიისა. იგი ჩერდება და ორი დოლარის ბენზინს ასხამს. კაცმა რომ თქვას, ახალი რუკაც სჭირდება. «კოკა-კოლას» ავტომატთან მდგარი, რუკას გადაშლის და ფანჯრიდან შემოსულ შუქზე შეისწავლის, რომელიც თხევადი ცვილის ქილების პირამიდისგან მწვანეა.

ახლა მთავარია, როგორ დააღწიოს თავი ბალტიმორ-ვაშინგტონის კონგლომერატს, რომელიც ორთავიანი ძაღლის მსგავსად, სამხრეთიდან სანაპიროსთან მდებარე გზატკეცილის მისადგომებს იცავს. სამხრეთისკენ ზღვის გასწვრივ მგზავრობის იოტისოდენა სურვილიც არა აქვს. თვალწინ ასეთი სურათი უდგება: სამხრეთისკენ ცენტრიდან ეშვება, პირდაპირ ქვეყნის რბილ მუცელში, და დილაადრიან გამოღვიძებული ბამბის მინდვრები გაოცებით შესცქერიან მისი მანქანის ჩრდილოურ ნომრებს.

ახლა ის დაახლოებით აქ არის. 23-ე გზა მარცხნივ მოუხვევს, არა, მარჯვნივ. რუკაზე ეს ზევით წასვლას ნიშნავს, მერე კი უკან, პენსილვანიისკენ. მაგრამ აქ, შოსვილთან, მას ვიწრო გზის არჩევაც შეუძლია, რომელიც უნომრო წვრილი ლურჯი ხაზითაა აღნიშნული, შემდეგ ცოტათი ქვემოთ დაეშვება და საჭირო კურსს, 137-ს დაუბრუნდება. ამას მოჰყვება გრძელი მრუდი და 482-ისა და 31-ის გადაკვეთა. ბაჭია უკვე გრძნობს, როგორ მოაბრუნებს მანქანას და 26-ეს წითელ ხაზზე გადავა, შემდეგ კი მას მომდევნო 340-მდე გაუყვება. ისიც წითლადაა აღნიშნული. რუკაზე მას თითს აყოლებს და უეცრად ხვდება, საითაც უნდა წავიდეს. მარცხნივ, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ სამი პარალელური წითელი ხაზი გადის, და ბაჭია ცხადად შეიგრძნობს, როგორ მისრიალებენ ისინი ქვემოთ, აპალაჩების ხეობების გასწვრივ. ერთ-ერთ მათგანს რომ დაადგეს, დილისთვის, თითქოს ღარზე დაეშვაო, ბამბის ცნობილ დაბლობებში ამოყოფს თავს. დიახ. როგორც კი იქ აღმოჩნდება, ყოველგვარი არეულ-დარეულობა და აბურდული ფიქრები უკვალოდ გაქრება. ბაჭია ორ დოლარს უხდის ბენზინის სვეტის თანამშრომელს, ახალგაზრდა, მაღალ ზანგს, და უეცრად საოცრად მოუნდება მოეხვიოს ამ ზანტ, მოქნილ სხეულს, ფართხუნა საფირმო კომბინეზონში რომ გამოწყობილა. აქ გაცილებით მეტი სითბოა. თბილი ჰაერი ყავისფერი და ლილისფერი რკალებით ვიბრირებს ბენზინის სვეტის შუქსა და მთვარეს შორის. თხევადი ცვილის პასტით სავსე მწვანე ქილების ზემოთ მდებარე ფანჯარაში საათი 9:10-ს უჩვენებს. წამების მაჩვენებელი წვრილი, წითელი ისარი აუღელვებლად ნთქავს ციფრებს და ბაჭიას ეჩვენება, რომ იგი კარგ გზას ჰპირდება. თავის «ფორდში», გაცხელებულ, დახუთულ მანქანაში ჯდება და «ყველას უყვარს ჩა-ჩა-ჩას» ღიღინებს.

თავდაპირველად თამამად მიქრის შავ გუდრონზე, თეთრ ასფალტზე, ქალაქებსა და მინდვრებს შორის, გზაჯვარედინებზე, ვერაგულად რომ უხმობენ სირენების ხმებით. ბაჭიას გვერდით რუკა უდევს. ზუსტად მიჰყვება საჭირო ნომრებს და ჩანასახშივე იკლავს სამხრეთისკენ მიბრუნების სურვილს. რაღაც ცხოველური ინსტინქტი კარნახობს, რომ დასავლეთისკენ მიდის.

მხარე თანდათან სულ უფრო უდაბურდება. გზა დიდ ტბებს გარს უვლის და ფიჭვების ტყეში გაჭრილ გვირაბში შედის. საქარე მინის ზედა ნაწილში სატელეფონო სადენებს ვარსკვლავები წამითაც არ ასვენებენ. რადიომიმღებში მუსიკა ნელ-ნელა იყინება. ახალგაზრდულ როკ-ენ-როლს ძველებური მოტივები, მელოდიები კინოფილმებიდან და ორმოციანი წლების მანუგეშებელი სიმღერები ენაცვლება. ბაჭია გონებაში მეუღლეთა წყვილებს ხედავს, რომლებიც ფილმის ნახვისა და რესტორანში ვახშმობის შემდეგ შინ მიიჩქარიან, სადაც მათ ძიძები ელოდებიან. შემდეგ მელოდიები საბოლოოდ ითიშება და სადავეებს ნამდვილი ღამის მუსიკა ეუფლება: როიალი და ვიბროფონი მყიფე ოქტავების მტევნებს ახვავებენ, კლარნეტი, გუბის ზედაპირზე ჭავლის მსგავსად, წრეებს არტყამს, საქსოფონები ერთსა და იმავე რვიანებს ხაზავენ. ბაჭია უესტმინსტერს გასცდება. უსაშველოდ დიდხანს მიღოღავს ფრედერიკამდე, გადის 340-ე გზატკეცილზე და პოტომაკს გადაკვეთს.

შუაღამისთვის ძილი ერევა და ყავის დასალევად გზისპირა რესტორანთან ჩერდება. იგი რაღაცით, თუმცა ვერ მიმხვდარა – რით, განსხვავდება დანარჩენი კლიენტებისგან. ამას ისინიც გრძნობენ და მძიმედ უმზერენ. ცალკეულ კაბინებში ელვაშესაკრავიან ქურთუკებში გამოწყობილი სამ-სამი ახალგაზრდა კაცი და თითო ქალიშვილი ზის. ჭაბუკებს თეთრ სახეებზე თვალები პატარა ლითონის ღილაკებივით მოუჩანთ, გოგონებს ნარინჯისფერი თმა ზღვის წყალმცენარეებივით ჩამოუშვიათ, ზოგსაც დაუდევრად შეუკრავს ოქროს სამაგრებით, რომლებიც კაცს ძალაუნებურად მეკობრეთა საგანძურს ახსენებს. დახლთან პალტოიან ცოლ-ქმართა რამდენიმე წყვილი მოკალათებულა და ტუჩებწაგრძელებულები ნაცრისფერ სოდიან ნაყინს წრუპავენ. საერთო გუგუნში, რომელიც მისმა გამოჩენამ გამოიწვია, დახლს მიღმა მდგარი დაღლილი ქალის გადამეტებული

თავაზიანობა კიდევ უფრო უსვამს ხაზს იმას, რომ იგი აქ უცხოა. აუღელვებლად შეუკვეთს ყავას, ცდილობს, მუცლის სპაზმებს ყურადღება არ მიაქციოს და ჭიქის კიდეებს ათვალიერებს. იგი ფიქრობდა, მას წაუკითხავს, რომ ზღვიდან ზღვამდე ამერიკა ყველგან ერთი და იგივეა. საინტერესოა, მხოლოდ ამათთვის არის უცხო თუ მთელი ამერიკისთვის?

ქუჩაში ძალიან ცივა. ბაჭიას ზურგს უკან მძიმე ნაბიჯების ხმა ესმის და კრთება, მაგრამ საშიში არაფერია – შეყვარებულთა წყვილი თავისი მანქანისკენ მიიჩქარის. მათი გადაჭდობილი ხელები წყვდიადში ზღვის ვარსკვლავასავით ჩაიქროლებს. სანომრე ფირფიტის ინდექსი დასავლეთ ვირჯინიაზე მიუთითებს. მის გარდა ყველას იგივე ინდექსი აქვს. გზის მოპირდაპირე მხარეს ტყე ისე მკვეთრად ეშვება ძირს, რომ მთის ფერდობზე ხის კენწეროები დაკბილულ მუყაოს ფურცელს წააგავს, რომელიც ოდნავ გახუნებულ ცისფერ ზეწარს მიყრდნობია. ბაჭია ზიზღით ჯდება თავის «ფორდში», მაგრამ დახუთული ჰაერი მანქანაში მისი ერთადერთი თავშესაფარია.

იგი მომძლავრებულ წყვდიადს მიუყვება. გზა გამაღიზიანებელი ზოზინით იხლართება: საითაც უნდა მიანათოს ფარები, ყველგან იგივე შავი კედელია აღმართული. გუდრონი სალტეებს იწოვს. ბაჭია აცნობიერებს, რომ სიბრაზისგან ლოყები უხურს. მას შემდეგ ბრაზობს, რაც ქალებით გადავსებული სამიკიტნოდან გამოვიდა. გაბრაზებისგან პირი გაუშრა, ცხვირიდან სისველე სდის. ფეხს ძლიერად აჭერს, თითქოს გზის გველის გასრესა სურს და მოსახვევში კინაღამ მანქანას ამოაყირავებს – ორივე მარჯვენა ბორბალი გზისპირა გრუნტზე აღმოჩნდება. ბაჭია საჭეს იმორჩილებს, მაგრამ სპიდომეტრის ისარი მუდმივად სიჩქარის დასაშვები ნორმის მარჯვნივ იხრება.

როდესაც რადიოს ჩართავს, მუსიკა ის მდინარე აღარაა, ქვემოთ რომ მიაქროლებდა. იგი მას უზარმაზარი ქალაქების ხმით ესაუბრება, სრიალა ხელებს თავში უტყაპუნებს. როგორც წესი, მას ვერ ამჩნევთ. მაგრამ ბაჭია წარმოქმნილ სიჩუმეში აზრს არ უშვებს. აღარ სურს ფიქრი, უნდა, დაიძინოს და რბილ, ქვიშის ბალიშზე გაიღვიძოს. რა სულელია, ნამდვილი ვირია, რომ ასე ნელა მიდის. უკვე შუაღამეა, ნახევარი ღამე ხელში შემოადნა.

არემარე კვლავ უცვლელია. თუმცა რაც უფრო წინ მიიწევს, ის

სულ უფრო მეტად ემსგავსება ჯაჯმაუნთის მიდამოებს. იგივე ნაგავი გზისპირა ყრილების გასწვრივ, იგივე გაცვეთილი ფარები იმავე საქონლის რეკლამით – გაუგებარია, ვის მოუვა თავში მათი შეძენა. ფარების შორი შუქი გამხმარ ტოტებს იმავე უსასრულო ბადეში აწნავს. ახლა იგი უფრო მკვრივიც კია.

ცხოველური საწყისი მას მძაფრ წინააღმდეგობას უწევს, დასავლეთისკენ წასვლა არ სურს. ტვინი ჯიუტად თავისას იჩემებს. აი, ერთადერთი საშუალება სადმე მოხვედრისთვის – მტკიცედ უნდა გადაწყვიტო, სად მიდიხარ და გზას დაადგე. ფრედერიკიდან მარცხნივ ოცდარვა მილი უნდა გაევლო, მაგრამ ეს ოცდარვა მილი უკვე უკან მოიტოვა და თუმცა ინსტინქტი კატეგორიულ უარზეა, იგი ყოველგვარი საგზაო ნიშნის გარეშე მარჯვნივ, ფართო გზაზე უხვევს. თუმცა რუკაზე მისი სისქის მიხედვით, მაჩვენებელი არც უნდა ყოფილიყო. მან ისედაც იცის, რომ ეს უმოკლესი გზაა. იხსენებს, რომ, როდესაც მარტი ტოთერო მისი მწვრთნელი გახდა, მას, ბაჭიას, არ სურდა საჯარიმოების ქვემოდან სროლა, მაგრამ საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ სწორედ ასე იყო საჭირო. სამყარო ასეა მოწყობილი – სწორი გზა თავდაპირველად მცდარი გვეჩვენება. ჩვენი რწმენის გამოსაცდელად.

კარგა ხნის მანძილზე გზა ფართოა და საიმედო, მაგრამ მერე მოულოდნელად დაკერებული მონაკვეთი იწყება, ზევით-ზევით ადის და ვიწროვდება. მაგრამ არა გეგმაზომიერად, არამედ ბუნებრივად – გზისპირები პატარავდება და ორივე მხრიდან ტყე ერტყმის. ამ ზეასვლისას გზა საოცრად იკლაკნება, მერე კი უეცრად ასფალტის ტყავიდან გამოძვრება და მატლივით მიხოხავს გრუნტში. ბაჭია უკვე მიხვდა, რომ ეს ის გზა არაა, მაგრამ მანქანის გაჩერების და უკან მობრუნების ეშინია. უკანასკნელი განათებული სახლი შორსაა მოტოვებული. როდესაც ცდილობს, ხშირ ბალახს გვერდი აუაროს, ბუჩქები მანქანას გვერდებს უკაწრავს. ფარების შუქში მხოლოდ ხის ვარჯები და ქვედა ტოტები მოჩანს. მცოცავი ჩრდილები ტევრის გავლით აბლაბუდის შავი გულისკენ მიიწევს და ბაჭიას ეშინია, სინათლემ რომელიმე ცხოველი ან აჩრდილი არ დააფრთხოს. თან მანქანა მიჰყავს, თან ლოცულობს. ღმერთს ევედრება, რომ გზა ჩიხში არ შევიდეს, თუმცა ისიც ახსოვს, რომ ჯაჯის მთაზე ყველაზე მიყრუებული, ბალახით გადავლილი ტყის ბილიკიც კი საბოლოოდ ველზე გადის. მალე ყურები უგუბდება. ეს სიმაღლის ბრალია.

ლოცვის საპასუხოდ, ლამის დაბრმავდეს. შორეულ მოსახვევში ხეები ცეცხლის ენებივით იჭრება მაღლა. მოსახვევიდან გამოვარდნილი ავტომობილი ჩართული შორი განათების ფარებით პირდაპირ მისკენ მოქრის. ბაჭია საჭეს არხისკენ აიღებს და სიკვდილივით უსახო მანქანა ტყვიასავით ჩაუქროლებს გვერდით. ორი წუთის განმავლობაში ბაჭიას მტვერში უწევს სვლა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელიაო – ესე იგი, გზა სადღაც მიდის. მალე იგი რომელიღაც პარკში აღმოჩნდება. ფარების შუქში მწვანე სანაგვე ურნები მოჩანს წარწერით: «გეთაყვა!» – ხეები სულ უფრო იშვიათდება და მათ შორის საზაფხულო მაგიდების, პავილიონებისა და ტუალეტების რიგები ჩნდება. მანქანებიც დგანან. ზოგს გზის პირას დაუყენებია, მაგრამ მგზავრები არ ჩანან. ასე რომ, საშინელებათა გზა სიყვარულის ბილიკი აღმოჩნდა.

კიდევ ასიოდე იარდის გავლის შემდეგ იგი მართი კუთხით განიერ, სწორ გზატკეცილს ებჯინება, რომელსაც ზემოდან შავი ღრუბელივით ქედი დაჰყურებს. ერთი მანქანა სტვენით მიქრის ჩრდილოეთისკენ, მეორე კი – სამხრეთისკენ. მაჩვენებლები არსად ჩანს. ბაჭია სიჩქარეთა გადართვის ბერკეტს ნეიტრალურ მდგომარეობაში აყენებს, ხელის მუხრუჭს ამოსწევს, სალონში შუქს ანთებს და რუკას სწავლობს. ხელ-ფეხი უკანკალებს. ანთებული თვალების მიღმა დაღლილი ტვინი ფეთქავს. ალბათ, უკვე პირველის ნახევარია, თუ მეტი არა. გზატკეცილი ცარიელია. მას დაავიწყდა იმ გზების ნომრები და ქალაქების სახელწოდებები, რომლებიც გამოიარა. ბოლოს ფრედერიკი ახსენდება, მაგრამ ვერ პოულობს და ბოლოს ხვდება, რომ მას ვაშინგტონის დასავლეთით ეძებს, სადაც არასდროს ყოფილა. რუკაზე მრავალი წითელი და ლურჯი ხაზია, გრძელი დასახელებები, პატარა ქალაქები, კვადრატები, წრეები და ვარსკვლავები. ბაჭიას მზერა ზევით გადააქვს, მაგრამ ერთადერთი ხაზი, რომელსაც ცნობს, პენსილვანიასა და მერილენდს შორის გავლებული პუნქტირია. მეისონ-დიქსონის ხაზი. იგი სკოლის კლასს იხსენებს, სადაც ამის შესახებ ასწავლიდნენ: იატაკზე მიხრახნილი მერხები, დაჩხაპნილი ლაქი, მოთეთრო გრიფელის დაფა, გასასვლელებში ანბანის მიხედვით ჩამწკრივებული სიმპათიური გოგონები. ბაჭია სულელურად აჭყეტს თვალებს. ესმის, როგორ აუტანლად ნელა, ჩუმად და იშვიათად წიკწიკებს თავში საათი, თან ტალღების ხმაურს ახსენებს ნაპირზე, რომლისკენაც

მიისწრაფვის. დანისლული თვალებით კვლავ რუკას დასცქერის. მხედველობის არეში მაშინვე «ფრედერიკი» ხვდება, მაგრამ სანამ მის ადგილმდებარეობას დააფიქსირებს, კარგავს და გაშმაგებისგან ცხვირის ფუძე სტკივა. დასახელებები სადღაც ქრება და თვალწინ მთელი რუკა წარმოუდგება – წითელი და ლურჯი ხაზებისა და ვარსკვლავებისგან შემდგარი ქსელი. ქსელი, რომელშიც დაიკარგა. გამძვინვარებისგან სუნთქვაშეკრული რუკას ჩაბღუჯავს და დიდ სამკუთხედს მოახევს, დარჩენილს ორად გაყოფს, ცოტათი წყნარდება, სამივე ნაგლეჯს ერთმანეთს ადებს და ჯერ მას ხევს შუაზე, მერე – მიღებულ ექვსს და ასე შემდეგ, სანამ იმხელა ნაგლეჯი არ რჩება, რომლის დაჭმუჭნითაც პატარა ბურთს იღებს. ბაჭია ფანჯარას ძირს უშვებს და ბურთს გარეთ ისვრის, რომელიც სკდება და ქაღალდის ნაკუწები ფრინველის ბუმბულივით იფანტება მანქანის თავზე. იგი ფანჯარას კეტავს. ყველაფერი იმ სათვალიანი, ორპერანგიანი ფერმერის ბრალია. ნეტავ რას ჩააცივდა. ვერაფრით ამოიგდო თავიდან მისი თვითკმაყოფილება და სოლიდურობა. იქ ხომ წაჰკრა ფეხი, ახლა არც აქ ასვენებს, ფეხებში ებლანდება, როგორც ფეხსაცმლის გრძელი ზონარი ან შიგ ჩავარდნილი კენჭი. ის ტიპი დაცინვას ასხივებდა – პირი, ხელების დინჯი მოძრაობა თუ თმიანი ყურები ყოვლად გაუგებრად ამასხარავებდა ჰარის უტყვ და მოკრძალებულ იმედს, ფეხქვეშ საყრდენს აცლიდა. ჯერ გადაწყვიტე, სად გინდა წასვლა, და მერე წადი – ცხადია, ეს არ არის მთავარი, მაგრამ მასში მაინც არის რაღაც, რაც უნდა იყოს. ალღოს რომ მინდობოდა, უკვე სამხრეთ კაროლინაში იქნებოდა. ახლა სიგარეტს გააბოლებდა კაცი. ის დაეხმარებოდა იმის გარკვევაში, თუ რას კარნახობდა ალღო.

ამ დროს უკან, ხვევნა-კოცნის კორომში, მანქანის ძრავის გუგუნი ისმის, ფარები წრეს ხაზავს და ბაჭიას კეფაში ებჯინება. თურმე რუკის შესასწავლად შუა გზაზე გაჩერებულიყო. უნდა წავიდეს. მას უმიზეზო შიში ეუფლება, თითქოს ვიღაც მისდევს. უკანა ხედვის სარკეში კვლავ მოჩანს რომელიღაც მანქანის ფარები და ჭიქასავით პირამდე ავსებს. ბაჭია შეჭიდულობის სატერფულს ფეხს უშვებს, მანქანას პირველ სიჩქარეში აგდებს და ხელის მუხრუჭს ძირს სწევს. გზატკეცილზე გავარდნილი ინსტინქტურად მარჯვნივ, ჩრდილოეთისკენ უხვევს.

შინ დაბრუნება გაცილებით ადვილია. მიუხედავად იმისა, რომ არც რუკა აქვს და ბენზინიც თითქმის გაუთავდა, ჰეიგერსთაუნთან, თითქოს ჯადოსნური ჯოხის აქნევით, ჩნდება კომპანია «მობილის» სადღეღამისო ავტოგასამართი სადგური და მწვანე სინათლეები, რომლებიც პენსილვანიის ავტოსტრადისკენ მიმავალ გზას მიუთითებს. რადიო დამამშვიდებელ ლირიკულ სიმღერებს გადმოსცემს, ყოველგვარი რეკლამის გარეშე, და ჯერ ჰარისბერგიდან, შემდეგ კი ფილადელფიიდან გამოგზავნილ რადიოსხივს უშეცდომოდ მიჰყავს სწორი გზით. მან დასძლია დაღლილობის ბარიერი და მშვიდ, ბრტყელ სამყაროში შეაბიჯა, სადაც აღარაფერს აქვს მნიშვნელობა. ჩვეულებრივ, აქ საკალათბურთო მატჩის ბოლო მეოთხედში გადმოინაცვლებდა ხოლმე, როდესაც ქულებისთვის კი არ დარბიხარ, როგორც მაყურებელს ჰგონია, არამედ ისე, საკუთარი სიამოვნებისთვის. მოედანზე ხარ შენ, ზოგჯერ ბურთი და კიდევ ფარზე მიმაგრებული რგოლი, იდეალურად მაღალი რგოლი ბადისგან გაკეთებული კოხტა ქვედაწელით. იქ შენ ხარ, მხოლოდ შენ და ეს ფოჩიანი რგოლი, და ზოგჯერ გეჩვენება, რომ იგი შენთან პირდაპირ ციდან ჩამოეშვა, ზოგჯერ კი შორსაა, პატარაა და მიუწვდომელი. უცნაურია: შენ უკვე დიდი ხანია, ყველაფერს მიხვდი – თითებით, ხელებით, თვალებითაც კი (აზარტში შესული ბაჭია კარგად არჩევდა, თუ როგორ იხვეოდა ზონრად გვერგვს შემოწნული ძაფები), – მაყურებელი კი გაცილებით გვიან იწყებს ყვირილსა და ტაშისკვრას. მაგრამ დასაწყისში, მოთელვისას, როდესაც ხედავ, თუ როგორ ჰკრავენ ერთმანეთს მუჯლუგუნებს იაფფასიან ადგილებზე მოკალათებული ქალაქელი გულშემატკივრები, უფრო მკვირცხლი მასწავლებლები კი «მხარდამჭერთა ჯგუფის» გოგონებს ეხუმრებიან, გეჩვენება, თითქოს მთელი ეს ბრბო შენ შიგნით არის მოთავსებული – თირკმლებში, მუცელსა და ფილტვებში. ერთმა მსუქანმა ახალგაზრდამ იმდენი მოახერხა, რომ ბაჭიას მუცლის ფსკერზე მოთავსდა, რის გამოც ყველა ძარღვი უთრთოდა. «ჰეი, მსროლელო! ესროლე! შეუნთე ცეცხლი!» ახლა ბაჭია სიმპათიით იხსენებს მას – იმ კაცისთვის იგი ნამდვილი გმირი იყო.

მთელი დილის, ადრეული, ბნელი საათების განმავლობაში მუსიკა არ წყდება, საგზაო ნიშნები კი მას გზას მიასწავლის. ტვინი, ეს თითქოს სუსტი, მაგრამ ცქვიტი ინვალიდი,

ბალიშებში ეფლობა, გრძელ დერეფნებში კი შიკრიკები მიდი-მოდიან მთელი ამ მუსიკითა და ინფორმაციით გეოგრაფიის სფეროდან. იმავდროულად, მას რაღაც არანორმალური ზედაპირული მგრძნობელობა უჩნდება – თითქოს კანი აზროვნებს. საჭის თვალი წვრილ მათრახს დამსგავსებია. ოდნავ მობრუნებაზეც გრძნობს, როგორ მჭიდროდ ბრუნავს ლილვი, როგორ შედის ერთმანეთში დიფერენციალის კბილანას კბილები, ბურთულები კი საკისრების უხვად შეზეთილ ღარებში დაგორავს. გზისპირა ფოსფორული ციმციმები დიუპონების ახალგაზრდა ქალების შესახებ აღძრავენ ფიქრებს: ისინი უზარმაზარსარკეებიან საცეკვაო დარბაზებში ირევიან, ადვილი გამოსაცნობია, რომ მათი საღამოს კაბების კილიტებქვეშ შიშველი სხეულები იმალება. ნეტავ მდიდარი ქალიშვილები ფრიგიდულები თუ არიან? ის ამას ვერასდროს შეიტყობს.

საინტერესოა, რატომაა უკანა გზაზე ამდენი საგზაო ნიშანი? სამხრეთისკენ მიმავალს ისინი თვალში იშვიათად ხვდებოდა. ცხადია, მას წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიდიოდა. იგი ავტოსტრადიდან ბრუერისკენ მიმავალ გზაზე უხვევს, რომელიც იმ პატარა ქალაქში მიიყვანს, სადაც პირველად ჩაასხა ბენზინი. როგორც კი გზაზე, მაჩვენებლით «ბრუერი 16», აღმოჩნდება, მთავარი ქუჩის მეორე მხარეს იმ ნეხვის ჭიის ცერად დადგმულ ბენზინის სვეტებს და მბზინავი ნიჩბებით, ანკესებითა და სხვა ინვენტარით სავსე ფარდულის მუქ ფანჯარას ხედავს. ფანჯარა აშკარად კმაყოფილია. ჰაერს სულ ოდნავ არხევს ლილისფერი აისი. რადიომუსიკის გრძელი აისბერგი ორად იხლიჩება თბილი ამინდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების შეტყობინებებს შორის.

ბაჭია ბრუერში სამხრეთიდან შედის. განთიადის წინ ჩამოწოლილ ბურუსში ქალაქი ჯერ სახლების სახით წარმოუდგება, რომლებიც სიღრმისკენ ერთმანეთს სულ უფრო უახლოვდებიან გზის პირას გაშენებულ ხეებს შორის, შემდეგ კი – ინდუსტრიულ უდაბნოდ ყოველგვარი მცენარეულობის გარეშე: ფეხსაცმლის ფაბრიკები, ჩამოსასხმელი ფაბრიკები, ქარხნების ავტოსადგომები, ელექტრონული მიკროსქემების საწარმოო ქარხნებად გადაქცეული ტრიკოტაჟის ფაბრიკები და სპილოსებრი აირსაცავები. ისინი ნარჩენებით სავსე ჭაობების ზემოთ დგანან, მაგრამ იმ მთის ცისფერი თხემის ქვემოთ, რომლის მწვერვალიდანაც ბრუერი აგურისფერი ძაფით

მოქსოვილ თბილ ხალიჩას წააგავს. მთის თავზე ვარსკვლავები თავბრუდამხვევი სისწრაფით ქრებიან.

იგი გადადის მდინარე გაჭენებულ ცხენზე გადებულ ხიდზე და მანქანა ახლა ნაცნობ ქუჩებში მიჰყავს. უორენ-ავენიუთი ქალაქის სამხრეთ ნაწილს გადაკვეთს და ქალაქის პარკის სიახლოვეს 422-ე გზაზე გადის. რამდენიმე მისაბმელიან სატვირთო მანქანასთან ერთად მთას გარს უვლის. მათ ბორბლებქვეშ განთიადის ნარინჯისფერი, შორეულ ბორცვს მიბჯენილი ზოლი ბრიალებს. ცენტრალური ქუჩიდან ჯექსონ-როუდზე მარცხნივ მოხვევისას კინაღამ შუა გზაზე გაჩხერილ რძემზიდს ეხახუნება. სვლას ჯექსონ-როუდით განაგრძობს, გასცდება მშობლების სახლს და კიჯირაიზზე უხვევს. ცივი ალიონი შენობებს მოულოდნელად მკრთალ ვარდისფრად ღებავს. ბაჭია ჩაუვლის მიტოვებულ საქათმეს, მდუმარე საძარე სახელოსნოს და მანქანას სპორტული ასოციაცია «მზის შუქის» მოპირდაპირე მხარეს აყენებს, რამდენიმე ნაბიჯში ზღურბლთან არსებული ფიცრული მიშენებიდან, სადაც მას ყოველი გამომსვლელი აუცილებლად შეამჩნევს. ბაჭია იმედით შესცქერის ჩაბნელებულ ფანჯარას მესამე სართულზე. თუ ტოთერო იქაა, ესე იგი, ჯერ არ გაუღვიძია.

ბაჭია გადაწყვეტს, ცოტა წათვლიმოს. პიჯაკს იხდის და მკერდზე საბანივით იფარებს. მაგრამ უკვე ნათდება, წინა დასაჯდომი მოკლეა და მხრები საჭის თვალს ებჯინება. უკანა დასაჯდომზე რომ გადაბარგდეს, ადვილად შეამჩნევენ, მან კი, აუცილებლობის შემთხვევაში, აქაურობა წამში უნდა დატოვოს. ამასთან არც ღრმად უნდა ჩაეძინოს, თორემ ტოთეროს ვერ შეამჩნევს.

ამგვარად, უხერხულად, მოკუნტული წევს და საჭის ზემოდან, წინა საქარე მინიდან, გაწითლებული თვალებით გასცქერის დილის ცის ქორფა, დამამშვიდებელ სილაჟვარდეს. შაბათის ცა მოწმენდილია და გამჭვირვალე. ბავშვობიდანვე, ყოველ ამ დღეს, მოსალოდნელი მატჩის წინ, ცა მისთვის სუფთა ტაბლოს წარმოადგენდა, რომელზეც ანგარიში ჯერ არ დაწერილიყო. რუფბოლი, ჰოკეი, ტეთერბოლი, დარტსი...

მოსახვევში მანქანა გაივლის. ბაჭია თვალებს ხუჭავს. ყურებში წუხანდელი, ავტომობილების დაუსრულებელი ხმაური ჩაესმის. კვლავაც ხედავს ტყეებს, ვიწრო გზას. ჩაბნელებული კორომი მანქანებით გადაჭედილა, თითოეულში თითო

მდუმარე წყვილი ზის. იგი ისევ თავის მიზანზე ფიქრობს – როგორ წამოწვება დილაადრიან მექსიკის ყურის სანაპიროზე, და ეჩვენება, რომ მანქანის ოდნავ ხორკლიანი ზედაპირი სწორედ ის ქვიშაა, თანდათანობით გამოღვიძებული ქალაქის შრიალი კი – ზღვის ჩურჩული.

მთავარია, ტოთერო არ გამორჩეს. იგი თვალს ახელს და ვიწრო აკლდამიდან თავის დაღწევას ცდილობს.

ბაჭია შეშფოთებული ფიქრობს მანქანის ფანჯრებზე. იდაყვზე წამოწეული ყოველ მათგანს ამოწმებს. ის, რომელიც მის თავთანაა, ოდნავ ღიაა. მას საგულდაგულოდ ხურავს და ჩამკეტ ღილაკებს თითს აჭერს. უსაფრთხოების განცდა უიმედოდ ადუნებს. მოკუნტული სახეს დასაჯდომსა და საზურგეს შორის არსებულ ნაკეცს მიაჭერს, მუხლებით მაგარ ბალიშს ებჯინება და გულდაწყვეტილს საბოლოოდ ეღვიძება. საინტერესოა, სად ეძინა მის შვილს, რას აკეთებდა ჯენისი, სად ეძებდნენ მას მშობლები, პოლიციას თუ შეატყობინეს? პოლიციის გაფიქრებაზე ცუდად ხდება. გამქრქალებული ღამე, რომელიც უკან მოიტოვა აქ, ამ ქალაქში, მას სატელეფონო საუბრებით, ნაჩქარევი გამგზავრებებით, ცრემლების ნიაღვრებითა და სიტყვების მწკრივებით მოქსოვილ ბადედ ეჩვენება. ღამეში გაყრილი მოუსვენარი თეთრი ძაფები გახუნდნენ, თუმცა ჯერაც აქ არიან, და ამ უხილავი, მიხვეულ-მოხვეული ქუჩების თავზე დაკიდებული ბადის ცენტრში, იგი უშფოთველად წევს საკუთარ, მჭიდროდ დახურულ გალიაში.

ბამბა და თოლიები ბინდბუნდში, რა მშვენივრად გამოსდიოდა ყველაფერი სხვის საწოლში, საკუთარში კი – არასოდეს. მაგრამ კარგიც ახსოვს: ჯენისს ძალზე რცხვენოდა თავისი შიშველი სხეულის ჩვენება ქორწინების შემდგომ რამდენიმე კვირის განმავლობაში. ერთ საღამოს, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, ბაჭია სააბაზანოში შევიდა და დაინახა, რომ სარკე დაორთქლილიყო, ჯენისი კი, რომელსაც დაბანა დაემთავრებინა, კმაყოფილი, ხელში პატარა ცისფერი პირსახოცით, ზანტად იდგა ყოველგვარი სიმორცხვის გარეშე, მობრუნდა და მისი გაშტერებული სახის გამომეტყველებაზე გაეცინა, შემდეგ კი მისკენ საკოცნელად გამოიწია ორთქლისგან ავარდისფრებული ტანითა და სრიალა რბილი კეფით. ბაჭია მოხერხებულად ჯდება და მეხსიერებით ბნელ ნიშაში შედის. ქალს სრიალა კეფა და დამყოლი ზურგი აქვს. ამ დროს იგი ფეხს

კარის სახელურს არტყამს და ტკივილი შორიახლოს მდებარე საძარე სახელოსნოში ლითონზე ლითონის დარტყმის ხმას ერწყმის. მუშაობა დაუწყიათ. რვა საათია? იმის მიხედვით, რომ ტუჩები გამშრალი აქვს, საკმაო დრო უნდა გასულიყო. ბაჭია იზმორება და წელში იმართება. მკერდზე დაფარებული პიჯაკი ძირს უცურდება და დაორთქლილი ფანჯრიდან ტოთეროს ხედავს, რომელიც ქუჩას მიუყვება. საცაა ძველ ფერმერულ სახლს მოეფარება. ბაჭია მანქანიდან გადადის, პიჯაკს იცვამს და უკან მისდევს.

– მისტერ ტოთერო! ეი, მისტერ ტოთერო! – მრავალსაათიანი დუმილის შემდეგ გაბზარული და ხრინწიანი ხმა აქვს.

კაცი მისკენ ტრიალდება. ბაჭია ასეთი უცნაური სახის დანახვას არ ელოდა. შორიდან იგი დიდ დაღლილ ქონდრისკაცს ჰგავს: მოზრდილი სიქაჩლეშერეული თავი, სქელი სპორტული ქურთუკი, მსხვილი ნამორალი ფეხები ლურჯ, ძალიან გრძელ შარვალში. ნაკეცები ფეხსაცმელებს უფარავს. ბაჭია სვლას ანელებს და შეშფოთებული ფიქრობს, ტყუილად ხომ არ მოვედიო.

მაგრამ ტოთერო ზუსტად საჭირო სიტყვებს წარმოთქვამს.

– ჰარი, – ამბობს იგი, – საოცარი ჰარი ენგსტრომი.

ტოთერო მას მარჯვენა ხელს უწვდის, მარცხენას კი მაგრად ავლებს წინამხარში. ბაჭია იხსენებს, რომ მას ყოველთვის ასეთი მტკიცე ხელი ჰქონდა. ტოთერო დგას, ბაჭია ჩაუბღუჯავს და პირქუშად იღიმება. ცხვირი გაღუნული აქვს, ცალი თვალი ფართოდ გაუღია, მეორეზე მძიმე ქუთუთო ჩამოსწევია. წლებთან ერთად მისი სახე მეტ ასიმეტრიულობას იძენს. თანაც არათანაბრად მელოტდება – დატკეპნილი ჭაღარა და ღია ყავისფერი თმა ზოლებად უფარავს თხემს.

– თქვენი რჩევა მჭირდება, – ამბობს ბაჭია, – რაღა დაგიმალოთ და ადგილი მჭირდება, სადაც გამოძინებას შევძლებ.

ტოთერო დუმს. მისი ძალა სწორედ ამგვარ უსიტყვო პაუზებშია. ეს მისი პედაგოგიური ხერხია – პასუხის გაცემამდე კარგა ხანს დუმდეს, სანამ სიტყვები მეტ წონას არ შეიძენს.

– სახლში რა მოხდა? – ეკითხება ის ბოლოს.

– ჩათვალეთ, რომ სახლში აღარ ვარ.

– რას გულისხმობ?

– იქ საძაგელი სიტუაცია იყო და გამოვიქეცი. მართლა.

მორიგი პაუზა. ბაჭია თვალებს ჭუტავს – ასფალტიდან არეკლილი მზე უჭყიტინებს. მარცხენა ყურიც სტკივა. საცაა მარცხნივ განლაგებული კბილებიც შეახსენებს თავს.

– არცთუ ისე გონივრული საქციელია, – ამბობს ტოთერო.

– ყველაფერი საშინლად იყო არეულ-დარეული.

– მაინც?

– არ ვიცი. ლოთი ცოლი მყავს.

– დახმარება თუ გიცდია?

– ცხადია. მაგრამ როგორ?

– მასთან ერთად არ დაგილევია?

– არა, სერ, არასდროს. ამ სისაძაგლეს ვერ ვინელებ, სუნსაც კი ვერ ვიტან, – მზადყოფნით პასუხობს ბაჭია. ამაყობს, რომ საკუთარ სხეულზე ზრუნავდა და ახლა შესაძლებლობა ეძლევა, ამის შესახებ თავის ყოფილ მწვრთნელს მოახსენოს.

– შესაძლოა, ესეც უნდა გეცადა, – ამბობს ტოთერო ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, – შენ რომ მისთვის თანამეინახეობა გაგეწია, თავს უფრო მოერეოდა.

მზის შუქით დაბრმავებული და დაღლილობისგან გაშეშებული ბაჭია ნათქვამის აზრს ვერ ხვდება.

– თუ არ ვცდები, შენი მეუღლე ჯენის სპრინგერია, არა? – ეკითხება ტოთერო.

– დიახ. ღმერთო ჩემო, რა სულელია. ნამდვილი სულელი.

– ძალიან სასტიკ სიტყვებს ხმარობ, ჰარი. ასე ლაპარაკი არ შეიძლება. არც ერთ ცოცხალ არსებაზე.

ბაჭია თავს უქნევს – ტოთერო ამაში, როგორც ჩანს, მტკიცედაა დარწმუნებული. იგი სუსტდება მისი პაუზებისგან, რომლებიც თანდათან ხანგრძლივდება, თითქოს ტოთეროც გრძნობს მათ წონას. ბაჭიას შიში იპყრობს – ჭკუაზე ხომ არ შეიშალა მისი ძველი მწვრთნელი? იგი თავიდან იწყებს:

– ვიფიქრე, იქნებ «მზის შუქში» ორიოდე საათი წამეძინა-მეთქი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შინ მომიწევს წასვლა. მე კი ყველაფერი ყელში ამომივიდა.

მისდა გასახარად, ტოთერო აფუსფუსდება, ხელკავს გამოსდებს, მასთან ერთად ქუჩას უკან მიუყვება და ეუბნება:

– დიახ, ჰარი, დიახ. რა თქმა უნდა. საშინლად გამოიყურები, ჰარი, საშინლად.

მას რკინის ხელით ჩაუბღუჯავს ბაჭია და წინ უბიძგებს. ბაჭიას ძვლები ერთმანეთზე ეხახუნება. ტოთეროს ამ სასიკვდილო ტაცში რაღაც გიჟურიც იგრძნობა. მისი ხმა ახლა მკაფიოდ, აჩქარებულად, მხიარულად ისმის და ბასრ დანასავით ერჭობა ბაჭიას ბამბასავით რბილ სხეულში.

– შენ მე ორი რამ მთხოვე, – ამბობს ტოთერო, – ორი რამე. გამოსაძინებელი ადგილი და რჩევა. ჰოდა, ჰარი, მე მოგცემ ადგილს, სადაც გამოიძინებ, ოღონდ ერთი პირობით. იმ პირობით, ჰარი, რომ, როცა გაიღვიძებ, ჩვენ სერიოზული, ხანგრძლივი და სერიოზული საუბარი გვექნება შენს ოჯახურ ცხოვრებაში არსებული კრიზისის შესახებ. ახლავე გეტყვი, ჰარი, მე შენზე იმდენად არ ვწუხვარ, რადგან ძალზე კარგად გიცნობ და ვიცი, რომ არ დაიკარგები. ჰარი, მთავარი შენ კი არა ხარ, ჯენისია. მას არ გააჩნია მოძრაობის შენნაირი კოორდინაცია. მპირდები?

– დიახ, მაგრამ რას?

– დამპირდი, ჰარი, რომ მე და შენ ვიმსჯელებთ, როგორ დავეხმაროთ ჯენისს.

– კარგი, ოღონდ ამას, ალბათ, ვერ შევძლებ. იმის თქმა მინდა, რომ ის მე ძალიანაც არ მჭირდება. ადრე მჭირდებოდა, ახლა კი – აღარ.

ისინი ცემენტის საფეხურებსა და ფიცრებით შემოჭედილ შესასვლელს უახლოვდებიან. ტოთერო კარს გასაღებით აღებს. შენობაში არავინაა, დადუმებული ბარი ნახევრად ჩაბნელებულია, დაცარიელებული პატარა მრგვალი მაგიდები სუსტი და მორყეული ჩანს. დახლს უკან, კედელზე მოთავსებული ელექტროორეკლამა გამორთულია და მკვდარი – დამტვერილი მილები და ზიზილ-პიპილები. ტოთერო

ხაზგასმით ხმამაღლა ამბობს:

– არ მჯერა. ვერ ვიჯერებ, რომ ჩემი საუკეთესო მოწაფე ასეთ ურჩხულად იქცა.

ურჩხული – სანამ ისინი მეორე სართულზე ადიან, ეს სიტყვა ბრაიბრუხით მიჰყვება მათ კიბის საფეხურებზე.

– ცოტას წავუძინებ, მერე კი ვეცდები, კარგად დავფიქრდე, – ბოდიშის ტონით ამბობს ბაჭია.

– ყოჩაღ. ეს სწორედ ის არის, რაც ჩვენ გვჭირდება.

საინტერესოა, ვის – ჩვენ? ყველა მაგიდა ცარიელია. დაბალი, ჭუჭყით გაშავებული ბატარეის ზემოთ მოთავსებულ ყავისფერ შტორებზე მზე ოქროსფერ კვადრატებს ხატავს. მამაკაცების ფეხებმა იატაკის ვიწრო, შიშველ ფიცრებზე ბილიკები გაიყვანეს.

ტოთეროს ბაჭია კარისკენ მიჰყავს, რომლის იქითაც მას ფეხი არასოდეს შეუდგამს. ხვეული კიბით, რომელიც კედელზე მიმაგრებულ პწკალას ჰგავს, ისინი სხვენზე ადიან. საფეხურებს შორის ელსადენები და დახეული შპალერი მოჩანს. ზემოთ საკმაო სინათლეა.

– აი, ჩემი სავანე, – ამბობს ტოთერო და თავისი ქურთუკის ჯიბეებთან რაღაცას ცოდვილობს.

ნამცეცა ოთახი აღმოსავლეთს გასცქერის. შტორის ღრეჩო მზის შუქის გრძელ დანას გვერდითი კედლისკენ ისვრის, გადასაფარებლის გარეშე მდგარი ჯარისკაცური საწოლის თავზე. მეორე შტორი აწეულია. ფანჯრებს შორის კამოდი დგას, რომელიც ოსტატურადაა გაკეთებული მავთულით გადაბმული ლუდის ექვსი ყუთისგან – სამი სიმაღლეში და ორი სიგანეში. ყუთებში აწყვია სამრეცხაოდან მოტანილი, ცელოფანის ტომრებში ჩაწყობილი პერანგები, აკურატულად დაკეცილი მაისურები და ტრუსები, წყვილ-წყვილად დაგორგლილი წინდები, ცხვირსახოცები, გაპრიალებული ფეხსაცმელები და ჯაგრისში ჩადებული სავარცხელი. მკვეთრი, მხიარული ფერის მოკლე სპორტული ქურთუკები მხრებით ჩამოცმულია საკიდრებზე, რომლებიც ორ მსხვილ ლურსმანზე ჰკიდია. ტოთეროს საოჯახო საზრუნავი ტანსაცმელს იქით არ ვრცელდება. იატაკი მტვრის გორგლებითაა სავსე. ყველგან

გაზეთებისა და ათასგვარი ჟურნალის შეკვრები დევს, «ნეშნლ ჯიოგრაფიკით» დაწყებული და კომიქსებითა და სისხლის სამართლის დამნაშავეების ბიოგრაფიებით დამთავრებული. ტოთეროს საცხოვრებელი შეუმჩნევლად სხვენის დანარჩენ ნაწილში გადადის – საწყობში, სადაც ინახება სხვადასხვა თამაშის სატურნირო ცხრილები, ბილიარდის მაგიდები, რაღაც დაფები, ლითონის ავზაკები და დამტვრეული სკამები დაწნული დასაჯდომებით, წვრილმავთულიანი ბადის რულონი. ორ დახრილ ღერძზე დამაგრებულ მილზე ჰკიდია სოფტბოლის სათამაშო კოსტიუმები, რომლებიც სათავსის შორეული კუთხის ფანჯრიდან შემოსულ შუქს გზას უღობავს.

– ტუალეტი სად არის? – კითხულობს ბაჭია.

– ქვემოთ, ჰარი, – ტოთეროს გამოცოცხლებამ გაუარა და ახლა ცოტათი შეცბუნებული ჩანს.

ტუალეტში ბაჭიას ესმის, როგორ დაფუსფუსებს ზემოთ მოხუცი, მაგრამ უკან დაბრუნებული ვერავითარ ცვლილებას ვერ აღმოაჩენს. ლოგინიც იმავე მდგომარეობაშია. ტოთერო ელოდება. ბაჭია მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ხვდება, რომ ტოთეროს სურს დაინახოს, თუ როგორ იხდის იგი ტანსაცმელს. ამიტომ აღარ აყოვნებს და ტრუსსა და მაისურში დარჩენილი, გათელილ, თბილ ლოგინში წვება. ძალიანაც არ სიამოვნებს მოხუცის ბუნაგში შეძრომა, მაგრამ მაინც უხარია, რომ შეუძლია გაიჭიმოს, გვერდით მაგარი, გრილი კედელი შეიგრძნოს და გაიგონოს, თუ როგორ დაქრიან ქვემოთ ავტომობილები, რომლებიც, შესაძლოა, სწორედ მასზე ნადირობენ. იგი თავს მოაბრუნებს, რათა ტოთეროს ორიოდე სიტყვა უთხრას, მაგრამ გაოცებული აღმოაჩენს, რომ მარტო დარჩენილა. სხვენის კარი მიხურულია, კიბის პირველ და მეორე მარშზე ფეხის ხმა თანდათან წყდება, შემოსასვლელ კარში გასაღები ფხაჭუნებს, ფანჯრის მიღმა რომელიღაც ჩიტი გულის სწორს ეძახის, ქვემოდან, საძარე სახელოსნოდან, ყრუ ღრჭიალი ისმის. მოხუცის მზერის გახსენებაზე ბაჭიას აჟრჟოლებს. მაგრამ იგი დარწმუნებულია, რომ მის მწვრთნელს ეს არ აინტერესებს. ტოთერო ყოველთვის ქალების მუსუსი იყო და არა «პედიკი». მაშ, რატომღა უყურებდა? უეცრად ბაჭიას გონება უნათდება. ტოთეროს ეს წარსულში აბრუნებდა. იგი ხომ ყოველთვის იდგა გასახდელში და უყურებდა, როგორ იცვლიდნენ მისი ბიჭები ტანსაცმელს. ამ ამოცანის ამოხსნის

შემდეგ ბაჭია თავს მოდუნების უფლებას აძლევს. მას აგონდება ქალ-ვაჟი, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი გარბოდნენ გზისპირა კაფეს ავტოსადგომისკენ დასავლეთ ვირჯინიაში, და ნანობს, რომ თვითონ არ შეაბა ის ქალიშვილი. თმა ზღვის წყალმცენარეებს მიუგავდა. წითური? იქ? მისი წარმოდგენით, დასავლეთვირჯინიელი გოგონები, ახალგაზრდა ტეხასელი ბოზების მსგავსად, გაუთლელები და თავხედურად მოკისკისენი არიან. ისინი ისე ტკბილად წელავდნენ სიტყვებს, თითქოს სულ დასცინოდნენ, მაგრამ მაშინ ხომ მხოლოდ ცხრამეტი წლის იყო. ქუჩაში ჰენლისთან, ჯეზილოსა და შემბერგერთან ერთად მიაბიჯებდა. ჯარისკაცის ვიწრო ფორმა ნერვებს უშლიდა, დაბლობები ყველა მიმართულებით ჰორიზონტს სცდებოდა, თვითონ ჰორიზონტი კი მის მუხლებზე მაღლა არ ადიოდა. სახლების ფანჯრებში კარგად ჩანდა, როგორ ისხდნენ ოჯახები დივანზე ქანდარაზე მოკალათებული ქათმებივით და ტელევიზორს მისჩერებოდნენ. მანიაკი ჯეზილო ხმამაღლა ხარხარებდა. ბაჭიას ვერაფრით დაეჯერებინა, რომ მისამართი შეეშალათ. ფანჯარაში ყვავილები მოჩანდა, ნამდვილი, ცოცხალი ყვავილები უწყინრად იდგა ფანჯარაზე. ერთი სული ჰქონდა, ზურგი ექცია ყველაფრისთვის და გაქცეულიყო. ქალს, რომელმაც კარი გააღო, თავისუფლად შეეძლო ტელევიზორში კექსის გამოსაცხობი მშრალი ნარევისთვის გაეწია რეკლამა. მაგრამ ამის ნაცვლად მან თქვა: «შემოდით, ბიჭებო, ნუ გეშინია-ა-თ, შემოდით და ისე იგრძენით თავი, როგორც საკუთარ სა-ა-ხლში», – თან ეს ისეთი დედობრივი ტონით თქვა! იქ მართლაც იყვნენ ისინი, თუმცა არც ისე ბევრნი, როგორც მას წარმოედგინა. სასტუმრო ოთახში გირჩებიან და ხვეულებიან ძველმოდურ სკამებზე ისხდნენ. მათმა გარეგნობამ ბაჭიას გამბედაობა შემატა – ფაბრიკის მუშებივით საკმაოდ შეუხედავები იყვნენ, მათ ქალიშვილებსაც კი ვერ უწოდებდა კაცი. სახე ფლუორესცენციული სხივებით განათებულებივით უბზინავდათ. ჯარისკაცებს ოხუნჯობით ართობდნენ – ნეტავ საიდან იგონებდნენ ამდენს. ბიჭებმა სიცილი დაიწყეს, თან დაბნეულნი ერთ ჯგუფად იდგნენ. ის, რომელიც მან აირჩია – უფრო სწორად, ქალმა აირჩია იგი, – მასთან მივიდა და ხელზე შეეხო. ბლუზა მხოლოდ ქვედა ორ ღილზე შეეკრა. ზემოთ ასვლის შემდეგ ტკბილი, გაბზარული ხმით ჰკითხა, როგორ ერჩივნა – აენთო შუქი თუ ჩაექრო. როდესაც ბაჭიამ მოგუდულად მიუგო, გამორთეო, გაეცინა,

მერე კი სულ იღიმებოდა და გულკეთილად იმეორებდა: «ყოჩაღ, ბიჭუნი. რა ყოჩაღი ყოფილხარ. ჰო-ო. ბევრი რამ გცოდნია».

როდესაც ყველაფერი დამთავრდა, ქალის პირის კუთხეებში დაღლილი ნაკეცების მიხედვით, და კიდევ იმით, რომ მან მის გვერდით უბრალოდ წამოწოლაზეც კი უარი განაცხადა, ჯიუტად წამოდგა, რკინის საწოლის კიდეზე ჩამოჯდა და ჩაბნელებული ფანჯრიდან ღამის მწვანე ცას შეაცქერდა, ბაჭია მიხვდა, რომ ქალი მხოლოდ თავის როლს ასრულებდა. იგი ისე გააბრაზა მისმა მდუმარე ზურგმა ბიუსტჰალტერის მოყვითალო-მოთეთრო ზოლით, რომ მხარში ხელი წაავლო და თავისკენ უხეშად შემოატრიალა. ბინდბუნდში ქალის ძუძუების მძიმე ჩრდილები ისეთი დაუცველი მოეჩვენა, რომ ვეღარ გაუძლო და ზურგი შეაქცია. «საყვარელო, შენ ხომ მხოლოდ ერთის გადაიხადე», – ჩასჩურჩულა ყურში მან. დიდებული ქალი იყო. ქალი და ფული – სწორედ მის შესახებ იყო ნათქვამი. ქვემოდან, საძარე სახელოსნოდან, ყრუდ ისმის ღრჭიალის ხმა. ეს ხმაური ამშვიდებს, ეუბნება, რომ უსაფრთხოდაა, და სანამ აქ იმალება, ადამიანები ყველაფერს საიმედოდ ამაგრებენ, რაც კი შესაძლებელია, მისი გული ამ უსხეულო ხმებს სიბნელიდან მოკითხვას უგზავნის.

* * *

ბაჭია უაზრო და შფოთიან სიზმრებს ხედავს. ფეხები ეკრუნჩხება. ტუჩები უმოძრავებს. როდესაც თვალის კაკლებს ატრიალებს და მხედველობის არის შიგა კედლებს ათვალიერებს, ქუთუთოები უთრთის. სხვა მხრივ, გვამივით მოუწყვლელია. მზის შუქის დანა კედელზე ნელ-ნელა ქვემოთ გადაადგილდება, მკერდს უჭრის, იატაკზე მონეტასავით ეცემა და ქრება. ჩრდილში გახვეულს მოულოდნელად ეღვიძება, მისი აჩრდილისებრ ცისფერი ირისი უცნობ სიბრტყეებში დაფათურობს მამაკაცური ხმების წყაროს საპოვნელად. ხმები კი ქვემოდან ისმის. ბრახაბრუხის მიხედვით, ვიღაცები ავეჯს აადგილებენ და მის ძებნაში წრეებს არტყამენ. მაგრამ მხოლოდ ტოთეროს ნაცნობი მჟღერი ბანი გაისმის. ხმაური ქვემოთ ამ ცენტრის ირგვლივ კრისტალდება და იმ ხმებს ემსგავსება, თან რომ ახლავს ბანქოს თამაშს, სმას, უხეშ ხუმრობებსა და

მეგობრულ საუბრებს. ბაჭია თავის ცხელ ბუნაგში წრიალებს, სახეს გრილი მეგობრისკენ – კედლისკენ მიაბრუნებს და კვლავ იძინებს.

– ჰარი! ჰარი! – ხმა აჯანჯღარებს, თმას უჩეჩს. ბაჭია კედელს ზურგს აქცევს და თვალებით გაუჩინარებულ მზის შუქს ეძებს. ჩრდილში ტოთერო ზის მოუსვენარი, მუქი ლოდივით. იგი ღიმილისგან დაბრეცილ, გაუმჭვირვალე, რძისფერ სახეს წინ ხრის. ვისკის სუნი ასდის.

– ჰარი, შენთვის ქალი ვიპოვე!

– მაგარია. რაღას ელოდებით, შემოიყვანეთ.

მოხუცი იცინის. უხერხულად. რა ჩაუფიქრებია?

– ეს ჯენისია?

– უკვე შვიდი დაიწყო. ადექი, ჰარი, ადექი. პატარა ბავშვივით გეძინა. მივდივართ.

– რატომ? – ეკითხება ბაჭია, თუმცა ის უფრო აინტერესებს, თუ სად მიდიან.

– სადილობის დროა, ჰარი, სა-დი-ლო-ბის. ადექი, ჩემო ბიჭუნი. ნუთუ არ გშია? შიმშილი. შიმშილი, – ნამდვილად გაგიჟდა, – ოჰ, ჰარი, შენ ვერ მიხვდები, რა არის ბებრული შიმშილი. ადამიანი ჭამს და ჭამს, მაგრამ სულ ეჩვენება, რომ სწორად არ იკვებება. ხომ გითხარი, ამას ვერ გაიგებ-მეთქი, – იგი ფანჯარასთან მიდის და ქუჩაში იყურება, ქვემოთ. მქრქალ შუქში უშნო პროფილი ტყვიისას მიუგავს.

ბაჭია საბანს გადაიხდის, შიშველ ფეხებს იატაკზე გადმოყრის და ცდილობს ჯდომის პოზიცია შეინარჩუნოს. საკუთარი პარალელური, სუფთა და გლუვი თეძოების დანახვა მოდუნებულ ტვინს ახალისებს. ფეხებზე წამოზრდილი თმა, ოდესღაც წვრილი, წითური ბეწვი, გამუქებია და ხეშეშ ბაკენბარდებს დამსგავსებია. ნესტოებში საკუთარი ნამძინარევი სხეულის სუნი უღიტინებს.

– ვინ არის ის გოგო? – ეკითხება მწვრთნელს.

– ვინ არის ის გოგო. დიახ, ვინ არის? ბოზია! – წამოისვრის ტოთერო. ფანჯრიდან შემოსულ ნაცრისფერ შუქში სახე ეწელება, ალბათ, თვითონაც უკვირს, ასეთი სისაძაგლე რომ

წამოსცდა. იმავდროულად, აკვირდება, თითქოს ცდას ატარებსო. როდესაც შედეგს დაინახავს, საკუთარ ნათქვამში შესწორება შეაქვს, – არა. უბრალოდ, ბრუერში ერთი ნაცნობი ქალი მყავს, ასე ვთქვათ, გულის ვარდი. წელიწადში ერთხელ რესტორანში სადილზე ვპატიჟებ ხოლმე. მეტი არაფერი. თითქმის არაფერი. შენ ნამდვილი უმანკო ბალღი ხარ, ჰარი.

ტოთერო ისე არეულად ლაპარაკობს, რომ ბაჭიას ცოტა ეშინია კიდეც. იგი საწოლიდან დგება.

– ჩემი წასვლის დროა, – შიშველ ტერფებზე იატაკის მტვერი ეკვრის.

– ეჰ, ჰარი, ჰარი! – იძახის ტოთერო სიმწარეშერეული სინაზით, მასთან მიდის და ხელს გადახვევს, – მე და შენ ერთმანეთს ვგავართ, – დიდი მოქცეული სახე ნდობით შესცქერის ბაჭიას, რომელიც ვერ მიმხვდარა, რაზეა საუბარი. მაგრამ მოგონებები ამ კაცზე, მის ყოფილ მწვრთნელზე, აიძულებს, რომ სიტყვა არ გააწყვეტინოს, – ჩვენ ვიცით, რა და როგორ. ჩვენ ვიცით... – მიაღწევს თუ არა თავისი ტირადის დედააზრს, ტოთერო გამოლენჩებულივით ჩერდება.

– ვიცით, ვიცით, – ამტკიცებს იგი და ხელს უშვებს.

– მეგონა, როცა გავიღვიძებდი, ჯენისზე ვისაუბრებდით, – ამბობს ბაჭია. იგი იატაკიდან შარვალს იღებს და იცვამს. მისი დაჭმუჭნილი შესახედაობა აშფოთებს, ახსენებს, როგორი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ამის გაფიქრებაზე მუცელსა და ყელში ნერვიული სპაზმები ეწყება.

– ვისაუბრებთ, ვისაუბრებთ, – ეთანხმება ტოთერო, – როგორც კი ჩვენს საზოგადოებრივ ვალდებულებებს შევასრულებთ, – პაუზა, – დაბრუნება გსურს? მითხარი, თუ გინდა.

ბაჭიას აგონდება იდიოტური ხვრელი ჯენისის პირში, ისიც, თუ როგორ ეხეთქება განჯინის კარი ტელევიზორს.

– ღმერთმა დამიფაროს.

ტოთერო აღფრთოვანებულია, ბედნიერებისგან ენას არ აჩერებს.

– შესანიშნავია, შესანიშნავი, ჩავიცვათ. ბრუერში ჩაუცმელები ვერ წავალთ. სუფთა პერანგი გინდა?

– თქვენი არ მომერგება.

– რატომ, ჰარი? რა ზომას იცვამ?

– ორმოცდაორს.

– მეც! ზუსტად! შენს სიმაღლესთან შედარებით, მოკლე ხელები გაქვს. შესანიშნავია, ჰარი. სიტყვებით ვერც კი აგიხსნი, რას ნიშნავს ჩემთვის ის, რომ, როცა დახმარება დაგჭირდა, ჩემთან მოხვედი. მთელი ამ წლების განმავლობაში, – ამბობს იგი, თვითნაკეთი კამოდიდან პერანგს იღებს და ცელოფანის სახვევს აძრობს, – მთელი ამ წლების განმავლობაში ისე ხდება, რომ ისინი ჩემს ხელებში გაივლიან და უკვალოდ ქრებიან. და არასოდეს უკან აღარ ბრუნდებიან, ჰარი, აღარასოდეს ბრუნდებიან.

ჰარი გაოცებულია, გრძნობს და დაბინდულ სარკეშიც ხედავს, რომ ტოთეროს პერანგი თითქოს საგანგებოდ მისთვისაა შერჩეული. როგორც ჩანს, ისინი ერთმანეთისგან, ძირითადად, მხოლოდ ფეხების სიგრძით განსხვავდებიან.

ტოთერო კვლავ გაუთავებლად ლაქლაქებს სიამაყით აღვსილ დედასავით და მის ჩაცმას შეჰყურებს. ახლა, როცა ბაჭია მიხვდა, რის გაკეთებას აპირებენ, მას დაბნეულობა აღარ ეტყობა, სიტყვებმაც მეტი აზრი შეიძინა.

– გულს უხარია, – ამბობს იგი, – ახალგაზრდობა სარკის წინაა. გამოტყდი, ჰარი, როდის გაერთე უკანასკნელად? ალბათ, კარგა ხანი გავიდა, არა?

– წუხელ, – პასუხობს ბაჭია, – დასავლეთ ვირჯინიაში გავემგზავრე და უკანაც დავბრუნდი.

– მოგეწონება ჩემი ქალბატონი, აუცილებლად მოგეწონება, ნამდვილი ქალაქის ყვავილია, – განაგრძობს ტოთერო, – ქალიშვილი, რომელიც მასთან ერთად მოვა, არასდროს მინახავს. მითხრა, მსუქანიაო. მას ამქვეყნად ყველა მსუქანი ჰგონია. ერთი განახვა, ჰარი, საჭმელს როგორ მიირთმევს! ახალგაზრდული მადა სულ სხვაა. როგორ კარგად გაგინასკვავს ჰალსტუხი. ახლანდელმა თაობამ იმდენი რამ იცის, მე რომ არც კი დამსიზმრებია.

– ჩვეულებრივი უინძორია.[6]

ჩაცმის შემდეგ ბაჭია კვლავ მშვიდდება. გამოღვიძებამ როგორღაც იმავე სამყაროში დააბრუნა, რომელშიც რამდენიმე საათის წინ იყო. აღარ აწუხებდა ჯენისის მომაბეზრებელი სიახლოვე, აღარ ესმოდა შვილის ხმაურიანი მოთხოვნები, ვეღარც საკუთარი სახლის კედლებს ხედავდა. თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა. მაგრამ ახლა ეს რეფლექსები ზედაპირული ნაკაწრებივით გაქრა და წინა პლანზე უფრო ღრმა ინსტინქტებმა გადმოინაცვლა, რომლებიც არწმუნებდნენ, რომ არ ცდებოდა. იგი თავისუფლებას შეისუნთქავდა, რომელიც ჟანგბადივით უხვად იყო მის ირგვლივ. ტოთერო გრიგალს განასახიერებდა, შენობა, სადაც იმყოფებოდა, და დასახლების ქუჩები მხოლოდ სივრცისკენ მიმავალ კიბეებსა და გზებს წარმოადგენდა. თავისუფლება, რომელშიც მსოფლიო ქაოსი მისი ნებისყოფის მცირედი დაძაბვით დაკრისტალდა, იმდენად დასრულებული და სრულყოფილია, რომ ყველა გზა თანაბრად მშვენიერი ეჩვენება, ყველა მოძრაობა ერთნაირად ნაზად მოელამუნება კანზე, ის კი არა და, ტოთერომ რომ განუცხადოს, ორი ქალის მაგივრად ორ თხას უნდა შევხვდეთ, და ბრუერის ნაცვლად ტიბეტში მივემგზავრებითო, კვლავაც ისეთივე ბედნიერების განცდა ექნება. იგი დიდი გულმოდგინებით იკეთებს ჰალსტუხს, თითქოს უინძორის კვანძის ხაზები, ტოთეროს პერანგის საყელო და საკუთარი კისრის ფუძე ვარსკვლავის სხივები ყოფილიყოს, რომლებიც ამ პროცესის დასრულებისთანავე სამყაროს კიდეებამდე გადაიჭიმება. და საერთოდ, იგი დალაი ლამაა. მისი მხედველობის არის კუთხეში ღრუბლად გადაქცეული ტოთერო ფანჯარასთან მოცურავს.

– ჩემი მანქანა ისევ აქაა? – ეკითხება ბაჭია.

– ლურჯი? აქაა. ფეხზე ჩაიცვი.

– საინტერესოა, ვინმემ თუ შეამჩნია. სანამ მეძინა, რაიმე საუბრისთვის ხომ არ მოგიკრავთ ყური? – ბაჭიას აგონდება, რომ მისი თავისუფლების თვალუწვდენელ სუფთა სიცარიელეში ლაქებიც არსებობს: მისი ცოლი, მათი სახლი, ბავშვები – პატარ-პატარა გუნდებად დაყოფილი მრავალი საზრუნავი. ნაკლებად სავარაუდოა, რომ დროის სრბოლას ისინი ასე სწრაფად გაედნო, მაგრამ ტოთეროს პასუხის მიხედვით, ეს სწორედ ასე უნდა იყოს.

– არა, – პასუხობს ტოთერო და დასძენს, – თუმცა იქ არ

ვყოფილვარ, სადაც შენზე შეეძლოთ ლაპარაკი.

ბაჭიას ის აცოფებს, რომ ტოთეროსთვის მხოლოდ თანამგზავრია გასართობ მგზავრობაში.

– დღეს სამუშაოზე უნდა გავსულიყავი, – უხეშად ამბობს იგი, თითქოს ყველაფერში მოხუცი ყოფილიყოს დამნაშავე, – შაბათი ჩემთვის დიდი დღეა.

– სად მუშაობ?

– იაფი საქონლის მაღაზიებში სამზარეულო მოწყობილობა «მაგიურ სახეხელას» ვუწევ რეკლამას.

– კეთილშობილური პროფესიაა, – ამბობს ტოთერო და ფანჯარას ზურგს აქცევს, – ბრწყინვალეა, ჰარი. როგორც იქნა, ჩაცმული ხარ.

– სავარცხელი ხომ არ მოგეძევებათ? ტუალეტშიც უნდა შევიარო.

ქვემოთ სპორტული ასოციაცია «მზის შუქის» წევრები ყოველგვარ სულელურ ხუმრობას ხმაურიანი სიცილ-ხარხარითა და მხიარულებით ეგებებიან. ბაჭია წარმოიდგენს, თუ როგორ ჩაუვლის მათ და შეკითხვას სვამს:

– მითხარით, აუცილებელია, ყველამ დამინახოს?

ტოთერო აღშფოთებას ვერ მალავს, როგორც თავის დროზე, ვარჯიშისას, როდესაც ბიჭები, საქმის კეთების მაგიერ, ფარქვეშ ლაზღანდარობას იწყებდნენ.

– ვისი გეშინია, ჰარი? იმ საცოდავი ბუჭყა ჯენის სპრინგერის? ადამიანებს გადაჭარბებულად აფასებ. იგი არავის ადარდებს. ახლა ჩვენ ავდგებით და ქვევით ჩავალთ. ოღონდ ტუალეტში არ შეყოვნდე. სხვათა შორის, შენგან ჯერ მადლობის მსგავსიც კი არ მომისმენია იმის გამო, რაც გაგიკეთე და კიდევ ვაკეთებ.

იგი ჯაგრისიდან სავარცხელს იღებს და ჰარის უწვდის.

იმის შიში, რომ თავისუფლება ჩაუმწარდება, ბაჭიას უბრალო მადლობის სიტყვების თქმაში ხელს უშლის.

– გმადლობთ, – ჩაიბურტყუნებს ტუჩებმოკუმული.

ისინი ქვევით ჩადიან. ტოთეროს ნათქვამის მიუხედავად,

ყველა მამაკაცი – ძირითადად, მოხუცები, მაგრამ არც იმდენად, რომ მათ უფორმო სხეულებს საბოლოოდ დაჰკარგოდათ გულისამრევი სიმხნევე, – ინტერესით შეჰყურებს მას. ტოთერო კი მისი წარდგენით არ იღლება:

– ფრედ, ეს ჩემი საუკეთესო მოწაფეა, შესანიშნავი კალათბურთელი ჰარი ენგსტრომი. შენ, ალბათ, გახსოვს ეს სახელი გაზეთებიდან. მან ორჯერ დაამყარა ოლქის რეკორდი – პირველად 1950-ში, მერე კი თვითონვე გააუმჯობესა 1951-ში. ეს გასაოცარი შედეგი იყო.

– რას მეუბნები, მარტი!

– ჰარი, თქვენი გაცნობა ჩემთვის დიდი პატივია.

ცოცხალი, მაგრამ უფერული თვალებით – მუქი პირივით გადღაბნილი ლაქებით, – ლამის შეჭამონ მისი, ამ ადგილისთვის უცნაური ფიგურა, შემდეგ კი მომჟავო შთაბეჭდილებებს ქვევით გზავნიან, რათა თავიანთ საზიზღარ, ლუდისგან გაბერილ მუცლებში მოინელონ. ბაჭიასთვის ცხადი ხდება, რომ ტოთერო მათთვის მხოლოდ მასხარაა, და მის მაგივრადაც რცხვენია და საკუთარი თავის გამოც. იგი ტუალეტს აფარებს თავს. დასაჯდომზე საღებავი აქერცლილა, უნიტაზი ერთიანად ცხელი წყლის ონკანიდან ჩამონაწვეთი ჟანგიანი წყლის ნაჟონებითაა დაფარული. საკვირველია ნამცეცა ოთახის სიმაღლე. ერთი კვადრატული იარდის ტოლ ჭერს სქელი აბლაბუდა აჰკვრია, რომელშიც თეთრ აფსკში გახვეული ბუზები ჰკიდია. თუ აქამდე ბაჭია დათრგუნვილი იყო, ახლა ლამის დამბლა დაეცეს. იგი გამოდის, კოჭლობით მოსიარულე და მანჭვა-გრეხაში გართულ ტოთეროს უერთდება და ორივენი, თითქოს სიზმარში არიანო, იქაურობას ტოვებენ. ტოთერო მის მანქანაში მიძვრება. ბაჭია ბრაზობს დაუპატიჟებელი შემოჭრის გამო, მაგრამ სიზმრის წესების მიხედვით, ზედმეტ შეკითხვებს თავს არიდებს, საჭესთან ჯდება და როდესაც მისი ხელ-ფეხი ბერკეტებსა და სატერფულებთან კონტაქტს განაახლებს, კვლავ ძლიერდება. სველი, დატკეპნილი თმა თავზე მჭიდროდ ეკვრის.

– მაშასადამე, თქვენი აზრით, ჯენისთან ერთად უნდა დამელია ხოლმე, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობს იგი.

– გულის კარნახით იმოქმედე, – ურჩევს ტოთერო, – გული ჩვენი ერთადერთი მრჩეველია, – მისი დაღლილი ხმა თითქოს

შორიდან ისმის.

– ბრუერში?

პასუხად დუმილია.

ბაჭია მანქანას დაძრავს, პოტერ-ავენიუზე შეუხვევს, რომლის გასწვრივაც გაყვანილ არხში ადრე ხელოვნური ყინულის ფაბრიკიდან წყალი მოედინებოდა, მერე მარჯვნივ მიდის, უილბერ-სტრიტიდან შორს, სადაც მისი ბინა მდებარეობს. კიდევ ორი მოსახვევი და ცენტრალურ ქუჩაზე გადის, რომელიც მთას ბრუერის მიმართულებით უვლის გარს. მარცხნივ მიწა ღრმა ნაპრალს ესაზღვრება, რომლის ძირშიც განიერი და სწრაფი მდინარე მიედინება. გაჭენებული ცხენი. მარჯვნივ განათებული ბენზინის სვეტები მოჩანს, ციმციმებენ ნაირფერი ნათურების გირლანდები, მანქანების ფარები პროტესტს გამოთქვამენ.

რაც უფრო იშვიათდება შენობები, მით მეტს ლაქლაქებს ტოთერო.

– ჰარი, ჩვენ ახლა ქალბატონებს შევხვდებით. წარმოდგენა არა მაქვს, მეორე ვინ არის, მაგრამ ვიცი, რომ ჯენტლმენივით მოიქცევი. თავს ვდებ, რომ ჩემი მეგობარი მოგეწონება. შესანიშნავი ქალიშვილია, ჰარი. დაბადებიდანვე ყველა გარემოება მის წინააღმდეგ იყო, თუმცა მან დიდი საქმე გააკეთა.

– ასეთი რა ქნა?

– ისინი ბრძოლაში გამოიწვია. ეს არის მთელი საიდუმლო – ბრძოლაში გამოწვევა. არ მეთანხმები, ჰარი? მე ბედნიერი ვარ, ბედნიერი, და პატივად ვთვლი, რომ მასთან თუნდაც ამგვარი, ასე ვთქვათ, ძალზე შორეული ურთიერთობა მაქვს.

– მართლა?

– იცი თუ არა, ჰარი, რომ ახალგაზრდა ქალებს მთელი სხეული თმით აქვთ დაფარული?

– ამაზე არ დავფიქრებულვარ, – ბაჭიას ყელზე ზიზღი ეხვევა.

– შენც ადექი და დაფიქრდი, – განაგრძობს ტოთერო, – დაფიქრდი. ისინი მაიმუნები არიან, ჰარი. ქალები მაიმუნები არიან.

ამას ისეთი სერიოზული ტონით ამბობს, რომ ბაჭიას უნებლიეთ ეცინება.

ტოთეროც იცინის და ახლოს უჩოჩდება.

– მაგრამ ჩვენ ისინი გვიყვარს, ხომ ასეა, ჰარი? რატომ გვიყვარს? მიპასუხე, ჰარი, და შენ ყოფიერების საიდუმლოს ამოხსნი, – იგი ერთ ადგილზე ვერ ისვენებს, ფეხებს მოუსვენრად ამოძრავებს, იხრება, ბაჭიას მხარზე ხელს უტყაპუნებს, მერე უკან გადაწვება, ფანჯარაში იყურება, კვლავ ბაჭიასკენ ტრიალდება და ისევ მხარზე ურტყამს ხელს, – მე საშინელი ადამიანი ვარ, ჰარი. ადამიანი, რომელიც ზიზღს იწვევს. ახლა რაღაცას გეტყვი, ჰარი, – მას ადრეც უყვარდა, მწვრთნელობისას, ყველასთვის რაღაცის თქმა, – ჩემი ცოლი ამტკიცებს, რომ მე სხვა ადამიანებში ზიზღს აღვძრავ. მაგრამ თუ იცი, ეს ყველაფერი რით დაიწყო? მისი კანიდან. ერთხელ, ათას ცხრაას ორმოცდასამი თუ ორმოცდაოთხი წლის გაზაფხულზე, ომის დროს, ჩემი ცოლის კანი უეცრად საძაგელი გახდა. თითქოს ათასი ხვლიკის ტყავისგან შეუკერავთო. თანაც ცუდად. წარმოგიდგენია? იმის შეგრძნებამ, რომ მისი კანი ცალკეული ნაჭრებისგან შედგებოდა, თავზარი დამცა! მისმენ, ჰარი? არა, არ მისმენ. შენ იმას ფიქრობ, ნეტავ ამ კაცთან რატომ მოვედიო.

– მე ის უფრო მაწუხებს, რაც თქვენ დილით ჯენისის შესახებ მითხარით.

– ჯენისი! ჩემო ბიჭუნი, მოდი, ნუ ვილაპარაკებთ ჯენის სპრინგერის მსგავს პატარა იდიოტებზე. დღეს ჩვენი საღამოა. სიბრალული სხვა დროისთვის გადავდოთ. ხიდან ნამდვილი ქალები ცვივიან, – იგი ხელებით უჩვენებს, ეს როგორ ხდება, – დაიჭერ და შენია!

თუმცა ბაჭია ხვდება, რომ მოხუცს თავში მთლად ყველაფერი რიგზე არა აქვს, მას მაინც შეიპყრობს მოუთმენლობა. ისინი მანქანას უაიზერ-სტრიტის შორიახლოს აჩერებენ და ქალიშვილებს ჩინური რესტორნის შესასვლელთან ხვდებიან.

ჟოლოსფერი ნეონის განათების ქვეშ მდგარი ქალები ყვავილებივით ეფემერულები არიან. წითელი შუქი მათ ფაფუკ თმას ოდნავი ჭკნობის შეფერილობას აძლევს. ბაჭიას ეჩვენება, რომ გული ამოუვარდა, მას გადაასწრო და ქვაფენილზე ყრუ კაკუნით წინ მიისწრაფვის. როდესაც მივლენ, ტოთერო მას

მარგარეტს აცნობს:

– მარგარეტ კოსკო, ჰარი ენგსტრომი, ჩემი საუკეთესო სპორტსმენი. ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა ორი ასეთი სახელგანთქმული ახალგაზრდა ერთმანეთისთვის გამეცნო, – მოხუცის ქცევაში უცნაური რიდი იგრძნობა. ახლა, ალბათ, ჩაახველებს კიდეც.

ამ გადაჭარბებული შექების შემდეგ ბაჭია გაოცებით აღმოაჩენს, რომ მარგარეტი მხოლოდ და მხოლოდ ჯენისის ასლია – ისეთივე მიწისფრად ფერმიხდილი ბუჭყა, იგივე შეუვალი სიჯიუტე. იგი ტუჩების შეუმჩნეველი მოძრაობით ლუღლუღებს:

– რუთ ლენარდი, მარტი ტოთერო და თქვენ, როგორც გქვიათ.

– ჰარი, – ამბობს ბაჭია, – იგივე ბაჭია.

– მართალია! – შესძახებს ტოთერო, – ბიჭები ბაჭიას გეძახდნენ, მე კი დამავიწყდა, – იგი ჩაახველებს.

– საკმაოდ დიდი ბაჭიაა, – შენიშნავს რუთი.

მარგარეტის გვერდით იგი მსუქანი ჩანს, მაგრამ არცთუ ძალიან. მკვრივი უფრო ეთქმის, მაგრამ მაღალია. მართკუთხა ბუდეებში მჭრქალი ცისფერი თვალები უზის. მსხვილი თეძოები კაბაში ძლივს ეტევა. ჭუჭყისფრად წითური თმა კეფაზე აქვს ატანილი. მის უკან, ბორდიურის გასწვრივ, მრიცხველები მოჩანს წითელი ენებით, ლილისფერ თასმებში მოქცეულ ფეხებთან კი ტროტუარის ოთხი ფილა ერთმანეთს X ასოდ ერწყმის.

– მე მხოლოდ გარეგნულად ვარ დიდი, – ამბობს იგი.

– მეც, – ეხმაურება რუთი.

– ღმერთო ჩემო, როგორ მშია, – მიმართავს ბაჭია ყველას ერთად, რათა რამე მაინც თქვას, თან რატომღაც ტანში აჟრჟოლებს.

– შიმშილი, შიმშილი, – აიტაცებს მის სიტყვებს ტოთერო, რომელიც გახარებულია, რომ სალაპარაკო თემა შემოუგდეს, – საით ამჯობინებენ წასვლას ჩემი პატარები?

– აქეთ? – ეკითხება ჰარი.

იმის მიხედვით, თუ როგორ უყურებენ მას ქალები, ბაჭია ხვდება, რომ მართვის სადავეები ხელში უნდა აიღოს. ტოთერო კიბორჩხალასავით უკან იხევს და შემთხვევით გვერდით ჩავლილ ხანდაზმულ წყვილს ეჯახება. სახეზე გაოცებული გამომეტყველება უჩნდება და ისე ენაწყლიანად ბოდიშობს, რომ რუთი თავშეუკავებლად ხარხარებს. მისი სიცილი ასფალტზე დაყრილი მონეტებივით მთელ ქუჩას ედება. ეს ბგერები დაძაბულობას ხსნის და ბაჭია გრძნობს, როგორ ივსება თბილი ჰაერით მკერდის კუნთებს შორის არსებული სივრცე. ტოთერო პირველი მიძვრება შუშის კარში, მას მარგარეტი მისდევს, რუთი ბაჭიას ხელკავს გამოსდებს და ეუბნება:

– მე თქვენ გიცნობთ. დასავლეთ ბრუერის საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და ორმოცდათერთმეტში დავამთავრე.

– მეც ასევე.

გამოდის, თანატოლები არიან. ბაჭიას ეს ახარებს, როგორც მისი ხელისგულის შეხება, თითქოს ორივე მათგანმა ქალაქის სხვადასხვა ბოლოში მდებარე სკოლაში ერთი და იგივე რამ ისწავლა და ცხოვრების შესახებაც მსგავსი შეხედულებები ჩამოუყალიბდათ. ორმოცდათერთმეტი წლის გამოშვების შეხედულებები.

– თქვენ ჩვენ დაგვამარცხეთ, – ამბობს იგი.

– საძაგელი გუნდი გყავდათ.

– არაფერიც. მე სამ მოთამაშესთან ვმეგობრობდი.

– სამივესთან ერთად?

– ასე გამოვიდა.

– იმიტომაც ჰქონდათ მათ დაღლილი სახეები.

იგი კვლავ იცინის, ასფალტზე ისევ ცვივა მონეტები, და თუმცა ბაჭიას თავისი სიტყვების რცხვენია, ქალი ძალზე გულთბილი ჩანს, წლების წინ კი, შესაძლოა, ლამაზიც იყო. მართალია, სახეზე ცუდი ფერი ადევს, მაგრამ ამას ხშირი თმის მიხედვით ასკვნის.

ნაცრისფერ ტილოს კიტელში გამოწყობილი ახალგაზრდა ჩინელი შუშის დახლთან მათ გზას უღობავს, სადაც ამერიკელი გოგონა გაცვეთილ ასიგნაციებს ითვლის.

– მაპატიეთ, რამდენი ხართ?

– ოთხნი, – პასუხობს ბაჭია, როდესაც დარწმუნდება, რომ ტოთერო დუმს.

მოულოდნელად რუთი დიდებული ჟესტით იხდის მოკლე თეთრ პალტოს და ბაჭიას უწვდის. ბუკლეს რბილი ქსოვილიდან სუნამოს ტალღები მოდის.

– ოთხნი? აქეთ მობრძანდით, გეთაყვა.

ოფიციანტი მათ წითელი კაბინისკენ მიუძღვის. დაწესებულება მხოლოდ ცოტა ხნის წინ იქცა ჩინურად, კედლებზე კი ჯერაც პარიზის ვარდისფერი ხედები ჰკიდია. რუთი ცოტათი ბარბაცებს. მის უკან მიმავალი ბაჭია ამჩნევს, რომ ქალის ფეხები ლილისფერი თასმებით მაღალ, წვრილ ქუსლებზეა მილურსმული და დაძაბულობისგან გაყვითლებული ქუსლები დროდადრო სხვადასხვა მხარეს მისრიალებს. მაგრამ ბრწყინვალე მწვანე კაბაში მოქცეული ფართო უკანალი სიმშვიდეს ინარჩუნებს. მკვრივი წელი სახის სწორი ნაკვთებივით აკურატულად არის მოჭიმული. უკნიდან ამოჭრილი კაბა მსუქან ზურგს სამკუთხედად აშიშვლებს. კაბინასთან მისვლისას ბაჭია მას ეჯახება და ცხვირით კინკრიხოს ეხება. თმისა და სუნამოს სუნი ერთმანეთში ირევა. შეჯახების მიზეზი ისაა, რომ ტოთერო გადაჭარბებული ცერემონიულობით მიაცილებს მარგარეტს მისი ადგილისკენ – ნამდვილი სტუმართმოყვარე ქონდრისკაცია საკუთარი გამოქვაბულის შესასვლელთან. სანამ ისინი სხდებიან, ბაჭია აღფრთოვანებით ფიქრობს, თუ როგორ შეამჩნევს რესტორნის ფანჯარასთან ჩავლილი რომელიმე უცნობი, რომ იგი ქალთან ერთადაა. თვითონაც ხომ ასე დაემართა გუშინ საღამოს, როდესაც დასავლეთ ვირჯინიის ერთ-ერთ კაფესთან აღმოჩნდა. მას ეჩვენება, რომ სწორედ თვითონაა ის უცნობი, შურით რომ მისჩერებია ფანჯრიდან ქალისა და მის სხეულებს. რუთი ოდნავ წინ იხრება და თავისი ადგილისკენ გაძრომას ცდილობს. მხრებზე კანი ჯერ ენთება, მერე კი, კაბინის ჩრდილში, უფერმკრთალდება. ბაჭია მის გვერდით ჯდება, გრძნობს, როგორ ცდილობს რუთი უფრო მოხერხებულად მოკალათებას და ქალისთვის დამახასიათებელი ფუსფუსით კაბას ისე აშრიალებს, თითქოს ბუდეს იკეთებსო.

მისი პალტო თურმე კვლავაც ბაჭიასთანაა. ფერწასული რბილი

ტყავი მუხლებზე თვლემს. იგი ხელს გაიწვდენს და ფეხზე აუდგომლად პალტოს საკიდრის კაუჭზე ჰკიდებს.

– კარგია გრძელი ხელები, – ამბობს ქალი, ჩანთაში იხედება და იქიდან სიგარეტის კოლოფს იღებს. «ნიუპორტია».

– ტოთერო კი მეუბნება, მოკლე ხელები გაქვსო.

– სად გამოქექეთ ეს ბებერი უსაქმური? – განზრახ ხმამაღლა, ტოთეროს გასაგონად ეკითხება რუთი.

– იგი უსაქმური არაა, ჩემი ყოფილი მწვრთნელია.

– სიგარეტი არ გინდათ?

– თავი დავანებე, – ყოყმანით პასუხობს იგი.

– მაშასადამე, ეს ბებერი უსაქმური თქვენი მწვრთნელი იყო, – ოხრავს ქალი. შემდეგ «ნიუპორტის» ფირუზისფერი კოლოფიდან სიგარეტის ღერს ამოაძვრენს, ნარინჯისფერ ტუჩებს შორის გაიჩრის, შუბლშეკვრით დახედავს ქაღალდის ასანთის ნაცრისფერ თავს და ქალურად მოუხერხებლად გაჰკრავს. ამასთან, სიგარეტი გვერდულად უჭირავს, რის გამოც ღერი იღუნება და მხოლოდ მესამე ცდაზე ინთება.

– რუთ! – ამბობს მარგარეტი.

– უსაქმური? – იმეორებს ტოთერო და დამძიმებული, არაჯანსაღი სახე კეკლუცი ღიმილისგან ისე ებრიცება, თითქოს დნობას იწყებსო, – დიახაც, უსაქმური გახლავართ. საზიზღარი ბებერი უსაქმური, რომელიც პრინცესების გარემოცვაში მოხვდა.

მარგარეტი ამ სიტყვებში თავის დამამცირებელს ვერაფერს ხედავს, მაგიდაზე ხელზე ხელს ადებს და მომაკვდინებელი სერიოზულობით აცხადებს:

– სულაც არა ხართ უსაქმური.

– სად არის ჩვენი ახალგაზრდა კონფუციანელი? – ტოთერო მეორე ხელს ასწევს, აქეთ-იქით იყურება და მოახლოებულ ოფიციანტს ეკითხება, – ალკოჰოლური სასმელები თუ გაქვთ?

– მეზობლებიდან მოგვაქვს ხოლმე.

სასაცილოა, რომ ჩინელებს წარბები წინ კი არა აქვთ

გამოწეული, არამედ კანში ჩაჭყლეტილს მიუგავთ.

– ორმაგი შოტლანდიური ვისკი, – ამბობს ტოთერო, – თქვენ, ძვირფასო?

– დაიკირი, – მარგარეტის პასუხი ხუმრობასავით ჟღერს.

– თქვენ, ბავშვებო?

ბაჭია რუთს შესცქერის. ქალს სახეზე ნარინჯისფერი მტვერი აყრია. მისი თმა, რომელიც თავდაპირველად ფერფლისფრად თუ მქრქალ წაბლისფრად მოჩანდა, სინამდვილეში ნაირფერია – წითური, ყვითელი, ყავისფერი და შავი. კაშკაშა სინათლეზე ყოველი ღერი, ძაღლის ბეწვივით, სხვადასხვა შეფერილობას იძენს.

– ეშმაკმა უწყის, – პასუხობს იგი, – ალბათ, დაიკირი.

– სამი, – ეუბნება ბაჭია ოფიციანტს. მას ჰგონია, რომ დაიკირი ლაიმის წვენის მსგავსი სასმელია.

– სამი დაიკირი, ერთი ორმაგი შოტლანდიური ვისკი ყინულით, – იმეორებს ოფიციანტი და მიდის.

– როდის გაქვთ დაბადების დღე? – ეკითხება ბაჭია რუთს.

– აგვისტოში. რატომ მეკითხებით?

– ჩემი თებერვალშია. გაჯობეთ!

– მაჯობეთ, – ეთანხმება ქალი და თითქოს ხვდება მის აზრს: არ შეიძლება იგრძნო სრული უპირატესობა შენზე უფროს მანდილოსანზე.

– მე თუ მიცანით, ტოთერომ რაღა დაგიშავათ? ის ხომ ჩვენი გუნდის მწვრთნელი იყო.

– მწვრთნელებს ვინ უყურებს? მათგან კაცი სარგებელს ვერაფერს ნახავს.

– როგორ თუ ვერ ნახავს? სკოლის გუნდი – მხოლოდ მწვრთნელია, არ მეთანხმებით?

– სკოლის გუნდი – მხოლოდ ბავშვები არიან, – ამბობს ტოთერო, – ტყვიისგან ოქროს ვერ მიიღებ. დიახ, ტყვიისგან ოქროს ვერაფრით მიიღებ.

– თქვენ კი ეს შეძელით, – არ ეთანხმება ბაჭია, – როდესაც სკოლის გუნდში მოვხვდი, ერთმანეთისგან ვერ ვარჩევდი თავსა და... – იგი შეყოვნდა, რაც უნდა იყოს, სუფრასთან მანდილოსნები ისხდნენ, – ...იდაყვს.

– არჩევდი, ჰარი, თანაც ძალიან კარგად. მე შენთვის არაფერი მისწავლებია. უბრალოდ, შენი თავი შენვე მოგანდე, – იგი გამუდმებით აქეთ-იქით იყურება, – შენ ახალგაზრდა ირემი იყავი დიდი ფეხებით.

– რა ზომის? – ინტერესდება რუთი.

– ორმოცდაოთხის, – პასუხობს ბაჭია, – თქვენ?

– მე პატარაზე პატარა მაქვს, – ამბობს რუთი, – ნამცეცა ფეხუცები.

– მე კი მომეჩვენა, რომ ფეხსაცმელებში ჩატევა უჭირდათ.

იგი უკან იზნიქება, რათა მაგიდის ქვეშ შეიხედოს, წყალქვეშა ბინდბუნდში, სადაც პერსპექტივით დამოკლებული ქალის ნაკუთალები ორ ოქროსფერ თევზს წააგავს. ისინი სკამის ქვეშ აფარებენ თავს.

– ასე დაჟინებით ნუ მომჩერებიხართ, თორემ კაბინის გარეთ აღმოჩნდებით, – წყენით ამბობს რუთი. ეს კარგია. ქალებს მოსწონთ, როცა შეცბუნებულნი არიან. ამას არაფრისდიდებით არ აღიარებენ, მაგრამ ეს ფაქტია.

ოფიციანტს დასალევი მოაქვს, თეფშებქვეშ ხელსახოცებს ათავსებს, იქვე კი – სუფრის მქრქალ ვერცხლეულს. როდესაც ტოთეროსთან გადადის, ეს უკანასკნელი ვისკის ჭიქას მაგიდაზე დგამს და გამოცოცხლებული მტკიცე ხმით წარმოთქვამს:

– ჩანგლები და კოვზები? აღმოსავლური კერძებისთვის? ნუთუ ჩხირები არა გაქვთ?

– ჩხირები როგორ არა გვაქვს.

– ყველას ჩხირები, – გადაჭრით აცხადებს ტოთერო, – სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო.

– ჩემსას არ შეეხოთ! – კივის მარგარეტი და თავის ჩანგალსა და კოვზს ხელს აფარებს, როდესაც ოფიციანტი მათ აღებას

დააპირებს, – არანაირი ჩხირი არ მსურს.

– ჰარი და რუთი რას იტყვიან? – კითხულობს ტოთერო, – თქვენ რას ამჯობინებთ?

დაიკირის მართლაც ლაიმის სუნი ასდის, რომლის გემო კარაქივით განეფინება მწკლარტე სითხის გამჭვირვალე ზედაპირზე.

– ჩხირებს, – დაბალი, მჟღერი ხმით პასუხობს ბაჭია, თან უხარია, რომ მისი ნათქვამი მარგარეტს გულზე მოხვდება, – ტეხასში ჩინურ კერძებთან ლითონს არასდროს ვხმარობდით.

– რუთ? – ტოთერო მას მორიდებით და დაძაბულად შესცქერის.

– თუ ამ ოტროველას შეუძლია, მეც შევძლებ, – იგი სიგარეტს აქრობს და კოლოფიდან ახალ ღერს იღებს.

როგორც პატარძლის ხელისმომკიდეს მიაქვს თაიგული, ოფიციანტიც ისევე მიდის უარყოფილი სუფრის ვერცხლეულით. მარგარეტი მარტო რჩება და ეს აღიზიანებს. ბაჭია კმაყოფილია: ეს ქალი მის ბედნიერებას ჩრდილივით ეფარება.

– თქვენ ტეხასში ჩინურ კერძებს მიირთმევდით?

– გამუდმებით. სიგარეტი მომეცით.

– თქვენ ხომ აღარ ეწევით.

– ისევ დავიწყე. ათი ცენტი მომეცით.

– ათი ცენტი! ჯიბე გაამზადეთ!

რუთის ზედმეტად მკვეთრი უარი ბაჭიას გულს სტკენს. ქალს თითქოს ეშინია, არ მოტყუვდეს. რატომ ჰგონია, რომ ბაჭია მის გაძარცვას აპირებს? ან კი რა აქვს წასართმევი? ბაჭია ჯიბიდან ხურდა ფულს იღებს, ათცენტიანს შეარჩევს და სპილოს ძვლით გაწყობილ მუსიკალურ ავტომატში აგდებს, ნაზად რომ ანათებს მათი მაგიდის სიახლოვეს. შემდეგ გადაიხრება, მელოდიების სიას შეათვალიერებს და «B» და «7» ღილაკებს აჭერს ხელს – «როქსვილი».

– ბოსტონს თუ არ ჩავთვლით, ტეხასში ჩინური სამზარეულო მთელ აშშ-ში საუკეთესოა, – აცხადებს იგი.

– ყურადღებით მოუსმინეთ სახელგანთქმულ მოგზაურს, – ამბობს რუთი და მას სიგარეტს აწვდის. ამის გამო ბაჭია ქალს ათცენტიანის არმიცემას პატიობს.

– მაშასადამე, თქვენ თვლით, – ჯიუტად განაგრძობს ტოთერო, – რომ მწვრთნელები არაფერს აკეთებენ.

– ისინი არავის სჭირდება, – თავისას არ იშლის რუთი.

– კარგი, რა, – ერთვება ბაჭია.

ოფიციანტი ჩხირებითა და ორი მენიუთი ბრუნდება. ბაჭია იმედგაცრუებულია – ჩხირებს ისეთი შესახედაობა აქვს, რომ ხის კი არა, პლასტმასის გეგონებათ. სიგარეტი ჩალასავითაა. იგი მას პირიდან გამოიღებს. საკმარისია. აღარასოდეს მოსწევს.

– თითოეულმა ჩვენგანმა ერთი კერძი შეუკვეთოს, მერე კი ერთმანეთს გავუყოთ, – სთავაზობს მათ ტოთერო, – ვის რა უყვარს?

– მე მომჟავო-მოტკბო ღორის ხორცი, – აცხადებს მარგარეტი, რომელსაც გამბედაობას ვერავინ წაართმევს.

– ჰარი?

– არ ვიცი.

– ესეც თქვენი ჩინური სამზარეულოს სპეციალისტი, – შენიშნავს რუთი.

– აქ ინგლისურად წერია, მე კი ჩინური მენიუს მიხედვით ვარ შეჩვეული შეკვეთის მიცემას.

– კარგი, გეყოფათ. ის მაინც მითხარით, ყველაზე გემრიელი რა არის.

– შემეშვით, უკვე თავგზა ამიბნიეთ.

– თქვენ ტეხასში არასოდეს ყოფილხართ, – ამბობს რუთი.

ბაჭიას ახსენდება სახლი იმ უცნობ, უხეებო ქუჩაზე, პრერიებისთვის დამახასიათებელი მწვანე ღამე, ფანჯარაში გამოფენილი ყვავილები და პასუხობს:

– ცხადია, ვიყავი.

– იქ რას აკეთებდით?

– ჯარში ვმსახურობდი.

– ჯარში? ეგ არ ითვლება. ასე ყველა მსახურობდა ჯარში ტეხასში.

– თქვენი გემოვნებით შეუკვეთეთ, – ეუბნება ბაჭია ტოთეროს.

მას აღიზიანებენ ეს არმიელი ვეტერანები, რომელთაც რუთი, როგორც ჩანს, იცნობდა, და დაძაბულად უსმენს იმ სიმღერის ბოლო ტაქტებს, რომელსაც ათცენტიანი დააჩარჯა. ამ ჩინურ დაწესებულებაში ხმა თითქოს სამზარეულოდან ისმის და ოდნავ თუ წააგავს იმ თამამ მელოდიას, ასე რომ ამხნევებდა წუხელ მანქანაში.

ტოთერო ოფიციანტს შეკვეთას აძლევს და როცა ის მიდის, რუთის გადარწმუნებას ცდილობს. მოხუცს ტუჩები ვისკით დასველებია.

– მწვრთნელი, – ამბობს იგი, – მწვრთნელი ცხოვრებისგან ბოძებული სამი იარაღის განვითარებაზე ზრუნავს. ესაა: თავი, სხეული და გული.

– და საზარდული, – ამატებს რუთი.

გაისმის სიცილი. ვინ იფიქრებდა? ეს მარგარეტია. იგი ბაჭიას როგორღაც აშტერებს.

– ახალგაზრდა ქალბატონო, თქვენ მე გამომიწვიეთ, ამიტომ ყურადღებას ვითხოვ, – ტოთერო სერიოზულობის განსახიერებაა.

– რა სისულელეა, – ჩუმად პასუხობს რუთი და თვალებს ხრის, – თავი დამანებეთ, – ქალი გაბრაზებულია, ნესტოები თეთრად მოუჩანს, უხეშად შეღებილი სახე უმუქდება.

– უპირველესად თავი. სტრატეგია. ბიჭების უმეტესობა კალათბურთის მწვრთნელთან ეზოებიდან მიდის და წარმოდგენა არა აქვთ – როგორ გითხრათ, – წარმოდგენა არა აქვთ ორფარიან მოედანზე თამაშის ელეგანტურობაზე. იმედია, დამეთანხმები, არა, ჰარი?

– რა თქმა უნდა. სწორედ გუშინ...

– მეორე – დავასრულებ, ჰარი, და მერე თქვი, – მეორე სხეულია. ბიჭებისთვის სპორტული ფორმის გამომუშავება. მათი

ფეხებისთვის სიმტკიცის მიცემა, – იგი გაპრიალებულ მაგიდაზე ხელს მომუშტავს, – სიმტკიცე. სირბილი, სირბილი და სირბილი. სანამ ფეხებით მიწაზე დგანან, სულ უნდა ირბინონ. მაგრამ ეს მაინც ცოტა იქნება. მესამე, – მეორე ხელის ცერა და საჩვენებელი თითებით იგი პირის კუთხეებიდან ოფლს იწმენდს, – ეს გულია. აქ კარგი მწვრთნელის წინაშე, მე კი, ახალგაზრდა ქალბატონო, ცდას არ ვაკლებდი, რომ ასეთი ვყოფილიყავი, და როგორც ვიღაც-ვიღაცები ამტკიცებენ, ვიყავი კიდეც, აქ მის წინაშე ყველაზე სერიოზული შესაძლებლობები ჩნდება. ბიჭებში სრულყოფილებისკენ სწრაფვის გამომუშავება. მე ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ეს გამარჯვებისკენ სწრაფვაზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან სრულყოფილების მიღწევა წაგების დროსაც კი შესაძლებელია. აიძულო ისინი, რომ შეიგრძნონ, დიახ, ეს სიტყვა, ალბათ, ყველაზე ზუსტია, შეიგრძნონ სრულყოფილების სიწმინდე, გაიგონ, რომ თითოეულმა მათგანმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რაც კი შეუძლია, – იგი ცოტას შეისვენებს, რიგრიგობით შესცქერის მსმენელებს და შეპასუხების სურვილს უკარგავს, – ბიჭი, ვისი გულის გაკეთილშობილებაც შეძლო შთაგონებულმა მწვრთნელმა, – ასრულებს იგი თავის გამოსვლას, – აღარასოდეს გახდება, ამ სიტყვის ყველაზე ღრმა მნიშვნელობით, წარუმატებელი და მარცხიანი ადამიანი ცხოვრების გაცილებით დიდ თამაშში, – იგი ხელს მაღლა სწევს, – ახლა კი ღმერთს შევევედროთ. უფალო, შეგვიწყალე, et cetera... [7] – მას ტუჩებთან ჭიქა მიაქვს, რომელშიც აღარაფერია, ყინულის კუბურების გარდა, გადაიპირქვავებს და ისინიც რაკარუკით ეშვებიან პირში.

რუთი ბაჭიას მიუბრუნდება და წყნარად, ალბათ, საუბრის თემის შეცვლის მიზნით, ეკითხება:

– რას საქმიანობთ?

– დარწმუნებული არა ვარ, რომ რამეს ვსაქმიანობ, – იცინის ბაჭია, – დღეს დილით სამსახურში უნდა წავსულიყავი. მე... ეს საკმაოდ რთული ასახსნელია... არსებობს ერთი მოწყობილობა – «მაგიური სახეხელა», რომელსაც რეკლამას ვუწევ.

– და ეჭვი არ მეპარება, რომ ბრწყინვალედაც გამოსდის, – ერთვება ტოთერო, – დარწმუნებული ვარ, რომ, როდესაც კორპორაცია «მაგიური სახეხელას» საბჭოს წევრები ყოველწლიურ სხდომაზე იკრიბებიან და ისმის შეკითხვა: «ვინ

შეუწყო ყველაზე მეტად ხელი ჩვენი საქმის წარმატებას ამერიკის საზოგადოებაში?» – სიაში პირველ ადგილზე ბაჭია ჰარი ენგსტრომის სახელია.

– თქვენ რაღას საქმიანობთ? – ინტერესდება თავის მხრივ ბაჭია.

– არაფერს, – პასუხობს რუთი, – არაფერს, – მისი ქუთუთოები გაქონილ ცისფერ ფარდასავით ეშვება დაიკირის ბოკალის თავზე, ნიკაპზე კი სითხის მომწვანო ანარეკლი ედება.

მოაქვთ ჩინური კერძები. ბაჭიას პირში ნერწყვი მოსდის. ტეხასის მერე ისინი მართლაც არ გაუსინჯავს. ბაჭიას უყვარს ეს საჭმელი, რომელშიც ვერავინ მიაგნებს დაკლული ცხოველების კვალს – ძროხის უკანა ნაწილის სისხლიან ნაჭრებს თუ ქათმის ძარღვიან ჩონჩხს. ისინი ძალზე წვრილადაა დაჭრილ-დაქუცმაცებული და უმტკივნეულოდაა შერეული უსულო ბოსტნეულთან, რომელთა გაფუებული მწვანე სხეულები მასში უწყინარ მადას აღძრავს. შესანიშნავია. ეს ყველაფერი ბრინჯის ულუფაზე დევს, რომელსაც ორთქლი ასდის. თითოეული მათგანი ამგვარ აკურატულ, ცხელ ულუფას იღებს. მარგარეტი სასწრაფოდ გადაზელს თავისას ჩანგლით, ყველანი სიამოვნებით მიირთმევენ. ოვალური თეფშებიდან ყავისფერი ღორის ხორცის, მწვანე ბარდის, წიწილის, სქელი ტკბილი საწებლის, კრევეტების, ჭუღუმბურისა და კიდევ ვინ იცის, რისი მწკლარტე სუნი იფრქვევა. სახეზე ოთხივეს ჯანსაღი სიწითლე გადაჰკრავს. საუბარიც ცოცხლად მიმდინარეობს.

– იგი გასაოცარი იყო, – ამბობს ბაჭია ტოთეროს შესახებ, – ოლქის უდიდესი მწვრთნელი. მის გარეშე ვერაფერს მივაღწევდი.

– არა, ჰარი, ცდები. შენ უფრო მეტი გააკეთე ჩემთვის, ვიდრე მე შენთვის. გოგოებო, პირველივე შეხვედრაში ოცი ქულა დააგროვა.

– ოცდასამი, – აზუსტებს ბაჭია.

– ოცდასამი ქულა! ხომ წარმოგიდგენიათ! – ქალიშვილები ჭამას განაგრძობენ, – ჰარისბერგში გამართული შეხვედრა თუ გახსოვს შტატის პირველობაზე, და ის მკვირცხლი ჯუჯა დენისტონიდან?

– ცხადია. მართლაც ქონდრისკაცს ჰგავდა, – ეუბნება ჰარი რუთს, – ხუთი ფუტი და ორი დუიმი, მაიმუნივით მახინჯი. თანაც უნამუსო.

– მართალია, მაგრამ თავისი საქმე კარგად იცოდა, – ამბობს ტოთერო, – თავისი საქმე იცოდა. ჰარი ძლიერ მეტოქეს გადააწყდა.

– ხომ გახსოვთ, ფეხი რომ დამიდო?

– ჰო-ო, ეგ კი დამავიწყდა, – ადასტურებს ტოთერო.

– ის ჯუჯა ფეხს მიდებს და ყირაზე გადავდივარ. კიდევ კარგი, კედელზე რბილი ჭილოფები იყო აფარებული, თორემ სიკვდილს ვერ გადავურჩებოდი.

– მერე რა მოხდა, ჰარი? სამაგიერო არ გადაუხადე? ეს შემთხვევა თავიდან ამომივარდა, – ამბობს ტოთერო საჭმლით გატენილი პირითა და შურისძიების მოლოდინით აღვსილი.

– არა, – ნელა პასუხობს ბაჭია, – მე წესებს არასოდეს ვარღვევდი. მსაჯმა ყველაფერი დაინახა, და ვინაიდან ეს უკვე მეხუთე შემთხვევა იყო, იგი მოედნიდან გააძევა. ამის მერე ხელი აღარ გავანძრევინეთ.

ტოთეროს იმედის ნაპერწკალი უქრება, სახე ემჩვარება და უდუნდება.

– მართალი ხარ, შენ არასდროს არღვევდი წესებს. არასდროს. ჰარი ყოველთვის იდეალისტი იყო.

– ამის საჭიროება არ იყო, – მხრებს იჩეჩს ბაჭია.

– ჰარის მეორე გასაოცარი თვისება ის იყო, რომ ტრავმას არ იღებდა, – ამცნობს ტოთერო გოგოებს.

– არა, ერთხელ მაჯა დამეჭიმა, – უსწორებს ბაჭია, – მაგრამ თუ რამე მართლაც მეხმარებოდა, ეს...

– მერე რა მოხდა? საშინელებაა, ყველაფერი დამავიწყდა.

– მერე? მერე პენოუკის ჯერი დადგა. არაფერიც არ იყო. დაგვამარცხეს.

– იმათ გაიმარჯვეს? ჩვენ არა?

– არა, დალახვროს ეშმაკმა. ისინი მაგრად თამაშობდნენ. ხუთი ძლიერი მოთამაშე ჰყავდათ. ჩვენ კი, გულახდილად რომ ვთქვათ, მხოლოდ ერთი – მე. ჩვენთან ჰარისონიც იყო, კარგად თამაშობდა, მაგრამ იმ საფეხბურთო ტრავმის შემდეგ ვეღარაფრით გამოჯანმრთელდა.

– რონი ჰარისონი? – კითხულობს რუთი.

– იცნობთ? – ეკითხება შეშფოთებული ბაჭია. ჰარისონი მექალთანედ ითვლებოდა.

– დარწმუნებული არა ვარ, – საკმაოდ გულგრილად პასუხობს რუთი.

– საშუალო სიმაღლის, ხუჭუჭა. ცოტათი კოჭლობს.

– არა, არ ვიცნობ, – ამბობს ქალი, – სხვა მეგონა.

იგი მარჯვედ ხმარობს ჩხირებს ცალი ხელით. მეორე მუხლზე უდევს ზურგით ქვემოთ. ბაჭია სიამოვნებით აკვირდება, როგორ ხრის ქალი თავს, როგორ მოდის წინ მსხვილი გულუბრყვილო კისერი, მხრის ძარღვები კი იჭიმება, ტუჩები ლუკმის გარშემო ემუწება. ჩხირებით ზუსტად გათვლილი მოძრაობით იღებს საჭმელს. გასაოცარია, რამდენი სინაზეა მსუქან ქალებში. მარგარეტი კი სხვაა. იგი ჩანგალს ნიჩაბივით ხმარობს.

– ჩვენ წავაგეთ, – იმეორებს ტოთერო, ოფიციანტს ეძახის და იმავე სასმელს უკვეთს.

– მე აღარ მინდა, გმადლობთ, – ამბობს ბაჭია, – ისედაც მთვრალი ვარ.

– თქვენ დიდი გამგონე ბიჭი ხართ, – ამბობს მარგარეტი. მან ჯერაც ვერ დაიმახსოვრა მისი სახელი. ღმერთო ჩემო, როგორ ეზიზღება ეს ქალი.

– რაზეც მე ვსაუბრობდი და რაც, თქვენივე სიტყვებით, მართლაც დამეხმარა, ერთი ეშმაკობა იყო – ბურთის ორივე ხელით ისე დაჭერა, როცა ცერები ერთმანეთს თითქმის ეხებიან. სწორედ მაშინ ჩნდება დიდებული სიმსუბუქის გრძნობა. ბურთი თავისით, სტვენით მიფრინავს წინ, – იგი ცდილობს, ხელებით აჩვენოს, ეს როგორ ხდება.

– ეჰ, ჰარი, – ამბობს დაღვრემილი ტოთერო, – როდესაც ჩემთან

მოხვედი, სროლა უკვე იცოდი. მე მხოლოდ გამარჯვებისკენ სწრაფვა შთაგაგონე. სწრაფვა სრულყოფილებისკენ.

– რომ იცოდეთ, ჩემი საუკეთესო თამაში ის კი არ იყო, როცა ალენვილთან მატჩში ორმოცი ქულა დავაგროვე, არამედ ბოლოსწინა კლასში. სეზონის დასაწყისში ოლქის შორეულ ბოლოში გავემგზავრეთ, პატარა სასაცილო პროვინციულ სკოლაში, სადაც ექვსივე კლასში ასიოდე მოსწავლე სწავლობდა. რა ერქვა? ჩიტის ბუდე? თუ რაღაც ამის მსგავსი. თქვენ გემახსოვრებათ.

– ჩიტის ბუდე? არა, არ მახსოვს, – პასუხობს ტოთერო.

– მე მგონი, ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც ისინი შეჯიბრების პროგრამაში ჩავრთეთ. იქ ერთი ციცქნა სასაცილო, კვადრატული სპორტდარბაზი იყო, მაყურებლები კი სცენაზე ისხდნენ. სახელწოდებაც სასაცილო ჰქონდა.

– ჩიტის ბუდე, – იმეორებს ტოთერო. იგი შეწუხებულია და გამუდმებით ყურს ისრესს.

– ორიოლი![8] – შესძახებს გახარებული ბაჭია, – საშუალო სკოლა «ორიოლი». პატარა, მიყრუებული ქალაქი. ეს სპორტული სეზონის დასაწყისში მოხდა, ასე რომ, ჯერ კიდევ თბილოდა და ავტობუსით მგზავრობისას მინდვრებზე ჩალის ბულულები ვიგვამებივით მოჩანდა. მთელი სკოლა სიდრით იყო გაჟღენთილი, მახსოვს, ამის შესახებ იხუმრეთ კიდეც. ისიც მითხარით, ეს ყველაფერი გულთან ახლოს არ მიმეტანა, აქ სავარჯიშოდ ჩამოვედით და არა მათ გასანადგურებლადო.

– შენ ჩემზე უკეთესი მახსოვრობა გქონია, – ამბობს ტოთერო. ოფიციანტი ბრუნდება, ტოთერო აღარ ელოდება, როდის დააწყობს იგი ყველაფერს მაგიდაზე და ჭიქას პირდაპირ ლანგრიდან იღებს.

– მაშ, ასე, – განაგრძობს ბაჭია, – ჩავდივართ და თამაშს ვიწყებთ, მათი ფერმერების ხუთეული კი ერთ ადგილს ტკეპნის. სწრაფად ვაგროვებთ თხუთმეტ ქულას, მე კი გულთან ახლოს არაფერი მიმაქვს. სცენაზე ოცამდე მაყურებელი ზის. შეხვედრა ამხანაგურია, სანერვიულოც არაფერია. საოცარი გრძნობა მიჩნდება – თითქოს ყველაფერი შემიძლია, მხოლოდ უნდა ვირბინო, პასები გავაკეთო და მეტი არაფერი. უეცრად ვხვდები, ხომ გესმით, ვხვდები, რომ

ყველაფრის უნარი შემწევს. მეორე ნახევარში სულ რაღაც ათჯერ ვტყორცნი, ყოველ ჯერზე ბურთი პირდაპირ კალათში მიფრინავს და ისე ვარდება შიგ, რომ ბადეს არც კი ეხება, თითქოს ჭაში კენჭებს ვისროდე. ეს ტეტიები კი აქეთ-იქით დაქრიან, ოფლში იწურებიან, მხოლოდ ორი სათადარიგო მოთამაშე ჰყავთ, მაგრამ ჩვენი გუნდი მათ ლიგაში არაა და მათთვისაც სულერთია. ერთადერთი მსაჯი სცენის კიდეზე იხრება და მათ მწვრთნელს ესაუბრება. საშუალო სკოლა «ორიოლი». აი, ასე. შემდეგ კი მათი მწვრთნელი გასახდელში მოდის, სადაც ორივე გუნდი ტანსაცმელს იცვლის, კარადიდან სიდრით სავსე დოქს იღებს და წრეზე ჩამოატარებს. ნუთუ არ გახსოვთ? – უცნაური და სასაცილოც კია, რომ ვერაფრით ხვდებიან, რა არის ამაში განსაკუთრებული. ბაჭია თავის თეფშს უბრუნდება. დანარჩენებმა უკვე მიირთვეს და მეორე ჭიქას სვამენ.

– დიახ, სერ, როგორც გქვიათ, მართლაც საყვარელი ბიჭი ხართ, – ამბობს მარგარეტი.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, ჰარი, – წარმოთქვამს ტოთერო, – ბოზები ყოველთვის ასე ლაპარაკობენ.

მარგარეტის ხელი ტანს მოსწყდება, მაგიდას გადასწვდება და კაცს პირდაპირ კბილებში ხვდება.

– ტუშე, – გულგრილად ამბობს რუთი.

ყველაფერი ისე წყნარად ხდება, რომ ჩინელი, რომელიც მაგიდიდან ზედმეტ თეფშებს იღებს, ვერაფერს ამჩნევს და არც არაფერი ესმის.

– ჩვენ მივდივართ, – აცხადებს ტოთერო და წამოდგომას ცდილობს, მაგრამ თეძოთი მაგიდას ეჯახება, ჩერდება და კუზიანივით მოხრილი დგას. დარტყმისგან პირი ოდნავ მოღრეცია. ბაჭია თვალს არიდებს ყოყოჩობის, სირცხვილისა და, რაც უფრო უარესია, სიამაყის თუ პატივმოყვარეობის ამ ორაზროვან, ავადმყოფურ ნარევს. ცალყბა ღიმილისგან დაღმეჭილი ტუჩებიდან ორი სიტყვა მოფრინავს, – მოდიხართ, ძვირფასო?

– ბოზიშვილი, – პასუხობს მარგარეტი. მაგრამ მისი კაკალივით მკვრივი სხეული კაბინიდან გასხლტება, იგი უკან იხედება, ამოწმებს, მაგიდაზე სიგარეტი ან საფულე ხომ არ დარჩა, –

ბოზიშვილი, – იმეორებს იგი. არის რაღაც ლამაზი იმ აღუშფოთველობაში, რომლითაც ამ სიტყვას წარმოთქვამს. ახლა ორივენი უფრო მშვიდად გამოიყურებიან.

ბაჭიას მაგიდიდან წამოხტომა სურს, მაგრამ ტოთერო საჩქაროდ ადებს მხარზე ხელს. მოთამაშეთა სკამზე მჯდარ ბაჭიას ხშირად უგრძნია მწვრთნელის მტკიცე ხელის შეხება ზურგში მსუბუქად წამორტყმის წინ, რაც სათამაშოდ გასვლის მანიშნებელი იყო.

– არა, არა, ჰარი. დარჩი. ჩვენს უხეშობას ყურადღებას ნუ მიაქცევ. ცოტა ხნით მანქანას ხომ ვერ მათხოვებდი?

– რა? მე ხომ მის გარეშე ვერსად წავალ.

– ჰო, ჰო, მართალი ხარ, მაპატიე, გეთაყვა.

– არა, მინდოდა მეთქვა, რომ თუ გჭირდებათ... – მას არ სურს იმ მანქანის თხოვება, რომელიც მისი მხოლოდ სანახევროდაა.

ტოთერო ამას ხვდება.

– არა, არა. სულელური იდეა იყო. ღამე მშვიდობისა.

– დაჯირჯვებული ბებერი ყეყეჩი, – ეუბნება მას მარგარეტი.

ტოთერო თანამგზავრს მზერას შეავლებს და მაშინვე ფაცხაფუცხით ხრის თვალებს. ჰარი ხედავს, რომ ქალი მართალია. ტოთერო მართლაც გაფიქვინებულა, სახე ჩაფუშული ბუშტივით მოღრეცია. მაგრამ ეს ბუშტი ბაჭიას ისე შესცქერის, როგორც რაღაც მნიშვნელოვანი აზრით გაჯერებული, წყალივით მძიმე და უფორმო.

– შენ სად წახვალ? – ეკითხება ტოთერო.

– ყველაფერი კარგად იქნება. ფული მაქვს. სასტუმროში ნომერს ავიღებ, – პასუხობს ბაჭია. მას შემდეგ, რაც ტოთეროს თხოვნაზე უარი უთხრა, უნდა, რომ იგი მალე წავიდეს.

– ჩემი სავანის კარი ღიაა, – ამბობს ტოთერო, – მართალია, იქ მხოლოდ ერთი საწოლი დგას, მაგრამ მატრასის გაკეთებაც შეიძლება...

– არა, არა, – გადაჭრით ეწინააღმდეგება ბაჭია, – თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ, მაგრამ არ ვაპირებ ტვირთად

დაგაწვეთ. ყველაფერი კარგად იქნება. ისედაც არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ.

– ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ, – ჰპირდება ტოთერო და მარგარეტს უკანალზე ხელს თითქოს შემთხვევით წამოარტყამს.

– იცოდე, მოგკლავ, – ეუბნება მარგარეტი და ორივენი მიდიან.

უკნიდან ისინი მამა-შვილს ჰგვანან, დახლს გაივლიან, სადაც ოფიციანტი ამერიკელ ქალიშვილს ესაუბრება და შუშის კარით გარეთ გადიან. მარგარეტი წინ მიდის. თითქოს ასეც უნდა იყოს, თითქოს ხის ფიგურები არიან, რომლებიც ძველებურ ბარომეტრს ტოვებენ და კვლავ უბრუნდებიან.

– ღმერთო ჩემო, ტოთერო საშინელ ფორმაშია.

– ვინღაა ახლა კარგ ფორმაში? – ამბობს რუთი.

– თუნდაც თქვენ.

– გინდათ მითხრათ, რომ კარგ მადაზე ვარ?

– მომისმინეთ, თქვენ, მგონი, კომპლექსი გაწუხებთ დიდი სხეულის გამო. სულაც არა ხართ მსუქანი. ჩემი აზრით, ძალზე პროპორციული აღნაგობა გაქვთ.

ქალი იცინის, შემდეგ ჩუმდება, ბაჭიას შესცქერის, კვლავ იცინის, ორივე ხელს მხარზე ადებს და ეუბნება:

– ბაჭიავ, თქვენ ნამდვილი ქრისტიანი ჯენტლმენი ხართ.

ქალის პირიდან საკუთარი სახელის გაგონებაზე კაცი სითბოს მოზღვავებას გრძნობს.

– ნეტავ რა მიზეზით დაარტყა? – კითხულობს იგი და ხითხითებს, თან ეშინია, ქალმა მხარზე დადებული ხელი ხუმრობით ფერდზე არ მიაჭიროს. მისი მტკიცე ტაცი ამგვარ შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავს.

– მას მოსწონს ხალხის ცემა. ერთხელ მეც დამარტყა.

– ალბათ, აიძულეთ, რომ ასე მოქცეულიყო.

ქალი მისი მხრიდან ხელებს იღებს და მაგიდაზე აწყობს.

– ტოთერომაც აიძულა. მასაც მოსწონს, როდესაც ურტყამენ.

– თქვენ მას ასე კარგად იცნობთ?

– მარგარეტი მიყვებოდა მის შესახებ.

– ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ მას იცნობთ. ის ქალი სულელია.

– რაც მართალია, მართალია. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი სულელია.

– ძალიან კარგადაც წარმოვიდგენ. მის ტყუპისცალზე ვარ დაქორწინებული.

– აუჰ! დაქორწინებული.

– ერთი იმაში გამარკვიეთ, რონი ჰარისონზე რას ამბობდით? იცნობთ?

– თვითონ რას ამბობდით? დაქორწინებული ვარო, არა?

– ვიყავი დაქორწინებული. ახლაც დაქორწინებული ვარ.

იგი ნანობს, რომ ამ საკითხს შეეხო. უზარმაზარი ბუშტუკი, საკუთარი საოცარი მდგომარეობის გაცნობიერება გულზე მძიმედ აწვება. ასე ადრეც ემართებოდა, ბავშვობაში, როდესაც შაბათ საღამოს სახლისკენ მიმავალი უეცრად გრძნობდა, რომ ირგვლივ ყველაფერი – ხეები თუ ქვაფენილი – ცხოვრება იყო, ერთადერთი და განუმეორებელი რეალობა.

– ახლა სად არის?

ესღა აკლდა – თუ ბიჭი ხარ, უპასუხე: სად შეიძლებოდა წასულიყო ჯენისი?

– ის, ალბათ, თავის მშობლებთანაა. მე მხოლოდ გუშინ მივატოვე.

– ოჰ, მაშასადამე, შვებულებაში ყოფილხართ. არ მიგიტოვებიათ.

– არა, არა, მგონი, მივატოვე.

ოფიციანტს მათთვის შირბახტის ღვეზელი მოაქვს. ბაჭია გასასინჯად ერთ ცალს იღებს, ფიქრობს, რომ მაგარია, ჩაკბეჩს და ძალზე ნასიამოვნები რჩება, როდესაც თხელი ქერქიდან პირში რბილი, ბლანტი ჟელე ეღვრება.

– თქვენი მეგობრები აღარ დაბრუნდებიან? – კითხულობს ოფიციანტი.

– მაგაზე ნუ დარდობთ. მე გადავიხდი, – პასუხობს ბაჭია.

ჩინელი თავის მიჭყლეტილ წარბებს მაღლა სწევს, იღრიჯება თუ იღიმება და მიდის.

– მდიდარი ხართ? – აინტერესებს რუთს.

– არა, ღარიბი.

– ნუთუ მართლა სასტუმროში აპირებთ ღამის გათევას?

ორივენი კიდევ რამდენიმე ღვეზელს იღებენ. თეფშზე სულ ოცამდეა.

– დიახ. ახლა ჯენისზე მოგიყვებით. მე მის მიტოვებას იმ წუთამდე არ ვაპირებდი, სანამ მისგან არ წამოვედი. ჩემთვის უეცრად ცხადი გახდა, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო. იგი ხუთი ფუტი და ექვსი დუიმია, შავგვრემანი...

– არავითარი სურვილი არა მაქვს, მის შესახებ რაიმე მოვისმინო, – გადაჭრით ამბობს რუთი. როდესაც თავს გადასწევს და ჭერზე სანათებს ათვალიერებს, მისი ნაირფერი თმა ერთგვაროვანი, მუქი შეფერილობის ხდება. სინათლე თმას უფრო უხდება, ვიდრე სახეს – ჰარისკენ მომართულ მხარეს, პუდრის ქვემოდან, რაღაც ლაქების თუ ხუწუწების კვალი მოჩანს.

– სურვილი არა გაქვთ, – ამბობს ბაჭია. მკერდიდან ბუშტუკი მოგორავს. თუ ეს არავის ადარდებს, მას რატომღა უნდა აწუხებდეს? – კარგი. რაზე ვისაუბროთ? რამდენს იწონით?

– ას ორმოცდაათს.

– ერთი ციცქნა ყოფილხართ. მეორე ქვესაშუალო წონა. არ გეხუმრებით. ვის რაში სჭირდება ცარიელი ძვალი და ტყავი? თქვენი წონის ყოველი გირვანქა ნამდვილი საგანძურია.

იგი უმიზნოდ ლაქლაქებს, უხარია და იმიტომ. მაგრამ მის სიტყვებში რაღაც ისეთი გაისმის, რაც ქალს ყურებს დააცქვეტინებს.

– თქვენ ძალიან ჭკვიანი ხართ, – ამბობს იგი და თვალებთან

ცარიელ ბოკალს მიიტანს. ეს არის ბრტყელი პატარა ვაზა მოკლე ფეხზე, სწორედ ისეთი, რომლებშიც დაბადების დღის აღსანიშნავ პიჟონურ წვეულებებზე ნაყინს დებენ. ქალის სახეზე არეკლილი სინათლის მკრთალი რკალები მიცურავს.

– არც საკუთარი წონის შესახებ გსურთ საუბარი. ჰმ, – იგი პირში მორიგ ღვეზელს გადაუშვებს და ელოდება, თუ როდის გაუვლის ჟელეს ცხარე გემოს პირველი შეგრძნება, – კეთილი. მოდი, ფირფიტა გადავატრიალოთ. იცით, რა გჭირდებათ თქვენ – მის ამერიკას? «მაგიური სახეხელა». ინარჩუნებს ვიტამინებს. სპობს ზედმეტ ცხიმებს. პლასტმასის ხრახნის ერთი ბრუნი და შეგიძლიათ გახეხოთ სტაფილო ან გათალოთ თქვენი მეუღლის ფანქრები. ერთი სიტყვით, ყველაფერში გამოიყენებთ.

– კარგი, რა. მორჩით სისულელეებს.

– კარგი.

– მოდი, რაიმე სასიამოვნოზე ვილაპარაკოთ.

– თანახმა ვარ. თქვენ დაიწყეთ.

იგი ღვეზელს მოკბეჩს და პირგამოტენილი ბაჭიას შესცქერის, დაბერილი ტუჩების კუთხეები სასაცილოდ დაუშვია. ღეჭვის დროს სახეზე უსაზღვრო კმაყოფილება ეტყობა. ბოლოს იგი ლუკმას გადაყლაპავს, მრგვალ ცისფერ თვალებს ფართოდ დააჭყეტს, ერთს ამოიოხრებს, რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ ამის ნაცვლად სახეში შესცინებს.

– მაცალეთ, – ამბობს იგი, – ახლავე, – შემდეგ თავის ბოკალში ჩაიხედავს, დაძაბულად ფიქრობს, მაგრამ მხოლოდ ამის თქმას ახერხებს, – არ არის საჭირო სასტუმროში ცხოვრება.

– მომიწევს. მითხარით, რომელია უკეთესი.

მას ინტუიცია კარნახობს, რომ ქალმა ბევრი რამ უნდა იცოდეს სასტუმროების შესახებ. იქ, სადაც მისი კისერი შეუმჩნევლად გადადის მხარზე, თეთრად მოჩანს პატარა ღრმული, და კაცი ყურადღებიან მზერას სწორედ ამ ნაწილს მიაპყრობს.

– ყველა ძვირი ღირს, – ამბობს რუთი, – ყველა. პატარა ოთახიც კი ძვირია.

– თქვენი ბინა სად მდებარეობს?

– აქვეა. სამარ-სტრიტზე. მეორე სართული, ექიმის კაბინეტის თავზე.

– მარტო ცხოვრობთ?

– დიახ. მეგობარი გამითხოვდა.

– თუ არ მუშაობთ, ბინის ქირას როგორ იხდით?

– ამით რისი თქმა გსურთ?

– არაფრის. თვითონვე მითხარით, რომ არსად მუშაობთ. ფასს ხომ არ მეტყოდით?

რუთი მას დაძაბული ცნობისმოყვარეობით შესცქერის, რომელიც კაცმა თავიდანვე შეამჩნია, ჯერ კიდევ ავტოსადგომზე, მრიცხველების გვერდით.

– ბინას ვგულისხმობ, – განმარტავს ბაჭია.

– თვეში ას ათი. სინათლისა და გაზის ჩაუთვლელად.

– და არსად არ მუშაობთ.

ქალი ბოკალს მისჩერებია და ორივე ხელით არწევს, რის გამოც არეკლილი შუქი ჭიქის კიდეებს გადაურბენს.

– რაზე ფიქრობთ? – ეკითხება ბაჭია.

– გაოცებული ვარ.

– რატომ?

– ძალიან ჭკვიანი ხართ.

კაცი თავის მოუბრუნებლად გრძნობს მსუბუქი ნიავის წამოქროლას. აი, თურმე საით მიჰყავს საქმე, მას კი ეეჭვებოდა.

– ერთ რამეს გეტყვით. ვითომ რატომ არ უნდა დამრთოთ ნება, რომ ბინის ქირის გადახდაში შეგეშველოთ?

– რატომ გსურთ ამის გაკეთება?

– დიდი და კეთილი გული მაქვს, – პასუხობს ბაჭია, – ათი?

– თხუთმეტი მჭირდება.

– სინათლისა და გაზისთვის. კარგი, კარგი.

იგი გაურკვევლობაშია, არ იცის, როგორ მოიქცეს. სხედან და ცარიელ თეფშს დასჩერებიან, რომელზეც შირბახტის ღვეზელების პირამიდა იყო აგებული – ყველა შეუჭამიათ. გაოცებულ ოფიციანტს მზერა თეფშიდან ბაჭიაზე, ბაჭიადან კი რუთზე გადააქვს – ეს ყველაფერი წამებში ხდება. იგი მათ ჩეკს წარუდგენს – ცხრა დოლარი და სამოცი ცენტია. ბაჭია ზემოდან ათ და ერთდოლარიანს დებს, გვერდით კი კიდევ ათიანსა და ხუთიანს. თავისთვის ითვლის, საფულეში რამდენი მრჩებაო: ოცდათოთხმეტი დოლარი. როდესაც თავს ასწევს, გაპრიალებული მაგიდიდან რუთის ფული უკვე გამქრალა. იგი დგება, რბილ პალტოს იღებს და ქალს უწვდის. მისი ნადავლი დიდი მწვანე თევზივით მოძრაობს, კაბინიდან გამოდის და გულგრილად აძლევს მას უფლებას, პალტო ჩააცვას. ათი ცენტი ყოველ გირვანქაზე, სწრაფად ანგარიშობს კაცი.

ეს მხოლოდ წვრილმანი გასამრჯელოა. ბაჭია ჩეკით ხელში დახლთან მიდის და ქალიშვილს ათდოლარიანს უწვდის. იგი მოღუშული სახით გადათვლის ხურდას. მისი თვალების საშინელი სიცარიელე აკურატულადაა ტუშით შემოვლებული. უბრალო ლილისფერი კიმონო ძნელად ესადაგება ზამბარისებრ პერმანენტსა და ფერუმარილიან გალეულ სახეს ტიპური ამერიკული მჟავე გამომეტყველებით. როდესაც იგი მონეტებს ხურდისთვის განკუთვნილ ვარდისფერ თეფშზე დებს, კაცი ხელს აიქნევს, კიდევ დოლარს ამატებს და ახალგაზრდა ჩინელზე მიუთითებს, რომელიც ქალიშვილის გვერდით დგას და მათ თვალს არ აცილებს.

– ძალიან ბევრი მადლობა, სერ. ჩვენ ბევრი მადლობა, – ეუბნება იგი ბაჭიას. მაგრამ მისი მადლობა იმ დროსაც კი ვერ ფარავს, რომელიც რესტორნიდან გასასვლელადაა საჭირო. როდესაც წყვილი შუშის კარისკენ მიემართება, იგი მოლარისკენ ტრიალდება და უზადო წარმოთქმითა და ინტონაციებით განაგრძობს ამბის მოყოლას: «მაშინ მეორე კატა ეუბნება, ჩემი ჰელიუმი იყოო»...

* * *

ბაჭია ქუჩაში რუთთან ერთად გამოდის. ჯაჯის მთის მარჯვნივ ქალაქის ცენტრი ბრწყინავს – უამრავი ანთებული ნათურა,

ნეონშემოვლებული კონტურები: ჩექმა, არაქისი, ცილინდრი, ლუდ «მზესუმზირას» რეკლამა – ექვსსართულიანი სახლის სიმაღლის ნეონის მწვანე ღერო და ყვავილის ყვითელი გული მეორე მთვარესავით. ერთი კვარტალით ქვემოთ ზარის აჩქარებული, მონოტონური ხმა ისმის. რკინიგზის გადასასვლელის შლაგბაუმი – ორი გრძელი დანა წითელი დაბოლოებებით – ძირს ეშვება, ნეონის რბილ მასაში ერჭობა. მოძრაობა ჯერ შენელდება, მერე კი შეჩერდება.

რუთი მარცხნივ, მთის ჩრდილისკენ შეუხვევს. ბაჭია მიჰყვება. ხმაურიან ქვაფენილს ზევით მიუყვებიან. ასფალტით დაფარული ფერდობი დამარხულ ხმას ჰგავს, მიწის მოულოდნელ ექოს, რომელიც აქ ქალაქზე ადრე გაჩნდა. ქვაფენილი ბაჭიას გამჭვირვალე დაიკირის აგონებს. იგი მხიარულადაა, ხტუნავს, რათა ქალს ფეხი აუწყოს. რუთი ცას შესცქერის, სადაც სასტუმრო «ბელვედერის» კაშკაშა თანავარსკვლავედი ჯაჯის მთის თავზე ვარსკვლავებს ერწყმის. ისინი მდუმარედ მიაბიჯებენ, უკან კი, რკინიგზის გადასასვლელზე, ქშენითა და ღრჭიალით სატვირთო შემადგენლობა მიღოღავს.

აჰა, აი, თურმე რა ხდება – ახლა იგი ქალს აშკარად არ მოსწონს, როგორც იმ ბოზს ტეხასში.

– მითხარით, ერთხელ მაინც თუ ასულხართ მწვერვალზე? – ეკითხება ქალს ბაჭია.

– როგორ არა. მანქანით.

– როდესაც პატარა ვიყავი, – ამბობს კაცი, – ხშირად ავდიოდით ზევით, ოღონდ მეორე მხრიდან. იქ ძალიან ხშირი და პირქუში ტყეა. ერთხელ ძველი სახლის ნანგრევებს წავაწყდი – ხვრელს მიწაში და რამდენიმე ქვას. რომელიღაც პიონერის ფერმა იქნებოდა.

– მე ზემოთ მხოლოდ ერთხელ ვიყავი მანქანით, ერთ თავხედ ტიპთან ერთად.

– მომილოცავს, – ეუბნება ბაჭია, განაწყენებული იმ სიბრალულით საკუთარი თავის მიმართ, რომელიც ქალის უკმეხ გამომეტყველებაში იმალება.

როდესაც იგრძნობს, რომ კაცი მიხვდა, იგი იღრინება:

– როგორ ფიქრობთ, რაში უნდა მაინტერესებდეს თქვენი პიონერი?

– არ ვიცი. რატომაც არა? თქვენ ხომ ამერიკელი ხართ.

– დიდი ამბავი! ასეთივე წარმატებით შეიძლებოდა მექსიკელადაც დავბადებულიყავი.

– ვერ დაგეთანხმებით. ამისთვის ნაკლები სიმაღლეა საჭირო.

– რომ იცოდეთ, ნამდვილი ღორი ხართ.

– გეყოფა, პატარავ, – პასუხობს ბაჭია და განიერ წელზე ხელს მოხვევს, – ჩემი აზრით, საკმაოდ სუფთა ვარ.

– მაგას ნუ მეტყვი.

უაიზერ-სტრიტიდან ქალი მარცხნივ უხვევს და მის ხელს იცილებს. ახლა ისინი სამარ-სტრიტზე არიან. ფასადები ერთმანეთს ერთ უწყვეტ მუქ ფასადად ერწყმის. სახლების ნომრები შესასვლელი კარების თავზე მოთავსებულ ნახევრად მომრგვალებულ ფერად ფანჯრებშია ჩასმული. პატარა საბაყლოს მომწვანო-ნარინჯისფერ შუქში კუთხეში მოყიალე ბიჭების სილუეტები მოჩანს. სუპერმარკეტები ავიწროებენ ამგვარ პატარა მაღაზიებს და გვიანობამდე მუშაობას აიძულებენ.

ბაჭია კვლავ მოხვევს ქალს ხელს და სთხოვს:

– კარგი, გეყოფა. შენ ხომ დამჯერე გოგო ხარ.

მას უნდა მიახვედროს, რომ უხეშობით ვერაფერს მიაღწევს. ქალს სურს, კაცი მხოლოდ მისი მძიმე სხეულით დაკმაყოფილდეს, კაცს კი უნდა, რომ ქალი, ბუმბულივით მსუბუქი, მთლიანად ეკუთვნოდეს. მისდა გასაოცრად, რუთი მის მოძრაობას იმეორებს და წელზე ხელს ხვევს. ასე სიარული მოუხერხებელია, ამიტომ შუქნიშანთან ერთმანეთს სცილდებიან.

– მომეჩვენა, რომ რესტორანში მოგეწონე. მე ხომ ტოთეროსთვის მინდოდა მესიამოვნებინა, ვეუბნებოდი, მაგარი მწვრთნელი იყავი-მეთქი.

– მე კი მგონია, რომ მხოლოდ საკუთარ თავს იქებდი.

– ვიყავი კიდეც შესაქები. ეს ფაქტია. ახლა არაფრისთვის აღარ ვვარგივარ, ადრე კი მართლაც კარგად ვთამაშობდი.

– იცი, მე რა გამომდიოდა კარგად?

– რა?

– საჭმელების კეთება.

– სწორედ ის, რაც ჩემს ცოლს არ ეხერხება, იმ საბრალოს.

– თუ გახსოვს, საკვირაო სკოლაში სულ იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, ღმერთმა თითოეულ ჩვენგანს რაღაც ნიჭი დაანათლაო. ჰოდა, ჩემი ნიჭი კერძების კეთებაა. ვოცნებობდი, რომ შესანიშნავი მზარეული გამოვსულიყავი.

– მერედა გახდი?

– არ ვიცი. მე ხომ შინ იშვიათად ვსადილობ.

– რატომ?

– ჩვენს საქმეში სხვაგვარად არ გამოდის, – პასუხობს იგი. კაცი ჩუმდება. არ ეგონა, რომ საქმე აქამდე იყო მისული. გულში შიში ეპარება. თუ მართლაც ასეა, მისი სიყვარული მას ძალიან ბევრს ჰპირდება.

– მე მოვედი, – ამბობს ქალი.

სახლი აგურისაა, ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ქუჩის დასავლეთ მხარეს. გზის მეორე მხარეს, ფარნის ქვეშ ჩამოშვებული ნაცრისფერი შტორივით, დიდი, კირქვისგან ნაგები ეკლესია აღმართულა. წყვილი სადარბაზოში ფერადი ფანჯრის ქვემოდან შედის. ვესტიბიულში ზარის ღილაკებია სპილენძის საფოსტო ყუთების ქვეშ, გალაქული სადგარი ქოლგებისთვის, რეზინის პატარა საფენი მარმარილოს იატაკზე და ორი კარი: მარჯვნივ – მქრქალი, პირდაპირ კი – უმტვრევი, მავთულიანი მინით, რომლის იქითაც რეზინის ბილიკებით დაფარული კიბე მოჩანს. რუთი ამ კარს გასაღებს მოარგებს, ბაჭია კი მეორე კარზე მოოქრულ წარწერას კითხულობს: «მედ. დოქტორი ფ. ჰ. პელიგრინი».

– ბებერი მელა, – ამბობს რუთი და ბაჭია კიბით ზემოთ აჰყავს.

იგი ერთი სართულით მაღლა ცხოვრობს. მისი კარი

ლინოლეუმით დაფარული დერეფნის შორეულ ბოლოშია, ქუჩასთან ახლოს. სანამ რუთი საკეტში გასაღებს აჩხაკუნებს, ბაჭია მის უკან დგას. ქუჩის ფარნის ცივ შუქში, რომელიც ფანჯარაში უსწორმასწოროდ ჩასმული ოთხი შუშიდან შემოდის – ეს ლურჯი მინები ისეთი თხელი ჩანს, კაცი იფიქრებს, შეხებისთანავე დაიმსხვრევაო, – მას მოულოდნელად კანკალი აუვარდება: ჯერ ფეხები აუცახცახდება, შემდეგ – კანი გვერდებზე.

ბინაში შესვლისთანავე რუთი ამომრთველისკენ მიიწევს. ბაჭია ხელს ჩამოაშვებინებს, თავისკენ მოატრიალებს და კოცნის. ეს რაღაც სიგიჟეა. მას ქალის გასრესა სურს. ამ სურვილს – რაც შეიძლება ძლიერად მოუჭიროს – თეძოებს შორის მოთავსებული პატარა ძრავაც აორმაგებს და აოთხმაგებს. ეს სიყვარული როდია, როდესაც მზერა კანზე დასრიალებს. არა, იგი ვერც თავის კანს გრძნობს და ვერც – მისას. სურს, ქალის გული საკუთარს ჩააჭყლიტოს, რათა ერთხელ და სამუდამოდ ანუგეშოს. რუთი ერთიანად იკუნტება. მისი დამყოლი სველი ტუჩების ბალიში, ხალისით რომ დათანხმდა კოცნას, მაგრდება და შრება. როგორც კი თავის უკან გადაწევასა და ხელის გათავისუფლებას ახერხებს, ხელისგულით კაცს ნიკაპზე აწვება, თითქოს თავის ქალის დერეფანში გადაგდებას აპირებს, თითებს კრუნჩხავს და გრძელ ფრჩხილს მისი თვალის ქვეშ, ნაზ კანში ასობს. ბაჭია ქალს თავს ანებებს. სასწაულებრივად გადარჩენილ თვალს აელმებს. კისერი სტკივა.

– გაეთრიე, – ამბობს ქალი. დერეფნიდან შემოსულ შუქში ფუმფულა და გაცრეცილი სახე გონჯისას მიუგავს.

– კარგი რა, – ამბობს კაცი, – მე ხომ მოფერება მინდოდა.

სიბნელეში ბაჭია ხედავს, რომ ქალს ეშინია. იგი ამ შიშს მისი ზორბა ტანის ნაკეცით გრძნობს, ისე, როგორც ენა გრძნობს პირში სისხლს კბილის ამოძრობის შემდეგ. ჰაერი თითქოს გაუნძრევლად დგომას უბრძანებს. სიცილი უნდა, მაგრამ მიზეზს ვერ პოულობს. ქალის შიში და მისი საკუთარი თავდაჯერებულობა ცუდად ესადაგება ერთმანეთს – თვითონ ხომ იცის, რომ არაფერს დაუშავებს.

– მოფერება თუ დახრჩობა? – ეკითხება ქალი.

– მთელი საღამოს განმავლობაში მიყვარდი, – განაგრძობს კაცი, – ეს სიყვარული საკუთარი ორგანიზმიდან უნდა გამომედევნა.

– ვიცი მე თქვენი ორგანიზმები. ერთი ჰოპლა და მორჩა.

– მე ასე არ მომივა, – ჰპირდება იგი.

– აჯობებს, ასე მოხდეს. მინდა, სწრაფად წაეთრიო აქედან.

– ტყუილია.

– საკუთარი თავი ყველას შესანიშნავ საყვარლებად წარმოგიდგენიათ.

– ვარ კიდევაც ასეთი. მე შესანიშნავი საყვარელი ვარ, – არწმუნებს იგი და ალკოჰოლითა და აღგზნებით შეგულიანებული, ბურანში მყოფივით წინ მიიწევს.

ქალი უკან იხევს, მაგრამ არც იმდენად სწრაფად, რომ კაცმა შიშის იარის შეხორცება ვერ იგრძნოს. ქუჩიდან შემოსულ შუქში ბაჭია ხედავს, რომ პატარა ოთახში არიან, რომლის ავეჯსაც ორი სავარძელი, დივანი და მაგიდა შეადგენს. რუთი მეზობელი, უფრო მოზრდილი ოთახისკენ მიემართება, სადაც ორადგილიანი საწოლი დგას. შტორი სანახევროდაა ჩამოწეული და სინათლის დაბალ სხივებში გადასაფარებლის ყოველი ამობურცულობა ჩრდილს წარმოქმნის.

– კარგი, შემოდი, – ამბობს ქალი.

– შენ სად მიდიხარ? – ეკითხება კაცი, როდესაც ხედავს, რომ იგი ხელს კარის სახელურს ჰკიდებს.

– იქით.

– გახდას იქ აპირებ?

– ჰო.

– არ გინდა. ნება მომეცი, თვითონ გაგხადო. გთხოვ.

ბაჭია ისეა ამ აზრით შეპყრობილი, რომ ქალს უახლოვდება და ხელზე ხელს ჰკიდებს.

– როგორც ვხედავ, მბრძანებლობა გყვარებია.

– ხომ გითხარი, გთხოვ-მეთქი.

– ტუალეტში მინდა! – ამბობს ქალი დაუფარავი გაღიზიანებით.

– ოღონდ ჩაცმული დაბრუნდი.

– იქ კიდევ რაღაც უნდა გავაკეთო.

– არ არის საჭირო. ვიცი, რასაც გულისხმობ. ვერ ვიტან მაგ რაღაცებს.

– შენ ვერც კი იგრძნობ.

– მე ხომ ვიცი! ჩემთვის ეს იგივეა, რაც ხელოვნური თირკმლები.

რუთი იცინის.

– აი, შე წუნიავ! მაშინ იქნებ თვითონ მიიღებ ზომებს?

– არავითარ შემთხვევაში. ეს კიდევ უფრო მეჯავრება.

– მომისმინე, არ ვიცი, რისი მიღება გსურს თხუთმეტ დოლარად, მაგრამ მე რისკზე წასვლას არ ვაპირებ.

– მაშინ დამიბრუნე ჩემი თხუთმეტი დოლარი.

ქალი წასვლას ცდილობს, მაგრამ კაცს იგი მაგრად უჭირავს.

– შენ ისე იძლევი ბრძანებებს, თითქოს ცოლ-ქმარი ვიყოთ.

კაცი კვლავ გრძნობს გამჭვირვალე ტალღის მოზღვავებას და ძლივს გასაგონად ჩურჩულებს:

– კარგი, ეგრე იყოს, – მერე ისე სწრაფად, რომ ქალი ტანის გასწვრივ ჩამოშვებული ხელების განძრევასაც კი ვერ ასწრებს, ბაჭია მის ფეხებთან ჩაიმუხლებს და თითზე იმ ადგილას კოცნის, სადაც ბეჭედი უნდა ეკეთოს, შემდეგ კი ფეხსაცმელებზე თასმებს უხსნის, – ნეტავ რატომ დადიან ქალები მაღალ ქუსლებზე? – ეკითხება იგი და ისე მოულოდნელად და ძლიერად უწევს ფეხს ზევით, რომ წონასწორობის შესანარჩუნებლად რუთი იძულებულია, თმაში წაავლოს ხელი, – ნუთუ ფეხებს არ გტკენს?

ბაჭია გადახლართულთასმებიან ერთ ფეხსაცმელს გვერდით ოთახში მოისვრის, მერე მეორესაც მიაყოლებს. ახლა ქალი მყარად დგას იატაკზე. კაცი მას კოჭებში ჰკიდებს ხელს და ძლიერად უზელს მომრგვალებულ მსხვილ ნაკუთალებს. როდესაც ნერვიულობს, ასეთი მასაჟი მასზე დამამშვიდებლად მოქმედებს.

– კარგი, – ამბობს რუთი. ხმა ოდნავ დაძაბული აქვს – ეშინია, არ წაიქცეს, რადგან კაცმა თავისი წონით იგი იატაკზე მიალურსმა,

– ლოგინში ჩაწექი.

ბაჭია გრძნობს, რომ მახეს უგებენ.

– ეგრე არ გამოვა, – ამბობს იგი და წელში სწორდება, – ჩემი მოტყუება გინდა.

– არა. ისე, რას აიჩემე, შენ ხომ ვერაფერს გაიგებ.

– როგორ ვერ გავიგებ. რომ იცოდე, როგორი მგრძნობიარე ვარ!

– ღმერთო ჩემო! კარგი, მაგრამ ტუალეტში მაინც უნდა შევიდე.

– კი, ბატონო, ეგ სულ არ მანაღვლებს, – ამბობს ბაჭია და გაღებულ კარს ხელით იჭერს.

რუთი ქალური სიდინჯით ჯდება, ზურგი გამართული აქვს, ნიკაპი – შეწეული. ფეხები მუხლებს ზემოთ ტრუსის ზოლებით აქვს დაბორკილი. იგი გაუნძრევლად ელოდება შემპარავ ჩხრიალს. სახლში ბაჭიამ და ჯენისმა გადაწყვიტეს, ნელსონი უნიტაზისთვის მიეჩვიათ, და ახლა, როცა კარის ამყოლს მიყრდნობილი დგას, მამილოსავით დიდი და ღონიერი, ანგარიშმიუცემელ სურვილს გრძნობს, რომ უთხრას (მაგარი სეირი კი იქნება): «ყოჩაღ, აი, ჭკვიანი გოგო». თან როგორი სუფთაა – ლიმონივით ყვითელი ქაღალდის ნაგლეჯი ქვემოთ, კაბის ქვეშ მიემართება. ქალი მკვეთრად დგება ფეხზე და წამით ბაჭიას თვალწინ ნაჭრებისგან მოქსოვილი დაუცველი, ფარული ერთიანობა იშლება – წინდები და სამაგრი რეზინები, აბრეშუმი და ბეწვი და ნაზი სხეული.

– კარგი გოგო ხარ, – ამბობს და ქალი საძინებელ ოთახში მიჰყავს.

მათ ზურგს უკან აღშფოთებული წყალსადენის მილები ბუზღუნებენ. კაცის ნებისყოფით მონუსხული ქალი შებოჭილად და მორიდებით მოძრაობს. ბაჭიასაც იგივე ემართება. მთელი სხეულით აკანკალებული, ქალს საწოლთან მიიყვანს და კაბის შესაკრავის ძებნას იწყებს. ზურგზე ღილებს კი აგნებს, მაგრამ დაყოვნება უწევს, რადგან ჩასაღილავი მეორე მხრიდანაა.

– მე თვითონ ვიზამ.

– ნუ ჩქარობ, შეგიხსნი. უნდა გიხაროდეს, ეს ხომ ჩვენი საქორწილო ღამეა.

– მგონი, ცოტა გააფრინე.

ბაჭია უხეშად აბრუნებს ქალს თავისკენ და კვლავ ეუფლება მისი ნუგეშისცემის დაუცხრომელი სურვილი. ეხება ქალის სქლად შეღებილ ლოყებს და, როდესაც ზემოდან დაჰყურებს დაჩრდილულ, გაჯავრებულ სახეს, იგი სულ პატარა ეჩვენება. ბაჭია ალერსიანად მიიწევს ქალის თვალისკენ და ცდილობს შთააგონოს, რომ ამ ღამით აჩქარება საჭირო არაა. მიუხედავად იმისა, რომ თავისი აუღელვებელი სიფრთხილით, შესაძლოა, დასაცინიც გახდეს, იგი მას მეორე თვალსაც უკოცნის, შემდეგ კი, საკუთარი სინაზით აღელვებული, ვნებას ვეღარ იოკებს და ისე გაშმაგებით კბენს და ლოკავს რუთის სახეს, რომ ქალი სიამოვნებისგან იცინის და მას თავიდან იცილებს. კაცი იხუტებს, იხრება და კბილებს კისრის ძირში რბილ და ცხელ ჩაღრმავებაზე უჭერს. კბენის მოლოდინში რუთი შეშინებული კრთის და ხელისგულებს მხრებზე აბჯენს, მაგრამ კაცი არ უშვებს, ხვევნით ლამის გაგუდოს, უყვირის, რომ მხოლოდ სხეული კი არ სჭირდება, არამედ მთელი მისი არსება. რუთი სიტყვებს ვერ არჩევს, მაგრამ აზრს ხვდება და ეუბნება:

– ნუ ცდილობ იმის დამტკიცებას, რომ შესანიშნავი საყვარელი ხარ. მორჩი შენს საქმეს და აქაურობას მოშორდი.

– რა ჭკვიანი ხარ!

ბაჭია დასარტყმელად ხელს მაღლა სწევს, მაგრამ თავს იკავებს და სთავაზობს:

– დამარტყი. მიდი. ვიცი, რომ გინდა. ერთი კარგად მიმბეგვე.

– ო-ო, ღმერთო, ეს მთელი ღამე არ მორჩება, – კაცი ქალის მოდუნებულ ხელს სწევს, თითებს ახრევინებს და მსუბუქად ირტყამს ლოყაში, – საბრალო მარგარეტი, სწორედ ასე უწევს ხოლმე იმ ბებერი ნაძირალას, შენი მეგობრის მოფერება.

– მათ ნუ მიხსენებ, – სთხოვს კაცი.

– დაწყევლილი მამაკაცები. აუცილებლად ან სხვას უნდა ატკინონ, ან თვითონ განიცადონ ტკივილი ვინმესგან.

– სულაც არ მინდა ეს. არც ერთი და არც მეორე. სიმართლეს გეუბნები.

– ნუღარ აჭიანურებ! გამხადე და საქმეს შეუდექი.

– რა ენა გაქვს, – ამოიოხრებს კაცი.

– ვწუხვარ, თუ შენში შეცბუნებას ვიწვევ, – ამბობს ქალი მკვეთრი ხმით.

– სულაც არ მაცბუნებ, – პასუხობს ბაჭია, საქმეს უბრუნდება და ხელს კაბის კალთას ავლებს. თვალები სიბნელეს უკვე იმდენად შეაჩვია, რომ გარკვევით არჩევს ქსოვილის მწვანე ფერს. კაბის გახდისას ქალი ხელებს მაღლა ასწევს და თავი წამით ვიწრო საყელოში ეჭედება. იგი გაბრაზებული აქნევს თავს, კაბა თავისუფლდება და უფორმო თბილ გუნდასავით კაცის ხელში აღმოჩნდება, რომელიც მას კუთხეში მდგარი სკამისკენ ისვრის, – ოჰ, რა კარგი ხარ! – არ იშურებს იგი კომპლიმენტს.

ვერცხლისფერ კომბინაციაში ქალი მოჩვენებას ჰგავს. კაბის გახდისას მას ვარცხნილობა უფუჭდება. რუთი ბაჭიას შუბლშეკრული მისჩერებია, სწრაფად იძრობს სამაგრებს და თმა ხშირ რგოლებად ეფინება მხრებზე. კომბინაციაში ყველა ქალი პატარძალს ჰგავს.

– უფრო მსუქანი, ვიდრე კარგი, – ამბობს იგი.

– არა, კარგი ხარ... – თვალის დახამხამებაში ბაჭია ხელში იტაცებს გამჭვირვალე, ოდნავ მარცვლოვანი კომბინაციით მოჭიმულ ამ უზარმაზარ შაქრის ხორგს და საწოლისკენ მიაქვს.

– არ უნდა აგეწიე. ახლა აღარაფერი გამოგივა.

ფანჯრიდან მკვეთრი შუქი ქალს სახეზე ეცემა და კისრის ნაოჭებს შავად ხაზავს.

– შტორი ხომ არ დავუშვა?

– თუ არ შეწუხდები. სანახავი არაფერია.

კაცი ფანჯარასთან მიდის, რათა ნახოს, ქალი რას გულისხმობს. მოპირდაპირე მხარეს მხოლოდ ეკლესია მოჩანს – ნაცრისფერი, პირქუში, თავის თავში დარწმუნებული შენობა. ფანჯარა-როზეტის მიღმა ჯერაც ანთია შუქი და ქალაქში ჩამოწოლილ ღამეში ეს წითელი, ლილისფერი და ოქროსფერი წრე რეალურ სამყაროში გაკეთებულ ხვრელს ჰგავს, საიდანაც ადამიანებმა არამიწიერი ნათება უნდა დაინახონ. ბაჭია მადლობელია ამ სილამაზის შემქმნელებისა და დამნაშავესავით უშვებს ძირს

შტორს. მერე სწრაფად ტრიალდება და ხედავს, რომ რუთის თვალები ყურადღებით მისჩერებია ჩრდილიდან. ისინიც ზედაპირზე გაკეთებულ ხვრელებს ჰგავს. თეძოს ნაკეცზე ვერცხლისფერი ნახევარმთვარე ბრწყინავს. კაცს ეჩვენება, რომ ქალის სიმძიმე რაღაც სურნელს აფრქვევს.

– აბა, კიდევ რა დაგრჩა? – ბაჭია პიჯაკს იხდის და გვერდზე ისვრის. მას მოსწონს ტანსაცმლის მიყრა-მოყრა – აქეთ-იქით ფრენისას ნივთები ხაზს უსვამენ მზარდ სიშიშვლეს, – წინდები?

– ეგ არც ისე ადვილია, – პასუხობს ქალი, – თვალი წაუვა!

– მაშინ თვითონ გაიხადე.

საწოლზე მჯდარი რუთი რბილი, კატისებური მოძრაობებით მარჯვედ გამოძვრება ელასტიკის, აბრეშუმისა და ბამბის თხელი აბლაბუდისგან. გახდილ წინდებს აკურატულად გორგლავს, მატრასსა და საწოლის საზურგეს შორის ჩურთავს, მერე კი მოულოდნელად უკან წვება, მუცელს წინ სწევს და რეზინებიან ქამარსა და ტრუსს იხდის. ასევე უეცრად კაცი სწრაფად იხრება ქვემოთ და სახეს ფუმფულა კორომში ჰყოფს, სურნელოვან, სანელებლიან რაყაში, და ეჩვენება, რომ ბნელ, საიდუმლოებით მოცულ, ყოველგვარ განზომილებას მოკლებულ სივრცეში ლივლივებს და სადღაც ახლოს, კუთხეში, მას ნაზი, მშვენიერი ქალი ელოდება. როდესაც მუხლებზე მდგარი, წელში სწორდება, მის თვალში რუთი უკიდეგანო კონტინენტის ზომებს იღებს, ზემოთ აწეული კომბინაცია კი ჩრდილოეთ პოლუსის თოვლის ქუდივით თეთრად მოჩანს.

– როგორი დიდი ხარ.

– ძალიან დიდი.

– არა, მომისმინე. შენ კეთილი ხარ.

ბაჭია ხელს ქალის გახურებული კეფის ქვეშ აცურებს, ერთბაშად იზიდავს თავისკენ და კომბინაციას აძრობს, რომელიც მსუბუქად მისრიალებს და თავისით ეშვება ძირს იმ ქალის ტანიდან, რომელსაც უნდა, რომ გახადონ. გრილი ჩაღრმავება, რომელსაც კაცი მის წელს ქვემოთ გრძნობს, ქალის ფიქრებში გამჭვირვალე ჩრდილს ერწყმის, მხრებს ქვემოთ

მოკამკამე კანს რომ ფარავს. ბაჭია ამ ადგილს კოცნის. იქ, სადაც კანი თეთრია, სიგრილეც მეტია. მტკიცე ნიკაპი ბიუსტჰალტერზე რაღაც მაგარს ეჯახება.

– მე თვითონ, – ჩურჩულებს იგი, როდესაც ქალს ხელი ზურგს უკან მიაქვს.

ბაჭია რუთს თავისკენ ზურგით აბრუნებს. ქალი გამართული ზის. მსხვილი ფეხები დასაკეცი დანის პირებივით გაუჩაჩხავს, ზურგი უზარმაზარი ლარნაკივით იდეალურად სიმეტრიული აქვს. ერთი ციცქნა მოუხერხებელი კაუჭები დამორჩილებას არ აპირებენ. ქალი ბეჭებს უკან ზნექს. ბოლოს დაჭიმული ლენტი ტკაცუნით იხსნება. ზურგი ლაღად იშლება, განიერდება და იზნიქება – ქალი მხრებიდან თასმებს იცილებს. ცალი ხელი ბიუსტჰალტერს საწოლს იქით ისვრის, მეორე კი, კაცის მხრიდან, მკერდს ეკვრის და მისგან იფარავს. მაგრამ ბაჭია თვალს შეასწრებს მუქდაბოლოებიანი თეთრი სხეულის სწრაფ გაელვებას. კაცი უკან იხევს, საწოლის კიდეზე ჯდება და ამ სუფთა სიშიშვლით ტკბება. როდესაც ქალი მკერდზე მეორე ხელსაც იფარებს, მის თითზე ბეჭედი ელავს. კაცს სიამოვნებს ქალის სიმორცხვე – ეს გრძნობის მანიშნებელია. ქალს შუქი მარჯვნიდან ეცემა. იგი უხმაუროდ ტრიალდება, მთელი ტანით გაჭიმულ ხელს ეყრდნობა და ამ მორცხვ, გრაციოზულ პოზაში შეშდება, კაცის მზერისგან თავს მხოლოდ უმოძრაობით იცავს. იგი პოზას არ იცვლის და მისი სითეთრე კაცს თვალს სჭრის. ბოლოს, როდესაც ქალის ხმა გაისმის, მოულოდნელობისგან კაცი კრთება კიდეც.

– შენ?

ბაჭია კვლავაც ჩაცმულია, ჰალსტუხიც კი უკეთია. იგი შარვალს სკამზე ჰკიდებს და ცდილობს, ნაკეცი შეინარჩუნოს. რუთი საბნის ქვეშ მიძვრება. საცვლების ამარა დარჩენილი ბაჭია ეკითხება:

– მეტი აღარაფერი გაცვია, არა?

– თვითონვე არ მიბრძანე ყველაფრის გახდა?

კაცს ახსენდება, რომ თითზე რაღაცამ გაიელვა.

– ბეჭედი მომეცი.

ქალი საბნის ქვემოდან ხელს აძვრენს. ბაჭია ფრთხილად

აძრობს მსხვილ, თითბრის ბეჭედს ოდნავ შესივებული სახსრიდან, მერე კი ჩაფიქრებული დასცქერის მას ზემოდან. ქალს საბანი ნიკაპამდე აუწევია, ფერმკრთალი ხელი გველივით დახვევია.

– მეტი არაფერი?

– მხოლოდ კანი, – პასუხობს რუთი, – აქ მოდი. დაწექი.

– გინდივარ?

– არაფერი შეგეშალოს. მინდა, ეს ყველაფერი სწრაფად დამთავრდეს.

– მთელი სახე მობათქაშებული გაქვს.

– შეურაცხყოფას მაყენებ.

– უბრალოდ, ძალიან მიყვარხარ. ხელსახოცი სად გაქვს?

– ნებას არ მოგცემ, რომ სახე მომბანო!

ბაჭია სააბაზანოში მიდის, შუქს ანთებს, ხაოიან ხელსახოცს პოულობს, ცხელი წყლით ასველებს, წურავს და შუქს აქრობს. როდესაც ოთახში ბრუნდება, რუთი იცინის.

– რა გაცინებს? – უკვირს ბაჭიას.

– ამ სასაცილო საცვლებში მართლაც ბაჭიას ჰგავხარ. აქამდე მეგონა, ელასტიკურ ტრუსებს მხოლოდ პატარა ბავშვებს აცმევდნენ.

კაცი ზემოდან დაჰყურებს თავის მაისურსა და მჭიდროდ მორგებულ ტრუსს, კმაყოფილია, აღგზნებამოზღვავებული. საკუთარი სახელის გაგონება მისთვის ფიზიკური შეხების ტოლფასია. ქალი ხვდება, რომ ის სხვებს არ ჰგავს. როდესაც კაცი მქისე ქსოვილს მას სახეზე მიადებს, ქალი თავის დახსნას ცდილობს, ნელსონივით იქცევა, მაგრამ ბაჭია, გამოცდილებით გაბრძნობილი მამა, თავის ჩვეულ საქმეს განაგრძობს. ქალს შუბლსა და ლოყებს უსუფთავებს, ხელსახოცის ბოლოს ნესტოებშიც უყოფს, ყურადღებას არ აქცევს, როგორ იკლაკნება ქალი თავის დასაძვრენად, ტუჩებიდან პომადას აცლის და მის სიტყვებს ახშობს. როდესაც, ბოლოს და ბოლოს, ხელს უშვებს და ხელსახოცს აცილებს, ქალი წამით შეხედავს მას და თვალებს ხუჭავს.

ბაჭია საწოლის გვერდით მუხლებზე ეშვება, რათა ქალის სახეს მიუახლოვდეს, და შემთხვევით მატრასის კიდეს თავისი სიყვარულის მგრძნობიარე, გაშიშვლებული ანტენით ეხება. სიყვარულის წვენი უნებლიეთ იწყებს წვეთ-წვეთად დენას – ისევე ნელა, როგორც ნაღები გადმოდის გაყინული რძით სავსე ბოთლის ყელიდან. კაცი უკან იხევს, მორცხვად, მალვით აკეთებს რაღაც მანიპულაციებს და თესლის დაუგეგმავ გადმონთხევას როგორღაც აჩერებს. იგი დგას, ხელსახოცი სახეზე მიუფარებია, თითქოს ტირის. შემდეგ საწოლის ფეხებთან მიდის, ხელსახოცს სააბაზანოსკენ ისვრის, საცვლებს იხდის, ლოგინში მიძვრება და ზეწრებს შორის არსებულ გრძელ და ჩაბნელებულ სივრცეში უჩინარდება.

ბაჭია რუთთან იმავე ტაქტიკას ირჩევს, რომლითაც თავის ცოლთან მოქმედებდა. ქორწილის შემდეგ ჯენისს ალღოიანი ნერვიული რეაქცია დაუქვეითდა და ახლა მასთან ურთიერთობისას მოთმინება და ალერსი იყო საჭირო. დასაწყისისთვის, მას, ჩვეულებრივ, ზურგის მასაჟს უკეთებდა ხოლმე. რუთი უგულოდ ემორჩილება მის ბრძანებას, რომ მუცელზე დაწვეს. ხელების სრულად გასაშლელად კაცი მას დუნდულებზე აჯდება და მთელი თავისი სიმძიმით, ორივე ცერითა და ხელისგულით, ძალასა და მონდომებას არ იშურებს ზურგის ფართო კუნთებისა და ჯიუტი მალების დასამუშავებლად. ქალი ღრმად ოხრავს და ბალიშზე თავს მოხერხებულად დებს.

– შენ თურქულ აბანოებში მუშაობასაც კარგად შეძლებდი, – ამბობს იგი.

ბაჭია კისერზე გადადის, თითები წინ აქვს მიმართული, ყელისკენ, ლერწმის კონებივით მოძრავი სისხლძარღვებისკენ და ქალს მხრებს უზელს, თითების წვერებით ოდნავ ეხება ატლასის ძუძუების მოხდენილ ბორცვებს. მერე კვლავ ზურგს უბრუნდება და მანამ მუშაობს, სანამ მაჯები არ ასტკივდება. ქანცგაწყვეტილი ქალის ზურგიდან ჩამოდის, რაღაც წყალქვეშა ჯადო-თილისმებით ბურანშია წასული. იგი ზეწარს ლამის თვალებამდე იფარებს.

ჯენისს მისი მზერის რცხვენოდა, ამიტომ რუთიც ინთება, როდესაც მის შეხედვას ვერ იგრძნობს. დაშვებული ქუთუთოები მხოლოდ თრთიან, თუმცა ქალი მზადყოფნით იზნიქება კაცისკენ. მისი ხელი ეძებს და საქმიანად ამოძრავებს

მას, როგორც საჭიროდ თვლის. მალე ამ შეხებას ბაჭიას მაგრად დახუჭული თვალები წითლად აღიქვამს. ლურჯ ფერს კი მაშინ წარმოიდგენს, როდესაც ქალი მეორე ხელით პირს გაუხსნის და თავს თავისი ბარაქიანი ძუძუებისკენ დააბრეკინებს. შესანიშნავი მოქნილი ბურთებია, არა ჰაეროვანი, არამედ მძიმე, ძუძუთშორის არხში სუნამოს სუნი იგრძნობა. მისი მომჟავო-მომლაშო გემო კაცის ნერწყვთან ერთად წრეებად იდღაბნება. ქალი ჩაიჩოჩებს, ზურგზე გადაბრუნდება, წითლად შეღებილ ნეტარებას წყვეტს, ახლებურად შეტრიალდება და გრილ, ხელშეუხებელ კანს მიუშვერს. იგი უცერემონიოდ, მკვეთრი მოძრაობით ითავისუფლებს მეორე, მშრალ ძუძუს და კაცს სახეში ჩრის. ბაჭია თვალს გაახელს, ქალს ეძებს და მის სახეს ხედავს – სინაზის ნიღაბი მას მშვიდად, ალერსიანად, ინტერესით უყურებს ზემოდან. კაცი თვალებს ხუჭავს და კვლავ ქალის მასპინძლობით სარგებლობს. სადღაც მივიწყებული მისი ხელი მოძრაობას იწყებს, იჭიმება, ეძებს და პოულობს კიდეც გამსკდარ ჭოტს, ოდნავ გახსნილ, უფორმო და უეშმაკო ნაკეცს. ქალი უფრო მეტად წვება გვერდზე და თავის უკანალს მყუდროდ ათავსებს კაცის მუცლისა და თეძოების აკვანში. ორივენი განცხრომის ზარმაც სივრცეში გადადიან. ბაჭიას სურს, დრო უსასრულოდ გაიჭიმოს და გაწვრილდეს. ქალი მსუბუქად ეალერსება მას თითის წვერებით. იგი ტერფს ასწევს, კაცი კი ქუსლში ჩაავლებს ხელს. ისინი სულ უფრო ძლიერ ეკვრიან ერთმანეთს და ბაჭიას მოუთმენლობა იპყრობს იმის გამო, რომ, უშუალო სიახლოვის მიუხედავად, მათი სხეულები მაინც დაცილებულია, ერთიანი არაა. მაგრამ არ უნდა, რომ დაიჭინოს და მეგობრის ნდობა შეურაცხყოს, რომელთან ერთადაც ამ ძიებას აწარმოებს. მათ ყოველი მხრიდან კედელი აკრავს. ბაჭიას სხეულს ხმა აკლია, საკუთარი სიმღერა არ გააჩნია. მოუთმენლობა სოლივით ვიწროვდება და მის სისხლში მიცურავს. მომლაშო გემო, ნოტიო ზეწოლა თუ ჭყლეტა, მისი მინიატიურულობის ცხადად შეგრძნება, როდესაც ქალის სხეული ნაჩქარევად ეჩრება ხელებში, მისი სუნთქვა, ზამბარების ჭრიალი, უნებლიე მირტყმა და ტკივილი გამშრალი ენის ძირში – ამ ყველაფერს და თითოეულს ცალ-ცალკე თავისი განსაკუთრებული ფერი აქვს.

ბაჭიას მოთმინებით აღსავსე სინაზეში ჟინი მატულობს: «უკვე შეიძლება?». პასუხად ხრინწიანი ყაშყაში გაისმის. იგი დაბანგულივით ჩაიმუხლებს რუთის გაჩაჩხულ ფეხებს შორის.

ქალი ეხმარება და ისინი ერთმანეთს საბოლოოდ ერწყმიან. ამაში რაღაც სამწუხაროც არის. კაცი ოდნავ წამოიწევს, ხელებით საწოლს ეყრდნობა, თან შიშის ჭია ღრღნის – ეს სწორედ ის მომენტია, როდესაც ზოგჯერ ჯენისის მოლოდინს ვერ ამართლებდა, – ვაითუ, თამაშიდან დროზე ადრე გავიდეო. მაგრამ ორგანიზმში ალკოჰოლის წყალობით, თუ დასაწყისში იმ პატარა კაზუსის გამო, მატრასთან დაკავშირებით, დღეს მისი სიყვარული გულუხვ და თბილ სხეულში გადმოფრქვევას არ ჩქარობს. იგი სახეს ქალის კისერში რგავს და მისი თმის პიტნის სუნს ისრუტავს. რუთი წვრილი ხელებით მაგრად ეხვევა მას, ტანით ჯერ ქვემოთ აწვება, მერე კი – ზევით. შიშველი მხრებიდან ქვემოთ, ბაჭიას საზარდულამდე, რუთი ბუნდოვნად მოჩანს ბინდბუნდში, როგორც კაცის ერექციის დიდებული გაგრძელება და დღესასწაული.

– კარგია, – მოწონების ნიშნად ჩურჩულებს კაცი.

– კარგია, – ეხმაურება ქალი.

– ლამაზი ხარ.

– მაგას ჯობია, იმუშაო!

გაბრაზებული ბაჭია ისე მუშაობს, რომ ქალს სხვა დროს მისი შეგულიანების სურვილი აღარ გაუჩნდეს. ამასთან, ნიკაპზე ხელს მიაჭერს, თავს უკან გადაუგდებს, თითებს პირში შეუყოფს და გრძნობს, როგორ იძაბება ქალის სრიალა ყელი. ის კი, თითქოს კაცის გაბოროტებული აფეთქება ვერც კი შეამჩნიაო, მას ადგილს უცვლის და ბაჭია კვლავ ზემოდან აღმოჩნდება. მათი კანი ერთმანეთს ეკვრის. ქალს ხელი ქვევით, აწეწილ-დაწეწილი ბეწვებისკენ მიაქვს და მისი სუნთქვა რაღაც ბასრს აწყდება, იგი თეძოებს შლის და კაცს გვერდებზე არტყამს, კიდევ გადაშლის, ისე ფართოდ, რომ ბაჭიას ეშინია – ქალს უნდა, შეუძლებელი შეძლოს და უკუღმა პირზე ამოტრიალდეს. კუნთები, კანი, ძვლები – ყველაფერი, რაც კი მუცლის ქვემოთ გააჩნია, ზემოდან აწვება და რაღაც ახალი, უცნობი არსების უცნობი ანატომიით აოცებს. ქალს ეჩვენება, რომ გამჭვირვალეა და კაცი მის გულს ხედავს. მან თავისას უკვე მიაღწია და კაცს ელოდება, ის კი მთრთოლვარე აპოგეაში კვლავ და კვლავ უსვამს ცერს ქალის მორკალულ წარბებს.

– კარგი იყო? – ეკითხება რუთი ბოლოს.

– ლამაზი ხარ.

ქალი კაცს ტანზე მიკრული ქვიშასავით სცილდება. ბაჭია მას სახეში შესცქერის და ღრმა ჩრდილებში ნაღვლიან ყოვლისმიტევებას ხედავს, თითქოს ქალმა იცის, რომ სიყვარულის ბოლო წამს მან თავისი სასოწარკვეთილებით უღალატა. ბუნებას ისე მიჰყავხარ, როგორც დედას, მაგრამ როგორც კი თავის ჯილდოს გაინაღდებს, აღარაფერს გიტოვებს. შემშრალი ოფლისგან ბაჭია ტანზე სიგრილეს გრძნობს და ძირს დავარდნილ ზეწარს იღებს.

– შესანიშნავი იყავი, – ამბობს და მოდუნებული ხელით ქალის რბილ გვერდს ეხება. რუთს ტანი ჯერაც უთრთის – ქალში აღფრთოვანება კაცზე უფრო ნელა ქრება.

– სულ დამავიწყდა.

– რა დაგავიწყდა?

– რომ მეც შეიძლება ასე კარგად ვიყო.

– რას გრძნობ ამ დროს?

– თითქოს სადღაც ვვარდები.

– სად?

– არსად. არ მინდა ამის შესახებ ლაპარაკი.

ბაჭია მას ტუჩებში კოცნის. რა მისი ბრალია. ქალი კოცნას ზანტად იღებს. კაცი მას წელზე ხელს მოხვევს, მიეკრობა და დაძინებას აპირებს.

– უნდა ავდგე, – ამბობს რუთი.

– იწექი.

– სააბაზანოში წავალ.

– არა, – მას მაგრად უჭირავს იგი.

– გამიშვი.

– ნუ მაშინებ, – ბურტყუნებს ბაჭია და კიდევ უფრო მოხერხებულად ეკვრის მას.

ბოლოს ქალი თავის დახსნას ახერხებს და დგება,

შეღვიძებული კაცი გრძნობს, რომ დარბილებული ტუჩებიდან მშრალი ჰაერი ამოსდის.

– ეი, ჭიქა წყალი მომიტანე.

ქალი საწოლთან დგას, შიშველი გაცილებით უფორმო ჩანს. შემდეგ, როგორც წესია, სააბაზანოსკენ მიდის. ბაჭიას ეჩოთირება ეს ქალური წესი. თვითონვე ექცევიან საკუთარ თავს ისე, როგორც ძველ, მრავლისმნახველ შალითას. მილები მილებში, აბა, ჩქარა ჩამოირეცხე კაცის ჭუჭყი – საწყენია, სხვა რომ არაფერი იყოს. ონკანები ღრიალებენ. რაც მეტად ეღვიძება, მით მეტი სევდა ეუფლება. ბალიშში ღრმად ჩაფლული, ვიტრაჟის ჰორიზონტალურ ზოლს მისჩერებია ეკლესიის ფანჯარაში, რომელიც აწეული შტორიდან მოჩანს. ნუგეშად მხოლოდ ეს ბავშვური ბრწყინვალება დარჩა.

შუქი, რომელიც სააბაზანოს დახურული კარიდან გამოდის, ოდნავ ანათებს საძინებელ ოთახს. წყლის ჩხრიალი მას ბავშვობას აგონებს, როდესაც შუაღამეს გამოეღვიძებოდა და ხვდებოდა, რომ მშობლები საძინებელში ასულიყვნენ, რომ მალე მთელი სახლი წყვდიადში ჩაიძირებოდა, მერე კი უნდა გათენებულიყო. როდესაც დაბანილი რუთი, მთვარის შუქში ფავნს რომ ჰგავდა, ჩუმად გამოდის სააბაზანოდან და ბაჭიას გვერდით წვება, მას უკვე სძინავს.

* * *

ბაჭია მკაფიო სიზმარს ხედავს. სამზარეულოს მაგიდის გარშემო დედასთან, მამასა და კიდევ ვიღაცასთან ერთად ზის. ეს მათ ძველ სახლში ხდება. მაგიდასთან მჯდომი გოგონა გრძელ, სამაჯურიან ხელს იწვდის და ხის საყინულეს აღებს. ბაჭიას ცივი ჰაერი უტევს. ოთხკუთხა კამერის ღია კარიდან რამდენიმე დუიმში იგი შელღობილ, გვერდმრუდ, მაგრამ ჯერაც დიდ ყინულის ძელაკს ამჩნევს. ლითონის შავი მასის ცენტრში, ხელოვნური ყინულის ფაბრიკის ღარიდან ჩამოვარდნილი ყველა სხვა ყინულის ძელაკის მსგავსად, თეთრი ფენა ბრწყინავს. იგი იხრება და თუნუქით გაჟღენთილი ყინულის სუნთქვას მიჰყვება. ეს მისთვის ლითონთან ასოცირდება, რომლისგანაც კამერის კედლები და წიბოვანი საყრდენებია გაკეთებული. ლითონი ღია ნაცრისფერია,

მარტორქის ფერისა, ლინოლეუმის მსგავსად მუქად დაწინწკლული.

იგი უფრო ქვემოთ იხრება და წყალნარევი ზედაპირის ქვეშ მოლივლივე უამრავ, ფოთლის კაპილარების მსგავს ძარღვს ხედავს, თითქოს ყინულიც ცოცხალი უჯრედებისგან შედგება. სულ ბოლოს, სიღრმეში, ბუნდოვანი და მერყევი, გვერდებზე დაკბილული, თითქოსდა აფეთქებით წარმოქმნილი ღრუბელია, რომლის ეპიცენტრშიც სინათლის გარდატეხისგან აკაშკაშებული ვარსკვლავი დაცურავს, მისი პირდაპირი და გრძელი სხივები დიაგონალურად ეცემა კუბის ყველა გვერდს. დაჟანგული წიბოები, რომლებზეც ყინულის ძელაკია მოთავსებული, ცალყბა ღიმილის დროს დაკრეჭილი კბილებივით მოძრაობს მის თვალწინ. ბაჭიას შიში იპყრობს – ეს ცივი ხორგი ცოცხალია.

– კარი მიკეტე, – ეუბნება დედა.

– მე არ გამიღია.

– ვიცი.

– მან გააღო.

– ვიცი. ჩემი ყოჩაღი ბიჭი არავის აწყენინებს.

მაგიდასთან მჯდომი გოგონა თეფშზე ჩანგლით საჭმელს ჩიჩქნის. გაბრაზებული დედა მისკენ ტრიალდება და საყვედურებით ავსებს. სიტყვების ეს უაზრო, ერთფეროვანი, უწყვეტი ნაკადი ძლიერ შინაგან სისხლდენას ჰგავს. სისხლდენა თვითონ სჭირს. გოგონა შეურაცხყოფილია, სახე უგრძელდება და ეჩვენება, რომ დიდ, თეთრ ღრუბლად გადაიქცა.

– ეს ქუჩის გოგო მაგიდასთან პატარა ბავშვივით იქცევა, – ამბობს დედა.

– გეყოფა, გეყოფა, გეყოფა! – ყვირის ბაჭია დის დასაცავად.

დედა ჩაიცინებს და განზე გადგება. ისინი ორ სახლს შორის არსებულ ვიწრო გასასვლელში დგანან, მხოლოდ ორნი არიან – ის და გოგონა. ეს ჯენის სპრინგერია. იგი მისთვის დედის საქციელის ახსნას ცდილობს. ჯენისი მას გაუბედავად შესცქერის. როდესაც ბაჭია მოეხვევა, მის გაწითლებულ

თვალებს ხედავს. თუმცა სახეები მიტყუპებული არა აქვთ, გოგოს ცრემლებისგან გაცხელებულ სუნთქვას გრძნობს. ისინი ჯაჯმაუნთში არიან, საცეკვაო დარბაზის უკან, სარეველებითა და ბოთლების ნატეხებით მოფენილ, გათელილ ნაკვეთზე. კედლის მიღმა რეპროდუქტორიდან მუსიკის ხმა ისმის. ჯენისს ვარდისფერი სამეჯლისო კაბა აცვია. იგი სლუკუნებს. გულდამძიმებული ბაჭია უმტკიცებს, რომ დედას მისი კი არა, ბაჭიას გამოლანძღვა უნდოდა, მაგრამ გოგონა ტირილს განაგრძობს და იგი თავზარდაცემული აღმოაჩენს, რომ გოგონას სახე ედღაბნება, ძვლებს თანდათანობით კანი სცილდება, მაგრამ აღარც ძვლებია. კანქვეშ მხოლოდ მდნარი მასაა. ბაჭია პეშვებს შეუშვერს – ამ გადმომდინარი მასის შეგროვება და უკანვე მიწებება სურს, მაგრამ, როდესაც იგი ხელში ჩაეღვრება, ჰაერი მისივე ყვირილისგან თეთრდება.

ეს სითეთრე სინათლეა. მზისგან თვალწინ ბალიში ბრწყინავს. ჩამოშვებულ შტორზე მინების დეფექტები ირეკლება. მათ და ფანჯარას შორის ზეწარქვეშ ქალი მოკუნტულა. მზის სხივები ბალიშზე გაშლილ თმას წითურ, მუქ ყავისფერ, ოქროსფერ, შავ და თეთრ ფერებად ღებავს. ბაჭია შვებით ამოისუნთქავს, ეღიმება, იდაყვზე დაყრდნობილი ქალს მსუქან, რბილ ლოყაზე კოცნის და ფორების მკაფიო სტრუქტურებით აღფრთოვანებას ვერ მალავს. სუსტი ვარდისფერი სინათლის ზოლებში ნათლად მოჩანს, რომ სიბნელეში სახე ცუდად გაუწმენდია. იგი კვლავ იმ პოზას უბრუნდება, რომელშიც ეძინა, მაგრამ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში ისედაც ძილად იყო ქცეული. ბაჭია მორიგ სიზმარში შესასვლელს ეძებს. მათ გამაცალკევებელ მომცრო სივრცეში ხელს ქალის გაშიშვლებული სხეულისკენ იწვდენს, ზემოდან ქვემოთ ეფერება ფართო, თბილ, ახალი ღვეზელის მსგავს ფერდობებს. რუთი ზურგით წევს. ბაჭია მის თვალებს ვერ ხედავს. ქალი მძიმედ ამოიოხრებს, გაიზმორება და შემოტრიალდება. მხოლოდ მაშინ ხვდება კაცი, რომ ქალმა მისი ალერსი იგრძნო.

დილის შუქში კვლავ სიყვარულის მორევში ეშვებიან, ერთმანეთს ნამძინარევი, მოდუნებული ტუჩებით კოცნიან. ქალის ძუძუები წიბოვან გულმკერდზეა განფენილი. კერტები თავჩაქინდრული ყავისფერი კოკრებია, ბუჩქი – სპილენძის ქაფი. ბაჭიას იგი ზედმეტად გაშიშვლებული ეჩვენება. ამ უხვი, მბრწყინავი კანის გვერდით საკუთარი ვნება სუსტად და უმნიშვნელოდ მიაჩნია. ეჭვი აქვს, რომ ქალი თვალთმაქცობს.

მაგრამ რუთი ამბობს, რომ არა – დღეს ყველაფერი, მართალია, სხვაგვარად, მაგრამ მაინც კარგად მოხდა. ნამდვილად კარგად. იგი კვლავ იმალება ზეწრის ქვეშ, ქალი კი ოთახში ფეხშიშველი დადის და ჩაცმას იწყებს. სასაცილოა – ჯერ ბიუსტჰალტერი, მერე კი ტრუსი. როდესაც იცვამს, კაცი მის ფეხებს ცალკეულ მსხვილ, ვარდისფერ, მერხევ, ქვემოთ დაწვრილებულ კანფეტების სამკუთხა პარკების მსგავს საგნებად აღიქვამს. მოძრაობისას ისინი ერთმანეთს ვარდისფერ ათინათებს ესვრიან. ქალი მას ცქერას არ უშლის. ბაჭია კმაყოფილია და თავს უფრო იმედიანად და გულდაჯერებულად გრძნობს. შინაურულად.

ეკლესიის ზარები ხმამაღლა რეკავენ. ბაჭია საწოლზე ქალის მხარეს ჩოჩდება, რათა თვალი შეავლოს, თუ როგორ მიდიან გაუთოებულ კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები კირქვით ნაგებ ეკლესიაში, რომლის განათებულმა ფანჯარამაც წუხელ ძილი მოჰგვარა. იგი ხელს იწვდენს და შტორს მაღლა სწევს. ფანჯარა-როზეტი განათებული აღარაა, ეკლესიისა და ჯაჯმაუნთის თავზე კი, ცის ლაჟვარდოვან ფასადზე, მზე ანათებს. სამრეკლოს გრილ, მომცრო ჩრდილში, როგორც ნეგატივზე, საღილეში ყვავილგარჭობილი რამდენიმე მამაკაცი დგას და ჭორაობს, მაშინ, როცა რიგითი ცხვრები, თავჩაქინდრულები, ფარასავით შედიან ეკლესიაში. იმის გაფიქრება, რომ ადამიანებმა სახლები დატოვეს და აქ სალოცავად მოვიდნენ, ბაჭიას ახარებს და ამხნევებს. თვალებს ხუჭავს და თავს შეუმჩნევლად ხრის, რათა რუთმა ვერ შეამჩნიოს. დამეხმარე, უფალო. მომიტევე. ჭეშმარიტ გზაზე დამაყენე. აკურთხე რუთი, ჯენისი, ნელსონი, დედა, მამა, მისტერ და მისის სპრინგერები, ჯერ კიდევ მუცლად მყოფი პატარა. შეუნდე ტოთეროსა და ყველა დანარჩენს. ამინ.

ბაჭია თვალს ახელს, მომავალ დღეს ეგებება და ამბობს:

– აქ საკმაოდ დიდი მრევლი ყოფილა.

– კვირა დილაა, – პასუხობს ქალი, – ამ დღეს ყოველთვის გული მერევა.

– რატომ?

– ფუჰ, – ამბობს რუთი მოკლედ, თითქოს კაცს პასუხი წინასწარ სცოდნოდეს. ცოტა ხანს დაფიქრდება და როცა დაინახავს, რომ იგი სერიოზულად იყურება ფანჯრიდან,

ამატებს, – ერთხელ აქ ერთი ტიპი მყავდა, რომელმაც დილის რვა საათზე გამაღვიძა, რადგან ათის ნახევარზე საკვირაო სკოლაში უნდა ექადაგა.

– არაფრის არ გჯერა?

– არა. შენ გჯერა?

– კი. ყოველ შემთხვევაში, ასე მგონია.

ბაჭიას ქალის გაბრაზებული, მტკიცე ტონი ყურში ცუდად ხვდება და თავის ნათქვამში ეჭვი ეპარება. თუ იტყუება, სიცარიელის ცენტრში ყოფილა ჩამოკიდებული. ეს აზრი არ სცილდება და გულს სტკენს. მოპირდაპირე მხარეს სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი რამდენიმე ადამიანი შელახული აგურის სახლების რიგის გასწვრივ ტროტუარს მიუყვება – მიწას ფეხს არ აკარებენ? ნუთუ? ტანსაცმელი! თავიანთი საუკეთესო ტანსაცმელი ჩაუცვამთ. აღგზნებული, ამ აზრს ებღაუჭება: იგი უხილავი სამყაროს არსებობის ხილულ მტკიცებულებად მიაჩნია.

– თუ მორწმუნე ხარ, აქ რას აკეთებ? – ეკითხება ქალი.

– რა მოხდა? შენ რა, საკუთარ თავს ეშმაკად ხომ არ თვლი?

მოულოდნელობისგან ქალს სავარცხელი ხელში უშეშდება, მერე კი სიცილი აუვარდება.

– გწამდეს, რამდენიც გენებოს, თუ ეს შვებას გაძლევს.

– რატომ არ გწამს არაფერი? – არ ეშვება კაცი.

– მეხუმრები?

– სულაც არა. ნუთუ არასდროს, წამითაც კი არ დაფიქრებულხარ, რომ ეს ისედაც ცხადია?

– რა არის ცხადი? რომ ღმერთი არსებობს? არა. პირიქით, ჩემი აზრით, ცხადია, რომ არ არსებობს. ეს ცხადზე უცხადესია.

– მაგრამ თუ ღმერთი არ არსებობს, რატომ არსებობს ყველაფერი დანარჩენი?

– რატომ? როგორ თუ რატომ? უბრალოდ არსებობს და მორჩა, – ქალი სარკის წინ დგას, სავარცხელი თმას უკან უქაჩავს და ზედა ტუჩს მაღლა უწევს, როგორც ეს კინოფილმის კადრში

ხდება.

– შენ შესახებ ასე არ ვიტყოდი. შენ არსებობ და მორჩა.

– მომისმინე, იქნებ ჩაიცვა, ნაცვლად იმისა, რომ იკოტრიალო და ღვთის სიტყვებით მესაუბრო.

ეს შენიშვნა, აგრეთვე, ის მოძრაობა, რომლითაც თმას გადაიყრის და მისკენ მიბრუნდება, მასში სურვილს აღძრავს.

– მოდი აქ, – ეძახის კაცი. ცუდი არ იქნება, საქმით დაკავდნენ, როდესაც ეკლესიები ხალხითაა სავსე. ეს განზრახვა მას აღაგზნებს.

– არა, – პასუხობს რუთი. იგი მართლაც ცოტა გაბრაზებული ჩანს. აღიზიანებს, რომ ბაჭიას ღმერთი სწამს.

– აღარ მოგწონვარ?

– შენთვის სულერთი არ არის?

– კარგად იცი, რომ არა.

– ადექი ჩემი საწოლიდან.

– მე ხომ შენი თხუთმეტი დოლარი მმართებს.

– არაფერი გმართებს. მოსცილდი აქაურობას.

– რაო? მარტოობისთვის გაგწირო? – ბაჭია ამას თითქოს ხუმრობით ამბობს და სანამ ქალი მოულოდნელობისგან ერთ ადგილს არის მილურსმული, იგი რაღაც ტანსაცმელს ხელს სტაცებს, სააბაზანოში გადის და კარს ხურავს, ცოტა ხანში კი იქიდან საცვლების ამარა გამოდის, მასხრობას განაგრძობს და ვითომდა დამწუხრებული ამბობს, – მე შენ აღარ მოგწონვარ, – იგი სკამისკენ მიემართება, რომელზეც მისი აკურატულად დაკეცილი შარვალი დევს. მის არყოფნაში რუთს ლოგინი გაუსწორებია.

– საკმარისად მომწონხარ.

– საკმარისად რისთვის?

– საკმარისად.

– რატომ მოგწონვარ?

– იმიტომ, რომ ჩემზე მაღალი ხარ, – იგი საწოლის მეორე კუთხისკენ გადადის და გადასაფარებელს ასწორებს, – ლამის ბოღმისგან გავსკდე, როდესაც ეს პატარა ქალები, ყველა პიკანტურად რომ მიიჩნევს, ყველაზე მაღალი კაცების დათრევას ცდილობენ.

– არის მათში რაღაც, – ამბობს ბაჭია, – დაყოლიებაც უფრო ადვილია.

– მაგაში, მგონი, მართალი ხარ, – იცინის ქალი.

ბაჭია შარვალს იცვამს და ქამარს იკრავს.

– კიდევ რატომ მოგწონვარ?

ქალი მას სახეში შესცქერის.

– გითხრა?

– მითხარი.

– იმიტომ, რომ არ ნებდები. მართალია, სულელურად, მაგრამ მაინც იბრძვი.

ბაჭიას სიამოვნებს ამის მოსმენა, კმაყოფილება ნერვებს ტკბილად ელამუნება და აგრძნობინებს, რომ ძალიან დიდია. მაგრამ ჩვეული ამერიკული თავმდაბლობის გავლენით ტუჩების ბრეცით წარმოთქვამს:

– სრულყოფილებისკენ სწრაფვა.

– ის საცოდავი ბებერი ნაძირალა, – გაგებით ამბობს ქალი, – ნამდვილი ნაძირალა.

– იცი, რა, – ამბობს ბაჭია, – მაღაზიაში ჩავირბენ და საუზმისთვის რამეს ვიყიდი.

– შენ, მგონი, აქ დარჩენას აპირებ.

– რატომაც არა? ვინმეს ელოდები?

– არავის არ ველოდები.

– ძალიანაც კარგი. შენ ხომ თქვი გუშინ, საჭმელების კეთება მიყვარსო.

– ოდესღაც მიყვარდა.

– რადგან ოდესღაც გიყვარდა, ესე იგი, ახლაც გიყვარს. რა ვიყიდო?

– რა იცი, რომ მაღაზია ღია იქნება?

– განა არა? ცხადია, ღია იქნება. სუპერმარკეტების გადამკიდე, ამ პატარა მაღაზიებს შემოსავალი მხოლოდ კვირაობით აქვთ, – იგი ფანჯარაში იხედება. ასეცაა, კუთხეში კარი იღება და იქიდან კაცი გამოდის გაზეთით ხელში.

– ჭუჭყიანი პერანგი გაცვია, – ეუბნება რუთი.

– ვიცი, – იგი ქუჩიდან გადმოღვრილი შუქიდან გამოდის, – ეს ტოთეროს პერანგია. სახლიდან რაღაც ტანსაცმელი უნდა ავიღო. მაგრამ ჯერ მაღაზიაში შევივლი. რა ვიყიდო?

– შენ რა გიყვარს?

ბაჭია კმაყოფილი მიდის. თუ რუთს რამე გააჩნია, ეს სიკეთეა. ამას სწორედ მაშინ მიხვდა, როდესაც ქალი ავტოსადგომზე ნახა მრიცხველების გვერდით. მუცელი ძალიან რბილი ჰქონდა. ქალებთან მუდმივად ეჩეხები წვეტიან კუთხეებს, იმიტომ, რომ მათ სულ სხვა რამ სჭირდებათ, ვიდრე კაცებს, ქალები სულ სხვა რასას წარმოადგენენ. ან ყველაფერს იძლევიან, ან ქვებივით იკაწრებიან. არაფერია ამქვეყნად ქალურ სიკეთეზე უკეთესი. როდესაც ბაჭია თავისი ჭუჭყიანი პერანგით მაღაზიისკენ მიიჩქარის, ქვაფენილს ფეხსაც კი არ აკარებს. შენ რა გიყვარს? ეს ქალი მას ვეღარ გაექცევა. მან იცის, რომ ასეც იქნება.

მას მოაქვს ცელოფანში გახვეული სოსისიანი რვა ფუნთუშა, გაყინული, წვრილად დაჭრილი კარტოფილის პაკეტი, ერთი კვარტი რძე, ცხარე საწებლის ქილა, ქიშმიშიანი პური, წითელ ქაღალდში გახვეული ყველი და პენსილვანიური ტკბილი ღვეზელი «შვეიცარიელი დედილოსგან». ეს ყველაფერი ორი დოლარი და ორმოცდასამი ცენტი ღირს. რუთი პროდუქტებს პატარა ფერად სამზარეულოში აწყობს და ამბობს:

– როგორც ვხედავ, დიეტაზე ყოფილხარ.

– მინდოდა, ცხვრის დაბეგვილი ხორცი ამეღო, მაგრამ მხოლოდ სოსისი, სალიამი და მოშუშული ხორცის კონსერვი ჰქონდათ.

სანამ ქალი საუზმეს ამზადებს, ბაჭია სასტუმრო ოთახში

დაბორიალებს და ჟურნალის მაგიდის თაროზე რამდენიმე დეტექტივს პოულობს. ფორტ-ჰუდში მისი მეზობელი სულ ამგვარ წიგნებს კითხულობდა. რუთი ფანჯარას აღებს. მარტის გრილი ჰაერი თაკარა ტეხასის გახსენების შემდეგ უფრო ცივი ეჩვენება. მტვრიანი, კოპლებიანი ფარდები ცახცახებს, მარმაში ქარით ივსება და ბაჭიასკენ მოიწევს, რომელიც სხვა, უფრო სასიამოვნო მოგონებას გაუშეშებია: ბავშვობა ახსენდება, შინაა, საღამოს ნიავი ფანჯარაში იჭრება და კვირის გაზეთებს აშრიალებს, სამზარეულოში დედა ჭურჭელს აჩხარუნებს. მალე საქმეს მორჩება და ყველას სასეირნოდ წაიყვანს – მამას, მას და პატარა მირიამს. მირიამი ჯერ ერთი ციცქნაა, ამიტომ სულ ცოტას გაივლიან, მხოლოდ რამდენიმე კვარტალს, შესაძლოა, ხრეშის ძველ კარიერამდეც მივიდნენ, სადაც ზამთრის ყინული რამდენიმე დუიმის სიღრმის ტბად ქცეულა. წყალში არეკლილი ქვიანი ნაპირი რეალურზე ორჯერ მაღალი ჩანს. მაგრამ ეს მხოლოდ წყალია. ისინი კიდევ რამდენიმე ნაბიჯს დგამენ ფლატეს პირას და ამ ახალი კუთხით ტბორი მზეს ირეკლავს, გადაბრუნებული ქვების ილუზია ქრება და წყლის წყნარი ზედაპირი მტკიცე ყინულს ჰგავს. ბაჭიას მაგრად ჩაუვლია ხელი პატარა მიმისთვის.

– მომისმინე, – ეძახის რუთს, – გადასარევი იდეა მაქვს. მოდი, სასეირნოდ წავიდეთ.

– სასეირნოდ? მაგის მეტს ისედაც არაფერს ვაკეთებ.

– ჯაჯის წვერზე ავიდეთ.

როგორც ახსოვს, არასოდეს ასულა მთაზე ბრუერის მხრიდან. სანამ წინასწარ ტკბება ამ სიამოვნებით და აღფრთოვანებული შეაქცევს ზურგს ქარისგან გაბერილ ფარდებს, დიდი საეკლესიო ზარების რეკვა გაისმის.

– წავიდეთ! მოდი, წავიდეთ! – გასძახის იგი რუთს სამზარეულოში.

ეკლესიიდან ხალხი გამოდის, ხელში მწვანე ტოტები უჭირავთ.

რუთს საუზმე მოაქვს და ბაჭიასთვის აშკარაა, რომ იგი ჯენისზე უკეთესად ამზადებს – ისე მოახერხა სოსისის მოხარშვა, რომ ერთიც არ გამსკდარა. ჯენისს კი ისინი სუფრაზე ყოველთვის დაგლეჯილ-დაგრეხილი შემოჰქონდა, ნაწამებს ჰგავდნენ. ის და რუთი სამზარეულოს პატარა თეთრ მაგიდაზე

საუზმობენ. როგორც კი ჩანგალს მოიმარჯვებს, მაშინვე ჯენისის ცივი სახე ახსენდება თავის სიზმარში, რომელიც გადნა და ხელებში ჩაეღვარა. მოგონება მადას უფუჭებს და ლუკმა ყელში არ გადასდის.

– გადასარევია, – ამბობს მაინც, გაბედულად იწყებს ჭამას და თანდათანობით კვლავ მადაზე მოდის.

მაგიდის გლუვი ზედაპირის მკრთალი ანარეკლი ბაჭიას პირდაპირ მჯდომი რუთის სახეს ეცემა, რომელსაც ფართო შუბლზე კანი ულაპლაპებს, ცხვირთან ორი ხუწუწი კი დაღვრილი სითხის ლაქებს წააგავს. ქალი გრძნობს, რომ მიმზიდველობა დაკარგა და აჩქარებით, თითქოსდა მალულად, საჭმელს ნამცეც-ნამცეც მიირთმევს.

– მომისმინე.

– რა?

– ჩემი მანქანა ჯერაც ჩერი-სტრიტზე დგას.

– იდგეს მერე, კვირაობით მრიცხველები არ მუშაობს.

– ჰო, მაგრამ ხვალ იმუშავებს.

– გაყიდე.

– რაო?

– გაყიდე მანქანა. ცხოვრებას გაიმარტივებ. მაშინვე გამდიდრდები.

– არა, საქმე ეგ როდია. იქნებ ფული გჭირდება? რომ იცოდე, ოცდაათი დოლარი კიდევ დამრჩა. თუ გინდა, ახლავე მოგცემ, – და ხელი ჯიბისკენ მიაქვს.

– არა, არა, რას ამბობ. ამას არ ვგულისხმობდი. საერთოდ არაფერი მიგულისხმია. ისე წამოვაყრანტალე, – რუთი შეცბუნებულია, კისერი ლაქებით ეფარება. ბაჭიას ეცოდება – რა მშვენიერი ეგონა ეს ქალი ჯერ კიდევ გუშინ.

– მინდა გითხრა, რომ ჩემი სიმამრი ნახმარი მანქანებით ვაჭრობს. როცა დავქორწინდი, ეს მანქანა საკმაოდ შეღავათიან ფასად მომყიდა, – განმარტავს ბაჭია, – ფაქტობრივად, იგი ჩემს ცოლს ეკუთვნის, და ვინაიდან ბავშვიც მასთან რჩება, უპრიანი

იქნება, მანქანაც მასთან იყოს. თანაც, შენ თვითონ თქვი, რომ ჭუჭყიანი პერანგი მაქვს. ამიტომ რაღაც ტანსაცმლის მოტანა მომიწევს. ვიფიქრე, საუზმის შემდეგ შინ შევივლი, მანქანას დავტოვებ და ჩემს ნივთებს წამოვიღებ-მეთქი.

– იქ რომ დაგხვდეს?

– არ დამხვდება. დედამისთანაა.

– ასე მგონია, ძალიან გაგიხარდება, შინ რომ აღმოჩნდეს, – ამბობს რუთი.

ვინ იცის, იქნებ ასეცაა? წარმოიდგენს, როგორ აღებს კარს და ხედავს ჯენისს, რომელიც სავარძელში ზის და ტელევიზორს უყურებს, გვერდით კი ცარიელი ჭიქა უდგას. თითქოს შიგნით რაღაც ჩაუწყდაო, თითქოს, როგორც იქნა, ყელში გაჩხერილი ლუკმის გადაყლაპვას ახერხებს, უდიდეს შვებას გრძნობს იმის გამო, რომ ქალს მისთვის ჩვეული სულელური და ჯიუტი გამომეტყველება აქვს.

– არა, – ამბობს იგი, – სულაც არ გამიხარდება. მე მისი მეშინია.

– წარმომიდგენია, – ამბობს რუთი.

– არის მასში რაღაც ისეთი, – დაჟინებით განაგრძობს ბაჭია, – საშიში ადამიანია.

– ის საბრალო, რომელიც მიატოვე? საშიში თვითონ ხარ.

– არა.

– კი-მეთქი. თავი ბაჭიად წარმოგიდგენია, – სიტყვები დამცინავად და გამაღიზიანებლად გაისმის, თუმცა გაუგებარია, რატომ, – საინტერესოა, ნივთებს რას უპირებ? – ეკითხება ქალი.

– აქ მოვიტან, – აღიარებს ბაჭია.

რუთი სულს მოითქვამს, თითქოს რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ დუმს.

– მხოლოდ დღეისთვის, – კაცის ხმაში ვედრება გაისმის, – შენ ხომ არსად მიდიხარ?

– შესაძლოა... არ ვიცი. ალბათ, არა.

– შესანიშნავია. მინდა იცოდე, რომ მიყვარხარ.

ქალი ჭურჭლის გასატანად დგება, ჩერდება, თეთრი მაგიდის შუაგულს დასცქერის, თავს ნელა აქნევს და ამბობს:

– შენ უსიამოვნო სიურპრიზი ხარ.

მისი განიერი, წინწკლებიანი ყავისფერი ქვედაკაბით შემოტმასნილი მენჯი მსხვილი სვეტის საძირკველივით მძიმეა და სიმეტრიული, და ეს მასიური სვეტი ბაჭიას გულს კვლავ გაღვიძებული სიყვარულის მომხიბლავი შეგრძნებით ავსებს, თუმცა ქალს სახეში შეხედვას ვერ უბედავს.

– ვერაფერს გააწყობ, – ამბობს იგი, – სამაგიეროდ, შენ ხარ სასიამოვნო სიურპრიზი.

ბაჭია «შვეიცარიელი დედილოს» ღვეზელის სამ ნაჭერს მიირთმევს. როდესაც დამშვიდობებისას რუთს კოცნის, მისი პირის კუთხეში მიკრული ნამცეცი ქალის სვიტერზე გადადის. იგი რუთს ჭუჭყიან ჭურჭელთან ტოვებს და მანქანისკენ მიემართება, რომელიც ჩერი-სტრიტზე შუადღის სიგრილეში ელოდება. მის დანახვაზე ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს სახლის ერთი ოთახი დინებამ ტროტუარის კიდესთან მიაგდო, მაგრამ გადარჩა, ღამის უკუქცევის შემდეგ ქვიშაზე საღ-სალამათად დგას, უცნაურად ბრწყინავს და გასაღების გადატრიალებისთანავე მზად არის, ახალ ნაოსნობაში გაემართოს. მიუხედავად დაჭმუჭნილი და ჭუჭყიანი ტანსაცმლისა, ბაჭიას სხეული სუფთა, თხელი და მჟღერია. იგი უყვართ. მანქანას რეზინის, მტვრისა და მზისგან გახურებული შეღებილი ლითონის დამამშვიდებელი სუნი ასდის. ის ქარქაშია, თვითონ კი დანა, რომელიც კვირადღის ქალაქს კვეთს – აგურის სახლების რბილ რიგებსა და მოაჯირშემოვლებულ უშფოთველ ხის ვერანდებს. ბაჭია გარს უვლის ჯაჯის მთის დიდ გვერდს, რომლის ფერდობიც გზატკეცილის გასწვრივ მოყვითალო-მომწვანო ნორჩი ფოთლებითაა დაფარული, უფრო ზემოთ კი მარადმწვანე ხეები ჰორიზონტს შავ ზოლად ერტყმის. აქ მისი უკანასკნელად ყოფნის შემდეგ პეიზაჟი საგრძნობლად შეცვლილა. გუშინ დილით ცა განთიადისწინა ღრუბლების ვიწრო ზოლებს დაეფარა, თვითონ კი, დაღლილობით გაწამებული, ქსელის ცენტრისკენ მიემართებოდა – მხოლოდ იქ თუ შეიძლებოდა დასვენება. შუადღემ ღრუბლები დაწვა, წინა საქარე მინიდან ცარიელი და ცივი ცა მოჩანს, წინ კი არაფერია, არაფერი, როგორც რუთის ცისფერ თვალებში. მან თქვა, რომ არაფერს აკეთებს, არაფრის

სწამს. გული გამუდმებით ამ ცარიელი ცისკენ მიილტვის.

საკმარისია, ბაჭია ჯაჯმაუნთის ნაცნობი სახლებისკენ დაეშვას, რომ მისი სულიერი წონასწორობისგან აღარაფერი რჩება. აქეთ-იქით იყურება, ნერვიულობს. გაივლის ჯექსონსტრიტს, პოტერსტრიტსა და უილბერსტრიტს და გარეგნული ნიშნებით ცდილობს იმის დადგენას, არის თუ არა ვინმე შინ. სინათლის მიხედვით ვერაფერს ხვდება – მზე ზენიტშია. სახლის წინ მანქანის კვალიც კი არ ჩანს. იგი კვარტალს გარშემო ორ წრეს არტყამს, კისერწაგრძელებული ცდილობს ფანჯარაში ვინმეს სახის გარჩევას, მაგრამ მაღალი შუშები თვალშეუვალია. რუთი შეცდა – მას სულაც არ სურს ჯენისის ნახვა.

ამგვარ შესაძლებლობაზე ფიქრიც კი იმდენ ძალას ართმევს, რომ მანქანიდან გადმოსული, მზის შუქმა ლამის წააქციოს. კიბეზე ადის, საფეხურები კი მეორე მხარეს მბრუნავი კბილანას ბასრი კბილებივით შიშისგან დაუძლურებულ მის სხეულს ქვემოთ ექაჩება. გასაქცევად მომზადებული კარზე აკაკუნებს. არავინ ეხმაურება. კვლავ აკაკუნებს, მიაყურადებს და ჯიბიდან გასაღებს იღებს.

ბინა ცარიელია, მაგრამ ისე ძლიერ იგრძნობა იქ ჯენისის ყოფნა, რომ ბაჭიას ტანში აჟრჟოლებს, ტელევიზორისკენ შეტრიალებული სავარძლის დანახვაზე კი მუხლები ეკეცება, იატაკზე მიმოფანტული ნელსონის დამტვრეული სათამაშოებისგან თვალთ უჭრელდება. საკუთარი თავი მილის სახით წარმოუდგენია, რომელშიც რუხი ნივთიერება, სმენისა და მხედველობის აპარატი უწესრიგოდ შეჯგუფებულა. სინუსები გატენილი აქვს, ვეღარ გაურკვევია, დაცემინება უნდა თუ ტირილი. სასტუმრო ოთახი მტვერს დაუფარავს. შტორები ჩამოშვებულია. ჯენისი დღისით ყოველთვის ასე იქცევა, რათა ტელევიზორის ეკრანს შუქი არ მოხვდეს. ვიღაცას წესრიგის დამყარება უცდია და საფერფლე და ცარიელი ბოკალი გაუტანია. ბაჭია ბინისა და მანქანის გასაღებს ტელევიზორზე დებს, ხისნაირად ყავისფრად შეღებილ ლითონის ყუთზე. როდესაც განჯინას აღებს, კარის სახელური ტელევიზორის კუთხეს ედება. ჯენისის რამდენიმე კაბა აღარ ჩანს.

ტანსაცმლის გამოღების ნაცვლად, ბაჭია ტრიალდება და სამზარეულოსკენ მილასლასებს, თან თავის საქციელში გარკვევას ცდილობს. შტორებიდან შემოსული გაფილტრული

მზის შუქი ჩაზნექილ საწოლს ეფინება. კარგი საწოლი არასდროს ჰქონიათ. ეს ჯენისის მშობლების საჩუქარია. კამოდზე აწყვია მისი ფლაკონები, სამანიკიურე მაკრატელი, თეთრი ძაფი და ნემსი, თითბრის თმის სამაგრები, სატელეფონო ცნობარი, მაღვიძარა მანათობელი ციფერბლატით, ჟურნალიდან ამოხეული რეცეპტი, რომლითაც არასდროს უსარგებლიათ, იავური, მოჩუქურთმებული ხის მძივებისგან გაკეთებული ყელსაბამი – ბაჭიას საშობაო საჩუქარი. კედელზე დიდი ოვალური სარკეა მიყრდნობილი, რომელიც აქ მაშინ გადმოიტანეს, როდესაც ჯენისის მშობლებმა თავისთან ახალი სააბაზანო მოიწყვეს. ბაჭიას მუდამ უნდოდა, რომ იგი ჯენისის კამოდის თავზე დაემაგრებინა, მაგრამ სჭვალების ყიდვას თავი ვერ მოაბა. ფანჯრის რაფაზე აშმორებული და ბუშტუკებიანი წყლით სანახევროდ ავსებული ჭიქა მზის მქრქალ თინათინებს აჩენს ცარიელ, სარკისთვის განკუთვნილ ადგილზე. იქვე, კედელზე, სამი გრძელი, პარალელური ნაკაწრი გაჩენილიყო. საიდან? როგორ? გასწორებული ლოგინის იქით სააბაზანოს ლინოლეუმის თეთრი სამკუთხედი მოჩანს. შხაპის მიღების შემდეგ ჯენისს ორთქლისგან ზურგი უვარდისფრდება, იგი გახარებული მიილტვის მისკენ საკოცნელად, იღლიებქვეშ ერთმანეთზე მიკრული სველი თმა მოუჩანს, რა დაუპატიჟებელმა სიხარულმა შეიპყრო ჯერ იგი, მერე კი ბაჭია?

სამზარეულოში მის თვალწინ უცნაური სურათი იშლება: ტაფაზე მივიწყებული, სიკვდილივით ცივი დაბეგვილი ღორის ხორცის კატლეტები გამაგრებულ ცხიმში განისვენებენ. ჯერ მათ გადაუძახებს ნიჟარის ქვეშ მოთავსებულ ქაღალდის პარკში, შემდეგ კი იმავე გზას პატარა ნიჩბით მოფხეკილ ცხიმის ნაჭრებს გაუყენებს. პარკს ქვემოდან მუქი ყავისფერი ლაქები გასჩენია და ხრწნის ტკბილი სუნი ასდის. ბაჭია გაშტერებული შესცქერის მას. ნაგვის ყუთი ქვემოთ დგას, სახლის კუთხეში, მაგრამ არ სურს ზედმეტად მოხვდეს ვინმეს თვალთახედვის არეში. გადაწყვეტს, ამაზე აღარ იფიქროს. იგი ცხელ წყალს უშვებს და ტაფას დასალბობად ნიჟარაში დებს. ორთქლის სუნთქვა აკლდამაში ჩურჩულს ჰგავს.

შიშით შეპყრობილი ბაჭია საჩქაროდ იღებს ერთი უჯრიდან სუფთა ტრუსებს, მაისურებსა და წინდებს, მეორიდან – ცელოფანით გადაჭიმულ ცისფერ მუყაოში ჩაწყობილ სამ პერანგს, მესამიდან – გარეცხილ ყავისფერ, ქაღალდის შარვალს.

წაღება რომ გაუადვილდეს, წვრილმან ნივთებსა და სპორტულ პერანგს განჯინიდან გამოღებულ ორ კოსტიუმში ახვევს. მუშაობისგან ოფლში იხვითქება. შეკვრას ხელებითა და მუხლში მოხრილი ფეხით იჭერს, ერთხელაც მოათვალიერებს ოთახს. ავეჯი, ხალიჩები, შპალერი – ყველაფერი, მისი სახის მსგავსად, სქელი მუქი საბურველითაა დაფარული. ოთახებში უწესრიგობაა, ამიტომ აქედან წასვლა უხარია. კარი სამუდამოდ გაჯახუნდება. მისი გასაღები შიგნით რჩება.

კბილის ჯაგრისი. სამართებელი. საკინძები. ფეხსაცმელი. კიბეზე ჩასვლისას, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, ის ნივთები ახსენდება, რომლებიც დაავიწყდა. ჩქარობს, ფეხების კაკუნი ისმის. ვესტიბიულში მაღლა ხტება და კინაღამ შავ სადენზე ჩამოკიდებულ ნათურას ეხება. ეჩვენება, რომ საფოსტო ყუთზე დაწერილი მისი სახელი თავისკენ უხმობს. ლურჯი მელნით გამოყვანილი ასოები უტყვი შეძახილებით ავსებენ ჰაერს. იგი მზეზე გადის და საკუთარ თავზე ეცინება – სწორედ იმ საიდუმლოებით მოცულ ქურდებს ჰგავს, რომელთა შესახებაც გაზეთის ბოლო გვერდებზე წერენ – ფულისა და ვერცხლის ნაცვლად ფაიფურის ჭურჭლის სარეცხი ჯამი, ოცი რულონი შპალერი და ძველი ტანსაცმელი მიაქვთ.

– შუადღე მშვიდობისა, მისტერ ენგსტრომ.

ეს მათი მეზობელია, მის არნდტი. მას ლილისფერი შლაპა ახურავს, რომელსაც ეკლესიაში იხურავს ხოლმე, ხელში კი მწვანე ტოტი უჭირავს.

– ოჰ, გამარჯობა. როგორ ბრძანდებით?

ეს ქალი მათგან სამი სახლის დაშორებით ცხოვრობს. როგორც ამბობენ, კიბო აქვს.

– შესანიშნავად, – პასუხობს იგი, – პირდაპირ შესანიშნავად.

თან, ბრწყინვალებისგან გახელებული, თავის ბრტყელ ტერფებზე მზეზე დგომას განაგრძობს, თავდაღმართში მიმავალი ინსტინქტურად ქვაფენილისკენ იხრება. მათ საეჭვოდ ნელა ჩაუვლის მწვანე მანქანა. მის არნდტი ბაჭიას გზაზე ეღობება. სასიამოვნოდ შეცბუნებული. იგი მადლიერებით არის აღსავსე, თუმცა გაუგებარია, რისთვის, ალბათ, მხოლოდ იმისთვის, რომ ქვაფენილზე დგას, როგორც ბუზი, ჭერზე რომ მიცოცავდა და შეჩერდა, რათა საკუთარი

თავით აღტაცებულიყო.

– ამინდზე რას იტყვით? – ეკითხება ბაჭია.

– ოჰ, ძალიან მომწონს, აღტაცებული ვარ. ბზობის კვირადღე ყოველთვის ცისფერია. სისხლიც კი უფრო სწრაფად მოძრაობს ძარღვებში, – იცინის ქალი.

ბაჭიაც იცინის. მის არნდტი თითქოს ცხელ ასფალტს შეზრდია ორი ახალგაზრდა ნეკერჩხლის სახეებიან ჩრდილში. აშკარაა, რომ მან არაფერი იცის.

– მე კი საგაზაფხულო წმენდის ჩატარება გადავწყვიტე, – განმარტავს, როდესაც ქალი მის ხელებს მიაჩერდება, და თვალსაჩინოებისთვის შეკვრას ანჯღრევს.

– შესანიშნავია, – მოულოდნელად სარკასტული ღიმილით ამბობს მის არნდტი, – ახალგაზრდა ქმრები მუდამ თავაშვებულები მიქრიან, – მერე შეტრიალდება და შესძახებს, – აი, მღვდელიც!

მწვანე მანქანა ნელი სვლით მოდის მათკენ შუა ქუჩაში. ბაჭიას შეშფოთებას ტანსაცმლის შეკვრა აორმაგებს. ხედავს, რომ გაება. ამიტომ სწრაფად გასცდება პარმაღს, ჩაუქროლებს მის არნდტს და ქალის ღრმააზროვანი შენიშვნის საპასუხოდ: «არა, ეს მისი ყოვლადღირსება კრუპენბახი არ არის», ჩაილაპარაკებს: «მეჩქარება, უნდა გავიქცე».

რა თქმა უნდა, ეს კრუპენბახი არ არის. ბაჭია სახეზე კი ცნობს მას, მაგრამ ვინაობა არ იცის. ეპისკოპალური ეკლესიის მღვდელია. სპრინგერები ეპისკოპალურ ეკლესიაში დადიან – ეს კიდევ ერთი ფანდია, რომლის საშუალებითაც მოხუცი ნაძირალა უმაღლეს საზოგადოებაში შეღწევას ცდილობს. ადრე ისინი რეფორმატორულ ეკლესიას მიეკუთვნებოდნენ. ბაჭია არ გარბის, მაგრამ თავდაღმართში ტროტუარი მას ფეხდაფეხ მისდევს და აჩქარებს. შეკვრა გზის დანახვაში ხელს უშლის. მოსახვევს მაინც მიაღწიოს. მხოლოდ ის აიმედებს, რომ მღვდელი ვერ იცნობს. გრძნობს, რომ მწვანე მანქანა კვალში უდგას. იქნებ ნივთები გადაყაროს და მოუსვას? ხელოვნური ყინულის ძველი ფაბრიკის უკან დაიმალებოდა, მაგრამ იქამდე მთელი კვარტალია. რუთმა ჭურჭელი, ალბათ, უკვე გარეცხა და მას მთის მეორე მხარეს ელოდება. ზვიგენის მსგავსად, უხმოდ რომ მიაპობს წყალს, მანქანის მწვანე ფრთა ჰაერის ტალღებს

აგორებს, რომლებიც ბაჭიას უკნიდან მუხლებში ურტყამს. რაც უფრო სწრაფად მიაბიჯებს, მით უფრო ძლიერად ეხეთქება ტალღა. მალე ვიღაცის ბავშვურად წვრილი ხმა წრიპინით წარმოთქვამს:

– მაპატიეთ, თქვენ ჰარი ენგსტრომი არა ხართ?

ბაჭია გრძნობს, როგორ უქრება ტყუილის თქმის სურვილი, თავს აბრუნებს და ნახევრად ჩურჩულით ამბობს:

– დიახ.

ახალგაზრდა ქერათმიანი მამაკაცი კისერზე ჩამოკიდებული რაღაც თეთრი დუშაყებით მარცხენა ტროტუარისკენ უხვევს, ხელის მუხრუჭს ზევით სწევს, ძრავას აჭრობს და მანქანას მოძრაობის საპირისპიროდ, თანაც ცერად აყენებს. სასაცილოა, როგორ უგულებელყოფენ ეს მღვდელმსახურები წვრილ-წვრილ წესებს. ბაჭიას ახსენდება, რომ კრუპენბახის ვაჟი ქალაქში მოტოციკლეტით დაქროდა, რაც მას ყოველთვის ღვთის გმობად მიაჩნდა.

– მე ჯეკ ეკლზი ვარ, – ყოვლად უადგილო ხითხითით ამბობს მღვდელი. თეთრ საყელოსთან ერთად ტუჩებზე მიკრული აუნთებელი სიგარეტის თეთრი ზოლი კომიკურ ეფექტს ახდენს. იგი მანქანიდან, ორმოცდათვრამეტ წელს გამოშვებული ოთხკარიანი «ბიუკიდან» გადმოდის და ბაჭიას ხელს უწვდის. ბაჭია იძულებულია, ტანსაცმლის შეკვრა გაზონზე დადოს ქვაფენილსა და ტროტუარს შორის.

ეკლზის ხელის ჩამორთმევა, ენერგიული, კარგად დამუშავებული და მტკიცე, როგორც ჩანს, გულში ჩაკვრის ტოლფასია. წამით ბაჭიას ეჩვენება, რომ მას თავს ვეღარასდროს დააღწევს. გრძნობს, რომ გაება. ახლა დაიწყება ახსნა-განმარტება, უხერხული ბოლომდე ართქმა, ვედრება, შერიგება – ეს ყველაფერი მის წინაშე ნესტიანი უსიცოცხლო კედლებივით აღიმართება. სასოწარკვეთილს ტანში ჟრუანტელი უვლის. მდევარში სიჯიუტე იგრძნობა.

მღვდელი მისი ხნისაა, შესაძლოა, ოდნავ უფროსი, მაგრამ გაცილებით დაბალი. თუმცა სისუსტის არაფერი სცხია – შავი პიჯაკის ქვეშ აშკარად არაფერში გამოსადეგი კუნთები იმალება. რაღაცით განაწყენებული, დგას და მკერდი წინ წამოუწევია. გრძელი წითური წარბები ცხვირის ძგიდის ზემოთ

ზრუნვით შეწუხებულ ნაოჭს ქმნის, პირის ქვემოთ პატარა, უფერული, გირჩასავით წვეტიანი ნიკაპი მოუჩანს. გაბრაზებული გამომეტყველების მიუხედავად, არის მასში რაღაც მეგობრული და მოსულელო.

– საით გაგიწევიათ? – ეკითხება იგი.

– რა? არსად.

ბაჭიას თავგზას უბნევს ამ ტიპის კოსტიუმი, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით არის შავი, სინამდვილეში კი მუქი ლურჯია, სადა, მაგრამ ელეგანტური, მსუბუქი ქსოვილისგან შეკერილი. გულისპირი, სამკერდული, თუ რაც ჰქვია, ნახშირივით შავია. ეკლზს გაღიმება სურს, მაგრამ პირში სიგარეტი უდევს და მხოლოდ ფრუტუნებს. იგი პიჯაკის ჯიბეს ისინჯავს.

– შემთხვევით ასანთი ხომ არა გაქვთ?

– სამწუხაროდ, არა. აღარ ვეწევი.

– მაშასადამე, თქვენ ჩემზე სათნო ბრძანებულხართ, – ჩაფიქრებული მღვდელი ჰარის შესცქერის, შეშინებული წარბებს მაღლა სწევს. დაძაბულობისგან ნაცრისფერი თვალები უმრგვალდება და შუშასავით უუფერულდება, – თუ გნებავთ, მანქანით მიგიყვანთ.

– არა, დალახვროს ეშმაკმა. ნუ წუხდებით.

– თქვენთან გასაუბრება მინდოდა.

– არა მგონია, ეს მართლა გინდოდეთ, ხომ ასეა?

– დიახაც რომ მინდა. თანაც ძალიან.

– კარგი, – ბაჭია მიწიდან თავის ტანსაცმელს იღებს, «ბიუიკს» წინიდან შემოუვლის და შიგ ჯდება. ცხვირში პლასტმასის მძაფრი, მოტკბო სუნი ეცემა – ახალი მანქანის სუნი. ბაჭია მას ღრმად შეისუნთქავს და ცოტათი მშვიდდება, – ეს ჯენისს ეხება?

ეკლზი თავს უქნევს, მერე უკანა ფანჯარაში იყურება და მანქანას დაძრავს. გულმოდგინებისგან ზედა ტუჩი ქვედაზე გადმოეკიდება, დაღლილობისგან თვალის უპეები გამუქებია. კვირა მისთვის მძიმე დღე იყო.

– როგორ არის? რას აკეთებს?

– დღეს თითქოს გაცილებით უკეთაა. მამამისთან ერთად დილით ეკლესიაში იყო.

ისინი ქუჩას ქვევით მიუყვებიან. ეკლზი დუმს, თვალებს ახამხამებს და საქარე ფანჯარაში იყურება. შემდეგ პანელზე სიგარეტის მოსაკიდებელ ღილაკს თითს აჭერს.

– ასეც ვფიქრობდი, რომ მათთან წავიდოდა, – ამბობს ბაჭია.

ცოტათი გულდაწყვეტილია, მღვდელი რომ არ უყვირის. როგორც ჩანს, ცუდად იცის თავისი საქმე.

ცეცხლის მოსაკიდებელი უკან გამოხტება. ეკლზს იგი სიგარეტთან მიაქვს, ნაფაზს არტყამს და თითქოს აზრებს იკრებს.

– ეტყობა, როდესაც ნახევარ საათში არ დაბრუნდით, – ამბობს იგი, – თქვენს მშობლებს დაურეკა და მამათქვენს სთხოვა, ბიჭი წამოეყვანა. როგორც ვხვდები, მან დაამშვიდა და უთხრა, რომ, ალბათ, სადმე შეყოვნდით. მაშინ ჯენისმა გაიხსენა, რომ ერთხელ შინ დაიგვიანეთ, რადგან ვიღაცებს ქუჩაში ეთამაშებოდით, და გადაწყვიტა, რომ ისევ იქ წახვედით. მე ისიც კი მგონია, რომ მამათქვენი ქალაქში დადიოდა და ეძებდა, სადმე კალათბურთს ხომ არ თამაშობდნენ.

– ბებერი სპრინგერი სად იყო?

– თქვენს ცოლს მათთვის არ დაურეკავს. საბრალო, მათ მხოლოდ ღამის ორ საათზე დაუკავშირდა, როდესაც იმედი გადაეწურა.

«საბრალო» – ერთადერთი სიტყვაა, რომელსაც ადვილად წარმოთქვამს.

– მხოლოდ ღამის ორ საათზე? – ეკითხება ბაჭია. მას შიში იპყრობს, ხელებს ტანსაცმლის შეკვრას უჭერს, თითქოს ჯენისის ნუგეშისცემა სურს.

– დაახლოებით. იმ დროისთვის უკვე ისეთ მდგომარეობაში იყო სასმლისა და ყველაფრისგან, რომ დედამისმა ჩემთან დარეკვა გადაწყვიტა.

– რატომ მაინცდამაინც თქვენთან?

– არ ვიცი. ხალხი ყოველთვის მე მირეკავს, – იცინის ეკლზი, – ასეც უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, ეს მე მანუგეშებს. რატომღაც მეგონა, რომ მისის სპრინგერს ვძულდი. იგი ხომ თვეობით არ დადის ეკლესიაში.

მღვდელი ბაჭიასკენ ტრიალდება, აინტერესებს, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა ხუმრობამ, და წარბებს მაღლა ეშმაკურად აზიდავს, რისგანაც ფართო პირი ძალაუნებურად ეღება.

– ეს ღამის ორი საათისთვის მოხდა?

– ორსა და სამს შორის.

– მერწმუნეთ, ძალზე ვწუხვარ. სულაც არ მინდოდა ლოგინიდან თქვენი წამოგდება.

– ეგ რა სალაპარაკოა, – დანანებით აქნევს თავს მღვდელი.

– თავს უხერხულად ვგრძნობ.

– მართლა? ეს იმედს მინერგავს. თქვენს გეგმებზე რას იტყვით?

– არავითარი გეგმა არა მაქვს. მე, ასე ვთქვათ, სმენით ვუკრავ.

ეკლზის სიცილი ბაჭიას აოცებს, მაგრამ შემდეგ თავში გაუელვებს, რომ მღვდელი დანგრეული ოჯახების, გაქცეული ქმრების და მისთანების სწორედაც რომ სპეციალისტია და გამოთქმამ – «სმენით ვუკრავ» ჩვეულ სქემაში რაღაც სიახლე შეიტანა. იგი ნასიამოვნებია: ეკლზმა იცის, რა და როგორ.

– დედათქვენს ამ ყველაფერზე საინტერესო მოსაზრება აქვს, – ამბობს ეკლზი, – ფიქრობს, რომ მე და თქვენი მეუღლე ვცდებით, როდესაც გვგონია, რომ თქვენ მიატოვეთ. მისი თქმით, ძალიან კარგი ახალგაზრდა ბრძანდებით და ასე არ მოიქცევით.

– როგორც ვხედავ, ამ საქმით სერიოზულად ხართ დაკავებული.

– დიახ, გუშინ კი ერთ მიცვალებულზეც მომიწია ზრუნვამ.

– ოჰ, მაპატიეთ, თუ შეიძლება.

ისინი ზანტად მიუყვებიან ნაცნობ ქუჩებს, გასცდებიან ხელოვნური ყინულის ფაბრიკას და კუთხეში შეუხვევენ, საიდანაც მთელი ხეობა მოჩანს.

– იცით, რა, თუ მართლაც გსურთ ჩემი დახმარება, ბრუერში წავიდეთ, – ამბობს ბაჭია.

– მეუღლის მონახულებას არ აპირებთ?

– არა, ბოდიში მომითხოვია. იმის თქმა მინდა, რომ ამას კარგი არაფერი მოჰყვება, თქვენ რას იტყვით?

მღვდელი ცოტა ხანს დუმს. მისი მკაფიო დაღლილი პროფილი თანამოსაუბრისკენ არის მიმართული, მზერა კი – საქარე მინისკენ. უზარმაზარი მანქანა ყრუ გუგუნით მტკიცედ მიგორავს წინ. ჰარი უკვე თავისი შეკითხვის გამეორებას აპირებს, როდესაც ეკლზი პასუხობს:

– რა თქმა უნდა, არ მოჰყვება, თუ ამას თვითონ არ მოინდომებთ.

როგორც ჩანს, თემა მარტივად ამოიწურა. ისინი პოტერ-ავენიუთი გზატკეცილისკენ ეშვებიან. მზით განათებულ ქუჩებში მხოლოდ ბავშვები ჩანან, ზოგი კვლავაც საკვირაო სკოლის ფორმაშია გამოწყობილი. გოგონებს წელში გამოყვანილი მარმაშის კაბები აცვიათ, ბაფთები წინდების ფერის მიხედვით შეურჩევიათ.

– ისეთი რა გააკეთა, რომ მიატოვეთ? – ეკითხება ეკლზი.

– მთხოვა, მისთვის ერთი კოლოფი სიგარეტი მეყიდა.

ბაჭია იმედოვნებს, რომ ეკლზს გაეცინება, მაგრამ მღვდელი მის სიტყვებს ოდნავ ზღვარგადასულ თავხედობად მიიჩნევს, არადა, სინამდვილეში სწორედ ასე იყო.

– ეს სიმართლეა. მომბეზრდა ხელზე მოსამსახურედ ყოფნა, მუდმივად მისი დატოვებული ჭუჭყისა და ნაგვის აღება. სულ მეჩვენებოდა, რომ დამტვრეულ სათამაშოებს, ცარიელ ჭიქებსა და ტელევიზორს უნდა ვყოფილიყავი მიჯაჭვული, დროულად ჭამა მენატრებოდა. აღარ ვიცოდი, რა მექნა. მერე კი უეცრად მივხვდი, რა იოლი ყოფილა გამოსავლის მოძებნა: უნდა ადგე და წახვიდე, და დალახვროს ეშმაკმა, ასეც მოხდა.

– თუ ეს ორ დღეზე ნაკლებ ხანს გრძელდება, მართლაც ადვილია.

– ეს მხოლოდ ადვილი არაა. ეს უცნაურიცაა, – და ამ უცნაურობის აღწერის ნაცვლად, კითხულობს, – თქვენი

აზრით, ჯენისი რას აპირებს?

– თვითონაც არ იცის. თქვენი მეუღლე პარალიზებულივითაა. არ უნდა, რომ ვინმემ რაიმე მაინც მოიმოქმედოს.

– საბრალო. რა იდიოტია.

– აქ რატომ ხართ?

– იმიტომ, რომ თქვენ გამომიჭირეთ.

– ვგულისხმობდი, საკუთარი სახლის წინ როგორ აღმოჩნდით-მეთქი.

– სუფთა ტანსაცმლისთვის შემოვიარე.

– განა სუფთა ტანსაცმელი თქვენთვის გადამწყვეტია? რა საჭიროა ზრდილობის წესების დაცვა, როცა ასე ადვილია სხვებს გადაუარო?

ბაჭია გრძნობს, რომ საუბარი სახიფათო ხდება. საკუთარი სიტყვები ბუმერანგივით უბრუნდება. ირგვლივ მახეები და ხაფანგებია დაგებული.

– ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მე მანქანა დავუბრუნე.

– რატომ? განა გასაქცევად არ გამოგადგებოდათ?

– ვიფიქრე, რომ მანქანა მას უფრო ეკუთვნოდა. მამამისმა ფასდაკლებით დაგვითმო. თანაც მისგან ვერანაირ სარგებელს ვერ მივიღებდი.

– ვერანაირს? – ეკლზი სიგარეტს საფერფლეში ჩააჭყლეტს და ჯიბიდან ახალს იღებს. იგი მთას გარს გზის ყველაზე მაღალი მონაკვეთით უვლის, სადაც ფერდობი ერთი მხრიდან ზემოთ მიიწევს, მეორიდან კი ისეა დაქანებული, რომ იქ ვერც სახლი აშენდება და ვერც ავტოგასამართი სადგური. ქვემოთ კი მდინარე ბრჭყვიალებს ბუნდოვნად, – მე რომ ცოლის მიტოვება გადამეწყვიტა, – ამბობს ეკლზი, – ჩავჯდებოდი მანქანაში და ათას მილს გავივლიდი, – სიტყვები, რომლებიც მშვიდად გაისმის თეთრი საყელოს ზემოდან, რჩევას უფრო წააგავს.

– მეც სწორედ ასე მოვიქეცი! – შესძახებს ბაჭია. აღტაცებულია, რომ მათ ბევრი საერთო აღმოაჩნდათ, – დასავლეთ ვირჯინიამდეც კი მივედი, მაგრამ მერე ყველაფერს

მივაფურთხე და დავბრუნდი, – არა, ბილწსიტყვაობას უნდა შეეშვას. რატომ ილანძღება გამუდმებით? იქნებ იმიტომ, რომ ეკლზისგან თავი შორს დაიჭიროს? გრძნობს, რომ რაღაც სახიფათო ძალა ამ შავებში გამოწყობილი კაცისკენ ექაჩება.

– მიზეზს ხომ ვერ გამიმხელდით?

– წარმოდგენა არა მაქვს. მიზეზთა ერთობლიობაა. ნაცნობ ადგილებში უფრო იმედიანად ხარ კაცი.

– იქნებ მეუღლის დასახმარებლად დაბრუნდით?

ბაჭიამ აღარ იცის, რა უპასუხოს.

– თქვენ ამბობთ, რომ არეულ-დარეულობა გულს გიმძიმებთ. იმაზე თუ დაფიქრებულხართ, სხვა ახალგაზრდა წყვილები რას გრძნობენ? რატომ გგონიათ, რომ გამონაკლისს წარმოადგენთ?

– თქვენ ფიქრობთ, რომ ამ შეკითხვაზე ვერ გიპასუხებთ, მაგრამ ასე არ არის. ოდესღაც ხარისხიან კალათბურთს ვთამაშობდი. მართლაც ხარისხიანს. მას შემდეგ, რაც ადამიანი კარგ ხარისხს გემოს გაუგებს, ცუდი ხარისხი აღარ აინტერესებს. ის კი, რაც მე და ჯენისს შორის არსებობდა, სწორედაც რომ ცუდი ხარისხისა იყო და მეტი არაფერი.

კვლავ ცეცხლის მოსაკიდებელი გამოხტება. ეკლზი გააბოლებს და ისევ გზას გასცქერის. უკვე ბრუერის გარეუბანში არიან.

– ღმერთის არსებობისა თუ გწამთ? – ეკითხება იგი.

ვინაიდან დილით რეპეტიცია უკვე გავლილი აქვს, ბაჭია უყოყმანოდ პასუხობს:

– მწამს.

გაოცებული ეკლზი თვალებს ახამხამებს. პროფილში ფუმფულა ქუთუთოს ძირს უშვებს, მაგრამ სახეს არ ატრიალებს.

– მაშასადამე, თქვენი აზრით, ღმერთს სურს, რომ თქვენი მეუღლე დატანჯოთ?

– ნება მიბოძეთ, გკითხოთ. როგორ ფიქრობთ, უნდა კი ღმერთს, რომ ჩანჩქერი ხედ გადაიქცეს? – ბაჭია ხვდება, რომ ჯიმი «მაუსკეტერის» ეს შეკითხვა სულელურად ჟღერს. მას ის

აღიზიანებს, რომ ეკლზს მისი გადაყლაპვა სურს, თანაც ნაღვლიანი სახით ნაფაზის დარტყმის შემდეგ. მისთვის ცხადია, რომ მის ნებისმიერ ნათქვამს ეკლზი ასევე გადაყლაპავს. მისი პროფესია მოსმენაა. დიდი, ქერათმიანი თავი თითქოს ყოველი გამვლელ-გამომვლელის ძვირფასი საიდუმლოებებისა და სასოწარკვეთილი პასუხებისგან გაკეთებული რუხი თხელი ფაფით აქვს სავსე. და მისი ახალგაზრდობის მიუხედავად, არაფერს შეუძლია ამ ფაფისთვის ფერის შეცვლა. ბაჭია პირველად განეწყობა მის მიმართ ანტიპათიურად.

– არა, – ამბობს ეკლზი ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, – მაგრამ, ჩემი აზრით, მას სურს, პატარა ხე დიდი გახდეს.

– თუ იმის თქმა გნებავთ, რომ მე ჯერ არ მოვმწიფებულვარ, ამის გამო ტირილს არ ვაპირებ, იმიტომ, რომ, რამდენადაც მესმის, მომწიფება იგივე სიკვდილია.

– არც მე ვარ მომწიფებული, – საჩუქარივით იმეტებს ეკლზი.

დიდი ვერაფერი საჩუქარია და ბაჭია მასზე უარს ამბობს.

– არ ვიცი, გეცოდებათ ის კრეტინი თუ არა, მაგრამ იცოდეთ, რომ მასთან დაბრუნებას არ ვაპირებ. წარმოდგენა არა მაქვს, რას ფიქრობს. უკვე მრავალი წელია. მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც თვითონ ვგრძნობ. სულ ეს არის, რაც გამაჩნია. ის თუ იცით, რას ვსაქმიანობდი ამ ბანდის შესანახად? იაფი საქონლის მაღაზიებში ჩალის ფასად ღირებულ «მაგიურ სახეხელას» ვუწევდი რეკლამას.

ეკლზი გაოცებისგან წარბებს მაღლა სწევს, ბაჭიას შესცქერის და იცინის.

– აი, თურმე რას უნდა მივაწეროთ თქვენი ორატორული ნიჭი, – ამბობს იგი.

ამ არისტოკრატიულ დაცინვაში აზრი მაინც არის – იგი ორივე მათგანს საკუთარ ადგილს მიუჩენს. ბაჭია უფრო თავდაჯერებული ხდება.

– გამიჩერეთ, თუ შეიძლება, გადავალ, – სთხოვს იგი.

ისინი უკვე უაიზერ-სტრიტზე არიან და დიდი მზესუმზირისკენ მიემართებიან, რომელიც დღისით მკვდარია.

– თუ გნებავთ, იქ მიგიყვანთ, სადაც გადახვედით.

– არსად არ გადავსულვარ.

– თქვენი ნებაა, – პატარა ბიჭივით განაწყენებული ეკლზი მანქანას ტროტუართან აღმართულ სახანძრო ჰიდრანტთან აჩერებს. მკვეთრი დამუხრუჭებისგან საბარგულში ჩხაკუნის ხმა ისმის.

– რაღაც გაგიტყდათ, – ამცნობს ბაჭია.

– ეს გოლფის სათამაშო ყვანჭებია.

– გოლფს თამაშობთ?

– ცუდად. თქვენ? – ეკლზს გამოცოცხლება ეტყობა, ხელში ანთებული სიგარეტი უჭირავს, რომელიც თავისთვის იწვის.

– ოდესღაც ყვანჭებს დავატარებდი.

– ნება მომეცით, სათამაშოდ მიგიწვიოთ, – აჰა. ესეც სატყუარა.

ბაჭია მანქანიდან გადმოდის, ტროტუარზე მდგარს, ტანსაცმლის შეკვრა მკერდზე მიუკრავს და სიხარულისგან ლამის იცეკვოს, – როგორც იქნა, გათავისუფლდა.

– ყვანჭები არა მაქვს.

– შეგიძლიათ, იქირაოთ. უარს ნუ მეტყვით, გთხოვთ, – ეკლზი მარჯვენა დასაჯდომისკენ იხრება, გაღებული კარისკენ, – ძალიან მიჭირს პარტნიორების პოვნა. ჩემ გარდა, ყველა მუშაობს, – იცინის იგი.

ბაჭიასთვის აშკარაა, რომ უნდა გაიქცეს, მაგრამ ფიქრი თამაშის შესახებ და ის აზრი, რომ უსაფრთხოებისთვის უმჯობესია, მონადირე მხედველობის არეში ჰყავდეს, ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევს.

– მოდი, არ გადავდოთ, თორემ კვლავ თქვენი სახეხელების დემონსტრირებას მიჰყოფთ ხელს, – არ ეშვება ეკლზი, – სამშაბათზე რას იტყვით? ორ საათზე? შემოგიაროთ?

– არა, თვითონ გამოგივლით სახლში.

– მპირდებით?

– დიახ, ოღონდ ჩემს დაპირებებს ნუ ენდობით.

– სხვა რა გზა მაქვს, – ეკლზი ჯაჯმაუნთში თავის მისამართს ეუბნება და ერთმანეთს, როგორც იქნა, ემშვიდობებიან.

ტროტუარზე, კვირაობით დაკეტილი მაღაზიების გაშეშებული ვიტრინების გასწვრივ, ასაკოვანი პოლიციელი დააბიჯებს. ალბათ, ფიქრობს, რომ მღვდელი თავისი ახალგაზრდული ჯგუფის ხელმძღვანელს ესაუბრება, რომელსაც ხელში ღარიბებისთვის განკუთვნილი ფუთა უჭირავს. ჰარი პოლიციელს უღიმის და მხიარულად მიუყვება აელვარებულ ტროტუარს. სასაცილოა, რომ დედამიწის ზურგზე თითსაც კი ვერავინ დააკარებს.

რუთი კარს უღებს. ხელში დეტექტივი უჭირავს, თვალები ნამძინარევს მიუგავს. სხვა სვიტერი ჩაუცვამს. თმა თითქოს გამუქებია კიდეც. ბაჭია ტანსაცმელს საწოლზე ყრის.

– საკიდარი თუ გაქვს?

– შენ რა, ფიქრობ, რომ ეს ბინა უკვე შენია?

– ჩემი შენ ხარ, – პასუხობს იგი, – შენ ჩემი ხარ, მზეც ჩემია და ვარსკვლავებიც.

როდესაც ბაჭია ეხვევა, ეჩვენება, რომ ეს მართლაც ასეა. ქალი თბილია, მკვრივი, მაგრამ არა მეგობრული. ბაჭიას ცხვირში საპნის ნაზი სურნელი უღიტინებს, ნიკაპით კი სინესტეს შეიგრძნობს. რუთს თავი დაუბანია. მუქი კულულები აკურატულად გადაუვარცხნია უკან. სუფთაა, ძალიან სუფთა, დიდი სუფთა ქალი. ბაჭია ცხვირს თავზე მიადებს და მწკლარტე სუნით ტკბება. წარმოიდგენს, თუ როგორ დგას შიშველი რუთი შხაპის ქვეშ და თავი მჩქეფარე წყლისთვის შეუშვერია.

– მე შენ გაიძულებდი, რომ გაფურჩქნილიყავი, – ამატებს იგი.

– საოცრება ხარ, – ამბობს ქალი, მის მკერდს სცილდება, უყურებს, როგორ აკურატულად ჰკიდებს ბაჭია თავის კოსტიუმებს და ინტერესდება, – მიეცი ცოლს მანქანა?

– არავინ დამხვდა. შეუმჩნევლად შევედი და გამოვედი. გასაღები შიგნით დავტოვე.

– ნუთუ ვერავინ გამოგიჭირა?

– უნდა ვაღიარო, რომ გამომიჭირეს. ეპისკოპალური ეკლესიის

მღვდელმა ბრუერამდე მომიყვანა.

– მითხარი, მართლა მორწმუნე ხარ?

– მე მისთვის არ მითხოვია.

– რა გითხრა?

– განსაკუთრებული არაფერი.

– რას წარმოადგენს?

– საკმაოდ გესლიანი ტიპია, სულ იცინის.

– იქნებ შენზე ეცინებოდა?

– სამშაბათისთვის გოლფის სათამაშოდ მიმიწვია.

– ხუმრობ?

– არა, მართლა. ვუთხარი, რომ თამაში არ ვიცი.

რუთი იცინის, დიდხანს იცინის, იმ ქალების მსგავსად, რომლებსაც აღელვებ, მაგრამ ამის აღიარების რცხვენიათ.

– ჩემო საყვარელო ბაჭიავ! – წამოიძახებს ბოლოს სინაზემორეული, – დღისით, მზისით, ქალაქში დახეტიალებ, არა?

– თვითონ ამეკიდა, – ცდილობს თავის მართლებას, მაგრამ გრძნობს, რომ თუ ყველაფერს აუხსნის, გაურკვეველი მიზეზების გამო, ეს ქალის სიცილს გამოიწვევს, – მე არაფერ შუაში ვარ.

– შე საბრალოვ, – ამბობს რუთი, – წინ ვერაფერი დაგიდგება.

ბაჭია შვებით იხდის ჭუჭყიან ტანსაცმელს და სუფთა საცვლებსა და ქაღალდის ყავისფერ შარვალს იცვამს. სამართებელი შინ დატოვა, მაგრამ რუთს აქვს პატარა საპარსი იღლიისთვის. ბაჭია არჩევანს სპორტულ პერანგზე აჩერებს, ვინაიდან გაზაფხულზე საღამოობით უცებ აცივდება ხოლმე. ზამშის ფეხსაცმელების ჩაცმა უწევს, რადგან სხვა დაავიწყდა.

– სასეირნოდ წავიდეთ, – აცხადებს ჩაცმის დამთავრების შემდეგ.

– ვკითხულობ, – რუთი სკამზე ზის. წიგნის წაკითხვა თითქმის

დამთავრებული აქვს. ჩანს, წიგნებს აკურატულად ეპყრობა, თუმცა ისინი მხოლოდ 35 ცენტი ღირს – ქაღალდის ყდები დაუზიანებელია.

– წავიდეთ, სუფთა ჰაერზე გავიდეთ, – ბაჭია ქალს უახლოვდება და დეტექტივის წართმევას ცდილობს. წიგნის სათაურია «მიცვალებულები ოქსფორდში». რა ხელი აქვს მიცვალებულებთან ოქსფორდში, როდესაც მის წინ თვითონ დგას, შეუდარებელი ჰარი ენგსტრომი?

– დამაცადე, – სთხოვს ქალი, წიგნს გადაფურცლავს და სანამ ბაჭია მისკენ ხელს იწვდენს, რამდენიმე წინადადების წაკითხვას ასწრებს, შემდეგ თვალებს ხუჭავს და წიგნს ხელს უშვებს, – ღმერთო ჩემო, როგორი ჯიუტი ხარ.

ბაჭია წიგნში ნახმარ ასანთის ღერს დებს და ქალის შიშველ ფეხებს შესცქერის.

– სპორტული ფეხსაცმელი ან რამე მაგის მსგავსი არა გაქვს? მაღალ ქუსლებზე ხომ ვერ ივლი.

– არა. მეძინება.

– ადრე დავწვებით.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალი თვალებს მიაპყრობს და ტუჩებს ოდნავ კუმავს. არის მასში რაღაც ვულგარული: ამგვარი შენიშვნა არასდროს გამოეპარება.

– წავიდეთ. დაბალქუსლიანები ჩაიცვი, თმას კი გავაშრობთ.

– მაღლებს ჩავიცვამ, – როდესაც ქალი ფეხსაცმელების ჩასაცმელად იხრება, ბაჭია ღიმილით უყურებს თმის გამყოფ, ზედმიწევნით სწორ ხაზს. ასე პატარა გოგონებს აქვთ ხოლმე დაბადების დღეზე.

ისინი მთას პარკის გავლით უახლოვდებიან. ნაგვის ურნები და ლითონის ძელსკამები ჯერ არ დაუდგამთ. ბეტონისა და ხის დასაჯდომებზე დაუძლურებული მოხუცები მზეზე ძვლებს ითბობენ, სხვადასხვა შეფერილობის რუხი ფრთებით დაფარული დიდი მტრედების მსგავსად. პატარ-პატარა ფოთლებით შემოსილი ხეები გამჭვირვალე ჩრდილებით ნახევრად შიშველ მიწას მტვერავენ. პალოებზე გაბმული თოკები ახალდათესილ გაზონებს დაუგველი მოხრეშილი

ბილიკებისგან გამოყოფს. მსუბუქი ნიავი, უწყვეტად რომ უბერავს ფერდობიდან ცარიელი საორკესტრო სცენის გასწვრივ, ჩრდილში საკმაოდ გრილია. შალის პერანგი სწორედ რომ ზედგამოჭრილია. ვარდისფერ ფეხებზე დასაქოქი სათამაშოებივით მოძრავი მტრედები ფუსფუსებენ, ხან აფრინდებიან, ხან დაფრინდებიან, ფრთებს აბარტყუნებენ. ვიღაც მაწანწალა გალეული სახით ზის სკამზე, ხელები ზურგის გასწვრივ გაუჭიმავს და კატასავით მოხდენილად აცემინებს. სპორტული თამაშებისთვის განკუთვნილი ნივთებით სავსე დაკეტილ ფარდულთან, რომლის ყვითელ ფიცრებზეც ვიღაცას წითელი საღებავით დაუწერია: «ტექსი და ჯოზი», «რიტა და ჯეი», თოთხმეტ წლამდე ასაკის რამდენიმე ბიჭი შეგროვილა. საინტერესოა, სად იშოვეს წითელი საღებავი? მქრქალი ყავისფერი მიწიდან მრავლად ამოუღწევია მწვანე ძაფებს. ბაჭია რუთს ხელს ჩაჰკიდებს. საორკესტრო სცენა-ნიჟარის წინ მდებარე დეკორატიული ტბორიდან წყალი გაუშვიათ და ნაგვით სავსე ფსკერი მოჩანს. მის მომრგვალებულ კიდეზე ბილიკს მიუყვებიან და აქამდე მდუმარე ნიჟარა მათი ნაბიჯების ექოს უკან აბრუნებს. მეორე მსოფლიო ომის დროინდელ, ქანდაკებად ქცეულ ტანკს ლულები შორეული ჩოგბურთის კორტებისკენ მიუმართავს, სადაც არც ბადეა დაჭიმული და არც მოედანია დახაზული თეთრი საღებავით.

ხეები მუქდება, პავილიონები თავქვე ეშვება. რუთი და ბაჭია პარკის ზედა ნაწილში მიდიან, სადაც ღამღამობით ხულიგნები იკრიბებიან. კიბის პირველი საფეხურები ერთიანად ხშირი ჯაგნარის ბარდებითაა მოფენილი, დაბერილი კვირტები ღია ქარვისფრად შეფერილა. ბრუერისკენ მიმართულ მთის ფერდობზე ეს კიბე მრავალი წლის წინ გააკეთეს, როდესაც ფეხით სეირნობა მოდური იყო. საფეხურები ექვსფუტიანი, გაფისული მორებია, რომელთა შორისაც მიწა ჩაუყრიათ და დაუტკეპნიათ. მოგვიანებით ეს მრგვალი საფეხურები რკინის მილებით გაამაგრეს, მიწას კი წვრილი, ცისფერი კენჭები მოაყარეს. რუთი გაჭირვებით მიიწევს მაღლა. ბაჭია ხედავს, რომ მისი მძიმე სხეული ძლივს ინარჩუნებს წონასწორობას მიწაში ჩაფლულ წვეტიან ქუსლებზე. იგი კენჭების ფენით დაფარულ უსწორმასწორო ზედაპირს ედება და ბორძიკობს, უკანალი უყანყალებს, წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელებს აქეთ-იქით იქნევს.

– ფეხსაცმელები გაიხადე, – ეუბნება ბაჭია.

– და ფეხები დავიმტვრიო? ძალიან კი ზრუნავ ჩემზე.

– მაშინ უკან დავბრუნდეთ.

– არა, არა. უკვე ცოტა დარჩა.

– ჯერ ნახევარი გზაც კი არ გაგვივლია. გაიხადე ფეხსაცმელები. ეს ლურჯი კენჭები მალე დამთავრდება და დატკეპნილი მიწა დაიწყება.

– შუშის ნამსხვრევებით.

მაგრამ მაინც იხდის ფეხსაცმელებსა და წინდებს. ბაჭია ხედავს მსხვილ, თეთრ ნაკუთალებს თხელი კოჭების ზემოთ, ყვითელ კანს ქუსლებზე. მადლიერების ნიშნად, თვითონაც იხდის ფეხზე და მზადაა მისი ტკივილი გაიზიაროს. მიწა დატკეპნილია, მაგრამ ალაგ-ალაგ შეუმჩნეველი კენჭები ფეხებში ესობათ, როდესაც მთელი ტანით აწვებიან. ამასთან, მიწა ცივიცაა.

– ვაი! ვაი! – იძახის ბაჭია.

– წინ, ჯარისკაცო! გამაგრდი.

ბოლოს ხვდებიან, რომ მორების ნაპირებში ამოსულ ბალახზე უნდა იარონ. კიბე ნაწილობრივ ხის ტოტებითაა დაფარული, რომლებიც მას ზემოთ მიმავალ გვირაბად აქცევს. ზოგიერთი ადგილიდან ბრუერის სახლების სახურავები მოჩანს, რომელთა შორისაც სასამართლოს ოცსართულიანი შენობა, ქალაქის ერთადერთი ცათამბჯენი გამოირჩევა. ზედა ფანჯრებს შორის ბეტონის რელიეფურ არწივებს გაუშლიათ ფრთები. ზემოდან მათ შესახვედრად ორი ხანდაზმული წყვილი ეშვება ყელზე შემოხვეული კუბოკრული შარფებით. როგორც კი ისინი მუხის დაბრეცილ ტოტს მოეფარებიან, ბაჭია რუთს მიეჭრება, მაგრად მოეხვევა და ოფლისგან მლაშე, არათანამგრძნობ ტუჩებში კოცნის, ქალი თვლის, რომ ახლა ამის დრო არაა, მისი ცალმხრივი ქალური გონება მთაზე ასვლითაა დაკავებული. კაცს კი იმის გაფიქრება, რომ ეს ქაღალდივით ფერმკრთალი ქალი მისი გულისთვის ფეხშიშველი მიაბიჯებს ქვებზე, დაძაბულობისგან გაშმაგებით მფეთქავ გულს სიხარულით უვსებს და სასოწარკვეთილი ადამიანის სისუსტით ეჭიდება მის მკვრივ სხეულს. მათ თავზე გრუხუნით გადაიფრენს თვითმფრინავი, რომელიც აჩქარებით მიაპობს ღრუბლებს.

– ჩემო დედოფალო, – ამბობს ბაჭია, – ჩემო მშვენიერო ბედაურო.

– ჩემო რა?

– ბედაურო.

ზედ მწვერვალთან ფრიალო კლდე აღმართულა. აქ რკინისმოაჯირებიანი ბეტონის კიბეა გაკეთებული, რომლის «ძ» ასოს ფორმის სამი მალი სასტუმრო «ბელვედერის» მოასფალტებულ ავტოსადგომამდე მიდის. ისინი კვლავ იცვამენ ფეხსაცმელებს, კიბეზე ადიან და ქვემოთ განფენილ ქალაქს გადასცქერიან.

ფლატეს ნაპირი მოაჯირებითაა შემოღობილი. ბაჭია თეთრ კადონს ეყრდნობა, რომელიც მზეს გაუთბია, მკვეთრად რომ ეშვება ზენიტიდან და პირდაპირ ქვემოთ, ტოტებგაფარჩხული ხეებისკენ იყურება. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ახსოვს ეს საშინელი სურათი, როდესაც თავში ყოველთვის ერთი შეკითხვა უტრიალებდა: რა მოხდება, რომ გადახტეს, – სასიკვდილოდ დაიმტვრევა თუ ამ რბილ მწვანე ბურთებზე დაირწევა, სიზმარში გაჩენილ ღრუბლებს რომ წააგავს?

მხედველობის არის ქვედა ნაწილში მის ფეხებთან ციცაბო ქვის კედელი ჩნდება, პერსპექტივით წვრილი დანის ზომებამდე შემცირებული; ზედაში კი – ბორცვის ფერდობი დამრეცად ეშვება თავქვე და აქა-იქ ბალახით გადავლილ ბილიკებს, მდელოებსა და იმ საფეხურებს აჩენს, რომლითაც მაღლა ავიდნენ.

რუთს, თითქოს წიგნს კითხულობსო, ქუთუთოები ჩამოუშვია და ქალაქს თვალმოუშორებლივ გასცქერის. შესაძლოა, ეჩვენება, რომ ინდიელია? ხომ ამბობდა, სავსებით შესაძლებელია, მექსიკური სისხლი მერიოსო.

კარგი. ისინი ამსიმაღლეზე ამოვიდნენ. რის სანახავად? ქალაქი პარკის განაპირას თოჯინების სახლების რიგით იწყება, შემდეგ ურიცხვ წითელ ყვავილის ქოთანში გადადის, რომელთა შორისაც ტოლის სახურავები და მოელვარე მანქანები მოჩანს, ბოლოს კი შორეული მდინარის თავზე დაკიდებული ნისლის ვარდისფერი ანარეკლით მთავრდება. ამ ბურუსში მკრთალად ციმციმებენ აირსაცავები, გარეუბნები მას შარფებივით გასდევენ. მხედველობის არეში მოქცეული ქალაქი

უზარმაზარია და ბაჭია პირს აღებს, რათა ამქვეყნიურ ჭეშმარიტებას ეზიაროს, თითქოს ჭეშმარიტება ისეთ სუსტ ხსნარში შერეული საიდუმლოა, რომ მხოლოდ უსაზღვროებას შეუძლია მისი გემო გვაგრძნობინოს. ჰაერი პირს უშრობს.

ბაჭიამ მთელი დღე ღმერთზე ფიქრში გაატარა: რუთის დაცინვა, ეკლზის გაოცებული მზერა – რატომ გვასწავლიან იმას, რისიც არავის სწამს? როცა აქ დგახარ, სავსებით ცხადია: რადგან არსებობს იატაკი, არსებობს ჭერიც, ხოლო სივრცე, რომელშიც ვცხოვრობთ, აშკარად ზემოთაა მიმართული. აი, ახლაც კი ვიღაც კვდება. აგურის ამ უზარმაზარ გროვაში ვიღაც აუცილებლად კვდება. ეს აზრი არსაიდან მოდის, მხოლოდ სტატისტიკაა. ამ ქუჩებზე მდგარ რომელიღაც სახლში ვიღაც მოკვდება – თუ ამ წუთში არა, შემდეგში მაინც, და ეჩვენება, რომ სწორედ იმ ადამიანის მოულოდნელად გაქვავებულ მკერდშია მოთავსებული ქვემოთ გადაშლილი ბრტყელი ვარდის გული. თვალებით იმ ადგილს ეძებს – იქნებ გაუმართლოს და დაინახოს, თუ როგორ მიისწრაფვის ცის სილაჟვარდეში, თოკზე მცოცავი მაიმუნის მსგავსად, კიბოსგან გაშავებული მოხუცის სული. ბაჭია სმენას დაძაბავს, იმ მომენტის დაჭერა სურს, როდესაც მის ფერხთით განფენილი აგურისფრად წითელი ილუზია ამ რეალობას გაათავისუფლებს. სიჩუმე იმედს უმსხვრევს. ავტომობილების მწკრივები სრულიად უხმაუროდ მოძრაობენ, ერთ-ერთი სახლის ფანჯარაში რაღაც წერტილი გამოჩნდება. რას აკეთებს აქ? რატომ ჰკიდია ჰაერში? რატომ შინ არაა? მას შიში იპყრობს და რუთს სთხოვს:

– მომეხვიე.

ქალი დაუდევრად ემორჩილება – უახლოვდება, ხელს მოხვევს და თეძოთი თეძოზე ეკვრის. ბაჭია მძლავრად მიიზიდავს მას და თავს უკეთ გრძნობს. მათ ფეხებთან ბრუერი ჩამავალი მზის სხივებით თბება. მისი უზარმაზარი წითელი საბურველი ხეობიდან, რომელშიც ქალაქია ჩაფლული, ზემოთ მოიწევს, როგორც მკერდი ჰაერის შესუნთქვის მერე. ბრუერი ასეულათასობით ადამიანის მშობელი დედაა, სიყვარულის თავშესაფარია, გონებამახვილი პიროვნებების ხელით შექმნილი კაშკაშა ქმნილება. ბოლოს ბაჭია თავს სრულიად უსაფრთხოდ გრძნობს და განებივრებული ბავშვივით ქალს ეშმაკურად ეკითხება:

– მართლა ბოზი იყავი?

მისდა გასაოცრად, რუთს სახე უქვავდება, უხეში მოძრაობით ითავისუფლებს თავს და მუქარით ჩერდება ზედ მოაჯირის კიდესთან. თვალებს ჭუტავს, ნიკაპის ფორმაც კი ეცვლება. ბაჭია ნერვიულად კანკალებს, თანაც ამჩნევს, რომ მოასფალტებული მოედნის მეორე მხრიდან სამი ბოისკაუტი ღიმილით მისჩერებია მათ.

– შენ კი მართლა ნაძირალა ხარ?

ბაჭია გრძნობს, რომ სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს.

– ნაწილობრივ, კი.

– ძალიანაც კარგი.

ქვემოთ ჩასასვლელად ისინი ავტობუსში სხდებიან.

* * *

სამშაბათ დღეს ცა მოღრუბლულია. ბაჭია ავტობუსით ჯაჯმაუნთში მიემგზავრება. ეკლზი ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობს, ამიტომ მშვიდობიანად ჩაუვლის თავის რაიონს, სპრუს-სტრიტზე ჩამოდის, მხნედ მიაბიჯებს და ხმამაღლა ღიღინებს «ოჰ, ჰარიზე ვგიჟდები».

იგი მშვიდადაა. მან და რუთმა ორი დღე მისი ფული ხარჯეს, მას კი კიდევ თოთხმეტი დოლარი რჩება. გარდა ამისა, დღეს დილით, სანამ რუთი საყიდლებზე იყო წასული, მის კამოდში იქექებოდა და აღმოაჩინა, რომ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე უზარმაზარი თანხა ჰქონია – თებერვლის დასაწყისში – ხუთას დოლარზე მეტი. მათ ერთხელ ბოულინგი ითამაშეს, ოთხჯერ კინოში იყვნენ. ნახეს «ჯიჯი», «ზარი, წიგნი, სანთელი», «სასტუმრო «მეექვსე ბედნიერება» და «ბანჯგვლიანი ძაღლი». გადაცემაში «მიკი მაუსის კლუბი» მას ამ უკანასკნელი ფილმის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი ჰქონდა ნანახი, ამიტომ მთელი ფილმის ნახვა მოუნდა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს ფოტოსურათების ალბომს ათვალიერებდა, სადაც ნახევარზე მეტი სახე კარგა ხნის წინ ჰქონდა ნანახი. სცენა, რომელშიც რაკეტა სახურავში გადის, ფრედ მაკმარი კი

ყავადნით ხელში სახლიდან გამორბის, მან ზეპირად იცოდა.

რუთი ართობდა. ბოულინგს საშინლად თამაშობდა – ბაჯბაჯით გარბოდა და ბურთი ხელიდან უვარდებოდა. პლუმ! კინოში კი ყოველთვის, როდესაც სტერეოფონური დინამიკი მათ ზურგს უკან ღრიალს იწყებდა, იქით მიტრიალდებოდა და «შ-შ», «შ-შ»-ს სისინებდა, თითქოს დარბაზში ვინმე ხმამაღლა ლაპარაკობდა. ფილმში «სასტუმრო «მეექვსე ბედნიერება», როგორც კი ეკრანზე ინგრიდ ბერგმანი გამოჩნდებოდა, თავს ბაჭიასკენ დახრიდა და ჩურჩულით ეკითხებოდა: «მართლა ბოზია?» ბაჭიას კი რობერტ დონატმა დასწყვიტა გული, რომელიც საშინლად გამოიყურებოდა. იცოდა, რომ კვდებოდა. წარმოიდგინეთ, რომ კვდებით, თქვენ კი თავი უნდა მოიკატუნოთ, რომ ჩინელი მანდარინი ხართ. გუშინ საღამოს კი, როდესაც ფილმი «ზარი, წიგნი, სანთელი» ნახეს, რუთმა თქვა: «ჩვენთან რატომ არსად არ არის ბონგოს დოლები?» და მან დაიფიცა, რომ რამდენიმე ცალს იშოვიდა. ნახევარი საათის წინ კი, სანამ უაიზერ-სტრიტზე ავტობუსს ელოდებოდა, მუსიკალური მაღაზიის «სიმები და დისკები» ვიტრინაში სწორედ მათ მოჰკრა თვალი. კომპლექტის ფასი 19,95 დოლარი იყო. ავტობუსში მთელი გზა მუხლებზე ბონგოს რიტმებს აკაკუნებდა.

«ოჰ, ჰარიზე ვგიჟდები-ი-ი...»

ნომერი 61 დიდი, აგურის სახლია, ხით თეთრად მოპირკეთებული, ბერძნული ტაძრის მსგავსი პარმაღითა და დიდი თევზის ქერცლივით მბრწყინავი შიფერის სახურავით. სახლს უკან, ეზოში, მავთულის ბადით შემოღობილი ყვითელი საბავშვო საქანელები და საქვიშარი მოუწყვიათ. როდესაც ჰარი ბილიკს მიუყვება, ამ მავთულის ბაკში ლეკვის წკავწკავი ისმის. ბალახი ინტენსიური ზეთოვანი მწვანე ფერია, რომელიც წვიმის წინ და ფერად სურათებზე იცის. ერთობლიობაში ყველაფერს არანორმალურად მხიარული სახე აქვს – ბაჭია ყოველთვის ფიქრობდა, რომ მღვდლები პირქუშ, შავი სოლყავრით გადახურულ ქვის ციხესიმაგრეებში ცხოვრობდნენ. მაგრამ თევზის ფორმის კარზე დასაკაკუნებლის ზემოთ მოთავსებულ პატარა დაფაზე ამოტვიფრულია: «პასტორატი». იგი ორჯერ აკაკუნებს ამ თევზით. არავინ ეხმაურება და კიდევ ორჯერ აკაკუნებს.

კარს მკვირცხლი ტანდაბალი ქალი აღებს ჭრელი მწვანე

თვალებით.

– ვინ გნებავთ? – მისი ხმა ისე ჟღერს, თითქოს უნდა, თქვას: «როგორ გაბედეთ?»

როდესაც ქალი თავს მაღლა სწევს, რათა მის სიმაღლეს მოერგოს, თვალები უფართოვდება და თეთრი გარსი მოუჩანს, რომელშიც ხავსიანი მწვანე ირისია ჩარჭობილი.

უეცრად ბაჭია გრძნობს, რომ მისი გული მოინადირა, რომ მას მოეწონა. ქალს წინწამოწეულ, ვიწრო და ნამზეურ ლაქებს შორის ფერმკრთალი ცხვირის ზემოთ აპრეხილ წვერზე ჭორფლი აყრია. ღია ფერის კანი აქვს, ბავშვივით ნაზი სტრუქტურით. ნარინჯისფერი შორტები აცვია. ბაჭია სითავხედემდე მისული მხიარულებით ამბობს:

– გაუ...

– გამარჯობა.

– მაპატიეთ, მისი ღირსება ეკლზი შინაა?

– სძინავს.

– დღისით?

– თითქმის მთელი ღამე არ ეძინა.

– საბრალო.

– შემოხვალთ?

– არც კი ვიცი. მითხრა, რომ მოვსულიყავი. თვითონ მითხრა.

– სავსებით შესაძლებელია. შემობრძანდით, გეთაყვა.

ჰოლისა და კიბის გავლით ქალს იგი მაღალჭერიან გრილ ოთახში შეჰყავს, სადაც ვერცხლისფერი შპალერი, პიანინო, კედლებზე აკვარელის პეიზაჟები, ჩაშენებულ სტელაჟზე მრავალი წიგნი და ბუხარია, რომელზეც საათი დგას ოთხი ბურთულისგან შემდგარი ქანქარით, რომლებიც, წესით, არასდროს უნდა გაჩერდეს. ყველგან ჩარჩოში ჩასმული ფოტოსურათებია. ავეჯი მუქი მწვანე და მუქი წითელია, თუ არ ჩავთვლით გრძელ დივანს გაზნექილი საზურგითა და სახელურებით, კრემისფრად მოთეთრო გადასაკრავით. ოთახში ყინულივით ცივი გულგრილობა იგრძნობა. შორიდან უფრო

თბილი სუნი მოდის: იქ ღვეზელს აცხობენ. ქალი ხალიჩის შუაში ჩერდება და ამბობს:

– გესმით?

ბაჭია ჩერდება. ყრუ კაკუნი, რომელიც მანაც გაიგონა, აღარ მეორდება.

– მეგონა, ბავშვს ისევ ეძინა, – განმარტავს ქალი.

– თქვენ ძიძა ხართ?

– ცოლი ვარ, – აცხადებს იგი და დასამტკიცებლად თეთრი დივნის შუაში მოკალათდება.

ბაჭია მის პირდაპირ რბილ, მაღალთავმისადებიან სავარძელში ჯდება. ხორკლიანი ლილისფერ-მოწითალო გადასაკრავი შიშველ ხელებს ოდნავ უკაწრავს. მას იდაყვებამდე დაკაპიწებული კუბოკრული სპორტული პერანგი აცვია.

– აჰ, მაპატიეთ, – რა თქმა უნდა, ქალს გადაჯვარედინებულ შიშველ ფეხებზე დაბერილი ვენების ლურჯი კვალი ემჩნევა. დამჯდარს სახე ისეთი ახალგაზრდული აღარ აქვს, როგორიც კართან ჰქონდა. როდესაც თავს დივნის საზურგეს ადებს, ორმაგი ღაბაბი მოუჩანს. მადის მომგვრელი ფუნთუშაა. მაგარი ძუძუებით.

– რამდენისაა თქვენი პატარა?

– ორი მყავს. ორი გოგო – სამი წლისა და ერთი წლის.

– მე ბიჭი მყავს. ორი წლისაა.

– ბიჭი მეც მინდოდა, – ამბობს ქალი, – გოგონებთან პირადი ხასიათის პრობლემები მაქვს. ერთმანეთს ძალიან ვგავართ. ყოველთვის იცი, მეორე რას ფიქრობს.

შვილები არ უყვარს! ბაჭია შეცბუნებულია – რაც უნდა იყოს, მღვდლის ცოლია.

– თქვენი ქმარი თუ ამჩნევს ამას?

– ოჰ, ჯეკი აღფრთოვანებულია. სიამოვნებს, როცა ქალები მის გამო ჩხუბობენ. ეს მისი ჰარამხანაა. დარწმუნებული ვარ, ბიჭის შეეშინდებოდა. თქვენ არ გეშინიათ თქვენის?

– ჩემი შვილის? ცხადია, არა. ის ხომ მხოლოდ ორი წლისაა.

– მერწმუნეთ, ეს ორ წელზე გაცილებით ადრე იწყება. სექსუალური ანტაგონიზმი პრაქტიკულად დაბადებისთანავე იჩენს თავს.

– მე ეს არ შემიმჩნევია.

– მით უკეთესი თქვენთვის. ალბათ, პრიმიტიული მამა ბრძანდებით. ჩემი აზრით, ფროიდი ღმერთივით ყოვლისშემძლეა. თქვენ ამის აშკარა მტკიცებულება ხართ.

ბაჭია იღიმება – ალბათ, ფროიდი რაღაცნაირად კავშირშია ვერცხლისფერ შპალერსა და სასახლისა და არხის აკვარელის გამოსახულებასთან მის თავზე. მაღალი კლასია. თითების ბოლოებით ქალი საფეთქლებს ეხება, თავს უკან სწევს, თვალებს ხუჭავს და ღია ფუმფულა ტუჩებით ოხრავს. ბაჭია განცვიფრებულია – წამით ქალი რუთის დაპატარავებულ და დახვეწილ ასლად ეჩვენება.

კიბიდან ეკლზის წვრილი, საკუთარ სახლში უცნაურად გაძლიერებული ხმა ისმის:

– ლუსი! ჯოისი ჩემს ლოგინში მოძვრება!

ლუსი თვალს ახელს და ამაყად აცხადებს:

– ხომ ხედავთ.

– მეუბნება, რომ შენ დართე ნება, – საწყალობელი ხმა მოაჯირების, კედლებისა და შპალერის ფენების გავლით მოდის.

მისის ეკლზი დგება და კარისკენ მიემართება. ნარინჯისფერი შორტები უკნიდან დაჭმუჭნია და ზევით ასწევია. თეძოები დივანზე თეთრი აქვს. ჯდომისგან გაწითლებული კანი თანდათან უფერმკრთალდება.

– მსგავსი არაფერი მითქვამს! – გასძახის მაღლა და თეთრი ხელით თავის ელეგანტურ დაჭმუჭნილ შორტს ისწორებს, რომლის მარჯვენა ამოზნექილ მხარეს შავი ძაფით დალიანდაგებული ჯიბე იწონებს თავს, – ჯეკ, – განაგრძობს იგი, – შენთან სტუმარია! ძალიან მაღალი ახალგაზრდა კაცი. ამბობს, დამპატიჟაო.

– გოლფის სათამაშოდ, – ამატებს ბაჭია და ფეხზე დგება.

– გოლფის სათამაშოდ! – ეჭოსავით იმეორებს ქალი.

– ღმერთო ჩემო, – თავის თავს ეუბნება ხმა, ხმამაღლა კი გაიძახის, – გამარჯობა, ჰარი! ახლავე ჩამოვალ.

– დედამ, კიო! დედამ, კიო! – სლუკუნებს ზემოთ ბავშვი.

– გაგიმარჯოს! – პასუხობს ბაჭია.

მისის ეკლზი თავაზიანად ატრიალებს მისკენ თავს:

– ჰარი?..

– ენგსტრომი.

– რას საქმიანობთ, მისტერ ენგსტრომ?

– სიმართლე გითხრათ, ამჟამად უმუშევარი ვარ.

– ენგსტრომი. რა თქმა უნდა. თქვენ ის არა ხართ, რომელიც გაუჩინარდა? სპრინგერების სიძე?

– ის გახლავართ, – მხნედ პასუხობს ბაჭია და სწორედ იმ წამს, როდესაც მისი პასუხის გაგონებისთანავე ქალი ქედმაღლურად შეაქცევს ზურგს, დაუფიქრებლად წამოარტყამს ხელს კეკლუცად მოქანავე უკანალზე. ძლიერად არა – ეს მსუბუქი მიტყაპუნებაა, ერთდროულად საყვედურიცაა და მოფერებაც.

ქალი ადგილზე ბზრიალასავით ტრიალდება, სახით მისკენ, საჯდომით დაცული ზურგისკენ. ჭორფლი ქინძისთავის ნაჩხვლეტებივით მკვეთრად აყრის აღშფოთებისგან გაფითრებულ სახეზე. გაშეშებული ცივი მზერა იმდენად შეუსაბამობაშია შემწყნარებლურად ზანტ და თბილ გრძნობასთან, რომელსაც ბაჭია მისდამი განიცდის, რომ იგი სულელურად იმანჭება – მოჩვენებითი მონანიებით ზედა ტუჩს ქვედაზე გადმოსდებს.

კიბეზე საშინელი გრუხუნი კედლებსაც კი აზანზარებს. წონასწორობადაკარგული ეკლზი ლამის კიბეზე მოგორავს და თავის შეკავებას ძლივს ახერხებს, რათა მათ არ შეასკდეს. შემდეგ ჭუჭყიან თეთრ პერანგს დაჭმუჭნილ ყავისფერ შარვალში იტანიებს. ფაფუკი წამწამების მიღმა ამღვრეული თვალები ეცრემლება.

– მაპატიეთ, – ამბობს იგი, – არ იფიქროთ, რომ დამავიწყდა.

– დღეს მაინც ღრუბლიანი დღეა, – უნებური ღიმილით პასუხობს ბაჭია. ქალის უკანალი სიმპათიური, მკვრივი და მოქნილი ეჩვენა. ახლა თავის ქმარს, ალბათ, ყველაფერს ჩაუკაკლავს და მისი საქმე წასულია. ეგრე იყოს. თვითონაც ვერ გაუგია, აქ რამ მოიყვანა.

იქნებ ქალს ეთქვა კიდეც, მაგრამ ქმარი დაუყოვნებლივ იწყებს მის ნერვებზე თამაშს.

– ფიქრი ნუ გაქვთ, გაწვიმებამდე ცხრა ფოსოს მაინც გავივლით, – ეუბნება ბაჭიას.

– ჯეკ, აბა, როგორ წახვალ გოლფის სათამაშოდ, როცა თვითონ თქვი, კიდევ რამდენიმე ვიზიტი უნდა გავაკეთოო.

– ისინი დილით მოვისტუმრე.

– ორი. მხოლოდ ორი. ფრედ დევისსა და მისის ლენდისს ესტუმრე. არადა, მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ. ფერის ოჯახს რას უპირებ? ნახევარი წელია, მათზე ლაპარაკით ყურები გამომიჭედე.

– მათ განსაკუთრებული არაფერი სჭირთ. ეკლესიისთვის არასდროს არაფერს აკეთებენ. მისის ფერი შობის პირველ დღეს გამოცხადდა და გუნდის გავლით გავიდა, ჩემთვის თავი რომ აერიდებინა.

– ცხადია, არაფერს აკეთებენ ეკლესიისთვის. სწორედ ამიტომაა საჭირო მათი მონახულება და ეს მშვენივრად მოგეხსენება. დიახ, მათში არაფერია განსაკუთრებული, გარდა იმისა, რომ თვითონაც თვეობით იტანჯები და სხვებსაც არ ასვენებ იმაზე მსჯელობით, თუ რატომ გავიდა მისის ფერი სხვა კარიდან. თუ ინებებს და აღდგომას მობრძანდება, იგივე განმეორდება. თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, შენ და მისის ფერი შესანიშნავად შეეთვისეთ ერთმანეთს: ორივენი ერთნაირად ინფანტილური ხართ.

– ლუსი, იმის გამო, რომ მისტერ ფერის ფეხსაცმელების ფაბრიკა აქვს, ისინი ვერ გახდნენ იმათზე უკეთესი ქრისტიანები, ვინც მათთან მუშაობს.

– ოჰ, ჯეკ, როგორი მომაბეზრებელი ხარ. უბრალოდ გეშინია,

უარი არ გტკიცონ და თუ შეიძლება, გეყოფა თავის გასამართლებლად ბიბლიის ციტირება. სულ არ მაინტერესებს, ივლიან თუ არა ფერები ეკლესიაში. ასემც უქნიათ, იეღოვას მოწმეები გამხდარან.

– იეღოვას მოწმეები პრაქტიკულად მაინც ახორციელებენ იმას, რაც სწამთ, – ეკლზი ჰარისკენ ტრიალდება და შეთქმულივით ხითხითებს თავისი გესლიანი შენიშვნის შემდეგ, მაგრამ სიმწარე სიცილს აწყვეტინებს, ტუჩები ძაფივით უწვრილდება, კბილები წინ გამოსდის, თავი კი პატარა ნიკაპთან ერთად დაღრეჭილ თავის ქალას მიუგავს.

– არ ვიცი, ამით რისი თქმა გსურს, მაგრამ როცა ხელი მთხოვე, მე გაგაცანი ჩემი შეხედულებები, შენ კი თქვი, ყველაფერი რიგზეაო.

– დიახ, იქამდე, სანამ შენი გული მადლისთვის ღიაა, – ეკლზი ამ სიტყვებს ისე ომახიანად ეუბნება, რომ კაშკაშა სიწითლე შუბლსაც კი უფარავს.

– დედიკო, გამოვიძინე, – მოულოდნელად გაისმის ბავშვის მორიდებული ხმა. ნოხგადაფარებული კიბის ზედა მოედნის მოაჯირზე შავგვრემანი, ტრუსის ამარა გამოსული პატარა გოგო გადმოწეულა. ბაჭიას აზრით, იგი მშობლებთან შედარებით ძალზე შავგვრემანია, ძალზე დაღვრემილია მკრთალ ჩრდილში, საიდანაც მისი ბავშვურად ფუმფულა, მაგრამ მაგარი ფეხების სილუეტი მოჩანს. გაბრაზებული, ხელებს იქნევს და შიშველ მკერდს იწიწკნის. დედას ჯერ პირი არ გაუღია, მან კი პასუხი უკვე იცის.

– ჯოის! შენს საწოლში დაწექი, შენში-მეთქი! – და დაიძინე.

– არ შემიძლია, ხმაური შემოდის.

– ჩვენ ზუსტად მის ქვემოთ ვღრიალებდით, – ეუბნება ეკლზი ცოლს.

– ეს შენ ღრიალებდი მადლის შესახებ.

– საშინელი სიზმარი ვნახე, – აცხადებს ჯოისი და მოუხერხებლად ჩამოდის ორ საფეხურზე.

– შენ არაფერი გინახავს, არც კი გძინებია, – მისის ეკლზი კიბეს უახლოვდება.

– რა ნახე სიზმარში? – ეკითხება ეკლზი გოგონას.

– ლომმა ბიჭი შეჭამა.

– ეგ სიზმარი არ ყოფილა, – მიახლის მისის ეკლზი, მერე კი ქმარს მიუბრუნდება და განაგრძობს, – სულ იმ ბელოკის[9] საზიზღარი ლექსების ბრალია, განუწყვეტლივ რომ უკითხავ.

– თვითონ მთხოვს.

– საზიზღარია, ბავშვს ტრავმას აყენებს.

– მე და ჯოისი კი ვთვლით, რომ სასაცილოა.

– მაშასადამე, ორივეს გაუკუღმართებული იუმორის გრძნობა გქონიათ. ყოველ საღამოს იმ დაწყევლილი პონის, ტომის შესახებ მეკითხება და აინტერესებს, რას ნიშნავს სიტყვა «მოკვდა».

– მერედა, აუხსენი, რასაც ნიშნავს. შენ რომ ჩვენი და ბელოკის მსგავსად ზებუნებრივის არსებობისა გჯეროდეს, ეს სრულიად უწყინარი შეკითხვები მოთმინებას არ დაგაკარგვინებდა.

– ნუ წუწუნებ, ჯეკ. ამ დროს საშინელი სანახავი ხარ ხოლმე.

– გინდოდა გეთქვა, რომ საშინელი სანახავი ვარ, როცა სერიოზულად აღგიქვამ.

– ღვეზელი მიგეწვებათ, – ამბობს ბაჭია.

ქალი ყინულივით ცივ მზერას მიაპყრობს, მაგრამ ამ მზერაშიც კი იმალება ფარული მოწოდება, სუსტი ყვირილი დახმარების შესახებ მტრის ბუნაგიდან. ბაჭიას ესმის ეს, მაგრამ განზრახ არ იმჩნევს, დაუდევრად შეავლებს თვალს მის კინკრიხოს და მგრძნობიარე ნესტოებს უჩვენებს, დამწვრის სუნი რომ იგრძნო.

– ნეტავ მართლა სერიოზულად აღმიქვამდე! – ეუბნება ცოლი ქმარს და მარჯვე შიშველი ფეხებით გარბის პასტორატის პირქუშ დერეფანში.

– ჯოის, შენს ოთახში ადი, პერანგი ჩაიცვი და ძირს ისე ჩამოდი, – ყვირის ეკლზი.

გოგონა კიდევ სამი საფეხურით ინაცვლებს ქვემოთ.

– ვერ გაიგონე, ჯოის, რაც გითხარი?

– შენ მომიტანე პერანგი, რა, მამიკო.

– მე რატომ? მე ხომ უკვე ქვემოთ ვარ?

– არ ვიცი, სად არის.

– არა, იცი. კამოდზე გიდევს.

– არ ვიცი, სად არის ჩემი კამოდი...

– შენს ოთახშია, ჩემო კარგო. მშვენივრად იცი, სადაც. მომიტანე პერანგი და ქვემოთ ჩამოსვლის ნებას მოგცემ.

მაგრამ გოგონამ კიბის ნახევარი უკვე ჩამოიარა.

– ლომის მეშინია-ა-ა, – ოხრავს ჯოისი ღიმილით, რომლის მიხედვითაც აშკარაა, რომ თავის თავხედობას კარგად გრძნობს. სიტყვებს ნელა და ფრთხილად წარმოთქვამს. ასეთივე სიფრთხილის ნოტები დაიჭირა ბაჭიამ დედამისის ხმაშიც, როდესაც იმავე მამაკაცს აჯავრებდა.

– რა უნდა სახლში ლომს! იქ არავინაა, ბონის გარდა, მას კი სძინავს. ბონის არ ეშინია.

– გეხვეწები რა, მამიკო. გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები, გეხვეწები, – იგი უკვე ძირს ჩამოვიდა და მამას მუხლებზე ხელი მაგრად მოხვია.

ეკლზი იცინის, წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობს და გოგონას საკმაოდ დიდ თავს ეყრდნობა, რომელსაც მისნაირი ბრტყელი კინკრიხო აქვს.

– კარგი, აქ იყავი და ამ სასაცილო ბიძიას დაელაპარაკე, – ამბობს და მოულოდნელად სპორტული სიმსუბუქით არბის კიბეზე.

– ჯოის, შენ კარგი გოგო ხარ? – ეკითხება ბაჭია.

ბავშვი მუცელს გამოზნექს და თავს მხრებში რგავს. ამასთან, მსუბუქი ხორხისმიერი ბგერა «ქხხ» აღმოხდება. იგი თავს აქნევს და ბაჭიას ეჩვენება, რომ თავისი ფოსოების უკან უნდა დამალვა. მაგრამ მოულოდნელად მტკიცედ განაცხადებს:

– დიახ.

– დედაშენიც კარგია?

– დიახ.

– რატომ არის კარგი? – იმედოვნებს, რომ ლუსის სამზარეულოში ყველაფერი ესმის. ქურასთან აჩქარებული ფუსფუსი წყდება.

ჯოისი მას შესცქერის და კუთხეზე მოქაჩული ზეწრის მსგავსად, შიშისგან სახე ეჭმუხნება. თვალები ნამდვილი ცრემლებით ევსება. იგი იქით გარბის, სადაც დედა ეგულება. მარტო დარჩენილი ბაჭია გაუბედავად დადის ჰოლში წინ და უკან და მღელვარების დასაცხრობად კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებს ათვალიერებს. აქ არის უცხო ქვეყნების დედაქალაქები, თეთრებში გამოწყობილი ქალი ოქროსფოთლებიანი ხის ქვეშ, წმინდა იოანეს ეპისკოპალური ეკლესიის გამოსახულება, კალმით აგურ-აგურ პედანტურად გამოყვანილი, – 1927 წლით დათარიღებული და დიდი ასოებით ხელმოწერილი: «მილდრედ ლ. კრამერი». პატარა მაგიდის თავზე მხატვრული ფოტოსურათი ჰკიდია: ვიღაც მოხუცი შეთეთრებული საფეთქლებითა და პასტორის საყელოთი თითქოს სამყაროს შუაგულს მისჩერებია. იქვე იმავე ჯენტლმენის გაზეთიდან ამოჭრილი გაყვითლებული ფოტოსურათია ჩამაგრებული – სიგარიანი მამაკაცი შეშლილივით იცინის საეკლესიო სამოსში გამოწყობილ სამ ტიპთან ერთად. იგი ცოტათი ჯეკს წააგავს, ოღონდ უფრო ძვალმსხვილია და მკვრივი. სიგარა მუჭში უჭირავს. შემდეგი ფერადი რეპროდუქციაა – სცენა სახელოსნოში, სადაც დურგალი თავისი შეგირდის თავიდან გადმოსულ შუქში მუშაობს.[10] ზედ აფარებულ შუშაში ბაჭიას თავი ირეკლება. წინკარში რაღაცის მძაფრი სუნი დგას. ლაქების ამომყვანის? ახალი ლაქის? ნაფტალინის? ძველი შპალერის? – მკითხაობს ის, ის, «ვინც გაუჩინარდა». «სექსუალური ანტაგონიზმი პრაქტიკულად დაბადებიდანვე იჩენს თავს». ნამდვილი ბოზია. მაგრამ მასში არის სასიამოვნო ცეცხლი, როგორც მის ფეხებზე ქვემოდან ზემოთ მიმართული შუქი. ეს მბრწყინავი თეთრი ფეხები. ასეთმა იცის, რაც უნდა. ფუნთუშაა. სურნელოვანი ვანილის ფუნთუშა. მიუხედავად ყველაფრისა, ეს ქალი მოსწონს.

სახლში, როგორც ჩანს, კიდევ ერთი კიბეა, ვინაიდან ესმის, როგორ ცდილობს ეკლზი ჯოისის დაყოლიებას, რომ სვიტერი

ჩაიცვას, ლუსის კი ეკითხება, ცოტა ღვეზელი თუ მაინც გადარჩაო. მან არ იცის, რომ ბაჭიას ყურები სულ ახლოსაა და ამბობს:

– არ გეგონოს, რომ ვერთობი. ეს სამუშაოა.

– სხვაგვარად ვერ დაელაპარაკები?

– მას ეშინია.

– საყვარელო, შენ რომ კაცმა მოგისმინოს, ყველას ეშინია.

– ჩემიც კი ეშინია.

– რა ვიცი, საკმაოდ მხნედ კი შემოაბიჯა ამ კარში.

სწორედ დროა, რომ დაამატოს: და ხელი მომარტყა მადის მომგვრელ უკანალზე, რომელიც მხოლოდ შენ გეკუთვნის და შენი მფარველობის ქვეშ იმყოფება.

როგორ! შენს მადის მომგვრელ უკანალზე? მოვკლავ მაგ არამზადას! პოლიციას გამოვუძახებ!

სინამდვილეში ლუსის ხმა სიტყვაზე «კარი» წყდება, ეკლზი კი იმაზე ლაპარაკობს, რომ თუ ასეთი და ასეთი დარეკავს... სად არის გოლფის სათამაშო ახალი ბურთები? ჯოის, შენ ნამცხვარი ათი წუთის წინ აიღე, და, ბოლოს, ძალზე მშვიდი ხმით, თითქოს მათი კამათის ნაკაწრები დიდი ხანია, რაც შეხორცდა, ამბობს «ნახვამდის». ბაჭია დერეფნის მეორე ბოლოში ბრუნდება და რადიატორს ეყრდნობა, როდესაც ახალგაზრდა ბუს დამსგავსებული ეკლზი, მოუქნელი და უკმაყოფილო, სამზარეულოდან მოქრის.

ისინი მანქანისკენ მიდიან. წვიმის საფრთხის ქვეშ «ბიუიკის» მწვანე ტყავი ცვილისებრ ელფერს იძენს. ეკლზი სიგარეტს უკიდებს. მანქანა ქვემოთ მიემართება, გადაკვეთს 422-ე გზატკეცილს, დაბლობზე გადის და გეზს გოლფის სათამაშო მინდვრისკენ იღებს. ეკლზი რამდენიმე ღრმა ნაფაზს არტყამს და აცხადებს:

– მაშასადამე, თქვენი უბედურება ურწმუნოებას არ უკავშირდება.

– რა თქვით?

– ჩვენი ბოლო საუბარი გავიხსენე. ხისა და ჩანჩქერის შესახებ.

– აი, თურმე რა ყოფილა. ეს იდეა მე მიკი მაუსს მოვპარე.

შეფიქრიანებული ეკლზი იცინის. ბაჭია ამჩნევს, რომ ამ დროს იგი პირს არ აღებს, შიგნით მიმართული კბილები მომენტს ელიან, ისევე, როგორც წარბები, რომლებიც ზევით-ქვევით მოძრაობენ.

– სიმართლე გითხრათ, ცოტათი გაოცებული ვარ, – აღიარებს იგი და თავის კეკლუც მღვიმეს კეტავს, – თქვენ ისიც თქვით, თითქოს იცით, შიგნით რა გაქვთ. მთელი შაბათ-კვირა ვფიქრობდი ამის შესახებ. ხომ ვერ ამიხსნიდით?

ბაჭიას არაფრის ახსნა არ სურს. რაც მეტს ლაპარაკობს, მით მეტს კარგავს. თავისი კანის საფარქვეშ სრულიად უსაფრთხოდ გრძნობს თავს და იქვე უნდა დარჩენა. ეს ტიპი ცდილობს, გარეთ გამოიტყუოს, სადაც თავის ჭკუაზე ატარებს. მაგრამ თავაზიანობის ულმობელი კანონი პირს ახსნევინებს.

– განსაკუთრებული არაფერია, – პასუხობს იგი, – უფრო სწორად, ყველაფერი. თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

ეკლზი თავს აქნევს, თვალებს ახამხამებს და გზას განაგრძობს. იგი თავისებურადაა დარწმუნებული საკუთარ თავში.

– ჯენისი როგორაა? – ეკითხება ბაჭია.

ეკლზი არ ელოდა, რომ იგი ასე სწრაფად შეცვლიდა თემას.

– ორშაბათ დილით შევუარე, რათა მეთქვა, რომ აქ იყავით, ოლქში. თქვენი მეუღლე ეზოში შვილთან და, როგორც მივხვდი, თავის ძველ მეგობართან, მისის ფოსტერთან თუ მისის ფოლგმენთან ერთად სეირნობდა.

– როგორ გამოიყურება?

– წესიერად ვერ დავაკვირდი. მისმა სათვალემ თავგზა ამიბნია. სარკისებური იყო, ძალიან ფართო «ყურებით».

– ა-ა, პეგი გრინგი. საშინელი იდიოტი. იმ უეშმაკო მორის ფოსნაჰტს გაჰყვა ცოლად.

– დიახ, დიახ, ფოსნაჰტი. იმასაც მივაქციე ყურადღება, რომ თითქოს გერმანული გვარი ჰქონდა.

– აქ ჩამოსვლამდე ფოსნაჰტის[11] შესახებ არასდროს გსმენიათ?

– არა. ჩვენთან, ნორუოლკში ამგვარი არაფერი გამიგია.

– მახსოვს, როდესაც ექვსი თუ შვიდი წლის ვიყავი – ბაბუა ათას ცხრაას ორმოც წელს გარდამეცვალა და იმიტომ, – იგი ყოველთვის ზევით რჩებოდა, სანამ ქვევით ჩამოვიდოდი, რათა «ფოსნაჰტი» არ გავმხდარიყავი. ბაბუა მაშინ ჩვენთან ცხოვრობდა, – ბაჭიას თავში გაუელვებს, რომ უკვე მრავალი წელია, თავის ბაბუაზე არ უსაუბრია.

– რა სასჯელი ელოდა მას, ვინც «ფოსნაჰტი» გახდებოდა?

– დამავიწყდა. რატომღაც არავის უნდოდა ამ ტიტულის მოპოვება. მოითმინეთ. ერთხელ ქვემოთ ბოლო ჩამოვედი და ყველა დამცინოდა, ეს არ მომეწონა, გავიბუტე და, მგონი, ვიტირე კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მოხუცი ამიტომაც იცდიდა ზემოთ.

– მამათქვენის მამა?

– არა, დედაჩემის. ჩვენთან ერთად ცხოვრობდა.

– მე კი მამაჩემის მამა მახსოვს, – ამბობს ეკლზი, – იგი ზოგჯერ კონექტიკუტში ჩამოდიოდა ჩვენთან და მამას საშინლად ეჩხუბებოდა. ბაბუაჩემი პროვიდენსის ეპისკოპოსი იყო და ისე ცდილობდა, მისი ეკლესია უნიატურად[12] არ გადაქცეულიყო, რომ კინაღამ თვითონ გახდა უნიატი. საკუთარ თავს დეისტ-დარვინისტს[13] უწოდებდა. მამა, წინააღმდეგობის გრძნობიდან გამომდინარე, საშინელი ორთოდოქსი, ლამის ანგლოკათოლიკური ეკლესიის მიმდევარი გახდა. მას უყვარდა ბელოკი და ჩესტერტონი. ყოველთვის გვიკითხავდა იმ ლექსებს, რომელთა წინააღმდეგაც, როგორც თავად მოისმინეთ, ჩემი ცოლი ილაშქრებს.

– ლომის შესახებ?

– დიახ. ბელოკი ზოგჯერ მწარედ ირონიულია, რასაც ჩემი მეუღლე არ იწონებს. იგი ბავშვებს დასცინის, ეს კი ლუსის მისთვის ვერაფრით უპატიებია. ყველაფერი მისი ფსიქოლოგიით გატაცების ბრალია. ფსიქოლოგია ბავშვებს ერთგვარ წმინდანებად განიხილავს. რას ვამბობდი? მიუხედავად თავისი ძალზე ბუნდოვანი თეოლოგიური

თეორიებისა, რელიგიურ პრაქტიკაში ბაბუამ გარკვეული ორიგინალობა, რიგორიზმიც კი შეინარჩუნა, რომელიც მამაჩემმა პირწმინდად დაკარგა. ბაბუა მამას ძალზე დაუდევარ ადამიანად მიიჩნევდა, რადგან ყოველ საღამოს ოჯახურ ღვთისმსახურებას არ აწყობდა. მამა ზოგჯერ პასუხობდა, არ მინდა ბავშვებს თავი მოვაბეზრო აზრებით ღვთის შესახებ, ისე, როგორც მე მიწვრილებდნენ ამით გულს პატარაობისას, და საერთოდ, რა აზრი აქვს, ჯუნგლების ღმერთს სასტუმრო ოთახში ევედროო? «მაშ, შენ არ გჯერა, რომ ღმერთი ტყეებში ბინადრობს? გგონია, რომ მხოლოდ ვიტრაჟებს მიღმაა?» – ჰკითხავდა ხოლმე ბაბუა. და ასე შემდეგ. ძმებთან ერთად შიშისგან ვცახცახებდი, რადგან ბაბუასთან კამათი საბოლოოდ მამაჩემის სასტიკ დეპრესიას იწვევდა. თქვენ ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე – თქვენ ხომ იცით, როგორ ხდება ხოლმე მამებთან მიმართებაში – მუდამ ეჭვობ: იქნებ ისინი მაინც მართლები არიან? პატარა, ხმელ-ხმელი მოხუცი, წარმოთქმით ტიპური იანკი, საშინლად საყვარელი. მახსოვს, ჭამისას, რომელიმე ჩვენგანს მუხლზე თავის გაძვალტყავებულ ხელს ჩაავლებდა ხოლმე და წაიყიყინებდა: «ნუთუ მან გაიძულა, რომ ჯოჯოხეთის არსებობა დაგეჯერებინა?»

ჰარი იცინის – ეკლზი კარგად აჯავრებს, მოხუცის როლი მისთვის ზედგამოჭრილია.

– მერე? გჯერათ?

– ალბათ, კი. ჯოჯოხეთის, როგორც ეს იესოს ესმოდა. როგორც ღმერთისგან განდგომა.

– მაშინ ჩვენ, ყველანი, გარკვეული აზრით ჯოჯოხეთში ვართ.

– მე ასე არ ვფიქრობ. არავითარ შემთხვევაში. მიმაჩნია, რომ ყველაზე თავაწყვეტილი ათეისტიც კი ვერ ხვდება, რას ნიშნავს ნამდვილი განდგომა. გარეთ ჩამოწოლილი წყვდიადი. ჩვენ კი, ასე ვთქვათ, შიგა წყვდიადში ვცხოვრობთ, – სიცილით ამბობს ეკლზი და ჰარის შესცქერის.

ეკლზის მსჯელობა ბაჭიას სიფხიზლეს უდუნებს. სურს, რაღაც საკუთარი შეიტანოს მათ გამყოფ სივრცეში. მეგობრობის, შეჯიბრობითობის გრძნობით აღელვებული, ხელებს მაღლა სწევს და იქნევს, თითქოს აზრები კალათბურთის ბურთები ყოფილიყოს, და ბოლოს და ბოლოს, აცხადებს:

– მე, ცხადია, თეოლოგიაში ვერ ვერკვევი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ამ ყველაფრის იქით, – იგი ხელით წრეს ხაზავს. ისინი ახლა სწორედ გოლფის სათამაშო მოედნის აქეთა მხარეს საცხოვრებელ რაიონს მიუყვებიან – სართულნახევრიანი სახლები ხითა და აგურითაა აშენებული, ბულდოზერებით მოტკეპნილ ბრტყელ ეზოებში სამბორბლიანი ველოსიპედები და დამჭკნარი სამწლიანი ხეები მოჩანს – ამაზე უბადრუკი ადგილი, ალბათ, დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა, – არის რაღაც ისეთი, რის პოვნასაც ვაპირებ.

ეკლზი აკურატულად აქრობს სიგარეტს მანქანის საფერფლეში.

– რასაკვირველია, ყველა მაწანწალა ფიქრობს, რომ რაღაც მნიშვნელოვანს უდგას კვალში. საწყის ეტაპზე მაინც.

ბაჭია თვლის, რომ ამგვარ სილას არ იმსახურებს, მით უმეტეს ახლა, როცა მას ნაწილობრივ გული გადაუშალა. მღვდლებს, ალბათ, მხოლოდ ერთი რამ სურთ – ყველა ადამიანის ერთ ზომაზე გაკრეჭა.

– თუ ასეა, თქვენი მეგობარი იესო საკმაოდ სულელურად გამოიყურება.

ღვთის ამგვარ მოხსენიებაზე ეკლზს სახე წითელი ლაქებით ეფარება.

– ტყუილად როდი ამბობდა, რომ ვინც წმინდანის ხვედრი აირჩია, არ უნდა დაქორწინდეს, – აცხადებს მღვდელი.

ისინი გზატკეცილიდან გადაუხვევენ და მიხვეულ-მოხვეული გზებით კლუბისკენ მიემართებიან – წიდა-ბლოკისგან აგებული შენობისკენ, რომლის ფასადზეც «კოკა-კოლას» ორ ემბლემას შორის გრძელი აბრა იწონებს თავს: გოლფის სათამაშო მინდორი «წაბლის კოროომი». როდესაც ჰარი ყვანჭებს დაატარებდა, აქ მხოლოდ ერთი ფიცრული ქოხი იდგა შეშის ღუმლით, ძველი შეჯიბრებების ცხრილებით, ორი სავარძლითა და დახლით კანფეტებისა და გოლფის სათამაშო ბურთებისთვის, რომლებიც ჭაობში ხშირად ცვიოდა. იქიდან ამოღებულს მისის ვენრიჰი ყიდდა. ალბათ, დიდი ხნის წინ გარდაიცვალა. ეს იყო გამხდარი მოხუცი ქვრივი, ფერუმარილწასმულ ჭაღარა თოჯინას ჰგავდა. ბაჭიას ყოველთვის ეცინებოდა მის მსჯელობაზე გრინების, დივოტების, ჩემპიონატების ან, ვთქვათ, წყვილი ფოსოებისა

და ჰანდიკაპის შესახებ.[14]

ეკლზი მანქანას მოასფალტებულ ავტოსადგომზე აჩერებს და ამბობს:

– ჰო, სანამ არ დამვიწყნია.

– რა? – ეკითხება ბაჭია და ხელს კარის სახელურს ჰკიდებს.

– სამუშაო ხომ არ გჭირდებათ?

– რა სახის?

– ჩემს მრევლთაგანს, მისის ჰორეის სმიტს, რვა აკრ ფართობზე, არმისული ეპლბორომდე, ბაღი აქვს გაშენებული. მის ქმარს როდოდენდრონებზე აბოდებდა. სხვათა შორის, «აბოდებდა» ცუდი სიტყვაა, ძალიან საყვარელი მოხუცი იყო.

– მებაღეობის არაფერი გამეგება.

– არავის გაეგება, ყოველ შემთხვევაში, მისის სმიტი ასე ფიქრობს. დედამიწის ზურგზე ერთი მებაღეც კი აღარ დარჩა. კვირაში ორმოც დოლარად მაინც.

– საათში დოლარი. ცოტაა.

– ორმოცი საათიც არ გამოდის. თავისუფალი გრაფიკი. თქვენ ხომ სწორედ ეს გინდათ, თავისუფლება, რათა ქადაგებისთვის დრო დაგრჩეთ.

ეკლზში მართლაც არის რაღაც საზიზღარი. მასსა და ბელოკში. პასტორის საყელოს მოხსნით იგი საკუთარ თავს თავისუფლებას აძლევს. ბაჭია მანქანიდან გადმოდის. ეკლზიც. ახლა სახურავს ზემოთ მისი თავი ლამბაქზე დადებულს ჰგავს. იგი თავის ფართო პირს აღებს.

– იფიქრეთ ამ წინადადებაზე.

– არ შემიძლია. შესაძლოა, ამ ოლქში აღარც კი დავრჩე.

– განა ის გოგო გაგდებას გიპირებთ?

– რომელი გოგო?

– რა ჰქვია? ლენარდი. რუთ ლენარდი.

– როგორც ვხედავ, თქვენ არაფერი გამოგეპარებათ, – ნეტავ ვინ

უთხრა? პეგი გრინგმა? ტოთერომ? უფრო იმ ქალმა, ტოთეროს რომ ახლდა. რა ერქვა? ჯენისის ასლი. ფეხებზე ჰკიდია. სამყარო, ასეა თუ ისე, მაინც დიდნახვრეტებიანი ბადეა და მასში, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გადის, – პირველად მესმის.

ლითონზე არეკლილ მზის შუქში ლამბაქზე დადებული თავი იღრიჭება.

ისინი ერთად მიემართებიან კლუბის წიდა-ბლოკით აგებული შენობისკენ. გზაში ეკლზი ამბობს:

– საოცარია, რომ მისტიკოსებისთვის ექსტაზი ხშირად ქვედაკაბაშია გამოწყობილი.

– სხვათა შორის, სულაც არ ვიყავი ვალდებული, თქვენთან გამოვცხადებულიყავი.

– მართალი ბრძანებაა. მაპატიეთ. დღეს რატომღაც გული დამძიმებული მაქვს.

ამ შენიშვნაში არაფერია განსაკუთრებული, მაგრამ იგი ბაჭიას შინაგან ვარცხნილობას საწინააღმდეგო მხარეს ქოჩრავს. თითქოს ეწებება კიდეც. და ამბობს: «შემიბრალე. შემიყვარე». იგი ისე მაგრად უწებებს ტუჩებს, რომ ბაჭია პასუხის გასაცემად პირის გაღებასაც ვერ ახერხებს. როდესაც ეკლზი მის მაგივრადაც იხდის, იგი მადლობის თქმასაც გაჭირვებით ახერხებს. ისინი მისთვის ყვანჭებს არჩევენ, ბაჭია კი დუმს და ისე უხალისოდ იყურება, რომ ჭორფლიან ბიჭს, ინვენტარს რომ განაგებს, ნამდვილად გონებადაქვეითებული ჰგონია. ეკლზთან ერთად პირველი ნიშნულისკენ მიმავალი, თავს დამცირებულად გრძნობს, როგორც ნალდაუკვრელ ჯაგლაგთან ერთად შებმული ბედაური.

იმავეს გრძნობს ბურთიც, ის ბურთი, რომელსაც ეკლზის მოკლე ინსტრუქციის შემდეგ ურტყამს. ბურთი გვერდით მიდის, არასწორად ჩახვეული დარტყმა მის ფრენას ადამბლავებს და ისიც, თიხის გუნდასავით, უხალისოდ ეცემა მიწაზე.

– ასეთი შესანიშნავი პირველი დარტყმა ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს, – იცინის ეკლზი.

– ეს არ არის პირველი დარტყმა. როდესაც სხვის ყვანჭებს დავატარებდი, ზოგჯერ საცდელად მისინჯავს კიდეც მოქნევა.

ასე რომ, ახლა უკეთესად უნდა დამერტყა.

– ძალზე მომთხოვნი ხართ საკუთარი თავისადმი. მე შემომხედეთ და მაშინვე შვებას იგრძნობთ.

ბაჭია განზე გადგება და გაოცებული უყურებს, რომ ეკლზი, რომელიც არცთუ ისე მოუქნელია, ყვანჭს ორმოცდაათ წელს გადაცილებული, სახსრებგაშეშებული ადამიანივით იქნევს. თითქოს ღიპი უშლიდეს ხელს. ბურთს მოკლე შებრუნებული დარტყმით გზავნის, რომელიც წრფეზე, თუმცა ძალზე მაღლა და სუსტად მოძრაობს. ეკლზი კი საკუთარი თავით ძალზე კმაყოფილია და გაბღენძილი მიაბიჯებს მოკლედ შეკრეჭილ ბალახზე. ჰარი მძიმედ მიჩანჩალებს მის უკან. რბილი კორდი, ამასწინანდელი ლეღმის[15] დაკვრისგან ცივი და სველი, მისი დიდი ზამშის ფეხსაცმელების ქვეშ ჭყაპუნებს. ისინი თითქოს საქანელაზე არიან – ეკლზი მაღლა, თვითონ დაბლა.

გოლფის მინდვრის წარმართულ კორომებსა და მწვანე ხეივნებში ეკლზი გარდაიქმნება. იგი საოცრად აფუნდრუკებულია: იცინის, ყვანჭს იქნევს, კრიახებს, ყვირის. ჰარის მისდამი სიძულვილი უკვე გაუნელდა – ახლა მხოლოდ საკუთარი თავი ეზიზღება. უცოდინარობა სათაკილო დაავადებასავით გარს ეხვევა, და მადლობელია ეკლზის, რომ არ გაურბის. იგი ჰარის უკვე ორმოცდაათი ფუტით უსწრებს, მაგრამ ეკლზი, რომელიც აღელვებული, როგორც წესი, წინ გარბის ხოლმე, შიგადაშიგ ჰარის მიერ დაკარგული ბურთის მოსაძებნად ბრუნდება. ბაჭია ვერაფრით აცილებს თვალს იმ ადგილს, სადაც იდეალურ შემთხვევაში ბურთი უნდა დაეცეს – პატარა, უზადოდ გაკრეჭილ ხელსახოცთან მოხდენილი ალმით. იმის დანახვა, თუ სად დაეშვა ბურთი სინამდვილეში, მის თვალებს არ ძალუძს.

– აი, იქ არის, ფესვთან, – ამბობს ეკლზი, – საშინლად არ გიმართლებთ.

– თქვენთვის ეს, ალბათ, პირდაპირ კოშმარია.

– სულაც არა, სულაც არა. ძალზე იმედის მომცემი ბრძანდებით. თქვენ პირველად თამაშობთ და მაინც, ბურთი ბოლომდე ჯერ არ გაგიფუჭებიათ.

ეკლზმა იგი გათვალა. ბაჭია უმიზნებს და უდიდესი სურვილი, რომ ფესვის მიუხედავად, ბურთს კარგად მოსდოს, დარტყმას

აფუჭებინებს, ამჯერად, საბოლოოდ.

– თქვენი ერთადერთი შეცდომა ისაა, რომ საკუთარი სიმაღლის გამოყენებას ცდილობთ, – ეუბნება ეკლზი, – არადა, მოქნევის გასაოცარი, თანდაყოლილი ნიჭი გაქვთ.

ბაჭია კვლავ ურტყამს ბურთს, რომელიც გაჭირვებით აღწევს თავს ფესვს და ყანყალით მიფრინავს რამდენიმე იარდის მანძილზე.

– ბურთისკენ უფრო მეტად დაიხარეთ, – ურჩევს ეკლზი, – წარმოიდგინეთ, რომ ჩაჯდომა გსურთ.

– უფრო დაწოლა, – ჰარის გული ერევა, თავბრუ ეხვევა და გრძნობს, რომ სულ უფრო მეტად ითრევს მორევი, რომლის ზედაპირსაც აყვავებული ხეების უშფოთველი კენწეროები აკრავს. ეჩვენება, რომ აქ უკვე ნამყოფია. გუბეები მის შესრუტვას ცდილობენ, ხეები ნთქავენ, გამუდმებით ეფლობა მდელოების ნაპირებზე გაწოლილ საზიზღარ ტალახში.

კოშმარი სწორედ რომ ზედგამოჭრილი სიტყვაა. ცხადში მხოლოდ სულიერ საგნებს შეუძლიათ ასე ცახცახი და კლაკნა. უსულო საგნებთან პრობლემა არასდროს ჰქონია. ბურთზე ამ არაბუნებრივი დარტყმებისგან გონება ემღვრევა, დაბინდული ტვინი უცნაურ ხრიკებს უწყობს და გაჭირვებით აცნობიერებს, რა ხდება. გულში ყვანჭებს ისე ესაუბრება, როგორც ქალებს. ლითონისთავიანი ყვანჭები თხელია და მსუბუქი, მაგრამ მის ხელებში საოცრად ვერაგულად იქცევიან: ეს ჯენისია. მოდი აქ, სულელო, დამშვიდდი. აი, ასე. ჩუმად, ყველაფერი კარგადაა. როდესაც ყვანჭის დაღარული თავი ბურთის უკან მიწას აყრის და მხარში მკვეთრ დარტყმას გრძნობს, ეჩვენება, რომ ჯენისმა დაარტყა. რა სულელია, იდიოტი, ეშმაკმა წაიღოს მისი თავი. გააფთრებისგან კანი ისე ეწელება, რომ მასში მთელი გარე სამყარო აღწევს. შიგნეულობა ჩხვლეტია ბუჩქების პატარა მშრალი ეკლებით ეკაწრება. მათში სიტყვები ჰკიდია – მუხლუხოების ბუდეები, რომელთაც ვერაფრით ამოშანთავ. იგი ურტყამს, ურტყამს, ურტყამს. მიწას ყავისფერი პირი დაუღია. როდესაც ხელში ვუდები, ხისთავიანი ყვანჭები უჭირავს, «იგი» – რუთია. ბაჭიას ხელში ვუდი ნომერი სამი უჭირავს, თვალს არ აცილებს წითელ, მსხვილ თავს, ბალახოვან ლაქებს წინიდან და აკურატულ თეთრ ზოლებს კიდეებზე, თან ფიქრობს, უყურე, რა ეშმაკიაო. მერე მაგრად უჭერს ხელს

სახელურს და ურტყამს. უ-უჰ! რახან ასე ადვილად დამნებდი, ახლა ნუღარ გაკერპდები! გადაყვლეფილი ბალახი, ბურთი გარბის, სკუპ, სკუპ და ბუჩქებში იმალება, თეთრი კუდი. როდესაც ბაჭია ბუჩქს უახლოვდება, დალახვროს ეშმაკმა, ეს უკვე ბუჩქი კი არა, ადამიანია. დედამისი ყოფილა. იგი ქვედაკაბასავით მაღლა სწევს ნაწყენ ტოტებს, საშინლად რცხვენია, მაგრამ თვალს ადევნებს, რომ არ დაიმტვრეს, ტოტები ფეხებში სცემს, იგი კი ცდილობს თავისი ნებისყოფა დაძაგრულ, მოუხელთებელ ბურთს შეურწყას, რომელიც თვითონ არის და არც არის, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ყველაფრის შუაგულში ტრიალებს. როდესაც აირონი ნომერი შვიდი სტვენით იჭრება მიწაში – კარგი რა, ჯენის, მხოლოდ ერთხელ – ტკივილი მოუხერხებელ ობობასავით მიცოცავს იდაყვებისკენ და ხედავს, რომ ბურთი მიხვეულ-მოხვეული სვლით, გულისამრევი ზოზინით ეფლობა ხაკისფერი – ტეხასის საყვარელი ფერის – ტალახის უსიცოცხლო გროვაში. სახლში წადი, შე კრეტინო. სახლი ფოსოა, ხოლო ღია ნაცრისფერი საწვიმარი ღრუბლებით დაფარული ცა, საზიზღარი, ხილვების თავზე თითქმის ფიზიკურად შესაგრძნობი, მისი ბაბუაა, იგი ზევით ელოდება, რომ პატარა ჰარი «ფოსნაჰტი» არ გახდეს.

და კიდევ, გამარჯვებისკენ მსრბოლი სიზმრის კუთხეებში, ხანაც ზუსტად შუაში, ჭუჭყიან პერანგში ჩაცმული ეკლზი ჩნდება. იგი ჰარის ამხნევებს, ფოსოს გარშემო მდებარე მწვანე მდელოზე ყოვლისპატიების თეთრ დროშასავით ფრიალებს და მას სახლისკენ მიმავალ გზას უჩვენებს.

მდელოებს, რომლებიც ზამთრისგან ჯერაც ვერ გამოცოცხლებულან, მშრალი მტვერი აყრია – სასუქი? ბურთი მიხტუნავს და მაგარ გოროხებს აქეთ-იქით ყრის.

– როცა ბურთის ფოსოში ჩაგდება გსურთ, ძალიან მკვეთრად ნუ დაარტყამთ, – ამბობს ეკლზი, – მოკლე, მსუბუქი მოქნევა, ხელები დაძაბულია. პირველი დარტყმისას მანძილი მიზანზე უფრო მნიშვნელოვანია. ერთხელაც სცადეთ.

იგი ბურთს ფეხით აბრუნებს. აქამდე, ფოსოიან მეოთხე მდელომდე მოსაღწევად ჰარის თორმეტი დარტყმა დასჭირდა, მაგრამ თავხედური განცხადება, რომ მისი დარტყმების დათვლა ჯერ არ ღირს, აღიზიანებს. მიდი, პატარავ, ცდილობს იგი ცოლის დაყოლიებას. აი, ისიც, ფოსო, ვედროსავით უშველებელი. ყველაფერი რიგზე იქნება.

მაგრამ არა, აუცილებლად სჭირდება, რომ პანიკურად უხათქუნოს ბურთს. რისი შეეშინდა? ძალიან ძლიერად მოუვიდა – ხუთი ფუტით გადასცდა, იგი ეკლზთან მიდის და ეუბნება:

– თქვენ ჯერაც არაფერი გითქვამთ ჯენისზე.

– ჯენისზე? – ეკლზს უჭირს თამაშიდან ყურადღების სხვა რამეზე გადატანა. იგი მთლიანად გამარჯვების სიხარულს მოუცავს. «შემჭამს», ფიქრობს ჰარი, – ჩემი აზრით, ორშაბათს კარგ გუნებაზე იყო. მეგობართან ერთად მხიარულად იცინოდა ეზოში. თქვენ უნდა გაიგოთ, რომ ახლა, როცა მიეჩვია, ალბათ, მოსწონს კიდეც ცოტა ხნით კვლავ მშობლებთან ცხოვრება. ეს მისი რეაქციაა თქვენს უპასუხისმგებლობაზე.

– არაფერიც, – ამბობს გაღიზიანებული ჰარი და ჩაცუცქდება, რათა უკეთ დაუმიზნოს, როგორც ეს ტელევიზორში აქვს ნანახი, – თავის მშობლებს ჩემსავით ვერ იტანს. ვფიქრობ, იქიდან ათესვა უნდოდა და იმიტომაც გამომყვა ცოლად.

ყვანჭი ბურთის ქვედა ნაწილზე სხლტება და ის დაწყევლილი კვლავაც ორი თუ სამი ფუტით სცდება მიზანს. არა, ოთხით. დამპალი.

ამჯერად ეკლზის რიგია. ბურთი ახტება და ასე ხტუნვა-ხტუნვით ვარდება ფოსოში. მღვდელს აღფრთოვანებისგან თვალები უბრწყინავს.

– ჰარი, რატომ მიატოვეთ ჯენისი? – გულთბილად, მაგრამ თავხედურად ეკითხება ეკლზი, – თქვენ ხომ, როგორც ვხვდები, მის გარეშე ვერ ძლებდით.

– ხომ გითხარით, იმის გამო, რაც ჩვენ შორის არ იყო.

– რა არ იყო? რა არის ეს? თქვენ ეს ოდესმე გინახავთ? დარწმუნებული ხართ, რომ ის არსებობს?

კვლავ ვერ მიაწვდინა. ჰარი აცახცახებული თითებით იღებს თავის ბურთს.

– თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ ის არსებობს, მე ნუ მეკითხებით. ეს სწორედ თქვენი განხრითაა. თქვენ თუ არ იცით, არც არავის ეცოდინება.

– არა! – შესძახებს ეკლზი ისეთივე არაბუნებრივად დაძაბული

ხმით, როგორითაც ცოლს მადლისთვის გულის გახსნა უბრძანა, – ქრისტიანობა ოქროს კოშკებს არ აგებს. ის რომ ისეთი იყოს, როგორც თქვენ ფიქრობთ, ჩვენ ეკლესიაში ოპიუმის დარიგება მოგვიწევდა. ჩვენ ღვთისმსახურებას ვცდილობთ და არა ღმერთის შეცვლას.

ისინი თავ-თავიანთ ჩანთებს იღებენ და იქით მიემართებიან, საითაც ხის ისარი მიუთითებს. ეკლზი კი თავის ახსნა-განმარტებებს განაგრძობს:

– ეს კამათი მრავალი ასეული წლის წინ გადაწყდა ადრეული ეკლესიის ერესში.

– გეუბნებით, ვიცი, რა არის ეს.

– რა არის? როგორია ის, ჰარი? რბილია თუ მაგარი? ლურჯია თუ წითელი? იქნებ კოპლებიანია?

ჰარი უსიამოვნოდაა გაოცებული: ეკლზს, როგორც ჩანს, მართლაც უნდა, რომ აუხსნან. ამ ლაყბობის – მე-შენზე-მეტი-ვიცი-ადრეული-ქრისტიანობის-ერესის-შესახებ – იქით მართლაც იმალება სურვილი, დარწმუნდეს, რომ ეს არსებობს, რომ იგი ყოველ კვირა დღეს ხალხს არ ატყუებს. თითქოს ის არ კმაროდა, რომ თვითონ, ჰარი, ცდილობს ამ სულელური თამაშის აზრის დაჭერას, ახლა ამ გიჟსაც უნდა ელოლიავოს, რომელიც მზადაა, ლამის სული ამოართვას. ჩანთის ცხელი თასმა მხარს უწვავს.

– მთავარი ისაა, – ქალური ღელვით, შეცბუნებისგან აცახცახებული ხმით ეუბნება მას ეკლზი, – რომ თქვენ საშინელი ეგოისტი ხართ. მშიშარა. ფეხებზე გკიდიათ სიკეთე და ბოროტება, მხოლოდ საკუთარ ქვენა გრძნობებს ემორჩილებით.

ისინი ნიშნულს უახლოვდებიან – პატარა კორდს კუზიანი ხის გვერდით, რომელიც დაბერილი ფერმკრთალი კვირტების მუშტებით იმუქრება.

– აჯობებს, პირველი წავიდე, თქვენ კი იქამდე დამშვიდდით, – ამბობს ბაჭია.

გაბრაზებისგან ლამის გული გაუჩერდეს. მხოლოდ ერთ რამეზე ოცნებობს – როგორ დააღწიოს თავი ამ არეულ-დარეულობას. ეს ოხერი წვიმა მაინც წამოვიდეს. ბაჭია ეკლზს თვალს არიდებს,

ბურთს შესცქერის, რომელიც ისე მაღლა დევს ბორცვზე, თითქოს მიწას უკვე მოსწყდა კიდეც. ბაჭია ყოველგვარი ჩანაფიქრის გარეშე მოიქნევს ყვანჭს და ბურთს ურტყამს. გაისმის ცარიელი, ყველაფრისგან განსხვავებული ხმა. ასეთი ჯერ არასდროს გაუგონია. აწეული ხელები თავსაც ზემოთ ეჭაჩება და ხედავს, რომ მისი ბურთი მაღლა ასულა – მთვარესავით მქრქალი, შესანიშნავი მოლურჯო-მოშავო, ბაბუამისის ფერის, – საავდრო ღრუბლების ფონზე მთელი აღმოსავლეთი მჭიდროდ დაუფარავს. ბურთი სახაზავის წიბოსავით სწორ ხაზზე მოძრაობს და შორს მიდის. სფერო, ვარსკვლავი, წერტილი. ბურთი თითქოს ეკიდება და ბაჭია ფიქრობს, რომ ახლა დაეცემა, მაგრამ ცდება – უძრაობის წამი ბურთს ბოლო ნახტომისთვის თითქოს ძალას მატებს. თითქოს სლუკუნით შეიწოვს სივრცის უკანასკნელ ყლაპს და საბოლოოდ სადღაც ქვემოთ, მიწაში ქრება.

– აი, ისიც, – ყვირის ჰარი, ეკლზისკენ ტრიალდება და სადღესასწაულო ღიმილით იმეორებს, – აი, ისიც.

მზე და მთვარე, მზე და მთვარე. დრო გადის. მისის სმიტის ბაღში ზაფრანები მიწის ზედაპირზე ამოდიან. თეთრი და ყვითელი ნარგიზები თავიანთ მილებს განფენენ. გამოღვიძებულ ბალახში იები იმალებიან, ზოგჯერ მოულოდნელად მდელოს ბაბუაწვერები და ფართოფოთლებიანი სარეველები აფორიაქებენ. დაბლობში უხილავი ნაკადულები მიიკლაკნებიან და მათი რაკრაკი მრავალხმიან სიმღერასავით გაისმის. მქრქალი წითელი ღივები, მომავალი იორდასალამები, აგურებით შემოვლებულ კორდებს სერავენ, თვითონ მიწა კი, ოდნავ გადარეცხილი, კენჭებით მოფენილი, დაკოჟრილი, ალაგ-ალაგ გუბეებითა და გამომშრალი ნაკვეთებით დაბებკილი, უხნესად გამოიყურება, თუმცა ცისქვეშეთში ყველაზე ნორჩი არსების სურნელი ასდის. აყვავებული ფორსაიტიის[16] გაწეწილი ოქროსფერი ქაფი კვამლში ციალებს, რომელიც მთელ ბაღს იპყრობს, როდესაც ბაჭია გაქელილ ღეროებს, გამხმარ ბალახს, შემოდგომის წყვდიადში ჩამოცვენილ მუხის ფოთლებსა და ვარდების მოჭრილ ტოტებს წვავს. ისინი ერთმანეთში იხლართებიან და ფეხებზე ეჭიდებიან, რაც მის გაშმაგებას იწვევს. ცვარ-ნამის ბადით შეკრულ ამ ნაგვის გროვებს დილაობით უნთებს ხოლმე ცეცხლს, როდესაც ნამძინარევი თვალებითა და პირში ყავის გემოთი სამსახურში მოდის. ისინი კვლავაც ბოლავენ და მის

ზურგს უკან ღამის მოჩვენებებივით აღიმართებიან, როდესაც სმიტების სახელობის მოხრეშილ ხეივანს ხრაშუნით მიუყვება. ბრუერისკენ ავტობუსით მიმავალი, მთელი გზა თბილი ნაცრის სუნს გრძნობს.

სასაცილოა, რომ ამ ორი თვის განმავლობაში ფრჩხილები ერთხელაც არ დაუჭრია. კრეჭს ბუჩქებს, თხრის ნერგებს, აფხვიერებს მიწას, რგავს ერთწლიან მცენარეებს, რისთვისაც მოხუცის მიცემული პაკეტებიდან თესლს მიმოფანტავს, – აქ არის დედოფლის ყვავილი, ყაყაჩო, ბაღის არჯაკელი, პეტუნია. მოსწონს თესლზე ფხვიერი მიწის მოყრა. ჩამარხულები მას აღარ ეკუთვნის. რა იოლია. გათავისუფლდე რაღაცისგან და იგი საკუთარ თავს შეატოვო. თითქოს ღმერთს ამ უდრეკ ნამცეცა ორგანიზმში ჩაუბუდებია. რამდენიმე თანამიმდევრული აფეთქებისთვის განწირული, არ ჩქარობს წყლიდან, ჰაერიდან და კაჟბადიდან სასიცოცხლო წვენის მიღებას. ბაჭია ამას ინსტინქტურად გრძნობს, როდესაც ხელში თოხის მრგვალ ტარს ატრიალებს.

ახლა, როცა მაგნოლიების მეფობა დასრულდა და მხოლოდ ნეკერჩხალია შეფოთლილი ჩრდილის წარმოსაქმნელად, ეზოს შორეულ კუთხეში ბლისა და ველური ვაშლის ხეები, აგრეთვე, ერთადერთი ქლიავი ყვავილებით დაიფარა, რომელთა სითეთრეც შავმა ტოტებმა თითქოს ცაზე მცურავი ღრუბლებისგან შეაგროვა, მერე კი თეთრი კონფეტის[17] წარმოუდგენელი ქარბუქის დახმარებით ახალგამოღვიძებულ ბალახს თავზე დააყარა. მექანიკური სათიბელა ბენზინის სუნის ფრქვევით ფურცლებს ღეჭავს, რომელთაც შემდგომ მდელო ყლაპავს. საჩოგბურთო კორტების მონგრეულ ღობესთან იასამანი ყვავის. წყლით სავსე პატარა გობზე ჩიტები მოფრინავენ წყურვილის მოსაკლავად. ერთხელ, დილით, ნამგლისებრი ოკულირებული დანით მუშაობისას, ბაჭია სურნელის მოზღვავებას იგრძნობს: ქარმა მიმართულება შეიცვალა და ახლა ზემოდან უბერავს შროშანებით გადავსებულ ფერდობზე, რომელთაც თბილ ღამეში ათასობით ზანზალაკი გადაუხსნიათ, ღეროს თავზე მოქცეულები კი ჯერაც ინარჩუნებენ მუშკის ნესვის ქერქისფერ, ბაც მწვანე შარბათს. ვაშლი და მსხალი. ტიტები. ზამბახების მახინჯი ლილისფერი ძონძები. და ბოლოს, აზალიები და თავად როდოდენდრონები, რომლებიც განსაკუთრებით შმაგად მაისის ბოლო კვირას ყვავიან. ბაჭია მთელი გაზაფხული ამ ბრწყინვალე ფინალს

ელოდა. უზარმაზარი, ხეებივით მაღალი, მასზე ორჯერ დიდი ბუჩქები საგონებელში აგდებდნენ – მათი სიმრავლეც აოცებდა. ისინი კოშკებივით მაღალი, ტოტებდახრილი ნაძვების გვერდით დაერგოთ, რომლებიც კარ-მიდამოს იცავდნენ, ბაღის შუაში ბუჩქების რამდენიმე მართკუთხა ჯგუფი იწონებს თავს, კაცი იფიქრებს, ეს ფორებიანი მწვანე გოგორა პურებიაო. ბუჩქები მარადმწვანეა. მათი მოხრილი ტოტები და გრძელი ფოთლები, ყოველ მხარეს რომ გამოჩრილან გაფარჩხული თითებივით, თითქოს ხაზს უსვამენ, რომ სხვა ჰავას, სხვა მიწას ეკუთვნიან, სადაც მიზიდულობის ძალა აქაურზე მცირეა. როდესაც პირველი ყვავილედები გამოჩნდა, თითოეული მათგანი დიდ ყვავილს ჰგავდა, ისეთს, აღმოსავლელ მეძავებს რომ აქვთ თმაში გვერდზე მიმაგრებული – ისინი იმ დეტექტივების ყდებზე ნახა, რომლებსაც რუთი კითხულობდა. მაგრამ როდესაც ყველა ყვავილედის ნახევარსფერო ერთდროულად გაიშალა, ბაჭიამ ისინი შლაპებს მიამსგავსა, ასეთები აღდგომის დღეს ეკლესიაში მისულ ფეხმსუბუქ ქალებს ახურავთ თავზე. ჰარი ყოველთვის ოცნებობდა ამგვარ ქალიშვილზე, თუმცა არასდროს ჰყოლია – მყვირალა, იაფფასიან ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა კათოლიკე ძველი ქოხიდან. ყვავილის ხუთფურცლიანი, თავხედური, რბილი ქუდის ქვეშ, მუქ ფოთლებში, ბაჭიას მისი სახე ელანდება, ლამის სუნამოს სუნიც შეიგრძნოს, როდესაც ეკლესიის ბეტონის საფეხურებზე ჩაუვლის, ისე ახლოს, რომ ფურცლები ხელის გაწვდენაზეა. ყოველი მათგანის ზედა ნაწილში, იქ, სადაც სამტვრე ეხება, წინწკლების ორი რიგია პირის თავზე ჭორფლის მარაოსავით.

როდესაც განსვენებული მეუღლის ბაღის ყვავილობა აპოგეას აღწევს, მისის სმიტი სახლიდან გამოდის და ბაჭიას ხელზე დაყრდნობილი, როდოდენდრონების პლანტაციის სიღრმისკენ მიემართება. ოდესღაც ტანადი, წელში მოხრილა, სახე ნაოჭებით დაღარვია, ჭაღარა თავში შემორჩენილი ორი ღერი შავი თმა ჭუჭყიანს უფრო მიუგავს. ჩვეულებრივ, ხელჯოხით დადის, მაგრამ, როგორც ჩანს, გონებაგაფანტულს, ამჯერად მკლავზე ჩამოუკიდია და კოჭლობით მიფრატუნებს ამ უცნაური სამაჯურით, თავის მებაღეს მიჰყვება: ბაჭიას მოღუნული მარჯვენა ხელის იდაყვი ქალის მხრების დონეზეა, რომელიც მოცახცახე მარცხენას მაღლა სწევს და შესივებული დაჭორფლილი თითებით ძლიერად ებღაუჭება მას მაჯაზე.

ქალი კედელზე ასული ვაზივითაა: თუ მაგრად მოქაჩავ, მოწყდება, თუ არ შეეხები, ნებისმიერ ავდარს გაუძლებს. ბაჭია გრძნობს, როგორ თრთის მოხუცის სხეული ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე, თავი კი – ყოველი სიტყვის თქმაზე. არა, ლაპარაკი კი არ უჭირს, ამას ურთიერთობის სიხარული იწვევს, რომლის დროსაც ცხვირი ეჭმუხნება, ტუჩები კი წინწამოწეულ კბილებზე სასაცილოდ და იმავდროულად, მორცხვად ეწელება ცამეტი წლის გოგონასავით, რომელიც განუწყვეტლივ ხაზს უსვამს, რომ ულამაზოა. ქალი მოწყვეტით სწევს თავს მაღლა, რათა ჰარის შეხედოს, და მისი დაბზარული ცისფერი თვალები, მათში დაფარული ცხოვრების ზეწოლის შედეგად, ლამის პატარა, ყავისფერი ორბიტებიდან გადმოსცვივდეს, რომლებიც თითქოს ერთმანეთზე ძაფით აცმული ნაკეცებითაა შექმნილი.

– ვერ ვიტან «მისის რ.-ს. ჰოლფორდს»,[18] უმსგავსი და გახუნებულია. ჰარის ძალიან უყვარდა ეს ნარინჯისფერ-ვარდისფერი ტონები. ზოგჯერ მითქვამს კიდეც მისთვის: «თუ წითელი ფერი მინდა, მომეცი წითელი – მკვეთრად წითელი ვარდი. თუ თეთრი მსურს, მომეცი თეთრი – მაღალი თეთრი შროშანი, და ნუ მასულელებ ამ უფერულებით – ოდნავ ვარდისფრებით ან მოიისფრო ლურჯით, რომლებმაც თვითონაც არ იციან, რა უნდათ. როდოდენდრონი ტკბილმოუბარი მცენარეა, – ვეუბნებოდი ჰარის, – მას ტვინი აქვს და ამიტომ ყველაფერს ცოტ-ცოტას გაძლევს». ცხადია, ამას მის გასაბრაზებლად ვამბობდი, თუმცა სინამდვილეშიც ასე ვფიქრობდი.

ამ აზრმა ქალი თითქოს განაცვიფრა და ადგილზე გააშეშა ბალახით დაფარულ ბილიკზე. მისი თვალები, მოთეთრო ფერადი გარსით, როგორც დამტვრეული შუშები საბავშვო ცისფერი რგოლების შიგნით, მოუსვენრად ტრიალებს და ბაჭიას ხან ერთი მხრიდან ათვალიერებს, ხან – მეორიდან.

– დიახ, მართლაც ასე ვფიქრობდი, მისტერ ენგსტრომ. ფერმერის ქალიშვილი გახლავართ და მერჩივნა, ამ მიწაზე იონჯა დაეთესათ. «თუ მაინცდამაინც მიწაში ჩიჩქნა გსურს, ხორბალი დავთესოთ და პურს გამოვაცხობ», – ვეუბნებოდი მას. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გამოვაცხობდი. «რაში გვარგია ეს თაიგულები. დაჭკნებიან და მთელი წელი მათ მახინჯ ფოთლებს უნდა ვუყუროთ, – ჩავჩიჩინებდი ჯიუტად, – იქნებ რომელიმე ლამაზმანისთვის ხლაფორთობ?»

იგი ჩემზე ახალგაზრდა იყო და ასე ვაბრაზებდი. არ გეტყვით, რამდენით იყო ჩემზე უმცროსი. აქ რატომ ვდგავართ? თუ ჩემნაირი ბებერი დიდხანს იდგება, შეიძლება მიწასაც შეეზარდოს, – მოხუცი ჯოხს ბალახს არტყამს, რითაც ანიშნებს, რომ ხელი უნდა გაუწვდინოს. ისინი აყვავილებულ ხეივანს მიუყვებიან, – ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ მასზე დიდხანს ვიცოცხლებდი. მაგრამ ძალიან სუსტი იყო. მოვიდოდა ბაღიდან, დაჯდებოდა და იჯდა ასე. ფერმერის ქალიშვილი ვერასდროს მიხვდება, რას ნიშნავს ჯდომა.

ბაჭიას მაჯაზე ჩავლებული ქალის თითები გიგანტური ნაძვების კენწეროებივით ცახცახებს. ბაჭიას ცნობიერებაში ეს ხეები ყოველთვის აკრძალულ სამფლობელოებთან ასოცირდება და მას სიამოვნებს ამ მხარეს ყოფნა, მათი მფარველობა.

– აჰა, აი, როგორც იქნა, ნამდვილი მცენარე, – ისინი მოსახვევთან ჩერდებიან და მისის სმიტი თავისი მოცახცახე ხელჯოხს პატარა როდოდენდრონისკენ იწვდის, რომელიც ერთიანად წმინდა ვარდისფერ ყვავილედებს დაუფარავს, – ეს ჩემი ჰარის საყვარელი ყვავილია – «ბიანკი». ერთადერთი როდოდენდრონი, ზოგიერთ თეთრთან ერთად – დამავიწყდა მათი სულელური სახელები, – რომელიც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. ერთადერთი ჭეშმარიტად ვარდისფერი ყველა არსებულს შორის. მოტანისთანავე ჰარიმ დანარჩენ ვარდისფრებს შორის მოათავსა, რომლებიც მის გვერდით ჭუჭყიანს დაემსგავსნენ, ამიტომ ჰარიმ ყველა ამოთხარა და «ბიანკის» ჟოლოსფრები შემოარტყა. ჟოლოსფრებმა ყვავილობა უკვე დაასრულეს, არა? ახლა ხომ ივნისია?

მოხუცი შეშლილი თვალებით ჰარის ველურ მზერას მიაპყრობს, თითებს კი ხელზე უფრო ძლიერად უჭერს.

– არ ვიცი. თუმცა არა. ომში დაღუპულთა ხსენების დღე მხოლოდ შემდეგ შაბათს იქნება.

– ო-ო, ყველაფერი კარგად მახსოვს, რაც ამ სულელურ მცენარეს უკავშირდება. პაპანაქება იდგა. ნიუ-იორკში გავემგზავრეთ, გემიდან გადმოვიტანეთ და «პაკარდის» უკანა სავარძელზე მოვათავსეთ საყვარელ დეიდასავით ან სხვა მისნაირი განძივით. იგი მიწით სავსე ხის დიდი, ცისფერი კასრით ჩამოვიდა. ინგლისში მას მხოლოდ და მხოლოდ ერთ სანერგეში

ახარებდნენ და მარტო ტრანსპორტირება ორასი დოლარი დაგვიჯდა. ყოველდღიურად საგანგებოდ დაქირავებული ადამიანი ტრიუმში ჩადიოდა მის მოსარწყავად. სიცხე, საშინელი საცობები ჯერსი-სიტისა და ტრენტონში, ეს დამჭკნარი ბუჩქი კი თავისი ცისფერი კასრით ნამდვილი პრინცივით მოკალათებულიყო უკანა დასაჯდომზე. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ეს ავტოსტრადები, ამიტომ ნიუ-იორკამდე ჩასვლას მთელი ექვსი საათი მოვანდომეთ. გაგანია კრიზისის მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყველას საკუთარი მანქანა შეეძინა. დელავერის გადასახვევი მაშინ, ჯერ კიდევ ომამდე, ბერლინგტონთან იყო. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომელ ომს ვგულისხმობ. გგონიათ, «ომი» იმ კორეის ამბებს ეხება?

– არა, ომში მე მეორე მსოფლიო ომს ვგულისხმობ.

– მეც! მეც! მართლა გახსოვთ?

– რა თქმა უნდა! მაშინ უკვე დიდი ვიყავი. ვაბრტყელებდი კონსერვის ქილებს, ვაბარებდი ჯართს, აღებული ფულით კი სამხედრო მარკებს ვყიდულობდი, ფრონტისთვის გაწეული დახმარებისთვის დაწყებით სკოლაში ჯილდოებს ვიღებდით.

– ჩვენ კი შვილი მოგვიკლეს.

– ძალიან ვწუხვარ.

– უკვე მოხუცი იყო, მოხუცი. თითქმის ორმოცი წლის. ერთბაშად ოფიცრის წოდება მიანიჭეს.

– მაგრამ...

– ვიცი. თქვენ ფიქრობთ, რომ მხოლოდ ახალგაზრდებს ხოცავენ.

– დიახ, ყველა ასე ფიქრობს.

– ეს კარგი ომი იყო. პირველს კი არ ჰგავდა. ჩვენ უნდა გაგვემარჯვა და გავიმარჯვეთ კიდეც. ყველა ომი საზიზღრობაა, მაგრამ ამ ომში ჩვენ გავიმარჯვეთ და ეს შესანიშნავია, – მოხუცი კვლავ იწვდენს ხელჯოხს ვარდისფერი მცენარისკენ, – იმ დღეს, როდესაც პორტიდან მოვედით, რა თქმა უნდა, არ ყვაოდა, იმიტომ, რომ ზაფხული უკვე გასულიყო და მე ვთვლიდი, რომ სისულელე იყო მისი უკანა დასაჯდომზე

მოთავსება, როგორც... როგორც... – ქალი ხვდება, რომ იმეორებს, ენა ებმის, მაგრამ განაგრძობს, – ... როგორც ნამდვილი პრინცი, – თითქმის გამჭვირვალე ცისფერი თვალებით ფხიზლად აკვირდება, დასცინის თუ არა ბაჭია მის ბებრულ მრავალსიტყვაობას. საეჭვოს რომ ვერაფერს აღმოაჩენს, წამოისვრის, – ის ერთადერთია!

– მხოლოდ «ბიანკი»?

– დიახ! სწორედაც! შეერთებულ შტატებში მეორეს ასეთს ვერსად მიაგნებთ. არსადაა ნამდვილი ვარდისფერი, «ოქროს ჭიშკრიდან» დაწყებული და... სადამდეც გინდათ დამთავრებული. თუნდაც ბრუკლინის ხიდამდე, მგონი, ასე უწოდებენ. ამქვეყნად ჭეშმარიტი ვარდისფერი მხოლოდ აქ არის. ერთმა ლანკასტერელმა მეყვავილემ ჩვენგან რამდენიმე კალამი წაიღო, მაგრამ ყველა დაეღუპა. ალბათ, კირით გაგუდა. სულელი ბერძენი.

მოხუცი ბაჭიას ხელს მაგრად ავლებს და უფრო მძიმედ და სწრაფად მიდის. მზე უკვე მაღლაა და ქალი სახლში უნდა შევიდეს. ფოთლებში ფუტკრები ზუზუნებენ, უხილავი ჩიტები ერთმანეთს გადაძახილებით ეხმაურებიან. ფოთლების ტალღა ყვავილების ტალღას ეწევა და ქორფა სიმწვანეს ოდნავ მომწარო სუნი ასდის. ნეკერჩხალი, არყი, მუხა, თელა და წაბლაცხენა იშვიათ ტყეს ქმნიან, რომელიც ხან ფართო, ხან კი ვიწრო ზოლად ევლება გარს კარ-მიდამოს საზღვარს. გრილ, ტენიან ჩრდილში, მდელოსა და ამ კორომს შორის, ჯერაც ყვავიან როდოდენდრონები, მაგრამ მზეზე, მდელობის შუაგულში, ფურცლები დასცვენიათ, რომლებიც აკურატულ რიგებად ყრია აბალახებული ბილიკების კიდეებზე.

– მე ეს არ მომწონს, მე ეს არ მომწონს, – ამბობს მისის სმიტი და ბაჭიასთან ერთად კოჭლობით ჩაუვლის წარსული ბრწყინვალების ამ ნაშთებს, – მე ვაფასებ სილამაზეს, მაგრამ იონჯას ვამჯობინებდი. ერთი ქალი... არ ვიცი, ეს ასე რატომ მაღიზიანებდა... ჰორეისი ყოველთვის იწვევდა მეზობლებს ყვავილების სანახავად, ხშირად ბავშვივით იქცეოდა. ჰოდა, ეს ქალი, მისის ფოსტერი, ბორცვის ძირში, პატარა ნარინჯისფერ ქოხში რომ ცხოვრობდა, სადაც დარაბებზე ნაცრისფერი კატა დაძვრებოდა, ერთთავად ამტკიცებდა – მომიბრუნდებოდა ლამის ცხვირამდე პომადაწასმული და მეუბნებოდა, – მეტისმეტად ტკბილი ხმით ჟღურტულებს ღვარძლიანობისგან

აცახცახებული მოხუცი, – «ეჰ, მისის სმიტ, ალბათ, მხოლოდ ცაში თუ არის ასეთი სილამაზე!» ერთხელ თავი ვეღარ შევიკავე და ვუთხარი: «თუ მე ყოველ კვირას წმინდა იოანეს ეპისკოპალურ ეკლესიამდე და უკან ექვს მილს გავდივარ, რათა როდოდენდრონებით დავტკბე, ასეთივე წარმატებით შევძლებდი ამ მილების დაზოგვას, ვინაიდან სულაც არ მსურს იქ ჩასვლა». განა საშინელება არაა, როდესაც ბებერი ცოდვილი ასე ლაპარაკობს?

– აბა, რა გითხრათ.

– ამასთან, უბედურ ქალთან, რომელსაც მხოლოდ თავაზიანობის გამოხატვა სურდა. არც ერთი წვეთი ტვინი თავში, ახალგაზრდა იდიოტივით იღებებოდა. ის საბრალო ახლა უკვე გარდაცვლილია. ალმა ფოსტერი ორი თუ სამი ზამთრის წინ გარდაიცვალა. და ახლა მან იცის ჭეშმარიტება, მე კი – ჯერ არა.

– მაგრამ იქნებ ის, რაც მას როდოდენდრონი ჰგონია, თქვენ იონჯად მოგეჩვენოთ.

– ჰა-ჰა-ჰა! სწორედაც რომ! დიახაც. რომ იცოდეთ, მისტერ ენგსტრომ, ეს რა სიამოვნებაა... – იგი ჩერდება და მოუხერხებლად ეფერება მას ხელზე. მისი სახის მზით განათებული, ნამცეცა, მოყვითალო-მოყავისფრო ლანდშაფტი ბაჭიასკენ მიიწევს და მის მზერაში, ფუსფუსა ქალწულისებრი სიკეკლუცისა და მოუსვენარი დაურწმუნებლობის ქვეშ, ძველებური სიცხარე გამოსჭვივის, ასე რომ, გვერდით მდგარი ბაჭია აშკარად გრძნობს იმ ბოროტ ძალას, რომელიც მისტერ სმიტს სახლიდან უტყვი ყვავილებისკენ აგდებდა, – თქვენ და მე, ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ. ასე არ არის? ხომ მართალია?

* * *

– მაგრად კი გაგიმართლა, არა? – ეუბნება რუთი ბაჭიას.

ომში დაღუპულთა ხსენების დღეს ისინი დასავლეთ ბრუერის საზოგადოებრივ საცურაო აუზში წავიდნენ. თავდაპირველად რუთს ერიდებოდა საბანაო კოსტიუმის ჩაცმა, მაგრამ

კაბინიდან გამოსული, შესანიშნავად გამოიყურებოდა – პატარა თავი საბანაო ქუდში, დიდებული მხრები. წელამდე წყალში მდგარი დიდ ქანდაკებას ჰგავდა. მსუბუქად სუნთქავდა, დიდ ფეხებსა და გლუვ ხელებს გამოზომილად ამოძრავებდა, მწვანე ჭავლში ზურგი და უკანალი შავი ლაქებივით ულივლივებდა. როდესაც სახე წყალში ჩამალა და ნელა გაცურა, ბაჭიას აღელვებისგან კინაღამ გული გადაუტრიალდა. შემდეგ უკანალი, მბზინავი, მრგვალი, შავი კუნძულივით თავისით ამოიწია ზედაპირზე, მკაფიო გამოსახულება წყალში გაფუჭებული ტელევიზორის ეკრანივით აჭავლდა და ამ სანახაობამ იგი ფლობის ცივი სიამაყით აღავსო. ეს ქალი მას ეკუთვნის, მხოლოდ მას, ისევე კარგად იცნობს, როგორც წყალი და ისევე მიუწვდება ხელი მთელ მის სხეულზე. ზურგზე ცურვისას წყალი ბიუსტჰალტერის თასებს ეხეთქებოდა, შიგ იღვრებოდა და ნაზად ეხებოდა ძუძუებს, ზურგი გაიზნიქა, წყალში ჩაშვებული სხეული დრეკადი რკალივით ამოვიდა ზედაპირზე, ქალმა თვალები დახუჭა და ბრმად გაცურა წინ. ორმა გამხდარმა ბიჭმა, აუზის თავთხელ ბოლოში რომ ჭყუმპალაობდნენ, წყლის აშხეფებით დაუთმეს გზა. ხელის უკან გაქნევისას ქალი ერთ-ერთ მათგანს შეეხო, გამოერკვა და ღიმილით ჩაჯდა წყალში, თან უძვლო ხალხით სავსე აუზის აფორიაქებულ ტალღებში წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელებს უსვამდა. ჰაერი ქლორის სუნით იყო გაჯერებული. ყველაფერი სუფთა და კრიალა მოჩანდა. ბაჭია უეცრად მიხვდა, რა იყო სისუფთავე. ეს ისაა, როცა არაფერი გეხება, გარდა იმისა, რაც შენი ნაწილია. რუთი წყალს ეკუთვნის, ის კი – ჰაერსა და ბალახს. ქალის თავი ბურთივით დახტუნავს და მას ეჭყანება. თვითონ ხმელეთის ცხოველია. წყალში ცივა. ჩაყურყუმელავების შემდეგ ბაჭია ფილებით მოპირკეთებულ პარაპეტზე ჯდება, ფეხებს აქანავებს და წარმოიდგენს, რომ უკან მოკალათებული სკოლის მოსწავლე გოგონები მის ფართო ზურგზე კუნთების თამაშით არიან აღფრთოვანებულნი. შემდეგ მხრებს აამოძრავებს და გრძნობს, როგორ წელავენ ბეჭები მზით გამთბარ კანს. რუთი აუზის კიდეს აღწევს, სადაც ისე ცოტა წყალია, რომ ფსკერის ჭადრაკული მოხატულობა ზედაპირზე ირეკლება. იგი კიბეზე ამოდის და წყალს იფერთხავს. ბაჭია პირსახოცზე წვება. რუთი უახლოვდება და ცის ფონზე ფეხებგაჩაჩხული თავზე წაადგება, ქუდს იხდის და მისკენ იხრება. წყალი მის ზურგს გაივლის და მხრებიდან წვეთავს. ბაჭია შესცქერის, თუ როგორ იმშრალებს

ქალი ხელებს, ბალახის სურნელს შეიგრძნობს და ესმის, როგორ ცახცახებს შეძახილებისგან გამჭვირვალე ჰაერი. რუთი მის გვერდით წვება, თვალებს ხუჭავს და მზეს მორჩილებას უცხადებს. სახე ახლოდან დიდი სიბრტყეებისგან შედგენილს მიუგავს. მზეს მათზე ყველა საღებავი წაუშლია, გარდა სუფთა გაუთლელი ქვის მოყვითალო ანაბზინისგან, ქვის სამტეხლოებიდან პირდაპირ ტაძრებთან რომ მოაქვთ. მონუმენტური რუთის წარმოთქმული სიტყვები იმავე სიჩქარით მოძრაობს, როგორითაც ბაჭიას ყურებისკენ მგორავი მასიური ბორბლები ან ამქვეყნად მიმოქცევაში არსებული უტყვი მონეტები.

– მაგრად გაგიმართლა, არა?

– რას გულისხმობ?

– ოჰ... – სიტყვები ქალის ტუჩებს ნელა სწყდება. თავდაპირველად ბაჭია ტუჩების მოძრაობას ხედავს, მერე კი ესმის, – შეხედე, რა მდიდარი ხარ – გყავს ეკლზი, რომელიც ყოველკვირა გოლფს გეთამაშება და თავის ცოლს შენთვის ზიანის მოყენების უფლებას არ აძლევს, გაქვს ყვავილები, მისის სმიტს ძალიან უყვარხარ, მეც გყავარ.

– ფიქრობ, რომ მართლაც ვუყვარვარ მისის სმიტს?

– მე მხოლოდ ის ვიცი, რასაც მიყვები. თვითონ მითხარი, შეყვარებულიაო.

– არა, ასე გადაჭრით არასდროს მითქვამს. ნუთუ ვთქვი?

ქალი პასუხის გაცემით თავს არ იწუხებს. ნამძინარევი კმაყოფილებისგან გაბუნდოვანებული დიდი სახე კიდევ უფრო უდიდდება. ნამზეურ კანზე ცარცის ათინათები დარბიან.

– იქნებ ვთქვი კიდეც? – იმეორებს ბაჭია და მწარედ ჩქმეტს ქალს ხელზე. სულაც არ უნდა, რუთს ტკივილი მიაყენოს, მაგრამ მის კანთან შეხება რაღაცით აღიზიანებს. ურჩობით.

– ო-ო, შე ბოზიშვილო, – ამბობს ქალი.

მაგრამ იგი წოლას განაგრძობს და კაცზე მეტ ყურადღებას მზეს უთმობს. ბაჭია იდაყვს ეყრდნობა და ქალის მძიმე სხეულს მიღმა ორ თექვსმეტიოდე წლის ქალიშვილს ხედავს, რომლებიც

დგანან და ქაღალდის პაკეტებიდან ფორთოხლის წვენს შეექცევიან. ერთ-ერთი მათგანი, თაფლისფერთმიანი და უთასმო საბანაო კოსტიუმში გამოწყობილი, მისკენ იყურება და წრუპვას განაგრძობს. გამხდარი ფეხები ზანგივით გაშავებია. ბრტყელი მუცლის ორივე მხარეს მენჯის ძვლები ამოსჩრია.

– რა არის, ამქვეყნად ყველას შენ რომ უყვარხარ, – აცხადებს მოულოდნელად რუთი, – ვერ ვხვდები, რატომ.

– მე სიყვარულისთვის ვარ შექმნილი.

– რაღა მაინცდამაინც შენ? რით ხარ განსაკუთრებული?

– მისტიკოსი ვარ, ადამიანებს რწმენას ვჩუქნი.

ეს ეკლზმა უთხრა. ერთხელ, სიცილით, ალბათ, ხუმრობით. ვერასდროს მიხვდები, სინამდვილეში რას ფიქრობს, შეგიძლია ისე გაიგო, როგორც გსურს. თვითონ ასეთ რამეს ვერაფრით მოიფიქრებდა. არასდროს დაფიქრებულა, რას აძლევს სხვებს.

– ჩემთვის მხოლოდ უსიამოვნება მოგაქვს.

– აბა, კი! – ეს უსამართლობაა. ისე ამაყობდა მისით, როდესაც აუზში ცურავდა, ისე უყვარდა.

– რატომ გგონია, რომ შენ მაგივრად ყველაფერი სხვამ უნდა აკეთოს?

– მაგით რისი თქმა გსურს? შენ ჩემს კმაყოფაზე ხარ.

– შენს კმაყოფაზე! მე ვმუშაობ, ჩემო კარგო.

რაც მართალია, მართალია. მას შემდეგ, რაც ბაჭიამ მისის სმიტთან დაიწყო მუშაობა, რუთი ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის ბრუერის ფილიალში სტენოგრაფისტად მოეწყო. ეს მასაც ხელს აძლევდა, რადგან მთელი დღის განმავლობაში სახლში ჯდომისთვის არ ემეტებოდა. რუთი კი ამბობდა, არასდროს მომწონდა ჩემი ადრინდელი საქმიანობაო, მაგრამ ბაჭიას ამაში ეჭვი ეპარებოდა. მათი გაცნობისას ქალს წუხილი და განცდა არ ეტყობოდა.

– მიატოვე სამსახური. სულ არ მადარდებს. იჯექი მთელი დღე სახლში და შენი დეტექტივები იკითხე. არაფერს მოგაკლებ.

– არაფერს მომაკლებს. თუ ასეთი მდიდარი ხარ, ცოლს რატომ არ ეხმარები?

– რა საჭიროა? მამამისი ფულში ბანაობს.

– ძალიან თავდაჯერებული კი ხარ. ნუთუ არასდროს დაფიქრებულხარ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველაფერზე პასუხი მოგეთხოვება?

რუთი სახეში შესცქერის, წყალში ყოფნისგან თვალებში სისხლი მოსწოლია. ხელებს იფარებს. ეს ის თვალები არაა, იმ საღამოს რომ ნახა ავტოსადგომის მრიცხველებთან – თოჯინას ბრტყელი მქრქალი დისკები. ცისფერი გარსი გამუქებია და მათი სიღრმე კაცის ინსტინქტებს შემაშფოთებელ სიმართლეს ჩასჩურჩულებს.

ქალს თვალები უბრწყინავს, ცრემლების დასამალავად სახეს მიაბრუნებს და ფიქრობს. ყველაფერზე ტირილი ერთ-ერთი ნიშანია. ღმერთო ჩემო, სამსახურში მანქანიდან წამოხტება ხოლმე, ფაღარათიანივით საპირფარეშოში გარბის და ტირის. დგას კაბინაში, უნიტაზს ჩასცქერის, საკუთარ თავზე ეცინება და იქამდე ტირის, სანამ მკერდი არ ასტკივდება. თან სულ ეძინება. ო-ო, ღმერთო, სადილის შემდეგ თავს ძლივს იკავებს, რომ პირდაპირ გასასვლელში არ გაიშოტოს ჭუჭყიან იატაკზე, ლილი ორფსა და რიტა ფიორვანტეს შორის – იმ თვალებგადმოკარკლულ ჰონიგს მასზე გადაბიჯება მოუწევდა. ახლა ეს შიმშილი. სადილად სოდიანი ნაყინი, ბუტერბროდი, ფუნჩულა, ყავა, და მაინც უხდება შოკოლადის ყიდვა სალაროში. არადა, მისი გულისთვის სცადა გახდომა და კიდეც დაიკლო ექვსი გირვანქა, თუ სასწორს დაეჯერება. დიახ, სწორედ მისი გულისთვის სურდა ფიგურის შეცვლა, ის კი სულ სხვა კუთხით ცდილობდა მის გარდაქმნას. საშინელი ადამიანია, მიუხედავად თავისი სირბილისა. დიახ, არის მასში ეს სილბო, პირველი მამაკაცია, რომელშიც ამას ხედავს. გრძნობს მაინც, რომ მისთვის რაღაცას წარმოადგენს და ვიღაცის ბინძურ ტვინში გაჩენილი აზრი არ არის. ღმერთო, როგორ ეზიზღებოდა ყველა, მათი სველი ტუჩებითა და სულელური ხარხარით, მაგრამ როდესაც ჰარის დაუახლოვდა, მან თითქოს ყველას აპატია, ისინი ხომ მხოლოდ სანახევროდ იყვნენ დამნაშავენი, ერთგვარ კედელს წარმოადგენდნენ, რომელსაც იგი ეხეთქებოდა, იმიტომ, რომ იცოდა, იქით რაღაც იყო. ეს «რაღაც» ჰარისთან სწრაფად იპოვა და მთელი წარსული

არარეალური გახდა. არა, მისთვის არავის უწყენინებია, არავის დაუტოვებია მის სულში წარუშლელი კვალი, და როდესაც ამ ყველაფერს იხსენებს, ეჩვენება, რომ ეს სხვას გადახდა. იგი მათ თითქოს ბურუსში ხედავდა, საბრალოებს, მოუთმენლებს, მუდამ ისეთი რამ სურდათ, რასაც ცოლები ვერ აძლევდნენ – უწმაწურ სიტყვებს, შესაბრალის მუდარას, და კიდევ იმას, პირთან დაკავშირებით. განსაკუთრებით იმას. ვერ გაუგია, რატომ ირევიან ამაზე. ბოლოს და ბოლოს, ეს იმაზე საზიზღარი არაა, ვიდრე მათ მიერ ძუძუსთავების პირით თითხნა, მაშ, რატომ არ უნდა გამოიჩინოს გულუხვობა. მართალია, როდესაც ეს პირველად ჰარისონთან შეემთხვა, გვარიანად გაილეშა, დილით გაღვიძებულს კი ვერაფრით გაეგო, რატომ ჰქონდა პირში საძაგელი გემო. ამის მიზეზი, ალბათ, ახალგაზრდობა და წინასწარ შექმნილი ცუდი აზრის ქონა იყო, სინამდვილეში კი ეს განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა, ზღვის წყალს ჰგავდა. აი, შრომა კი ბევრი უწევდა, თუმცა ისინი ამას ვერ ხვდებოდნენ, აზრადაც არ მოსდიოდათ, რამხელა ჯაფა ადგებათ ქალებს. მთავარი კი ისაა, რომ ვიღაცამ აღფრთოვანება უნდა გამოხატოს. ეს მათ ძალიან სჭირდებათ. არა, ბუნებით არც ისეთი მახინჯები არიან, მაგრამ თვითონ რატომღაც პირიქით ჰგონიათ. ჯერ კიდევ სკოლაში შეეჯახა ამას, როდესაც გაოცებულმა აღმოაჩინა, თუ როგორ რცხვენოდათ მათ საკუთარი თავის, როგორი მადლიერნი იყვნენ, თუ მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ხელის მოკიდებას დასთანხმდებოდი, რაც შარვალში ჰქონდათ. თუმცა იმასაც სწრაფად ხვდებიან, თუ დათანხმებას აპირებ. საინტერესოა, რატომ მიაჩნიათ თავი ურჩხულებად? ცოტა თავის განძრევაც არ აწყენდათ – იქნებ შენც გაინტერესებს იმის გაგება, თუ როგორ აქვთ ყველაფერი მოწყობილი, იქნებ ეს ქალებისაზე საზიზღრად გამოიყურება? რა არის ეს, ღმერთო, ბოლოს და ბოლოს? არავითარი საიდუმლოება. აი, მისი უდიდესი აღმოჩენა: არავითარი საიდუმლოება, მხოლოდ რაღაც გამოშვერილი – მოგეწონება და ყოველი მათგანი თავს მეფედ იგრძნობს, მერე კი, თუ ნებას მისცემ, ყველაფერი კარგად გამოვა ან არც ისე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, შენ მათთან ერთად ხარ სხვების წინააღმდეგ, ყველა იმ ბუჭყის წინააღმდეგ, რომლებიც მის გარშემო ტრიალებდნენ სპორტდარბაზში ჰოკეის დროს, თვითონ კი ნამდვილი ძროხა იყო იმ სულელურ ლურჯ ფორმაში, საბავშვო მატროსულაში, რომელზეც მეთორმეტე კლასში კატეგორიული უარი განაცხადა და საყვედურიც დაიმსახურა. ღმერთო, როგორ

ეზიზღებოდა ის გოგოები თავიანთ მამებთან – მენარდეებსა და ფარმაცევტებთან ერთად. სამაგიეროდ, იგი თავის წილს ღამით იღებდა დედოფალივით, მათ კი ამაზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ. მაშინ, ახალდაწყებულზე, ყველაფერი ადვილად, ზედმეტი პრანჭვის გარეშე გამოდიოდა, გახდაც კი არ იყო საჭირო – პირდაპირ ჩაცმულს მიგსრეს-მოგსრესდნენ, პირიდან კატლეტებში შერეული ხახვის სუნი ამოსდიოდათ, მანქანაში გათბობის სისტემა ტკაცუნით გრილდებოდა. და ასე, კაბისა და ყველაფრის ზემოდან, რაც კი გეცვა, მოგეხახუნებოდნენ და საქმეც მთავრდებოდა. ნეტავ თვითონ თუ გრძნობდნენ რამეს? ალბათ, ის აზრი მუშაობდა, რომ ქალთან იყვნენ. ოჰ, ეს ფანტაზიები. ზოგჯერ «ფრანგულ კოცნას» სჯერდებოდნენ. ვერაფრით მიმხვდარიყო, რა იყო ამაში სასიხარულო – სქელი, სველი ტუჩები, სუნთქვა ჭირს, და აჰა, უეცრად, მომენტი დგება, ტუჩები მაგრდება, პირი იღება, შემდეგ კი შენსას სცილდება და ზანტად იხურება. სულ ეს არის. მთავარია, ყურადღებით იყო, დროულად დასცილდე, თორემ კაბასაც დაგისვრიან. მის სახელს საპირფარეშოს კედლებზე წერდნენ. სკოლაში ყველა მასზე ლაპარაკობდა. ეს ალიმ შეატყობინა. მაგრამ ალისთან დაკავშირებით მას ბევრი კარგი ახსოვს. ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ, როდესაც მზე ჯერ არ ჩასულიყო, ტყეში მიმავალ გზას გაუყვნენ, ბილიკზე გადაუხვიეს და ბარდებში შევიდნენ, საიდანაც ჯაჯმაუნთი მოჩანდა – ქალაქი მთის ფონზე, შორიდან ნისლში ჩაფლული. ბიჭმა თავი მუხლებზე დაადო, გოგოს სვიტერი აეწია, ბიუსტჰალტერი შეეხსნა, ძუძუები ახლანდელთან შედარებით უფრო მკვრივი, მომრგვალებული და მგრძნობიარე ჰქონდა. ალი პატარა ბავშვივით ნაზი იყო, თვალები ნეტარებით დაეხუჭა და სველი, ხარბი პირით მუშაობდა, მათ თავზე კი მზის სხივებში გახვეული ჩიტები ჟღურტულებდნენ. მერე ალიმ წამოაყრანტალა. რუთმა აპატია, მაგრამ ჭკუა კი ისწავლა. სხვებთან, მასზე უფროსებთან დაიწყო შეხვედრა. შეცდომა, თუ საერთოდ შეიძლება შეცდომაზე ლაპარაკი, მაგრამ რატომაც არა? რატომაც არა? მას შემდეგ ეს შეკითხვა კვლავაც აქტუალურია. იმაზე ფიქრი, დაუშვა თუ არა შეცდომა, ღლის, დაღალა ფიქრმა და წევს სველი, თვალდახუჭული წითელ რგოლებს ხედავს. წევს და ამ წითელი ნისლიდან წარსულში შეღწევა სურს, რათა გაერკვეს, მართალი იყო თუ არა. არა, გონივრულად მოიქცა. მათთან ერთად მისი ახალგაზრდა სხეული სილამაზისკენ ილტვოდა, უფროსი ბიჭები ციებ-

ცხელებიანივით არ იქცეოდნენ. თუმცა იშვიათი ნაძირალებიც შეხვედრია, რომლებიც თავისას ერთჯერადად სწრაფად ისწორებდნენ, გამომეტყველება კი ისეთი ჰქონდათ, თითქოს საგმირო საქმეებისთვის და მთელი ქვეყნის გასაოცებლად იყვნენ მზად.

ახლა კი ეს. უცნაური ვინმეა. აქვს კი რამე განსაკუთრებული? მამაკაცის კვალობაზე ლამაზიც კია – წევს თავისთვის გვერდზე, წინადაუცვეთელი, რბილი, ბეწვიანი, მერე კი უეცრად რკინასავით მაგრდება, მაგრამ მთავარი არც ეს არის და არც ის, რომ ბიჭივით გამოიყურება – ჩუქნის ბონგოს დოლებს და კარგ სიტყვებს ეუბნება, – არამედ ის, რომ მასზე, უცნაურია, მაგრამ ზეგავლენას ახდენს, და როდესაც ერთად ყოფნა სიამოვნებთ, ქალი თავს სულ პატარად გრძნობს. და, ალბათ, ეს არის მთავარი. ეს არის ის, რასაც ეძებდა. მამაკაცს, რომელთანაც თავს პატარად იგრძნობდა. ოჰ, იმ პირველ ღამეს, როდესაც ამაყად უთხრა, კარგიაო, ქალს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, პირიქით, ეგონა, რომ ასეც უნდა ყოფილიყო. მაშინ მან ყველას აპატია, ჰარის სახემ ისინი ყველა ერთ შეშინებულ მასად აქცია, მოეჩვენა კიდეც, რომ ადრინდელთან შედარებით, სხვა, უფრო მაღალ კატეგორიაში მოხვდა. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ იგი სხვებისგან არცთუ დიდად განსხვავდება, ზანტად და ხარბად ეკიდება კისერზე, მერე კი ზურგს შეაქცევს და სხვა რამეზე ფიქრობს. ქალებისგან განსხვავებით, კაცები ამას სხვაგვარად უყურებენ. აი, ახლაც მათ ყველაფერი სწრაფად, ნაჩქარევად, თითქოსდა ჩვეულების მიხედვით გამოსდით, და საკმარისია, კაცმა იგრძნოს ან პირდაპირ უთხრას, რომ თვითონ არაფერი გამოსდის, ის კიდევ უფრო სწრაფად მორჩება საქმეს, ქალი კი მხოლოდ მოწმის სახით უნდა იწვეს. ამაში საგანგაშო არაფერი იყო, ეს დამამშვიდებლადაც კი მოქმედებდა, მაგრამ მოგვიანებით დაძინება უჭირდა. ზოგჯერ ჰარი ცდილობს მის გამოცოცხლებას, მაგრამ იგი თავს მძიმედ გრძნობს, ძილი ერევა და აქედან არაფერი გამოდის. ზოგჯერ ქალს უნდა, შეაჯანჯღაროს იგი და შესძახოს: «არ შემიძლია, იდიოტო, ვერ ხედავ, რომ მალე მამა გახდები!» მაგრამ არა. ვერაფერს ეტყვის. საკმარისია ერთი სიტყვა და ყველაფერს წერტილი დაესმება. მას კი მხოლოდ ერთხელ შეუჩერდა, ორიოდე დღის შემდეგ კი, შესაძლოა, კვლავ დაეწყოს და ყველაფერი ძველებურად იქნება. უამისოდაც ყველაფერი ჩახლართულია. არც კი იცის,

გაუხარდება ეს თუ არა. ასე კი შოკოლადით მაინც ძღება. ღმერთო ჩემო, დარწმუნებულიც კი არ არის, რომ ეს სრულიად არ უნდა, იმიტომ, რომ ეს მას, კაცს უნდა – თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც იქცევა, დალახვროს ეშმაკმა, აჩემებული სისუფთავისა და უბიწოების შესაბამისად, ყოველგვარი პორნოგრაფიის გარეშე. რუთი არც იმაშია დარწმუნებული, რომ ეს ყველაფერი თვითონ არ მოაწყო განზრახ – მის ხელზე დაიძინა თავის თავზე შეყვარებული ნაძირალას ჯიბრზე. ჰარისთვის ხომ სულერთია. როდესაც დაიძინებს, ქალს შეუძლია ადგეს და ცივ სააბაზანოში წაფრატუნდეს, ოღონდაც მან არაფერი დაინახოს და არაფერი გააკეთოს. ასეა მოწყობილი – ცხოვრობს თავისთვის და შედეგებზე არ ფიქრობს. შოკოლადსა და ძილზე რომ უთხრას, აუცილებლად შეეშინდება და უკანმოუხედავად მოუსვამს თავის პატარა ღმერთსა და პატარა მღვდელთან ერთად, ვისთან ერთადაც ყოველ სამშაბათს გოლფს თამაშობს. ამ მღვდელში ყველაზე საზიზღარი ის არის, რომ ადრე ბაჭია ფიქრობდა მაინც, რომ ცუდად იქცეოდა, ახლა კი წარმოუდგენია, რომ ლამის იესო ქრისტეა და კაცობრიობა უნდა გადაარჩინოს, და ყველაფერს აკეთებს, რაც კი თავში მოუვა. კარგი იქნებოდა, ეპისკოპოსამდე მიეღწია, ალბათ, ის არის უფროსი, და ეთქვა, რომ ეს მღვდელი საშიში ადამიანია. ეშმაკმა იცის, რაღა არ ჩაუტენა თავში საბრალო ბაჭიას. აი, ახლაც, წყნარი, თავხედური ხმა ყურში ჩაბზუის და მის შეკითხვას ისეთი თამამი თვითკმაყოფილებით პასუხობს, რომ გაბრაზებისგან რუთს ლოყებზე ცრემლები ჩამოსდის.

– აი, რისი თქმა შემიძლია, – ამბობს ბაჭია, – როდესაც ჯენისს გავექეცი, საინტერესო აღმოჩენა გავაკეთე, – თვალებიდან ცრემლის ბურთულები მოგორავს, პირში აუზის წყლის საძაგელი გემო აქვს, – თუკი მოახერხებ და იმად დარჩები, რაც ხარ, შენ მაგივრად პასუხს სხვები აგებენ.

* * *

უსიამოვნო ვიზიტები ან თუნდაც მათი მოლოდინი ეკლზისთვის სიკვდილის ტოლფასია. ჩვეულებრივ, სიზმარი სინამდვილეზე უარესია. სინამდვილეს ღმერთი მართავს. ადამიანების სიახლოვეს ყოველთვის აიტანს კაცი. მისის

სპრინგერი – შავგვრემანი, ფუმფულა, წვრილძვლიანი, ბოშას მსგავსი ქალია. ორივესგან – დედისგანაც და ქალიშვილისგანაც – რაღაც ავის მომასწავებელი ჭრის, მაგრამ თუ დედას მდგომარეობის დაძაბვის უნარი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი, რაც წვრილბურჟუაზიული ცხოვრების წესთანაა დაკავშირებული, ქალიშვილისთვის ეს რაღაც დენადია, უსარგებლო და სახიფათოც კი, როგორც მისთვის, ასევე სხვებისთვის. ეკლზი შვებით ამოისუნთქავს, როდესაც გაიგებს, რომ ჯენისი შინ არ არის. მისი თანდასწრებით თავს დამნაშავედ გრძნობს. ჯენისი მისის ფოსნაჰტთან ერთად ბრუერშია წასული დილის სეანსზე ფილმის, «ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან» სანახავად. მათი ბიჭები სპრინგერების ეზოში თამაშობენ. მისის სპრინგერს იგი მთელი სახლის გავლით დაჩრდილული ვერანდისკენ მიჰყავს, საიდანაც ბავშვები თვალთახედვის არეში ეყოლება. სახლი მდიდრულად, მაგრამ უგემოვნოდ არის მოწყობილი – თითქოს ყოველ ოთახში საჭიროზე ერთით მეტი სავარძელი დგას. შემოსასვლელიდან ვერანდაზე მოსახვედრად მიხვეულ-მოხვეული გზებით უწევთ სიარული ავეჯით გადატვირთულ ოთახებში. მისის სპრინგერი ნელა მიდის – ორივე კოჭი ელასტიკური ბინტით შეუხვევია. ავადმყოფურად მოკლე ნაბიჯები აძლიერებს ილუზიას, თითქოს სხეულის ქვედა ნაწილი თაბაშირში აქვს ჩასმული. იგი ფრთხილად ეშვება სარწეველას ბალიშებზე, რომელიც მისი სიმძიმის ქვეშ უკან გადაქანდება, ფეხები კი მკვეთრად ადის ზემოთ. შეშინებული ეკლზი უკან იხევს. მისის სპრინგერი ბავშვივით გახარებულია. ქვედაკაბიდან ფერმკრთალი უთმო ნაკუთალები მოუჩანს, შავ-თეთრი ფეხსაცმელები წამით იატაკს მოსწყდება. ისინი ოდნავ დამსკდარი და მომრგვალებულია, თითქოს მრავალი წელი სარეცხ მანქანაში გაატარებინეს. ეკლზი ალუმინისა და პლასტმასისგან დამზადებულ, იკლიკანტური სახსრების მქონე შეზლონგში ჯდება. მის წინ მდებარე ფანჯრიდან ჩანს, როგორ თამაშობენ მზისგულზე საქანელასა და საქვიშართან ნელსონ ენგსტრომი და ფოსნაჰტების მასზე ოდნავ უფროსი ვაჟი. თავის დროზე ეკლზმა თვითონაც შეიძინა ამგვარი მზა საბავშვო ნაკრები, რომელიც საქანელისგან, ბორცვისა და საქვიშარისგან შედგებოდა. მაგრამ როდესაც აუწყობელი მოუტანეს გრძელი მუყაოს ყუთით, თავი შეირცხვინა – როგორ არ ეცადა, მისი სწორად აწყობა ვერაფრით შეძლო. ბოლოს იძულებული შეიქნა, დახმარებისთვის მოხუცი ჰენრისთვის,

ეკლესიის ყრუ დარაჯისთვის მიემართა.

– ძალზე სასიამოვნოა თქვენი ნახვა, – ამბობს მისის სპრინგერი, – დიდი ხანია, ჩვენთან არ ყოფილხართ.

– მხოლოდ სამი კვირა, – პასუხობს ეკლზი. შეზლონგი ზურგს სტკენს, ამიტომ ქუსლებით მის ალუმინის მილს აწვება, რათა საწოლი არ დაიკეცოს, – ბევრი სამუშაო მქონდა: კონფირმაციისთვის ვემზადებოდი, ახალგაზრდულმა ჯგუფმა სოფტბოლის გუნდის ჩამოყალიბება გადაწყვიტა, ამასთან, მრევლის რამდენიმე წევრიც გარდაიცვალა.

იგი სულაც არ აპირებს მობოდიშებას. ის, რომ ქალი ასეთი დიდი სახლის პატრონია, სრულიად არ შეესაბამება ეკლზის არისტოკრატიულ წარმოდგენას, თუ ვის რომელი ადგილი აქვს მიჩენილი. ამჯობინებდა, ქალი რომელიმე ქოხმახის პარმაღზე ენახა და მიაჩნია, რომ ისიც გაცილებით უკეთ იგრძნობდა თავს.

– თქვენი მოვალეობების შესრულებას არაფრის გულისთვის არ დავთანხმდებოდი.

– ჩემი საქმიანობა დიდ სიხარულს მანიჭებს.

– დიახ, ასე ამბობენ. ისიც გავიგე, გოლფში დაოსტატებულხართ.

ღმერთო ჩემო! ის კი ფიქრობდა, რომ ქალი დამშვიდდა; რომ ძველი ქოხმახის პარმაღზე სხედან და ქალი ფაბრიკის მუშის მრავალტანჯული მსუქანი ცოლია, რომელმაც ისწავლა საგნები შეულამაზებლად, რეალურად მიეღო. სწორედ ასეთს ჰგავს იგი, სწორედ ასეთი შეიძლებოდა ყოფილიყო. როდესაც ფრედ სპრინგერმა მასზე იქორწინა, კაცი, ალბათ, კიდევ უფრო ნაკლებად სასურველი სასიძო იყო, ვიდრე ჰარი ენგსტრომი მისი ქალიშვილისთვის. იგი ცდილობს წარმოიდგინოს ჰარი ოთხი წლის წინ და მის წინაშე ძალზე მიმზიდველი სახე დგება – მაღალი, ქერათმიანი, სკოლის სიამაყე, საკმარისად ჭკვიანი – ცისკრის ვაჟიშვილი. ჯენისს განსაკუთრებით, ალბათ, მისი თავდაჯერებულობა მოეწონა. დავითი და მიქალი.[19] ნუ აწყენინებ მოყვასს... იგი თავს იფხანს და ამბობს:

– გოლფის თამაშისას ადამიანის უკეთ გაცნობა შეიძლება. ჩემი მიზანიც სწორედ ესაა, რომ ადამიანების შეცნობაში დაგეხმაროთ. არ შეიძლება, ვინმე ქრისტესკენ წაიყვანო, თუ

მას კარგად არ იცნობ.

– შესანიშნავია, მაგრამ რა იცით ისეთი ჩემს სიძეზე, რაც ჩემთვის უცნობია?

– ჯერ ერთი ის, რომ კარგი ადამიანია.

– კარგია რისთვის?

– განა რამესთვის უნდა იყო კარგი? – ეკლზი ფიქრებში მიდის, – დიახ, ალბათ, უნდა იყო.

– ნელსონ! ახლავე შეწყვიტე! – მისის სპრინგერი თავის სავარძელში შეშდება, მაგრამ თავს არ იწუხებს, რომ წამოდგეს და ბიჭის ტირილის მიზეზი გაიგოს. ფანჯარასთან მჯდომი ეკლზი ყველაფერს ხედავს. პატარა ფოსნაჰტი იდიოტის გამაღიზიანებელი მოუწყვლადობით დასცქერის ზემოდან, თუ როგორ უტყაპუნებს მას ხელს სახედაღრეჯილი უმცროსი ბიჭი, მაგრამ სიამოვნების ნატამალიც არ ეტყობა – ნამდვილი მეცნიერის გულგრილობით აკვირდება თავისი ცდის მიმდინარეობას. მისის სპრინგერის ხმაში შმაგი სიმტკიცე ფანჯრის მეორე მხრიდანაც კი იგრძნობა, – ვერ გაიგონე, რაც გითხარი? ახლავე შეწყვიტე ღრიალი!

ნელსონი სახეს ვერანდისკენ ატრიალებს და ახსნას ცდილობს.

– პილი, – ლუღლუღებს იგი, – პილიმ აიღო...

მაგრამ უსამართლობის შესახებ მოყოლის მცდელობაც კი აუტანელს ხდის წყენას. ნელსონი წინ იხრება და ქურდს მკერდში ხელს არტყამს, საპასუხოდ კი ისეთ ბიძგს იღებს, რომ მიწაზე პირქვე ეცემა და ფეხების ქნევით ბალახზე გადაკოტრიალდება. ეკლზი გრძნობს, რომ ბავშვის სხეულს მისი გულიც თან მიჰყვება – მან ძალზე კარგად იცის ბოროტების ძალაც და ისიც, თუ როგორ ებრძვის მას გონება, ყოველი ამაო დარტყმა სამყაროდან ჰაერს ისრუტავს და გეჩვენება, რომ მთელი შენი სისხლი და ხორცი საცაა სიცარიელეში აფეთქდება.

– ბიჭმა მას სათამაშო წაართვა, – ამცნობს მისის სპრინგერს.

– ადგეს და თვითონვე დაიბრუნოს, – პასუხობს ქალი, – ისწავლოს. სად შემიძლია ჩემი ავადმყოფი ფეხებით ყოველ წამს წამოხტომა და ეზოში სირბილი. ეგენი ხომ მთელი დღე

ჩხუბის მეტს არაფერს აკეთებენ.

– ბილ! – მამაკაცის ხმის გაგონებაზე ბიჭი გაოცებით იყურება, – დაუბრუნე მანქანა, – ბილი ახალ ვითარებას სწავლობს და ყოყმანობს, – მიეცი, თუ შეიძლება.

ეს დამაჯერებლად ჟღერს. ბილი ნელსონთან მიდის და აკურატულად უშვებს ხელს სათამაშოს ზუსტად მტირალი მეგობრის თავს ზემოთ.

ტკივილი ნელსონის მკერდში მწუხარების ახალ მოზღვავებას იწვევს, მაგრამ ხედავს, რომ მანქანა მის გვერდით, ბალახში გდია და ჩერდება. წამიც საკმარისია, რომ მიხვდეს: მისი წყენის მიზეზი აღარ არსებობს. კიდევ ერთი წამიც და აღელვებული სხეულიც წყნარდება. მისი ხანგრძლივი, მშრალი სლუკუნისგან გაკრეჭილი ბალახი თითქოს ზევით იწევს, მზის შუქი კი მკრთალდება. ბზიკი, ჯიუტად რომ ეხეთქებოდა ფანჯრის მინას, მიფრინავს. ეკლზის ქვეშ ალუმინის შეზლონგი ლამის დაიშალოს. თითქოს მთელი სამყარო მონაწილეობს იმაში, რომ ნელსონს თავი ხელში ააყვანინოს.

– არ მესმის, რატომაა ეს ბიჭი ასეთი აზიზი, – ამბობს მისის სპრინგერი, – თუმცა არა. გასაგებია.

– რატომ? – გესლიანი სიტყვები ეკლზის გაღიზიანებას იწვევს.

ქალი დამცინავად იღიმება.

– იმიტომ, რომ მამამისს ჰგავს – განებივრებულია. ხელისგულზე დაატარებდნენ და დარწმუნებულია, რომ ყველამ უნდა შეასრულოს მისი სურვილები.

– მაგრამ დამნაშავე მეორე ბიჭი იყო, ნელსონს კი მხოლოდ თავისი სათამაშოს დაბრუნება სურდა.

– ალბათ, თქვენც ფიქრობთ, რომ ამ ბიჭის მამასთან ჯენისია დამნაშავე, – იმის მიხედვით, თუ როგორ წარმოთქვამს ქალი «ჯენისს», ეს უკანასკნელი უფრო ხელშესახები, ძვირფასი და მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე უბადრუკი ჩრდილი ეკლზის გონებაში. იგი ფიქრობს, რომ მისის სპრინგერი მართალია და თვითონ მართლაც მისი მოწინააღმდეგის ბანაკშია გადასული.

– არა, არ ვფიქრობ, – ეკამათება იგი, – ჩემი აზრით, ჰარის საქციელს გამართლება არა აქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ

ყველაფერი უმიზეზოდ ხდება. მიზეზებზე კი ნაწილობრივ თქვენი ქალიშვილია პასუხისმგებელი. მე მივეკუთვნები ეკლესიას, რომელიც თვლის, რომ ჩვენ შეგნებული არსებები ვართ და პასუხისმგებლობა გვაკისრია საკუთარი თავისა და სხვების წინაშეც.

ამ მარჯვედ ჩამოყალიბებული ფრაზებისგან პირში ცარცის გემო უჩნდება. დასალევი მაინც შესთავაზოს დიასახლისმა. საკმაოდ ცხელი ზაფხულია.

ბებერი ბოშა მის ყოყმანს მაშინვე ამჩნევს.

– ცხადია, თქმა ადვილია, მაგრამ იქნებ არც ისე იოლია ამ შეხედულებების დაცვა, როდესაც კეთილშობილი ოჯახიდან გამოსული ქალი მეცხრე თვეშია, თანაც ყველა დასცინის, რადგან ქმარი შორიახლოს ღამურასავით ტრიალებს, – სიტყვა «ღამურა» სწრაფად მიიწევს მაღლა შავი ფრთების ბარტყუნით.

– თქვენ არავინ დაგცინით, მისის სპრინგერ.

– თქვენ არ გესმით, ხალხი რას ლაპარაკობს. ვერც მათ ღიმილს ხედავთ. ერთმა ქალბატონმა ამ დღეებში განმიცხადა, რომ თუ ჯენისს ქმრის შეკავება არ შეუძლია, მასზე არც რაიმე უფლება აქვსო. თან თავხედურად იღიმებოდა ჩემს დასანახავად. მზად ვიყავი, იქვე მიმეხრჩო, მაგრამ მივუგე, – ქალის გარდა ვალდებულებები კაცსაც გააჩნია-მეთქი. სწორედ ასეთი ქალები შთააგონებენ კაცებს, რომ მთელი ქვეყანა მხოლოდ მათი სიამოვნებისთვის არსებობს. როგორ ფიქრობთ, დედამიწაზე მხოლოდ ჰარი ენგსტრომები რომ ცხოვრობდნენ, დიდხანს დასჭირდებოდათ თქვენი ეკლესია?

ქალი სარწეველაში წელში სწორდება და თვალები დაუღვრელი ცრემლებისგან უბრწყინავს. ტაფაზე დანის გასმის მსგავსი გამკივანი ხმისგან ეკლზს გული უწუხს და ეჩვენება, რომ მთელი სხეული დალილავებული აქვს. ქალის სიტყვები და ღიმილი საშინელი რეალობის წინაშე აყენებს კაცს, იმ ასობით ადამიანის დარად, რომლებიც აკვირდებიან, თუ როგორ ადის კათედრაზე ყოველ კვირადღეს დილის თორმეტის ნახევარზე, სადაც მომზადებული ტექსტი სადღაც ქრება, ჩანაწერები კი უაზრობად იქცევა. იგი გაშმაგებით იქექება მეხსიერებაში და ბოლოს ამბობს:

– მეჩვენება, რომ ჰარის შემთხვევა გარკვეულწილად

განსაკუთრებულია.

– განსაკუთრებული მასში მხოლოდ ისაა, რომ მისთვის სულერთია, ვის და როგორ მიაყენებს ტკივილს. სულაც არ მინდა თქვენი განაწყენება, მამაო ეკლზ, ვფიქრობ, მოუცლელობის მიუხედავად, ყველაფერი გააკეთეთ, რაც შეგეძლოთ, მაგრამ რომ არ დაგიმალოთ, ვნანობ, იმ პირველ ღამეს პოლიცია რომ არ გამოვიძახე.

კაცს ეჩვენება, რომ ქალი ახლა გამოიძახებს პოლიციას, რათა ის, ეკლზი დააპატიმროს. რატომაც არა? რას აკეთებს თავისი თეთრი საყელოთი, გარდა იმისა, რომ ღვთის სიტყვებს ამახინჯებს? – ბავშვებს რწმენას ართმევს, ნაცვლად იმისა, ასწავლოს; ყოველი მსმენელის სულში რწმენას კლავს; იტყუება ღვთისმსახურების დროს ყოველი დასწავლილი ფრაზის წარმოთქმისას, როდესაც ჩვენს მამას ახსენებს, გულში კი ნამდვილ მამას გულისხმობს, რომლის გულის მოგებასაც ცდილობს. ამას მთელი სიცოცხლე ცდილობდა – იმ ღვთის გულის მოგებას, რომელიც სიგარებს ეწევა.

– პოლიცია რის გაკეთებას შეძლებს?

– არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, მასთან გოლფის თამაშს არ დაიწყებს.

– დარწმუნებული ვარ, დაბრუნდება.

– უკვე ორი თვე გავიდა, რაც ამას ამტკიცებთ.

– მე კვლავაც მჯერა ამის, – მაგრამ ეკლზს არ სჯერა, მას აღარაფრის სჯერა.

ჩამოწოლილ სიჩუმეში მისის სპრინგერი მის სახეზე ამის წაკითხვას ცდილობს.

– ხომ არ შეგიძლიათ... – ქალს ხმა ეცვლება და ხვეწნაზე გადადის, – ის ტაბურეტი მომაწოდოთ, კუთხეში რომ დგას? ფეხები უნდა შემოვაწყო.

ეკლზი თვალებს ახამხამებს, მისი ქუთუთოები ერთმანეთს კაწრავენ. იგი გამოერკვევა, ტაბურეტს აიღებს და ქალთან მიაქვს. მისის სპრინგერი მწვანე საბავშვო წინდებში გამოწყობილ განიერ წვივებს მაღლა მორიდებით სწევს, კაცი კი იხრება და ქუსლებქვეშ ტაბურეტს შეუყუდებს, თან

რელიგიურ ბროშურებში დაბეჭდილი სურათები ახსენდება, სადაც იესო მდაბიოებს ფეხებს ჰბანს. ეს მას ძალას მატებს. იგი წელში იმართება და ქალს ზემოდან დაჰყურებს. მისის სპრინგერი მუხლებს ქვედაკაბით იფარავს.

– გმადლობთ. ჩემთვის ეს დიდი შვებაა.

– ვშიშობ, რომ ეს ერთადერთი შვებაა, რომელიც მოგიტანეთ, – აღიარებს ეკლზი ალალად, რაც აღფრთოვანების ღირსია, და ამ პასუხის გამო გულში საკუთარ თავზე ეცინება.

– აჰ, – ოხრავს მისის სპრინგერი, – ამას უკვე აღარაფერი ეშველება.

– არა, რაღაცის გაკეთება შეიძლება. ვფიქრობ, პოლიციის შესახებ მართალი ბრძანდებით. კანონი იცავს ქალთა უფლებებს, მაშ, რატომ არ მივმართოთ?

– ფრედი წინააღმდეგია.

– მისტერ სპრინგერს, ალბათ, საამისო მიზეზებიც აქვს. მე მხოლოდ ბიზნესის ინტერესებს არ ვგულისხმობ. კანონმა ჰარის, შესაძლოა, ფინანსური ვალდებულებები დააკისროს, მაგრამ ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ფული მთავარი არაა. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული ვარ, რომ ფული არასდროს თამაშობს გადამწყვეტ როლს.

– სათქმელად ადვილია, თუ მის ნაკლებობას არ განიცდით.

ამ შენიშვნას ეკლზი ერთი ყურიდან შეუშვებს და მეორიდან გამოუშვებს – ეს ქალს აშკარად უნებურად წამოსცდა, უფრო დაღლილობისგან, ვიდრე ღვარძლისგან: იგი დარწმუნებულია, რომ ქალს მისი მოსმენა აინტერესებს.

– არ ვიცი. რაც უნდა იყოს, მე, როგორც, ალბათ, ყველას, უკეთესის იმედი მაქვს. თუ ნამდვილი განკურნება შესაძლებელია, ეს ჰარისა და ჯენისის გასაკეთებელია. როგორც უნდა ვეცადოთ მათ დახმარებას, რაიმეს გაკეთებას, ყოველთვის სადღაც განზე დავრჩებით.

ეკლზი მამამისის წაბაძვით ხელებს ზურგს უკან შემოიწყობს, მისის სპრინგერისგან პირს იბრუნებს და ფანჯარაში იყურება, სანამ ის, ვინც კინაღამ განზე დარჩა, კერძოდ კი ნელსონი, ფოსნაჰტების ბიჭთან ერთად მეზობლის ძაღლს დასდევს. იგი

გულიანად იცინის და მოუხერხებლად დაბორძიკობს მდელოზე. ძაღლი ბებერია, წითური, პატარა და ნელი. ნორჩი ფოსნაჰტი გაოცებულია, მაგრამ იმავდროულად კმაყოფილიც თავისი მეგობრის შეძახილებით: «ლომი! ლომი!» ცნობისმოყვარე ეკლზი აფიქსირებს, რომ მშვიდობიან პირობებში ენგსტრომის ვაჟიშვილი მეორე ბიჭს წინ მიუძღვის. დაბინდული შუშიდან შემოსული მწვანე შუქი ნელსონის მიერ გამოწვეული ხმაურისგან თითქოს ცახცახებს. სიტუაცია ცხადია: შინაგანი აღელვების მუდმივმა გამჭვირვალე ნაკადმა დროდადრო უნდა გადაკეტოს ნაკლებად ამთვისებელი ბიჭის ვიწრო გონებრივი არხები და პირქუში უკუდინება გამოიწვიოს, რომელიც უხეში ძალადობის სახით ვლინდება. მას ეცოდება ნელსონი, რომელიც ხშირად აღმოჩნდება მეჩეჩზე გულუბრყვილოდ გაოცებული, სანამ არ აღმოაჩენს, რომ ამ უცნაური უკუდინების წყარო თვითონ მასშია. ეკლზს ეჩვენება, რომ ბავშვობაში თავადაც ასეთი იყო – ყოველთვის აძლევდა, აძლევდა და მოულოდნელად ზანზარაში[20] აღმოჩნდებოდა. ბიჭების მიახლოებისას ბებერი ძაღლი კუდს აქიცინებს, მაგრამ როდესაც ისინი მონადირეებივით მხიარულ ყიჟინას დასცხებენ, ქიცინს წყვეტს და გაუბედავად, დაძაბულად რკალავს. ნელსონი ძაღლისკენ მიიწევს და ორივე ხელს ზურგზე უტყაპუნებს. ეკლზს სურს დაიძახოს, რომ ძაღლმა შეიძლება უკბინოს. მას არ შეუძლია ამ სურათს მშვიდად უყუროს.

– ჰო, მაგრამ ის სულ უფრო შორს მიდის, – წუწუნებს მისის სპრინგერი, – ეტყობა, ძალიან კარგად გრძნობს თავს. თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ, თვითონ არ დაბრუნდება.

ეკლზი კვლავ ალუმინის შეზლონგში ჯდება.

– არა. იმავე მიზეზით დაბრუნდება, რომლითაც წავიდა. იგი წუნიაა. მან მკვდარი მარყუჟი[21] უნდა გააკეთოს. სამყარო, რომელშიც ის ცხოვრობს, ბრუერელი ქალიშვილის სამყარო, მის წარმოსახვას მალე ვეღარ დააკმაყოფილებს. ყოველ კვირას ვხვდები და შევამჩნიე, რომ უკვე შეიცვალა.

– პეგი ფოსნაჰტი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. მისთვის უთქვამთ, ძალზე მხიარულად ცხოვრობსო. არც კი ვიცი, რამდენი ქალი ჰყავს.

– მხოლოდ ერთი, ამაში დარწმუნებული ვარ. ენგსტრომში

ყველაზე საოცარი ისაა, რომ ბუნებით შინაური ცხოველია. ღმერთო ჩემო!

ეზოში ჯგუფი იშლება – ბიჭები ერთ მხარეს გარბიან, ძაღლი – მეორე მხარეს. პატარა ფოსნაჰტი ჩერდება, ნელსონი კი შიშისგან მოქცეული სახით გამალებით მორბის.

მისი სლუკუნის გაგონებაზე მისის სპრინგერი გაბრაზებით ამბობს:

– ისევ გადარიეს ელსი. ძაღლი, ალბათ, ჭკუაზე შეიშალა, რახან მაინც აქ მოდის.

ეკლზი წამოხტება – მის ზურგს უკან შეზლონგი იშლება, – ბადით გადაჭიმულ კარს აღებს და ნელსონის შესახვედრად გარეთ, მზეზე გარბის. ბიჭი მისთვის გვერდის ავლას ცდილობს, მაგრამ კაცი ხელს სტაცებს.

– ძაღლმა გიკბინა?

ახალი საფრთხის დანახვაზე ბიჭი სლუკუნს მაშინვე წყვეტს. ეშინია ამ შავი ბიძიასი.

– ელსიმ გიკბინა?

პატარა ფოსნაჰტი მათგან უსაფრთხო მანძილზე ჩერდება.

ეკლზის ხელებში აღმოჩენილი, მოულოდნელად დამძიმებული და გაოფლილი ნელსონი ღრმად, ხრინწიანად სუნთქავს და თანდათანობით ხმას იბრუნებს.

ეკლზი აჯანჯღარებს, რათა არ აღრიალდეს, ცდილობს, რამე მაინც გააგებინოს და მის ლოყასთან ყბებს ატკაცუნებს.

– ასე? ასე გიქნა ძაღლმა?

ეს პანტომიმის სცენა ბავშვში აღფრთოვანების ღიმილს იწვევს.

– ასე, ასე, – ამბობს იგი, ზედა ტუჩს მაღლა სწევს, კბილებს კრეჭს, ცხვირს იჭმუხნის და თავს აძაგძაგებს.

– არ გიკბინა? – დაჟინებით ეკითხება ეკლზი, მაგრამ ისე მაგრად აღარ ჰყავს ჩაბღუჯული.

ნელსონი კვლავ მრისხანედ სწევს მაღლა ზედა ტუჩს. ამ ცოცხალ სახეში, ფორმითა და გამომეტყველებით ჰარის რომ

ჰგავს, ეკლზი დაცინვას გრძნობს. ნელსონი კვლავ იწყებს სლუკუნს, კაცს ხელიდან უსხლტება და ვერანდის საფეხურების გავლით ბებიასკენ გარბის. ეკლზი წელში იმართება. სანამ ჩაცუცქული იყო, მზემ შავი ზურგი ოფლით დაუნამა.

იგი საფეხურებზე ადის და თან იხსენებს, თუ როგორ ჰბაძავდა ბიჭი ძაღლს, როგორ დაკრიჭა თავისი პატარა კვადრატული კბილები და ეს სულს უძრავს, გულს უჩუყებს. უწყინარი, მაგრამ საოცრად ცოცხალი ინსტინქტი. კნუტის ინსტინქტი, რომელიც ფაფუკი თათებით ცდილობს გორგლის დამარცხებას.

ვერანდაზე დაბრუნებული ეკლზი ხედავს, რომ ბიჭი ბებიას ფეხებს შორის დგას და სახე მის მუცელში ჩაურგავს. თბილ სხეულზე მიკრულს, მისთვის კაბა მუხლებს ზემოთ წამოუხდია და რძისფერი სითეთრე დაუცველად მოშიშვლებული ფართო ფეხებისა, რომელსაც ბავშვის მხიარულად დაკრეჭილი კბილები ედება, ეკლზის ცნობიერებაში რაღაც ისეთთან ასოცირდება, რასაც მისი საკუთარი სისხლის გემო აქვს. ძალ-ღონით აღვსილი – თითქოს თანაგრძნობა, როგორც მას ასწავლეს, უმწეო ტირილი კი არ არის, არამედ მძლავრი ტალღა, რომელიც სამყაროს ყველა კუთხე-კუნჭულიდან ჩამორეცხს მტვერსა და ნაგავს, – ნაბიჯს წინ დგამს და ორივე დახრილ თავს ჰპირდება:

– თუ არ დაბრუნდება, როდესაც ჯენისი იმშობიარებს, კანონს მივმართავთ. ასეთი კანონები არსებობს და არც ისე ცოტა.

– ელსი იმიტომ იკბინება, რომ შენ და ბილი აბრაზებთ, – ეუბნება ბიჭს მისის სპრინგერი.

– ელსი ცუდია, – ამბობს ნელსონი.

– ნელსონი ცუდია, – უსწორებს მისის სპრინგერი. იგი ეკლზს სახეში შესცქერის და მენტორული ტონით განაგრძობს, – მას მხოლოდ ერთი კვირა დარჩა, მე კი ვერ ვხედავ, რომ ჩქარობდეს.

ქალისადმი სიმპათიის წუთმა განვლო და ეკლზი მას ვერანდაზე ტოვებს. სიყვარული არასდროს მთავრდება, ამბობს თავისთვის. ეს ამერიკული შესწორებული და გადამუშავებული გამოცემის მიხედვით. მეფე ჯეიმზის ბიბლიაში[22] კი ნათქვამია, რომ სიყვარულს ვერაფერი

დაამარცხებს. მისის სპრინგერის ხმა მთელ სახლში ისმის:

– თუ კიდევ გააბრაზებ ელსის, ბებია მიგტყეპავს.

– არა, ბებიკო, – მორიდებით სთხოვს ბიჭი, რომელსაც შიშმა უკვე გაუარა.

ეკლზი იმედოვნებს, რომ სამზარეულოს მიაგნებს და ონკანიდან წყურვილს მოიკლავს, მაგრამ უთავბოლოდ განლაგებულ ოთახებში ამას ვერაფრით ახერხებს. მობათქაშებული სახლიდან გამოსული ნერწყვს ყლაპავს, თავის «ბიუიკში» ჯდება და ჯოზეფ-სტრიტისა და ჯექსონ-როუდის გავლით ენგსტრომების სახლისკენ მიემართება, რომლის ნომერიც 303-ია.

მისის ენგსტრომს ოთხკუთხა ნესტოები აქვს, უფრო სწორად, რომბისებრი, ცხვირი კი სიდიდესთან ერთად იმითაც გამოირჩევა, რომ უჩვეულო ანატომიური ფორმისაა. კუნთების, ხრტილებისა და ძვლების ნაწილები საკმაოდ მეტყველია და მკვეთრ შუქში კანს მრავალ წახნაგად ყოფს. ინტერვიუ მის სამზარეულოში იმართება, რომელიც მრავალი ნათურითაა განათებული, ვინაიდან ენგსტრომები ორსართულიანი აგურის სახლის ბნელ მხარეს ცხოვრობენ. როდესაც მისის ენგსტრომი ეკლზს კარს უღებს, ხელები საპნის ქაფით აქვს დაფარული. სტუმართან ერთად სამზარეულოში დაბრუნებული, გაბერილი პერანგებითა და ქვედა საცვლებით სავსე ნიჟარისკენ მიდის. საუბრის დროს სარეცხს არ სცილდება. ენერგიული ქალია. მისის სპრინგერს აფუებული ცხიმი, ავადმყოფურად ჭარბი წონა ადევს წვრილ ძვლებზე, რომლებიც ოდესღაც ჯენისის მსგავს ბუჭყას ეკუთვნოდა. ახლა კი მისის ენგსტრომი დიდ, მაგარ ჩარჩოში მჭიდროდ ჩასმული სხეულია. აშკარაა, რომ ჰარიმ სიმაღლე მემკვიდრეობით მისგან მიიღო. ეკლზი კვლავ ფიქრობს ონკანიდან წამოსულ ცივ წყალზე, რომელსაც მისის ენგსტრომის მძლავრი სხეული ეფარება, მაგრამ ასეთი წვრილმანი თხოვნისთვის შესაფერისი შემთხვევა არ ეძლევა.

– ვერ გამიგია, რისთვის მეწვიეთ, – ამბობს ქალი, – ჰაროლდს დღეს როდი შეუსრულდა ოცდაერთი წელი. ჩემს ჭკუაზე კარგა ხანია, აღარ დადის.

– თქვენთან ხომ არ ყოფილა?

– არა, სერ, – იგი თავს მარცხნივ მიატრიალებს და კაცს

პროფილს მიუშვერს, – თქვენ ისე შეარცხვინეთ, რომ, ალბათ, ეუხერხულება.

– თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ უნდა რცხვენოდეს?

– ვითომ რატომ უნდა რცხვენოდეს? დავიწყოთ იქიდან, რომ არასდროს მომწონდა ის გოგო. ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ გვარიანად აფრენს.

– რა თქმა უნდა, ხუმრობთ.

– ვხუმრობ? იცით, რა მითხრა, როდესაც პირველად შევხვდით? «რატომ სარეცხ მანქანას არ შეიძენთ?» შემოდის ჩემს სამზარეულოში, აქეთ-იქით იყურება და მიხსნის, თუ როგორ უნდა ვიცხოვრო.

– თქვენ, ცხადია, მიხვდით, რომ ცუდს არაფერს გულისხმობდა.

– რასაკვირველია, არაფერს გულისხმობდა. მხოლოდ უნდოდა ეთქვა: «ნეტავ როგორ ცხოვრობთ ამ ნახევრად დანგრეულ სახლში? მე ჯოზეფ-სტრიტზე მდებარე უზარმაზარი ფარდულიდან ვარ, სადაც სამზარეულო უამრავი მოდური ნივთითაა სავსე. მაგრად კი გაგიმართლათ, ჩემნაირი მზითვიანი გოგო რომ დაითრიეთ».არასდროს მომწონდა მისი თვალები. რატომღაც სულ გვერდზე იყურება.

იგი ეკლზისკენ ტრიალდება და ისიც, წინასწარ გაფრთხილებული, მას სახეში შესცქერის. სათვალის – ძველმოდური რკინისჩარჩოიანი სათვალეა, ბიფოკალური ნახევარმთვარეები ვარდისფერ ათინათებად ბზინავს – დაორთქლილი შუშების მიღმა მისი ნოღა ცხვირი თავხედურად აჩენს თავის ღვლარჭნილ, ხორციან ქვედა ნაწილს. ფართო პირი გაურკვეველ მოლოდინში ოდნავ გაწელილა. ეკლზი ხვდება, რომ ქალს ბასრი ენა აქვს. ენამახვილ ხალხთან ურთიერთობა იმით არის რთული, რომ სასურველი ეფექტის მისაღწევად ერთმანეთში ურევენ იმას, რაც სჯერათ და რაც არ სჯერათ. უცნაურია, რომ ეს ქალი ძალიან მოსწონს, თუმცა ეკლზს ისევე უხეშად დააცხრა თავს, როგორც თავის ჭუჭყიან სარეცხს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ მისთვის ეს ერთი და იგივეა. მისის სპრინგერისგან განსხვავებით, იგი ეკლზს, არსებითად, ვერც კი ხედავს. ამ ქალს მთელ სამყაროსთან აქვს კონფრონტაცია და მისი უსაზღვრო სარკაზმით დაცულ ეკლზს მშვიდად შეუძლია თქვას, რაც მოესურვება.

კაცი პირდაპირ ჯენისის მხარეს იკავებს:

– იგი მორიდებულია.

– მორიდებულიო! დაფეხმძიმება კი კარგად მოახერხა და საბრალო ჰასი იძულებული შეიქნა, ცოლად მოეყვანა. არადა, შარვალში პერანგის ჩატანიება ახალი ნასწავლი ჰქონდა.

– როგორც თვითონ თქვით, უკვე ოცდაერთი წლის იყო.

– წლები რა შუაშია. ზოგი ამ ქვეყნიდან ახალგაზრდა მიდის, ზოგიც კი მოხუცად იბადება.

ეპიგრამები ყოველთვის მზად აქვს. სასაცილოა. და ეკლზი იცინის კიდეც ხმამაღლა. ქალი ისეთ სახეს იღებს, თითქოს არაფერი ესმის და გაათმაგებული გულმოდგინებით რეცხავს სარეცხს.

– მორიდებულია, გველივით, – ამბობს იგი, – ეს პატარა ქალები საწამლავივით არიან. ირგვლივ დაცუნცულებენ, უნამუსო თვალებს აქეთ-იქით აცეცებენ და საყოველთაო თანაგრძნობას აღძრავენ. ჩემგან თანაგრძნობას ვერ ეღირსება. დაე, მამაკაცებმა ღვარონ ცრემლები. მის მამამთილს რომ მოუსმინოთ, მასზე ტანჯული არავინ ყოფილა ჟანა დ'არკის დროიდან მოყოლებული.

ეკლზი კვლავ იცინის. ასეცაა.

– როგორ უნდა მოიქცეს ჰარი მისტერ ენგსტრომის აზრით?

– უკან მოხოხდეს. სხვა რა გზა აქვს? მოხოხდება კიდეც ჩემი საბრალო ბიჭი. ის ხომ მამამისივითაა. კეთილი სულია. ალბათ, ამიტომაც მართავენ კაცები მსოფლიოს. ყველანი ასეთები არიან.

– საკმაოდ უცნაური თვალსაზრისია.

– ნუთუ? ეკლესიაში სწორედ ამას გვიმტკიცებენ. მამაკაცების სულიერებასა და ქალების ხორციელებას. საინტერესოა, ტვინი ვისა აქვს? ალბათ, ღმერთს.

ეკლზს ეღიმება და ფიქრობს: ნუთუ ლუთერანული ეკლესია ყველას ამგვარ იდეებს შთააგონებს? თვითონ ლუთერიც ნაწილობრივ ასეთი იყო – კომიკური მრისხანებისას ნახევრად სიმართლეს აზვიადებდა. შესაძლოა, სწორედ იქიდან იღებს

სათავეს პირქუში პარადოქსების პროტესტანტული თეგვა. მსგავს აზრებს ღრმად ჩანერგილი უიმედობა უდევს საფუძვლად. ამპარტავნობას წვრილმანები არ აინტერესებს. თუმცა ვინ იცის – მას უკვე საფუძვლიანად დაავიწყდა თეოლოგია, რომელსაც ასე სტენიდნენ თავში. კარგი იქნებოდა, ენგსტრომების პასტორი მენახაო, ფიქრობს იგი.

მისის ენგსტრომი კი საკუთარი აზრის განვითარებას განაგრძობს.

– თუნდაც ჩემი ქალიშვილი, მირიამი ავიღოთ. თითქოს ჩვენი სამყაროს ხნისაა, ყოველთვის მოხუცი იყო, მასზე არასოდეს ვღელავ. მახსოვს, როცა კვირაობით ქვის სამტეხლოსკენ გავისეირნებდით ხოლმე, ჰაროლდს სულ ეშინოდა – თორმეტ წლამდე თუ იქნებოდა, – რომ მირიამი უფსკრულში არ გადავარდნილიყო. მე კი ვიცოდი, რომ არ გადავარდებოდა. საკმარისია, თვალი შეავლოთ. არასდროს გათხოვდება სიბრალულის გამო, როგორც საცოდავი ჰასი მოიქცა, რათა მერე მთელი ქვეყანა დაესიოს, როდესაც გათავისუფლებას მოინდომებს.

– ვერ დაგეთანხმებით, რომ მთელი ქვეყანა დაესია. მე და მისი სიდედრი სულ ცოტა ხნის წინ ვსაუბრობდით, რომ ყველაფერი სწორედაც პირიქითაა.

– ასე ტყუილად ფიქრობთ. ჯენისი ჩემგან თანაგრძნობას ნუ ელის. ყველა მის მხარესაა, პრეზიდენტი ეიზენჰაუერიც კი. ისინი მას თვალს აუხვევენ. თქვენც აუხვევთ თვალს. ესეც კიდევ ერთი.

შემოსასვლელი კარი ისე ჩუმად იღება, რომ ეს მხოლოდ მას ესმის. სამზარეულოში მისი ქმარი შემოდის, თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილა, თუმცა ფრჩხილებქვეშ შავი ზოლები მოუჩანს – იგი ასოთამწყობია. ცოლივით მაღალია, მაგრამ მასზე დაბალი ჩანს. ტუჩებს თავის დამამცირებლად ამოძრავებს ცუდად მორგებული ხელოვნური კბილების ზემოდან. ცხვირი, ეს აკურატული და გლუვი ღილი, ჰარისას მიუგავს.

– შუადღე მშვიდობისა, მამაო ეკლზ, – ამბობს იგი, ორიდან ერთია – ან კათოლიკეა, ან კათოლიკეთა შორის გაიზარდა.

– ძალზე მიხარია თქვენი გაცნობა, მისტერ ენგსტრომ, –

ენგსტრომის ხელი ნაპირებში უხეშია, ხელისგული კი – რბილი და მშრალი, – თქვენს ვაჟიშვილზე ვსაუბრობდით.

– თავზარდაცემული ვარ ჰარის საქციელით.

ეკლზს სჯერა მისი. ერლ ენგსტრომს უფერული და ტანჯული გამომეტყველება აქვს. ჩამოცურებული კბილების თავზე ტუჩებს ისე კუმავს, როგორც კუჭმტკივანი კაცი ცდილობს ბოყინის შეკავებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შიგნიდან რაღაც ღრღნის. საღებავი იაფი მელანივით გადასცლია თვალებიდან და თმიდან. პირდაპირი კაცია, რომელმაც თავისი ცხოვრება პოლიგრაფიული სახაზავით გაზომა, ყველა სტრიქონი საპწკრეში მჭიდროდ მოათავსა, დილით კი მოვიდა და ნახა, რომ ვიღაცას მთელი ანაწყობი დაუბნევია.

– იმდენს გაიძახის იმ ქალიშვილის შესახებ, გეგონებათ, ღვთისმშობელი იყოს, – ამბობს მისის ენგსტრომი.

– ტყუილია, – რბილად ეპასუხება მისტერ ენგსტრომი და სამზარეულოს მაგიდასთან ჯდება, რომელზეც ფაიფურის თეთრი პლასტიკატია გადაკრული. სუფრა წლიდან წლამდე ოთხ კაცზე იშლებოდა და ზოგიერთი ადგილი შავად გადახეხილა, – ვერ გამიგია, როგორ მოუვიდა ჰარის თავში ასეთი არეულ-დარეულობის მოწყობა. ბავშვობაში იგი ძალზე მოწესრიგებული იყო. დაუდევარ გოგო-ბიჭებს კი არ ჰგავდა. თანაც ყოველთვის კარგად მუშაობდა.

აქაფებული წითელი ხელებით მისის ენგსტრომი ქმარს ყავას უდუღებს. ეს მცირედი ყურადღება მათ შეხმატკბილებას იწვევს და ისინი, სხვა ძველი ოჯახური წყვილების მსგავსად, გარეგნული უთანხმოების მიუხედავად, მოულოდნელად ერთსა და იმავეს იმეორებენ.

– ეს ჯარში სამსახურის ბრალია, – განმარტავს ქალი, – ტეხასიდან სულ სხვანაირი დაბრუნდა.

– სტამბაში მუშაობა არ მოისურვა, – ამბობს ენგსტრომი, – ჭუჭყიანი სამუშაოაო.

– ყავას ხომ არ მიირთმევთ, მამაო ეკლზ? – ეკითხება მისის ენგსტრომი.

როგორც იქნა, მისი დროც დადგა.

– არა, გმადლობთ, წყალს კი სიამოვნებით დავლევდი.

– წყალს? იქნებ ყინულით?

– სულერთია, მნიშვნელობა არა აქვს.

– დიახ, ერლი მართალია, – ამბობს ქალი, – ახლა ყველა ამბობს, ჰარი ზარმაციაო, მაგრამ ასე არაა. იგი ზარმაცი არასოდეს ყოფილა. ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას ზოგჯერ წავიტრაბახებდით, რომ კალათბურთს კარგად თამაშობდა, პასუხად კი გვესმოდა: «მაგისთვის ადვილია, აგერ რამსიმაღლეაო». მათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ, რამდენს მუშაობდა იგი. ყოველ საღამოს დაღამებამდე ეზოში ბურთს ტყორცნიდა, გვიკვირდა კიდეც, ამ სიბნელეში რას არჩევს-მეთქი.

– თორმეტი წლიდან მეტს არაფერს აკეთებდა, – ადასტურებს ენგსტრომი, – მისთვის ეზოში ბოძი ჩავარჭვე, რადგან გარაჟი ძალზე დაბალი იყო.

– თუ რამეს გადაწყვეტს, ვერაფერი შეაჩერებს, – ამბობს მისის ენგსტრომი. იგი ძლიერად აწვება ბერკეტით ყინულის კუბურებს, რომლებიც ნაირფერი ელვარებითა და ბრჭყვიალებით ტკაცუნით ცვივა გარეთ, – მას სურდა, საუკეთესო ყოფილიყო და დარწმუნებული ვარ, რომ თავისას მიაღწია კიდეც.

– მესმის, რისი თქმაც გსურთ, – ამბობს ეკლზი, – ჩვენ ზოგჯერ გოლფს ვთამაშობთ ხოლმე და უკვე მჯობნის კიდეც.

ქალი კუბურებს ჭიქაში დებს, ონკანიდან წყალს ამატებს და ეკლზს აწვდის, რომელსაც იგი ტუჩებთან მიაქვს. ერლ ენგსტრომი კი დაჟინებით განაგრძობს:

– შემდეგ იგი ჯარიდან დაბრუნდა და გოგოების უკანალზე ნადირობის მეტს არაფერს აკეთებდა.

– სიტყვები შეარჩიე, ერლ, – ეუბნება ცოლი და მაგიდაზე ყვავილებიანი ფინჯნით ყავას დგამს.

კაცი თვალებს ძირს ხრის და ამბობს:

– მაპატიეთ. როდესაც ამ ბიჭის საქციელზე ვფიქრობ, ლამის მთელი გულ-მუცელი ამომიტრიალდეს. იგი ტიპური ბრუერელი უსაქმური გახდა. ერთი ხელში ჩამაგდებინა, მამაო,

და გეფიცებით, რომ მომკლას კიდეც, ჭკუაზე მაინც მოვიყვან.

მას მიწისფერი სახე პირთან გაბრაზებით ეჭმუხნება, უფერული თვალები უელავს.

ეკლზი კვლავ სწევს ჭიქას, «არას» ჩასძახის, თითქოს მეგაფონიაო, ბოლომდე წრუპავს წყალს ყინულის კუბურებიდან, რომლებიც მის ცხვირწინ ირევა, ტუჩებს იწმენდს და ამატებს:

– თქვენს ვაჟიშვილში ბევრი სიკეთეა ჩაბუდებული. როდესაც მასთან ვარ, სრულიად უმიზეზოდ ისეთ მხიარულ ხასიათზე ვდგები, რომ მისვლის მიზეზი მავიწყდება კიდეც, – იგი იცინის და მისტერ ენგსტრომს შესცქერის, მაგრამ ღიმილის ნასახსაც ვერ ამჩნევს და მზერა მისის ენგსტრომზე გადააქვს.

– აი, თქვენ გოლფს ეთამაშებით, – ამბობს მისტერ ენგსტრომი, – რისთვის გჭირდებათ იგი? რატომ პოლიციას არ მიმართავენ ჯენისის მშობლები? ჩემი აზრით, კარგად უნდა გაიტყიპოს, თანაც სასწრაფოდ.

ეკლზი ალმაცერად გაჰყურებს მისის ენგსტრომს და გრძნობს, რომ წარბები შუბლზე გამხმარ წებოსავით ეკვრის. ჯერ კიდევ წუთის წინ არ ელოდა, რომ ქალის სახით მოკავშირეს მიიღებდა, ამ დაქანცული კეთილი კაცის სახით კი – საკმაოდ უხამს, მისი იმედის დამამსხვრეველ მტერს.

– სისულელეს ნუ ამბობ, ერლ, – ამბობს მისის ენგსტრომი, – რაში სჭირდება მისტერ სპრინგერს, რომ მისი სახელი გაზეთებში მოხვდეს? ისე ლაპარაკობ, თითქოს საბრალო ჰარი შენი მტერი ყოფილიყოს.

– დიახაც, რომ ჩემი მტერია, – პასუხობს ენგსტრომი და ორივე ხელით იღებს ფინჯანს, – იმ ღამიდან მოყოლებული, როცა ქუჩა-ქუჩა დავეძებდი. შენ ამის განსჯის უფლება არა გაქვს. იმ გოგოს სახე არ გინახავს.

– რა საქმე მაქვს მის სახესთან? რამდენადაც მესმის, ქუჩის ქალებს ქორწინების მოწმობა წმინდანებად ვერ გადააქცევს. იმ გოგოს ჰარის ხელში ჩაგდება უნდოდა და მიაღწია კიდეც თავისას ერთადერთი ხერხით, რომელიც იცოდა, მარაგში კი მეტი არაფერი აქვს.

– ასე ნუ ამბობ, მერი. არაფრის მომტანი სიტყვებია.

წარმოიდგინე, მე რომ ჰარივით მოვქცეულიყავი.

– აი, თურმე რა ყოფილა, – ამბობს იგი და ეკლზი შეკრთება, როცა დაინახავს, თუ როგორ ეძაბება ქალს სახე და ახალი ჭურვის გასაშვებად ემზადება, – შენ გინდოდა ჩემი გულის დაპყრობა და არა მე – შენი. თუ ვცდები?

– არა, არ ცდები, ეგრე იყო, – ბურტყუნებს კაცი.

– მაშინ შესადარებელიც არაფერია.

ენგსტრომი ჭიქის თავზე მხრებში იხრება და საკუთარ თავში იკეტება.

– ეჰ, მერი, – ოხრავს იგი და სიტყვის თქმას ვეღარ ბედავს.

ეკლზი მის დაცვას ცდილობს – კამათის დროს ავტომატურად ყოველთვის სუსტის მხარეს იჭერს.

– ვფიქრობ, მართალი არ ბრძანდებით. ჯენისი უეჭველად დარწმუნებული იქნებოდა, რომ მათი ქორწინება ორმხრივი გრძნობით იყო გამყარებული, – მიმართავს იგი მისის ენგსტრომს, – ის რომ ანგარებიანი ინტრიგანი ყოფილიყო, ჰარის ასე ადვილად გაქცევის საშუალებას არ მისცემდა.

ახლა, როცა მისის ენგსტრომი დარწმუნდა, რომ ქმარს თავისი სათქმელი უთხრა, დისკუსიის გაგრძელების სურვილი გაუქრა. მისი თვალსაზრისი – ჯენისი არ დაიკარგებაო – ისე თვალნათლივ მცდარია, რომ დათმობაზე წასვლა უწევს.

– მას ჰარისთვის გაქცევის ნება არც მიუცია, – ამბობს შერბილებული ტონით, – იგი მას უკანვე მიიღებს, ამაში მალე დარწმუნდებით.

– თქვენც ფიქრობთ, რომ ჰარი დაბრუნდება? – მიმართავს ეკლზი მისტერ ენგსტრომს.

– არა, – პასუხობს იგი და თავს ძირს ხრის, – არასოდეს. ძალზე ღრმად შეტოპა. ახლა სულ უფრო და უფრო ქვემოთ დაეშვება, სანამ არ ჩავთვლით, რომ საუკეთესო გამოსავალი მისი დავიწყება იქნება. ოცდაერთი ან ოცდაორი წლის რომ იყოს, კიდევ ჰო, მაგრამ მის ასაკში... ჩვენთან, სტამბაშიც გამოჩნდებიან ხოლმე ასეთი ვაჟბატონები ბრუერიდან, ყოვლად უმაქნისები. ინვალიდებს ჰგვანან, ეგაა, არ კოჭლობენ. ნაძირალები არიან, ნაყარნუყარი ხალხი. უკვე ორი თვეა,

დანადგარს ვუზივარ და ვფიქრობ, რატომ იქცევა ასე ჩემი ჰარი, მას ხომ ყოველთვის ეჯავრებოდა უწესრიგობა და არეულ-დარეულობა.

ეკლზი ჰარის დედისკენ ტრიალდება და გაოცებული ხედავს, რომ იგი დგას, ნიჟარას დაყრდნობია და სათვალის ქვემოდან სველი ლოყები უბრწყინავს. აღელვებული ფეხზე დგება. რატომ ტირის? იმიტომ, რომ ქმარი სიმართლეს ამბობს, თუ ხვდება, რომ ეს მის გასანაწყენებლად, იძულებითი აღიარების სანაცვლოდ – ჩემი გულის დასაპყრობად მოსვენებას არ მაძლევდიო, – ჯავრის ამოსაყრელად არის ნათქვამი?

– ვიმედოვნებ, რომ ცდებით, – ამბობს ეკლზი, – ჩემი წასვლის დროა. ორივეს მადლობას მოგახსენებთ, რომ ეს საკითხი ჩემთან ერთად განიხილეთ. წარმომიდგენია, რამდენად არასასიამოვნო იქნებოდა ეს თქვენთვის.

მისტერ ენგსტრომი მას გასასვლელისკენ მიაცილებს, ჩაბნელებულ სასადილო ოთახში კი ხელზე ეხება.

– ისე უხაროდა, როცა ყველაფერი კარგად იყო, – ამბობს იგი, – მისნაირი ბიჭი არასოდეს მინახავს. ავადმყოფურად განიცდიდა ნებისმიერ ოჯახურ უსიამოვნებას, თუნდაც მე და მერის ეს, ასე ვთქვათ, ხუმრობით გაგვეკეთებინა.

ეკლზი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს, თუმცა ეჭვი ეპარება, რომ სიტყვა «ხუმრობით» ახლახან დანახულს შეესაბამებოდეს.

სასტუმრო ოთახის ბინდბუნდში უსახელო ზაფხულის კაბაში გამოწყობილი გოგონა დგას.

– მიმ! ამწუთას მოხვედი?

– ჰო.

– ეს წმინდა მამაა... ანუ ღირსი...

– ეკლზი.

– დიახ, ეკლზი. იგი ჰარიზე სასაუბროდ მოვიდა. ეს კი ჩემი ქალიშვილი მირიამია.

– გამარჯობა, მირიამ! ჰარი ყოველთვის დიდი სიყვარულით გიხსენებთ.

– გაუ.

ამ სიტყვაზე გოგონას ზურგს უკან დიდი ფანჯარა კაფეს დიდი ფანჯრის ინტიმურ ბრწყინვალებას იძენს. უკნიდან თითქოს აგდებული მისალმების ხმები გაისმის, ირგვლივ სიგარეტის კვამლი და იაფფასიანი სუნამოს სუნი ტრიალებს. გოგონას სახეზე მისის ენგსტრომის ცხვირის დახვეწილი ვარიანტი მოჩანს, რომელსაც სარაცინული თუ კიდევ უფრო ძველი, ბარბაროსული სიმახვილე ამკობს. გრძელი ცხვირის მიხედვით კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ გოგონას სიმაღლე მემკვიდრეობით დედისგან ერგო, მაგრამ როდესაც მამის გვერდით დგას, აშკარაა, რომ სიმაღლით მას ჰგავს – დაღლილი მამაკაცი და ლამაზი ქალიშვილი შუაზე გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. ორივენი დანის ბასრ პირს აგონებენ. ახლა, როცა ეკლზმა მისის ენგსტრომის სათვალის ქვეშ ძველი, გადახსნილი იარები დაინახა, ხვდება, რომ ამ დანას ტკივილის მიყენებაც შეუძლია. მას აღიზიანებს მათი სივიწროვე და თვინიერი მეშჩანობა. ეს ორნი არ დაიკარგებიან. იციან, რასაც აკეთებენ. უმწეოებს – მათ და იმათაც, ვინც სულ ზევითაა, სამწუხაროდ, არაფერი ეშველებათ. ისინი კი, რომლებიც მეტ-ნაკლები წარმატებით ლავირებენ შუაში, მისი არისტოკრატიული თვალსაზრისით, ერთსაც ქურდავენ და მეორესაც. კართან მისტერ ენგსტრომი ქალიშვილს წელზე ხელს ხვევს, ეკლზი კი მისის ენგსტრომზე ფიქრობს, შეშლილ, სამზარეულოში უსიტყვოდ მდგომ ტყვეზე, მის სველ ლოყებსა და წითელ ხელებზე. მაგრამ როდესაც გამოსათხოვრად ხელის დასაქნევად შემოტრიალდება, ამ წყვილის აშკარა შეუსაბამობა – საყურეებიანი არაბი ჭაბუკისა, რომელიც მისი, ეკლზის პასტორის საყელოსადმი გულუბრყვილო ზიზღითაა სავსე, და დაჯირჯვებული სახის მქონე ბებერი ასოთამწყობისა, ხმელ-ხმელი, ერთმანეთზე მჭიდროდ მიკრული ადამიანებისა, – უნებურად ღიმილს იწვევს.

განაწყენებული და წყურვილისგან გათანგული მანქანაში ჯდება. ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში რაღაც სასიამოვნო ითქვა, მაგრამ ვერაფრით იხსენებს. ერთიანად დაკაწრულია, აბურძგნილი, სცხელა, ყელი უშრება, თითქოს მთელი დღე ეკლიან ბარდებში გაეტარებინოს. ექვსიოდე კაცი და ერთი ძაღლი ნახა, მაგრამ მის აზრს, რომ ჰარი ენგსტრომის გადარჩენა შესაძლებელი და აუცილებელიც კი იყო, არავინ დაეთანხმა. ჯაგნარში ჰარის არსებობა საერთოდ არ

იგრძნობოდა. იქ არაფერი იყო, შმორის სუნისა და შარშანდელი უსიცოცხლო ღეროების გარდა.

ნათელი დღე ხანგრძლივი, ცისფერი, გაზაფხულის საღამოსკენ იხრება. იგი გზაჯვარედინს გაივლის. ზედა სართულის ღია ფანჯრიდან საყვირის ხმა ისმის. დუ-დუ-დო-დო-და-და-დიი. დიი-დიი-და-და-დო-დო-დუ. სამსახურიდან შინისკენ მიმავალი მანქანები ჩუმად მიშრიალებენ ასფალტზე. ეკლზი დაბის დაცერებულ, განივ ქუჩებში ლავირებს, მთის შორეული თხემის პარალელურად მოძრაობს. ფრიც კრუპენბახი, ჯაჯმაუნთის ლუთერანი პასტორი, ოცდაშვიდი წლის განმავლობაში სასაფლაოს სიახლოვეს, აგურის მაღალ სახლში ცხოვრობს. მისი სტუდენტი ვაჟის ნახევრად დაშლილი მოტოციკლეტი მისასვლელი გზის კიდესთან დევს. უცნაურად განლაგებულ, დაქანებულ ტერასებზე გაზონს არაბუნებრივად თანაბრად განაწილებული მომწვანო-მოყვითალო ფერი ადევს – მას გულმოდგინედ ანოყივრებენ, კრეჭენ და მარგლავენ. კარს მისის კრუპენბახი უღებს – საინტერესოა, ლუსი თუ იქნება ოდესმე ასეთი მორჩილი და ჩაკუჭულლოყებიანი? ქალს ნაცრისფერი კაბა აცვია, რომელსაც სულაც არ ადარდებს წელიწადის დროები. მსხვილ ნაწნავებად დაწნული თმა გვირგვინივით ადევს თავზე. თმაგაშლილს, ალბათ, ალქაჯის შესახედაობა ექნება.

– გაზონს კრეჭს, – ამბობს ქალი.

– მასთან გასაუბრება მინდოდა. საქმე ორივე ჩვენგანის მრევლს ეხება.

– მის ოთახში აბრძანდით. ახლავე დავუძახებ.

მთელი სახლი – შემოსასვლელი, დერეფნები, კიბე, ზემოთ მდებარე პასტორის ტყავის კაბინეტიც კი, შემწვარი ხორცის სუნითაა გაჟღენთილი. ეკლზი კრუპენბახის კაბინეტის ფანჯარასთან მუხისზურგიან საეკლესიო სკამზე ზის, რომელიც აქ, ალბათ, მორიგი რემონტის შემდეგ შემორჩა. სკამზე დამჯდარს, როგორც ახალგაზრდობაში, ინსტინქტურად ლოცვის სურვილი უჩნდება, მაგრამ ამის ნაცვლად, გოლფის სათამაშო ბაც მწვანე მინდორს გაჰყურებს, რომელზეც სიამოვნებით აღმოჩნდებოდა ჰარისთან ერთად. ეკლზის სხვა პარტნიორები მასზე უკეთესად ან უარესად თამაშობენ, მაგრამ მხოლოდ ჰარის შეუძლია თამაშის გამხიარულება, თითქოს

ვიღაც გულკეთილმა, მაგრამ ექსცენტრიკულმა მბრძანებელმა ორივე მათგანი რაღაც სრულიად მიუღწევადის მოსაძებნად ყოვლად უიმედო ექსპედიციაში გაგზავნა. ეს ძებნა ორივეში დამცირების ცრემლებს იწვევს, მაგრამ ყოველ ნიშნულთან, ყოველ მომდევნო ფოსოსთან, ყველაფერი თავიდან იწყება. ეკლზი გულში კიდევ ერთ იმედს ატარებს – მას ჰარის დამარცხება გადაუწყვეტია. გრძნობს – ის, რაც ჰარის სიმტკიცეს აკარგვინებს, რაც მის მიერ შესრულებული ბრწყინვალე მსუბუქი დარტყმის განმეორების საშუალებას არ აძლევს, თვითონ ჰარისგანვე პრობლემებში იმალება, და თუ მასზე გადამწყვეტ გამარჯვებას მოიპოვებს, იგი, ეკლზი, დასძლევს ამ სისუსტეს, ამ წუნს, და ყველა პრობლემასაც გადაჭრის. იქამდე კი სიამოვნებით ისმენს ჰარის შეძახილებს: «აი, ასე, აი, ასე», «მაგარია!». მათი თანხმობა ეკლზში ისეთ უზომო აღფრთოვანებას, ისეთ უწყინარ ექსტაზს იწვევს, რომ მთელი სამყარო წვრილმანების უსასრულო მასით მწვანე სფეროდ ეჩვენება.

სახლს პატრონის ნაბიჯები აზანზარებს. კრუპენბახი თავის კაბინეტში ადის, უკმაყოფილოა, სათიბელას რომ მოსწყვიტეს. ძველი შავი შარვალი აცვია, პერანგი ოფლს დაუფარავს. ხელებზე უხეში ჭაღარა თმა მოუჩანს.

– გამარჯობა, ჩაკ, – წარმოთქვამს ბოხი საეკლესიო ხმით ყოველგვარი მისასალმებელი ინტონაციის გარეშე. გერმანული აქცენტისგან სიტყვები ქვებივით მძიმედ ეცემა ერთმანეთს, – აბა, რა ამბავი მოიტანეთ?

ეკლზს ერიდება, რომ თავისზე უფროს ადამიანს ფრიცი დაუძახოს, ამიტომ გაიცინებს და შესძახებს: «გამარჯობა!»

კრუპენბახი იბრიცება. მძიმე, კვადრატული თავი ბუძგურად აქვს გაკრეჭილი. ეს ადამიანი აგურისგანაა გაკეთებული. თითქოს ათეულობით წლებს თიხად დაბადებულისთვის აგურის სიმტკიცე და ფერი მიუნიჭებია.

– აბა, რას იტყვით? – იმეორებს იგი.

– თქვენს მრევლში ენგსტრომების ოჯახი შედის.

– დიახ.

– მამა ასოთამწყობია.

– დიახ.

– მათმა შვილმა, ჰარიმ, ორი თვის წინ ცოლი მიატოვა, რომლის მშობლებიც ჩემს ეკლესიას ეკუთვნიან.

– ვიცი, ვიცი. ის ბიჭი ნამდვილი Schьssel[23]-ია.

ეკლზს კარგად არ ესმის, ეს რას ნიშნავს. როგორც ჩანს, კრუპენბახი იმიტომ არ ჯდება, რომ ოფლით ავეჯის დასვრა არ სურს. საეკლესიო სკამზე გუნდის მომღერალი ბიჭივით მჯდომი ეკლზი მთხოვნელს უფრო წააგავს. რაც მეტს ლაპარაკობს მომხდარის შესახებ, მით უფრო მძაფრად გრძნობს შემწვარი ხორცის სუნს. იგი ჰყვება, რომ ჰარი, ცოტა არ იყოს, განებივრებული იყო სპორტული წარმატებებით. ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ცოლი ქორწინებაში წარმოსახვის უნარით ვერ დაიკვეხნიდა. თვითონ კი ცდილობდა, ახალგაზრდა კაცი ნამუსზე შეეგდო, თუმცა მეუღლესთან სასწრაფოდ დაბრუნებისკენ არ მოუწოდებდა, ვინაიდან ჰარის მთავარი პრობლემა არა გრძნობათა უკმარისობა, არამედ მათი აულაგმავი სიჭარბე იყო. მიზეზთა გამო, არც ერთის მშობლებისგან დახმარება მოსალოდნელი არ იყო. სულ რამდენიმე წუთის წინ შეესწრო ჩხუბს უფროს ენგსტრომებს შორის და, შესაძლოა, სწორედ ეს ჩხუბი იძლევა იმ საიდუმლოების გასაღებს, თუ...

– თქვენ ფიქრობთ, – აწყვეტინებს მას კრუპენბახი, – რომ თქვენი ამოცანა ამ ადამიანების ცხოვრებაში ჩარევაა? კარგად ვიცი, ახლანდელ სემინარიებში რასაც ასწავლიან – ფსიქოლოგიასა და მისთანებს. ამას არ ვეთანხმები. თქვენ თვლით, რომ უფასო ექიმი უნდა გახდეთ, აქეთ-იქით ირბინოთ, ხვრელები ამოავსოთ, კუთხეები მოამრგვალოთ. მე კი სხვაგვარად ვფიქრობ. ეს არაა თქვენი მოვალეობა.

– მე მხოლოდ...

– ჯერ დამამთავრებინეთ. ჯაჯმაუნთში ოცდაშვიდი წელი გავატარე, თქვენ კი მხოლოდ ორი. მე მოვისმინე თქვენი ნაამბობი, მაგრამ იგი არაფერს მეუბნება იმ ადამიანებზე. ეს არის მოთხრობა ღვთისმსახურზე, რომელმაც თავისი მისია რამდენიმე უბადრუკ ჭორსა და გოლფის რამდენიმე პარტიაზე გაცვალა. რა ხელი აქვს უფალ ღმერთს იმასთან, რომ რომელიღაც ინფანტილური ქმარი თავის ინფანტილურ ცოლს გაექცა? ერთხელ მაინც თუ დაფიქრებულხართ, რას ხედავს

ღმერთი? თუ თქვენ ამ ყველაფერზე მაღლა დგახართ?

– ცხადია, არა, მაგრამ მეჩვენება, რომ ჩვენი როლი ამგვარ ვითარებაში...

– თქვენ გეჩვენებათ, რომ ჩვენი როლია, ვიყოთ პოლიციელები, პოლიციელები, რომელთაც არც ხელბორკილები აქვთ და არც პისტოლეტები, არაფერი, ადამიანური გულმოწყალების გარდა. ასე არ არის? ნუ მიპასუხებთ, მხოლოდ იფიქრეთ, მართალი ვარ თუ არა. ჰოდა, აი, რას გეტყვით – ეს ჯოჯოხეთური იდეაა. დაე, პოლიციელები პოლიციელებად დარჩნენ და თავიანთ კანონებზე იზრუნონ, რომლებსაც ჩვენთან საერთო არაფერი აქვთ.

– გეთანხმებით, მხოლოდ ნაწილობრივ...

– რას ნიშნავს «ნაწილობრივ»? იმისთვის, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, არც წინა პირობებია საჭირო, არც ზომა, – იგი თავის მსუქან საჩვენებელ თითს, რომელიც სახსრებს შორის თმით არის დაფარული, ტყავის სავარძლის საზურგეზე აკაკუნებს და სიტყვების მნიშვნელობას ხაზს უსვამს, – თუკი უფალი გადაწყვეტს, რომ ტანჯვა უნდა შეწყდეს, ამას დაუყოვნებლივ გვამცნობს, – ჯეკი გრძნობს, რომ სახეზე ალმური ედება, – თუ გიფიქრიათ, რით გამოირჩევიან თქვენი არაფრის მაქნისი მეგობრები იმ მილიარდობით ადამიანისგან, რომელთაც ღმერთი ხედავს? ბომბეის ქუჩებში ყოველ წუთს იღუპება ხალხი, თქვენ კი «როლს» გაიძახით. სინამდვილეში არც კი იცით თქვენი როლი, წინააღმდეგ შემთხვევაში, შინ ჩაიკეტებოდით და ილოცებდით. თქვენი როლი ჭეშმარიტი რწმენის მაგალითის ჩვენებაა. აი, საიდან მოდის ნუგეში – რწმენიდან და არა წვრილმანი ფუსფუსიდან, არა იქიდან, რომ ჭიქაში ქარიშხალს იწვევთ. ამ წინ და უკან სირბილით იმ მოვალეობას გაურბიხართ, რომელიც ღმერთმა დაგაკისრათ, რათა რწმენა გაიმყაროთ, რათა საჭირო დროს მოწოდების საპასუხოდ შეძლოთ წინ გამოსვლა და თქმა: «დიახ, ის მოკვდა, მაგრამ მას ცაში შეხვდებით. დიახ, თქვენ იტანჯებით, მაგრამ უნდა გიყვარდეთ ეს ტკივილი, ვინაიდან ეს იესო ქრისტეს ტკივილია». სწორედ ამიტომ, კვირა დილით, მათ წინაშე მწუხარებით გატანჯული კი არ უნდა წარვდგეთ, არამედ ქრისტეზე ფიქრებით აღვსილნი უნდა ვიწვოდეთ, – იგი თმიან ხელებს მუშტავს, – ვიწვოდეთ ფიქრებით ქრისტეს შესახებ, ისინი ჩვენი რწმენის ძალით უნდა ავანთოთ. აი,

ამიტომ მოდიან ისინი. ამიტომ გვიხდიან ფულს. თუკი სხვა რამეს ვეტყვით ან გავაკეთებთ, ამის თქმასა და გაკეთებას ყველა შეძლებს. ამისთვის მათ ექიმები და იურისტები ჰყავთ. ეს ყველაფერი საღვთო წერილშია ნათქვამი – ავაზაკი, რომელმაც ირწმუნა, ყველა ფარისეველზე უფრო ძვირფასია. არ შეცდეთ. სერიოზულად გეუბნებით. არ შეცდეთ. ჩვენთვის მხოლოდ ქრისტე არსებობს. სხვა ყველაფერი, ზრდილობა თუ გულმოდგინება, არაფერია, ეშმაკის ხრიკებია.

– ფრიც, – ისმის ქვემოდან მისის კრუპენბახის ფრთხილი ხმა, – ვახშამი მზადაა.

პერანგისამარა წითელსახიანი კაცი ეკლზს ზემოდან დასცქერის და ეკითხება:

– ხომ არ გსურთ, ჩემთან ერთად მუხლი მოიყაროთ და ილოცოთ, რომ ქრისტემ ამ ოთახში მოწყალების თვალით გადმოგვხედოს?

– არა. არა, არ მინდა. ძალზე გაბრაზებული ვარ. ეს პირფერობა იქნებოდა.

უარი, წარმოუდგენელი ერისკაცისგან, კრუპენბახს გულს არ ულბობს, მაგრამ ცოტათი ამშვიდებს კი.

– პირფერობა, – ამბობს წყნარად, – ეს არასერიოზულობაა. ნუთუ საუკუნო ტანჯვისა არ გჯერათ? ნუთუ არ იცოდით, რაზე მიდიოდით, როცა მაგ საყელოს ირგებდით?

მისი ვარდისფერი და მბრწყინავი თვალები უმნიშვნელო წუნივით ჩანს სახის აგურისნაირ კანზე და თითქოს ძლიერი სიცხისგან იწვის.

კრუპენბახი პასუხს აღარ ელოდება და სავახშმოდ ქვემოთ ჩადის. ჯეკი უკან მიჰყვება და კარისკენ მიემართება. უფროსებისგან დატუქსული ბავშვივით გული გამალებით უცემს, გაშმაგებისგან მუხლები უკანკალებს. იგი ინფორმაციის გასაცვლელად მოვიდა, მაგრამ სულელური, შეურაცხმყოფელი მონოლოგის მსხვერპლი გახდა. გაბღენძილ ბებერ ჰუნს, ვითომ მეხთამტყორცნელს, იოტისოდენა წარმოდგენაც კი არა აქვს ეკლესიის, როგორც ქვეყნიერების შექმნის მახარობლის დანიშნულების შესახებ, და იქ, ალბათ, საყასბოდან შეაღწია. ჯეკი ხვდება, რომ ეს ღვარძლიანი და უღირსი ფიქრებია, მაგრამ

მათ განდევნას ვერ ახერხებს. ისე ღრმადაა სასოწარკვეთილი, რომ მის გაღრმავებას ცდილობს და იმეორებს: ის მართალია, ის მართალია, რათა, «ბიუიკის» იდეალურად მრგვალ, მწვანე საჭესთან მჯდომს, ცრემლები წასკდეს და ამ უწმინდურობისგან განიწმინდოს. მაგრამ ვერ ტირის – შიგნით ყველაფერი გამომშრალი აქვს. სირცხვილი და მარცხი გულზე ძალზე მძიმე ტვირთად აწევს.

მან იცის, რომ შინ ლუსი ელოდება – თუ სადილი ჯერ მზად არაა, ბავშვების დაბანასაც მოასწრებს. ნაცვლად ამისა, დაბის ცენტრში მდებარე აფთიაქისკენ მიემართება. დახლს იქით მდგომი, პუდელივით გაკრეჭილი ქალიშვილი – იგი მისი ახალგაზრდული ჯგუფის წევრია – და ორი მრევლთაგანი, რომლებიც წამლებს, ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებსა და ტუალეტის ქაღალდს ყიდულობენ, მხურვალედ ესალმებიან. აი, თურმე სად დადიან ნუგეშის საპოვნელად. ეკლზი უკეთაა. თავს ყველაზე კარგად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გრძნობს. ხელებს სუფთა, ცივ მარმარილოზე აწყობს და სოდიან ვანილის ნაყინს უკვეთს ნეკერჩხლის სიროფითა და თხილით. სანამ მოუტანენ, ორ ჭიქა შესანიშნავ, გამჭვირვალე წყალს მიირთმევს.

* * *

კლუბი «კასტანიეტები», რომელმაც თავისი სახელწოდება ომის დროს მიიღო, როდესაც მზერა ყველას სამხრეთ ამერიკისთვის მიეპყრო, სამკუთხა შენობაა იქ, სადაც უორენ-ავენიუ მახვილი კუთხით გაჭენებული ცხენის ქუჩას გადაკვეთს. ეს ბრუერის სამხრეთი ნაწილია, აქ იტალიელები, ზანგები და პოლონელები ცხოვრობენ და ბაჭიას საეჭვო დაწესებულებად მიაჩნია. მისი ფანჯრები შუშის აგურებით აწყობილს ჰგავს, ფასადზე თავხედურად რომ იცინიან და მას სიკვდილის ციხის იერს აძლევენ, ხოლო მკრთალად განათებული გაპრიალებული ინტერიერი მოდურ დამკრძალავ ბიუროს დამსგავსებია – ყვავილებიანი ქოთნები, დამამშვიდებელი მუსიკა, ხალიჩების, დღის განათების ლამპების, ჟალუზის ფირფიტების სუნი და სპირტიანი სასმელების ოდნავ შესამჩნევი არომატი. თქვენ ჯერ მას სვამთ, მერე კი მათი საშუალებით ბალზამირებას გიკეთებენ. მას შემდეგ, რაც მათი ერთი მეზობელი ჯექსონ-

როუდიდან, დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელი, სამსახურიდან დაითხოვეს და ბარმენად დაიწყო მუშაობა, ბაჭიას ეჩვენება, რომ ეს ორი პროფესია ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მათი წარმომადგენლები რბილი, წყნარი ხმით საუბრობენ, გარეგნული სისუფთავითაც გამოირჩევიან და გამუდმებით ფეხზე დგანან. ის და რუთი შესასვლელთან ახლომდებარე კაბინას იკავებენ და ფანჯრიდან მოციმციმე წითელ ათინათებს ხედავენ, როდესაც აბრაზე ნეონის კასტანიეტები წინ და უკან დარბიან და ტკაცუნის იმიტაციას ახდენენ.

ამ ვარდისფერი თრთოლისგან რუთის სახე თითქოს ჰაერში ეკიდება. იგი ბაჭიას პირდაპირ ზის. კაცი მისი წარსული ცხოვრების წარმოდგენას ცდილობს – ამ საძაგელ დაწესებულებას, სადაც სხედან, ქალი, ალბათ, ისევე კარგად იცნობს, როგორც იგი – სპორტდარბაზის გასახდელს. მარტო ამის გაფიქრებაც კი ნერვებს უშლის. ქალის უთავბოლო ცხოვრება, ისევე, როგორც მისი საკუთარი მცდელობა ოჯახის შექმნისა, ისეთი რამეა, რომლის დავიწყებასაც მუდმივად ცდილობს. ბაჭია ბედნიერი იყო – საღამოობით რუთის ბინაში ისხდნენ. ქალი თავის დეტექტივებს კითხულობდა, ის კი ან უსაქმურობდა, ან მაღაზიაში გარბოდა ჯანჯაფილის ლუდის მოსატანად. ზოგჯერ კინოში მიდიოდნენ. მაგრამ ის, რაც აქ არის, მას არ სჭირდება. იმ პირველ საღამოს დაიკირიმ, შესაძლოა, არგო კიდეც, მაგრამ მას შემდეგ დასალევზე აღარ უფიქრია და იმედოვნებდა, რომ ქალსაც იგივე განწყობა ჰქონდა. თავდაპირველად მართლაც ასე იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს რუთს რაღაც ღრღნის, იგი დამძიმდა და დროდადრო ისე უყურებს, როგორც ღორს. ბაჭიამ არ იცის, ასეთი რა დააშავა, მაგრამ გრძნობს, რომ სიმსუბუქე სადღაც გაქრა. დღეს კი რუთის ეგრეთ წოდებული მეგობარი, მარგარეტი რეკავს. ამ სატელეფონო ზარმა კინაღამ გული გაუხეთქა. ბოლო დროს შეშინებული ელის, რომ პოლიცია, დედა ან სხვა ვინმე მოაკითხავს. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მთის მეორე მხრიდან რაღაც მოიწევს. მას შემდეგ, რაც აქ დასახლდა, ტელეფონმა რამდენჯერმე დარეკა, ვიღაც დაბალი ხმით კითხულობდა: «რუთი ხარ?» და ბაჭიას ხმის გაგონებაზე ყურმილს ჰკიდებდა. შემდეგ კვლავ დარეკეს, რუთმა «არა, არაო», და ყველაფერი ამით დამთავრდა. რუთმა იცის, როგორ უნდა დაელაპარაკოს მათ, თანაც მხოლოდ ხუთმა ადამიანმა

თუ დარეკა. წარსული ვაზივით ამ ხუთ ულვაშზე იყო მიმაგრებული. იოლად მოსწყდა მას და დარჩა ვაზი სუფთა, ცისფერი და დაცარიელებული. მაგრამ დღეს იმ წარსულიდან მარგარეტი გამოცხადდა და ისინი «კასტანიეტებში» დაპატიჟა. რუთმა თანხმობა განაცხადა და ბაჭიაც თან გაჰყვა. მრავალფეროვნებისთვის. გასამხიარულებლად.

– რას დალევ? – ეკითხება ბაჭია.

– დაიკირის.

– დარწმუნებული ხარ? დარწმუნებული ხარ, რომ გული არ აგერევა? – მან შეამჩნია, რომ რუთს ზოგჯერ თითქოს გული ერევა და საჭმელზეც უარს ამბობს, ზოგჯერ კი ლამის მთელი სახლი შეჭამოს.

– არა, არა ვარ დარწმუნებული, მაგრამ რატომ უნდა ამერიოს გული?

– აბა, რა ვიცი. სხვებს ხომ არ ერევათ გული.

– მომისმინე, ცოტა ხნით მაინც დაივიწყე შენი ფილოსოფია. იმაზე იზრუნე, რომ დასალევი მომიტანონ.

ნარინჯისფერ კაბაში გამოწყობილი შოკოლადისფერი ქალიშვილი, რომელიც სამხრეთამერიკელივით გამოიყურება, მაგიდას უახლოვდება და ბაჭია ორ დაიკირის უკვეთს. ოფიციანტი ბლოკნოტს ხურავს და მის მოშიშვლებულ ზურგზე ბაჭია შავი ბიუსტჰალტერის ნაწილს ხედავს. სინათლეზე ქალი სულაც არ არის შავი, სასიამოვნოდ მუქი ფერისაა, ბეჭებზე იისფერი ჩრდილები დასთამაშებს. ოდნავ ბრტყელტერფიანია და ფურჩალების ქნევით აუჩქარებლად მიდის. ოფიციანტი ბაჭიას ყურადღებას არ აქცევს და ეს მოსწონს კიდეც. რუთი კი ბოლო დროს ცდილობს, აგრძნობინოს მას, რომ რაღაცაში დამნაშავეა.

– რას უყურებ? – ეკითხება ბაჭიას.

– არაფერს.

– შენთვის ეს არ შეიძლება, ბაჭიავ. ძალზე თეთრი ხარ.

– დღეს გამხიარულებული მეჩვენები.

– ყოველთვის ასეთი ვარ, – გამომწვევად იღიმება ქალი.

– ვიმედოვნებ, რომ არა.

ზანგი ოფიციანტი ბრუნდება და მაგიდაზე ორ დაიკირის დგამს. ისინი ჩუმად არიან. უკნიდან კარი იღება და ცივი ჰაერის ნაკადთან ერთად მარგარეტი შემოდის. მას ვიღაც ტიპი ახლავს, რომლის დანახვაც ბაჭიას არ სიამოვნებს – რონი ჰარისონი.

– გამარჯობა, – ეუბნება მარგარეტი ბაჭიას, – თქვენ ისევ ერთად ხართ?

– დალახვროს ეშმაკმა, ეს ხომ სახელგანთქმული ენგსტრომია! – იძახის ჰარისონი და თითქოს ყველაფერში ტოთეროს ჰბაძავს, შემდეგ კი ამატებს, – შენზე რაღაც-რაღაცები გავიგე.

– რა გაიგე?

– ო-ო, სხვადასხვა რამე.

ბაჭიას ჰარისონი განსაკუთრებით არასდროს მოსწონდა და არც ახლა შეცვლილა უკეთესობისკენ. გასახდელში მუდამ ქალებთან თავის წარმატებებზე ლაპარაკობდა და ღმერთმა იცის, რას საქმიანობდა. მას მოზრდილი თმიანი მუცელი ჰქონდა, ახლა კი ღიპი დასდებია. ჰარისონი მსუქანია. მსუქანი და სანახევროდ გამელოტებული. ხუჭუჭი ბრინჯაოსფერი თმა გამეჩხერებია და, როდესაც თავს ატრიალებს, თხემიდან ვარდისფერი კანი მოუჩანს. ეს ფერი ბაჭიას უხამსად ეჩვენება, მაგრამ იხსენებს, რომ ერთხელ ჰარისონი მოედანზე მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ვიღაცამ იდაყვით ორი კბილი ჩაუმტვრია, და უნდა, რომ მისი დანახვა გაუხარდეს. მოედანზე ერთდროულად ყოველთვის ხუთი მოთამაშეა და ამ დროის განმავლობაში მას ოთხი დანარჩენის დარი ქვეყანაზე არსად ეგულება.

მაგრამ ეს ყოველივე შორეულ წარსულშია ჩაძირული და ყოველი წამი, რომლის განმავლობაშიც ჰარისონი დგას და სულელურად იკრიჭება, მას კიდევ უფრო შორს გადასწევს. ჰარისონს რომელიღაც ხელოვნური ქსოვილისგან შეკერილი ვიწრო, საზაფხულო კოსტიუმი აცვია და ეს თვითკმაყოფილების გამომხატველი მოდური ჭინჭი ბაჭიას აღიზიანებს. იგი გრძნობს, რომ ალყაში აქცევენ. მთავარია, ვინ სად დაჯდება. ის და რუთი ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ, რაც შეცდომა იყო. ჰარისონი არჩევანს აკეთებს და რუთის

გვერდით თავსდება. მისი შენელებული მოძრაობა და თვალში საცემი კოჭლობა ძველი საფეხბურთო ტრავმის შედეგია. ბაჭია ჰარისონის ნაკლოვანებებს თავიდან ვერ იცილებს. არისტოკრატიული კოლეჯის სტილის ეფექტურ კოსტიუმს იტალიელის თეთრი ჰალსტუხი აუფერულებს. პირის გაღებისას ორი ჩასმული კბილი მოუჩანს, რომლებიც დანარჩენებს სულ არ შეეფერება.

– როგორ მიდის ცხოვრება, ძველო? გავიგე, ბევრისთვის მიგიღწევია, – ამბობს და რუთს თვალს უკრავს, რომელიც ბაიყუშივით ზის და დაიკირით სავსე ბოკალი ორი ხელით უჭირავს. თითების სახსრები ჭურჭლის რეცხვისგან გასწითლებია და ეს სულ მისი, ჰარის გულისთვის. როდესაც ბოკალი პირთან მიაქვს, შუშის მეორე მხრიდან დამახინჯებული ნიკაპი მოუჩანს.

ბაჭიას გვერდით მარგარეტი წრიალებს. იგი ჯენისივით ფუსფუსაა. მის ყოფნას ბაჭია მარცხენა თვალის კუთხით აღიქვამს – თითქოს სახის გვერდით სველი, ჭუჭყიანი ჭინჭი აგდია.

– ტოთერო სად არის? – ეკითხება ქალს.

– ტოთერო ვინ არის?

რუთი ხითხითებს. დალახვროს ეშმაკმა. ჰარისონი თავისი ვარდისფერი ნაქუცით მისკენ იხრება და რაღაცას ჩასჩურჩულებს. ქალის ტუჩები ღიმილში იწელება – ზუსტად ისე, როგორც იმ საღამოს ჩინურ რესტორანში. რაც უნდა თქვას კაცმა, მას ყველაფერი მოსწონს და სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ დღეს ეს ჰარისონია, ის კი, ბაჭია, მათ პირდაპირ ზის ამ საძულველ ქალს მიწებებული. დარწმუნებულია, რომ ჰარისონი მასზე, «უდიდეს კალათბურთელზე» ჩურჩულებს, და რომ ამ ოთხეულის ერთად ყოფნის პირველივე წუთიდან განტევების ვაცად ყოფნა მოუწევს.

– კარგად მოგეხსენებათ, ვინც არის, – ეუბნება მარგარეტი, – მარტი ტოთერო.

– ჩვენი ყოფილი მწვრთნელი, ჰარი! – იძახის ჰარისონი და წინ იხრება, რათა ბაჭიას თითებზე შეეხოს, – ადამიანი, რომელმაც ჩვენ უკვდავებად გვაქცია!

ბაჭია ოდნავ უკან სწევს თითებს, რათა ჰარისონი ვერ მისწვდეს. ამ უკანასკნელს კი თვითკმაყოფილი ღიმილით ხელი უკან მიაქვს და ფრჩხილებით ხმაურით კაწრავს გაპრიალებულ მაგიდას.

– ჩვენ კი არა, მე, – ამბობს ბაჭია, – შენ არარაობა იყავი.

– არარაობა. ცოტა სასტიკად ჟღერს. ცოტა სასტიკად ჟღერს, ჰარი, მეგობარო. მოდი, წარსული გავიხსენოთ. ვის გზავნიდა ტოთერო მოედანზე, როდესაც თამაშიდან ვინმეს გამოყვანა სურდა? როდესაც სურდა, რომ შენისთანა მაღალი კლასის მოთამაშისთვის მეტი თავისუფლება მიეცა, ვის გიგზავნიდა დამხმარედ? – იგი მკერდზე ხელს ირტყამს, – შენ ძლიერ კაშკაშა ვარსკვლავი იყავი, რათა ბინძური საქმე გეკეთებინა. არასდროს ეხებოდი ვინმეს, ხომ მართალია? არც ფეხბურთს თამაშობდი, არც მუხლებს იმტვრევდი, ასე არ იყო? არა, სერ, ჰარი ამას ვერ იზამს, ის ფრთებს უნდა გაუფრთხილდეს. მას მხოლოდ პასი უნდა მიაწოდო და უყურო, როგორ ისვრის კალათში.

– და სხვათა შორის, თუ შეგიმჩნევია, ზუსტად ისროდა.

– ზოგჯერ. ზოგჯერ ზუსტად ათავსებდა. ცხვირს ნუ იჭმუხნი, ჰარი. არ იფიქრო, რომ შენს ტალანტს არ ვაფასებთ.

იმის მიხედვით, თუ როგორ ამოძრავებს იგი ხელებს – ხან მაგიდაზე ურტყამს, ხანაც, გაზეპირებული მოძრაობით, ზევით-ქვევით სწევს, – ბაჭია დაასკვნის, რომ მას ხშირად უხდება მაგიდასთან საუბრის წარმართვა. მაგრამ იმასაც ამჩნევს, რომ ხელები ოდნავ უკანკალებს, ხვდება, რომ ჰარისონს მისი ეშინია, და მისდამი ყოველგვარი ინტერესი ეკარგება. მოდის ოფიციანტი და ჰარისონი თავისთვის და მარგარეტისთვის ვისკის უკვეთს ყინულით, რუთისთვის კი – კიდევ ერთ დაიკირის. ბაჭია მუქი ფერის ზურგს თვალს აყოლებს, თითქოს ამქვეყნად იისფერ-მოყავისფრო კუნთებს შორის მოქცეული შავი ბიუსტჰალტერის სამკუთხედზე უკეთესი სანახავი არაფერი იყოს. მას სურს, რუთმა მისი მზერა შეამჩნიოს.

ჰარისონის კომივოიაჟერული თავდაჯერებულობისგან აღარაფერი რჩება.

– ოდესმე ხომ არ მომიყოლია, რა მითხრა ერთხელ ტოთერომ შენზე? მისმენ, ვარსკვლავო?

– მაინც რა გითხრა ასეთი?

ღმერთო ჩემო, რა აბეზარი ვინმეა, არადა, ჯერ ოცდაათისაც არ არის.

– მითხრა: «ჩვენ შორის დარჩეს, რონი, მაგრამ იმედია, გუნდს საბრძოლოდ განაწყობ. ჰარი ხომ გუნდზე არასდროს ფიქრობს».

ბაჭია ხან მარგარეტს დაჰყურებს ზემოდან, ხანაც პირდაპირ მჯდომ რუთს შესცქერის.

– ახლა კი მე მოგიყვებით, სინამდვილეში რა მოხდა. ჰარისონი ტოთეროსთან მივიდა და განუცხადა: «ნამდვილი ლიდერი მე ვარ, ხომ ასეა? ნამდვილი ვარსკვლავი. იმ ქეციან ტრაბახა ენგსტრომს კი არ ვგავარ». ტოთეროს კი, ალბათ, ეძინა და არაფერი უპასუხა. მას შემდეგ ჰარისონს ჰგონია, რომ გმირია, მაღალი კლასის მოთამაშე. როდესაც კალათბურთის გუნდში მოუხერხებელი, სქელტრაკა ჯუჯა ჩნდება, რომელსაც არაფრის თავი არა აქვს, მას მაღალი კლასის სპორტსმენს ეძახიან. არ ვიცი, სად უჩვენებს ასეთ თამაშს. ალბათ, თავის საძინებელში.

რუთი იცინის, თუმცა ბაჭიას ყველაზე ნაკლებად მისი გაცინება უნდოდა.

– ეგ არ არის სიმართლე, – ჰარისონი ნავარჯიშებ ხელებს კიდევ უფრო მოუსვენრად ამოძრავებს, – ტოთერომ ეს თვითონ მითხრა. თუმცა ეს სიახლე არავისთვის იყო. ისედაც მთელმა სკოლამ იცოდა.

ნუთუ მართლა? მისთვის ეს არასოდეს უთქვამს ვინმეს.

– ღმერთო ჩემო, შევეშვათ კალათბურთს. სადაც უნდა წავიდე ამ ნაძირალასთან ერთად, საუბარი სულ ამის გარშემო ტრიალებს, – ამბობს რუთი.

ნუთუ სახეზე ეჭვი აღებეჭდა და ქალმა ეს მის გასამხნევებლად თქვა? ნუთუ ცოტათი მაინც ეცოდება?

ჰარისონი, როგორც ჩანს, ხვდება, რომ თავაზიანი კომივოიაჟერის კვალობაზე, ზედმეტად თავხედურად მოიქცა. იგი ჯიბიდან სიგარეტსა და ნიანგის ტყავში ჩასმულ «რონსონის» ფირმის სანთებელას იღებს. ყველანი თვალმოუშორებლივ მისჩერებიან, როგორ ჩნდება აკურატული

ცისფერი ალი.

ბაჭია მარგარეტისკენ ტრიალდება – რატომღაც ფიქრობს, რომ ასე მილიონი წლის წინაც მოიქცა, – და ამბობს:

– თქვენ ჩემთვის პასუხი არ გაგიციათ.

– ეშმაკმა უწყის, სად არის. ალბათ, შინ წავიდა. ავად იყო.

– რა გაგებით? მართლაც ავადაა თუ... – ჰარისონი სასაცილოდ იკრიჭება – ერთდროულად იღიმება და იჭმუხნება იმ ქალაქელივით, რომელსაც უბადრუკი პროვინციალებისთვის ისეთი რაღაცის ჩვენება უნდა, მათ რომ არც კი დასიზმრებიათ, და მეტი დამაჯერებლობისთვის შუბლზე თითს იკაკუნებს, – ავადაა, ავადაა, ავადაა?

– ყველა გაგებით, – პასუხობს მარგარეტი, რომელსაც სახეზე ჩრდილი გადაურბენს და ერთგვარად აშორებს მასსა და ჰარის, რომელსაც ეს შეუმჩნეველი არ რჩება, დანარჩენებისგან, და ორივენი საიდუმლოებით მოცულ ეპოქაში გადაჰყავს, სადაც ისინი მილიონი წლის წინ იყვნენ. ჰარი რატომღაც თავს დამნაშავედ გრძნობს, რადგან აქ არის და არა იქ, სადაც არასოდეს ყოფილა. მოციმციმე წითელი შუქის ქვეშ მსხდომი რუთი და ჰარისონი მათ თითქოს ჯოჯოხეთის შუაგულიდან უღიმიან.

– ძვირფასო რუთ, – ამბობს ჰარისონი, – როგორ ცხოვრობ? ხშირად გიხსენებ ხოლმე, შენი ბედი მაწუხებს.

– მაგას ნუ წუხხარ, – პასუხობს ქალი, მაგრამ აშკარად ნასიამოვნებია.

– მე ის მადარდებს, შეუძლია თუ არა ჩვენს საერთო მეგობარს შენთვის ჩვეული პირობების შექმნა.

ზანგ ოფიციანტს სასმელი მოაქვს, ჰარისონი მას ცხვირწინ ნიანგის ტყავის «რონსონს» უტრიალებს.

– ნამდვილი ტყავია, – ამბობს იგი.

– მართლა? – ამბობს ქალი, – თქვენია?

ბაჭია იცინის. მას მოსწონს ეს ქალი.

ოფიციანტის წასვლის შემდეგ ჰარისონი წინ იხრება და

ტკბილად იღიმება.

– იცი თუ არა, რომ ერთხელ მე და რუთი ატლანტიკ-სიტიში გავემგზავრეთ?

– ჩვენთან ერთად კიდევ ერთი წყვილი იყო, – უხსნის რუთი ჰარის.

– საზიზღარი წყვილი, – ამბობს ჰარისონი, – რომელსაც მზის ოქროსფერ სხივებში ყოფნას თავის გაქუცულ ბუნგალოში განმარტოება ერჩივნა. მოგვიანებით მამაკაცი ცუდად შენიღბული სიამაყით გამომიტყდა, რომ დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში, სულ რაღაც ოცდათექვსმეტი საათის განმავლობაში, თერთმეტჯერ განიცადა ორგაზმი.

– შენ რომ მოგისმინოს კაცმა, იფიქრებს, ჰარვარდში სწავლობდაო, – იცინის მარგარეტი.

– პრინსტონში, – უსწორებს იგი, – პრინსტონის კურსდამთავრებულის შთაბეჭდილება მინდა მოვახდინო. ჰარვარდი აქ დიდად არ ფასობს.

ბაჭია რუთს შესცქერის და ხედავს, რომ მან ერთი ჭიქა დაიკირი უკვე დალია და ახლა მეორეს შეუდგა, თან ხითხითებს.

– ყველაზე ცუდი ის იყო, – ამბობს იგი, – რომ ამ საქმეს მანქანაში აკეთებდნენ. საბრალო რონი საჭესთან იჯდა და საკვირაო საცობებიდან თავის დაღწევას ცდილობდა. როდესაც შუქნიშანთან შევჩერდით და უკან მივიხედე, ბეტსის კაბა ნიკაპამდე ჰქონდა წამოხდილი.

– მანქანას მთელი გზა მხოლოდ მე როდი ვმართავდი, – ეუბნება ჰარისონი, – ბოლოს, როგორც იქნა, მოვახერხეთ და საჭესთან ის ტიპი დავსვით.

დამოწმების ნიშნად იგი თავს რუთისკენ ხრის და კვლავ ვარდისფერი სიშიშვლე გამობრწყინდება.

– ჰო, მართალია, – რუთი თავის ბოკალში იყურება და ისევ ხითხითებს, შესაძლოა, შიშველი ბეტსის გახსენების გამო.

ჰარისონი ყურადღებით აკვირდება, თუ როგორ შთაბეჭდილებას ახდენს მონათხრობი ბაჭიაზე.

– იმ ტიპს, – განაგრძობს იგი თავხედურად თავაზიანი ტონით,

თითქოს ხელსაყრელ გარიგებას სთავაზობდეს, – საინტერესო თეორია ჰქონდა. თვლიდა, რომ... – ჰარისონი ხელებს მაღლა სწევს, – როგორ გითხრათ – ყველაზე კულმინაციურ მომენტში, პარტნიორ ქალს ხელი რაც შეიძლება მაგრად უნდა გაარტყა სახეში. ცხადია, თუ შესაფერის მდგომარეობაში ხარ. თუ არა და იქ, სადაც მოახერხებ.

ბაჭია თვალებს ახამხამებს. მან მართლაც არ იცის, ამ საზიზღარ ტიპთან თავი როგორ დაიჭიროს. და მაშინვე, იმავ წამს, ალკოჰოლის ზეგავლენით, რომელიც ნეკნებქვეშ უორთქლდება, მოულოდნელად გრძნობს, რომ ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია. ბაჭია იცინის, გულიანად იცინის. ყველას ჯანდაბამდე გზა ჰქონია.

– კბენაზე რა აზრის იყო?

ჰარისონს ღიმილი – «მიგიხვდი, მეგობარო» – პირზე აშრება. არც ისეთი სწრაფი რეაქცია აქვს, რომ ნათქვამს ჩასწვდეს.

– კბენაზე? არ ვიცი.

– ამაზე, ალბათ, არ უფიქრია. კარგ სისხლიან კბენას ვერაფერი შეედრება. ცხადია, ვხვდები, რომ შენ ამაში ხელოვნური კბილები შეგიშლის ხელს.

– განა შენ ხელოვნური კბილები გაქვს, რონი? – შესძახა მარგარეტმა, – რა საინტერესოა! ეგ არასოდეს გითქვამს.

– რასაკვირველია, ხელოვნური აქვს, – უხსნის ბაჭია, – ნუთუ ფიქრობდით, რომ როიალის ეს ორი კლავიში მისი საკუთარი იყო? სად ისინი და სად ნამდვილი.

ჰარისონი ტუჩებს კუმავს, მაგრამ ტანჯულ ღიმილზე უარს ვერ ამბობს და სახე ებრიცება. ენასაც ძლივს ატრიალებს პირში.

– ტეხასში ყოფნისას ერთ სახლში შევივლიდით ხოლმე, – ამბობს ბაჭია, – იქ ერთი გოგო იყო, რომელსაც ისე ჰქონდა უკანალი დაკბენილი, რომ წვიმაში დიდხანს ნაგდები ძველი მუყაოს ნაჭერი გეგონებოდათ. იგი მხოლოდ ამ საქმისთვის ჰყავდათ იქ. სხვაფრივ კი ქალწული იყო.

ბაჭია მსმენელებს გადახედავს და ხედავს, რომ რუთი ნელა აქნევს თავს, თითქოს უნდა, თქვას: «არ გინდა, ბაჭიავ». ირგვლივ სევდაა, ისეთი სევდა, რომ სულს ქვიშის თხელი

ფენით უფარავს და პირში ბურთსა სჩრის.

– ეს იმ ბოზის ამბავს ჰგავს, ყველაზე დიდი რომ ჰქონდა... თქვენ ეს, ალბათ, არ დაგაინტერესებთ, – ამბობს ჰარისონი.

– გვაინტერესებს. მოჰყევი, – ამბობს რუთი.

– მაშასადამე, ეს ბიჭი...

მოციმციმე შუქში ჰარისონს სახე უქანავებს. მონათხრობს ხელების მოძრაობით ამყარებს. საბრალოს, ალბათ, დღეში ხუთჯერ მაინც უხდება თავისი საქონლის ქება, ფიქრობს ბაჭია. საინტერესოა, რით ვაჭრობს, შესაძლოა, იდეებით. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს «მაგიურ სახეხელასავით» ხელშესახები იყოს. «... იდაყვამდე, მხრამდე, შემდეგ თავით ყვინთავს, მკერდამდე ეშვება და წინ მიფოფხავს...» ძვირფასი ძველებური «მაგიური სახეხელა». ბაჭიას ეჩვენება კიდეც, რომ ხელში უჭირავს. სახელურს ასარჩევად სთავაზობდნენ – ფირუზისფერს, ალისფერსა და ოქროსფერს. ყველაზე სასაცილო ის იყო, რომ იგი მართლაც ყველაფერს აკეთებდა, რასაც «აბრალებდნენ» – სწრაფად და აკურატულად წმენდდა და ხეხავდა თალგამს, სტაფილოს, კარტოფილსა და ბოლოკს, მასში იყო გრძელი ღრეჩო სამართებელივით ბასრი გვერდებით... «ხედავს იმ, სხვა კაცს და ეუბნება: «ეი, შენ, ხომ არ გინახავს აქ...» რუთი გულგრილად ზის თავის ადგილზე და ბაჭიას თავში საშინელი აზრი გაუელვებს, რომ ქალისთვის სულერთია, ის თუ ჰარისონი, და არის კი მათ შორის რაიმე სხვაობა? მთელი ინტერიერი ბურუსში ეხვევა და ერთ უზარმაზარ, წითელ მასად იქცევა, კუჭად, რომელმაც ყველა მათგანი უნდა მოინელოს, «..ამ დროს მეორე კაცი ამბობს: «რამ მოგაფიქრებინა, დალახვროს ეშმაკმა! უკვე სამი თვეა, რაც აქ ჩემს მოტოციკლეტს ვეძებ!»

ჰარისონი ელოდება, როდის შეძლებს სხვებთან ერთად გაცინებას. ყველა ჩუმადაა. საქონელი არ გაიყიდა.

– დაუჯერებელია, – ამბობს მარგარეტი. ბაჭიას მწებვარე ოფლი ასხამს და გაღებული კარიდან შემოსული ჰაერის ნაკადი ზურგს უგრილებს.

– კარგად დააკვირდი, შენი და ხომ არ არის? – ეკითხება ჰარისონი ბაჭიას.

რუთი ბოკალს თვალს მოსწყვეტს.

– ის არის? – კაცი დუმს, ქალი კი ამატებს, – მასაც ცხენივით სახე აქვს.

ბაჭიასთვის ერთი შეხედვაც საკმარისია. მირიამი და მისი თანამგზავრი მათ მაგიდას ჩაუვლიან. ისინი თავისუფალ კაბინას ეძებენ. კაფეს სოლისებრი ფორმა აქვს, რომელიც შესასვლელიდან ფართოვდება. ბარი შუაშია, მის ორივე მხარეს კი კაბინებია. მიმს მაღალქუსლიანი თეთრი ფეხსაცმელები აცვია. ბიჭს მოკლედ შეკრეჭილი, ფუმფულა ქერა თმა აქვს – სწორედ იმხელა, რომ დავარცხნა შეძლოს. აგრეთვე, კარამელის ნამზეური, რომელიც მათ ახასიათებთ, ვისაც ზაფხულში სუფთა ჰაერზე შრომის ნაცვლად დასვენება უყვარს.

– თქვენი დაა? – კითხულობს მარგარეტი, – სიმპათიურია. ალბათ, ერთი თქვენგანი დედას ჰგავს, მეორე კი – მამას.

– შენ საიდანღა იცნობ? – ეკითხება ბაჭია ჰარისონს.

– აჰ, – გაურკვევლად იქნევს ხელს ჰარისონი, თითქოს ჰაერში თითებს ცხიმის ზოლზე ასრიალებს, – ერთი-ორგან შევხვედრივარ.

თავდაპირველად ბაჭიას უნდოდა ისეთი სახე მიეღო, თითქოს ვერაფერს ამჩნევდა, მაგრამ ჰარისონის ნართაული, რომ მისი და ბოზია, აიძულებს, წამოდგეს და ნარინჯისფერი ფილებით გაწყობილი იატაკის გავლით ბარს შემოუაროს.

– მიმ.

– გამარჯობა.

– აქ რას აკეთებ?

– ეს ჩემი ძმაა, – ეუბნება ქალიშვილი თანამგზავრს, – მკვდრეთით აღდგა.

– უფროს ძმას გაუმარჯოს.

ბაჭიას ყმაწვილის ტონი არ მოსწონს. არც ის მოსწონს, რომ იგი კაბინის შიგნით ზის, მიმი კი – განაპირას, მამაკაცის ადგილზე. მას ეს საერთოდ არ მოსწონს – თითქოს მიმს იგი საზოგადოებაში გამოჰყავს. ბიჭს მსუბუქი ზოლიანი პიჯაკი აცვია, წვრილი ჰალსტუხი უკეთია. გარეგნულად

ერთდროულად ნორჩიც არის და მოხუციც, კოლეჯის მოსამზადებელი კურსების ამოგანგლულ მოწაფესავით გამოიყურება. ძალზე მსხვილი ტუჩები აქვს. მიმი არ ამბობს, რა ჰქვია მას.

– ჰარი, დედა და მამა შენ გამო გამუდმებით ჩხუბობენ.

– ის რომ იცოდნენ, როგორ დაწესებულებებში დაწანწალებ, კიდევ ერთი თემა გაუჩნდებოდათ გასარჩევად.

– ქალაქის ამ ნაწილისთვის ეს არც ისე ცუდი ადგილია.

– ყარს აქაურობა. იქნებ შენ და შენი ბალღი აქედან წასულიყავით?

– მომისმინეთ, ვის მიჰყავს აქ აღლუმი? – კითხულობს ყმაწვილი, მხრებს იჩეჩს და მსხვილ ტუჩებს კიდევ უფრო ბერავს.

ჰარი მაგიდაზე გადაიხრება, თითს ზოლიან ჰალსტუხს გამოსდებს და ზევით ააგდებს. ჰალსტუხი ბიჭს ტუჩებში ხვდება და გაპრიალებულ ფიზიონომიას უმახინჯებს. წამოდგომას ცდილობს, მაგრამ ბაჭია გადასლექილი თავის კინკრიხოზე ხელს აჭერს, სკამზე აბრუნებს და მიდის. თითების ბოლოებზე მაგარი, ბიჭური თავის შეგრძნება მიჰყვება. უკნიდან დის ხმა ეწევა:

– ჰარი.

ბაჭიას ისეთი მახვილი სმენა აქვს, რომ ბარის მეორე მხრიდანაც კი ესმის, თუ როგორ უხსნის ბიჭი მიმს შიშისგან ჩახრინწული ხმით:

– მას შენ უყვარხარ.

ბაჭია თავის მაგიდასთან ბრუნდება და ამბობს:

– წავიდეთ, რუთ. გამოიყვანე შენი მოტოციკლეტი.

– მე აქაც კარგად ვარ, – აპროტესტებს ქალი.

– წავედით.

რუთი წასასვლელად ემზადება, ჰარისონი ყოყმანით იყურება აქეთ-იქით და ქალისთვის გზის დასათმობად კაბინიდან გამოდის. იგი ბაჭიას გვერდით დგას და ეს უკანასკნელი

ინსტინქტურად ადებს მას ხელს დაბამბულ ფსევდოპრინსტონულ მხარზე.

– მართალი ხარ, რონი, – ამბობს იგი, – შენ მაღალი კლასის მოთამაშე იყავი.

საკმაოდ საზიზღრად გამოდის, თუმცა მას საუკეთესო განზრახვა ამოძრავებს ძველი გუნდის მოსაგონრად.

ჰარისონი ძალზე ნელა აზროვნებს, ვერ ხვდება, რომ ბაჭია ამას სერიოზულად ეუბნება, ხელს აუკრავს და პასუხობს:

– ნეტავ როდის დასერიოზულდები? – რეაქციამ თავის სულელურ ანეკდოტზე მას წონასწორობა დააკარგვინა.

კაფეს ზაფხულის შესაფერისად თბილ საფეხურებზე ბაჭიას სიცილი აუტყდება.

– ჰა-ჰა-ჰა, – იცინის ნეონის შუქით განათებული. რუთს სიცილისთვის არ სცხელა.

– ნამდვილი გიჟი ხარ, – აცხადებს იგი.

ამ იდიოტს არ ესმის, რომ ბაჭია სერიოზულად არის გაბრაზებული. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გამკიცხავად აქნევდა თავს მის ხუმრობაზე. იგი გონებით კვლავ და კვლავ იხსენებს იმ მომენტს და აღშფოთება ემატება. გასაბრაზებლად იმდენი მიზეზი აქვს, რომ არც კი იცის, რით დაიწყოს. მაგრამ ერთი რამ ცხადია – გვარიანად უნდა შეახუროს.

– მაშასადამე, ამ ნაძირალასთან ერთად ატლანტიკ-სიტიში ბრძანდებოდი.

– რატომ ნაძირალასთან?

– რა თქმა უნდა. ნაძირალა ის კი არა, მე ვარ.

– მე ეს არ მითქვამს.

– თქვი. როცა იმ მივარდნილ ადგილას ვისხედით.

– ეს მხოლოდ გამოთქმაა. მოსაფერებელი, თუმცა არ ვიცი, რატომ.

– არ იცი.

– არ ვიცი. როგორც კი შენი და მის მეგობართან ერთად დაინახე,

შარვალში ჩაისვარე.

– ის ცინგლიანი თუ დაინახე, მასთან ერთად რომ იყო.

– დავინახე. ჩემი აზრით, ძალიან წესიერი ყმაწვილია.

– შენი აზრით, ისინი ყველანი წესიერი ყმაწვილები არიან.

– არ მესმის, რატომ იქცევი ყოვლისშემძლე მოსამართლესავით.

– დიახ, ძვირფასო, შენი აზრით, ყველა შარვლიანი წესიერი ყმაწვილია.

ისინი უორენ-ავენიუს მიუყვებიან. მათ სახლამდე კიდევ შვიდი კვარტალია. თბილი ქარი უბერავს, საფეხურებზე ჩამომჯდარ ხალხს მათი საუბარი ესმის, ამიტომ ცდილობენ, ხმას დაუწიონ.

– მინდა გითხრა, რომ თუ დასთან შეხვედრამ შენზე ასე იმოქმედა, მიხარია, რომ დაქორწინებული არა ვართ.

– ეგ საიდანღა მოიტანე?

– რა – ეგ?

– ქორწინება.

– ეგ შენ თვითონ წამოიწყე პირველ ღამეს. ნუთუ დაგავიწყდა, რომ სულ ამას გაიძახოდი და იმ თითს მიკოცნიდი, სადაც ბეჭედი უნდა ყოფილიყო.

– სასიამოვნო ღამე იყო.

– ჰოდა, გვეყოფა.

– არაფერიც არ გვეყოფა, – ბაჭია გრძნობს, რომ კუთხეში მოიმწყვდიეს და თუ ახლა გადაწყვეტს მის შეხურებას, მასთან ურთიერთობა უნდა გაწყვიტოს, ყველაფერს ხაზი გადაუსვას, თუკი რამ კარგი ჰქონდათ. მაგრამ თვითონ ქალია დამნაშავე – რას მიათრევდა იმ აყროლებულ ადგილას?

– ჰარისონთან იწექი?

– შესაძლოა, კი.

– შესაძლოა? შენ რა, არ იცი?

– გითხარი, კი-მეთქი.

– კიდევ რამდენი გყავდა ასეთი?

– არ ვიცი.

– ასი?

– უაზრო შეკითხვაა.

– რატომ არის უაზრო?

– ეს იგივეა, კაცს ჰკითხო, კინოში რამდენჯერ იყავიო.

– გინდა თქვა, რომ შენთვის ეს ერთი და იგივეა?

– არა, ერთი და იგივე არ არის, მაგრამ დათვლის აზრს ვერ ვხედავ. შენ ხომ იცოდი, რასაც ვაკეთებდი.

– ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ. შენ ნამდვილი მეძავი იყავი?

– ცოტა ფულს ვშოულობდი. ეს უკვე გითხარი. როდესაც სტენოგრაფისტად ვმუშაობდი, მეგობრები მყავდა, იმათაც მეგობრები ჰყავდათ. მერე მე დამითხოვეს, შესაძლოა, ჭორების გამო, არ ვიცი. ზოგიერთმა უფროსმა მამაკაცმა ჩემ შესახებ, ალბათ, მარგარეტისგან შეიტყო. გადაჭრით ვერ ვიტყვი. მომისმინე. ეს საქმე წარსულს ჩაჰბარდა. თუ ფიქრობ, რომ ამაში ბევრი სიბინძურეა ან რაიმე ამდაგვარი, გეტყვი, რომ გათხოვილი ქალები ამას ჩემზე გაცილებით ხშირად აკეთებენ.

– ფოტოსურათებისთვის თუ პოზირებდი?

– მოსწავლეებისთვის რომ ყიდიან? არა.

– რაიმე ისეთს ხომ არ აკეთებდი?

– ხომ არ ფიქრობ, რომ დროა, ერთმანეთს დავემშვიდობოთ?

ამის გაფიქრებაზეც კი ქალს ნიკაპი უცახცახებს, თვალები უელავს და კაცისადმი იმხელა სიძულვილს გრძნობს, რომ თავისი საიდუმლოს გამხელა თავში აზრადაც არ მოსდის. ეჩვენება, რომ მასში ჩამალულ საიდუმლოებას საერთო არაფერი აქვს ბაჭიასთან, ამ დიდ სხეულთან, რომელიც ფარნების ქვეშ მასთან ერთად სეირნობს და მოჩვენებასავით ხარბს, ისეთი სიტყვების მოსმენა სურს, რომლებიც კიდევ მეტად გააღიზიანებს. ბაჭია მისთვის სხვა მამაკაცების მსგავსია იმ განსხვავებით, რომ მან იგი თავისდა უნებურად მიიჯაჭვა

და ახლა ქალს წასვლა აღარ შეუძლია.

– არა, შენთან დამშვიდობება არ მინდა. მე მხოლოდ პასუხს ველოდები ჩემს კითხვაზე.

– პასუხი შენს შეკითხვაზე არის «კი».

– ჰარისონი?

– რას გადაეკიდე ამ ჰარისონს?

– იმიტომ, რომ ნაგავია. რადგან შენთვის სულერთია, ჰარისონი თუ მე, ეს ნიშნავს, რომ მეც ნაგავი ვყოფილვარ.

წამით ქალს ეჩვენება, რომ მისთვის ეს მართლაც სულერთია. ის კი არა, ჰარისონს ამჯობინებდა კიდეც, თუნდაც მრავალფეროვნებისთვის. თუნდაც იმიტომ, რომ მას ამქვეყნად თავი ყველაზე უკეთესად არ მიაჩნია, მაგრამ ეს სიმართლე არაა.

– არა, ჩემთვის სულერთი არ არის. თქვენ სხვადასხვა ლიგაში გამოდიხართ.

– როდესაც კაფეში ჩემ პირდაპირ ისხედით, ძალზე უცნაური გრძნობა გამიჩნდა. კიდევ რა გქონდა მასთან?

– აბა, რა გითხრა. რა აქვთ ხოლმე საერთოდ ადამიანებს? ერთად წვანან, დაახლოებას ცდილობენ.

– კარგი. თანახმა ხარ, რომ ჩემთანაც გააკეთო ყველაფერი, რასაც მასთან აკეთებდი?

ამ სიტყვებისგან ქალს კანი ისე ძლიერ ეჭიმება, რომ მთელი სხეული ეკუმშება, როგორც წნეხის ქვეშ, თან გულისრევის შეგრძნება უჩნდება.

– თუ ასე გინდა...

ცოლისთვის მეძავის ტყავი ძალზე ვიწროა. ბაჭიას ბავშვივით უხარია, აღტაცებისგან კბილები უელავს.

– მხოლოდ ერთხელ, – ჰპირდება იგი, – სიტყვას გაძლევ. სხვა დროს აღარ გთხოვ.

მას უნდა, ქალს მოეხვიოს, მაგრამ იგი ხელს ჰკრავს. ერთადერთი იმედი ისაა, რომ შესაძლოა სხვადასხვა საგანზე

საუბრობენ.

ბინაში შესვლისას ბაჭია საწყალობლად ეკითხება:

– ხომ არ გადაიფიქრე?

ქალს მისი უმწეო პოზა აცვიფრებს – სიბნელეში, რომელსაც თვალები ჯერ ვერ შეაჩვია, მამაკაცი მის საკუთარ სახეზე ჭიკარტზე ჩამოკიდებულ კოსტიუმად ეჩვენება.

– დარწმუნებული ხარ, რომ ორივენი ერთსა და იმავეს ვგულისხმობთ?

– აბა, შენი აზრით, რაზე ვსაუბრობთ? – ზიზღი მას საკუთარი აზრების სიტყვებით გადმოცემის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ მაინც წარმოთქვამს.

– სწორედ იმაზე, – ადასტურებს კაცი.

– მაშასადამე, შენ ეს გინდა?

– ჰო. ნუთუ ასეთი საშინელებაა?

კაცის უწინდელი გულკეთილობის გაელვება ქალს გამბედაობას მატებს.

– შეიძლება გავიგო, რა შევცოდე?

– შენი ქცევა არ მომეწონა.

– როგორ ვიქცეოდი?

– იმ ქალივით, ადრე რომ იყავი.

– არ მინდოდა, ასე გამოსულიყო.

– ამას მნიშვნელობა არა აქვს. დღეს მე ასეთი კუთხით დაგინახე და ვიგრძენი, რომ ჩვენ შორის კედელია აღმართული და მისი დაძლევის მხოლოდ ერთი გზა არსებობს.

– ძალზე მახვილგონივრულია. შენ ეს მართლა გინდა, – ქალს ერთი სული აქვს, კაცი შეურაცხყოს, უთხრას, რომ წაეთრიოს, მაგრამ მომენტი გაშვებულია.

– ნუთუ ასეთი საშინელებაა? – იმეორებს ბაჭია.

– ჰო, იმიტომ, რომ შენ ასე თვლი.

– იქნებ არ ვთვლი.

– მომისმინე. მე შენ მიყვარდი.

– მერე რა? მეც მიყვარდი.

– ახლა?

– არ ვიცი. მაგრამ მინდა, რომ მიყვარდე.

ოჰ, ეს დაწყევლილი ცრემლები. იგი ცდილობს, სათქმელი ჩქარა თქვას, სანამ ხმა არ ჩასწყდომია.

– აჰ, რა სასიამოვნოა. ნამდვილი გმირი ხარ.

– ჭკუას ძალას ნუ ატან! მომისმინე. დღეს შენ ჩემს წინააღმდეგ წახვედი. ამიტომ მუხლებზე უნდა დაგაჩოქო.

– მეტი არაფერი?

– ჰო, მეტი არაფერი.

ალკოჰოლის გვარიანმა დოზამ სამწუხარო შედეგი მოიტანა – საშინლად ეძინება, პირში მჟავე გემო აქვს, მაგრამ გრძნობს, რომ კაცი თავისთან უნდა დააკავოს და ფიქრობს, ხომ არ დააფრთხობს ეს? ხომ არ ჩაუკლავს მისდამი გრძნობას?

– თუ ისე მოვიქცევი, როგორც მეუბნები, ეს რას დაამტკიცებს?

– დაამტკიცებს, რომ ჩემი ხარ.

– გავიხადო?

– რა თქმა უნდა.

ბაჭია სწრაფად და აკურატულად იხდის ტანსაცმელს და თავისი ბრწყინვალე სხეულით ფერმკრთალი კედლის გვერდით დგას. მერე მას უხერხულად ეყრდნობა, ხელს მაღლა სწევს, არ იცის, სად წაიღოს და მხარზე იდებს. მის მორიდებულ პოზაში ცნობების მომლოდინე ფრთიანი ანგელოზის დაძაბულობა იგრძნობა. რუთი იხდის, საკუთარ სხეულთან შეხება ხელებს უცივებს. ბოლო თვეა, სულ ცივა. ბინდბუნდში ბაჭია ოდნავ ირხევა. ქალი თვალებს ხუჭავს და გულში იმეორებს: ისინი სულაც არ არიან მახინჯები. არ არიან მახინჯები. არა.

როდესაც მისის სპრინგერმა პასტორატში დარეკა, ცხრა საათი

ახალი დაწყებული იყო. მისის ეკლზმა უთხრა, რომ ჯეკი ახალგაზრდულ გუნდთან ერთად სოფტბოლის სათამაშოდ წასულიყო თხუთმეტიოდე მილის მანძილზე და არ იცოდა, როდის დაბრუნდებოდა. მისის სპრინგერის პანიკური განწყობა სადენებით გავრცელდა და ლუსი ორი საათის განმავლობაში ყველას რიგრიგობით ურეკავდა ქმრის პოვნის იმედით. ჩამობნელდა. ბოლოს იმ ეკლესიის მღვდელს დაუკავშირდა, რომლის გუნდთანაც ისინი თამაშობდნენ და შეიტყო, რომ თამაში კარგა ხნის წინ დამთავრებულიყო. ქუჩაში უკვე ბნელოდა. ფანჯარა, რომელზეც ტელეფონი იდგა, ცვილისებრ ზოლიან სარკედ გადაქცეულიყო. მასში ჩანდა, თუ როგორ დარბოდა ტელეფონის წიგნსა და ტელეფონს შორის თმაგაწეწილი ქალი. დისკის განუწყვეტელი წკაპუნის გამო ჯოისი ქვევით ჩავიდა და დედამისს მიეხუტა. ლუსიმ სამჯერ აიყვანა ზევით და ლოგინში ჩააწვინა, მაგრამ გოგონა ორჯერ დაბრუნდა უკან და შეშინებული ხმაამოუღებლივ ჩაეკონა დედას. მთელი სახლი, ყოველი ოთახი, თანდათან სიბნელითა და მუქარით აივსო და ალყაში მოაქცია ტელეფონის ირგვლივ მდებარე პატარა, განათებული კუნძული. როდესაც ჯოისი მესამედ ქვემოთ აღარ ჩამოვიდა, ლუსიმ თავი ერთდროულად დამნაშავედაც იგრძნო და მიტოვებულადაც, თითქოს თავისი ერთადერთი მოკავშირე ჩრდილებს მიჰყიდა. იგი ყველასთან რეკავდა, ვისაც ეკლზი მეურვეობდა, ვინც კი გაიხსენა, ესაუბრა მრევლის საბჭოს მდივანსა და წევრებს, საქველმოქმედო საზოგადოების სამ თანათავმჯდომარეს, ეკლესიის სმენადაქვეითებულ მოხუც დარაჯ ჰენრის, ორგანისტსაც კი – ბრუერელ მუსიკის მასწავლებელს.

საათის ისარი ათს გადასცდა. ლუსის გული ცუდს უგრძნობდა. უკვე იმასაც კი ფიქრობდა, რომ ქმარმა მიატოვა. ხუმრობა იქით იყოს და შიშმა აიტანა, რომ მის კვალსაც კი ვერსად მიაგნო. იგი სამზარეულოში ყავას ადუღებს და ჩუმად ტირის, რატომ მისთხოვდა მას საერთოდ? რამ მიიზიდა? მისმა სიმხიარულემ, ყოველთვის მხიარული იყო. ის, ვინც მას სემინარიიდან იცნობდა, ვერაფრით დაიჯერებდა, რომ მას ყველაფერი გულთან ასე ახლოს მიჰქონდა. როდესაც მეგობრები თავიანთ ძველებურ ოთახებში ისხდნენ, სადაც მუდამ ორპირი ქარი ქროდა, კედლები კი ბიბლიური ტექსტების განმარტებების ლამაზი ცისფერი ფოლიანტებით იყო დაფარული, ყველაფერი ნატიფ ხუმრობას ჰგავდა. იგი იხსენებს, როგორ თამაშობდა

მათთან ერთად სოფტბოლის მატჩში «ათანასელები» «არიანელების»[24] წინააღმდეგ. ახლა კი ვერასდროს ხედავდა მას მხიარულს. მთელ მხიარულებას სხვებთან ხარჯავდა, ამ ნაცრისფერ, უსიცოცხლო, არახელშესახებ მრევლთან – მის ყველაზე დიდ მტერთან. ოჰ, როგორ ვერ იტანს ამ გესლიან, დარტყმულ, მოწუწუნე ქვრივებსა და ქრისტეზე მოფიქრალ ახალგაზრდებს! კარგი იქნებოდა, აქ რუსები მოსულიყვნენ – ყველანაირ რელიგიას მაინც აკრძალავდნენ. ჯერ კიდევ ასი წლის წინ უნდა აეკრძალათ. თუმცა შესაძლოა, კარგიც ქნეს, ასე რომ არ მოიქცნენ – იქნებ ეს ჩვენს სულს ესაჭიროება, მაგრამ, დაე, ამით სხვა დაკავდეს. ჯეკს ეს ყველაფერი სევდას ჰგვრის. ზოგჯერ მას იგი ებრალება. აი, როგორც ახლა.

ბოლოს ეკლზი, როგორც იქნა, ბრუნდება. თერთმეტს თხუთმეტი წუთი აკლია. აღმოჩნდა, რომ რომელიღაც აფთიაქში იჯდა და თავის მოზარდებს ესაუბრებოდა – ეს იდიოტები მას ყველაფერს უყვებიან, ყველანი ორთქლმავალივით აბოლებენ, და ისიც აცუნცრუკებულია მათი შეკითხვებისგან, თუ როგორ «ღრმად» შეიძლება «შეტოპონ» პაემნებზე და თან იესოც უყვარდეთ.

ეკლზი მაშინვე ამჩნევს, რომ ცოლი გაცოფებულია. აფთიაქში თავს ძალიან კარგად გრძნობდა. მას უყვარს ყმაწვილები, მათი მარტივი და მსუბუქი რწმენა.

ლუსი ქმარს თავის სათქმელს საყვედურის სახით ეუბნება, მაგრამ ეს ამაო მცდელობაა, რადგან კაცი უგულებელყოფს ცოლის მინიშნებას მის მიერ საშინლად გატარებული საღამოს შესახებ და ტელეფონისკენ მიიჩქარის.

იგი საფულეს ხსნის და მართვის მოწმობასა და საჯარო ბიბლიოთეკის ბილეთს შორის ნახულობს ტელეფონის ნომერს, რომელსაც კარგა ხანია, ინახავს, გასაღებს, რომელიც საკეტში მხოლოდ ერთხელ ტრიალდება. ნომრის აკრეფისას ფიქრობს, გამოადგება თუ არა ეს გასაღები, სულელურად ხომ არ მოიქცევა, მხოლოდ ახალგაზრდა მისის ფოსნაჰტის სიტყვებს თუ ენდობა, სარკისებური მზის სათვალე რომ უკეთია. შორეული ტელეფონი გაბმული ზარებით პასუხობს. ელექტრობის მსგავსად, ეს გაწვრთნილი თაგვი, უსასრულოდ გრძელ სადენებში მხოლოდ იმიტომ ვრცელდება, რომ ზედ მიზანთან შეუღწევადი ლითონის ფირფიტას შეეტაკოს. იგი ლოცულობს, მაგრამ ეს ცუდი ლოცვაა, ეჭვებით სავსე ლოცვა,

იგი ვერ ახერხებს აიძულოს ღმერთი, რომ ეს ახირებული ელექტრობა დაიმორჩილოს. ღმერთი მისი ურყევი კანონების წინაშე უკან იხევს. იმედი უცრუვდება, მაგრამ ყურმილი ინერციით მაინც ხელში უჭირავს, და უეცრად გულის შემაღონებელი ზარები წყდება, ფირფიტა განზე იწევს და ეკლზის ყურს სადენების მიერ მოტანილი ჰაერისა და სინათლის მძლავრი ტალღა ეხეთქება.

– ალო, – ეს ჰარი არაა. მამაკაცის ხმა მის მეგობრისაზე უხალისო და უხეშია.

– მანდ ჰარი ენგსტრომი ხომ არ არის? – მზის სათვალე მის მღელვარებას დასცინის, იგი სხვაგან მოხვდა.

– ვინ კითხულობს?

– ჯეკ ეკლზი გესაუბრებათ.

– ა-ა, გამარჯობა.

– ეს თქვენ ხართ, ჰარი? ვერ გიცანით. გეძინათ?

– მგონი, კი.

– ჰარი, თქვენს მეუღლეს მშობიარობა დაეწყო. დედამისს აქ რვა საათისთვის დაურეკავს, მაგრამ მე ეს-ეს არის მოვედი, – ეკლზი თვალებს ხუჭავს და გრძნობს, რომ ჩაბნელებულ, გამკივან სიჩუმეში გამოცდას მისი მოძღვრული საქმიანობა გადის.

– დიახ, – ჩურჩულით პასუხობს თანამოსაუბრე წყვდიადის შორეული კუთხიდან, – მისი მონახულება მმართებს.

– იმედია, ასეც მოიქცევით.

– დიახ, დიახ. ბავშვი ხომ ჩემია.

– მართალს ბრძანებთ. იქ შევხვდებით. ბრუერის წმინდა იოსების საავადმყოფოში. იცით, ეს სად არის?

– რა თქმა უნდა, ვიცი. ჩემგან ფეხით ათი წუთის სავალზეა.

– მანქანით ხომ არ შემოგიაროთ?

– არ არის საჭირო, ფეხით მივალ.

– კარგი, როგორც გენებოთ. ჰარი!

– დიახ?

– თქვენით ძალზე ვამაყობ.

– ეგ რა სალაპარაკოა. კარგი. დროებით.

* * *

ბაჭიას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ეკლზი მიწისქვეშეთიდან ელაპარაკებოდა. ყრუ ხმა რომელიღაც აკლდამიდან გამოდიოდა. რუთის საძინებელი ოთახი ნახევრად ჩაბნელებულია. ქუჩის ფარანი, დაბლა დაწეულ მთვარესავით, ჩრდილში ხვევს სავარძელს, დამძიმებულ საწოლს, დაჭმუჭნილ ზეწარს, რომელიც მოიცილა, როდესაც მიხვდა, რომ ტელეფონი გაჩერებას არ აპირებდა. მოპირდაპირე მხარეს ეკლესიის კაშკაშა როზეტი-ფანჯარა კვლავაც განათებულია – ლილისფერი, ოქროსფერი, ლურჯი და მწვანე სხვადასხვაგვარი ზარების ხმებსა ჰგავს. ბაჭიას სხეული, ნერვებისა და ძვლების კონსტრუქცია, ისე წკარუნებს და თრთის, თითქოს მოვერცხლისფრო კანი თავიდან ფეხებამდე პატარა ზანზალაკებით ყოფილიყოს დაფარული. საინტერესოა, ეძინა თუ არა, და თუ ეძინა, რამდენ ხანს – ათი წუთი თუ ხუთი საათი. იგი პოულობს თავის საცვლებს, სკამზე გადაკიდებულ შარვალს და იცვამს. ხელები უკანკალებს, თვალწინ განათებული წყვდიადი შარიშურობს. თეთრი პერანგი ბალახებში ერთ ღრუბლად შეგროვილი ციცინათელებივით მიცურავს. წამით ჩერდება, სანამ შიგ ხელს შეყოფს, და ამ შეხებისგან ეს გროვა საიმედო, მკვდარ ქსოვილად იქცევა, რომელიც მას პირქუში, სიმძიმისგან ჩაზნექილი საწოლისკენ მიაქვს.

– ყური დამიგდე.

გადასაფარებლის ქვეშ მოქცეული გრძელი ხორგი არ პასუხობს. ბალიშზე მხოლოდ მუქი კულული მოჩანს. ბაჭია გრძნობს, რომ რუთს ღვიძავს.

– მომისმინე. უნდა წავიდე.

პასუხი არ ისმის. თუკი ქალს არ ეძინა, ყველაფერს მოისმენდა, რაც მან ტელეფონით ილაპარაკა, მაგრამ ასეთი რა თქვა? ბაჭიას

აღარაფერი ახსოვს, გარდა იმისა, რომ მას მიაგნეს. მძიმე და მდუმარე რუთი საწოლზე წევს, ტანი დაფარული აქვს. ისეთი თბილი ღამეა, რომ ერთი ზეწარიც საკმარისია, რუთმა კი, ცივაო და საბანი დაიხურა. მეტი არც არაფერი უთქვამს. არ უნდა ეიძულებინა. თვითონაც არ იცის, ეს რატომ გააკეთა, თუმცა იმწამს ეგონა, რომ ასე იყო საჭირო. ფიქრობდა, რომ ქალს მოეწონებოდა, დამცირება მაინც მოეწონებოდა. თუ არ უნდოდა, უარი რატომ არ უთხრა. სხვათა შორის, ამის იმედი ჰქონდა. თითების ბოლოებით სულ სახეზე ეფერებოდა. სურდა, აეყენებინა ქალი, მოჰფერებოდა, მადლობა გადაეხადა და ეთქვა: საკმარისია, შენ კვლავ ჩემი ხარ, მაგრამ შეჩერებას ვეღარ ახერხებდა და სულ ფიქრობდა: ცოტაც, კიდევ ერთი წამი, მაგრამ დაგვიანდა და ყველაფერი დამთავრდა. უზომო სიამაყის შეგრძნებაც მაშინვე სადღაც გაქრა. სამაგიეროდ სირცხვილი გაჩნდა.

– ჩემი ცოლი მშობიარობს. მის სანახავად უნდა წავიდე. რამდენიმე საათში დავბრუნდები. მიყვარხარ.

დაფარული სხეული და საბნის ქვეშიდან მომზირალი ნახევარმთვარისებრი თმის კულული არც კი ირხევა. აშკარად დარწმუნებული, რომ ქალს არ სძინავს, ბაჭია ფიქრობს, ხომ არ მოვკალიო. სასაცილოა, ეს ვერ მოკლავდა. სად ეს და სად სიკვდილი. მაგრამ ამის გაფიქრებაც კი დამბლას სცემს, ხელს უშლის, რომ მიუახლოვდეს, შეეხოს, მოსმენა აიძულოს.

– რუთ, მე უნდა წავიდე, ეს ჩემი შვილია, ის კი ისეთი იდიოტია, რომ მარტო ამას ვერ გაუმკლავდება. პირველი მშობიარობა ძალზე მძიმე ფორმებში ჰქონდა. იქ უნდა ვიყო.

შესაძლოა, სხვაგვარად უნდა გადმოეცა თავისი აზრი, მაგრამ ცდილობს, აუხსნას, ქალის აპათიურობა კი აშინებს და აღიზიანებს კიდეც.

– მომისმინე, რუთ. თუ არაფერს მეტყვი, აქ აღარ დავბრუნდები. რუთ!

ქალი კვლავ არ ინძრევა. იგი ბრეზენტგადაფარებულ დავარდნილ ცხოველს ან საავტომობილო კატასტროფაში მოყოლილ მსხვერპლს ჰგავს. ბაჭია გრძნობს, რომ, თუ მიუახლოვდება და წამოსწევს, ქალი გაცოცხლდება, მაგრამ ვერ იტანს, როცა მასზე ზეწოლას ახდენენ და ბრაზობს. იგი პერანგს იცვამს, პიჯაკსა და ჰალსტუხს გვერდზე მოისვრის, მაგრამ

წინდების ჩაცმას ვერაფრით ახერხებს – ფეხისგულები წებოვანი გაუხდა.

* * *

როდესაც კარი იხურება, ქალს აუტანელი სევდა პირში ზღვის წყლის გემოს უქრობს და მკვრივი ბურთივით ისე მოაწვება ყელში, რომ იძულებულია, წამოჯდეს, რათა არ გაიგუდოს. უჩინარი თვალებიდან ცრემლები მოედინება და პირის კუთხეებში მლაშე კვალს ტოვებს, მისი სახლის ცარიელი კედლები კი სიმკვრივესა და რეალობას იძენს. ასე დაემართა თოთხმეტი წლის ასაკში, როდესაც მთელი სამყარო – ხეები, მზე, ვარსკვლავები, – ყველაფერი უეცრად თავის ადგილზე დადგებოდა, მას რომ მოეხერხებინა და ოციოდე გირვანქით გამხდარიყო, მხოლოდ ოცი გირვანქით, რაც უფალი ღმერთისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენდა – მინდვრის უბრალო ყვავილიც კი ხომ მისი შექმნილი იყო. ოღონდ ახლა ეს არ სჭირდება, ხვდება, რომ ეს ცრურწმენაა. მას მხოლოდ იმის დაბრუნება სურს, რაც ორიოდე წუთის წინ ჰქონდა. უნდა, მის გვერდით ის იყოს, ის, გულკეთილი ადამიანი, რომელიც ახერხებდა, რომ იგი ყვავილად ექცია, სხეულისგან გამოეთავისუფლებინა და ბუმბულის სიმსუბუქე მიენიჭებინა. ჩემო საყვარელო, ასე მიმართავდა კაცი, და ამჯერადაც ასე რომ დაეძახა, აუცილებლად უპასუხებდა და ბაჭია კვლავ ამ ოთხ კედელში იქნებოდა. არა. მან ჯერ კიდევ პირველ ღამეს იცოდა, რომ ცოლი გაიმარჯვებდა, ცოლები მაგრად ებღაუჭებიან თავისას. იგი თავს საზიზღრად გრძნობს, გულისრევის შეგრძნება ყველაფერს ავიწყებს, სააბაზანოში შედის, ცივ მეტლახზე ჩაიჩოქებს და უნიტაზში წყლის წყნარ ოვალს დასცქერის, თითქოს მას მისი დახმარება შეეძლოს. იქნებ ახლა არც კი აღებინოს, უბრალოდ იმიტომ დგას, რომ მოსწონს ასე დგომა, შიშველი ხელი უნიტაზის ყინულივით ცივ ფაიფურის კიდეზე უდევს, იგი ეჩვევა სიმძიმეს კუჭში, რომელიც არ იხსნება და მასთან რჩება, ქალი ბინდბუნდში იძირება და ფიქრობს: ის, რისგანაც ცუდად გრძნობს თავს, გარკვეულწილად მისი მეგობარიც კი არის.

* * *

გზას რუთის სახლიდან საავადმყოფომდე ბაჭია სირბილით გადის. ერთი კვარტალი სამარ-სტრიტის გავლით, შემდეგ უაიზერ-სტრიტის პარალელური იანგკვისტი, სადაც აგურის საცხოვრებელი სახლები, დაწესებულებები და საწარმოებია: ტყავის სუნით გაჟღენთილი ფეხსაცმლის სახელოსნოები, ჩაბნელებული საკონდიტროები, სადაზღვევო კომპანიები, რომელთა ფანჯრებზეც ქარიშხლით მიყენებული ზიანის ამსახველი ფოტოსურათებია გამოკრული, უძრავი ქონებით მოვაჭრე კანტორები ოქროსასოიანი აბრებით, წიგნის მაღაზია. იანგკვისტ-სტრიტი ძველებური ხის ხიდით გადაკვეთს სარკინიგზო ლიანდაგებს, რომლებიც გამურულ, თითქოს ხავსით დაფარულ ქვის კედლებს შორის ქალაქის ცენტრზე გადის ღრმა და ბნელი ხეობის გასწვრივ დაჭიმული ლითონის სადენებივით და დაისის ვარდისფერ ანაბზინში მოლივლივე მდინარესავით ირეკლავს რკინიგზის ქუჩაზე მდებარე სასადილოების ნეონის განათებას. ქვემოდან მუსიკის ხმა აღწევს. ძველი ხიდის სქელი, ორთქლმავლის კვამლისგან გაშავებული ფიცრები ბაჭიას ფეხებქვეშ გრუხუნებს. იგი პატარა დაბაში გაიზარდა და სულ იმის შიში აქვს, რომ ქალაქის ჯურღმულებში ვინმემ დანა არ გაუყაროს. იგი ტემპს უმატებს. ქვაფენილი ფართოვდება, ჩნდება ავტოსადგომებთან დაყენებული მრიცხველები და ახალი ბანკი მძღოლებისთვის – მათ მანქანიდან გადმოუსვლელად შეუძლიათ მომსახურების მიღება – ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის ძველებური შენობის პირდაპირ. ბაჭია მოსახვევში კუთხეს ჩამოჭრის ასოციაციასა და ცნობილ კირქვის ეკლესიას შორის, რომლის ტყვიისჩარჩოიანი ფანჯრებიდან ბიბლიური სცენები ქუჩაში უკანა მხრით მოჩანს. ვერაფრით გაუგია, რა არის მათზე გამოსახული. ასოციაციის მაღალი ფანჯრიდან ბილიარდის ბურთების კაკუნი ისმის, სხვა მხრივ კი შენობის ფართო კედელს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობა. გვერდითი მინის კარიდან ჩანს, თუ როგორ გვის მოხუცი ზანგი აკვარიუმივით მწვანედ განათებულ ვესტიბიულს. ბაჭია ფეხქვეშ რომელიღაც ხის ხორციან თესლს გრძნობს. ტროპიკული მცენარის მსგავსი წვრილი ფოთლები შავი შუბებივით გამოშვერილა მუქი ყვითელი ცის ფონზე. ეს ხეები ჩინეთიდან, ბრაზილიიდან ან რომელიმე სხვა ქვეყნიდან შემოტანილს ჰგავს, თორემ ჭვარტლსა და მომწამვლელ ანაორთქლებს ვერ გაუძლებდნენ.

წმინდა იოსების საავადმყოფოს ავტოსადგომზეც, მოასფალტებულ ზოლიან კვადრატზე, ასეთივე ხეები წამოზრდილა. მათი კენწეროების თავზე, პირქუშ ღია სივრცეში, ბაჭია დამწუხრებულ მთვარეს ხედავს, წამით შეშდება ასფალტზე გამოსახულ თავის მრუდე ჩრდილზე, რათა თვალი შეავლოს ამ ციურ სხეულს, რომელზეც ლითონის ელვარებით ირეკლება მისი ცხელი კანის ქვეშ გულზე დადებული ლოდი, და მას საუბარს გაუბამს. ისე გააკეთე, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდეს, ევედრება მთვარეს და უკანა კარით შენობაში შედის.

ბაჭია ლინოლეუმით დაფარულ, ეთერით გაჟღენთილ ჰოლს გაივლის და მაგიდასთან მიდის.

– ენგსტრომი, – მიმართავს საბეჭდ მანქანასთან მჯდომ მონაზონს, – აქ ჩემი ცოლი უნდა იყოს.

ქალის ფუნთუშა, მრეცხავივით უბრალო სახე ტილოს კუწუბებშია მოქცეული, რაც მრგვალი ფორმის გამომცხვარ კექსს ამსგავსებს. იგი კარტოთეკაში იქექება და ღიმილით პასუხობს: «დიახ».

წვრილი ლითონისჩარჩოიანი სათვალე ბალიშივით სქელ ლოყებს ეყრდნობა.

– შეგიძლიათ, აქ დაელოდოთ, – მიუთითებს იგი ვარდისფერი ბურთულიანი კალმისტრით. მეორე ხელი საბეჭდი მანქანის გვერდით უდევს შავი კრიალოსნის თასმაზე, რომელიც იავური ხის ყელსაბამის მძივების სიდიდისაა, ოდესღაც ჯენისს საშობაოდ რომ აჩუქა. ბაჭია დგას და შეკითხვის მოლოდინში მონაზონს შესცქერის: სად დაიკარგეთ? რამდენი საათია, თქვენი ცოლი აქაა. ვერ წარმოუდგენია, რომ ქალი მის გამოჩენას ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამს. მისი მზერის თანხლებით, კრიალოსანი მონაზვნის თონთლო, თეთრი, შუქის უნახავი ხელით მაგიდიდან მუხლებზე გადაინაცვლებს.

დარბაზში კიდევ ორი მამაკაცი ზის. ეს მთავარი ჰოლია – ხალხი შემოდის და გადის. ბაჭია ხელოვნური ტყავის, მოქრომულსახელურებიან სავარძელში ჯდება. შემაშფოთებელ სიჩუმეში ლითონთან შეხებისგან ეჩვენება, რომ პოლიციის განყოფილებაშია, ის ორნი კი პოლიციელები არიან, რომლებმაც იგი დააკავეს. ისეთი სახე აქვთ, თითქოს მას ვერც კი ამჩნევენ. ბაჭია მოუთმენლად იღებს მაგიდიდან კათოლიკურ ჟურნალს

– «დაიჯესტი მკითხველისთვის» და ცდილობს, წაიკითხოს ამბავი ერთი ინგლისელი იურისტისა, რომელიც მონასტრის საკუთრების კონფისკაციის შესახებ ჰენრიხ VIII-ის გამოცემულმა კანონსაწინააღმდეგო აქტმა აღაშფოთა, რომის კათოლიკური ეკლესიის წევრი გახდა, ბოლოს კი ბერადაც აღიკვეცა. მამაკაცები ერთმანეთში ჩურჩულებენ, მამა-შვილს ჰგვანან. უმცროსი გამუდმებით ხელებს მუშტავს და უფროსს თავის ქნევით ეთანხმება.

შემოდის ეკლზი. იგი თვალებს ახამხამებს, თეთრი საყელოდან გამხდარი კისერი მოუჩანს. ეკლზი მაგიდასთან მჯდომ მონაზონს ესალმება და სახელით მიმართავს – დაო ბერნარდა. ბაჭია დგება. ფეხები ბამბასავით აქვს. ეკლზი მასთან მიდის. წარბებს შორის ნაცნობი ნოჭი საავადმყოფოს შუქზე სიმკაცრეს გამოხატავს. შუბლზე ლილისფერი ხაზები აქვს ამოტვიფრული. თმა შეუკრეჭია, ყურებს უკან სუფთად გაპარსული ადგილები ისე უბზინავს, როგორც ნაცარა ბუმბული მტრედის კისერზე.

– მან თუ იცის, აქ რომ ვარ? – ბაჭიას არ ეგონა, რომ თვითონაც ჩურჩულით ილაპარაკებდა, ზიზღით ისმენს საკუთარ შეშინებულ, ყრუ ხმას.

– ვთხოვ, გადასცენ, თუ გონება არ დაუკარგავს, – ისე ხმამაღლა პასუხობს ეკლზი, რომ მოჩურჩულე მამაკაცები თავს მაღლა სწევენ.

ეკლზი და ბერნარდასთან მიდის. მონაზონი ლაყბობის წინააღმდეგი არაა. ორივენი იცინიან: ეკლზი ბაჭიასთვის კარგად ნაცნობი გაოცებული ხითხითით, და ბერნარდა კი ფლეიტასავით სუფთა და წვრილი, ქალწულისებრი კისკისით – ოღონდ მას ოდნავ ახშობს გახამებული ფურჩალები სახის ირგვლივ. როდესაც ეკლზი მაგიდას სცილდება, ქალი იდაყვთან კაბის განიერი ნაკეცებით დაფარული ტელეფონის აპარატიდან ყურმილს იღებს.

ეკლზი ბრუნდება, ბაჭიას სახეში უყურებს, ოხრავს და ისეთი სახით სთავაზობს სიგარეტს, თითქოს ეს ობლატი ყოფილიყოს, რომლითაც მონანიების შემდეგ აზიარებენ. ბაჭია შეთავაზებას თანხმდება. მრავალთვიანი თავშეკავების შემდეგ პირველი ნაფაზი კუნთებს უდუნებს და დაჯდომას აიძულებს. ეკლზი მის გვერდით მაგარ სკამზე ეშვება და საუბრის დაწყებას არც

კი ცდილობს. ბაჭიას წარმოდგენა არა აქვს, გოლფის გარდა, რის შესახებ შეიძლება მასთან საუბარი, ანთებული სიგარეტი ხელიდან ხელში უხერხულად გადააქვს, მაგიდიდან კიდევ ერთ ჟურნალს იღებს, ოღონდ წინასწარ რწმუნდება, რომ რელიგიას არ შეეხება – ეს «სეთედი ივნინგ პოსტია». ჟურნალი იმ გვერდზე იშლება, სადაც ავტორი, ფოტოსურათის მიხედვით იტალიელი, ჰყვება, თუ როგორ გაატარა ცოლთან, ოთხ შვილსა და სიდედრთან ერთად სამი კვირა კანადის კლდოვან მხარეში მოწყობილ კემპინგში სულ რაღაც ას ოც დოლარად, თუ არ ჩავთვლით პირველ შენატანს პატარა თვითმფრინავის იჯარით აღებისთვის. ბაჭიას გონებას სიტყვებიდან აზრი ვერ გამოაქვს, სამაგიეროდ, გვერდებიდან ცვივა და გრიგალივით ტრიალებს, იტოტება, პატარა, ბუნდოვანი სურათებით ჭრელდება – მყვირალა ჯენისი, ახალშობილის თავი სისხლის გუბეში, მკვეთრი ცისფერი შუქი, რომელიც ქალს თვალწინ უდგას, თუ მას გონება არ დაუკარგავს, როგორც ეკლზმა თქვა, ქირურგის წითელი ხელები რეზინის ხელთათმანებში, მისი დოლბანდის ნიღაბი და ჯენისის შავი, ბავშვური ნესტოები – ისინი ფართოვდება, როდესაც ანტისეპტიკის სუნს შეისუნთქავენ, და ეს ხმა ყოველი მხრიდან ესმის, სუნს, რომელიც შეთეთრებულ კედლებზე მორბის, სუნი იმისა, რასაც რეცხავენ, რეცხავენ, – სისხლისა, ნარწყევი მასისა, – მანამ რეცხავენ, სანამ ზედაპირი ვედროს შიგთავსის სუნს არ აიღებს, რომელიც ვერასდროს ჩამოირეცხება, ვინაიდან კვლავ და კვლავ გაივსება ჩვენი განავლით. ბაჭიას ეჩვენება, რომ მისი გული თბილ და ნოტიო ნაჭერშია გახვეული. სავსებით დარწმუნებულია, რომ მისი ცოდვების გამო ჯენისი ან ბავშვი აუცილებლად მოკვდება. ეს ცოდვა გაქცევის, სისასტიკის, უხამსობისა და პატივმოყვარეობის კონგლომერატია, მშობიარობის დროს დაღვრილი სითხის შავი შენადედი. თუმცა შიგნეულობა ეჭიმება, რათა ეს შენადედი გადმოაგდოს, შეცვალოს, უკან დააბრუნოს, წაშალოს ჩადენილი საქციელი, მის გვერდით მჯდომი მღვდლისკენ არ ტრიალდება და ჯიუტად განაგრძობს ერთი და იმავე ფრაზის კითხვას შესანიშნავი შემწვარი კალმახის შესახებ.

მისი შიშის ხის უშორეს ტოტზე ეკლზი ზის, შავი ფრინველი, რომელიც ჟურნალებს ფურცლავს და საკუთარ თავს ეჯღანება. ბაჭიას ეჩვენება, რომ იგი არარეალურია. მისთვის ყველაფერი არარეალურია, რაც მისი შეგრძნებების მიღმაა. ხელისგულებში

ჩხვლეტას გრძნობს, რაღაც ხან ფეხებზე აწვება, ხან კეფაზე. იღლიებქვეშ ექავება, როგორც ბავშვობაში, ჯექსონ-როუდზე რომ მიქროდა, როცა სკოლაში აგვიანდებოდა.

– მისი მშობლები სად არიან? – ეკითხება ეკლზს.

– არ ვიცი, – პასუხობს გაოცებული ეკლზი, – მონაზონს ვკითხავ, – იგი წამოდგომას აპირებს.

– არა, არა, ღვთის გულისთვის, ნუ წუხდებით.

ეკლზის საქციელი ჰარის აღიზიანებს – ისე იქცევა, თითქოს მასპინძელი ყოფილიყოს. ჰარის უნდა, შეუმჩნეველი იყოს, ეკლზი კი ხმაურობს. ისე ენერგიულად ფურცლავს ჟურნალებს, რომ მათ ტკაცატკუცი გააქვთ, თითქოს ვიღაც ფორთოხლის ყუთებს ამტვრევს, და სიგარეტის ნამწვებს ირგვლივ ჟონგლიორივით ფანტავს. შემოდის თეთრხალათიანი ქალი, არა მონაზონი, და და ბერნარდას ეკითხება:

– შემთხვევით ავეჯის პოლიტურით სავსე ქილა ხომ არ გინახავთ? ვერსად ვპოულობ. მწვანე ქილაა, ზემოდან ჭიკარტის მსგავსი რაღაც უკეთია, დააჭერთ და აფრქვევს.

– არა, ძვირფასო.

იგი ქილას ეძებს, მიდის, წუთის მერე ბრუნდება და აცხადებს:

– აი, საოცრება, თუ გნებავთ.

ქვაბების, ეტლებისა და კარების ბრახუნში დღეს ღამე მოსდევს, ღამეს – ისევ დღე. და ბერნარდას სხვა მონაზონი ცვლის, ღრმად მოხუცი, ლურჯკაბიანი ქალი. თითქოს წმინდანობის საფეხურებზე ცოცვით მიმავალს ზეცაში მოუწია შეყოვნებამ. მოჩურჩულე მამაკაცები მაგიდას უახლოვდებიან, რაღაც შეკითხვას სვამენ და მხრების აჩეჩით მიდიან. ბაჭია და ეკლზი მარტო რჩებიან. ბაჭია სმენას ძაბავს, რათა საავადმყოფოს ყრუ ლაბირინთის სიღრმიდან თავისი შვილის ყვირილი გაარჩიოს. ხშირად ეჩვენება, რომ ესმის კიდეც: ფეხსაცმლის ჭრაჭუნი, ეზოში ძაღლის ყეფა, მესასთუმლეს ხითხითი – ნებისმიერ ხმას შეცდომაში შეჰყავს. ეჭვობს, რომ ჯენისის ტანჯვის ნაყოფი რაიმე ადამიანური ბგერის წარმოთქმას შეძლებს. სულ უფრო მეტად სჯერა, რომ ეს ურჩხული იქნება, მის მიერ შექმნილი ურჩხული. თავში ყველაფერი ერევა და ჩასახვის გამომწვევ შერწყმას სხვა

ცვლის, ის, რაც რუთს აიძულა რამდენიმე საათის წინ. ავხორცობა აღარც კი ახსოვს, ფართოდ გახელილი თვალებით წინ იყურება და საკუთარი გაშმაგებული თრთოლა აგონდება. მთელი თავისი ცხოვრება უაზრო კონვულსიებად ეჩვენება, მაგიურ, რწმენადაკარგულ ცეკვად. ღმერთი არ არსებობს. ჯენისი, შესაძლოა, მოკვდეს – ეს ორი აზრი თავში ერთდროულად მოსდის, ერთი და იმავე ნელი ტალღით. ეჩვენება, თითქოს წყალქვეშ ჩაყვინთა და გამჭვირვალე ლორწოს ბადეში გაება, თითქოს იმ ამონანთხევის აჩრდილები იტაცებენ, რომელთაც ქალების ნაზ სხეულებში აფრქვევდა. თითები, რომლებიც მუხლებზე უდევს, განუწყვეტლივ სათითაოდ ეხება მწებვარე ძაფებს.

მერი ენი. თამაშის შემდეგ დაღლილი და დაძაბული, მაგრამ ზანტი ძლიერებით სავსე, მას სკოლის მთავარი შესასვლელის საფეხურებზე პოულობდა და ნოემბრის თეთრ ბურუსში დამპალი ფოთლების გავლით მამამისის მანქანისკენ მიდიოდნენ და სადმე მიდიოდნენ, რათა გამათბობელი ჩაერთოთ და გაჩერებულიყვნენ. გოგოს სხეული – დატოტვილი, თბილი ბუდეებით სავსე ხე იყო, მაგრამ გაუბედაობის შეგრძნება არ ასვენებდა. თითქოს ქალი საკუთარ თავში დარწმუნებული არ იყო, თვითონ კი, გამარჯვებული, – მასზე მეტად. იგი მასთან გამარჯვებული ცხადდებოდა, და ეს გრძნობა შემდგომში ყოველთვის აკლდა. ზუსტად ასევე, გოგოც ყველას სჯობდა, რადგან ბაჭია მას ყველაზე მეტს აძლევდა, აძლევდა, მიუხედავად დაღლილობისა. ზოგჯერ ტანვარჯიშის დარბაზში დამაბრმავებელი შუქი მის ოფლისგან გაწითლებულ თვალებში ფრთხილ შეხებათა ბუნდოვან წინასწარ ტკბობად იქცეოდა, რომლებიც მათ მანქანის რბილი, რუხი სახურავის ქვეშ ელოდებოდა. და საკმარისი იყო, იქ აღმოჩენილიყვნენ, რომ ცოტა ხნის წინ დამთავრებული თამაშის მკვეთრი ანარეკლები ქალის გლუვ კანზე ინთებოდა, რომელიც საქარე მინაზე წვიმის ჭავლების ჩრდილებით იყო დახაზული. ამიტომ ეს ორივე გამარჯვება მის ფიქრებში ერთმანეთს ერწყმოდა. ქალი მაშინ გათხოვდა, როდესაც იგი ჯარში იყო. პოსტსკრიპტუმმა დედის წერილში იგი ნაპირიდან ზღვაში შეაგდო და იმ დღიდან ტალღებს იყო მინდობილი.

მაგრამ ახლა სიხარულს გრძნობს. გაცვეთილ, მოქრომულსახელურებიან სავარძელში ჯდომისგან მთელი სხეული დაჰბუჟებია, სიგარეტის მოწევისგან გული ერევა,

მაგრამ პირველი ქალიშვილის გახსენება სიხარულს ჰგვრის, გულიდან გამოტყორცნილი სისხლი სიხარულის დიდ, თხელკედლიან ვაზას ავსებს, რომელსაც ეკლზის ხმა ძირს აგდებს და ამსხვრევს.

– ჯეკ ჯენსენის სტატია თავიდან ბოლომდე წავიკითხე, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა, – ამბობს ეკლზი.

– რა?

– ჯეკ ჯენსენის სტატია იმის შესახებ, თუ რატომ აპირებს ბეისბოლისთვის თავის დანებებას. როგორც ვხვდები, ბეისბოლისტებსა და ღვთისმსახურებს მსგავსი პრობლემები აწუხებთ.

– შინ ხომ არ წახვიდოდით? რომელი საათია?

– ორი ხდება. თუ წინააღმდეგი არა ხართ, დარჩენას ვამჯობინებდი.

– ნუ გეშინიათ, არ გავიქცევი.

ეკლზი იცინის და ჯდომას განაგრძობს. თავდაპირველად ჰარიზე შთაბეჭდილება მისმა შეუპოვრობამ მოახდინა, ახლა კი ყველაფერი წაიშალა, რაც მან მათი მეგობრობის დროს შეიტყო მის შესახებ, და მხოლოდ ის ერთი თვისება დარჩა.

– როდესაც საბრალო ნელსონზე იყო ფეხმძიმედ, მშობიარობა თორმეტ საათს გაგრძელდა, – ეუბნება ბაჭია.

– ჩვეულებრივ, მეორე მშობიარობა უფრო იოლად მიმდინარეობს, – ამბობს ეკლზი და საათზე იყურება, – ჯერ ექვსი საათიც არ გასულა.

მოვლენები ერთმანეთს მისდევს. პრივილეგირებული მნახველების ოთახიდან მისის სპრინგერი გამოდის. იგი მეტისმეტად თავდაჭერილად, თავის ოდნავი დაკვრით ესალმება ეკლზს, შემდეგ ჰარის მოჰკრავს თვალს, მოღრეცილი შავ-თეთრი ფეხსაცმელებით შემოსილ ავადმყოფ ფეხებს რაღაცას წამოჰკრავს და წაბორძიკდება. ეკლზი დგება და მასთან ერთად კარისკენ მიემართება. ცოტაოდენ ხანში ორივენი მისტერ სპრინგერთან ერთად ბრუნდებიან, რომელსაც ახალგაუთოებული პერანგი აცვია და წვრილად განასკვული ჰალსტუხი უკეთია. ისე ხშირად იკრეჭს თავის

ქვიშისფერ ულვაშს, რომ ზედა ტუჩი უცნაურად დანაოჭებია.

– გამარჯობა, ჰარი, – ამბობს იგი.

ქმრისგან ჰარის არსებობის აღიარება, მიუხედავად საუბრისა, რომელიც უეჭველად ექნებოდა მათთან ეკლზს, ქალს აიძულებს, ჰარის მიუბრუნდეს და ღვარძლიანად უთხრას:

– თუ თქვენ, ახალგაზრდავ, აქ ფასკუნჯივით იმ იმედით ზიხართ, რომ ჯენისი მოკვდება, შეგიძლიათ იქ წაბრძანდეთ, საიდანაც მოხვედით, ვინაიდან იგი უთქვენოდაც მშვენივრად ართმევდა თავს ყველაფერს და მომავალშიც გაართმევს.

მისტერ სპრინგერსა და ეკლზს სასწრაფოდ გაჰყავთ იგი, მოხუცი მონაზონი კი თავისი მაგიდიდან მათ მისჩერებია და უცნაურად იღიმება. იქნებ ყრუა? მისის სპრინგერის გამოხდომა, ყველანაირად რომ ცდილობდა მის შეურაცხყოფას, პირველი გამონათქვამი იყო, რომელიც რაღაცნაირად მაინც შეესაბამებოდა საავადმყოფოს საპნის სუნის კედლის მიღმა მიმდინარე საოცარ მოვლენას. ქალის სიტყვებამდე ბაჭიას ეჩვენებოდა, რომ მარტო იყო ჯენისის მშობიარობის ტკივილისგან წარმოქმნილ აირადი მზის გარშემო მბრუნავ უსიცოცხლო პლანეტაზე. მისმა ყვირილმა, თუნდაც სიძულვილით აღსავსემ, ბაჭიას მარტოობა გაარღვია. საშინელი აზრი ჯენისის სიკვდილის შესახებ ხმოვანების შეძენის შემდეგ სანახევროდ შემსუბუქდა. ჯენისისგან სიკვდილის უცნაური სუნთქვა მოდის, რაც მისის სპრინგერმაც შეამჩნია, ეს მათ აერთიანებთ და ბაჭიას იგი ამქვეყნად ყველაზე უძვირფასეს კავშირად მიაჩნია.

მისტერ სპრინგერი ბრუნდება, ჰოლის გავლით გასასვლელისკენ მიდის, სიძისთვის ავადმყოფურ, რთულ ღიმილს იმეტებს, რომელიც ცოლის საქციელის გამო ბოდიშსაც შეიცავს (ჩვენ ხომ მამაკაცები ვართ), მისგან თავის შორს დაჭერის სურვილსაც (თქვენ აღმაშფოთებლად იქცეოდით, მე ნუ შემეხებით) და თავაზიანობის მექანიკურ, ავტომანქანებით მოვაჭრისთვის დამახასიათებელ რეფლექსსაც. აჰ, შე არარაობავ, ფიქრობს ჰარი და ამ აზრს მიხურული კარისკენ გზავნის, აჰ, შე ლაქიავ. საით მიდიან ყველანი? საიდან მოდიან? რატომ არავინ ისვენებს? ეკლზი ბრუნდება, მას კიდევ ერთი სიგარეტით უმასპინძლდება და კვლავ მიდის. ბაჭიას სიგარეტისგან კუჭი უთრთის, ყელში ისეთი შეგრძნება აქვს,

თითქოს მთელი ღამე პირღია იწვა. ცხვირში ზოგჯერ საკუთარი მყრალი სუნთქვა სცემს. ექიმი, გამოზნექილი გულმკერდითა და წარმოუდგენლად პატარა რბილი ხელებით, ხალათის ჯიბის წინ რომ დაუწყვია, ჰოლში გაუბედავად შემოდის.

– მისტერ ენგსტრომ? – მიმართავს იგი ჰარის, – მე დოქტორი ქროუ ვარ.

ჰარი მას პირველად ხედავს. ნელსონზე ჯენისი სხვა მეანმა ამშობიარა, მაგრამ მაშინ ყველაფერმა რთულად ჩაიარა და ამჯერად მამამისმა ეს ექიმი აირჩია. ჯენისი მასთან თვეში ერთხელ დადიოდა, მერე კი განუწყვეტლივ მის დელიკატურობაზე, რბილ ხელებსა და გულისხმიერებაზე ლაპარაკობდა.

– გილოცავთ, შესანიშნავი გოგონა გყავთ.

იგი ისე ნაჩქარევად უწვდის ჰარის ხელს, რომ ეს უკანასკნელი წესიერად წამოდგომასაც კი ვერ ასწრებს და ამიტომ ამ სიახლეს ნახევრად მოხრილი ხვდება. ექიმის გაპრიალებული ვარდისფერი სახე – მოხსნილი და ყურზე ჩამოკიდებული სტერილური ნიღაბი უსიცოცხლო ხორციან ტუჩებს აჩენს, – იდღაბნება, როდესაც ბაჭია ცდილობს, რომ მოულოდნელად წარმოთქმულ სიტყვას – «გოგონა» – ფერი და ფორმა მისცეს.

– მართლა? ყველაფერი რიგზეა?

– შვიდი გირვანქა და ათი უნცია. თქვენს მეუღლეს გონება ერთხელაც არ დაუკარგავს, მშობიარობის მერე შვილი ხელშიც კი ეჭირა.

– რას მეუბნებით! ხელში აიყვანა? როგორაა? ძალიან გაუჭირდა?

– არა. ყველაფერმა ნორმალურად ჩაიარა. თავიდან სპაზმები ჰქონდა, მაგრამ ესეც მალე მოგვარდა.

– შესანიშნავია, დიდი მადლობა, ღმერთო ჩემო, დიდი მადლობა.

ქროუ ბაჭიას გვერდით დგას და გაუბედავად იღიმება. სამყაროს უფსკრულიდან ამოსულს, სუფთა ჰაერზე ენა ებმის. უცნაურია, რომ ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში იგი ჯენისთან გაცილებით ახლოს იყო, ვიდრე ოდესმე ჰარი

ყოფილა, მის ფესვებში ფათურობდა, მაგრამ იქიდან არც საიდუმლო წამოუღია, არც წყევლა-კრულვა და არც ლოცვა-კურთხევა. ჰარი თავზარდაცემული ელოდება, რომ ექიმი თვალებიდან ნაპერწკლებს გადმოყრის, მაგრამ ქროუს მზერაში მრისხანების ნატამალიც არ არის. საყვედურიც კი. აშკარაა, რომ ჰარი მისთვის მხოლოდ მორიგი წევრია მეტ-ნაკლებად ვალმოხდილი ქმრების რიგში, რომელთა დაუფიქრებლად ჩაგდებული თესლის ნაყოფსაც იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იმკის.

– შეიძლება, ის ვნახო? – ეკითხება ჰარი ექიმს.

– ვინ?

ვინ? ის გარემოება, რომ ამიერიდან სიტყვა «ის» მეორე მნიშვნელობასაც იძენს, ჰარის აშინებს. სამყარო რთულდება.

– ჩემი... ჩემი ცოლი.

– ოჰ, რასაკვირველია, – რბილი და თავაზიანი ქროუ თითქოს გაოცებულიც კია, რომ ჰარი მისგან ნებართვას ითხოვს. მან, ცხადია, ყველაფერი იცის, მაგრამ, ალბათ, გადაავიწყდა, რომ ჰარისა და დანარჩენ სამყაროს ერთმანეთისგან დანაშაულის უფსკრული ყოფს, – მეგონა, გოგონას გულისხმობდით. აჯობებს, ხვალამდე მოიცადოთ, როდესაც მიღების საათები იქნება, ახლა მომვლელი ქალიც არ არის, რომ გაჩვენოთ. თქვენი მეუღლე კი გონზეა, როგორც გითხარით. ჩვენ მას ეკვანილის დოზა მივეცით. ტრანკვილიზატორია ასეთი. მეპრობომატი. მითხარით, – იგი ჰარის უჩოჩდება, ვარდისფერი კანითა და სუფთა ქსოვილით შემოსილი, – წინააღმდეგი ხომ არა ხართ, თქვენს მეუღლესთან დედამისი რომ შევიდეს სულ ცოტა ხნით? მთელი ღამე არ მოგვასვენა, – იგი მას სთხოვს, მას – გაქცეულს, მრუშს, ურჩხულს. ალბათ, ბრმაა და ვერ ხედავს. იქნებ, როცა ადამიანი მამა ხდება, ყველა მზადაა, აპატიოს, ვინაიდან ეს ერთადერთი რამაა, რისთვისაც ამ ქვეყანაზე ვცხოვრობთ.

– რა თქმა უნდა, არა, შევიდეს.

– თქვენამდე თუ თქვენს მერე?

ჰარი ყოყმანობს, მაგრამ ახსენდება, რომ მისის სპრინგერმა იგი ცარიელ პლანეტაზე ინახულა.

– თუ უნდა, ჩემამდეც.

– გმადლობთ. შესანიშნავია. ინახულებს და მაშინვე სახლში გავუშვებთ. ეს ათიოდე წუთს წაიღებს. თქვენს მეუღლეს მომვლელები ამზადებენ.

– ძალიან კარგი, – ჰარი ჯდება, რათა დაანახვოს, როგორი დამჯერეა, მაგრამ მაშინვე დგება, – გმადლობთ. დიდი მადლობა. ვერაფრით გამიგია, როგორ აკეთებთ ექიმები ამ ყველაფერს.

– მას თავი ყოჩაღად ეჭირა, – მხრებს იჩეჩს ქროუ.

– როდესაც პირველს აჩენდა, შიშისგან კინაღამ გავაფრინე. ეს უსასრულოდ გრძელდებოდა.

– სად იმშობიარა?

– სხვა საავადმყოფოში. ჰომეოპათებთან.

– გასაგებია, – და ექიმი, რომელიც ჯოჯოხეთში იმყოფებოდა და იქიდან მეხი არ მოუტანია, კონკურენტი საავადმყოფოს გაგონებაზე ზიზღის ნაპერწკლებს აკვესებს, ენერგიულად აკანტურებს გაპრიალებულ თავს და ასე ქნევა-ქნევით მიდის.

ეკლზი ოთახში შედის და სკოლის მოწაფესავით ეცინება, მაგრამ ბაჭია მის სულელურ ფიზიონომიას ყურადღებას არ აქცევს. მღვდელი მას სამადლობელი პარაკლისის გადახდას სთავაზობს და ისიც მორჩილად უქნევს თავს. ბაჭიას ეჩვენება, რომ მისი გულის ყოველი ძგერა ფართო თეთრ კედელს ეხეთქება და ბრტყელდება. თავს მაღლა სწევს და ჰგონია, რომ ყველა საგანი გაცოცხლებულია და საცაა მიწას მოსწყდება. მისი ბედნიერება პწკალა კიბეა, რომლის ბოლო საფეხურიდანაც კიდევ უფრო მაღლა ახტომას ცდილობს – ასეა საჭირო და იმიტომ.

ქროუს ფრაზა, მომვლელები ჯენისს ამზადებენო, უცნაურად ჟღერს, თითქოს მაისის დედოფალზეა[25] ლაპარაკი.

როდესაც ბაჭია პალატისკენ მიჰყავთ, ელოდება, რომ ჯენისის თმაში ლენტებს დაინახავს, საწოლის ირგვლივ კი – ქაღალდის ყვავილებს. მაგრამ მის წინ მხოლოდ ძველებური ჯენისია მაღალ რკინის საწოლზე ორ გატკიცინებულ ზეწარს შორის. იგი თავს მისკენ ატრიალებს და ამბობს:

– შეხედეთ, ვინ მოსულა.

– გამარჯობა, – ამბობს ბაჭია და საკოცნელად ახლოს მიდის. სურს, ეს ნაზად გამოუვიდეს. ეჩვენება, რომ შუშის ყვავილისკენ იხრება. ქალს პირიდან ეთერის ტკბილი სუნი ამოსდის. მისდა გასაოცრად, იგი ზეწრის ქვეშიდან ხელებს ამოაცურებს, თავზე მოჰკიდებს და სახით თავის რბილ, ეთერით სავსე პირზე მიიკრავს.

– ფრთხილად, – ეუბნება ბაჭია.

– ფეხები არა მაქვს, – ამცნობს ქალი, – რა სასაცილოა.

თმა თხემზე აქვს ატანილი და უბრალოდ განასკვული, სახეზე კოსმეტიკის ნასახიც არ ეტყობა. პატარა თავი ბალიშზე მუქად მოუჩანს.

– ფეხები არა გაქვს? – ჰარი ქვემოთ იყურება და ხედავს, რომ ქალი ზეწრის ქვეშ ფეხებგაჩაჩხული წევს.

– ბოლოს ზურგის ტვინის ანესთეზია გამიკეთეს – მგონი, ასე ეძახიან – და ვეღარაფერს ვგრძნობდი. უბრალოდ, ვიწექი და მესმოდა, როგორ მეუბნებოდნენ, გაიჭინთეო, მერე კი მოულოდნელად ვხედავ, რომ ერთი ციცქნა კოპებშეკრული გოგონა, მთვარესავით მრგვალი სახით, გაბრაზებული შემომცქერის. დედაჩემს ვუთხარი, რომ შენ გგავს, მაგრამ ამის გაგონებაც კი არ სურს.

– გარეთაც გვარიანად დამგესლა.

– არ მინდოდა, შემოეშვათ. მე მისი კი არა, შენი დანახვა მინდოდა.

– ჩემი? რატომ, პატარავ? მას შემდეგ, რაც ასე ღორულად მოგექეცი.

– სულაც არ მოქცეულხარ ასე. მითხრეს, რომ აქ იყავი და სულ იმაზე ვფიქრობდი, რომ ეს შენი შვილი იყო, მეჩვენებოდა, რომ შენ გაჩენდი. იმდენი ეთერი მაყლაპეს, მეგონა, სადღაც მივფრინავდი, ფეხები კი არ მქონდა. გაუთავებლად ლაპარაკი მინდა, – იგი ხელებს მუცელზე იწყობს, თვალებს ხუჭავს და იღიმება, – მთვრალივით ვარ. ნახე, როგორ გავბრტყელდი.

– ახლა შენი საბანაო კოსტიუმის ჩაცმასაც შეძლებ, – ღიმილით ეუბნება ბაჭია, ეთერით გაჟღენთილ ლაქლაქში ერთვება და

ეჩვენება, რომ თვითონაც უფეხოა, ბუშტივით მსუბუქი, და განთიადზე უწმინდეს, უზარმაზარ ზღვაში გახამებულ და სტერილურ ზეწრებს შორის ზურგზე გაწოლილი მიცურავს. შიში და სინანული სადღაც გაქრა, მადლიერება კი ისე გაფართოვდა, რომ ბასრი გვერდები მოუმრგვალდა, – ექიმმა თქვა, რომ თავი ყოჩაღად გეჭირა.

– რა სისულელეა. სულაც არა. საშინლად ვიქცეოდი. ვკიოდი. ვყვიროდი, რომ ხელები დაემოკლებინა. მერე კი იმ საშინელმა ბებერმა მონაზონმა მშრალი სამართებლით გაპარსვა დამიწყო.

– საბრალო ჯენისი.

– არა, კარგი იყო. მინდოდა, დამეთვალა, რამდენი თითი ჰქონდა ფეხებზე, მაგრამ თავბრუ მეხვეოდა და ვერ შევძელი. მერე მის თვალებზე გადავედი. აღმოჩნდა, რომ ორი ჰქონია. ჩვენ ხომ გოგონა გვინდოდა? მითხარი, რომ ასე იყო.

– ჰო, მე გოგო მინდოდა, – ბაჭია უეცრად ხვდება, რომ ეს სიმართლე იყო.

– ახლა მოკავშირე მეყოლება შენსა და ნელსონის წინააღმდეგ.

– ნელსონი როგორ არის?

– ოჰ, წამდაუწუმ ერთსა და იმავეს მეკითხებოდა: მამა დღეს მოვა? ისე მომაბეზრა თავი, რომ მზად ვიყავი, ქამრით გამელახა ის საბრალო. ნუღარ მახსენებ, მძიმე თემაა.

– დალახვროს ეშმაკმა, – ამბობს ბაჭია და ლოყებს ცრემლები უწვავს, რომელთა არსებობა აღარც კი ახსოვდა, – ვერ ვიჯერებ, რომ ეს მე ვიყავი. არც კი ვიცი, რატომ წავედი.

ქალი ბალიშში უფრო ღრმად ეფლობა და სახეზე კვლავ ღიმილი ეფინება.

– მე პაწაწუნა შემეძინა.

– მაგარია.

– შენ ისეთი ლამაზი ხარ. მაღალი, – ქალი ამას თვალდახუჭული ამბობს, და როდესაც ახელს, ისინი რაღაც აზრითაა სავსე. ბაჭიას ასე მოელვარე ისინი არასდროს უნახავს. ქალი ჩურჩულებს, – ჰარი, ჩემი მეზობელი, გვერდით საწოლზე რომ იწვა, დღეს სახლში გაწერეს. მოგვიანებით მოდი, ჩუმად გადმოძვერი

ფანჯარაში და მთელი ღამე ერთად ვიწვებით, სხვადასხვა ისტორიას გავიხსენებთ. კარგი? თითქოს ჯარიდან ან სხვა ადგილიდან დაბრუნდი. ბევრი ქალი გყავდა?

– ჩემი აზრით, აჯობებს, დამშვიდდე და დაიძინო.

– კარგი, სამაგიეროდ უფრო გეყვარები, – იგი ხითხითებს და განძრევას ცდილობს, – არა, ცუდის თქმას არ ვაპირებ, შენ კარგი საყვარელი ხარ და მე ბავშვი მაჩუქე.

– ძალზე ნაადრევი ხომ არ არის შენს მდგომარეობაში სექსზე ლაპარაკი?

– ამას შენ თვლი ასე. მე კი ჩემ გვერდით დაწოლას შემოგთავაზებდი, მაგრამ ძალზე ვიწრო საწოლია. ო-ოჰ!

– რა არის?

– საშინლად მინდა ლიმონათი.

– რა სასაცილო ხარ.

– შენ თვითონ ხარ სასაცილო. ჩვენი პატარა გოგონა ისე გაბრაზებული მიყურებდა...

კარის ღიობში ანგელოზისფრთიანი მონაზონი ჩნდება.

– მისტერ ენგსტრომ, დროა.

– მოდი, მაკოცე, – ამბობს ჯენისი. იგი ბაჭიას სახეზე ეხება, რომელიც იხრება და კვლავ ეთერის სუნს იყნოსავს. ქალის პირი თბილ ღრუბელს წააგავს. იგი მოულოდნელად იღება და კაცს ქვედა ტუჩზე კბენს, – არ წახვიდე.

– მხოლოდ ცოტა ხნით. ხვალ ისევ მოვალ.

– მიყვარხარ.

– იცოდე, რომ მეც მიყვარხარ.

ეკლზი ბაჭიას ჰოლში ელოდება.

– როგორ არის?

– შესანიშნავად.

– თქვენ იქ დაბრუნდებით, იმ... სადაც იყავით?

– არა, – პასუხობს შეშინებული ჰარი, – არავითარ შემთხვევაში. ვერ შევძლებ.

– ჩემთან ხომ არ წამოხვალთ?

– არა, თქვენ ისედაც საკმარისად გაწვალდით. შემიძლია, მშობლებთან წავიდე.

– ძალზე გვიანია მათ გასაღვიძებლად.

– არა, ასე ვერ შეგაწუხებთ, – მან უკვე გადაწყვიტა მიპატიჟებაზე დათანხმება. ფეხები ბამბასავით აქვს.

– რა შეწუხებაა, მე ხომ სამუდამოდ დასარჩენად არ გეპატიჟებით, – ამბობს ეკლზი. ხანგრძლივი ღამე მას ნერვებს უშლის, – თუმცა ოთახების სიმცირეს არ ვუჩივით.

– კარგი, კარგი. ეგრე იყოს. გმადლობთ.

ისინი ჯაჯმაუნთში ნაცნობი გზატკეცილით ბრუნდებიან, რომელიც დაცარიელებულია, სატვირთო მანქანებიც არ ჩანს. თუმცა გვიანი ღამეა, ცა შავი კი არა, უცნაური რუხი ფერისაა. ჰარი უხმოდ გასცქერის გზას საქარე ფანჯრიდან. სხეულიც გაშეშებული აქვს და სულიც. დაკლაკნილი გზატკეცილი დიდ, განიერ, სწორ გზას ჰგავს, რომელიც მათ წინ გაიხსნა. ბაჭიას არაფერი უნდა, გარდა წინსვლისა.

პასტორატს სძინავს. ეკლზს იგი ზემოთ მიჰყავს, ოთახში, სადაც საწოლზე ფოჩებიანი გადასაფარებელია. ბაჭია უხმაუროდ შედის სააბაზანოში, შემდეგ კი, ქვედა საცვლის გაუხდელად, მოკუნტული წვება მოშრიალე სუფთა ზეწრებში და ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დაიკავოს. იგი საწოლის კიდეზე წევს და ისევე აფარებს ძილს თავს, როგორც კუ – თავის ბაკანს. ამაღამ სიზმარი ბნელი, მოჩვენებითი სამეფო კი არ არის, რომელმაც მისი ფხიზელი სული უნდა დაიმორჩილოს, არამედ გამოქვაბული მასშივე, სადაც იგი მიცოცავს და თან უსმენს, თუ როგორ კაწრავს წვიმა ფანჯარას დათვის ბრჭყალებით.

* * *

მზის შუქი, ეს ბებერი ოინბაზი, ოთახს პირთამდე ავსებს.

ტიულჩამოფარებული ფანჯრის ორივე მხარეს, საიდანაც შემოღვრილი სინათლე კარაქივით ესმება კონვერტებისგან აქოჩრილ საწერ მაგიდას, თითო ვარდისფერი სავარძელი დგას. მაგიდის თავზე ასევე ვარდისფერში გამოწყობილი ქალის პორტრეტი ჰკიდია, რომელიც მნახველს პირდაპირ თვალებში შესცქერის. კარს იქიდან ქალის ხმა ისმის.

– მისტერ ენგსტრომ, მისტერ ენგსტრომ.

– დიახ, დიახ, – ხრინწიანი ხმით პასუხობს იგი.

– უკვე პირველის ოცი წუთია. ჯეკმა მთხოვა, გადმომეცა, რომ საავადმყოფოში მიღების საათები პირველიდან სამამდეა, – ბაჭია ხვდება, რომ ეს ჯეკის მკვირცხლი, მოჟღურტულე ცოლია, რომელიც ისე ამთავრებს წინადადებას, თითქოს საცაა უნდა დაამატოს, რა ჯანდაბას აკეთებთ ჩემს სახლში?

– გასაგებია. კარგი. ახლავე გამოვალ.

იგი სწრაფად მოირგებს კაკაოსფერ შარვალს, რომელიც გუშინ საღამოსაც ეცვა, და სააბაზანოსკენ მიემართება. თან ფეხსაცმელები, წინდები და პერანგი მიაქვს. უსიამოვნო განცდა ეუფლება, თითქოს ყველაფერი ჭუჭყიანია, ამიტომ დროს წელავს, რათა ისინი ჩაცმამდე ცოტათი მაინც გაანიავოს. ნამძინარევს, თუმცა სადაც კი მოახერხა, წყალი ყველგან შეისხა, ეს ყველაფერი სააბაზანოდან გამოაქვს და კიბეზე ფეხშიშველი, მაისურის ამარა ეშვება.

ეკლზის პატარა ცოლი დიდ სამზარეულოში ელოდება. ამჯერად ხაკისფერი შორტები აცვია. მაშიებიდან ლაქწასმული ფრჩხილები მოუჩანს.

– როგორ გეძინათ? – ეკითხება მაცივრის გამოღებული კარიდან.

– მკვდარივით. სიზმარიც კი არ მინახავს.

– აი, რას ნიშნავს სუფთა სინდისი, – ამბობს ქალი და მაგიდაზე ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქას ელეგანტური წკრიალით დგამს. ბაჭიას ეჩვენება, რომ ქალი სწრაფად აცილებს თვალს მაისურში გამოწყობილ კაცს.

– ნუ წუხდებით, გეთაყვა. ბრუერში ვისაუზმებ.

– ერბოკვერცხის ან სხვა რამის მომზადებას არ ვაპირებ. გიყვართ ხორბლის ბურბუშელა?

– ვაღმერთებ.

– ძალიან კარგი.

ფორთოხლის წვენი ბაჭიას პირში გემოს უუმჯობესებს. იგი ქალის ფეხებს აკვირდება – როდესაც ქალი მაგიდაზე ჭურჭელს აწყობს, მუხლების ქვემოთ ძარღვები უთრთის.

– ფროიდი როგორ არის? – ეკითხება ბაჭია. მან იცის, რომ ეს, შესაძლოა, ცუდად დამთავრდეს, – იმ საღამოსთან ერთად ქალს ისიც გაახსენდება, საჯდომზე ხელი რომ მოუთათუნეს. სასაცილოა, მაგრამ მისის ეკლზის თანდასწრებით ისეთი შეგრძნება უჩნდება, თითქოს თვითონ არის აქაურობის ბატონ-პატრონი და, მაშასადამე, უცოდველი.

ქალი ტრიალდება, ტუჩებს შიგნიდან ენით ილოკავს, რის გამოც პირი ებრიცება, და კაცს ცივ, ჩაფიქრებულ მზერას მიაპყრობს. ბაჭია იღიმება – ასეთი გამომეტყველება აქვს უფროსკლასელ ახტაჯანა გოგოს, რომელსაც სურს აჩვენოს, რომ იმაზე მეტი იცის, ვიდრე ლაპარაკობს.

– როგორც ყოველთვის. რძით თუ ნაღებით?

– რძით. ნაღები ძალზე სქელია. ხალხი სად არის?

– ჯეკი ეკლესიაშია. ალბათ, თავის რომელიმე მცირეწლოვან დამნაშავეს პინგ-პონგს ეთამაშება. ჯოისსა და ბონის სძინავთ, თუ რატომ – მხოლოდ ღმერთმა იცის. მთელი დილის განმავლობაში სტუმრებისთვის განკუთვნილ ოთახში შემოსვლას ლამობდნენ, რათა ურჩი ბიძიასთვის თვალი მოეკრათ. ძლივს დავაკავე.

– ვინ უთხრა, რომ მე ურჩი ბიძია ვარ?

– ჯეკმა. საუზმის დროს თქვა: «გუშინ ჩვენთან ერთი ურჩი ბიძია მოვიყვანე, რომელიც მალე დამჯერე გახდება». პატარებმა მის ყველა სამეურვეო ბავშვს მეტსახელი შეარქვეს: თქვენ – ურჩი ბიძია, მისტერ კარსონს, ლოთს – სულელი ბიძია, მისის მაკმილანს – დეიდა, რომელიც ღამღამობით რეკავს ხოლმე. არის კიდევ აბეზარი ბიცოლა, ბიძია სმენის აპარატი, დეიდა გვერდითი კარი და ბიძია ჩხარუნა. ჩხარუნა, საერთოდ, ლაპარაკის მოყვარული არ არის, სიტყვას ვერ დააცდენინებ, მაგრამ ერთხელ ბავშვებს ცელულოიდის ხრიალა მოუტანა და მას დილიდან დაღამებამდე ახმაურებდნენ. იქიდან

მოყოლებული, იგი ჩვენი ჩხარუნაა.

ბაჭია იცინის, ლუსი კი ბურბუშელასა და ბევრ რძეს აძლევს, – რუთთან თვითონ ისხამდა რძეს; მას სულ ოდნავ დამბალი ბურბუშელა უყვარს, როდესაც ორივე კომპონენტი თანაბრადაა აღებული, – და მხიარულად განაგრძობს ლაქლაქს.

– ერთხელ ამის გამო დიდი უსიამოვნება მოხდა. ჯეკი ტელეფონით მრევლის საბჭოს ერთ-ერთ წევრს ესაუბრებოდა. უეცრად თავში გაუელვა, რომ კარგი იქნებოდა ჩვენი მუნჯის გამხნევება, მისთვის ეკლესიაში რაიმე საქმის გამონახვა, ჰოდა, არც აცია, არც აცხელა და თქვა: «რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენი ჩხარუნა რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარედ დავნიშნოთ?» საბჭოს წევრმა ჰკითხა: «ჩვენი ვინ?». ჯეკი მიხვდა, რაც თქვა და, ნაცვლად იმისა, რომ სიტყვა ბანზე აეგდო, როგორც ნებისმიერი ჭკუათამყოფელი იზამდა, თანამოსაუბრეს მთელ ისტორიას მოუყვა, იმის ჩათვლით, თუ როგორ დაარქვეს ბავშვებმა მას ჩხარუნა. ცხადია, ამ ამბავმა გაბღენძილი მოხუცი ვერ გააცინა. აღმოჩნდა, რომ ის და ჩხარუნა მეგობრები იყვნენ და ხშირად სადილობდნენ ბრუერში. ასეთია ჩვენი ჯეკი – ყოველთვის ზედმეტს ამბობს ხოლმე. ახლა კი ის მოხუცი მრევლის საბჭოს წევრი ყველას უყვება, თუ როგორ დასცინოდა პასტორი საბრალო ჩხარუნას.

ბაჭია კვლავ იცინის. მის წინ ყავა ჩნდება პატარა, ოქროსმონოგრამიანი ფინჯნით, ლუსი კი მეორე ასეთივე ფინჯნით მაგიდასთან მის პირდაპირ ჯდება.

– მაშასადამე, მან თქვა, რომ მალე დამჯერე გავხდები.

– დიახ. სიხარულისგან მეცხრე ცაზეა. სახლიდან გასვლისას ლამის მღეროდა. თვლის, რომ ეს პირველი სასარგებლო საქმეა, რომელიც მან ჯაჯმაუნთში ჩამოსვლის შემდეგ გააკეთა.

– არ ვიცი, ასეთი რა გააკეთა, – ამბობს ბაჭია მთქნარებით.

– არც მე, მაგრამ მას რომ მოუსმინოთ, ყველაფერმა მის მხრებზე გადაიარა.

მინიშნება, რომ მას რაღაცის გაკეთება აიძულეს, ბაჭიას კრიტიკულად განაწყობს. იგი ცალყბად იღიმება.

– შეუძლებელია! ასე ამბობს?

– განუწყვეტლივ. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ძალიან უყვარხართ.

– მე ყველას ვუყვარვარ.

– მეც სულ ეს მესმის. საბრალო მისის სმიტი ხომ მოაჯადოეთ. საოცრებად გთვლით.

– არ ეთანხმებით?

– ალბათ, ჯერ პატარა ვარ და ვერ ვხვდები. სამოცდაცამეტი წლის რომ ვიყო, შესაძლოა... – მას ფინჯანი ტუჩებთან მიაქვს, ხრის და ორთქლთან სიახლოვის გამო ვიწრო ცხვირზე ჭორფლი უფრო მკვეთრად მოუჩანს. ჯიუტი გოგონაა. დიახ, დიახ, აშკარაა, რომ ჯიუტი გოგონაა. ქალი ფინჯანს მაგიდაზე დგამს და კაცს მრგვალი მწვანე თვალებით შესცქერის. ბაჭიას ეჩვენება, რომ იგი წარბებს შორის არსებული სამკუთხედიდანაც უყურებს და დასცინის, – მომიყევით, რას ნიშნავს ახალი ცხოვრების დაწყება. ჯეკი იმედს არ კარგავს, რომ გამოვსწორდები. მინდა ვიცოდე, რა მელის. თქვენ «ხელახლა დაიბადეთ»?

– ვერაფერს გეტყვით. თავს ძველებურად ვგრძნობ.

– ყოველ შემთხვევაში, ძველებურად აღარ იქცევით.

– მართლა? – ბურტყუნებს იგი და სკამზე ცქმუტავს.

რატომ არის ბაჭია უგუნებოდ? ქალს სურს, მას დედიკოს სულელ ბიჭად აგრძნობინოს თავი, მხოლოდ იმიტომ, რომ ცოლთან დაბრუნება უნდა. მართლაც აღარ იქცევა უწინდებურად, ამ ქალთანაც სხვაგვარად გრძნობს თავს, ისეთი უდარდელი აღარაა, როგორიც იმ დღეს, როდესაც დაუფიქრებლად წამოარტყა საჯდომზე ხელი.

– გუშინ საღამოს, როდესაც აქეთ მოვდიოდით, ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემ წინ სწორი გზა იყო, ადრე კი მეჩვენებოდა, რომ ბუჩქებში დავიკარგე და სულერთი იყო, სადაც წავიდოდი.

პატარა სახე ყავის ფინჯნის ზემოთ, რომელიც ქალს ორივე ხელით სუპით სავსე ჯამივით უჭირავს, აღტაცებას გამოხატავს. ბაჭია ელოდება, როდის გაიცინებს ქალი, მაგრამ ის მხოლოდ უსიტყვოდ იღიმება. ვუნდივარ, ფიქრობს კაცი.

შემდეგ ჯენისს იხსენებს, მის პარალიზებულ ფეხებს, მის

ლაქლაქს ფეხის თითების, სიყვარულისა და ლიმონათის შესახებ, და, შესაძლოა, ეს ფიქრი დაღს ასვამს სახეზე, ვინაიდან ლუსი ეკლზი მისკენ ტრიალდება და დანანებით ამბობს:

– მგონი, დროა, მაგ შესანიშნავ სწორ გზას გაუყვეთ. პირველს უკვე ოცი წუთი აკლია.

– რა დრო სჭირდება ავტობუსის გაჩერებამდე ფეხით მისვლას?

– ცოტა. რომ არა ბავშვები, საავადმყოფომდე მანქანით მიგიყვანდით, – იგი მიაყურადებს, – ძაღლი ახსენე, ჯოხი გვერდზე მოიგდეო: ერთი უკვე მოდის.

როდესაც ბაჭია წინდებს იცვამს, უფროსი გოგონა შარვლის ამარა შემოტანტალდება სამზარეულოში.

– ჯოის! – ლუსი, რომელსაც ცარიელი ფინჯნები ონკანისკენ მიაქვს, შუა გზაზე ჩერდება, – ახლავე წადი და დაწექი.

– გამარჯობა, ჯოის, – ამბობს ბაჭია, – ურჩი ბიძიას სანახავად მოხვედი?

ჯოისი მას გაფართოებული თვალებით შესცქერის და ზურგით კედელს ეხახუნება. შარვლიდან ღრმააზროვნად მოუჩანს ოქროსფერი მუცელი.

– ჯოის, ვერ გაიგე, რაც გითხარი?

– რატომ არის ბიძია უპერანგოდ? – მკაფიოდ წარმოთქვამს გოგონა.

– არ ვიცი, – პასუხობს დედა, – ალბათ, ფიქრობს, რომ ლამაზი მკერდი აქვს.

– მე მაისური მაცვია, – ამბობს ბაჭია. უკვირს, რომ ამას თითქოს ვერც დედა ამჩნევს და ვერც შვილი.

– ეს მისი ბიუსტია? – კითხულობს ჯოისი.

– არა, ძვირფასო, ბიუსტი მხოლოდ ქალებს აქვთ. ჩვენ ეს უკვე ვისწავლეთ.

– კი ბატონო, თუ ეს ყველას ნერვებს უშლის, – ამბობს ბაჭია და ნაცრისფერსაყელოიან დაჭმუჭნილ პერანგს იცვამს. ბაჭიამ იგი კლუბ «კასტანიეტებში» წასვლის წინ მოირგო. პიჯაკი არა აქვს:

რუთისგან წამოსვლისას ძალზე ჩქარობდა, – კარგი, – ამატებს და პერანგს შარვალში იტანიებს, – დიდი მადლობა.

– არაფრის, – ამბობს ლუსი, – ახლა კი ჭკვიანად.

დედა-შვილი ბაჭიას დერეფანში მიუძღვება. ლუსის თეთრი ფეხები გოგონას შიშველ ტანს ერწყმის. პატარა ჯოისი კაცს თვალს არ აცილებს. ბაჭიას ვერ გაუგია, რატომაა გოგონა შეფიქრიანებული. ბავშვებსა და ძაღლებს სხვანაირი ალღო აქვთ. იგი ცდილობს, გაარკვიოს, გულისხმობდა თუ არა სიტყვები «ახლა კი ჭკვიანად» დაცინვას, და საერთოდ, რას ნიშნავდა. ნეტავ მართლა მიეყვანა საავადმყოფომდე. მას უნდა, ძალიან უნდა მასთან ერთად მანქანაში ჩაჯდომა. იმიტომ კი არა, რომ რამე უქნას, არა, მხოლოდ ვითარებაში გასარკვევად. იგი ფეხს ითრევს და მათ შორის ჰაერი მკვეთრად იჭიმება.

ისინი კართან დგანან, ის და ეკლზის ცოლი გადატკეცილი ბავშვური კანით. ქვემოდან მათ ჯოისი შესცქერით, რომელსაც ფართო ტუჩები და სქელი წარბები აქვს, უფრო ქვემოთ კი ლუსის ლაქწასმული ფრჩხილები ელავს – ნოხზე მოთავსებული პატარა წითელი ნიჟარების ორი რიგი. ბაჭია საჰაერო სიმებზე უარყოფის მანიშნებელ ბგერას გამოსცემს და ხელს კარის სახელურს ჰკიდებს. სულელური აზრი, რომ ბიუსტი მხოლოდ ქალებს აქვთ, აეკვიატა და არ ასვენებს. მას ლუსის ფრჩხილებიდან მზერა ჯოისის ყურადღებიან სახეზე გადააქვს, იქიდან კი დედამისის ბიუსტზე – ორ წვეტიან გირჩაზე ბლუზის ქვეშ, რომლის თხელი ქსოვილიდან ბიუსტჰალტერის თეთრი ჩრდილი მოჩანს. როდესაც მისი და ქალის თვალები ერთმანეთს შეხვდება, სიჩუმეში რაღაც განსაცვიფრებელი გაიბრწყინებს. ლუსი თვალს უკრავს, ელვისებურად. იქნებ მოეჩვენა? ბაჭია სახელურს ატრიალებს და მზით განათებულ ბილიკზე გადის. მკერდში ტკაცუნი გაისმის, თითქოს შიგნით რომელიღაც სიმი გაწყდა.

* * *

საავადმყოფოში ბაჭიას ეუბნებიან, რომ ჯენისს ცოტა ხნით ბავშვი მიუყვანეს და კარგი იქნება, თუ ცოტას მოიცდის. იგი

მოქრომულსახელურებიან სავარძელში ზის და ჟურნალ «ქალის დღეს» ფურცლავს, როდესაც ჰოლში მაღალი ქალი შემოდის უკან გადავარცხნილი ჭაღარა თმითა და მოვერცხლისფრო, ოდნავ დანაოჭებული კანით. ბაჭიას მისი სახე ისე ეცნაურება, რომ თვალს ვერ აცილებს. ამას ქალიც შეამჩნევს და გამოელაპარაკება, თუმცა იგრძნობა, რომ არ ეხალისება. ნეტავ ვინ არის? შორეული წარსულიდან რაღაც ნაცნობი ამოტივტივდება. ქალი უხალისოდ შესცქერის სახეში და ეუბნება:

– თქვენ მარტის ყოფილი მოწაფე ხართ. მე კი ჰარიეტ ტოთერო გახლავართ. მახსოვს, ერთხელ ჩვენთან სადილად იყავით. ახლავე გავიხსენებ, რა გქვიათ.

დიახ, რა თქმა უნდა, მაგრამ ბაჭიას იგი იმიტომ კი არ ახსოვს, რომ მათთან ისადილა, არამედ იმიტომ, რომ ერთხელ ქუჩაში შეხვდა. ჯაჯმაუნთის უფროსკლასელთა უმრავლესობამ კარგად იცოდა, რომ ტოთერო ქალების მუსუსი იყო და მათ უმანკო თვალებში მისი ცოლი ცეცხლის ალში გახვეულ მსხვერპლს წარმოადგენდა, ცოდვის ცოცხალ აჩრდილს. ეს ქალი მათში არა მარტო სიბრალულს, არამედ რაღაც არაჯანსაღ ცნობისმოყვარეობასაც იწვევდა. თვითონ ტოთერო ისეთი ყბედი და მასხარა იყო, რომ ყველაფერი ხახვივით შერჩებოდა ხოლმე. სამაგიეროდ, ყველა მისი ცოდვა მის მაღალ, ვერცხლისფერკანიან, მკაცრი შესახედაობის მეუღლეში იყრიდა თავს და მისგან ისეთი ელექტრული მუხტი მოდიოდა, რომ მათ ჭაბუკურ გონებას უბინდავდა და აიძულებდა, შიშითა და დარცხვენით აერიდებინათ მისთვის თვალი. ჰარი დგება და გაოცებული აღმოაჩენს, რომ სამყარო, რომელშიც ეს ქალი ცხოვრობს, ახლა მისიც გამხდარა.

– მე ჰარი ენგსტრომი ვარ, – ამბობს იგი.

– დიახ, დიახ, გამახსენდა. თქვენით ძალზე ამაყობდა და ხშირად გახსენებდათ. ცოტა ხნის წინაც კი.

ცოტა ხნის წინ. ნეტავ რა უთხრა? იცის თუ არა მათი თავგადასავლების შესახებ? ხომ არ კიცხავს? სკოლის მასწავლებლის მოგრძო სახე, როგორც ყოველთვის, არაფერს ამჟღავნებს.

– გავიგე, ავად ყოფილა.

– დიახ, ჰარი, ავადაა. თანაც მძიმედ. ორჯერ დაეცა დამბლა. მეორედ უკვე საავადმყოფოში.

– აქ წევს?

– დიახ. ხომ არ ინახულებდით? ძალიან გაუხარდება. სულ ერთი წუთით. მასთან ცოტა ვინმე თუ მოდის სანახავად. სკოლის მასწავლებლისთვის ეს ტრაგედიაა – შენ ბევრი გახსოვს, მაგრამ ცოტას თუ ახსოვხარ.

– რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვინახულებ.

– მაშინ გამომყევით, – ისინი დერეფანს მიუყვებიან და ქალი ამბობს, – ვშიშობ, ძალზე შეცვლილი მოგეჩვენებათ.

ამ სიტყვების აზრს ბაჭია ბოლომდე ვერ ხვდება. მას ყურადღება ქალის კანზე გადააქვს და ცდილობს, გაარჩიოს, მართლაც შედგება თუ არა იგი ერთმანეთზე გადაკერებული უამრავი ხვლიკის ტყავისგან, მაგრამ მხოლოდ კეფასა და ხელებს ხედავს.

პალატაში მხოლოდ ტოთეროა. სასთუმლის გარშემო ჩამოკიდებული თეთრი ფარდები თითქოს რაღაცას ელიან. ფანჯრის რაფებზე მწვანე მცენარეები ბეჯითად გამოყოფენ ჟანგბადს. ღია ფრამუგებიდან[26] ოთახი ზაფხულის სურნელით ივსება. ქვემოთ, ხრეშზე, ვიღაცის ფეხის ხმა ისმის.

– სტუმარი მოგიყვანე, ძვირფასო. რაღაც სასწაულის ძალით იგი მისაღებში აღმოჩნდა.

– გამარჯობა, მისტერ ტოთეროო. ჩემმა მეუღლემ იმშობიარა.

ამ სიტყვებით იგი ანგარიშმიუცემლად უახლოვდება ტოთეროს. საწოლზე მობუზული მოხუცის სახე, გვერდზე მოქცეული პირითა და უმწეოდ გადმოვარდნილი ენით, მას თავზარს სცემს. ტოთეროს ჭაღარა წვერ-ულვაში ბალიშზე ყვითლად მოჩანს, იაფფასიანი კანფეტის ქაღალდის მსგავსი ზოლიანი პიჟამის სახელოებიდან წვრილი მაჯები გამოჩრილა. ბაჭია მას ხელს უწვდის.

– იგი ხელს ვეღარ ერევა, ჰარი. სრულიად უმწეოა. მაგრამ დაელაპარაკეთ. ჯერჯერობით კიდეც ხედავს და კიდეც ესმის.

მისი რბილი, მოთმინებით აღსავსე ხმა ავის მომასწავებლად ისმის, როგორც უსიტყვო სიმღერა ცარიელ ოთახში.

ვინაიდან ჰარიმ ხელი უკვე გაიწვდინა, იგი ტოთეროს ხელის ზურგზე უთათუნებს. სიმშრალის მიუხედავად, თხელი, აბურძგნილი ბეწვით დაფარული ხელი თბილია, რომელსაც ავადმყოფი მოულოდნელად ხელისგულით ზემოთ შეატრიალებს და ისე შეაგებებს, რაც ბაჭიას თავზარს სცემს. იგი თითებს გამოსტაცებს და საწოლის გვერდით მდგარ სკამზე ჯდება. მისი ყოფილი მწვრთნელი ძლივს შესამჩნევად ტრიალდება სტუმრისკენ. ლოყები ისე ჩასცვივნია, რომ თვალები ლამის ორბიტიდან გადმოუცვივდეს. ხმა უნდა ამოიღოს, ლაპარაკია საჭირო.

– ჩემმა ცოლმა გოგონა გააჩინა. მინდა მადლობა გადაგიხადოთ, – ამბობს ბაჭია ხმამაღლა, – რომ ჯენისთან დაბრუნებაში დამეხმარეთ. ძალზე გულკეთილი იყავით ჩემდამი.

ტოთერო ენას გამოყოფს და თავს მიაბრუნებს, რათა ცოლს შეხედოს. რაღაცის თქმას აპირებს, ყბის ზემოთ კუნთი უთრთის, ტუჩები უნაოჭდება, ნიკაპი მაჯისცემის სიჩქარით უკანკალებს. პირი რამდენიმე ხმოვან ბგერას გამოსცემს. ჰარი მისის ტოთეროსკენ ტრიალდება იმ იმედით, რომ ნათქვამის გაშიფვრაში დაეხმარება, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ქალი სხვა მხარეს იყურება – ფანჯრიდან ცარიელ, მწვანე ეზოს გასცქერის. სახე ფოტოსურათს მიუგავს.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ქალს ქმრის მდგომარეობა არ ადარდებს? თუ ასეა, იქნებ ტოთეროს მარგარეტის შესახებ უნდა უამბოს? მაგრამ რა უთხრას ისეთი, რომ გული გაუხაროს?

– მე გამოვსწორდი, მისტერ ტოთერო. ვიმედოვნებ, თქვენც მალე გამოჯანმრთელდებით და წამოდგომას შეძლებთ.

გაღიზიანებული ტოთერო სწრაფად აბრუნებს თავს ძველ მდგომარეობაში, თვალებს ოდნავ აელმებს და წუთით ისეთი აზრიანი გამოხედვა აქვს, რომ ჰარის ეჩვენება, ახლა რაღაცას მეტყვისო, თითქოს ეს პაუზა მხოლოდ ძველი პედაგოგიური ხერხია – დუმილი, სანამ მსმენელი ყურადღებას არ მოიკრებს. მაგრამ პაუზა გრძელდება და იბერება, თითქოს სამოცი წლის შემდეგ, ფრაზების ერთმანეთისგან გამოცალკევებას რომ მიეჩვია, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი სიცოცხლე შეიძინა, სიმსივნესავით გაფართოვდა და ყველა სიტყვა გადაყლაპა. მაგრამ სიჩუმის პირველ წუთებში ტოთეროდან რაღაც ძალა

მოდის, მისი სული ინტენსიურად ასხივებს უხილავ, უსუნო სხივებს. ამიტომ მის თვალებში ნაპერწკალი ქრება, ყავისფერი ქუთუთოები იღება და ვარდისფერ ჟელესმაგვარ მასას აჩენს, ტუჩები იხსნება, პირიდან კი ენის წვერი მოიწევს.

– ახლა უნდა წავიდე და ცოლი ვინახულო, – ამბობს ჰარი, – გუშინ იმშობიარა. გოგო შეგვეძინა.

მოულოდნელად კლაუსტროფობია ეძალება, თითქოს ტოთეროს თავის ქალაში იჯდეს. ადგომისას ეშინია, რომ თავი პალატის თეთრ ჭერს არ მიარტყას, თუმცა იქამდე რამდენიმე იარდია.

– დიდი მადლობა, ჰარი. ვიცი, რომ თქვენი დანახვა ძალიან გაუხარდა, – ამბობს მისის ტოთერო, მაგრამ მისი ხმის მიხედვით ბაჭია გრძნობს, რომ გამოცდაზე ჩაფლავდა. იგი გაუშვეს და ახლა ზამბარისებრი ნაბიჯით მიუყვება დერეფანს. იმის გამო, რომ ჯანმრთელადაა, რომ ახალ, ზნეობრივ ცხოვრებას შეუდგა, ჰაერი, საავადმყოფოს დერეფნების ანტისეპტიკური ჰაერიც კი კეთილსურნელებით ივსება. მაგრამ ჯენისთან ვიზიტი იმედს უცრუებს. შესაძლოა, მას ჯერაც მაჯლაჯუნასავით აწვება ტოთეროს სახე, რომელიც მკვდარივით გაშოტილა. შესაძლოა, ეთერის ზემოქმედებიდან გამოსულ ჯენისს ახსენდება, თუ როგორ მოექცა ქმარი. იგი ჩივის, რომ გაკერილი ადგილები საშინლად სტკივა, ხოლო როდესაც ჰარი კვლავ ცდილობს სინანულის გამოხატვას, ქალი აშკარად მოიწყენს. ბაჭიას ისიც უმძიმებს გულს, რომ ვერავის ასიამოვნა. ჯენისი ეკითხება, ყვავილები რატომ არ მომიტანეო. პასუხობს, რომ ვერ მოასწრო, უყვება, სად გაათია ღამე, და ჯენისიც, რა თქმა უნდა, მისის ეკლზის აღწერას სთხოვს.

– შენსიმაღლეა და ჭორფლიანი, – ფრთხილად პასუხობს იგი.

– შესანიშნავი ქმარი ჰყავს. ყველა უყვარს.

– ჰო, კარგი ბიჭია, ოღონდ ნერვებს მიშლის.

– შენ ყველა ნერვებს გიშლის.

– ტყუილია. მარტი ტოთერო არ მიშლიდა არასოდეს ნერვებს. ახლახან ვნახე საბრალო მოხუცი დერეფნის იქით მდებარე პალატაში. გაშოტილა და სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებს, მარტო თავს აქნევს.

– იმის თქმა გინდა, რომ ის ნერვებს არ გიშლის, მე კი გიშლი, არა?

– ამგვარი არაფერი მითქვამს.

– რა თქმა უნდა. ოჰ, ეს დაწყევლილი ნაკერები, ეკლიან მავთულებს ჰგავს. მე ისე გიშლიდი ნერვებს, რომ გაიქეცი და ორი თვე აღარ გამოჩენილხარ. უფრო მეტიც კი.

– ღმერთო ჩემო, ჯენის. შენ ტელევიზორთან ჯდომისა და დალევის მეტს არაფერს აკეთებდი. თავს არ ვიმართლებ, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კუბოში ცოცხლად ჩამდეს. იმ საღამოს, როდესაც თქვენი სახლის სიახლოვეს მანქანაში ჩავჯექი, მაშინაც კი შემეძლო ნელსონისთვის შემევლო და შინ დავბრუნებულიყავი, მაგრამ როგორც კი მუხრუჭს ფეხი ავუშვი...

ქალის სახე კვლავ მოწყენილობას გამოხატავს. თავს ისე აქნევს, თითქოს ბუზებს იგერიებსო.

– ჯანდაბა, – ამბობს ბაჭია.

ეს ბოლო წვეთია, რომელიც ქალს მოთმინების ფიალას უვსებს.

– როგორც ვხედავ, იმ ბოზთან ცხოვრებამ მეტყველება ვერ გამოგისწორა.

– სულაც არ არის ბოზი. უბრალოდ, ხან ვისთან იწვა და ხან ვისთან. იცი, რამდენია მისნაირი? იმის თქმა მინდა, რომ თუ ყველა გაუთხოვარ ქალს ბოზს ვუწოდებთ...

– ახლა სად აპირებ ცხოვრებას? სანამ საავადმყოფოში ვარ.

– ვფიქრობდი, ნელსონთან ერთად ჩვენს ბინაში დავბრუნდები-მეთქი.

– არა მგონია, ეგ შესაძლებელი იყოს. ორი თვეა, გადასახადი არ გადაგვიხდია.

– როგორ? არ გადაგიხდია?

– ღმერთო ჩემო, ჰარი. ძალზე ბევრს ითხოვ. იქნებ გგონია, რომ ჩვენი ბინის ქირას მამაჩემი გადაიხდის? მე ფული არა მაქვს.

– ბინის პატრონი უკვე მოვიდა? ჩვენი ავეჯი სადაა? ქუჩაში გაიტანა?

– არ ვიცი.

– არ იცი? აბა, რა იცი? რას აკეთებდი მთელი ეს დრო? გეძინა?

– შენს ბავშვს ვატარებდი მუცლით.

– დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ სხვაზე არაფერზე ფიქრობდი? უბედურება ისაა, ჩემო კარგო, რომ ყველაფერი ფეხებზე გკიდია. გკიდია და მორჩა.

– რადგან შენ იტყვი.

ბაჭია ცდილობს თავისივე სიტყვებს ყური დაუგდოს, აგონდება, რას გრძნობდა წუხელ, და გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ყველაფერს თავიდან იწყებს.

– მომისმინე, მიყვარხარ, – ამბობს იგი.

– მე კი შენ მიყვარხარ. ოცდახუთცენტიანი თუ გაქვს?

– ალბათ, მაქვს. ახლავე ვნახავ. რისთვის გჭირდება?

– თუ მონეტას ამ ჭრილში ჩააგდებ, – ჯენისი ტელევიზორზე მიუთითებს, რომელიც მაღალ სადგარზეა მოთავსებული, რათა ავადმყოფებმა საწოლიდანაც დაინახონ ეკრანი, – ერთი საათის განმავლობაში ჩართული იქნება. ორ საათზე ერთი სულელური გადაცემაა, რომელსაც მე და დედა შინ ყოველდღე ვუყურებდით.

ბაჭია ზის და ნახევარი საათის განმავლობაში მისჩერებია, თუ როგორ არ აძლევს გასაქანს მოკლედ თმაშეკრეჭილი წამყვანი ოჰაიოს შტატის ქალაქ აკრონისა და კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდის ასაკიან ქალებს. საქმე ის არის, რომ ეს ქალები თავიანთი ტრაგედიის შესახებ ჰყვებიან, შემდეგ კი გამომუშავებული აპლოდისმენტების შესაბამისად, გარკვეულ თანხას იგებენ. მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც წამყვანი ახალი საქონლის რეკლამირებას დაასრულებს და ქალებსაც საკმარისად გაეხუმრება შვილიშვილებისა თუ მათი ახალგაზრდული ვარცხნილობის შესახებ, აღმოჩნდება, რომ ტრაგედიებისთვის დრო თითქმის აღარ რჩება. ბაჭია ელოდება, რომ წამყვანი, რომელიც, ტემპის მიუხედავად, სიტყვებს ებრაელების მსგავსად მკაფიოდ წარმოთქვამს, ახლა «მაგიური სახეხელას» რეკლამაზეც გადავა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საქონელმა ჯერაც ვერ შეაღწია ბიზნესის უმაღლეს სფეროებში.

პროგრამას არა უშავს: ხელოვნური ქერათმიანი ქალიშვილები – ტყუპი მოქანავე საჯდომებით – ქალებს მიკროფონებისა და კაბინებისკენ უბიძგებენ, საიდანაც აპლოდისმენტები ხმას აღარ ჩაახშობს. ეს ერთგვარად შერიგებასაც უწყობს ხელს – ის და ჯენისი ხელიხელჩაკიდებულნი სხედან. როდესაც ბაჭია ზის, საწოლი მისი მხრების დონეზეა და მასაც მოსწონს ქალის გვერდით ამ უცნაურ მდგომარეობაში ყოფნა. თითქოს მხრებზე შემოსმული მიჰყავს და წონასაც ვერ გრძნობს. იგი სასთუმალს მაღლა სწევს, ჭიქით წყალი მოაქვს და ეს წვრილმანი სამსახური მის რომელიღაც შინაგან მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. გადაცემა ჯერაც გრძელდება, როცა მომვლელი ქალი შემოდის და ამბობს:

– მისტერ ენგსტრომ, თუ შვილის ნახვა გსურთ, სათვალიერებელ ფანჯარასთან მიბრძანდით.

ბაჭია მას დერეფანში მიჰყვება. გახამებული თეთრი ხალათის ქვეშ ქალის კვადრატული თეძოები ირწევა. სქელი კეფის მიხედვით ბაჭია მას თავიდან ფეხებამდე წარმოიდგენს – მშვენიერი ხორცის ნაჭერია. მსუქანი ბარძაყები. მას მოსწონს მსუქანბარძაყიანი ქალები. გარდა ამისა, იმის გაგებაც სურს, რას იტყვის ქალი ილინოისის ქალაქ სპრინგფილდიდან, რომლის ვაჟიშვილიც საშინელ ავტოკატასტროფაში მოყვა და ხელი დაკარგა. ამიტომ სრულიად მოუმზადებელია, როდესაც მომვლელს საბავშვო განყოფილებიდან, სადაც პატარა ფუთები ფორთოხლის მსგავსი თავებით უნივერსამის კალათებში ერთმანეთის გვერდიგვერდ აწყვია – ზოგიერთი მათგანი ძალიან ცერად, – ფანჯარასთან მისი ქალიშვილი მოჰყავს. ბაჭიას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მკერდს, ღუმლის მილის მსგავსად, ხუფი ახადეს. მოულოდნელი ორპირი ქარი სუნთქვას უყინავს. ხალხის თქმით, ახალშობილები შეუხედავები არიან და, შესაძლოა, სწორედ ეს იწვევს მის გაოცებას. მომვლელს გოგონა ისე უჭირავს, რომ პატარას წითელი პროფილი მკვეთრად მოჩანს მისი თეთრი ხალათის ფონზე. ნესტოების გარშემო ნამცეცა ნაოჭები საოცრად მკაფიოდ მოჩანს, დახურული ქუთუთოს ერთი ციცქნა ნაკერი დიაგონალზე საკმაოდ გრძლადაა გაწელილი, თითქოს თვალი, როდესაც გაიღება, უშველებელი იქნება და ყველაფერს დაინახავს და გაიგებს. მაგრად დახუჭული თვალების სიმშვიდესა და აბზეკილი ზედა ტუჩის დახრილობაში მედიდური უგულებელყოფა იკითხება. ჩანს, რომ მან იცის

საკუთარი თავის ფასი. ბაჭია არაფრით ელოდა, რომ შავი კულულებით დაფარული, წაგრძელებული ვარდისფერი თავის დანახვაზე ქალურობისა და სინაზის მკვეთრი შეგრძნება დაეუფლებოდა. ნელსონს თავზე კოპები და ლურჯი სისხლძარღვები მოუჩანდა, კეფის გამოკლებით, სრულიად უთმო იყო. ბაჭია ფანჯარაში ისე ფრთხილად იყურება, თითქოს მის მზერას ამ მოულოდნელად გაჩენილი სიცოცხლის მყიფე მექანიზმის დამსხვრევა შეუძლია.

მომვლელი ქალის ღიმილი, რომელსაც მინა ამახინჯებს, ბაჭიას თვალებსა და გოგონას ცხვირს შორის მოჩანს და არწმუნებს მას, რომ იგი მამაა. შეღებილი ტუჩების მოძრაობა შეკითხვას გამოხატავს. ბაჭია ყვირის: «კარგი! დიახ!» – თან გაფარჩხული თითები ყურებთან მიაქვს. «იგი გადასარევია», – ამატებს იგი და ხმას ძაბავს, რათა მომვლელს ფანჯრის მიღმა რამე გააგონოს, მაგრამ ქალი მის ქალიშვილს უკვე უნივერსამის კალათში აწვენს. ბაჭია სხვა მხარეს ტრიალდება, მორიგი მამის უძილობით გაწამებულ სახეს ხედავს და ხარხარებს. იგი ჯენისთან ბრუნდება. ყურებში ქარი უწივის, თვალწინ კი ახალშობილის პროფილი უდგას წითლად მოგიზგიზე ალივით. საპნით გაჟღენთილ დერეფანში თავში იდეა მოსდის – გოგონას ჯუნი უნდა დაარქვას. ახლა ივნისია, იგი ივნისში დაიბადა. მის ნაცნობებს შორის ჯუნი არავის ჰქვია. ეს ჯენისსაც უნდა მოეწონოს – მისი სახელიც ხომ «ჯ»-ზე იწყება. მაგრამ ამ საკითხზე ჯენისიც ფიქრობდა, რომელსაც სურს, გოგონას ბებიის სახელი დაარქვას. ბაჭია არასდროს დაფიქრებულა იმაზე, რომ სახელი მისის სპრინგერსაც ჰქონდა. კერძოდ, რებეკა. ის, რომ ასე ამაყობს შვილით, ჯენისს გულს ულბობს, ბაჭია კი, თავის მხრივ, ძალზე კმაყოფილია ცოლის არჩევანით – მას ხშირად ეჩვენებოდა, რომ ჯენისს დედა არ უყვარდა. ბოლოს კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღეს – რებეკა ჯუნ ენგსტრომი.

* * *

სწორი გზა მოუტკეპნიათ კიდეც. აღმოჩნდა, რომ მისტერ სპრინგერი მათი ბინის ქირას მუდმივად იხდიდა. ბინის პატრონი მისი ახლო მეგობარი იყო, ამიტომ ქალიშვილი აღარ შეაწუხა და ყველაფერი თვითონ მოაგვარა. მას ყოველთვის

ჰქონდა წინათგრძნობა, რომ ჰარი დაბრუნდებოდა, მაგრამ, ყოველი შემთხვევისთვის, თავის აზრს არავის უმხელდა. ჰარი და ნელსონი შინ ბრუნდებიან და ყველაფერს აწესრიგებენ. ბაჭიას ყოველთვის ეხერხებოდა საოჯახო საქმიანობა. მას მოსწონს, როგორ ისრუტავს მტვერსასრუტი მტვერს და შლანგის გავლით ქაღალდის პარკში აგროვებს, ხოლო როდესაც პარკი მკვრივი ნაცრისფერი გინგლით ივსება, «ელექტროლუქსს» სახურავს ისე ხდის, როგორც ჯენტლმენი იხდის შლაპას მისალმებისას. მაგრამ არც იმის თქმა იქნება სწორი, რომ «მაგიური სახეხელას» რეკლამირება სრულებით არ გამოსდის. იგი ბუნებრივად არის მიდრეკილი ცივილიზაციის წვრილმანებისკენ – ყოველგვარი სამსხვრევების, საჭრელებისა და დამჭერებისკენ. როგორც ჩანს, უფროსი შვილი ყოველთვის გოგო უნდა იყოს – მიმი, რომელიც ენგსტრომების ოჯახში ბაჭიას შემდეგ გაჩნდა, არასდროს მდგარა ძმასავით ახლოს სამზარეულოს გაპრიალებულ გულთან, ოჯახის საქმეებში ყოველთვის მეორეხარისხოვანი როლებით კმაყოფილდებოდა და გამუდმებით წუწუნებდა, როდესაც თავისი წილი სამუშაოს შესრულება უწევდა, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდებოდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ჰარი ბიჭი იყო. ალბათ, იგივე მოხდება ნელსონისა და რებეკას შემთხვევაშიც.

ნელსონი მნიშვნელოვანი დამხმარეა. იგი მალე სამი წლის გახდება, უკვე შეუძლია დავალებების შესრულება ოთახში, იცის, რომ სათამაშოები კალათში უნდა ჩააწყოს, შუქიც მოსწონს, სისუფთავეც და წესრიგიც. ივნისის ნიავი კარგა ხნის გაუღებელ ფანჯრებზე გაკრულ ბადეებში აღწევს. ამ ბადეს მზე ასობით მბრწყინავი ხაზითა და კუთხით აჭრელებს. ფანჯრებს მიღმა უელბერ-სტრიტი ქვევით მიექანება. ტოლით გადახურულ ბრტყელ სახურავებზე, რომლებიც ავდრისგან წვრილი ნაოჭებითაა დაფარული, კენჭების, კანფეტის ქაღალდებისა და შუშის ნამტვრევებისგან საიდუმლო მოხატულობები ბრწყინავს – მთელი ეს ნაგავი, ალბათ, ღრუბლებიდან ჩამოვარდა ან ჩიტებმა შემოიტანეს ამ ცისქვეშეთში მდებარე ქუჩაზე, რომელზეც სატელევიზიო ანტენები და სახანძრო ჰიდრანტებივით დიდი, კაპიუშონიანი მილები იზრდება. ქუჩის ქვედა მხარეს სამი ამგვარი სახურავი სადრენაჟე ტერასების მსგავსი დახრილობით – სამი განიერი ჭუჭყიანი საფეხური – ფლატეს კიდემდე მიდის, რომლის ქვემოთაც უფრო მდიდრული სახლები დგას – მობათქაშებული

აგურის სიმაგრეები ვერანდების, მანსარდებისა და მეხამრიდების ქონგურებით. მათ წიწვოვანი ხეები და ბუჩქები დარაჯობენ, ბანკებსა და იურიდიულ ფირმებთან გაფორმებული ხელშეკრულებები იცავენ. უცნაურია, რომ მათ ზემოთ იაფი მრავალბინიანი სახლები ააშენეს – მდიდრები ქალაქის ზრდამ დააღალატა. მთის ფერდობზე მდგარი ქალაქისთვის სიმაღლე ჩვეულებრივი რამაა და მას დიდად არ აფასებენ. ყველაფერზე პირველყოფილი მთის ქედი ბატონობს, უღრანი ტყე, რომელიც ქალაქის პრესტიჟული ნაწილიდან მოუკირწყლავი ქუჩებით, მიგდებული ფერმებით, სასაფლაოთი და დაუმთავრებელი ახალმშენებლობებითაა გამოყოფილი. უილბერ-სტრიტის მოკირწყვლა ბაჭიას სახლიდან ერთი კვარტალის შემდეგ მთავრდება, მერე კი გრეიდერული გზა იწყება სხვადასხვაფრად შეღებილი რანჩოების ორ მოკლე რიგს შორის, რომლებიც 1953 წელს არის აშენებული ტყისგან გამოთავისუფლებულ წითელ მიწაზე, სადაც მხოლოდ ალაგ-ალაგ თუ ხარობს მწვანე ბალახი, ასე რომ, ბარაქიანი წვიმის მერე ქუჩაში წითელი ჩამდინარე წყალი მიედინება. შემდეგ ბორცვი უფრო დამრეცი ხდება და ტყეები იწყება.

ფანჯრიდან ქალაქის მოპირდაპირე მხარე მოჩანს: იმის იქით განიერი დამუშავებული ველი და გოლფის სათამაშო მინდორია. «ჩემი ველი, ჩემი მშობლიური სახლი», – ფიქრობს ჰარი. დალაქავებული მწვანე შპალერი, ნოხები მუდმივად აპრეხილი კუთხეებით, განჯინის სახელური, ტელევიზორს რომ ეხეთქება, რომელსაც ამ თვეების განმავლობაში გადაეჩვია კიდეც, – ეს ყველაფერი მოულოდნელი ძალით ჩნდება მეხსიერებაში და ცნობიერების გარკვეულ ნაწილს ეხლართება. ყოველი კუთხე, ყოველი ბზარი, საღებავის ფენის ყოველი უსწორმასწორობა ტვინში გარკვეულ ჭდეს შეესაბამება. ბაჭია კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით განაგრძობს ბინის მოწესრიგებას.

დივნის, სკამებისა და სამზარეულოს კარადების ქვეშ, აგრეთვე, კარს იქით, ბაჭია ძველი სათამაშოების ნამტვრევებს პოულობს, რომლებიც ნელსონის უზომო აღფრთოვანებას იწვევს. ბავშვს ჩინებულად ახსოვს თავისი ნივთები.

– ეს ბებომ მომცა, – ტიტინებს და ხელში დამტვრეული ცელულოიდის იხვი უჭირავს.

– გაჩუქა?

– ჰო. მაჩუქა.

– რა კარგი ბებო ყოფილა.

– ჰო.

– იცი, რა?

– რა?

– ბებო დედიკოს დედაა!

– ჰო. დედიკო სად არის?

– საავადმყოფოში.

– სავამ-ყოფოში? პარა-შკევს მოვა?

– სწორია. პარასკევს დაბრუნდება. ხომ გაუხარდება, ყველაფერი კარგად რომ მივალაგეთ?

– ჰო. მამიკო, შენც სავამ-ყოფოში იყავი?

– არა, მამიკო საავადმყოფოში არ ყოფილა. მამიკო წასული იყო.

მამიკო წასული იყო... ნაცნობი სიტყვების გაგონებაზე ბიჭუნა თვალებს ფართოდ ახელს, პირს აღებს, ხმას უმაღლებს, რადგან, თავისი ჭკუით, განმარტების მნიშვნელობას ხვდება – ძალიან, ძალიან შორს. ამ მანძილის გასაზომად ისე ფართოდ შლის ხელებს, რომ თითები უკან ეზნიქება. მისი წარმოსახვა მეტს ვერ სწვდება.

– ახლა მამიკო აღარ წავა?

– არა, არა.

ბაჭიას ნელსონი მანქანით მისის სმიტთან მიჰყავს, უნდა უთხრას, რომ იძულებულია, მასთან ბაღში მუშაობაზე უარი თქვას. მოხუცმა სპრინგერმა მას თავის ერთ-ერთ ფილიალში სამსახური შესთავაზა. ხეივანთან მისასვლელი, ბორბლებქვეშ მოხრაშუნე გზის გასწვრივ ამოსული როდოდენდრონები მტვერს დაუფარავს და თითქოს უნაყოფოდ ქცეულა, აქა-იქ თითო-ოროლა ყავისფერი ყვავილი გამოჩრილა. კარს თვითონ მისის სმიტი აღებს.

– დიახ, დიახ, – კრუტუნებს იგი და მოყავისფრო სახე უნათდება.

– მისის სმიტ, ეს ჩემი ბიჭია, ნელსონი.

– დიახ, დიახ, გამარჯობა, ნელსონ. თავით მამას ჰგავხარ, – იგი ბიჭს თავზე თამბაქოს ფურცელივით გამომშრალ ხელს უსვამს, – ახლა კი უნდა გავიხსენო, სად შევინახე კანფეტებიანი ვაზა. ხომ შეიძლება, რომ კანფეტი მივცე?

– ერთი ცალი შეიძლება, მაგრამ ძებნით თავს ნუ შეიწუხებთ.

– თუ მომინდება, მოვძებნი კიდეც. თქვენი უბედურება ისაა, ახალგაზრდავ, რომ არაფრით არ გსურთ დაიჯეროთ, რაიმეს გაკეთება კიდევ რომ შემიძლია.

მისის სმიტი უკან მიფრატუნებს. ცალი ხელით კაბას ისწორებს, მეორეს კი ისე იქნევს, თითქოს აბლაბუდას იცილებსო.

მის არყოფნაში მამა-შვილი ხან სასტუმრო ოთახის მაღალ ჭერს ათვალიერებს, ხანაც – უზარმაზარ ფანჯრებს თხელი, ცარცივით თეთრი ალათებით, რომელთა შუშებს მიღმაც – ზოგიერთ მათგანს მოცისფრო-მოიისფრო დაჰკრავს, – ეზოს შორეულ ბოლოში, ჩამწკრივებული ფიჭვები და კვიპაროსები მოჩანს. პრიალა კედლებზე სურათები ჰკიდია. ერთ მათგანზე, მუქ ფერებში, ქალია გამოსახული აფრიალებული აბრეშუმის შარფით, – იგი ხელებს იქნევს და გაშმაგებით ეჩხუბება დიდ გედს, რომელიც მომაბეზრებლად მიიწევს მისკენ. მეორე კედელზე შავ კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი მოუსვენრად ცქმუტავს რბილ სკამზე. მას ლამაზი, თუმცა ოდნავ კუთხოვანი სახე აქვს, ვარცხნილობა შუბლს სამკუთხედის ფორმას აძლევს. მომრგვალებული ხელები მუხლებზე უწყვია. ბაჭია რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევს, რათა პორტრეტს პირდაპირ შეხედოს. ქალს პატარა და ფუმფულა ზედა ტუჩი აქვს, ასე რომ უხდებათ ახალგაზრდა გოგოებს. ტუჩი ცოტათი ზემოთაა აწეული და მის ქვეშ ოდნავ გაღებული პირის მუქი ლაქა მოჩანს. ქალი მთელი თავისი იერით მოუთმენლობას გამოხატავს. ბაჭიას ეჩვენება, რომ იგი სურათიდან ჩამოვა, სამკუთხა შუბლს შეიჭმუხნის და მისკენ წამოვა. ამ დროს მისის სმიტი ბრუნდება, ხელში წითელი შუშის სფერო უჭირავს ღვინის ბოკალის მსგავსი ფეხით, მის მზერას ამჩნევს და ამბობს:

– ვერ გამიგია, რატომ დამხატა ასეთი გაღიზიანებული სახით. ის სრულებით არ მომწონდა და ეს კარგად იცოდა. მერყევი პატარა იტალიელი. თუმცა ქალის ხასიათი კარგად ესმოდა. აი, – იგი ნელსონთან მიდის, ხელში კანფეტები უჭირავს, – გასინჯე. ძველი კია, მაგრამ კარგია, ისევე, როგორც ბევრი ძველებური ნივთი ამ სამყაროში.

ქალი ვაზას სახურავს ხდის – შუშის წითელგირჩიან ნახევარსფეროს – და ოდნავ მოცახცახე ხელით ნელსონს უწვდის. ბიჭი მამას შესცქერის. ბაჭია თანხმობის ნიშნად თავს უქნევს და ნელსონი ფერად ფოლგაში გახვეულ კანფეტს იღებს.

– ეგ არ მოგეწონება, შიგნით ალუბალია, – ეუბნება ბაჭია.

– ჩუ-უ. დაე, რაც უნდა, ის აიღოს.

ფერადი ქაღალდით მოხიბლული პატარა ბენტერა კანფეტს იღებს.

– მისის სმიტ, – იწყებს ბაჭია, – არ ვიცი, გითხრათ თუ არა მამა ეკლზმა, რომ ჩემი მდგომარეობა შეიცვალა და იძულებული ვარ, სხვაგან დავიწყო მუშაობა. მაპატიეთ, მაგრამ თქვენს დახმარებას ვეღარ შევძლებ. ძალიან ვწუხვარ.

– დიახ, დიახ, – ამბობს ქალი და ნელსონს თვალს არ აცილებს, რომელიც ფოლგას აწვალებს.

– თქვენთან თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, – განაგრძობს ბაჭია, – აქ თითქოს ცაში ვიყავი, როგორც ის ქალი ამბობდა.

– აჰ, ის სულელი ალმა ფოსტერი. პომადა ლამის ცხვირამდე ეცხო. არასოდეს დამავიწყდება ის საბრალო. გრამი ტვინი არ ჰქონდა თავში. მომეცი, ჩემო კარგო, მიეცი მისის სმიტს შენი კანფეტი.

იგი საკანფეტეს მარმარილოს მრგვალ მაგიდაზე დგამს, სადაც მხოლოდ ერთი აღმოსავლური ლარნაკია იორდასალამების თაიგულით, ნელსონს კანფეტს ართმევს და ქაღალდს გაშმაგებით შემოაცლის. ბავშვი ქალს გაოცებული შესცქერის, ის კი პირში შოკოლადის ბურთულას უდებს, კმაყოფილი ტრიალდება, ფოლგას მაგიდაზე აგდებს და ამბობს:

– რა გაეწყობა, ჰარი. როდოდენდრონების ყვავილობა მაინც

ვნახეთ.

– დიახ, მართალია.

– ჩემს ჰარისაც გაუხარდებოდა.

ნელსონი კანფეტს ჰკბეჩს, მისთვის საძულველი ალუბლის სიროფის გემოს გრძნობს და სასოწარკვეთილი პირს აღებს, საიდანაც ყავისფერი ნერწყვი გადმოსდის. იგი შეშინებული ათვალიერებს უზადოდ სუფთა დარბაზს. ბაჭია მას პეშვს მიაშველებს. ბიჭი მამას უახლოვდება და შოკოლადისგან, ბლანტი სიროფისა და გაჭყლეტილი ალუბლისგან შემდგარ სალაფავს მის ხელზე აფურთხებს.

მისის სმიტი ვერაფერს ამჩნევს, ბროლივით გამჭვირვალე ანთებული თვალებით ბაჭიას შესცქერის და ამბობს:

– ჩემი რელიგიური მოვალეობაა, რომ ჰორეისის ბაღი მუდამ მოვლილი იყოს.

– დარწმუნებული ვარ, სხვა ვინმეს იპოვით. ახლა არდადეგებია, ეს კი მშვენიერი სამუშაოა უფროსკლასელებისთვის.

– არა, მათზე არც კი ვფიქრობ. მომავალ წელს აქ აღარ ვიქნები და ჩემი როდოდენდრონების ყვავილობას ვეღარ ვნახავ. მთელი ზამთარი სიკვდილს ვებრძოდი, აპრილში ფანჯრიდან გავიხედე და დავინახე, როგორ წვავდა ახალგაზრდა კაცი შარშანდელ ბალახს. მივხვდი, რომ კიდევ შემეძლო ამქვეყნად ცხოვრება. მთელი ჩვენი ავლადიდება სიცოცხლეა. ეს უცნაური საჩუქარია, ჰარი, და მე არ ვიცი, როგორ უნდა განვკარგოთ იგი. მაგრამ სიცოცხლე ერთადერთია, რასაც საჩუქრად ვიღებთ და ეს ძალიან კარგი რამეა, – ქალს ბროლის თვალები ცრემლზე უფრო სქელი სითხით ენისლება, იგი ბაჭიას ძლიერად ჩაავლებს ყავისფერ თითებს იდაყვის ზემოთ, – მშვენიერი, ძლიერი ახალგაზრდა, – ბურტყუნებს თავისთვის, მაგრამ მალე მზერა კვლავ ბასრი უხდება და დასძენს, – თქვენ ამაყი შვილი გყავთ. გაფრთხილდით.

ქალს, ალბათ, იმის თქმა უნდა, რომ მან თავისი შვილით უნდა იამაყოს და გაუფრთხილდეს. ბაჭიას გულს უჩუყებს ქალის ჩახუტება, უნდა, რაიმეთი ასიამოვნოს, ჩაიბურტყუნა კიდეც «არა», როდესაც მისის სმიტი თავის მოახლოებულ სიკვდილზე

ალაპარაკდა. მაგრამ მას მარჯვენა ხელში გამდნარი კანფეტი უჭირავს, ღონემიხდილი გაშეშებულა ერთ ადგილზე და ესმის, როგორ ამბობს ქალი ათრთოლებული ხმით:

– ნახვამდის. ყველაფერს კარგს გისურვებთ, ყველაფერს კარგს გისურვებთ.

ამ ლოცვა-კურთხევიდან მთელი კვირის განმავლობაში ის და ნელსონი თავს ბედნიერად გრძნობენ. ისინი ქალაქში სეირნობენ. ერთხელაც სკოლის მოედანზე აკვირდებიან, თუ როგორ თამაშობდნენ სოფტბოლს ქეჩისა და ფლანელის კაშკაშა ფორმებში გამოწყობილი, მუქი, დანაოჭებულსახიანი ქარხნის მუშები. ერთ გუნდს ბრუერის სახანძრო დეპო წარმოადგენს, მეორეს – სპორტული ასოციაცია «მზის შუქი». აშკარაა, ეს იგივე ფორმაა, სხვენზე რომ ეკიდა, როდესაც ტოთეროსთან გაათია ღამე. დასაკეც სკამებზე მოკალათებული მაყურებლები რაოდენობით მოთამაშეებს ნამდვილად არ აღემატებიან. ყველგან – სკამების, მავთულიანი ბადისა და ლითონის მილების ზღუდის იქით – დარბიან, ხმაურობენ და კამათობენ სპორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი ბიჭები. სანამ ბაჭია და ნელსონი რამდენიმე პერიოდს უყურებენ, მზე ხის კენწეროებში ჩაესვენება. ირიბი სხივები ლოყებს სამყაროსავით ძველ და ქაღალდივით თხელ სითბოს აფენენ. აქ არის უყურადღებო მაყურებელთა ჯგუფი, მამაპაპური გინება, მტვრის კორიანტელი ყვითელ მინდორზე, შორტებიანი გოგონები, აქეთ-იქით რომ დაიარებიან ჯოხზე წამოცმული შოკოლადის ნაყინით, ქალიშვილების ნამზეური ფეხები, მსხვილი კოჭები და ტკიცინა თეძოები. მათ, ყოველ შემთხვევაში, კანმა მაინც, ბევრი რამ იციან. მათი თანატოლი ბიჭები – ძვლოვანი სარები ქაღალდის შარვლებსა და კედებში – გაცხარებით კამათობენ, ვინ უფრო ძლიერია – ტედ უილიამსი თუ მიკ მენტლი.[27] ცხადია, მენტლი ათიათასჯერ უკეთესია, უილიამსი კი – ათმილიონჯერ. ბაჭია და ნელსონი შუაზე იყოფენ ნაყინსა და ლიმონათს, რომელიც გულშემატკივართა კლუბის ემბლემიან წინსაფარში გამოწყობილ კაცთან იყიდეს, მოძრავი პატარა ფარდული ჩრდილში რომ მოუქცევია. ნაყინის ჭიქიდან ამოსული მშრალი ყინულის კვამლი, ფშშ-შ – ბოთლიდან მომძვრალი საცობისგან. ხელოვნური სიტკბო ბაჭიას გულში ეწვეთება. ნელსონი ტუჩებთან ბოთლის მიტანას ცდილობს და ლიმონათს პერანგზე ისხამს.

ერთხელაც სათამაშო მოედანზე მიდიან. ნელსონს საქანელების ეშინია. ბაჭია უბრძანებს, ხელი მაგრად ჩასჭიდოს და მსუბუქად უბიძგებს წინიდან, რათა ბიჭი ყველაფერს ხედავდეს. ის იცინის და სთხოვს: «გამიშვი, გამიშვი», ბოლოს კი სლუკუნს იწყებს: «გამიშვი, გამიშვი, მა-მი-კო». საქვიშარში ცოდვილობისგან ბაჭიას თავი სტკივა. რუფბოლის რეზინის ტყაპუნი და შაშის ქვების კაკუნი მეზობელი პავილიონიდან მეხსიერებას უფორიაქებს. ბავშვური ტიტინის მაქმანით შემოვლებულ მსუბუქ ნიავს მოაქვს მივიწყებული სუნი ვიწრო პლასტმასის ლენტისა, რომლიდანაც სამაჯეებსა და სასტვენის თამასებს წნავენ, აგრეთვე, სპორტული იარაღების სახელურების წებოსა და ოფლის სუნი. თვალწინ ჭეშმარიტება უდგას: ის, რაც მისი ცხოვრებიდან წავიდა, სამუდამოდ გაქრა – რამდენიც უნდა ეძებო, მაინც ვერ იპოვი; როგორც უნდა ირბინო, მაინც ვერ დაეწევი. ის აქ იყო, ამ ქალაქის ქვეშ, ამ ხმებსა და სუნში, რომლებიც სამარადჟამოდ უკან დარჩა. ცხოვრების სისავსე თანდათან ილევა, როდესაც ბუნებას ხარკს ვუხდით, როდესაც მას შვილებს ვაძლევთ. ამის შემდეგ მას აღარ ვჭირდებით და ჩვენ – ჯერ შიგნიდან, მერე კი გარედან – ნაგვად ვიქცევით. ყვავილების ღეროებად.

ისინი სტუმრად ბებია სპრინგერთან მიდიან. ბიჭი ბედნიერია, მას უყვარს ბებია, ამიტომ ბაჭიაც სიმპათიით განეწყობა მისდამი. ქალი ცდილობს, სიძე როგორმე კამათში გამოიწვიოს, მაგრამ ბაჭია არ პასუხობს, ყველაფერში ეთანხმება, ნაძირალაც იყო, იდიოტიც, საშინლად იქცეოდა, გაუმართლა, რომ ციხეში არ მოხვდა. სიმართლე ითქვას, ქალის თავდასხმაში ბოღმა არ იგრძნობა. ჯერ ერთი, აქ ნელსონია; მეორეც – მას უხარია, რომ იგი დაბრუნდა, და არ უნდა, რომ დააფრთხოს; მესამეც – ცოლის მშობლები ისე ვერ გაწყენინებენ, როგორც ეს საკუთარ დედ-მამას შეუძლია. როგორც უნდა გლანძღონ, ყოველთვის სადღაც განზე რჩებიან, არის მათში რაღაც მყუდრო და სასაცილოც კი. მოხუცი ცოლ-ქმარი დაჩრდილულ ვერანდაზე ზის და ყინულიან ცივ ჩაის სვამს. ქალი დაბინტულ ფეხებს ტაბურეტზე შემოაწყობს. სუსტი კვნესა, რომელსაც გამოსცემს, როდესაც ადგილიდან სხეულის დაძვრა სურს, ბაჭიას ღიმილს იწვევს. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ნაცნობ სულელ გოგონასთანაა სტუმრად. ნელსონი და ბილი ფოსნაჰტი წყნარად თამაშობენ ოთახებში. ძალზე წყნარად. მისის სპრინგერს აინტერესებს, რას აკეთებენ ისინი, მაგრამ

გადაადგილება ეზარება, ამიტომ წუწუნებს, რომ ბილი ფოსნაჰტი უზრდელი ბიჭია, მერე კი ბავშვიდან დედაზე გადადის. მისის სპრინგერს სძულს იგი, ოდნავადაც არ ენდობა. მუქი სათვალე აქ არაფერ შუაშია, ეს მხოლოდ სასაცილო გაპრანჭულობაა. საქმე ისაა, რომ გესლიანია და ჯენისს ჩააცივდა, და ეს იმიტომ, რომ მის შესახებ ბინძური ჭორები დადის.

– აქ ისე ხშირად მოდიოდა, რომ ნელსონს მეტ დროს ვუთმობდი, ვიდრე თავის დროზე ჯენისს, – ეს ორი სულელი, სკოლის მოსწავლეებივით, თითქმის ყოველდღე კინოში დადიოდა. არანაირი პასუხისმგებლობა. თითქოს შვილები არც კი ჰყავდათ.

ბაჭიამ ჯერ კიდევ სკოლიდან იცის, რომ პეგი ფოსნაჰტი, მაშინ მას პეგი გრინგი ერქვა, მუქ სათვალეს ატარებს, ვინაიდან საშინელი, დამამცირებელი სიელმე სჭირს. ეკლზმა უთხრა, რომ პეგისთან ყოფნამ დიდი შვება მოჰგვარა ჯენისს მძიმე პერიოდში, რომელიც ახლა უკვე უკან მოიტოვეს. მაგრამ ბაჭია ამ აზრებს ხმამაღლა არ გამოთქვამს და მშვიდად ისმენს ყოველივეს, კმაყოფილია, რომ მისის სპრინგერთან ერთად ილაშქრებს მთელი სამყაროს წინააღმდეგ. ყინულის კუბურები ჩაიში დნება და ორჯერ ასუსტებს მას, სიდედრის ლაქლაქი წყნარი ნაკადულის რაკრაკივით ჩაესმის ყურში და ძილს ჰგვრის, ქუთუთოები უმძიმდება, სახეზე ღიმილი ეფინება. ღამღამობით ცუდად სძინავს – მიუჩვეველია მარტო ძილს – და ახლა თვლემს, დარწეული ნათელი დღის მწვანე სილაღით, სიზანტეშერეული და კმაყოფილი, რომ, ბოლოს და ბოლოს, სწორ გზას დაადგა.

მშობლების სახლში ყველაფერი სხვაგვარადაა. ნელსონთან ერთად ერთხელ იქაც გაიარა. დედა რაღაცით უკმაყოფილოა და როგორც კი ზღურბლს გადააბიჯებს, ეს უკმაყოფილება ირგვლივ არსებულ სიძველის სუნთან ერთად ცხვირში ხვდება. სპრინგერებთან შედარებით, მათი სახლი გაქუცულია და პატარა. ნეტავ რა აწვალებს დედას? ბაჭია დარწმუნებულია, რომ იგი, როგორც ყოველთვის, მის მხარესაა, და სხაპასხუპით უყვება, რომ სპრინგერები თავიდან საშინლად იქცეოდნენ, მაგრამ მისის სპრინგერი, კაცმა რომ თქვას, ძალიან კეთილია და თითქოს ყველაფერი აპატია. რომ მისტერ სპრინგერი მათი ბინის ქირას იხდიდა, ახლა კი მას სამსახურსაც დაჰპირდა –

თავის ერთ-ერთ ფილიალში მანქანების გამყიდველის ადგილს. მისტერ სპრინგერს ბრუერსა და მის შემოგარენში ოთხი ფილიალი აქვს. ბაჭიას წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ იგი ასეთი მსხვილი საქმოსანი იყო. მისტერ სპრინგერი, ცხადია, გვარიანი არარაობაა, მაგრამ იღბლიანი არარაობა. ყოველ შემთხვევაში, ის, ჰარი ენგსტრომი, კიდევ იოლად გადარჩა. დედას მსხვილი ცხვირი და გაოფლილი სათვალე გაბრაზებით უელავს. რამდენჯერაც შვილისკენ მიტრიალდება, მისი გამკიცხავი მზერა ბაჭიას ეკალივით ესობა. თავიდან ფიქრობს, რომ ამის მიზეზი მისი ხანგრძლივი არგამოჩენაა, მაგრამ თუ ასეა, ხომ მოვიდა, შეეძლო დამშვიდებულიყო კიდეც. იქნებ იმიტომაა აღშფოთებული, რომ რუთთან იწვა და მრუშობდა. წლებთან ერთად იგი უფრო მეტად რელიგიური ხდება და, ალბათ, ჰგონია, რომ შვილი ისევ ოცი წლისაა. მაგრამ მოულოდნელად დედა ბაჭიას თავისი შეკითხვით სახტად ტოვებს:

– იმ საცოდავ გოგოს რა ბედი ელის, რომელთანაც ბრუერში ცხოვრობდი?

– ოჰ, ის არ დაიკარგება. მას რაიმე განსაკუთრებულის იმედი არც არასდროს ჰქონია, – ამ სიტყვების წარმოთქმისას საკუთარი ნერწყვის გემოს გრძნობს. დედის მიერ რუთის სახელის ხსენება მის საკუთარ შეხედულებებს ცხოვრების შესახებ თავდაყირა აყენებს.

ქალი ტუჩებს კუმავს, თავს მედიდურად აქნევს და წარმოთქვამს:

– მე არაფერს გეუბნები, ჰარი. სიტყვასაც კი არ გეუბნები.

სინამდვილეში ბევრ რამეს ამბობს, მაგრამ ბაჭიას არ ესმის. ნელსონთან მის დამოკიდებულებაშიც რაღაც ირკვევა. ბებია თითქმის ვერ ამჩნევს შვილიშვილს, არ ცდილობს, სათამაშოები მისცეს ან მოეფეროს. მხოლოდ თავის ოდნავი დაკვრით ეუბნება: «გამარჯობა, ნელსონ», სათვალეში კი თეთრი წრეები უელავს. მისის სპრინგერის გულთბილობის ფონზე მისი სიცივე სისასტიკისა და უხეშობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ნელსონი ამას გრძნობს, გაყუჩდება და შეშინებული ეკვრის ფეხებზე მამას. ბაჭია ვერ ხვდება, რა ბზიკმა უკბინა დედამისს, მაგრამ ერთი რამ ცხადია – საჭირო არაა საკუთარი განწყობის ორი წლის ბავშვზე გადატანა. პირველად ხედავს, რომ ბებია შვილიშვილს ასე ექცეოდეს. მართალია, საბრალო ბიჭუნას

ყოფნა მათ საუბარს ხელს უშლის, როგორც ეს ადრე ხდებოდა, როდესაც დედა მას სხვადასხვა სასაცილო ისტორიას უყვებოდა მეზობლებზე, მერე კი მასზე საუბრობდნენ – როგორი იყო ბავშვობაში, როგორ სტყორცნიდა ბურთს დაღამებამდე და ყოველთვის ზრუნავდა მიმიზე. ის, რომ ნელსონი სანახევროდ სპრინგერია, ეტყობა, ამ ყველაფერს კლავს. წამით დედის სიყვარულზე უარს ამბობს – განა სიგიჟე არაა ასეთი დამოკიდებულება ბავშვისადმი, რომელმაც ლაპარაკი ეს-ესაა ისწავლა? მას უნდა, დედას ჰკითხოს: რა მოხდა? ისე იქცევი, თითქოს მტრის მხარეზე გადახვედი. ხომ არ გაგიჟდი? შენ ხომ იცი, რომ ისინი მართლები არიან, მაშ, რატომ არ შემაქებ?

მაგრამ ბაჭია ამგვარს არაფერს ამბობს, დედასავით ჯიუტია. საერთოდ არაფერს ამბობს, როცა რწმუნდება, რომ ამ შეტყობინებას სპრინგერების კეთილშობილების შესახებ არანაირი წარმატება არ მოაქვს. იგი სამზარეულოში დგას და ნელსონთან ერთად იატაკზე ლიმონს აგორებს. ყოველთვის, როცა კი ლიმონი ბზრიალით მისის ენგსტრომის ფეხებთან მიგორდება, მისი აღება ბაჭიას უხდება – ნელსონი სასტიკ უარზეა. ბაჭიას რცხვენია – ვერ გაუგია, საკუთარი თავის თუ დედის გამო. როდესაც სახლში მამა ბრუნდება, საქმეს უკეთესობა არ ეტყობა. მოხუცი არ ბრაზობს, მაგრამ ჰარის ისე შესცქერის, თითქოს ცარიელი ადგილი ყოფილიყოს. მისი დაღლილი, მოხრილი ზურგი და ჭუჭყიანი ფრჩხილები შვილს აღიზიანებს. კაცი იფიქრებს, რომ იგი საგანგებოდ ცდილობს მოხუცებად მათ გადაქცევას. რატომ არ ჩაისვამს კბილებს, რომლებიც წამდაუწუმ არ ჩამოუვარდება? ბებერი ქალივით ტუჩებით ღეჭავს. მაგრამ მამა ყურადღებას მაინც აქცევს ნელსონს, რომელიც გახარებული უგორებს მას ლიმონს. ბაბუა უკან უბრუნებს.

– მეთამაშები ბურთს მამასავით?

– არ შეუძლია, ერლ, – აწყვეტინებს დედა და ბაჭია ბედნიერია, რომ მისი ხმა ესმის – როგორც ჩანს, ყინული გალხვა, – მაგრამ ქალი ამბობს, – მას პატარა, სპრინგერისეული ხელები აქვს.

ფოლადივით ცივი და ბასრი სიტყვები ბაჭიას გულში ხვდება და ნაპერწკლებს აჩენს.

– გეყოფა, ღვთის გულისთვის, – ამბობს და მაშინვე ნანობს, რომ ეს წამოსცდა, ვინაიდან მახეში გაება. განა სულერთი არაა,

ნელსონს დიდი ხელები აქვს თუ პატარა? იგი ხვდება, რომ მისთვის სულერთი არაა, არ უნდა, რომ ბიჭს ჯენისის მსგავსი ხელები ჰქონდეს, მაგრამ თუ ასეთი აქვს – რადგან დედამ თქვა, ასეც იქნება, – მას შვილი სულ ოდნავ უფრო ნაკლებად ეყვარება. ბაჭიას ბავშვი სულ ოდნავ უფრო ნაკლებად უყვარს, მაგრამ ახლა დედა სძულს იმის გამო, რომ ამაში მას ადანაშაულებს. ეჩვენება, რომ დედამისს სამყაროს ამოტრიალება სურს, შედეგს კი მისთვის მნიშვნელობა არა აქვს – თუნდაც თავზე დამხობია. ბაჭიას ყოველთვის აღაფრთოვანებდა მისი ეს თვისება – დედა თანახმაა, შვილს სძულდეს, ოღონდაც მისი შეგონებები მოისმინოს. ბაჭია უარს ამბობს ამ შეგონებებზე. ისინი გულს უპობენ და მათ თავიდან იცილებს. არ უნდა მათი მოსმენა. საერთოდ აღარ უნდა მისი მოსმენა. მხოლოდ ის სურს, რომ აქაურობას სწრაფად გაეცალოს, სანამ დედის წვეთი სიყვარული მაინც შერჩენია, – მიმი სად არის? – ეკითხება მამას და კართან მიდის.

– მიმის იშვიათად ვხედავთ, – პასუხობს მოხუცი.

იგი ამღვრეულ თვალებს ძირს ხრის და ხელს პერანგის ჯიბეზე ისვამს, სადაც ორი ბურთულიანი კალამი და ქაღალდებითა და ბარათებით სავსე ჭუჭყიანი პაკეტი უდევს. ბოლო წლებში იგი ბებრული ფუსფუსით აწყობს პაკეტებში სხვადასხვა საგანს – ბარათებს, სიებს, ქვითრებს, ჯიბის კალენდრებს, – გარედან რეზინას უკეთებს და ჯიბეებში ანაწილებს. ბაჭია მამისეულ სახლს ტოვებს, გულზე ლოდი აწევს.

სანამ ნელსონს არ სძინავს, ყველაფერი კარგადაა. მაგრამ, აი, პატარა იძინებს და სახე უგრძელდება, ხმაურით სუნთქავს მოდუნებული ტუჩებიდან და ზეწარზე ნერწყვის კვალს ტოვებს, თმა მარაოსავით გადაშლია ბალიშზე, გლუვი, აწითლებული კანი უღონოდ ჩამოჰკიდებია ფუმფულა ლოყებზე. ჰარის სულში მკვდარი სიცარიელე იბუდებს და მას შიში იპყრობს. ბავშვს ისე ღრმად სძინავს, რომ ბაჭიას ეშინია, მან სიცოცხლის თხელი გარსი არ გახიოს და დავიწყების წყვდიადში არ გადაეშვას. ზოგჯერ ბიჭი ლოგინიდან ამოჰყავს, რათა თბილ, დამყოლ, მძინარე სხეულთან შეხებით მღელვარება დაიცხროს.

იგი ხმაურით დადის ბინაში, ყველა ნათურას ანთებს, რთავს ტელევიზორს, სვამს ჯანჯაფილის ლუდს, ათვალიერებს «ლაიფის» ძველ ნომრებს, ყველაფერს ეჭიდება, რათა

სიცარიელე დაახშოს. დაწოლის წინ ნელსონი უნიტაზთან მიჰყავს, ონკანს მოუშვებს და მკვრივ, შიშველ ტაკუნებს ეფერება, სანამ წყლის წვრილი ნაკადი ნაწყვეტ-ნაწყვეტ არ გადმოხეთქს ქაშანურის თასში. შემდეგ ნელსონს სახვევებს უცვლის, კვლავ საწოლში აწვენს და ძალას იკრებს ღრმა უფსკრულის თავზე გადასახტომად, რომელიც იმ წუთს აცილებს, როდესაც დილის მზის ფაფუკ ცერა სხივებში გამოღვიძებული პატარა ერთიანად გალუმპული სახვევებით დიდ საწოლს მიადგება და ცნობისმოყვარეობით მოუთათუნებს მამას ხელს ლოყაზე. ზოგჯერ ბიჭი მასთან ლოგინში მოძვრება და ცივი, წებოვანი კანის შეხებაზე ბაჭიას ეჩვენება, რომ კვლავ სველ, მაგრამ საიმედო ნაპირზე დაბრუნდა. დრო, რომელიც ამ ორ მომენტს შორისაა, ბაჭიას არაფერში სჭირდება, მაგრამ მგზნებარე სურვილი, რომ იგი მალე გავიდეს, დაძინების საშუალებას არ აძლევს. საწოლში დიაგონალურად წევს, რათა ფეხები გარეთ არ დარჩეს და რწევის შეგრძნების ჩახშობას ცდილობს. საჭისა და იალქნების გარეშე დარჩენილი გემივით კვლავ იმავე კლდეებს ენარცხება – დედის უმსგავს საქციელს, მამას, რომელიც ისე უყურებს, როგორც დეზერტირს, რუთის დუმილს იმ ღამეს, როდესაც უკანასკნელად ნახა, დედის დამთრგუნველ სიმუნჯეს. ნეტავ რა დაემართა? მუცელზე გადაბრუნდება და ეჩვენება, რომ ტყვიის ზღვას გასცქერის, სადაც უძირო სიღრმეში აბურძგნილი კლდეები ჩამუქებულან. სიმპათიური რუთი საცურაო აუზშია. საცოდავი ნაძირალა ჰარისონი ყოყლოჩინობს, მექალთანე და ბოზიშვილი ცდილობს, არისტოკრატიული კოლეჯის კურსდამთავრებულს დაემსგავსოს. მარგარეტი სუსტ, ჭუჭყიან ხელს ტოთეროს კბილებში ურტყამს. ენაგადმოგდებული ტოთერო ლოგინში წევს და ჟელესებრ თვალებზე ქუთუთოები უთრთის. არა. ამაზე ფიქრი აღარ უნდა. იგი ცხელ, მშრალ საწოლში ზურგზე გადატრიალდება და კვლავ ძლიერი რყევის შეგრძნება ეუფლება. რაიმე სასიამოვნოზე იფიქრე. კალათბურთი და სიდრი ოლქის შორეულ ბოლოში, საშუალო სკოლა «ორიოლი», მაგრამ ეს დიდი ხნის წინ იყო, მას მხოლოდ სიდრი და ტრიბუნებზე მოკალათებული მაყურებელი ახსოვს. უწონო და წყლისგან მომრგვალებული რუთი აუზშია და თვალდახუჭული ზურგზე ცურავს, მერე ამოდის და პირსახოცს იღებს. ბაჭია მის ფეხებს ათვალიერებს, შემდეგ კი გვერდით ქალი უწევს უშველებელი, ყვითელი, უმოძრაო, მკვდარი სახით. არა. მეხსიერებიდან უნდა ამოშალოს რუთი და

ტოთერო, რომლებიც სიკვდილს ახსენებენ. ერთ მხარეს ისინი არიან სიკვდილის ვაკუუმთან ერთად, მეორე მხარეს კი ჯენისის დაბრუნების საფრთხე. ამიტომაც გრძნობს რწევას. თუმცა მარტო წევს ლოგინში, ეჩვენება, რომ ბრბოს შუაგულშია. ეს ადამიანები მარტო თავიანთი სახეებითა და სიტყვებით კი არ აფორიაქებენ, არამედ განუყრელად მის გვერდით მდუმარე ყოფნით. ისინი ირგვლივ ირევიან, სიბნელეში წყალქვეშა კლდეებს ჰგვანან, ქვემოდან კი წვრილი, სუსტი ზუზუნი ესმის – ეს ეკლზის ცოლია, რომელიც თვალს უკრავს. თვალს უკრავს. რას უნდა ნიშნავდეს ეს? მხოლოდ უწყინარი ხუმრობა იყო კართან ატეხილ ფუსფუსში, როდესაც ზემოდან შარვლის ამარა პატარა გოგონა მოტანტალდა, თუ შეამჩნია, რომ ფეხებზე უყურებდა და ოდნავ დააფახულა თვალი, რათა ბედნიერი მგზავრობა ესურვა. მაგრამ იქნებ სინათლის ხვრელი ეპატიჟება დერეფნის ბოლოში და ეუბნება, შემოდიო. სასაცილო, ეშმაკი, ჭორფლიანი დედაკაცი, და ეს უწყვეტი, წვრილი ზუზუნი მას შემდეგ, რაც შესვლა სთხოვა. ბიუსტჰალტერის ჩრდილის წვეტიანი გირჩები სინათლით სავსე ოთახში, შორტების ჩამოწევა ბავშვურად გლუვკანიანი თეძოებიდან, მსუქანი საჯდომი, ფროიდი თეთრ სასტუმრო ოთახში, კედლებზე ჩამოკიდებული აკვარელის არხები. მოდი აქ, პრიმიტიულო მამიკო. ქალი დივანზე ზის. რა ლამაზი გაქვს მკერდი და აქაც და აქაც და აქაც. ბაჭია გვერდზე გადაბრუნდება, მშრალი ზეწარი ქალის ხარბი ხელებივით ეხება. კაცი ხაოიანი ხავერდიდან დგება. მაღალია. დაბერილი ვენა რიფებს შორის აღწევს. იგი მტკიცე, გამოცდილი ხელით აკეთებს გასაკეთებელს, რათა ეს წვრილი ზუზუნი შეწყდეს, დაძაბულობა მოეხსნას და დაიძინოს. ქალის ტკბილი ქაფი. როგორც იქნა, მიაღწია იქამდე. თავზე მდგარი, ბეისბოლის მოედანს გადაკვეთს და მეორე მხრიდან გადის. რა სისულელეა. ძალზე სამწუხაროა. უცნაურია, სად არის სისველე. სადაც ვარაუდობდა, იქ არ არის. ზედა ზეწარზეა, ქვედას ნაცვლად. იგი ლოყით ბალიშის გრილ ადგილს ეხება. ლუსისთან საქმეს მორჩა და გრძნობს, რომ რწევა შესუსტდა. მისი თეთრი ხაზები, დაშლილი გორგლის ბოლოებივით, სადღაც ქრება. ახლა უნდა დაიძინოს. ფიქრი შორეული ნაპირის მოახლოებაზე ჯიუტი ხორგივით ეღობება გზაზე. რაიმე სასიამოვნოზე იფიქრე. მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ ერთ ადგილს წააწყდა, სადაც შეუძლია ფეხი დადგას და არ შეეშინდეს, რომ მიწა მის მიერ გათელილ სახეებად არ

გადაიქცევა – პატარა მოედანი რესტორანთან დასავლეთ ვირჯინიაში, სადაც ყავა დალია იმ ღამეს, როდესაც სამხრეთისკენ მიემგზავრებოდა. იგი გარშემო აზიდულ მთებსაც იხსენებს – თითქოსდა მუყაოსგან გამოჭრილ ფიგურებს მთვარისგან გათეთრებულ ღამის ცაზე. არც რესტორანი ავიწყდება – იმ ტრამვაის მსგავსი ოქროსფერი ფანჯრები, მის ბავშვობაში ჯაჯმაუნთიდან ბრუერში რომ დადიოდა, არც ჰაერი – ცივი, მაგრამ ცოცხალი ადრეული გაზაფხულის სუნთქვის შედეგად. ზურგს უკან, ასფალტზე ნაბიჯების ხმა ესმის და იმ ორს ხედავს – ხელიხელჩაკიდებულნი გვერდზე ჩაუქროლებენ და თავიანთი მანქანისკენ გარბიან. ერთ-ერთია იმ წითურ გოგონათაგან, რესტორანში რომ ისხდნენ, თმა ზღვის ბალახივით ჩამოშლია. ალბათ, სწორედ აქ მოუხვია სხვა მხარეს, მაშინ, როცა მათ უნდა გაჰყოლოდა, – ქალ-ვაჟს ხომ სწორედ ეს უნდოდა, ჰოდა, უნდა გაჰყოლოდა, და ნახევრად ძილ-ბურანში წარმოიდგენს, რომ მართლაც გაჰყვა უკან და ახლაც მისდევს მანქანით. როგორც მუსიკალური ნოტი – სანამ კლავიშს აწვები, გგონია, იგი მოძრაობს, სინამდვილეში კი იმავე ადგილზეა. ამ ნოტზე იძინებს კიდეც.

გათენებამდე კარგა ხნით ადრე იღვიძებს, ისეთივე რწევის შეგრძნებით. ეშინია ცარიელ საწოლში, ეშინია, რომ ნელსონი მოკვდა. კვლავ ცდილობს, ახლახან ნანახ სიზმარს დაუბრუნდეს, მაგრამ ღამის კოშმარი იზრდება და ბაჭია, ბოლოს და ბოლოს, დგება და ნელსონის სუნთქვას ყურს უგდებს, მერე კი თავის საწოლს უბრუნდება. განთიადის პირველმა გამონათებამ ზეწრებზე მკვეთრი შავი ხაზები ამოტვიფრა. ბაჭია ამ ხაზებისგან შემდგარ ბადეზე წვება, ცდილობს, კიდევ ერთი საათით მაინც მოატყუოს თვალი, სანამ მასთან შემცივნებული და მშიერი ბავშვი არ მისულა.

პარასკევს ჯენისი შინ ბრუნდება. პირველ დღეებში ახალშობილის ყოფნა ბინას სამლოცველოში გავრცელებული საკმეველივით ავსებს. რებეკა-ჯუნი თეთრად შეღებილი ლერწმისგან დაწნულ კალათში წევს, რომელიც ბორბლებიან სადგარზე დგას. როდესაც ბაჭია ახლოს მიდის, რათა დარწმუნდეს, რომ იგი ნამდვილად აქ არის, გოგონა ფერმკრთალი ეჩვენება, თითქოს მკვეთრი სილუეტის წარმოსაქმნელად ჯერ ძალა არ ჰყოფნის. ლოყა ისეთი ღაჟღაჟა აღარ აქვს, როგორიც საავადმყოფოში, მარმარილოსავით

ნაცრისფერი, ყვითელი და ლურჯი წინწკლებით ასჭრელებია. როდესაც ჯენისი რებეკას აჭმევს, მომრგვალებული ყვითელი მკერდის ჰარმონიული შეხამება ახალშობილის მრგვალ მოყვითალო სახესთან სიმეტრიას ქმნის, რომელიც ძალუმად იზიდავს მასაც და ნელსონსაც. ამ დროს ბიჭი ვერ ისვენებს, მათკენ მიიწევს, თითს ბავშვის ტუჩებსა და დედის ძუძუს შორის არსებულ ნაკეცში ყოფს, ხოლო როცა საყვედურობენ და თავიდან იცილებენ, საწოლის ირგვლივ დადის და ტელევიზორში გაგონილს ღიღინებს: «უძლეველი თაგვი უკვე გზაშია». ბაჭიასაც მოსწონს მათ გვერდით წოლა და ყურება, თუ როგორ წვალობს ჯენისი თავისი დაბერილი ძუძუებით – მკერდი ისე გავსებია, რომ თეთრი კანი დაჭიმულა და ბრწყინავს. იგი ქვემეხის ლულასავით უმიზნებს მსხვილ კერტებს ბრმა გაბზარულ პირში, რომელიც იხსნება და ჩიტის ნისკარტივით სწრაფად ეჭიდება მათ. «ოჰ», – შესძახებს ჯენისი და ბავშვის ტუჩები დედის სარძევე ჯირკვლების ტაქტში იწყებს მუშაობას. ჰარმონია მიღწეულია და ქალს სახეზე შვების ღიმილი ეფინება. იგი მეორე მკერდზე ნაჭერს იდებს და ზედმეტ რძეს იწმენდს. ამ პირველ დღეებში, როდესაც დაისვენა და საავადმყოფოში ძალ-ღონეც მოიკრიბა, რძე საჭიროზე მეტი აქვს და ცოტ-ცოტა ყოველთვის მოედინება, ყველა პერანგზე ორ-ორი ლაქაა გაჩენილი. როდესაც შიშველია, თუ ჰიგიენურ ელასტიკურ ქამარს არ ჩავთვლით, მისი აფუმფულებული მუცლისა და შმაგი, რძით დამძიმებული ძუძუების დანახვაზე, კრიალა, მწვანედ დაძარღვული, ხორკლიანი ლილისფერი დაბოლოებების მქონე ნაყოფივით რომ გადმოკიდებულა მოხდენილი ტანიდან, ბაჭიას ლამის მთელი შიგნეულობა ამოუტრიალდეს. ზემოთ დამძიმებული და ქვემოთ დაბინტული ჯენისი არამყარად დგას ფეხებზე და ფრთხილად დადის, თითქოს ეშინია, მცირედმა ბიძგმაც კი რძე არ დააღვრევინოს. თუმცა მოურიდებლად იყენებს თავის მკერდს ბავშვის გამოსაკვებად, ქმრის მზერის მაინც რცხვენია და, როცა იგი დაუფარავი ინტერესით მიაშტერდება ხოლმე, სასწრაფოდ ცდილობს მათ დამალვას. მაგრამ ბაჭია გრძნობს განსხვავებას ამჟამინდელ მდგომარეობასა და სიყვარულის პირველ დღეებში არსებულს შორის. ჯენისი საკუთარ თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, ზოგჯერ შიშველიც კი გამოდის სააბაზანოდან ბავშვის რწევით, დაუდევრად ჩამოიწევს პერანგის კალთებს და, საერთოდ, ისე იქცევა, როგორც მანქანა, დამჯერე, შერწყმისთვის, შვილის მუცლად ტარებისა და

ძუძუთი კვებისთვის გამზადებული თეთრი მანქანა. ბაჭიასაც მოსჭარბებია გრძნობები. ბლანტი, ტკბილი სიყვარული გულს უვსებს და უნდა, ოდნავ მაინც შეეხოს ცოლს. იცის, რომ ქალი სისხლდენადი ჭრილობაა, მაგრამ ოდნავ მაინც შეეხოს, რათა საკუთარი «რძისგან» გათავისუფლდეს და მას მისცეს. თუმცა ეთერით დაბანგული ჯენისი ამბობდა, რომ მასთან სიახლოვე სურდა, ლოგინში ბაჭიას ზურგს აქცევს და თითქოსდა აკრძალვით დამძიმებული იძინებს. მაგრამ ბაჭია ძალზე მადლიერია, ამაყობს კიდეც მისით, და წინააღმდეგობას არ უწევს. მთელი კვირის განმავლობაში ქალი მისი თაყვანისცემის ობიექტია.

ეკლზი მათ მოსანახულებლად მოდის და ეკლესიაში ეპატიჟება. მისგან ძალზე დავალებულნი არიან და ჰპირდებიან, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად მოვა. უფრო ჰარი, ვინაიდან ჯენისს არ შეუძლია, კვირას მხოლოდ ცხრა დღე შესრულდება, რაც საავადმყოფოდან გამოეწერა. ჯერ დაღლილია, დასუსტებული და გატანჯული. ორშაბათიდან ჰარი უკვე ახალ სამსახურშია. ეკლესიაშიც სიამოვნებით მიდის. არა მარტო ეკლზისადმი სიმპათიის გამო. მთავარი ისაა, რომ ბედნიერია, გაუმართლა, მასზე მადლი გადმოვიდა, ეპატია და მადლიერების გამოხატვა სურს. მას უხილავი სამყაროს არსებობა ინსტინქტურად სწამს და ეჭვიც კი არავის შეაქვს იმაში, რომ მისი საქციელი ხშირად ამ სამყაროსთან გარიგების შედეგია. იგი ახალ ნაცრისფერ კოსტიუმს იცვამს და ზაფხულის ბუნიაობის წინადღეს, კვირა დილით, თერთმეტს რომ თხუთმეტი წუთი აკლია, სახლიდან გადის. მშვენიერი დარი დგას. ყოველთვის სიამოვნებდა ხალხზე დაკვირვება, დარბაისლურად რომ მიემართებოდნენ რუთის სახლის პირდაპირ მდებარე ეკლესიისკენ, ახლა კი თვითონაც მათ შორისაა. წინ პირველი საათი ელოდება მთელი კვირის განმავლობაში, რომელსაც იგი სპრინგერების გარეშე გაატარებს, ეს გინდ ჯენისი ყოფილიყო სახლში და გინდ მამამისი – სამსახურში. სამუშაო რთული სულაც არ იქნებოდა, რომ არა გაუთავებელი სიცრუე. შუადღისთვის გაწურულ ლიმონს ჰგავს. უყურებს ამ ჯაბახანებს – გარბენი 80 ათასი მილი, დგუშები ისეა გაცვეთილი, რომ ზეთი მდინარესავით მოედინება. ხედავს, როგორ რეცხავენ მათ, სპიდომეტრს უკან ატრიალებენ, მალე საკუთარი ხმაც ესმის: ეს ხომ თითქმის მუქთადაა. პატიება უნდა ითხოვოს.

იგი ვერ იტანს მათ, ვისაც ახლა ქუჩაში ყოველდღიური ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვია, საჩვენებლად გამოუფენია საკუთარი რწმენა იმისა, რომ სამყარო უფსკრულის პირასაა, რომ სიკვდილი ყველაფრის დასასრულია და მისი, ბაჭიას აბურდული ძაფი არსაით მიდის. და, შესაბამისად, უყვარს ისინი, ვინც ეკლესიისთვის კარგად გამოწყობილა – სოლიდური მამაკაცების საგარეო გაუთოებული კოსტიუმები რესპექტაბელურობასა და წონას მატებს უხილავისადმი მის საიდუმლო განცდას, მათი ქალიშვილები ნამდვილი ყვავილები არიან, ყოველი მათგანის სხეულიც ყვავილია ტიულისა და ფურჩალების ფურცლებით. ბაჭიას თვალში მათ შორის ყველაზე შეუხედავებიც კი სილამაზით, რწმენის სილამაზით არიან განათებული. მოჭარბებული მადლიერებისგან მზადაა მათ ფეხებიც კი დაუკოცნოს – ისინი შიშისგან თავის დახსნაში ეხმარებიან. როდესაც ეკლესიაში შედის, მასში ძალზე ბევრი სიხარულია, რათა პატიება ითხოვოს. ბაჭია მუხლს მოიყრის პატარა წითელ სკამზე – მართალია, იგი რბილია, მაგრამ არც იმდენად, რომ სხეულის სიმძიმის ქვეშ მუხლები არ ეტკინოს. სიხარულისგან ყურები უწივის, სისხლი თავში უვარდება, აღფრთოვანებულს, ერთმანეთში ერევა არეულ-დარეული სიტყვები: ღმერთო, რებეკა, გმადლობთ. ადამიანები, რომელთაც ღმერთი შეიცნეს, ირგვლივ მოძრაობენ და შრიალებენ, წყვდიადში მის დახმარებას ცდილობენ. ბაჭია კვლავ ჯდება და მის მზერას ერთი ქალი მიიპყრობს წინა რიგიდან, რომელსაც ფართოფარფლებიანი ჩალის ქუდი ახურავს. საშუალოზე დაბალია, ვიწრო, ჭორფლიანი მხრებით, ალბათ, ახალგაზრდაა, თუმცა ზურგიდან ქალები ყოველთვის უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებიან. ფართო შლაპა გრაციოზულად ეხმაურება თავის ყოველ მოძრაობას და კეფაზე ქერა კულულს საიდუმლოებად აქცევს, რომელიც მხოლოდ მისთვისაა გახსნილი. კისერსა და მხრებს სინათლის სხივებში მოციმციმე ნაზი, წვრილი თმის ღერების გამჭვირვალე ნათება ეფინება. ბაჭიას ეღიმება, როცა ტოთეროს სიტყვები ახსენდება – ყველა ქალი თავით ფეხებამდე თმით არის დაფარულიო. ნეტავ ტოთერო ხომ არ მოკვდაო, ფიქრობს და ღმერთს ევედრება, მის მწვრთნელს სიცოცხლე შეუნარჩუნოს. ბაჭია მოუთმენლად ელოდება, როდის შემოტრიალდება ქალი, რათა მისი პროფილი დაინახოს შლაპის – დიდი, დაწნული მზის კბილანის ქვემოდან, რომელსაც ქაღალდის იების თაიგული ამშვენებს. ქალი კი ქვევით, თავის ფეხებთან მისჩერებია

რაღაცას. კაცს სუნთქვა ეკვრის, ლოყის თხელი ნახევარმთვარე ინთება და ისევ ქრება. ქალის მხართან ვარდისფერი ლენტის ნაჭერი ჩნდება. უეცრად ბაჭია ჯოის ეკლზის ცნობისმოყვარე, აღფრთოვანებულ სახეს ხედავს. იგი აჩქარებით ფურცლავს დავითნს და როდესაც ორგანის ხმები გაისმის, მისგან ხელის გაწვდენის მანძილზე ფეხზე ეკლზის ცოლი დგება.

ეკლზი ფეხებს მძიმედ მიათრევს და გასასვლელისკენ ეკლესიის მსახურთა და მგალობელთა ნაკადს მიჰყვება. საკურთხევლის ზღუდის იქით იგი თითქოს დაბნეულია და ბუზღუნა, შორეული, უსხეულო და უძრავი, ნამდვილი იაპონური თოჯინაა მღვდლის შესამოსელში. აფექტური, დუდღუნა-ღვთისმოსავი ხმა, რომლითაც ლოცვებს კითხულობს, ბაჭიას ყურში უსიამოვნოდ ხვდება. მას სულ არ მოსწონს ეპისკოპალური წირვა მისი დაძაბული დაცემითა და აღმაფრენით, გაზეპირებული ვედრებითა და სწრაფი, მოკლე საგალობლებით. იგი უხერხულად დგას მუხლებზე, წელი სტკივა; უკან რომ არ გადავარდეს, იდაყვებით წინა რიგის სკამის საზურგეს ეყრდნობა. მას აშკარად აკლია ნაცნობი ლუთერანული ლიტურგია, რომელიც მის სულში უამინდობით წაშლილი წარწერასავით არის ჩაჭედილი. ამ ღვთისმსახურების განმავლობაში უცნაურად ტკეპნის სიბნელეში ერთ ადგილს და იმას აწყდება, რაც წირვის წესის თვითნებურ დამახინჯებად მიაჩნია. ბაჭია თვლის, რომ შემოწირულობათა შეგროვებას აქ ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ქადაგებას თითქმის არ უსმენს.

მასში საუბარია ორმოც დღესა და ღამეზე, იესოს ცდუნებაზე უდაბნოში, დიალოგზე მასსა და ეშმაკს შორის. აქვს თუ არა ამ ამბავს რაიმე კავშირი ჩვენთან, აქ, ახლა? მეოცე საუკუნის ამერიკის შეერთებულ შტატებში? გარკვეული აზრით, ყველა ქრისტიანს უნდა შეეძლოს ეშმაკთან საუბრის წარმართვა, ყველამ უნდა შეისწავლოს მისი ჩვეულებები, გაიგოს მისი ხმა. ამ ლეგენდას ძალზე დიდი ხნის ტრადიცია აქვს, იგი ჯერ კიდევ ადრეულ ქრისტიანებში გადაეცემოდა ზეპირად თაობიდან თაობას. ეკლზი თვლის, რომ მისი უფრო ღრმა მნიშვნელობა, იდუმალი აზრი, შემდეგში მდგომარეობს: ტანჯვა, დანაკარგი, უნაყოფობა, გაჭირვება, სიღარიბე – ეს ყველაფერი აღზრდის, ქრისტესთან ზიარების აუცილებელი პირობაა. ეკლზი კათედრაზე დგას და ცდილობს, ჩაიხშოს წრიპინა ნოტები, რომლებიც მის ხმაში იჩენს ხოლმე თავს. წარბები ანკესზე

წამოგებული თევზივით უთამაშებს. ეს უსიამოვნო, ნაჯახირევი სანახაობაა, იგი ერთიანად იკრუნჩხება. მანქანას გაცილებით ბუნებრივი ღვთისმოსაობით მართავს. თავის სამოსელში რომელიღაც მომაბეზრებელი მისტერიის თვალბედით ქურუმს ჰგავს. ჰარის ეზიზღება ქრისტიანობის ბნელი, დახლართული, შინაგანი მხარე, მისი თვისება ჭირთათმენისა, სიკვდილში შესვლისა და ტანჯვისა, რათა გამოისყიდოს ისინი და რაღაც სრულიად საპირისპიროდ გადააქციოს – ამოტრიალებულ ქოლგად. იგი მოკლებულია შეგნებულ ნებელობას, იაროს პარადოქსების პირდაპირი გზით. როგორც უნდა სცემდეს სინათლე ბადურას, იგი თვალებით მაინც მისკენ მიიწევს.

ჩალის ფარის მიღმა ლუსი ეკლზის მკვეთრად განათებული ლოყა ხან გამოჩნდება, ხანაც იმალება. გოგონა – იგი მთლიანად სკამის საზურგითაა დაფარული, მხოლოდ ლენტი მოუჩანს – დედას რაღაცას ეჩურჩულება, ალბათ, ეუბნება, რომ იგი მათ უკან ზის. მაგრამ ქალი ჯიუტად მხოლოდ წინ იყურება. ეს უაზრო უგულებელყოფა ბაჭიას აღაგზნებს. იგი მხოლოდ მის პროფილს ხედავს – ორმაგი ღაბაბის რბილი ნაკეცი უფრო მკვეთრადაა გამოკვეთილი, როდესაც იგი იღუშება და გოგონას ზემოდან დასცქერის. ქალის კაბა ვიწრო ცისფერი ზოლებითაა გაწყობილი, რომლებიც ერთმანეთს ნაკერებში მრავალი მახვილი კუთხით უერთდება. ელეგანტური ქსოვილი და კაბის ფასონი ეკლესიისთვის არცთუ ისე შესაფერისია. არის რაღაც ეროტიკული იმაში, თუ როგორ წყნარად ზის იგი ტაძარში და უდრტვინველად ემორჩილება მის მკაცრ, დახავსებულ წესებს. ბაჭია თავს ინუგეშებს – ეჩვენება, რომ სინამდვილეში ქალს ყურადღება უკან, მისკენ აქვს მიპყრობილი. დახრილი თავების პირქუში, ჭრელი მოხატულობის, ფერადი მინების, კედლებზე გაყვითლებული მემორიალური დაფებისა და ღვლარჭნილი ჩუქურთმების – სკამების საზურგეებზე ხის გირჩებისა და მძივების – ფონზე ქალის თმა, კანი და შლაპა ცეცხლის ალის ნაირფერ ანარეკლებს ერთიმეორეს გადასცემენ.

ამიტომ, როდესაც ქადაგებას ფსალმუნი მოსდევს და ლუსი ეკლზის მბზინავი კეფა ლოცვა-კურთხევის მისაღებად იხრება, როდესაც ნერვიული დუმილის წუთი გადის, ქალი კი დგება და, ბოლოს და ბოლოს, მისკენ მოტრიალდება, ბაჭიას იმედგაცრუებას საზღვარი არა აქვს, რადგან მკაფიო წერტილების გამოფენას ხედავს – თვალებს, ნესტოებს,

ჭორფლსა და პატარ-პატარა ფოსოებს, რომლებიც პირის კუთხეებში დამცინავ ღიმილად იქცევა. იგი შეცბუნებულიც კია ქალის სახით – ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ბრწყინვალე სურათი, რომლითაც მთელი საათის განმავლობაში ტკბებოდა, ასე სწრაფად დაპატარავდებოდა რომელიღაც უმნიშვნელო პიროვნების ზომებამდე.

– სალამი, სალამი, – ამბობს ბაჭია.

– გამარჯობა. არ მეგონა, აქ თუ გნახავდით.

– რატომ?

– არ ვიცი. იმ ადამიანს არ ჰგავხართ, რომელიც საყოველთაოდ მიღებულ ჩარჩოებში ჯდება.

ბაჭია ქალს სახეში შესცქერის – აინტერესებს, კიდევ ჩაუკრავს თვალს თუ არა. კარგა ხანია, აღარ სჯერა, რომ რამდენიმე კვირის წინ ეს მართლაც მოხდა. ქალი მას პირდაპირი მზერით პასუხობს და იგი, ბოლოს და ბოლოს, თვალებს ძირს ხრის.

– გამარჯობა, ჯოის. როგორ ხარ? – მიმართავს იგი ბავშვს.

გოგონა დედის ზურგს უკან იმალება, რომელიც გასასვლელისკენ მიემართება და მის ირგვლივ მყოფი ცხვრებისთვის ღიმილს არ იშურებს. მას გარემოსთან შეგუების საოცარი უნარი აქვს.

კართან ეკლზი გულთბილად ესალმება ბაჭიას და ღონივრად უჭერს თავის ფართო ხელს მაშინ, როცა პირიქით, უნდა შეასუსტოს.

– მიხარია, აქ რომ გხედავთ, – ამბობს ადგილიდან ფეხმოუცვლელად. ბაჭია გრძნობს, რომ უკნიდან ხალხი მოადგა.

– მეც ძალიან მომეწონა. შესანიშნავი ქადაგება იყო, – ამბობს იგი.

ეკლზი დაძაბული ღიმილით უყურებს, ლოყები ისე შეფაკვლია, თითქოს ებოდიშებაო. იგი იცინის. წამით ბაჭია მის სასას ხედავს, შემდეგ კი ესმის, თუ როგორ მიმართავს ლუსის: «დაახლოებით ერთ საათში».

– ხორცი უკვე აირღუმელშია. როგორი გინდა – ცივი თუ კარგად

შემწვარი?

– კარგად შემწვარი, – პასუხობს იგი. შემდეგ სერიოზული სახით ჩაჰკიდებს ხელს პატარა ჯოისს და ეუბნება, – გამარჯობა, მისის ცეროდენა. დღეს ბრწყინვალედ გამოიყურებით.

ბაჭია მოულოდნელობისგან შეკრთება და ხედავს, რომ მის უკან მდგარ მსუქან ქალსაც იგივე ემართება. მისი ცოლი ნამდვილად არ აზვიადებდა, ეკლზმა ზედმეტის წამოყრანტალება იცის. ლუსი ჯოისის თანხლებით მასთან მიდის და ჩერდება. ჩალის ქუდი მხრებამდე სწვდება.

– მანქანით ხართ?

– არა. თქვენ?

– არც მე. ხომ არ გაგვაცილებდით?

– სიამოვნებით.

მიპატიჟება იმდენად თავხედურია, რომ ალბათ არაფერს ნიშნავს. მკერდში მაინც უთრთის ქალის ტალღაზე აწყობილი სიმი. ფოთლებში მზის შუქი ციმციმებს. დილის სხივებმა თავისი რძისფერი სითეთრე დაკარგა და ქვაფენილსა და ტროტუარებს ხვატი აწვება. ასფალტზე ქარსის ნამცეცები ბრწყინავს. ჩავლილი მანქანების ფანჯრები და კაპოტები ჰაერში კაშკაშა თეთრ ათინათებს ფანტავენ. ლუსი ეკლზი შლაპას იხდის და ჩამოშლილ თმას აქეთ-იქით გაიქნევს. მათ უკან მრევლი თანდათან თხელდება. ტროტუარსა და ქვაფენილს შორის დარგული ნეკერჩხლების ქორფა, კრიალა ფოთლების მუქი ჩრდილი რიტმულად იცვლება მზით განათებული ადგილებით და ქალის სახე და მამაკაცის პერანგი თეთრზე თეთრად მოჩანს. ძრავების გუგუნი, სამბორბლიანი ველოსიპედის წრიპინი, სახლში ჭიქის ლამბაქზე მიკაკუნება – ეს ხმები ბაჭიასკენ თითქოს მოელვარე ფოლადის ძელაკზე მოგორავს. იგი აკანკალებული დგას სინათლის ამ ნაკადში, რომელსაც თითქოს თვითონვე ასხივებს.

– თქვენი მეუღლე და შვილი როგორ არიან?

– კარგად. შესანიშნავად.

– ჩინებულია. მოგწონთ ახალი სამსახური?

– არც ისე.

– ოჰ, ეს, ალბათ, ცუდის ნიშანია.

– არ ვიცი. ჩემი აზრით, არავინ ელის, რომ ადამიანს მისი სამუშაო მოეწონება. თუ მოსწონს, ეს უკვე სამუშაო აღარ არის.

– ჯეკს მოსწონს თავისი სამუშაო.

– მაშასადამე, ეს სამუშაო არ ყოფილა.

– თვითონაც ამ აზრისაა. ამბობს, რომ ეს არ არის სამუშაო იმ გაგებით, როგორც მე მესმის. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მის იდეებს ჩემზე ცუდად არ იცნობთ.

ბაჭია ხვდება, რომ ქალი მის გახელებას ცდილობს, მაგრამ იგი უამისოდაც საკმარისადაა აღგზნებული.

– ჩემი აზრით, მე და ის, გარკვეულწილად, ერთმანეთს ვგავართ.

– ვიცი, ვიცი, – უცნაური აჩქარებისგან, რომლითაც ქალი ამას ამბობს, ბაჭიას გული უფრო სწრაფად უცემს, – მაგრამ მე, ბუნებრივია, განსხვავებებს უფრო ვამჩნევ, – ქალის ხმა მშრალად ეხრახნება წინადადების დასასრულს, ქვედა ტუჩი ებრიცება.

ეს რაღას ნიშნავს? ბაჭიას ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს შუშას შეეხო. მან არ იცის, ეს უწყინარი საუბარია თუ კოდი უფრო ღრმა მნიშვნელობის გასაგებად. არ იცის, ქალი შეგნებულად კეკლუცობს თუ შეუგნებლად. იგი გამუდმებით ჰპირდება საკუთარ თავს, რომ შემდეგ ჯერზე მასთან მტკიცედ ილაპარაკებს, ეტყვის, რომ შეუყვარდა, ან რაიმე ამგვარს, სიმართლეს არ დაუმალავს, მაგრამ მისი თანდასწრებით მუნჯდება, სუნთქვისგან მინა იორთქლება, აღარ იცის, რა თქვას და სისულელეებს ამბობს. მხოლოდ ერთი რამ იცის – მათი აზრებისა და მდგომარეობის მიუხედავად, ამ ქალზე ბატონობის უფლება აქვს, თითქოს მემკვიდრეობით მიეღოს შორეული მიწის ნაკვეთი, და რომ მთელი თავისი ფიბრებით, თმის ღერებით, ძარღვებითა თუ ვენებით, ქალი მზადაა, დამორჩილდეს, ოღონდ ამ მზადყოფნას წინ გონება უდგას.

– მაგალითად, რაში? – ეკითხება ბაჭია.

– თუნდაც იმაში, რომ ქალების არ გეშინიათ.

– ვის ეშინია მათი?

– ჯეკს.

– ასე ფიქრობთ?

– დარწმუნებული ვარ. მოხუცებსა და ტინეიჯერებს, მათ, ვინც მას პასტორის საყელოთი ხედავს, ასე თუ ისე, ეწყობა. მაგრამ დანარჩენებს ეჭვის თვალით შესცქერის, არ უყვარს ისინი. თვლის, რომ მათ ეკლესიაში არ უნდა იარონ, ვინაიდან იქ ბავშვებისა და ლოგინის სუნი მოაქვთ. ეს მარტო ჯეკის კი არა, ქრისტიანობის დამახასიათებელი თვისებაა. ძალზე ნევროტული რელიგიაა.

ქალის მიდრეკილება ფსიქოლოგიისადმი ბაჭიას რატომღაც ისე სულელურად ეჩვენება, რომ საკუთარი უგუნურება აღარც კი ახსოვს. მაღალი ტროტუარიდან ჩამოსვლისას იგი თანამგზავრს ხელს აშველებს. მთის ფერდობზე გაშენებულ ჯაჯმაუნთში ბევრი მაღალი ბორდიურია, რომელთა მოხდენილად დაძლევაც ტანდაბალ ქალებს საკმაოდ უჭირთ. ბაჭიას თითები ცივ ხელს ეხება.

– თქვენს შეხედულებებს მრევლს ნუ გაუმხელთ.

– ხომ ხედავთ! თქვენც ჯეკივით ლაპარაკობთ.

– ეს კარგია თუ ცუდი? – აი, ასე. კარგი ტესტი გამოვიდა. ახლა ქალი თავს ვეღარ დაიძვრენს. როგორც უნდა უპასუხოს, ეს ვითარებაში სიცხადეს შეიტანს.

მაგრამ ქალი დუმს. ისინი მოპირდაპირე ტროტუარზე ადიან და ბაჭია უხერხულად უშვებს ქალს ხელს. მაგრამ, ამ უხერხულობის მიუხედავად, მაინც გრძნობს, რომ ისინი ერთმანეთის შესაფერისნი არიან.

– დედა!

– რა?

– რას ნიშნავს როტული?

– როტული? ა-ა, ნევროტული. ეს ნიშნავს, რომ ვიღაცას თავი მთლად წესრიგში არა აქვს.

– თავი სტკივა?

– ჰო, რაღაც მაგის მსგავსი. და სერიოზული. მაგრამ შენ ნუ წუხხარ, ძვირფასო. ეს თითქმის ყველას ემართება. ჩვენი მეგობრის, მისტერ ენგსტრომის გარდა.

გოგონა თვალებს მაღლა სწევს და დედის თეძოს ამოფარებული, ბაჭიას მორცხვი, მაგრამ თავხედური ღიმილით უყურებს და ამბობს:

– იგი ურჩია.

– არც ისე, – პასუხობს დედა.

პასტორატის აგურის კედლის ბოლოში მიტოვებული ცისფერი სამბორბლიანი ველოსიპედი დგას. ჯოისი, რომელსაც ზღვის ტალღისფერი საკვირაო პალტო აცვია და თმაში ვარდისფერი ლენტი უკეთია, მასთან მიირბენს, ჯდება და აქეთ-იქით დაატარებს. ლითონი ჭრიალებს და ჰაერში მუცლითმეზღაპრის ხმის გრეხილ ძაფებს აწნავს. წუთით ორივენი ბავშვს შესცქერიან. შემდეგ ლუსი ეკითხება:

– სახლში ხომ არ შემოხვალთ?

პასუხის მოლოდინში იგი მის მხარს ათვალიერებს, მას კი ზემოდან ეჩვენება, რომ ქალს თვალები თეთრი ქუთუთოების ქვეშ აქვს დამალული. ტუჩები გახსნილი აქვს. ენა, ყბის მოძრაობის მიხედვით, სასას ედება. შუადღის მზე მკვეთრად აჩენს სახესა და დამსკდარ პომადას. ბაჭია ხედავს, როგორ ეხება კბილებს ქვედა ტუჩის შიგა ნაწილი. დაგვიანებული ქადაგების სიო მტკივნეული ზნეობრივი მოძღვრების გემოთი უდაბნოს მტვრიანი ქარივით ეხვევა მის სხეულს და თვალწინ გროტესკული სახით წარმოუდგება ჯენისის მწვანესისხლძარღვებიანი ნაზი ძუძუები. ამ საძაგელ ბუჭყას კი სურს, რომ იგი მათ დააშოროს.

– არა, გმადლობთ. არ შემიძლია.

– ნუ ინაზებით. ეკლესიაში ყოფნისთვის ჯილდო გეკუთვნით. ყავა მიირთვით.

– იცით, რა, – ამბობს იგი რბილად, მაგრამ მნიშვნელოვნად, – სიმპათიური დედოფალა ხართ, მაგრამ ახლა ცოლი მყავს, – იგი ხელებს მაღლა სწევს, რათა რაღაც აუხსნას, მაგრამ ლუსი ნაჩქარევად იხევს უკან.

– ბოდიშს გიხდით.

ბაჭია მხოლოდ მისი თვალების მწვანე გარსის ლაქებიან ნაწილს ხედავს, რომელიც შავი გუგების გარშემო პაპიროსის ქაღალდის ნაგლეჯებს ჰგავს, შემდეგ კი ქალის მრგვალი, მკვრივი უკანალი ქნევა-ქნევით ტოვებს იქაურობას.

– მაინც დიდი მადლობა, – მიაძახებს ბაჭია ყრუ, მისუსტებული ხმით. მას სიძულვილის ეშინია.

ქალი ისე ძლიერად გაიჯახუნებს კარს, რომ მასზე მიმაგრებული დასაკაკუნებელი თევზი თავისით ცარიელ პარმაღთან დამატებით ხმებს გამოსცემს.

ბაჭია სახლისკენ მიემართება. ფიქრებში გართული, მზესაც კი ვერ ამჩნევს. რატომ გაბრაზდა ლუსი? იმიტომ, რომ მისი წინადადება არ მიიღო, თუ იმის გამო, რომ მიანიშნა, სურვილს მიგიხვდიო? იქნებ ქალმა მოულოდნელად გააცნობიერა, რასაც წარმოადგენდა თვითონ სინამდვილეში? დედამისმაც ასე იცის ორთქლის გამოშვება უხერხულ სიტუაციაში. ასეა თუ ისე, საკვირაო კოსტიუმში გამოწყობილი, იგი ხეების ქვეშ მიაბიჯებს, გრძნობს, რომ ელეგანტურია, მაღალი და ღონიერი. უგულებელყო ეკლზის ცოლი თუ არასწორად გაიგო მისი ნათქვამი, ქალმა მაინც გამოაცოცხლა და ბაჭია თავის სახლში ცივი გონებით, მაგრამ ჟინით აღვსილი შედის.

* * *

ჯენისთან მისი დაწოლის სურვილი პატარა ანგელოზს ჰგავს, რომელსაც ტყვიის საძირავები მიამაგრეს. ახალშობილი თავის საწოლში წევს, გაუთავებლად ღნავის. ჰნნნნნნნნაჰ-აჰ-აჰ-ნნნნჰ, გამოსცემს ხმებს, თითქოს სუსტი ხელით თავის შიგნით რომელიღაც კარს ფხოჭნის. ნეტავ რა უნდა? რატომ არ სძინავს? ბაჭია ეკლესიიდან ჯენისთან ძვირფასი საჩუქრით დაბრუნდა, მაგრამ მის მირთმევას ვერაფრით ახერხებს. ხმაური ოთახს შიშით ავსებს. მას მუცელი სტკივა. როდესაც გოგონა ხელში აჰყავს, რათა ამოაბოყინებინოს, თვითონ ეწყება ბოყინი – კუჭში წნევა მაგრად დაჭიმულ ბუშტს ქმნის. ასეთივე ბუშტს ბავშვის კუჭში ჯიუტად არ სურს გასკდომა. ნამცეცა, რბილი, მარმარილოსებრი, ქაღალდივით მსუბუქი სხეული ჯერ

დაიძაბება მის მკერდზე, მერე კი მოდუნდება. ცხელი პატარა თავი ისე მოუსვენრად ტრიალებს, თითქოს მხრებს უნდა მოსწყდესო.

– ბეკი, ბეკი, ბეკი, – ამბობს ბაჭია, – დაიძინე, დაიძინე.

ხმაურზე ნელსონი ჭირვეულობს და სლუკუნს იწყებს. იგი თითქოს ყველაზე ახლოსაა იმ ბნელ კართან, რომლიდანაც ცოტა ხნის წინ ახალშობილი გამოვიდა და ყველაზე მძაფრად აღიქვამს იმ საფრთხეს, რომლის შესახებაც ბავშვი მათ გაფრთხილებას ცდილობს. საკმარისია, რებეკა მარტო დარჩეს, რომ მისკენ რაღაც ბუნდოვანი ჩრდილი მოიწევს, რომელსაც დიდების უფრო სრულყოფილი გრძნობათა ორგანოები ვერ აღიქვამენ. ბაჭია მას კალათში აწვენს და ფეხაკრეფით სასტუმრო ოთახში გადის. სუნთქვაშეკრულები სხედან. შემდეგ სიჩუმის მემბრანა საშინელი ჭრიალით სკდება და კვლავ გაისმის წყვეტილი კვნესა: ننننჰ, ა-ننننننიჰ!

– ღმერთო ჩემო, – ამბობს ბაჭია, – ჯანდაბა. ჯანდაბა.

ხუთი საათისთვის ჯენისი ტირილს იწყებს. მას თვალებიდან ცრემლი წასკდება, რომლებიც მოთენთილ, მუქ სახეზე მიედინება.

– სულ გამოვშრი. რძე აღარ მაქვს, – მან უკვე რამდენჯერმე მიუტანა მკერდი ბავშვს.

– მიაფურთხე, – ეუბნება ბაჭია, – მოითმენს. დალიე. სამზარეულოში ცოტა ვისკი დარჩა.

– რას ჩამცივებიხარ, დალიე, დალიეო? ვცდილობ, არ დავლიო. მეგონა, არ მოგწონდა, რომ ვსვამდი. მთელი დღე სიგარეტს ეწევი და დალევისკენ მიბიძგებ.

– ვფიქრობდი, რომ თავს უკეთ იგრძნობდი. ერთთავად დაძაბული ხარ.

– შენზე მეტად არა. რა გემართება? რა გაქვს ჩაფიქრებული?

– სად გაქრა შენი რძე? რატომ ვერ აჭმევ ბავშვს ნორმალურად?

– ბოლო სამ საათში უკვე სამჯერ ვაჭამე. აქ მეტი აღარაფერია, – და გულახდილი შესაბრალისი ჟესტით კაბის ზემოდან მკერდზე იჭერს ხელს.

– რამე დალიე.

– მომისმინე, რა გითხრეს ეკლესიაში? შინ წადი და ცოლი დაათვრეო? თუ დალევა გინდა, დალიე, მე რას მიყურებ.

– სულაც არ მინდა დალევა.

– მაგრამ ვერ ისვენებ. ეს შენ აღიზიანებ ბეკის. დილით, სანამ აქ არ იყავი, არაფერი აწუხებდა.

– დაივიწყე ეს. ნუ ფიქრობ ამაზე. ნუღარ იფიქრებ ამ სისაძაგლეზე და მორჩა.

– დაიკო ტირის!

ჯენისი ნელსონს ეფერება.

– მესმის, ჩემო საყვარელო. მას სცხელა. ახლავე შეწყვეტს.

– დაიკოს სცხელა?

ისინი ცოტა ხანს მიაყურადებენ, მაგრამ ჩხავილი არ წყდება. სასოწარკვეთილ, უღონო გაფრთხილებას მტანჯველი სიჩუმე ენაცვლება, მერე კი ყველაფერი თავიდან იწყება. გაფრთხილებულები, კაცმა არ იცის, რის შესახებ, შეუჩერებლივ დაქრიან საკვირაო გაზეთის ნაგლეჯებს შორის, მთელ ბინაში რომ არის მიმოფანტული, სახლის კედლები ციხის კედლებივით დაორთქლილა. ფანჯრებს იქით უკვე მრავალი საათია მეფურად მოწმენდილი ცა ბრწყინავს და ბაჭიას კიდევ უფრო აშფოთებს აზრი, რომ ასეთ ამინდში მშობლები ყოველთვის დიდხანს ასეირნებდნენ მას და მიმის, თვითონ კი მშვენიერ კვირადღეს კარგავენ, მაგრამ სახლიდან გასვლას ვერაფრით ახერხებენ. გაასეირნებდა ნელსონს, მაგრამ გაურკვეველი შიშით შეპყრობილი ბიჭი დედის კალთას ებღაუჭება. ბაჭიას ჯერაც არ დაუკარგავს ჯენისის დაუფლების იმედი და გვერდიდან არ სცილდება, როგორც კრიჟანგი განძეულს. მისი ჟინი მათ ერთმანეთს აწებებს.

ქალი ამას გრძნობს და ეს კიდევ უფრო თრგუნავს.

– რატომ არ გაისეირნებ? ბავშვს ნერვებს უშლი. მეც ნერვებს მიშლი.

– ნუთუ დალევა არ გინდა?

– არა, არა. მხოლოდ ის მინდა, რომ დაწყნარდე, სიგარეტის მოწევასა და ბავშვის ხელში რწევას თავი დაანებო. და მეც შემეშვა. ისედაც მცხელა. ჩემი აზრით, აჯობებს, ისევ საავადმყოფოში დავწვე.

– რამე გტკივა? სად, ქვემოთ?

– ყველაფერი კარგად იქნებოდა, ბავშვი რომ არ ტიროდეს. უკვე სამჯერ ვაჭამე. ახლა კი თქვენც უნდა გავახშმოთ. ო-ოჰ. ვერ ვიტან კვირას. ეკლესიაში რას აკეთებდი? რატომ წრიალებ?

– სულაც არ ვწრიალებ. ვცდილობ, დაგეხმარო.

– ვხედავ. სწორედ ეს არ არის ნორმალური. შენს კანს რაღაც უცნაური სუნი ასდის.

– რისი სუნი ასდის?

– აჰ, არ ვიცი. თავი დამანებე.

– მიყვარხარ.

– გეყოფა. არ შეიძლება. ახლა ჩემი სიყვარული არ შეიძლება.

– ცოტა ხნით დივანზე წამოწექი, მე სუპს მოვამზადებ.

– არა, არა, არა. ნელსონი აბანავე. მე კი ვეცდები, პატარას ვაჭამო. საბრალო, იქ ისევ არაფერია.

ისინი გვიან ვახშმობენ. ჯერ არ ჩამობნელებულა – წელიწადის ერთ-ერთი უგრძესი დღეა. სუპს რებეკას განუწყვეტელი ტირილის თანხლებით მიირთმევენ. მაგრამ როდესაც სამზარეულოს ნიჟარაში ჩაწყობილ თეფშებზე, გაცვეთილ, დანესტიანებულ ავეჯსა და კუბოსავით ჩაღრმავებულ დაწნულ კალათზე ჩრდილები ჩამოწვება, გოგონა მოულოდნელად წყნარდება და ბინაში საზეიმო, მაგრამ დანაშაულის შეგრძნებით სავსე მშვიდობა მყარდება. მათ პატარა მიატოვეს. მათ შორის შემთხვევით აღმოჩნდა უცხოქვეყნელი, რომელიც ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, მაგრამ დიდი და მძიმე წუხილით იყო შეპყრობილი. როცა დაღამდა, ბედის ანაბარა მიგდებული, სიბნელემ საცოდავი მტვრის ნამცეცივით წაიღო.

– ეს მუცლის ბრალი არაა, პატარებს არ სტკივათ ხოლმე, – ამბობს ჯენისი, – იქნებ შია, მე კი რძე გამითავდა.

– რა ვიცი, ფეხბურთის ბურთებს კი მიგიგავს ძუძუები და...

ჯენისი ალმაცერად უყურებს და ხვდება, თუ საით მიჰყავს ქმარს საქმე.

– ეგ არც კი გაიფიქრო.

მაგრამ ბაჭიას ეჩვენება, რომ მის სახეზე ღიმილი გამოკრთა.

ნელსონი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე მიდის დასაძინებლად – ასე მაშინ ხდება, როცა თავს შეუძლოდ გრძნობს. დაიკომ ქანცი გააცალა. ბიჭუნას მუქი თავი მძიმედ ეფლობა ბალიშში. იგი ხარბად მიიწევს პირით ბოთლისკენ, ბაჭია კი ელოდება, ამაოდ ეძებს სიტყვებს ერთდროულად ავბედითი და კეთილი წუთიერი ფიქრების გადასაცემად, შეუმჩნევლად და სწრაფად რომ გვეხებიან, როგორც ფუნჯის მსუბუქი მოსმა. მას გაურკვეველი მწუხარების შეგრძნება ეუფლება. ეს მწუხარების სიმწარეა, რომელიც დროსა და სივრცეს არ ემორჩილება, ტკივილი იმ სამყაროში ცხოვრების გამო, სადაც მუქთავიანი ბიჭები ვიწრო საწოლებზე იძინებენ და მადლიერებით მიიწევენ ტუჩებით რეზინისა და შუშის ბოთლებისკენ. იგი ნელსონს ხელს კოპებიან შუბლზე ადებს. ბიჭი მის მოცილებას ცდილობს და გაბრაზებით აქნევს ნამძინარევ თავს. ჰარი ხელს იღებს და სხვა ოთახში გადის.

იგი ჯენისის დაყოლიებას ახერხებს. თვითონ უზავებს ვისკის სანახევროდ წყლით – სპირტიან სასმელებში ცუდად ერკვევა. რა სისაძაგლეა, ამბობს ჯენისი, მაგრამ სვამს.

ლოგინში ბაჭიას ეჩვენება, რომ ცოლი ახლა სხვაგვარად იქცევა. ქალის სხეული თითქოს თავისით მოიწევს მისკენ და დამჯერედ ექცევა მის ხელისგულებში. ღამის პერანგის კალთიდან კისრამდე იგი ჯერ კიდევ მისია. გვერდულად წვანან სახით ერთმანეთისკენ. ბაჭია ზურგს უზელს, ჯერ მსუბუქად, მერე უფრო ძლიერად, მკერდზე იკრავს და მისი დამყოლობა ისეთ ძალას მატებს, რომ იდაყვზე წამოიწევს და მის ზემოთ დაეკიდება, მაგარ, მუქ სახეს უკოცნის, რომელსაც სასმლის სუნი ასდის. ქალს თავი მორჩილად უჭირავს და კაცი მის უძრავ პროფილში უარს ვერ კითხულობს. იგი უკმაყოფილებას გულში იკლავს და თავს აიძულებს, ქალის სინელეს შეეგუოს. თავისი უსაზღვრო მოთმინების გამო სიამაყის გრძნობით აღვსილი, კვლავ ზურგის ზელაზე გადადის. ჯენისის კანი მის ენასავით ინახავს თავის

საიდუმლოს. ნეტავ რაიმეს თუ გრძნობს? რუთის შემდეგ იგი გაუგებარ, პირქუშ, ყველაფრისადმი გულგრილ ხორგად ეჩვენება. შეძლებს კი მასში ნაპერწკლის გაღვივებას? წელის ტკივილი თავს აცხენებს. ბაჭია გაბედავს და ღამის პერანგზე ორ ღილს შეუხსნის, ქსოვილის კუთხეს გადასწევს და ქალის თბილი ძუძუები გაშიშვლებულ მკერდზე ეკვრის. ჯენისი უდრტვინველად ემორჩილება ამ მანევრს და იმის გაფიქრება, რომ ცოლს გრძნობა გაუღვიძა, ბაჭიას გულს უხარებს. იგი კარგი საყვარელია. ბაჭია მოხერხებულად ეწყობა თბილ ლოგინში და პიჟამის შარვალზე თასმებს ხსნის. ნაზად და ფრთხილად მოქმედებს, არც ქალის ჭრილობა ავიწყდება და მტკივნეულ ადგილებს გვერდს უვლის. ამიტომ საშინლად გაცეცხლდება, როდესაც ყურში სულელი ქალის წვრილი, გამკინავი, წრიპინა ხმა ჩაესმის:

– ჰარი, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ძილს ვაპირებ?

– მერე თავიდანვე ვერ მითხარი?

– არ ვიცოდი. არ ვიცოდი.

– რა არ იცოდი?

– არ ვიცოდი, რას აკეთებდი. მეგონა, გინდოდა ჩემთვის გესიამოვნებინა.

– მაშასადამე, არ გსიამოვნებს?

– ცხადია, არ მსიამოვნებს, როცა არაფერი შემიძლია.

– რაღაც მაინც შეგიძლია.

– არა, არ შემიძლია. დაღლილი რომც არ ვიყო და რებეკას ჩხავილისგან გადარეული, ჩემთვის მაინც არ შეიძლება. ექვსი კვირის განმავლობაში. ეს შენც კარგად იცი.

– როგორ არ ვიცი, მაგრამ მეგონა... – ბაჭია ძალზე შეცბუნებულია.

– რა გეგონა?

– მეგონა, მაინც გეყვარებოდი.

– რასაკვირველია, მიყვარხარ, – ამბობს ქალი ცოტაოდენი დუმილის შემდეგ, – რა მოგივიდა, ვერ იძინებ?

– ჰო, ვერ ვიძინებ. ძალიან მიყვარხარ.

სულ რაღაც ერთი წუთის წინ ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ამ საუბარმა ყველაფერი შეაზიზღა. ისედაც არაფერი გამოსდიოდა ხოლმე, ქალის უსიცოცხლობამ და სიჯიუტემ კი სურვილი სულ გაუქრო. ჯენისი ყველაფერს კლავს, როდესაც მასში სიბრალულის, სირცხვილისა და საკუთარი უგუნურების გრძნობას აღვივებს. სიამოვნებისგან მხოლოდ აუტანელი სიმძიმე დარჩა და კიდევ სასაცილო უუნარობა – ქალის მუცლის უსიცოცხლო, მაგრამ ცხელი კედლით ესარგებლა და ყველაფერი სწრაფად შეეწყვიტა. ჯენისი მას ხელს ჰკრავს.

– შენ მხოლოდ ჩემი გამოყენება გინდა, – ეუბნება იგი, – ეს საზიზღრობაა.

– გთხოვ, პატარავ.

– ეს სიბილწეა.

როგორ გაბედა ამის თქმა? ბაჭია გაცოფებულია. მაგრამ თავში გაუელვებს, რომ მისი არყოფნის სამი თვის განმავლობაში ქალს სიყვარულის შესახებ სრულიად არარეალური წარმოდგენა შეჰქმნია. იგი მის მნიშვნელობას აზვიადებს, ჰგონია, ეს რაღაც იშვიათობაა, ძვირფასი ნივთი. ბაჭიას ამ ყველაფრის სწრაფად დამთავრება სურს, რათა დაიძინოს, მერე კი პირდაპირ გზას გაუყვეს – მისი გულისთვის. ყველაფერი მხოლოდ მისი გულისთვის.

– მეორე გვერდზე გადაბრუნდი, – ეუბნება მას.

– მიყვარხარ, – შვებით ამოისუნთქავს ჯენისი, რომელსაც ჰგონია, რომ ქმარმა თავი დაანება. მას გამოსამშვიდობებლად სახეზე ეხება და ზურგს შეაქცევს.

ბაჭია ქალის დუნდულებს უკნიდან მიადგება, ეს მეტ-ნაკლებად გამოსდის. მას უკვე ეჩვენება, რომ ყველაფერი კარგად მიდის, როცა ჯენისი მისკენ თავს მოაბრუნებს და ეკითხება:

– ეს შენმა ბოზმა გასწავლა?

ბაჭია ცოლს მხარზე ხელს არტყამს და საწოლიდან გადმოხტება. პიჟამის შარვალი იატაკზე ვარდება. ჟალუზიდან ღამის გრილი ნიავი უბერავს. ჯენისი საწოლის შუაში ზურგზე

წვება და განმარტავს:

– მე ის ბოზი არა ვარ, ჰარი.

– მოკეტე, მას შემდეგ, რაც შინ დაბრუნდი, პირველად გთხოვე რაღაც.

– შესანიშნავი იყავი.

– გმადლობთ.

– სად მიდიხარ?

ბაჭია ჩაცმას იწყებს.

– სუფთა ჰაერზე. მთელი დღე ამ დაწყევლილ სოროში გავატარე.

– დილით ხომ გახვედი.

ბაჭია შარვალს იცვამს.

– ნუთუ არ შეგიძლია, რომ ჩემზეც იფიქრო? მე ხომ ეს-ეს არის, ვიმშობიარე.

– შემიძლია. შემიძლია, მაგრამ არ მინდა, ფეხებზე მკიდია. მთავარია, მე რა მსურს. მე კი გარეთ გასვლა მომინდა.

– არ წახვიდე, ჰარი, არ წახვიდე.

– ბრძანდებოდე აქ შენს უძვირფასეს უკანალთან ერთად. ჩემ მაგიერ აკოცე.

– ღმერთო ჩემო! – ყვირის ჯენისი, საბნის ქვეშ მიძვრება და სახეს ბალიშში რგავს.

ახლაც კი შეუძლია დარჩენა. სიყვარულის სურვილი გამქრალია და წასვლაც აღარაა აუცილებელი. ჟინი აღარ აწვალებს, ამიტომ მის გვერდით დაწოლა და დაძინებაც შეიძლებოდა. ყველაფერი ჯენისის ბრალია – ბელტივით დევს და კვნესის, ქვემოთ კი, დასახლებაში, მანქანის ძრავა ღმუის, იქ ჰაერია და ფარნებით განათებული ქუჩები. მას ეს ყველაფერი ახსენდება და სახლიდან გადის.

უცნაურია, მაგრამ ბაჭიას წასვლისთანავე ჯენისი იძინებს: ამ ბოლო დროს მარტო ძილს მიეჩვია, ფიზიკურ შვებას გრძნობს იმისგან, რომ ქმარი საწოლში არაა და არავინ მიარტყამს

გახურებულ ფეხს და არც ზეწრებს დაგრეხს თოკებად. დილის ოთხი საათისთვის ბეკი ყვირილით აღვიძებს. იგი დგება. ღამის პერანგი რბილად ელამუნება ფეხებზე. კანი ძალიან მგრძნობიარე გაუხდა. ჯენისი ბავშვს სახვევებს უცვლის და საწოლზე ჯდება, რათა შვილს აჭამოს. როდესაც ბეკი ძუძუს წოვს, ქალს ეჩვენება, რომ სხეულში სიცარიელე უჩნდება. ჰარი არ დაბრუნდა.

ბავშვს პირიდან წამდაუწუმ უვარდება ძუძუ – ჯენისი ვერაფრით ახერხებს, რომ მთელი ყურადღება შვილს მიაპყროს, გაფაციცებით უსმენს, საკეტში ჰარის გასაღები ხომ არ ჩხაკუნებს.

დედას მეზობლები სიცილით მოკვდებიან, თუ კვლავ დაკარგავს ქმარს. ჯენისი მათ აინუნშიაც არ ჩააგდებდა, რომ არა დედა, რომელიც მას, სანამ მშობლებთან ცხოვრობდა, მუდამ ახსენებდა მათ ღვარძლიანობას, თანაც მის გვერდით თავი სულელად და ულამაზოდ მიაჩნდა, ყველა იმედიც გაუცრუა. ჯენისი ფიქრობდა, რომ დაქორწინება ყველაფერს შეცვლიდა – გათხოვდებოდა და საკუთარი სახლი ექნებოდა. თავიდანვე ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ გოგონასთვის დედის პატივსაცემად მისი სახელი დაერქმია – იქნებ ასე მაინც აღარ მომაბეზროს თავიო, მაგრამ ამის ნაცვლად საბრალო პატარა ბრმად რქენს პირით მკერდში, დედამისს ახსენებს და ჯენისს ეჩვენება, თითქოს ბოძის თავზე წევს, მარტოა და მთელ ქალაქს ხედავს. მას სცივა. ბავშვი ძუძუს პირში ვერ იჩერებს, იგი არავის სჭირდება.

ჯენისი დგება და ოთახში დადის, თან ბეკი მხარზე შემოუდევს და ზურგზე ეფერება, რათა ჰაერის გამოშვებაში დაეხმაროს, პატარა კი ისეთი მოთენთილი და დასუსტებულია, რომ შიგადაშიგ ქვემოთ მოცურავს და თავის შესამაგრებლად უძვლო ფეხებით მის მკერდში ჩამალვას ცდილობს. ღამის პერანგი ქარისგან ფრიალებს და ფეხებსა და, როგორც ქმარმა თქვა, მის ძვირფას უკანალს ეკვრის. ისე იტყვიან, ლამის ტალახში ამოგგანგლონ – წესიერი სიტყვებიც კი არ იციან სხეულის ნაწილების აღსანიშნავად.

ახლა რომ საკეტში გასაღები გადატრიალდეს და ქმარი შემოვიდეს, ჯანდაბას, ყველაფრის გაკეთების ნებას მისცემს, ბოლოს და ბოლოს, გათხოვილი ქალია. მაგრამ ამაღამ ეს იმდენად უსამართლო იყო, რომ ყველაფერი სტკივა. მთელი ამ

დროის განმავლობაში თავის ბოზთან იწვა, მას კი ისე მოუთმენლად ეუბნება, მეორე გვერდზე გადაბრუნდიო, თითქოს სურს, რაც შეიძლება ჩქარა მოიცილოს თავიდან. როგორ უნდა აუკრძალოს რამე, ხომ მისცა გაქცევის ნება. მაშ, არც სიამაყის გამოვლენის უფლება აქვს და არც საკუთარი თავის პატივისცემისა? აი, რატომ უნდოდა დაემტკიცებინა, რომ ჰქონდა. ჰარის ეგონა, ვერ გაბედავდა, რადგან გაქცევის უფლება მისცა. სასაცილოა, ქმარი ცუდად მოიქცა, მას კი სიამაყის ნატამალიც არ უნდა გააჩნდეს, სანარცხე ვედრო უნდა იყოს. ისე გადაეკიდა, ეტყობა, გვარიანი პრაქტიკა გაიარა. ამან ქალს ის დრო გაახსენა, როდესაც ჰარი, ღმერთმა იცის, სად დაეხეტებოდა და რას აკეთებდა, თვითონ კი სრულიად უმწეო იყო, დედასა და პეგის ებრალებოდათ, სხვები იცინოდნენ და ამის ატანა აღარ შეეძლო.

შემდეგ იგი ეკლესიაში მიდის და შინ ჟინმორეული ბრუნდება. რა უფლება ჰქონდა, ეკლესიაში რომ წავიდა? რაზე ესაუბრებოდა ღმერთს იმ ქალების ზურგს უკან, ერთმანეთს რომ თვალს უკრავენ? ყველაზე მეტად ის აცოფებს, რომ სიყვარულის დროს სიყვარულზე კი არა, ათას სხვა რამეზე ფიქრობენ. თითებით მიხვდები, შენზე ფიქრობენ თუ არა. დღეს ჰარი თავდაპირველად მასზე ფიქრობდა, მაგრამ მერე ძალზე საძაგელი გახდა და ჯენისიც გაბრაზდა, რადგან კაცს საკუთარი თავის გარდა არაფერი ადარდებდა, არც ის, რომ იგი დაიღალა, რომ ყველაფერი სტკიოდა. ეს ნამდვილი უხეშობა იყო.

უხეშობა იყო და მორჩა. მასზე ამბობს ხოლმე, რომ სულელია, არადა, თვითონაა სულელი – არ ესმის, როგორ ცუდადაა, როგორ შეიცვალა მისი გაქცევის შემდეგ. უნდა ელაქუცოს, თუ უნდა, რომ კვლავ შეიყვაროს. ადრეული ბავშვობიდანვე თავზარს სცემდა ის, რომ ან არავინ იცოდა მისი გრძნობების შესახებ, ან არავის ადარდებდა. არ მოსწონს და არც არასოდეს მოსწონდა საკუთარი კანი – იტალიელივით ძალიან მუქი, თუმცა სხვა გოგოებივით ხუწუწები არ ჰქონდა. იმ დღეებში, როცა ორივენი კროლთან მუშაობდნენ – მაშინ იგი მარილიან თხილს ყიდდა, – და როცა ერთად იწვნენ მერი ჰენეკერის საწოლზე, ჰარის ძალიან მოსწონდა ვერცხლისფერი შპალერი, თვალებს ხუჭავდა და კანი თითქოს ჰაერში ეხსნებოდა. ჯენისი ფიქრობდა, რომ სწორედ მაშინ დამთავრდა ყველაფერი და იგი უკვე მარტო კი არა, ვიღაცასთან ერთად იყო. მაგრამ შემდეგ

ისინი დაქორწინდნენ (ადრე საოცრად ეშინოდა დაფეხმძიმების, მაგრამ ჰარი მთელი წელი დაქორწინებაზე ლაპარაკობდა და გაეცინა, როცა ეს ამბავი შეატყობინა, მაგარიაო, ასე თქვა, მას კი საშინლად შეეშინდა, მან კი კვლავ – მაგარიაო და ბავშვივით ხელში აიყვანა. იგი საუცხოოდ იქცეოდა, როცა ჯენისი ამას სრულებით არ ელოდა. მასში იმდენი კარგი იყო, ჯენისი ვერავის უხსნიდა, როგორ შეეშინდა, დაფეხმძიმება რომ გაიგო, ჰარიმ კი აიძულა, ამით ეამაყა), ის კი კვლავაც პატარა, მოუხერხებელ მუქკანიან ჯენის სპრინგერად რჩებოდა, ქმარი თავდაჯერებული რეგვენი ჰყავდა, რომელიც, მისტერ სპრინგერის თქმით, არაფრად ვარგოდა. როდესაც ცოტას დალევდა, მარტოობის გრძნობა სადღაც იწრიტებოდა. ეს გუნდას არ ადნობდა, მხოლოდ გვერდებს უმრგვალებდა და ცისარტყელასავით აკაშკაშებდა.

ჯენისი ოთახებში დადის და მანამ ეფერება ბავშვს, სანამ ხელ-ფეხი არ ასტკივდება. ბოლოს და ბოლოს, პატარა რძით სავსე ძუძუს ხელებს მოხვევს და იძინებს. კიდევ ხომ არ აჭამოს. არა, არ არის საჭირო, ეძინოს, რადგან სძინავს. ჯენისი საბრალო უწონო ბალღს ოფლიან მხარს მოაშორებს და საწოლზე, გრილ ჩრდილში აწვენს. უკვე თენდება, მთის აღმოსავლეთ ფერდობიდან დილა ადრიანად შემოდის ქალაქში. ჯენისი ლოგინში წვება, მაგრამ სინათლე, რომელიც სულ უფრო მკვეთრად მოჩანს თეთრ ზეწრებზე, დაძინების საშუალებას არ აძლევს. თავიდან ეს სიამოვნებს კიდეც – დამდეგი დილა იმდენად სუფთაა, რომ ისეთივე გრძნობა უჩნდება, როგორიც ჰარის არყოფნის მეორე თვეს. ფანჯრის ქვეშ დედის იაპონური ალუბალი ყვაოდა, ბალახიც მოიწევდა ნიადაგიდან, მიწას კი სინესტის, სითბოსა და ნაცრის სუნი ასდიოდა. მან ყველაფერი აწონ-დაწონა და შეურიგდა იმ აზრს, რომ მისი ქორწინება დასრულდა. ბავშვს გააჩენს, განქორწინდება და აღარასოდეს გათხოვდება. მონაზონივით იქნება, როგორც შესანიშნავ ფილმში ოდრი ჰეპბერნის მონაწილეობით, ახლახან რომ ნახა. თუ ჰარი დაბრუნდება, მაშინაც ყველაფერი იოლად გადაწყდება – ყველაფერს აპატიებს და სმასაც მიატოვებს, რადგან ასე აღიზიანებს, თუმცა ვერ გაუგია, რატომ, და კვლავაც საამურად, წმინდად და უბრალოდ გააგრძელებენ ერთად ცხოვრებას. ჰარი ყველაფერ ცუდს თავიდან ამოიგდებს და ძალიან ეყვარება იგი, რადგან ჯენისი ყველაფერს აპატიებს, მას კი ეცოდინება, როგორ გაუწიოს კარგი ცოლობა. ჯენისი

ყოველ კვირადღეს დადიოდა ეკლესიაში, პეგისთან საუბრობდა და ლოცულობდა, ახლა კი მიხვდა, რომ გათხოვება თავშესაფრის შეძენას კი არ ნიშნავდა, არამედ იმას, რომ ყველაფერი ქმართან ერთად გაეყო, ფიქრობდა, რომ ჭირსაც და ლხინსაც ჰარისთან ერთად გაიზიარებდა. შემდეგ კი სასწაული მოხდა და ბოლო ორი კვირის განმავლობაში ყველაფერი მართლაც ასე იყო.

მაგრამ მოულოდნელად ჰარიმ ყველაფერი გააფუჭა, იმ ბოზის ჭუჭყით დასვარა, თანაც უნდოდა, ეს მოსწონებოდა. უსამართლობის განცდისგან გულამოსკვნით ტირის, თუმცა ჩუმად, თითქოს იმ რაღაცის ეშინია, საწოლზე მის გვერდით რომ დევს.

შემდეგ პანიკური შიშისა და სულის ხუთვის შეგრძნება ეუფლება. დგება და ოთახში დაბორიალებს. ერთი მკერდი გაუსივდა, ძუძუში ჩხვლეტას გრძნობს. ფეხშიშველა სამზარეულოში გადის და ვისკისგან დაცლილ ჭიქას ყნოსავს, რომლის დალევაც ჰარიმ აიძულა. მკვეთრი, მწკლარტე, მძაფრი სუნი ასდის. ჯენისი ფიქრობს, რომ ერთმა ყლუპმა, შესაძლოა, უძილობისგან განკურნოს. დაიძინებს, მერე კი, როცა საკეტში გასაღების ჩხაკუნი გააღვიძებს და სახლში დარცხვენით შემოსულ დიდ სხეულს დაინახავს, ეტყვის: დაწექი, ჰარი, ყველაფერი კარგადაა, ის გამიკეთე, რაც გსურდეს, რაც შენ გინდა, მეც ის მინდა, მართლა მინდა.

იგი ცოტა ვისკს ისხამს და იმდენივე წყლით აზავებს, რათა დიდხანს არ სვას. რომ არ იხმაუროს და ბავშვები არ გააღვიძოს, შიგ ყინულის კუბურებს არ ყრის. ვისკიანი ჭიქით ფანჯარასთან მიდის, დგას და ტოლით დახურული სამი სახლის მიღმა გაწოლილ მძინარე ქალაქს გადაჰყურებს. ალაგ-ალაგ, შორეულ სამზარეულოებსა და საძინებლებში, სინათლე ინთება. მანქანა ფარების მკრთალი დისკებით, რომლებიც მილეულ ბინდში სხივებს არ ირეკლავს, ნელა მიუყვება უილბერ-სტრიტს დასახლების ცენტრისკენ. გზატკეცილს, რომელიც ტყიანი ნაპირების მქონე მდინარესავით სანახევროდ სახლების სილუეტებით არის დაფარული, სალტეების სიმრავლისგან შრიალი გაუდის. ქალი გრძნობს, რომ სამუშაო დღე ახლოვდება, რომ ქვემოთ ორფერდასახურავებიანი სახლები მალე გაიღვიძებენ, ციხესიმაგრეებივით კარებს გააღებენ და თავიანთ მამაკაცებს გარეთ გამოუშვებენ. გული

სწყდება, რომ ამ რიტმში, რომელშიც საცაა ახალი ტაქტი დაიწყება, მისი ქმარი არ მონაწილეობს. რატომ მაინცდამაინც ის? რა არის მასში ისეთი განსაკუთრებული? ჯენისს ჰარის გამო წყენის ტალღა აწვება, მის ჩასახშობად ჭიქას ცლის და ფანჯარას ზურგს შეაქცევს. ოთახში ყველა ნივთი ყავისფერია, ოღონდ სხვადასხვაგვარი ელფერით. ჯენისს ეჩვენება, რომ გვერდი გაუმრუდდა, გამოსაწოვი მკერდის სიმძიმე ქვევით ექაჩება.

იგი სამზარეულოში მიდის და ამჯერად უფრო მეტ ვისკის ისხამს – ცოტა სიამოვნებაც ხომ უნდა იგრძნოს. საავადმყოფოდან დაბრუნების შემდეგ საკუთარ თავზე ფიქრისთვის ვერც კი მოიცალა. ფიქრი სიამოვნების შესახებ მოძრაობებს სიმსუბუქესა და სისწრაფეს მატებს, ფეხშიშველა გარბის ხაოიან ხალიჩაზე ფანჯრისკენ, თითქოს იქ მისთვის ახლა სპექტაკლი უნდა დაიწყოს. თეთრ ხალათში გამოწყობილი, ყველაფერზე მაღლა დგას, რისი დანახვაც კი შეიძლება და ისე ძლიერად იჭერს თითებს მკერდზე, რომ რძე გამოდის და თეთრ ქსოვილზე თბილ ლაქებს აჩენს.

სისველე სხეულს მიუყვება და სიგრილეში შრება. ფეხზე დიდხანს დგომისგან ვენები სტკივა. იგი ფანჯარას მოსცილდება და ჭუჭყიან ყავისფერ სავარძელში ჯდება. გული ერევა, როდესაც ხედავს, თუ როგორ უერთდება დალაქავებული კედელი ცომივით გაყვითლებულ ჭერს. ზევით-ქვევით აქანავებს და ლამის მთელი შიგნეულობა ამოუტრიალდეს. შპალერზე გამოსახული ნახატი ცოცხალივით მოძრაობს, ბურუსში ყვავილების ყავისფერი ლაქები მიცურავს, რომლებიც ერთმანეთს ეწევიან და შთანთქავენ. რა საზიზღრობაა. იგი ტრიალდება და ყურადღებით უყურებს უსიცოცხლო ტელევიზორის მწვანე ეკრანს. ღამის პერანგის წინა მხარე შრება და გაუხეშებული ქსოვილი მკერდს წიწკნის. წიგნში ახალშობილების მოვლის შესახებ წერია: ძუძუს თავები სუფთა უნდა გქონდეთ. ფრთხილად გაისაპნეთ – ნაკაწრებში მიკრობები აღწევენ. ჯენისი ჭიქას სავარძლის სახელურზე დგამს, დგება, პერანგს თავს ზემოდან იხდის და კვლავ ჯდება. ხავსიანი ზედაპირი რბილად ზამბარებს შიშველი სხეულის სიმძიმის ქვეშ. ქალი დაჭმუჭნილ პერანგს მუხლებზე იდებს, ფეხის თითებით ტაბურეტს მარჯვედ მიიჩოჩებს, ზედ ფეხებს შემოდებს და მათი ცქერით ტკბება. მას ყოველთვის მიაჩნდა, რომ ლამაზი ფეხები ჰქონდა. მათი ქვემოთ დავიწროებული

ბუნდოვანი სილუეტები მუქი ხალიჩის ფონზე თეთრად ელვარებს. მკრთალი შუქი ლურჯ ვენებს ფარავს, რომლებიც ბეკის მუცლად ყოფნისას დაეტყო. ნუთუ დედასავით საშინელი ფეხები ექნება? იგი მუხლის სისხო კოჭების წარმოდგენას ცდილობს და ეჩვენება, რომ თითქოს მართლაც უსივდება. იგი იხრება, კოჭის ვიწრო, მტკიცე ძვლებს თითებით ეხება და გზად მხარს სავარძლის სახელურზე მდგარ ვისკიან ჭიქას გაჰკრავს. შიშველ ტანზე ცივი ჰაერის შეხებას იგრძნობს და წამოხტება, კანი ეხორკლება. რა სასაცილოა. ამას რომ ჰარი ხედავდეს. საბედნიეროდ, ჭიქაში თითქმის აღარაფერი იყო დარჩენილი. იგი მტკიცედ მიემართება სამზარეულოსკენ, ბოზივით სრულიად შიშველი, მაგრამ შეგრძნება, რომ ვიღაც უთვალთვალებს, – ეს მაშინ გაუჩნდა, როცა ფანჯარასთან იდგა და მკერდს იწურავდა, – საგრძნობლად უძლიერდება. იგი საძინებელში დურთავს თავს, ცისფერ საბანაო ხალათში ეხვევა და ვისკიში წყალს ურევს. დაღლილობისგან ქუთუთოები ეწვის, მაგრამ ლოგინში დაწოლის სურვილი უქრება. საწოლი თავზარს სცემს, ვინაიდან იქ ჰარი არაა. მისი არყოფნა ხვრელია, რომელიც სულ უფრო ფართოვდება, და მასში ცოტა ვისკის ასხამს, მაგრამ ეს საკმარისი არაა, და როცა მესამეჯერ მიდის ფანჯარასთან, უკვე გვარიანადაა გათენებული და ირგვლივ არსებული დაღვრემილობაც კარგად მოჩანს. ვიღაცას ერთ-ერთ ტოლგადაფარებულ სახურავზე ბოთლი გაუტეხია. უილბერ-სტრიტზე არხები ახალმშენებლობებიდან ჩამომდინარე ჭუჭყითაა სავსე. სანამ ფანჯარაში იყურება, გრძელ, მკრთალ ჯაჭვში ჩაბმული ქუჩის ფარნები ერთიმეორის მიყოლებით ქრება. ჯენისი ელექტროსადგურში ჩამრაზის ამომრთავ მამაკაცს წარმოიდგენს – დაბალ, ჭაღარა, მხრებში მოხრილ და ნამძინარევ ადამიანს. იგი ტელევიზორს უახლოვდება და მწვანე მართკუთხედზე მოულოდნელად გაჩენილი სინათლის ზოლები გულს სიხარულით უვსებს, მაგრამ ჯერ ძალიან ადრეა. ეს მხოლოდ უაზროდ მოციმციმე ლაქაა, ხმა კი თანაბარი. სტატიკური ხმაური. ქალი ზის და ცარიელ ნათებას შესცქერის, იმის შეგრძნებისგან, რომ ვიღაც უთვალთვალებს, რამდენჯერმე მკვეთრად ტრიალდება. ამას ძალზე სწრაფად აკეთებს, მაგრამ ყოველთვის რჩება თვალისთვის მიუწვდომელი სივრცე, რომლისთვისაც იმ კაცს თავის შეფარება შეეძლო. ეს სულ ტელევიზორის ოინებია – მან დაუძახა ჯენისს ოთახში, მაგრამ როგორც კი გამორთავს, მაშინვე ტირილს იწყებს. ქალი ზის, სახეზე ხელები აუფარებია,

ცრემლები თითებს შორის აღწევს, მისი სლუკუნი მთელ ბინაში გაისმის. თავის შეკავებას არც კი ცდილობს – უნდა, ვინმემ მაინც გაიღვიძოს, რადგან მარტო ვეღარ ძლებს. მოთეთრო შუქში ავეჯი და კედლები სულ უფრო მკვეთრად მოჩანს, ისინი საკუთარ ფერებს იბრუნებენ, ყავისფერი ლაქები კი თავის თავშივე იკარგებიან.

ჯენისი ბავშვს დახედავს. საბრალო წევს და ზეწარში ფშვინავს, პატარა ხელები ყურებთან აუწევია. იგი მის თავზე იხრება და ცხელ, გამჭვირვალე შუბლზე ეფერება, შემდეგ კი ჩასველებული გოგონა საწოლიდან ამოჰყავს და ფანჯარასთან მდგარ სავარძელში ჯდება, რათა ძუძუ მოაწოვოს. ცის მკრთალი, თანაბარი სილაჟვარდე შუშაზე დახატულს ჰგავს. აქედან არაფერი ჩანს, ამ ცის გარდა, თითქოს ასი მილის სიმაღლეზე საჰაერო ბურთის კალათში სხედან. სახლის მეორე ნახევარში კარი გაჯახუნდება და ჯენისი შეკრთება, მაგრამ ეს, ალბათ, რომელიმე მცხოვრებია, სავარაუდოდ, მისტერ კაპელო, ტკბილ სიტყვას რომ ვერავისთვის იმეტებს, სამსახურში მიდის, მისი მძიმე ნაბიჯებისგან კიბე უხალისოდ ჭრაჭუნებს. ხმაურზე ნელსონი იღვიძებს და ჯენისს საქმე ემატება. საუზმის მომზადებისას ფორთოხლის წვენით სავსე ჭიქა სამზარეულოს ნიჟარაში უვარდება და ტყდება. როდესაც ნელსონისკენ იხრება, რათა ბრინჯის ბურბუშელა მისცეს, ბიჭი ცხვირშეჭმუხნილი უყურებს დედას, გრძნობს მის ნაღველს და ამ ნაცნობი შეგრძნებისგან ნაცნობი შიში ეუფლება.

– მამიკო წავიდა?

კეთილი ბიჭია. ამას იმიტომ კითხულობს, რომ დედას მდგომარეობა შეუმსუბუქოს. მას მხოლოდ დათანხმება დარჩენია.

– არა, – პასუხობს იგი, – მამიკო დღეს ადრე წავიდა სამსახურში, როცა გეძინა. როგორც ყოველთვის, ვახშმისთვის მოვა.

ბიჭი იღუშება, მერე კი იმედით იმეორებს:

– როგორც ყოველთვის?

შეშფოთებული, თავს მაღლა სწევს და მისი კისერი ვიწრო ღეროს ემსგავსება, რომელიც ძალიან წვრილია იმისთვის, რომ მრგვალი თავი და ბალიშისგან აწეწილი თმა შეიკავოს.

– მამიკო მოვა, – იმეორებს ჯენისი. რადგან სიცრუე იტვირთა, გასამხნევებლად ვისკი სჭირდება. მის შიგნით წყვდიადს დაუსადგურებია, რომელიც უნდა გაანათოს, რათა არ წაიქცეს. იგი თეფშებს ნიჟარაში აწყობს, მაგრამ ყველაფერი ხელიდან უვარდება, ჭურჭლის გარეცხვას არც კი ცდილობს. ბოლოს მოაფიქრდება, რომ ხალათი უნდა გაიხადოს და კაბა ჩაიცვას, მაგრამ სააბაზანოსკენ მიმავალს, გზაში ავიწყდება, რისთვისაც მიდიოდა და საწოლის გასწორებას იწყებს. აბურდულ ლოგინში ვიღაცის ყოფნა იმდენად აშინებს, რომ უკან იხევს და სხვა ოთახში გადის ბავშვებთან. როდესაც მათ უთხრა, მამა ჩვეულ დროს მოვაო, თითქოს ოთახში მოჩვენება შემოუშვა. მაგრამ ეს სხვა კაცი ჰარის კი არა, მძარცველს ჰგავს, რომელიც მის ჯიბრზე ოთახიდან ოთახში დაქრის.

ჯენისს კვლავ ამოჰყავს ბავშვი საწოლიდან, სველ სახვევებს ხელით უსინჯავს და მისი გადახვევა სურს, მაგრამ ჭკვიანი ქალია – გრძნობს, რომ მთვრალია და, შესაძლოა, შემთხვევით ქინძისთავით რამე დაუზიანოს. ამაყობს, ამის მოფიქრება რომ შეძლო და საკუთარ თავს უბრძანებს, ბოთლს აღარ გაეკაროს და სახვევების შეცვლა ერთი საათით გადადოს. ჯენისი მშვენიერ ბეკის უკანვე აწვენს, რომელიც, მისდა გასაოცრად, ერთხელაც არ წამოიტირებს. ის და ნელსონი სხედან და დეივიდ ჰეროუემის გადაცემის ბოლო ნაწილს უყურებენ, შემდეგ კი იმას, თუ როგორ დაპატიჟა ელიზაბეტმა სახლში სტუმრად თავისი ქმრის მეგობარი – შინაბერა კაცი, რომელსაც ტურისტულ ლაშქრობებში სიარული უყვარს და როგორც აღმოჩნდება, საჭმლის კეთება ელიზაბეტზე უკეთ იცის. ეს პროგრამა ჯენისს რატომღაც აღიზიანებს და იგი – მხოლოდ იმიტომ, რომ ტელევიზორის ყურებისას სმას არის მიჩვეული, – სამზარეულოში გადის და დარჩენილ ვისკიში ყინულის ბევრ კუბურას ყრის, რათა დაგმანოს უზარმაზარი ხვრელი, რომელიც შიგნით ლამის ამოუტრიალდეს. ერთი ყლუპი და, ლურჯი შუქის აფეთქებასავით, ყველაფერს ნათელი ეფინება. მან მხოლოდ ხიდი უნდა გადოს ამ პატარა უფსკრულის თავზე, საღამოს კი ჰარი სამსახურიდან მოვა და ვერავინ ვერაფერს გაიგებს, არავინ დასცინებს. ეჩვენება, რომ ნელსონის თავს ზემოთ მის დასაცავად გადაჭიმული ცისარტყელაა, რომლის თაღის ქვეშაც ჰარი საბავშვო სათამაშოსავით უსასრულოდ პატარა ჩანს. კარგი იქნებოდა, ნელსონთან ეთამაშა – მისთვის მავნებელია მთელი დღე ტელევიზორის ყურება. ჯენისი

ტელევიზორს გამორთავს, სურათებიან გასაფერადებელ წიგნს და ფერად ცარცს პოულობს, ნელსონთან ერთად ხალიჩაზე ჯდება და მოპირდაპირე გვერდებს აფერადებს.

შიგადაშიგ ჯენისი ნელსონს ეფერება, სასაცილო ამბებს უყვება და სიამოვნებით აფერადებს სურათებს. სკოლაში ერთადერთი საგანი ხატვა იყო, რომლისაც არ ეშინოდა და ამიტომ ყოველთვის კარგ ნიშნებს იღებდა. მან ლამაზად გააფერადა გვერდი, სადაც ფერმის ეზო ეხატა და აღფრთოვანებული იღიმება. მის თითებში ფერადი ჩხირები აკურატულ, პარალელურ შტრიხებს ავლებს, ვაჟიშვილის პატარა სხეული კი დედას მჭიდროდ ეკვრის. საბანაო ხალათი მარაოსავით ვარდება ძირს და საკუთარი ტანი დიდი და ლამაზი ეჩვენება. იგი განზე დგება, რათა ნახატს შუქი არ დაეცეს და ხედავს, რომ ქათმის ნახევარი მწვანედ გაუფერადებია, კონტურიდან გამოსულა და თავისი გვერდი დაუმახინჯებია. ჯენისი ტირილს იწყებს, უსამართლობაა, რომ ვიღაც თითქოს მის ზურგს უკან დგას და ეუბნება, ცუდად აფერადებო, თუმცა თვითონ ამ საქმის არაფერი გაეგება. ნელსონი თვალებს მაღლა სწევს, უმოძრაო სახე გაეშლება და ყვირის: «ნუ ტირი, დედიკო! ნუ ტირი!»

ჯენისი ელოდება, რომ შვილი თავს მუხლებში ჩაურგავს, მაგრამ ბიჭი წამოხტება და კოჭლივით ბორძიკ-ბორძიკით საძინებელ ოთახში გარბის, იატაკზე ეცემა და ფეხებს იატაკზე ურტყამს.

ჯენისი ხალიჩიდან დგება და მშვიდი ღიმილით სამზარეულოში გადის, სადაც, როგორც ახსოვს, ვისკიანი ჭიქა დატოვა. ყველაზე მთავარია, რომ ჰარის დასაცავად დღის ბოლომდე უფსკრულის თავზე ხიდის გადება მოასწროს. სისულელეს ჩაიდენს, თუ კიდევ ერთ ყლუპს არ დალევს, რომელიც ამას შეაძლებინებს. იგი სამზარეულოდან გამოდის და ნელსონს ეუბნება:

– დედიკო აღარ ტირის, ჩემო კარგო. მან გაიხუმრა. დედიკო აღარ ტირის. დედიკო კარგადაა. მას შენ ძალიან უყვარხარ.

ბიჭუნა დედას შესცქერის, სახე გაჭუჭყიანებული აქვს. ამ დროს მუხანათურად გაისმის ტელეფონის ზარის ხმა. ჯენისი სიმშვიდეს ინარჩუნებს და ყურმილს იღებს.

– ალო.

– ეს შენ ხარ, ძვირფასო? მამა გელაპარაკება.

– ჰო, მამა! – იძახის გახარებული ჯენისი. მამა დუმს.

– ჩემო კარგო, ჰარი ავად ხომ არ გახდა? უკვე თორმეტი დაიწყო, ის კი არ ჩანს.

– არა, ჯანმრთელადაა. ყველანი ჯანმრთელად ვართ.

კვლავ პაუზა. მამისადმი მისი სიყვარული მდუმარე სადენებს მიუყვება. ნეტავ ასეთი საუბარი დაუსრულებლად გრძელდებოდეს. მამას ეს კარგად ეხერხება, დედა კი მაინც უკმაყოფილოა მისით.

– აბა, სად არის? სახლშია? მასთან დალაპარაკება მინდა.

– სახლში არ არის, მამა. დილით ადრე წავიდა.

– სად წავიდა? არც ფილიალში მისულა.

ჯენისს მილიონჯერ მაინც ექნება გაგონილი, თუ როგორ წარმოთქვამს იგი სიტყვა «ფილიალს» – დამაჯერებლად, დაბალი და მედიდური ხმით, თითქოს მასში მთელი სამყარო იყოს თავმოყრილი. ყველაფერი კარგი, რაც კი ჯენისს ბავშვობაში ჰქონია – კაბები, სათამაშოები, სახლი, – ყველაფერი იქიდანაა, «ფილიალიდან».

ჯენისი აღფრთოვანებულია – საუბარი მანქანების გაყიდვის შესახებ ერთადერთია, რაც მისთვის გასაგებია.

– სახლიდან ძალიან ადრე გავიდა, «კომბი» უნდა ეჩვენებინა ვიღაც კლიენტისთვის, რომელიც სამუშაოზე თუ კიდევ სადღაც უნდა წასულიყო. მაცალე, მამა, გავიხსენო. მითხრა, ეს კაცი დილით ადრე ალენთაუნში მიემგზავრებაო. ალენთაუნში უნდა გამგზავრებულიყო, ჰარი კი მისთვის «კომბის» ჩვენებას აპირებდა. ყველაფერი კარგადაა, მამა. ჰარის ძალიან მოსწონს სამუშაო.

მესამე პაუზა ყველაზე ხანგრძლივია.

– შვილო, დარწმუნებული ხარ, რომ შინ არაა?

– რა სასაცილო ხარ, მამა. ცხადია, არა. ვერ ხედავ? – იგი ტელეფონის ყურმილს ცარიელ ოთახში ატრიალებს, თითქოს მას თვალები ჰქონდეს. ეს მხოლოდ ხუმრობაა, მაგრამ, როგორ

უცნაურადაც უნდა ჩანდეს, მხოლოდ ხელის აწევაც კი მასში გულისრევის შეგრძნებას იწვევს. მას ყურმილი კვლავ ყურთან მიაქვს და მამის შორეული ვიბრირებული ხმა ესმის:

– ძვირფასო. ყველაფერი კარგად იქნება. არაფერზე ინერვიულო. ბავშვები შენთან არიან?

ჯენისს თავბრუ ეხვევა და ყურმილს ჰკიდებს. ეს შეცდომა იყო, მაგრამ, საერთო ჯამში, არ დაბნეულა და ახლა სრული უფლება აქვს, დალიოს. ყავისფერი სითხე ყინულის ორთქლიან კუბურებზე მოედინება და მოედინება, თუმცა იგი უბრძანებს, რომ შეწყდეს. ჯენისი გაბრაზებით სწევს მაღლა ბოთლს და ნიჟარაში წვეთები ეცემა. ჭიქით ხელში სააბაზანოში მიდის, იქიდან კი ცარიელი ხელებით ბრუნდება. პირში კბილის პასტის სუნი აქვს. ჯენისი იხსენებს, რომ სარკეში ჩაიხედა, თმა გაისწორა და კბილები გაიხეხა. ჰარის ჯაგრისით.

მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ სადილს ამზადებს. ზუსტად ისე, როგორც ჟურნალში განთავსებულ რეკლამაშია: გრძელ, ცისფერსახელურიან ტაფაზე ბეკონის ნაჭრები შიშხინებს. სათამაშო იარაღის ტყვიისოდენა ცხიმის ბურთულები ჰაერში პარკში მოწყობილი შადრევნის შხეფებივით იფანტება. უკვირს, როგორ სწრაფად ხაზავენ ისინი რკალებს, თან ხელს უწვავენ, რომლითაც ტაფა უჭირავს, ამიტომ გაზის ალს ამცირებს. იგი ნელსონისთვის ჭიქაში რძეს ასხამს, ღორის ქადას თავს რამდენიმე ფურცელს აცლის, ყვითელ პლასტმასის თეფშზე დებს და მიირთმევს. თავდაპირველად თავისთვის თეფშს არ იღებს, მაგრამ მერე გადაიფიქრებს, რადგან კუჭში თრთოლას გრძნობს, ალბათ, შიმშილისგან. ერთ ადგილზე გაშეშებულს, თეფში ორივე ხელით უჭირავს და მკითხაობს, თუ რატომ იყო მამა დარწმუნებული, რომ ჰარი შინ იყო. მან იცის, რომ ბინაში კიდევ არის ვიღაც, მაგრამ ეს ჰარი არაა, ამიტომ აქ მას არაფერი ესაქმება. გადაწყვეტს, რომ ამ ადამიანს ყურადღება არ მიაქციოს და სუფრის გაშლას განაგრძობს, თან გრძნობს, რომ სხეული უბუჟდება. ჯენისს მაგრად უჭირავს ხელში ყოველი ნივთი, სანამ მშვიდობიანად არ მიუჩენს მათ თავ-თავიანთ ადგილს.

ნელსონი ჩივის, რომ ბეკონი ცხიმიანია და კვლავ ეკითხება დედას, წავიდა თუ არა მამა, და მისი წუწუნი ბეკონის შესახებ, რომელიც ჯენისმა ასე მარჯვედ და მოხერხებულად შეწვა, ისე აცოფებს, რომ, როდესაც ბიჭი მეოცედ ამბობს უარს თუნდაც

სალათის პატარა ფურცლის შეჭმაზე, მაგიდაზე გადაიხრება და თავხედურად მომზირალ სახეში ხელს გაარტყამს. სულელი ბავშვი თავდაპირველად ტირილსაც ვერ ახერხებს, ზის, დედას მისჩერებია და ფშვინავს, მერე კი ღრიალს მორთავს. მაგრამ, საბედნიეროდ, ჯენისი მოწოდების სიმაღლეზეა, სრულიად მშვიდადაა. ხედავს შვილის მოთხოვნათა უსაფუძვლობას და დაშინების უფლებას არ აძლევს. უეცრად მოვარდნილი ტალღასავით, ჯენისი შვილს ხელს ჰკიდებს, მოაშარდვინებს, საწოლში აწვენს და ბოთლს აძლევს. ნელსონი ჯერაც თრთის ქვითინის შემდეგ, თუმცა ბოთლს პირში იდებს. მისი ყურადღებიანი თვალების მიხედვით ჯენისი ხვდება, რომ ბავშვი მალე დაიძინებს. იგი საწოლთან დგას და საკუთარი ძალა და შეუპოვრობა აოცებს.

ტელეფონი კვლავ რეკავს, ამჯერად უფრო გაბრაზებით. ჯენისი მისკენ გარბის, რათა ნელსონს დაძინებაში ხელი არ შეუშალოს, გრძნობს, რომ სუსტდება, ყელში საზიზღარ, შმორის გემოს გრძნობს.

– ალო.

– ჯენის, – დედის ხმაა, მკვეთრი და თანაბარი, – ახლახან დავბრუნდი ბრუერიდან – საყიდლებზე ვიყავი. მამა თურმე დილიდან მეძებს. ფიქრობს, რომ ჰარი ისევ წავიდა. ეს სიმართლეა?

– ალენთაუნში გაემგზავრა, – თვალდახუჭული პასუხობს ჯენისი.

– რატომ?

– მანქანის გასაყიდად.

– ნუ სულელობ, ჯენის. კარგად ხარ?

– რას გულისხმობ?

– დალიე?

– რა დავლიე?

– ნუ ღელავ, ახლავე მოვალ.

– არ გინდა, დედა. ყველაფერი კარგადაა. ნელსონი ეს-ესაა, დავაწვინე.

– მაცივრიდან რამეს გამოვიღებ, უცებ წავიხემსებ და მაშინვე მანდ გავჩნდები. შენ კი დაწექი.

– დედა, ნუ მოხვალ, გთხოვ.

– ნუ მეკამათები, ჯენის. როდის წავიდა?

– შინ დარჩი, დედა. ის საღამოს მოვა, – ჯენისი მიაყურადებს და ამატებს, – გეყოფა ტირილი.

– ნუ ტირიო, მეუბნები, თვითონ კი მხოლოდ იმას აკეთებ, რომ გვარცხვენ. თავდაპირველად მეგონა, რომ ყველაფერში ის იყო დამნაშავე, მაგრამ ახლა ამაში დარწმუნებული აღარ ვარ. გესმის? სულაც არა ვარ.

ამ სიტყვებისგან ჯენისს ისე ძლიერად ერევა გული, რომ უკვირს კიდეც, ყურმილი ხელიდან რომ არ უვარდება.

– არ მოხვიდე, დედა, – ეხვეწება იგი, – არ მოხვიდე, გთხოვ.

– ცოტას შევჭამ და ოც წუთში მანდ ვიქნები. შენ კი დაწექი.

ჯენისი ყურმილს დებს და შეშინებული იყურება ირგვლივ. ბინაში ყველაფერი თავდაყირა დგას. იატაკზე სურათებიანი წიგნები და ჭიქები ყრია, ლოგინი აულაგებელია, ყველგან ჭუჭყიანი ჭურჭელი აწყვია. ჯენისი იმ ადგილას მიირბენს, სადაც ის და ნელსონი ხატავდნენ და ფიქრობს, დაიხაროს თუ არა. ბოლოს მუხლებზე ეშვება და სწორედ ამ დროს გოგონა ტირილს იწყებს. იმის გაფიქრებისგან თავზარდაცემული, რომ, შესაძლოა, ნელსონს გაეღვიძოს და ჰარის არყოფნის დამალვა მოუწევს, საწოლს მივარდება და ხედავს, რომ იქაურობა ნარინჯისფერი ფაფითაა მოთხვრილი.

– ჯანდაბა, ჯანდაბა, – კვნესის იგი, საწოლიდან პატარა ჭუჭყიანი სხეული ამოჰყავს და ფიქრობს, სად წაიყვანოს. ბოლოს ბავშვს სავარძელზე აწვენს და ტუჩების კვნეტით სახვევებს უხსნის.

– ოჰ, შე პატარა საძაგელო, – ბურტყუნებს და გრძნობს, რომ მისი ხმა მას, იმ სხვა ადამიანს, მისკენ რომ მოიწევს, ახლოს არ უშვებს.

მას სველი, ჭუჭყიანი სახვევები სააბაზანოში მიაქვს, უნიტაზში აგდებს, ჩაიმუხლებს და ცდილობს, აბაზანის ხვრელს საცობი დაუცოს. შემდეგ ორივე ონკანს ბოლომდე მოუშვებს.

გამოცდილებით იცის, რომ საჭირო ტემპერატურის წყალს მიიღებს. წყალი კი მოსჩქეფს. ჯენისი წყლიანი ვისკით სავსე ჭიქას ამჩნევს, რომელიც უნიტაზის ავზზე დავიწყებია, გვარიან ყლუპს მოსვამს და ფიქრობს, სად დადგას ჭიქა. რებეკა განუწყვეტლივ ყვირის, თითქოს ესმის, რომ მოთხვრილია. ჯენისს ჭიქა თან მიაქვს, რომელსაც მუხლს გაჰკრავს, როდესაც გოგონას პერანგსა და კოფთას ხდის, და სასმელს ხალიჩაზე ღვრის. სველ ტანსაცმელს ტელევიზორზე აწყობს, მუხლებზე ეშვება და ცდილობს, ფერადი ცარცი კოლოფში ჩატენოს. ამ ფუსფუსისგან ჯენისს თავის ტკივილი ეწყება. ცარცი სამზარეულოში მიაქვს, დაუმთავრებელ ბეკონსა და ღორის ქადას ნიჟარის ქვეშ მოთავსებულ ქაღალდის პარკში ყრის, მაგრამ პარკის პირი სრულად არ არის გახსნილი და ფოთლები მის უკან, ბნელ სივრცეში ცვივა. ჯენისი იხრება და ნიჟარას თავს ურტყამს, მაგრამ მაინც ცდილობს მათ პოვნას და თითების ჩავლებას, თუმცა ვერ ახერხებს. ამდენი ხოხვისგან მუხლები სტკივა. ბოლოს ხელს ჩაიქნევს და, თავისდა გასაოცრად, აღმოაჩენს, რომ სამზარეულოს ტაბურეტზე ზის და კოლოფიდან გამოჩრილ ცარცის ნატეხებს მისჩერებია. დამალე ვისკი. წამით მისი სხეული ადგილიდან არ იძვრის, მაგრამ როგორც კი ამოძრავებდა, ჯენისი ხედავს, რომ მისი ხელები ჭუჭყიანი ფრჩხილებით ვისკის ბოთლს კარადის ქვედა თაროზე დგამს, სადაც ჰარის ძველი პერანგები აწყვია, რომლებსაც ტილოებად იყენებს. ჰარი არასდროს იცვამს დაკერებულ პერანგს, თუმცა ჯენისს დაკერება მაინც არ ეხერხება. იგი კარს ხურავს, რომელიც მიჯახუნდება, მაგრამ არ იკეტება. ნიჟარის ქვეშ დაგებული ლინოლეუმიდან პატარა ცილინდრის მსგავსი ბოთლის სახურავი მიშტერებია. ჯენისი მას ნაგვის პარკში აგდებს. ახლა სამზარეულო მილაგებულია. სასტუმრო ოთახში ხაოიან სავარძელზე ტიტველი რებეკა წევს, ყვირილისგან მუცელი გაბერვია, მობრეცილ წითელ ფეხებს ასხმარტალებს. ყოველ წამოტირებაზე სახე უწითლდება. ჯენისი თვალებს ხუჭავს და ფიქრობს, რომ საშინელებაა, როცა დედა მოსვლასა და მთელი დღის ჩამწარებას მხოლოდ იმისთვის აპირებს, რათა დარწმუნდეს, რომ ჰარიმ იგი ხელმეორედ მიატოვა. წუთსაც კი არ მოიცდის, ოღონდ ყველაფერი სწრაფად გაიგოს. ეს საძაგელი ბავშვიც რომ აღარ ჩერდება? ტელევიზორზე სველი ტანსაცმელია შემოდებული. ჯენისს ისინი სააბაზანოში მიაქვს, უნიტაზში სახვევებზე ყრის და ონკანებს კეტავს. წყლის ტალღოვანი ნაცრისფერი ზოლი

თითქმის აბაზანის პირამდე აღწევს. ზედაპირზე ჭავლი გადაირბენს, ქვეშ კი უფერო, მომლოდინე მასა გაშეშებულა. შხაპის მიღება არ აწყენდა. სიმტკიცით აღვსილი სასტუმრო ოთახში ბრუნდება. სავარძლიდან პატარა რეზინის არსების აყვანას ცდილობს, თავბრუ ეხვევა და მუხლებზე ეცემა, რებეკა ხელში აჰყავს, მკერდზე იკრავს და სააბაზანომდე გაჭირვებით მიდის. სიამაყის გრძნობა ეუფლება – ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს, დედის მოსვლის დროისთვის ბავშვის დაბანას მაინც მოასწრებს. დიდი და წყნარი აბაზანის წინ მუხლებზე ფრთხილად ეშვება. მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ სახელოები სველი აქვს. წყალი უზარმაზარი ხელებით წინამხრებზე ეხვევა და მის თვალწინ ვარდისფერი ახალშობილი ნაცრისფერ ქვასავით ეშვება ქვემოთ.

ჯენისი ვითარების გამოსწორებას ცდილობს და ქვითინით მიიწევს ბავშვისკენ, მაგრამ წყალი წინააღმდეგობას უწევს და ხალათს ჩაითრევს, სრიალა გუნდა კი ხელიდან უსხლტება და მასაში იმალება, რომელიც მოულოდნელად გაუმჭვირვალე ხდება. საბოლოოდ მაინც ახერხებს მის დაჭერას, ცერის ქვეშ გულისცემაც ესმის, მაგრამ შემდეგ ისევ კარგავს. წყლის ზედაპირზე მკრთალი წაგრძელებული ათინათები დაქრიან, მაგრამ მას, რომელსაც სიმყარე აქვს, ვერაფრით მოიხელთებს. ეს ყველაფერი ერთ წამს გრძელდება, მაგრამ ეს წამი სხვა, უფრო მკვრივი დროით იზომება. მერე ჯენისი მტკიცედ ჩაავლებს ბეკის ორივე ხელს და, მაშასადამე, ყველაფერი რიგზეა.

მას პატარა არსება აბაზანიდან ამოჰყავს და გალუმპულ მკერდზე იკრავს. წყალი ორივეს წურწურით ჩამოსდის და ქვის ფილებზე იღვრება. ჯენისი შვებით შეავლებს თვალს ბავშვის სახეს, რომელიც მასზე ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას ახდენს – ეს რაღაც უფორმო შენადედია. სასოწარკვეთილი ბუნდოვნად იხსენებს, როგორ კეთდება ხელოვნური სუნთქვა და მისი ცივი და სველი ხელები გიჟურ რიტმში იწყებს აღმა-დაღმა მოძრაობას. ჯენისის მჭიდროდ დახუჭული ქუთუთოების ქვეშ გრძელი, მეწამული, უსიტყვო და მონოტონური ლოცვები ჩნდება. ეჩვენება, რომ მუხლებზე ეხვევა სხვა, უზარმაზარ არსებას, რომელსაც მამა ჰქვია. მამა მას თავში უტყაპუნებს. თუმცა ჯენისის გაგიჟებული გული სამყაროს თვალუწვდენელი წითელი ზღვით ფარავს, მის ხელებქვეშ ერთი ნაპერწკალიც კი არ ინთება. ლოცვათა შმაგი დინება

უპასუხოდ რჩება, სიბნელე ოდნავადაც არ ირხევა. შეგრძნება, რომ გვერდით ვიღაც უდგას, უსასრულოდ იზრდება, კარზე სასოწარკვეთილი კაკუნი ესმის და ხვდება, ხვდება, რომ ყველაზე ცუდი რამ დაატყდა თავს, რაც კი ამქვეყნად ქალს შეიძლება შეემთხვეს.

* * *

ჯეკი ტელეფონზე საუბრის შემდეგ მკვდარივითაა გაფითრებული.

– ჯენის ენგსტრომს შემთხვევით ახალშობილი დაუხრჩვია.

– როგორ მოახერხა?

– არ ვიცი. ვშიშობ, რომ მთვრალი იყო. ახლა უგონოდაა.

– ის სადღა იყო?

– არავინ იცის. მთხოვენ, მოძებნეო. მისის სპრინგერმა დარეკა.

იგი კაკლის ხის სახელურების მქონე სავარძელში ჯდება, რომელიც ოდესღაც მამამისს ეკუთვნოდა და ლუსი გულისტკივილით ამჩნევს, რომ ქმარი დაუბერდა. გამეჩხერებული თმა, მშრალი კანი და დაქანცული სახე აქვს.

– მთელი სიცოცხლე მაგ არამზადას უნდა სდიო? – ყვირის იგი.

– სულაც არ არის არამზადა. მე ის მიყვარს.

– შენ ის გიყვარს. გული მერევა, ჯეკ, გული მერევა. რატომ მე ან ბავშვებს არ შეგვიყვარებ?

– მე თქვენ ისედაც მიყვარხართ.

– არაფერიც. მოდი, სიმართლეს თვალებში ჩავხედოთ, ჯეკ. შენ ჩვენ არ გიყვარვართ. შენ უძლური ხარ შეიყვარო ისინი, ვინც სიყვარულს სიყვარულითვე პასუხობს. შენ ამის გეშინია. ხომ გეშინია?

ტელეფონის ზარმა მათ ბიბლიოთეკაში ჩაის სმის დროს მოუსწრო. ჯეკი იატაკიდან ცარიელ ფინჯანს იღებს და ფსკერზე დასცქერის.

– რაღაცას ნუ იგონებ, ლუსი. ისედაც საზიზღრად ვგრძნობ თავს.

– შენ საზიზღრად გრძნობ თავს, მეც საზიზღრად ვგრძნობ თავს. მას შემდეგ, რაც იმ პირუტყვს დაუკავშირდი. ის ხომ შენს ეკლესიას არც კი ეკუთვნის.

– ჩემს ეკლესიას ყოველი ქრისტიანი ეკუთვნის.

– ქრისტიანი! თუ ის ქრისტიანია, მადლობა ღმერთს, რომ ქრისტიანი არა ვარ. ქრისტიანი. საკუთარ შვილს კლავს, შენ კი ქრისტიანს ეძახი.

– ბავშვი მას არ მოუკლავს. იქ არც კი ყოფილა. ეს უბედური შემთხვევა იყო.

– რა მნიშვნელობა აქვს, ეს ერთი და იგივეა. იგი სახლიდან გარბის, მისი იდიოტი ცოლი კი ამის გამო უგონოდ თვრება. არ უნდა შეგერიგებინა. ქალი უკვე შეგუებული იყო უიმისოდ ცხოვრებას და ამგვარი რამ არასოდეს დაემართებოდა.

ეკლზი თვალებს ახამხამებს. შოკმა ყველაფრისგან შორს, ანალიზისთვის მოსახერხებელ მანძილზე გადაისროლა. ცოლის ვერსია მასზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, გაოცებულია მისი ღვარძლიანი ტონით. «არამზადა» – ეს მისთვის უცხო სიტყვაა.

– მაშასადამე, შენი აზრით, ბავშვი მე მოვკალი, – აცხადებს იგი.

– ცხადია, არა. მე ამგვარი არაფერი მითქვამს.

– შენ, ალბათ, მართალი ხარ, – ეკლზი სავარძლიდან დგება, ჰოლში გადის, ტელეფონს უახლოვდება და საფულიდან ბარათს იღებს, რომელზეც ფანქრით გარკვევით წერია ნომერი და ძლივს შესამჩნევად – რუთ ლენარდი. ერთხელ ამან გაჭრა, მაგრამ ახლა ელექტრული თაგვი ამაოდ ღრღნის შორეულ ლითონის მემბრანას. ეკლზი თორმეტ ზარს დაითვლის, მერე კი ყურმილს ჰკიდებს, კვლავ კრეფს ნომერს და ამჯერად შვიდი ზარის შემდეგ ჰკიდებს ყურმილს. ბიბლიოთეკაში დაბრუნებულს, ლუსი მომზადებული ხვდება.

– მაპატიე, ჯეკ. სულაც არ მინდოდა შენი დადანაშაულება. რა თქმა უნდა, შენ არაფერ შუაში ხარ. ნუ სულელობ.

– კარგი, ლუსი. ჭეშმარიტება არაფერს გვავნებს, – ეს სიტყვები მხოლოდ ჩრდილია მისი აზრისა, რომ ჭეშმარიტება ჭეშმარიტ

რწმენას არ ეწინააღმდეგება.

– ღმერთო ჩემო, კვლავ ეს წამებულის პოზა. ახლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია. წარმოიდგინე, თითქოს დამნაშავე ხარ და რაც უნდა ვთქვა, აზრს მაინც არ შეიცვლი. ეს წყლის ნაყვა იქნება.

კაცი დუმს, რათა ცოლს ტყუილუბრალოდ ენა არ დაეღალოს, მაგრამ წუთიც არ გადის, რომ ქალი ხმას არბილებს:

– ჯეკ!

– რა?

– რატომ ცდილობდი მათ შერიგებას?

კაცი ლამბაქიდან ლიმონის ნაჭერს იღებს და მასში თვალმოჭუტული იყურება.

– ქორწინება წმიდათაწმიდა რამ არის, – აცხადებს და ელოდება, რომ ცოლს გაეცინება, მაგრამ ქალი სავსებით სერიოზულად ეკითხება:

– წარუმატებელიც კი?

– დიახ.

– სასაცილოა. ეს საღ აზრს ეწინააღმდეგება.

– მე საღი აზრისა არ მწამს, – პასუხობს კაცი, – თუ შენ ეს შვებას მოგანიჭებს, მე საერთოდ არაფრის არ მწამს.

– სულაც არ მანიჭებს შვებას. შენ ნამდვილი ფსიქოპათი ხარ. მაგრამ ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რაც მოხდა. ძალიან ვწუხვარ, – იგი ფინჯნებს იღებს, სამზარეულოში გადის და კაცს მარტო ტოვებს.

საღამოს ჩრდილები აბლაბუდასავით ეხვევა წიგნების კარადებს, რომელთა უმეტესი ნაწილი მას კი არ ეკუთვნის, არამედ მის წინამორბედს პასტორატში, კეთილშობილ და ყველასთვის პატივსაცემ ბერბიჭა ჯოზეფ ლენგჰორნს. ჯეკი ზის და უდრტვინველად ელის რაღაცას. ლოდინი ცოტა ხანს უწევს. მალე ტელეფონი რეკავს. იგი ცდილობს, ლუსის ყურმილის აღება დაასწროს. ფანჯრიდან, რომლის რაფაზეც აპარატი დევს, ჩანს, თუ როგორ ხსნის თოკიდან სარეცხს

მეზობლის ქალი.

– ალო?

– ჰეი, ჯეკი ხართ? ჰარი ენგსტრომი გელაპარაკებათ. ვიმედოვნებ, ხელი არ შეგიშალეთ.

– არა.

– იქნებ თქვენთან ჭრა-კერვის შემსწავლელი მოხუცი ქალების ან რაიმე ამგვარი ჯგუფის შეკრება მიმდინარეობს?

– არა.

– ჩემთან, სახლში ვრეკავდი, მაგრამ არავინ მიპასუხა და ცოტათი ვღელავ. გუშინ ღამე შინ არ გამითევია და რაღაც მოუსვენრად ვარ. დაბრუნებას ვაპირებ, მაგრამ ჯერ მინდა დავრწმუნდე, რომ ჯენისს პოლიცია არ გამოუძახებია. თქვენ ხომ არა ხართ საქმის კურსში?

– საიდან რეკავთ, ჰარი?

– ბრუერის რომელიღაც აფთიაქიდან.

მეზობელმა ბოლო ზეწარი ჩამოხსნა და ჯეკის მზერა ცარიელ თეთრ თოკზე ჩერდება. ერთ-ერთი ამოცანა, რომელსაც საზოგადოება მის წინაშე აყენებს, ცხადია, ტრაგიკული ამბების შეტყობინებაა. პირი უშრება, ძალ-ღონეს იკრებს, რათა ჩვეული მოვალეობა შეასრულოს. რადგან მისი ბედია... იგი თვალებს ფართოდ ახელს, ცდილობს, ცოტათი მაინც დაშორდეს მას, ვინც აქვეა, მის ყურთან.

– შეხვედრაზე დრო რომ არ დავკარგოთ, ტელეფონით გეტყვით, – იწყებს იგი, – ჰარი, თქვენ საშინელი უბედურება დაგატყდათ თავს.

* * *

როდესაც თოკს დიდხანს ატრიალებ, იგი ფორმას კარგავს, იგრიხება, იძენძება და იკვანძება. ეკლზის ლაპარაკის დროს ჰარი გრძნობს, რომ შიგნით სწორედ ასეთი კვანძი უჩნდება. მას ეკლზის ნათქვამის აზრი არ ესმის, მაგრამ გონებაში მხოლოდ ნაირფერი კოლოფები წარმოუდგება, რომლებიც

ტელეფონის ჯიხურიდან მოჩანს. აფთიაქის კედელზე ჩამოკიდებულ პლაკატზე წითელი ასოებით ერთადერთი სიტყვა წერია: პარადიქლორობენზოლი. იგი ცდილობს, ეკლზის ნათქვამს ჩასწვდეს, ამ სიტყვას მისჩერებია და ფიქრობს, იყოფა თუ არა იგი ნაწილებად და როგორ გამოითქმის. სწორედ იმ წუთს, როდესაც ყველაფერს ხვდება, როდესაც მთელი ცხოვრება ენგრევა, ვიღაც მსუქანი ქალი დახლთან მიდის ორი რულონი ტუალეტის ქაღალდის საფასურის გადასახდელად. ბაჭია აფთიაქიდან გარეთ, მზის სინათლეზე გამოდის, გამწარებით ცდილობს ნერწყვის გადაყლაპვას, რათა ყულფს ყელში ასვლისა და მისი დახრჩობის საშუალება არ მისცეს. თაკარა დღეა, ზაფხულის პირველი დღე, სიცხე მოელვარე ქვაფენილიდან ფეხით მოსიარულეთა სახეებზე გადადის და მათ ვიტრინებიდან და გავარვარებული ქვის ფასადებიდან ერეკება. თეთრ შუქში ამ სახეებზე აშკარად მოჩანს ნაღდი ამერიკული გამომეტყველება – თვალები მოჭუტულია, დამცინავად ჩამოშვებული ტუჩები საცაა რაღაც მუქარის გამომხატველ და სასტიკ ფრაზას წარმოთქვამენ. საგზაო საცობებში მზეზე მბზინავ მანქანებში მძღოლები იხარშებიან. ქალაქს თავზე თხელი რძისფერი ნისლი გადაჰფენია – დაღლილ ცას მასთან შებრძოლების თავი არა აქვს. ჰარი და მაღაზიებში სიარულისგან გაწითლებული და გაოფლილი რამდენიმე ქალი 16ა ნომერ ავტობუსს ელოდებიან. როდესაც იგი ღრჭიალით ჩამოდგება, უკვე გადავსებულია. ბაჭია უკან დგას, ხელი ფოლადის სახელურისთვის ჩაუვლია და ცდილობს, გულისამრევ ყულფს გაუმკლავდეს. გაღუნულ ფარებზე ფილტრიანი სიგარეტის, ნამზეურობისთვის საჭირო კრემისა და ორგანიზაცია «CARE»-ის რეკლამაა განთავსებული.

წუხელ ასეთივე ავტობუსით ჩავიდა ბრუერში და რუთს მიაკითხა, მაგრამ ფანჯრებში შუქი არ ენთო და კარიც არავინ გაუღო, თუმცა მქრქალი მინის მიღმა, წარწერით «დოქტორი ფ.-ჰ. პელიგრინი», სუსტი შუქი ბჟუტავდა. იგი საფეხურებზე იჯდა და ჯერ კულინარიის მაღაზიას გასცქეროდა, სანამ იქ სინათლე არ ჩაქრა, მერე კი – ეკლესიის გაჩახჩახებულ ფანჯარას. როდესაც იქაც ჩამობნელდა, თავი ცუდად იგრძნო, უიმედობამ შეიპყრო და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. უაიზერ-სტრიტამდე მივიდა, იქიდან ქვემოთ მოციმციმე სინათლეებსა და გიგანტურ მზესუმზირას გადახედა, ავტობუსი არ ჩანდა და გზა განაგრძო, მაგრამ უეცრად შეეშინდა, ვინმე თავს არ

დასხმოდა და დანა არ გაეყარა, ამიტომ რომელიღაც საეჭვო სასტუმრო მოძებნა და ოთახი იქირავა. სადღაც გვერდზე მთელი ღამის განმავლობაში ნეონის მილი ციმციმებდა დაზიანებული კონტაქტის გამო, ვიღაც ქალის სიცილიც ისმოდა. ბაჭიას ცუდად ეძინა და ძალიან ადრე გაეღვიძა, თავისუფლად შეეძლო ჯაჯმაუნთში დაბრუნება, კოსტიუმის ჩაცმა და სამუშაოზე წასვლა მოესწრო, მაგრამ რაღაც აჩერებდა. მთელი დღის განმავლობაში აჩერებდა რაღაც. და იგი ცდილობს, გაიგოს, რა არის ეს, ვინაიდან სწორედ ამან მოკლა მისი შვილი. ნაწილობრივ ეს რუთის ხელმეორედ ნახვა იყო, მაგრამ როდესაც დილით კვლავ მივიდა მის სახლთან, ცხადი გახდა, რომ ქალი შინ არ იყო, ალბათ, რომელიმე იდიოტთან ერთად ატლანტიკ-სიტიში გაემგზავრა, მაგრამ იგი მაინც დახეტიალებდა ბრუერში, უნივერმაღებშიც შეიარა, სადაც კედლებიდან მუსიკა ისმოდა, იაფი საქონლის მაღაზიაში სოსისიანი ფუნთუშა მიირთვა, ცოტა ხანს კინოთეატრთან იდგა, მაგრამ შიგნით არ შევიდა და გამუდმებით რუთს ეძებდა თვალებით. სულ ეჩვენებოდა, რომ მისი მხრები, რომელსაც კოცნიდა, საცაა ბრბოში გამოჩნდებოდა, თმა კი, რომლის გაშლასაც სთხოვდა ხოლმე, მისალოცი ბარათების კიოსკის გვერდიდან გამოანათებდა. მაგრამ ბრუერში ასი ათას კაცზე მეტი ცხოვრობდა და უშანსოდ იყო, თანაც დრო თავზე საყრელი ჰქონდა და სხვა დროს იპოვიდა. არა, ქალაქში დარჩენას – თუმცა შიგნით ყულფი სულ უფრო ძლიერ უჭერდა, – ორპირში დგომას, კინოთეატრების კარებიდან რომ უბერავდა, დაინანთებული საცვლებით, იაფი ჟღარუნებითა და მარულიანი თხილით (საბრალო ჯენი) სავსე დახლების თვალიერებას, შემდეგ პარკში წასვლასა და ნაცნობ ბილიკებზე ხეტიალს, სადაც ოდესღაც რუთთან ერთად სეირნობდა, წაბლის ხის ქვეშიდან ყურებას, თუ როგორ თამაშობდა ხუთი ჭუჭყიანი ბიჭი რიკ-ტაფელას ჩოგბურთის ბურთითა და ცოცხის ჯოხით, ბოლოს უაიზერ-სტრიტზე მდებარე აფთიაქში დაბრუნებას, საიდანაც ტელეფონით დარეკა, – ამ ყველაფერს რაიმე გამოსავლის პოვნის იმედით აკეთებდა. ბაჭია ჯენისზე ხომ იმიტომ არ გაბრაზებულა, რომ ქალი მართალი იყო, თვითონ კი ცდებოდა და სულელურად იქცეოდა, არამედ იმიტომ, რომ უსაშველობის განცდა გაუჩნდა, გრძნობდა, რომ გარშემორტყმული იყო და გასაქანი არ ჰქონდა. იგი ეკლესიაში წავიდა და იქიდან პატარა ალი მოიტანა, მაგრამ ბინის ნესტიან კედლებში მისთვის ადგილი არ აღმოჩნდა, წამით აინთო და

ჩაქრა. და ჰარი მიხვდა, რომ ამ ცეცხლს ვეღარასოდეს ააგიზგიზებდა. მთელი დღის განმავლობაში აჩერებდა გრძნობა, რომ სადღაც უკეთესი ბედი ელოდა, ვიდრე ახალშობილის ყვირილის მოსმენა და ნახმარი მანქანების გაყიდვისას ხალხის მოტყუება იყო. სწორედ ამ გრძნობის ჩაკვლას აპირებს აქ, ავტობუსში. ხელით მოქრომულ სახელურს ეჭიდება, თეთრ, მაქმანიან ბლუზებში გამოწყობილი ორი ქალის თავზე იხრება, მუხლებზე უამრავი პაკეტი რომ უწყვიათ, თვალებს ხუჭავს და მის მოკვლას ცდილობს. კუჭში არსებული ყულფი კვლავ გულს ურევს. გააფთრებით ეჭიდება ყინულივით ცივ სახელურს, ავტობუსი კი ამ დროს მთას უვლის გარშემო. ოფლში გაწუწული ბაჭია ავტობუსიდან თავის გაჩერებამდე რამდენიმე კვარტალით ადრე ჩამოდის. აქ, ჯაჯმაუნთში, უკვე ჩრდილები ჩამოწოლილა, მზე, რომელიც ბრუერს აცხუნებს, მთის თხემზე მიცურავს. ბაჭიას ოფლი აშრება და სუნთქვა ეკვრის. გარბის, რათა სხეული ამუშავდეს, რათა ფიქრებისგან გათავისუფლდეს. ჩაურბენს ქიმწმენდას, რომლის გვერდით კედელზე ჩატანებული მილიდან სტვენით გამოდის ორთქლი; ავტოგასამართ სადგურ «ესსოს» მისი წითელი შლანგებით, სადაც ასფალტს ზეთისა და რეზინის სუნი ასდის; გაზონს ჯაჯმაუნთის რატუშის წინ და მეორე მსოფლიო ომის მსხვერპლთა სიას, რომელიც ჟანგმოდებულ და დაბზარულ ფირფიტებზეა ჩამოწერილი და შუშაშია ჩასმული.

როდესაც სპრინგერების სახლს მიაღწევს, ზარის ხმაზე მისის სპრინგერი გამოდის და კარს ცხვირწინ მიუკეტავს. მაგრამ ქუჩაში ზეთისხილისფერი «ბიუიკი» დგას და ბაჭია ხვდება, რომ ეკლზი აქაა. მართლაც, მალე მღვდელი გარეთ გამოდის და იგი სახლში შეჰყავს.

– თქვენს ცოლს დამამშვიდებელი მისცეს და სძინავს, – ჩუმად ეუბნება ეკლზი ჰარის ნახევრად ჩაბნელებულ წინკარში.

– გოგონა...

– იგი დამკრძალავ ბიუროშია.

ბაჭიას უნდა დაიყვიროს, რომ უხამსობაა ასეთი პატარა ბავშვის დამკრძალავი ბიუროსთვის გადაცემა, რომ იგი, მთელი თავისი უმანკოებითა და უბრალოებით, ჩიტივით უნდა დაასაფლაონ ბალახში ამოთხრილ მომცრო ორმოში, მაგრამ თანხმობის ნიშნად თავს აქნევს. გრძნობს, რომ ამიერიდან აღარავის

შეეკამათება.

ეკლზი მაღლა ადის, ჰარი კი სკამზე ზის და უყურებს, თუ როგორ ეთამაშება ფანჯრიდან შემოსული შუქი რკინის მაგიდაზე მოთავსებულ გვიმრებს, აფრიკულ იებსა და კაქტუსებს. იქ, სადაც სხივი ფოთლებს ეხება, ისინი მომწვანო-მოყვითალო ფერს იღებენ, ჩრდილში კი ამ ოქროსფერ ფონზე მომწვანო-მოშავო ხვრელებს ჰგვანან. ბაჭია თავს მაღლა არ სწევს, ეშინია, ვინმეს არ შეხედოს სახეში. უეცრად ხელზე რაღაც ფუმფულა ეხება. ეს ნელსონია, რომელსაც ცნობისმოყვარეობისგან სახე წაჰგრძელებია.

– დედიკოს სძინავს, – ამბობს დაბალი ხმით და იმ ტრაგიკულ ინტონაციას ჰბაძავს, ირგვლივმყოფთაგან რომ ესმის.

ბაჭია მას მუხლებზე ისვამს. დამძიმებულა, გამაღლებულა კიდეც. ბავშვი მისთვის ერთგვარი ფარია და მის თავს კისერზე იხუტებს.

– ბეიბი ავადაა? – ეკითხება ნელსონი.

– ბეიბი ავადაა.

– ბევრი, ბევრი წყალი აბაზანაში, – ამბობს ნელსონი და ხელებს ფართოდ შლის, რათა ეს თვალნათლივ უჩვენოს, – ბებიკო მოვიდა და დედიკო წაიყვანა.

ნუთუ ბავშვმა ყველაფერი დაინახა? მას მუხლებიდან ჩამოსვლა სურს, მაგრამ შეძრწუნებულ ჰარის მაგრად უჭირავს. სახლი მწუხარებითაა სავსე, რომელიც თითქოს ბიჭუნას ემუქრება. ნელსონი ისეთი ძალით იკლაკნება, რომ ამ მწუხარებას იქით უტევს, შესაძლოა, გადააყირავოს კიდეც და მაშინ მთელი სახლი ჩამოიშლება. ბაჭია შვილს იხუტებს და ამით საკუთარ თავსაც იცავს.

ეკლზი ქვემოთ ჩამოდის, ჩერდება და მათ აკვირდება.

– იქნებ გაგესეირნათ მასთან ერთად? დღეს ნამდვილი კოშმარი გადაიტანა.

სახლიდან სამივენი ერთად გადიან. ეკლზი მშვიდად და დიდხანს ართმევს ხელს ჰარის და ეუბნება:

– აქ დარჩით. შესაძლოა, ეს არავინ გითხრათ, მაგრამ იცოდეთ, რომ ძალიან საჭირო ხართ.

შემდეგ ეკლზი თავის «ბიუიკში» ჯდება და მიდის, ბაჭია და ნელსონი კი სახლთან ახლოს ბალახზე სხედან და კენჭებს ქვაფენილზე ისვრიან. ბიჭი აღელვებით იცინის და ტიტინებს, მაგრამ ეზოში მისი ხმა მაინც ჩუმად ისმის. ჰარი საკმაოდ უხიფათოდ გრძნობს თავს, კმაყოფილია, ეკლზის რჩევა რომ გაითვალისწინა. ქვაფენილის გავლით მამაკაცები სამსახურიდან ბრუნდებიან. ერთ-ერთ მათგანს ნელსონის ნასროლი კენჭი კინაღამ ფეხში ხვდება. იგი თავს მაღლა სწევს და მამა-შვილს შესცქერის. უცნობი სახე ჰარის თითქოს სხვა, უცოდველ ადამიანთა სამყაროს სიღრმიდან უყურებს. შემდეგ ისინი სხვა სამიზნეს ირჩევენ – გარაჟის კედელზე მიყუდებულ გაზონსაკრეჭს. ჰარი მას ზედიზედ ოთხჯერ არტყამს. ჯერ ისევ განათებულია, მაგრამ მზის სხივები ნაგლეჯებად მოჩანს ხის კენწეროებზე. ბალახი ნესტიანდება და ბაჭია გადაწყვეტს, რომ ნელსონი სახლში შეიყვანოს და წავიდეს. კართან მისტერ სპრინგერი მოდის.

– ჰარი, – ისინი მასთან მიდიან, – რებეკამ ვახშმის ნაცვლად ბუტერბროდები მოამზადა. შემოდით.

ყველანი სამზარეულოსკენ მიემართებიან. ნელსონი მიირთმევს. ჰარი საჭმელზე უარს ამბობს, მხოლოდ წყლით კმაყოფილდება. უხარია, რომ მისის სპრინგერი აქ არ არის.

– ჰარი, – მისტერ სპრინგერი დგება, ორ თითს ულვაშზე ისვამს, თითქოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოსვლას აპირებს, – მე და რებეკა მამა ეკლზს ვესაუბრეთ. იმას ვერ ვიტყვი, რომ თქვენ არ გადანაშაულებთ, იმიტომ, რომ, ცხადია, გადანაშაულებთ. მაგრამ მარტო თქვენ არ მიგიძღვით ამაში ბრალი. მე და ჩემმა ცოლმა ვერაფრით შევძელით, ჯენისისთვის საკუთარი თავის რწმენა შთაგვეგონებინა, ვერასდროს ვაგრძნობინეთ, რომ მისი არსებობა გვიხაროდა, – მისტერ სპრინგერის ვარდისფერი თვალები ჩვეულ ეშმაკობას აღარ გამოხატავს, ამღვრეული და გაწითლებული აქვს, – თუმცაღა ვცდილობდით, მინდა მჯეროდეს, რომ ვცდილობდით. მაგრამ რაც უნდა იყოს, – ამას იგი მკვეთრად და უხეშად ამბობს, შემდეგ კი პაუზას აკეთებს, რათა ხმა დაუმშვიდდეს, – მაგრამ, რაც უნდა იყოს, ცხოვრება გრძელდება... გასაგებია, რისი თქმა მსურს?

– დიახ, სერ.

– ცხოვრება უნდა გაგრძელდეს. ჩვენ წინსვლა უნდა განვაგრძოთ იმასთან ერთად, რაც დაგვრჩა. რებეკა ძალზე გაღიზიანებულია, უჭირს ახლა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ ყველაფერში მეთანხმება. ჩვენ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ, რომ ეს ერთადერთი გამოსავალია. მინდა გითხრათ, თუმცა ვხედავ, რომ გაოცებული ხართ, ჰარი, მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ოჯახის წევრად მიგვაჩნიხართ, ჰარი, მიუხედავად... – იგი გაურკვეველი ჟესტით ხელს კიბისკენ იშვერს, – მიუხედავად ამ... – ხელი მძიმედ ეშვება ძირს და იგი ამთავრებს, – უბედური შემთხვევისა.

შუქისგან ჰარის თვალები სტკივა და ეწვის, ამიტომ ხელს იფარებს.

– გმადლობთ, – მადლიერებისგან მან ლამის კვნესა დაიწყოს, თუმცა ეს ადამიანი ყოველთვის ეზიზღებოდა. ეტიკეტის შესაბამისად, რომელიც ამ უდიდესი უბედურების დროსაც კი მოქმედებს, იგი საპასუხო სიტყვის თქმას ცდილობს, – გპირდებით, რომ პატიოსნად შევასრულებ ჩემს ვალდებულებებს ამ გარიგებაში, – იწყებს და მაშინვე ჩუმდება, საკუთარი ხმის საზიზღარი ჟღერადობით დათრგუნვილი.

– ეჭვი არ მეპარება, – ამბობს სპრინგერი, – მამა ეკლზმა ამაში დაგვარწმუნა.

– დესერტი, – მკაფიოდ ამბობს ნელსონი.

– ნელი, იქნებ ლოგინში ნამცხვარი წაგეღო? – ამბობს სპრინგერი მისთვის ჩვეული, თუმცა ნაძალადევი სიხალისით, და ეს ბაჭიას იმას ახსენებს, რომ ბავშვი აქ კარგა ხანს ცხოვრობდა, – შენი ძილის დრო ხომ არ არის? თუ გინდა, ბებო ზემოთ წაგიყვანს.

– მამიკომ, – ამბობს ნელსონი, სკამიდან ჩამოდის და მამასთან მიდის.

ორივე მამაკაცი თავს უხერხულად გრძნობს.

– კარგი, – ამბობს ბაჭია, – აბა, შენი ოთახი მაჩვენე.

სპრინგერი ბუფეტიდან ორ ნაჭერ ნამცხვარს იღებს. მოულოდნელად ნელსონი მასთან მიირბენს და ჩაეხუტება. სპრინგერი იხრება. ბავშვის ლოყის გვერდით მოხუცი ფრანტის დანაოჭებული სახე არაფრის მთქმელ სიცარიელეს ჰგავს. იგი

ბაჭიას ფეხსაცმელებს მიშტერებია. როდესაც ბავშვს ხელებს მოხვევს, სახელოებიდან დიდი, შავი საკინძეები მოუჩანს, რომლებიც ოქროსფრადაა მოარშიებული და შუაში «ჩ» ასო აწერია.

ნელსონს მამა კიბისკენ მიჰყავს. როცა იმ ოთახს ჩაუვლიან, სადაც მისის სპრინგერი ზის, ბაჭია თვალს შეავლებს მის შესივებულ, ცრემლებით დასველებულ სახეს და მზერას აარიდებს. ჩურჩულით უბრძანებს ნელსონს, ბებიას აკოცოს და ძილი ნებისა უსურვოს. ბიჭი ასეც იქცევა, მერე კი ორივენი ზემოთ ადიან და დერეფნის გავლით, რომლის კედლებზე გაკრულ შპალერზეც ძველებური ავტომობილებია გამოსახული, პატარა თეთრფარდებიან ოთახში შედიან, ფანჯარასთან ამოსული შეფოთლილი ხე მწვანე შეფერილობას რომ აძლევს. ფანჯრის ორივე მხარეს სიმეტრიულად ჰკიდია სურათები – ერთზე კნუტებია გამოსახული, მეორეზე – ლეკვები. აქ, ბავშვობაში, ალბათ, ჯენისი ცხოვრობდა. ოთახში დიდი ხნის განმავლობაში მდგარი უმანკოებისა და გულის გადამლევი მოლოდინის სუნი ტრიალებს. დამტვრეულ საბავშვო სარწეველაზე ცალთვალა ძველი დათუნია ზის, ბეწვი სულ გასცვეთია. საინტერესოა, ჯენისისაა? თვალი ვინ ამოუგდო? ამ ოთახში ნელსონს რაღაც უცნაური აპათია ეუფლება. ჰარი ძილმორეულ ბავშვს ტანსაცმელს ხდის, ნამზეურ ტანზე პიჟამას აცმევს, საწოლში აწვენს და საბანს ახურავს.

– კარგი ბიჭი ხარ.

– ჰო.

– მე ახლა წავალ. არ შეგეშინდეს.

– მამიკო მიდის?

– მხოლოდ იმიტომ, რომ დაიძინო. დავბრუნდები.

– კარგი.

– კარგი.

– მამიკო?

– რა?

– პატარა ბეკი მოკვდა?

– ჰო.

– შეეშინდა?

– არა, არა, სულ არ შეშინებია.

– ახლა კარგადაა?

– ჰო, ძალიან კარგადაა.

– კარგია.

– შენ ამაზე ნუ წუხხარ.

– კარგი.

– მყუდროდ მოეწყვე.

– კარგი.

– იმაზე იფიქრე, კენჭებს როგორ ისროდი.

– როცა გავიზრდები, კენჭებს ძალიან, ძალიან შორს ვისვრი.

– ეგრე იქნება. შენ ახლაც შორს ისვრი.

– ვიცი.

– კარგი, დაიძინე.

ქვემოთ სპრინგერი ჭურჭელს რეცხავს.

– ხომ არ გინდათ, ამაღამ აქ დავრჩე? – ეკითხება ბაჭია სიმამრს.

– ამაღამ არა. ძალიან ვწუხვარ, ჰარი, მაგრამ აჯობებს, დღეს არ დარჩე.

– რა თქმა უნდა. ჩემთან წავალ. მოვიდე ხვალ დილით?

– დიახ, თუ შეიძლება. ჩვენთან ისაუზმე.

– არა, მე არაფერი მჭირდება. იმის თქმა მინდა, რომ ჯენისს ვინახულებ, როცა გაიღვიძებს.

– დიახ, რა თქმა უნდა.

– როგორ გგონიათ, მთელი ღამე იძინებს?

– ვფიქრობ, კი.

– ჰო, ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს ფილიალში არ ვიყავი.

– არაფერია, ეს წვრილმანია.

– რას იტყვით, ხვალ ვიმუშაო?

– არა, რასაკვირველია.

– მაგრამ ამ ადგილს ჩემთვის შეინახავთ?

– ცხადია, – სპრინგერი ცოტათი შეშინებული ლაპარაკობს, თვალებს აქეთ-იქით ნერვიულად აცეცებს, გრძნობს, რომ ცოლს ყველაფერი ესმის.

სპრინგერი არ პასუხობს. ჰარი ვერანდიდან გადის, რათა მისის სპრინგერის სახე თვალში აღარ მოხვდეს, სახლს შემოუვლის და ზაფხულის ტენიან წყვდიადში მიაბიჯებს. უკან ჭურჭლის ხმაური მისდევს, რომელსაც ვახშმის შემდეგ რეცხავენ. იგი უილბერ-სტრიტს ზევით მიუყვება, თავისი სახლის სადარბაზოში შედის და მოხარშული კომბოსტოს დამყაყებული სუნით გაჟღენთილ კიბეზე ადის. ბაჭია კარს გასაღებით აღებს, ბინაში შედის და სასწრაფოდ ანთებს ყველა ლამპას. შემდეგ სააბაზანოსკენ მიდის. აბაზანაში ბევრი წყალია, ნაწილობრივ დაცლილა, ასე რომ, დუიმით ემალის რუხ ზოლს ქვემოთაა, მაგრამ სანახევროდ ჯერაც სავსეა. მძიმე, მშვიდი, უსუნო, უფერო, ყოველგვარ გემოს მოკლებული მასა თავზარს სცემს, თითქოს აბაზანაში ვიღაც უხილავი, მდუმარე, უცნობი კაცი დგას. უმოძრაო ზედაპირი მკვდარი ტყავით მოჭიმულს ჰგავს, რომელსაც რაღაც მტვრის მსგავსი აყრია. ბაჭია სახელოს იკაპიწებს, ხელს წყალში ყოფს და საცობს აძრობს. წყალი ირხევა, კანალიზაციის მილი ბუყბუყებს. უყურებს, თუ როგორ ნელა და თანაბრად იწევს წყლის დონე აბაზანაში, ბოლოს კი ჩხრიალ-ჩხრიალით უჩინარდება ხვრელში. რა ადვილი ყოფილა, ფიქრობს იგი, მაგრამ ყოვლისშემძლე ღმერთმა მაინც არაფერი გააკეთა. არადა, მხოლოდ რეზინის პატარა საცობი იყო ამოსაწევი.

ლოგინში ბაჭია აღმოაჩენს, რომ ბრუერში გაუთავებელი სიარულისგან ფეხები სტკივა. იგი წრიალებს. ტკივილი წამით თავს ანებებს, მერე კი ისევ უკან უბრუნდება. ლოცვაც კი არ შველის. ვერანაირ კავშირს ვერ ამყარებს. თვალს ახელს, ჭერს შესცქერის და ხედავს, რომ სიბნელე ისევეა აჭრელებული ძარღვების ცვალებადი ხლართებით, როგორც მისი გოგონას

კანი იყო დაფარული მოყვითალო-მოლურჯო ბადით. ახსენდება მისი მკვეთრი წითელი პროფილი საავადმყოფოს ფანჯარაში, შიშისგან ცივი ოფლი ასხამს, საწოლიდან გიჟივით გადმოხტება და შუქის ანთებას ეშურება. ელექტრონათება მკრთალი ეჩვენება, მუცელი ისე სტკივა, ლამის იტიროს. სააბაზანოში ხელის შეყოფასაც კი ვერ ბედავს – ასე ჰგონია, როგორც კი შუქს აანთებს, დაცარიელებული აბაზანის ფსკერზე გულაღმა მწოლიარე, დაღრეჯილ, გალურჯებულ პატარა გვამს დაინახავს. შიში თირკმლებზე აწვება და გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს. მის შესახვედრად თეთრი და ცარიელი აბაზანის ფსკერი მოიწევს.

ბაჭია დარწმუნებულია, რომ დაძინებას ვეღარასდროს შეძლებს, მაგრამ როდესაც მზის ირიბი სხივებისა და ქვემოთ კარების ჯახუნისგან ეღვიძება, გრძნობს, რომ სხეულმა სულს უღალატა. გუშინდელზე უფრო მეტად თავზარდაცემული, სასწრაფოდ იცვამს. მომხდარი უფრო რეალური გახდა. უხილავი ბალიშები ყელზე აწვება, ხელ-ფეხის მოძრაობას უნელებს, მკერდში ყულფი გაიზარდა და უხეში ქერქით დაიფარა. მაპატიე, მაპატიე, მდუმარედ ეუბნება ვიღაცას.

სპრინგერებთან მისული აღმოაჩენს, რომ სახლში ატმოსფერო შეცვლილა. ყველაფერი გადანაცვლებულია, რათა შეიქმნას ხვრელი, სადაც იგი შეღწევას შეძლებს, თუ პატარა და შეუმჩნეველი იქნება. მისის სპრინგერი ფორთოხლის წვენსა და ყავას აწვდის და, ცოტა არ იყოს, შეშინებული ეკითხება:

– ნაღები გნებავთ?

– არა, არა, შავს დავლევ.

– თუ ნაღები გნებავთ, გვაქვს.

– არა, გმადლობთ, შესანიშნავი ყავაა.

ჯენისმა გაიღვიძა. ბაჭია ზევით ადის და საწოლზე მის გვერდით წვება. ქალი ქვითინით ეკვრის და თავს მის კისერს, ნიკაპსა და ზეწარს შორის ყოფს. ლოყები ჩაცვივნია, ტანი ბავშვივით პატარა აქვს, ცხელი და მკვრივი.

– შენ გარდა ვერავის ვუყურებ, არავის დანახვა არ შემიძლია, – ეუბნება ბაჭიას.

– შენი ბრალი არაა, – პასუხობს ჰარი, – მე ვარ დამნაშავე.

– რძე ისევ გამიჩნდა, – ჩურჩულებს ჯენისი, – და როგორც კი მკერდში მჩხვლეტს, მეჩვენება, რომ ის გვერდით ოთახშია.

ისინი ერთმანეთს ებღაუჭებიან საერთო სიბნელეში. ბაჭია გრძნობს, როგორ იხსნება მათი გამყოფი კედლები სიშავის ნაკადში, მაგრამ ცუდი წინათგრძნობების მოზრდილი გუნდა მის მკერდში რჩება – იგი მხოლოდ მას ეკუთვნის.

ბაჭია სახლში მთელი დღის განმავლობაში რჩება. მნახველები მოდიან და ოთახებში ფეხაკრეფით დაიარებიან. მათი საქციელის მიხედვით ყველა დაასკვნიდა, რომ შეუძლოდ მყოფი ჯენისი მაღლა იწვა. ისინი, ეს ქალები, სამზარეულოში ყავას მიირთმევენ მისის სპრინგერთან ერთად, ის კი, წვრილი, ქალიშვილივით მჟღერი ხმით ოხრავს და ხვნეშის, გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამს, რომლებიც ერთ დაუსრულებელ სიმღერასავით გაისმის. აი, პეგი ფოსნაჰტიც მოდის და ზევით ადის. სათვალე არ უკეთია და ფართოდ გახელილი ბეცი თვალები მის სახეს ველურ იერს აძლევს. ბილი, მისი შვილი, ნელსონთან ერთად ეზოში თამაშობს. არავინ ცდილობს, მათ ყვირილი შეაწყვეტინოს, ისინი ცოტა ხნით ჩერდებიან, მერე კი სიცილს იწყებენ. სტუმარი ჰარისთანაც მოდის. გაისმის ზარის ხმა და კარის გასაღებად მისის სპრინგერი მიემართება. მალე სუსტად განათებულ ოთახში შედის, სადაც ჰარი ჟურნალებს ფურცლავს და გაოცებული და ნაწყენი ხმით ატყობინებს:

– ვიღაც კაცი გკითხულობთ.

ქალი გადის, ბაჭია დგება და რამდენიმე ნაბიჯს დგამს, რათა ოთახში შემოსულ ადამიანს მიესალმოს. ეს ტოთეროა, ხელჯოხს ეყრდნობა, სახის ნახევარი პარალიზებული აქვს, მაგრამ დადის, ლაპარაკობს, ცოცხალია. მისი პატარა კი მკვდარია.

– გამარჯობა! როგორ ხარ?

– ჰარი, – იგი თავისუფალ ხელს ჰარის სტაცებს და დაჟინებით შესცქერის სახეში. პირი გვერდზე მოღრეცვია, თვალს ზემოდან კანი გვერდულად ქვემოთ ისე გადაჭიმვია, რომ თითქმის აღარაფერი მოუჩანს. თითები უცახცახებს.

– დავსხდეთ, – ეუბნება ბაჭია და სავარძელში სვამს.

ტოთერო ხელებს საიდაყვეებზე ათავსებს და მოქარგულ

ხელსახოცს იატაკზე აგდებს. ბაჭიას სკამი მოაქვს და მის გვერდით ჯდება, რათა ხმადაბლა ელაპარაკოს.

– რატომ შეწუხდით? – ეკითხება იგი, რადგან ტოთერო დუმს.

– ცოლმა მომიყვანა. მანქანით. ქუჩაში მელოდება, ჰარი. თქვენი უბედურების შესახებ შევიტყვეთ. გახსოვს, რომ გაფრთხილებდი? – მას თვალები ცრემლებით გაჯირჯვია.

– როდის?

– როდის? – სახის პარალიზებული ნაწილი, შესაძლოა, შეგნებულადაც, ჩრდილში აქვს მოქცეული, ასე რომ, ცოცხლად, დამაჯერებლად და ბრძნულად იღიმება, – იმ საღამოს. გირჩიე, დაბრუნებულიყავი. გთხოვე კიდეც.

– დიახ, შესაძლოა. ალბათ, გადამავიწყდა.

– არა, არ დაგვიწყნია. არაფერიც არ დაგვიწყნია, ჰარი, – «ჰა»-ს თქმის დროს სუნთქვისას ყელიდან სტვენის ხმა ამოსდის, – რაღაც მინდა გითხრა. მომისმენ?

– რა თქმა უნდა.

– სამართლიანობა და უსამართლობა, – იწყებს იგი და ჩუმდება. დიდ თავს ტოთეროსკენ ატრიალებს და ბაჭია მის ავადმყოფ თვალსა და პირთან მკვეთრად გამოხატულ ვერტიკალურ ხაზებს ხედავს, – სამართლიანობა და უსამართლობა ციდან არ ცვივა. ჩვენ. მათ ჩვენ ვქმნით. უბედურების წინააღმდეგ. განუწყვეტლივ, ჰარი, განუწყვეტლივ, – როცა დარწმუნდება, რომ გრძელი სიტყვების წარმოთქმა არ უჭირს, განაგრძობს, – სამართლიანობისა და უსამართლობის კანონთა დარღვევას უბედურება მოაქვს. არა აუცილებლად ჩვენი უბედურება, ხშირად თავდაპირველად არა ჩვენი უბედურება. ახლა ამის მაგალითს საკუთარ ცხოვრებაში ხედავ, – ბაჭიამ ვერც კი შეამჩნია, როდის ჩამოუგორდა ტოთეროს ცრემლები, მაგრამ ეს ფაქტია, თითქოს მის სახეზე ლოკოკინა გაცოცდაო, – გჯერა ჩემი?

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. ვიცი, რომ ყველაფერში მხოლოდ მე ვარ დამნაშავე. მას შემდეგ, რაც ეს მოხდა, მეჩვენება, რომ მე... მწერი ვარ.

ტოთეროს ღიმილი უფრო უშფოთველი უხდება, ყელიდან

სუსტი წრიპინა კრუტუნი აღმოხდება.

– მე გაფრთხილებდი, – ამბობს ამჯერად უფრო სწრაფად, – გაფრთხილებდი, ჰარი, მაგრამ ახალგაზრდობას არაფრის გაგონება არ სურს. ახალგაზრდები უდარდელნი არიან.

– როგორ მოვიქცე? – წამოისვრის ჰარი.

ტოთეროს თითქოს არაფერი გაუგონია.

– განა არ გახსოვს, რომ გთხოვე, დაბრუნდი-მეთქი?

– არ ვიცი, ალბათ, ეგრე იყო.

– კარგი. აჰ, ჰარი, შენ ჯერ კიდევ შესანიშნავი კაცი ხარ. ჯანმრთელი სხეული გაქვს. როდესაც მოვკვდები, გაიხსენე, როგორ გასწავლიდა შენი მოხუცი მწვრთნელი ტანჯვისთვის თავის არიდებას. გაიხსენე, – ბოლო სიტყვას ტოთერო დამრიგებლურად და თავის მსუბუქი დაქნევითაც კი წარმოთქვამს. ამ უადგილო გამოცოცხლების მოზღვავება მას სავარძლიდან წამოაგდებს და კიდევ კარგი, ხელჯოხისთვის ხელის წავლებას ახერხებს, თორემ იატაკზე დაეცემოდა. შეშინებული ჰარი წამოხტება და წამით ორივენი ერთმანეთთან ძალიან ახლოს აღმოჩნდებიან. მოხუცის დიდ თავს გულისამრევი სუნი ასდის – არა იმდენად წამლების, რამდენადაც ლპობადი ბოსტნეულის, – თქვენ, ახალგაზრდებს, – ამბობს იგი სკოლის მასწავლებლის ტონით – ბრაზიანად, მაგრამ იმავდროულად, ეშმაკურად, – დავიწყება გჩვევიათ. შენც ასეთი ხარ. ასე არაა?

რაღაც გაუგებარი მიზეზით მას საოცრად სურს დასტურის მიღება.

– რა თქმა უნდა, – ამბობს ბაჭია და ღმერთს ევედრება, რომ სტუმარი სწრაფად წავიდეს.

ჰარი მას კრემისფრად და ლურჯად შეღებილ მანქანაში, ორმოცდაჩვიდმეტ წელს გამოშვებულ «დოჯში» ჩაჯდომაში ეხმარება, რომელიც ნარინჯისფერი სახანძრო ჰიდრანტის სიახლოვეს დგას. მისის ტოთერო ძალზე ცივად უსამძიმრებს ახალშობილი გოგონას გარდაცვალების გამო. გატანჯული და კეთილშობილი სახე აქვს. ჭაღარა თმა წვრილად დანაოჭებულ მოვერცხლისფრო საფეთქლებზე ჩამოშვებია. მას სწრაფად სურს აქაურობის დატოვება, თავის ნადავლთან ერთად

წასვლა. მის გვერდით, წინა სავარძელზე მოღიმარი გნომი ტოთერო ხელჯოხის ბუნიკს უსვამს ხელს. ბაჭია სახლში ბრუნდება. იგი დათრგუნვილია და თავს ტალახში ამოსვრილივით გრძნობს. ტოთეროს გამოცხადებისგან ტანში ჟრუანტელი უვლის. სურს, ირწმუნოს, რომ ყველაფრის მიზეზი და პირველწყარო ცაა.

დღის ბოლოს ეკლზი მოდის დაკრძალვისთვის აუცილებელი წვრილმანების მოსაგვარებლად. დასაფლავება ხვალ, ოთხშაბათს შედგება. როდესაც წასასვლელად ემზადება, ბაჭია მას წინკარში აჩერებს და ეუბნება:

– თქვენი აზრი მაინტერესებს.

– რის შესახებ?

– ახლა როგორ უნდა მოვიქცე?

ეკლზი ნერვიულობს. იგი ძალიან დაიღალა. სახე გამოუძინებელი ბავშვივით ფერმკრთალი აქვს.

– ისე მოიქეცით, როგორც აქამდე იქცეოდით, – ამბობს იგი, – იყავით კარგი მეუღლე. კარგი მამა. გიყვარდეთ ის, რაც დაგრჩათ.

– ეს საკმარისია?

– იმისთვის, რომ პატიება დაიმსახუროთ, საკმარისია, თუ სიცოცხლის ბოლომდე ასე იცხოვრებთ.

– იმის თქმა მინდოდა... – ჰარი ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ ეკლზის წინაშე თავს ასე დაიმცირებდა, – ხომ გახსოვთ, ამას წინათ რაზე ვსაუბრობდით? იმის შესახებ, რაც იქ, ყველაფერ ამის იქით მდებარეობს...

– ჰარი, ხომ იცით, რომ ამის არ მჯერა, ყოველ შემთხვევაში, იმ კუთხით, როგორც ეს თქვენ წარმოგიდგენიათ.

– კარგი, – იგი ხედავს, რომ ეკლზს წასვლა სურს, რომ მისთვის აუტანელია მისი, ჰარის ყურება.

ეკლზი ხვდება, რომ ჰარი ამას გრძნობს, ამიტომ ცდილობს, სიტყვებში ღრმა თანაგრძნობა ჩააქსოვოს და ანუგეშოს:

– ჰარი, მე ის არა ვარ, ვინც უნდა გაპატიოთ. თქვენ ჩემთვის

არაფერი დაგიშავებიათ. თქვენზე ნაკლები ბრალი კი არ მიმიძღვის. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შეგვინდონ, უნდა დავიმსახუროთ იმის დანახვის უფლება, რაც ამ ყველაფრის მიღმა მდებარეობს. ჰარი, მე ვიცი, რომ შესაძლებელია ადამიანების მიყვანა ქრისტეს შეცნობამდე. თვითონ ვარ ამის მომსწრე. და, აი, კიდევ რაში ვარ დარწმუნებული – ქორწინება წმიდათაწმიდა რამ არის და ამ საშინელმა ტრაგედიამ თქვენ და ჯენისი, როგორც იქნა, წმინდა კავშირით შეგაერთათ.

მთელი დარჩენილი დღის განმავლობაში ბაჭია ამ აზრსაა ჩაბღაუჭებული, თუმცა მას, ერთი შეხედვით, თითქოს არაფერი აქვს საერთო დიდი, მწუხარებით სავსე სახლის ფერებსა და ხმებთან, ჩამავალი მზის შტრიხებთან შუშის მაგიდის პატარა ბარდებზე და მდუმარე ვახშამთან ჯენისის საძინებელში.

* * *

ბაჭია ღამეს სპრინგერების სახლში, ჯენისთან ერთად ათევს. ქალს ძალზე ღრმად სძინავს. სუსტი ხვრინვა, რომელიც მისი შავი პირიდან ისმის, მთვარის შუქს კიდევ უფრო ამკვეთრებს და არ აძინებს. ბაჭია იდაყვზე ეყრდნობა და ცოლის სახეს აკვირდება. მთვარის შუქში იგი მასზე საშინელ შთაბეჭდილებას ახდენს – პატარა, მუქი ლაქებითაა დაფარული, რომლებიც თითქოს ადამიანურ სიცხადეს მოკლებულ მასაშია ჩაბეჭდილი. რა სინდისით შეუძლია მშვიდად ძილი. დილით, მზის სინათლეზე, გრძნობს, რომ იგი წრიალებს და დგება, თვითონ კი უფრო ღრმად ეფლობა ბალიშში, თავით საბნის ქვეშ მიძვრება და ჯიუტად არ სურს გაღვიძება. დღეს დაკრძალვაა, არც სამსახურში მიდის, ამიტომ ცოტა მეტხანს წაიძინებს.

ბაჭია ისეთ სიზმარს ხედავს, თავი ცხადში ჰგონია. მარტოა დიდ სპორტულ მინდორზე თუ მოკენჭილ უშენ ადგილას. ცაში ერთნაირი ზომის ორი, იდეალურად მრგვალი დისკი, ერთი – თეთრი და გაუმჭვირვალე, მეორე კი – ოდნავ გამჭვირვალე, ერთმანეთისკენ მოძრაობს, ამასთან, გაუმჭვირვალე გამჭვირვალეს თავზეა. მათი შეხების მომენტში ბაჭიას შიში იპყრობს, ხმა თითქოს სტადიონის რეპროდუქტორიდან ატყობინებს: ფურისულა ანწლს ყლაპავს. ზედა დისკი

შეუჩერებლივ მოცურავს ქვემოთ, სანამ სრულებით არ დაფარავს ქვედას, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო ძლიერია, და ბაჭიას თვალწინ მხოლოდ ერთი, სუფთა და მკრთალი წრე რჩება. მისთვის ცხადია, რომ «ფურისულა» მთვარეა, «ანწლი» – მზე, ხოლო ნანახი სიკვდილის ახსნა იყო – მშვენიერმა სიკვდილმა მშვენიერი სიცოცხლე დაჩრდილა. ძლიერი სულიერი აღმაფრენის პირობებში აცნობიერებს, რომ ეს მინდორი უნდა დატოვოს და ახალი რელიგია დააფუძნოს. მის თავზე მომაბეზრებლად იხრება დისკები, ექოსავით გაისმის ხმა და თვალს ახელს. საწოლთან ყავისფერ ქვედაკაბასა და უსახელო ვარდისფერ ბლუზაში გამოწყობილი ჯენისი დგას. ნიკაპქვეშ ცხიმის რუხი ნაკეცი ადევს, რომელიც აქამდე არასდროს შეუმჩნევია. უცნაურია, გულაღმა რომ წევს, მას ხომ ყოველთვის მუცელზე სძინავს. ხვდება, რომ ეს სიზმარი იყო, მაგრამ მას არაფერი აქვს სათქმელი სამყაროსთვის. იგი დგება და ცოლს უღონოდ ჩამოშვებულ ხორკლიან ხელზე კოცნის.

ჯენისი ბაჭიას საუზმეს მისთვის ჩვეულ სტილში უმზადებს – რძეში ჩაძირული სიმინდის ბურბუშელა და გადახარშული ყავა. ნელსონთან ერთად დაკრძალვისთვის გამოსაწყობად მიდიან. ბაჭია აღშფოთებულია, რომ ჯენისს სიარული შეუძლია, მას უფრო მოსწონდა, როცა იგი უგონოდ იყო. რადგან ქუჩაში სიარული შეუძლიათ, მაშასადამე, მათი მწუხარება არც ისე დიდია. ვერაფრით ეგუება იმას, რომ მათი ნაკვები სხეულები სივრცეში გადაადგილდება, სულები კი ყველაფრისადმი გულგრილია, გარდა უმნიშვნელო, წვრილმანი მოთხოვნილებებისა. ისინი თავიანთ შვილთან ერთად იმ ქუჩებს მიუყვებიან, სადაც ოდესღაც, პატარაობისას, თვითონაც დადიოდნენ. პოტერ-ავენიუს გასწვრივ არხი, რომელშიც ადრე ხელოვნური ყინულის ფაბრიკიდან შლამიანი ნარჩენები ჩაედინებოდა, კარგა ხანია, რაც დაშრა. სახლები, რომლებშიც ის ხალხი აღარ ცხოვრობს, ვისაც სახეზე კარგად ცნობდა, მატარებლიდან დანახულს აგონებს – ცარიელი აგურის ფასადები მას გამოცანას სთავაზობს: რატომ ცხოვრობს აქ საერთოდ ვინმე? რატომ სახლობს იგი აქ, რატომ არის მისთვის მესამეხარისხოვანი ქალაქის ეს დასახლება სამყაროს ცენტრი და საზომი, თავისი თვალუწვდენელი პრერიებით, უდაბნოებით, ტყეებით, ქალაქებითა და ზღვებით? გულუბრყვილო ბავშვური საიდუმლო – «ნებისმიერი ადგილის» საიდუმლო, პრელუდია საბოლოო შეკითხვისა:

«რატომ ვარ მე მე?» – გულში შიშს აჩენს. სხეულს სიცივე მსჭვალავს და ბაჭია გრძნობს, რომ მიწას მოსწყდა, თითქოს აღსრულდა ის, რისიც ყოველთვის ეშინოდა – იგი ჰაერში მიაბიჯებს. ქუჩა უსწორმასწორო ზოლია, რომლის გასწვრივაც ქვაფენილი გაზონს ებჯინება. გაფისული სატელეფონო ბოძები მას აღარაფერს ეუბნება. იგი არავინაა, თითქოს წამით თავის სხეულსა და ტვინს დაშორდა, რათა ძრავის მუშაობისთვის შეევლო თვალი, და სიცარიელეში შეაბიჯა, ვინაიდან «ის» მხოლოდ რეფრაქცია იყო, ვიბრაცია ძრავის შიგნით, ახლა კი უკან დასახევი გზა აღარ აქვს. ეჩვენება, რომ იმ სახლების ფანჯრების მიღმა დგას, რომელთაც ისინი ჩაუვლიან, და უყურებს, თუ როგორ დინჯად მისეირნობს სამსულიანი ოჯახი და არაფრით ამჟღავნებს, რომ მათი სამყარო შეირყა, – არაფრით, გარდა ქალის ჩუმი ცრემლებისა. მოულოდნელად ჯენისს თვალზე ცრემლი ადგება, როგორც ნამი, რომელიც დილის ქორფა ქუჩების სახემ გამოიძახა.

ბინაში შესვლისთანავე ჯენისი ხმამაღალი კვნესით ეკვრის ბაჭიას მკერდზე. შესაძლოა, არ ელოდა, რომ ოთახები მზის შუქით იქნებოდა გაჩახჩახებული. რძესავით თეთრ სინათლეში მოცახცახე მტვრის ნაწილაკების კონტრფორსები იატაკის შუაგულიდან ფანჯრების ზედა კიდეებამდე ირიბად მიიწევენ მაღლა და ყოველივეს უმანკოების ელფერს აძლევენ. ბაჭიას განჯინა შემოსასვლელი კარის გვერდითაა, ამიტომ თავიდანვე ბინის სიღრმეში შესვლა არ სჭირდებათ. კარადის კარს რაც შეიძლება ფართოდ აღებს, ცდილობს, ტელევიზორს არ შეახოს, შიგნით ხელს ყოფს, ცელოფანის პარკზე ელვაშესაკრავს ხსნის და ლურჯი კოსტიუმი გამოაქვს, ზამთრის შალის კოსტიუმი. სხვა მუქი ფერის ჩასაცმელი არა აქვს. გახარებული ნელსონი ოთახებში დარბის, სააბაზანოშიც შედის, თავის ოთახში კი რეზინის ძველ დათუნია-პანდას პოულობს და მისი წამოღება სურს. მისი მოუსვენარი ფუსფუსი ბინიდან ხიფათს აძევებს, ამიტომ ბედავენ და საძინებელში შედიან, სადაც ჯენისის ტანსაცმელი ჰკიდია. გზად იგი სავარძელზე მიუთითებს:

– ორშაბათ დილით აქ ვიჯექი და მზის ამოსვლას შევცქეროდი.

უსიცოცხლო ხმა აქვს. ბაჭიამ არ იცის, რისი გაგონება სურს მას პასუხად და ხმას არ იღებს. გატრუნულია.

საძინებელში ერთი სასიამოვნო წუთის რიგიც დგება. ჯენისი ქვედაკაბასა და ბლუზას იხდის, რათა ძველი შავი კოსტიუმი

მოიზომოს, და როდესაც კომბინაციის ამარა ხალიჩაზე ფეხშიშველა დააბიჯებს, ბაჭიას იმ ქალიშვილს ახსენებს, ოდესღაც რომ იცნობდა – ქალიშვილს წვრილი კოჭებითა და მაჯებით და პატარა მორცხვი თავით. შავი კოსტიუმი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას აქვს ნაყიდი და ცოტათი უჭერს – მშობიარობის შემდეგ მუცელი კვლავაც დიდი აქვს. იქნებ დედამისივით გასუქება დაიწყო. ქალი დგას და წელზე ქვედაკაბის შეკვრას ცდილობს, რძისგან გათქვირებული ძუძუები ბიუსტჰალტერიდან გამოხტომას ლამობს. მართლაც მოუმატებია წონაში, რაც ბაჭიას მოსწონს. იგი ფიქრობს: ჩემია, ჩემი ქალია. მაგრამ, აი, ჯენისი სწორდება და მისი ნამტირალევი სახე გაცეცხლებული გამომეტყველებით მყისვე აქრობს მასში დაუფლების სიხარულს. ქალი მისთვის ტვირთად იქცევა, რომელიც მტკივნეულად აწვება მკერდზე. ეს როკაპია, რომელზეც იმ ორშაბათიდან სიცოცხლის ბოლომდე უნდა იზრუნოს.

– არ მეტევა! – ყვირის ქალი, ქვედაკაბას იხდის და მოისვრის, რომელიც უზარმაზარი ღამურას მსგავსად, ოთახის მოპირდაპირე კუთხისკენ მიფრინავს.

– სხვა არაფერი გაქვს?

– როგორ მოვიქცე?

– დაწყნარდი. წავალთ და შენებთან დავბრუნდებით. ეს ბინა ნერვებს გიშლის.

– მაგრამ ჩვენ ხომ აქ უნდა ვიცხოვროთ!

– ჰო, ოღონდ დღეს არა. წავედით.

– ჩვენ აქ ვერ ვიცხოვრებთ.

– ცხადია, ვერ ვიცხოვრებთ.

– აბა, სად ვიცხოვრებთ?

– მერე მოვიფიქრებთ. წავედით.

ჯენისი მოუხერხებლად იცვამს ქვედაკაბასა და ბლუზას, ბაჭიასკენ ზურგით ბრუნდება და მორიდებით სთხოვს:

– ღილები შემიკარი.

როდესაც ბაჭია ვარდისფერ ბლუზას ქალის უძრავი ხერხემლის გასწვრივ კრავს, იგი ტირილს იწყებს. ცხელი ცრემლები თვალებს უწვავს და კაცი ბავშვის ღილებს ხედავს მრგვალი წყლიანი ლაქების მტევნებში, აყვავილებული ვაშლის ფურცლებს რომ ჰგავს. ცრემლები წამწამებზე ეკიდება და ნელა ჩამოსდის ლოყებზე. შესანიშნავი სისველეა. იგი სიამოვნებით იტირებდა საათობით, თუმცა ეს ხანმოკლე ნაკადიც შვებას ჰგვრის, მაგრამ მამაკაცები ცოტას ტირიან და ბინიდან გასვლამდე ცრემლები უკვე გამშრალი აქვს. კარის დაკეტვისას გრძნობს, რომ მთელი თავისი უცრემლო ცხოვრება ამ კარის გაღება-დახურვას მოანდომა.

ნელსონს თან თავისი რეზინის პანდა მოჰყავს და ყოველთვის, როცა მას აწრიპინებს, ბაჭიას მუცლის ტკივილი ეწყება. ქალაქი მზითაა გაუფერულებული, რომელიც ზენიტს უახლოვდება.

* * *

დრო ნელა გადის, მოვლენები თითქოს განუწყვეტლივ მეორდება. ჯენისი და დედამისი ოთახიდან ოთახში გადადიან, ერთმანეთს მოკლე რეპლიკებით ესაუბრებიან. შემდეგ ორივენი ზევით ადიან და ნახევარი საათის შემდეგ ჯენისი მისის სპრინგერის შავ, ქინძისთავებით დავიწროებულ კაბაში გამოწყობილი ჩამოდის, რომელშიც ძალიან ჰგავს მას.

– როგორ ფიქრობ, ჰარი, მიხდება?

– რას მიედ-მოედები? მოდების შოუსთვის ხომ არ ემზადები? – ყვირის ბაჭია, თუმცა მაშინვე ბოდიშის ტონით ამატებს, – შესანიშნავად გამოიყურები.

მაგრამ სათქმელი უკვე ნათქვამია. შეშინებული ჯენისი წამოიყვირებს და ზემოთ მიექანება, მისის სპრინგერს უკან მიაქვს შემწყნარებლობის ის მცირე დოზა, რომელიც ბაჭიასთვის დიდსულოვნად გაიმეტა. სახლი კვლავ ივსება გამოუთქმელი მტკიცებით, რომ იგი მკვლელია. ბაჭია მადლიერებით იღებს ამ აზრს: დიახ, მკვლელია, – და სიძულვილი პატიებაზე მეტად მოსწონს. სიძულვილში ჩაძირულს, შეუძლია გულზე ხელი დაიკრიფოს და ერთგვარად დამბლადაცემულივით დარჩეს. სასტიკი სიძულვილი მისთვის

საფარია.

დღის პირველი საათია. ოთახში მისის სპრინგერი შემოდის.

– ბუტერბროდს არ მიირთმევთ? – ეკითხება იგი.

– გმადლობთ, არაფერი მინდა.

– ჯობდა, რამე მაინც გეჭამათ.

ბაჭიას მისი დაჟინება ისე უცნაურად ეჩვენება, რომ სამზარეულოში მიდის. ნელსონი მაგიდას მარტო უზის და სუპს, უმ სტაფილოსა და ძეხვის ბუტერბროდს მიირთმევს. ისეთი სახე აქვს, თითქოს არ იცის, გაუღიმოს მამას თუ არა. მისის სპრინგერი მისკენ კვლავ ზურგით დგას.

– დღისით თუ ეძინა? – ეკითხება ჰარი.

– შეგიძლიათ, ზემოთ აიყვანოთ, – პასუხობს იგი.

ზემოთ, ოთახში, სადაც ცალთვალა დათუნია ცხოვრობს, ჰარი ნელსონს წიგნს უკითხავს «ოქროს ბიბლიოთეკიდან» პატარა ორთქლმავალ «ჩუ-ჩუ»-ს შესახებ, რომელსაც გვირაბების ეშინოდა. ნელსონს შიში თანდათან უქრება და იძინებს. ჰარი ქვემოთ ბრუნდება. ჯენისი თავის ოთახში ისვენებს. მისის სპრინგერი კაბის გადაკეთებითაა დაკავებული და საკერავი მანქანის კაკუნი ჩიტების ჟღურტულსა და საღამოსპირა ყრუ ხმებს ერწყმის.

ისმის შემოსასვლელი კარის გაჯახუნების ხმა – სასტუმრო ოთახში მისტერ სპრინგერი შემოდის და სკამზე მჯდარი ჰარის დანახვაზე შეკრთება. ყველა შტორი დაშვებულია.

– ჰარი! გამარჯობა.

– გამარჯობა.

– სასამართლოში ვიყავი, ელ ჰორსტს ვესაუბრე, კორონერს. დამპირდა, რომ მკვლელობის ბრალდებას არ წაუყენებენ. ამაზე ყველა თანხმდება. უბედური შემთხვევა იყო. უკვე ყველას ელაპარაკა და როგორმე თქვენთან შეხვედრა უნდა, არაოფიციალურად.

– კი ბატონო.

სპრინგერი დროს წელავს და მოწონების რაიმე ნიშანს

ელოდება.

– მე რატომ არ მაპატიმრებენ? – აინტერესებს ჰარის.

– ეს ძალზე ნეგატიური მიდგომაა, ჰარი. მთავარია, მომავალში დანაკლისი თავიდან ავიცილოთ.

– დიახ, მართალი ბრძანდებით. მაპატიეთ.

იმის გაფიქრება, რომ მართლმსაჯულების კლანჭებს თავი დააღწია, მასში ზიზღს იწვევს. შენი გულისთვის თავს არავინ შეიწუხებს, არავინ ჩამოგხსნის კაუჭიდან.

სპრინგერი ზემოთ, ქალებთან ადის. იქიდან ყრუ ბრაგუნი ისმის. ჰარის ზურგს უკან შუშის სერვანტში ძვირფასი ჭურჭელი ზრიალებს. ცრუ ბუხარზე მდგარი ვერცხლისფერციფერბლატიანი საათის მიხედვით, ჯერ ორი საათი არ შესრულებულა.

მუცელი, ალბათ, იმიტომ სტკივა, რომ ბოლო ორი დღის განმავლობაში თითქმის არაფერი უჭამია. სამზარეულოში გადის და ორ კრეკერს ჭამს. ყოველი ნატეხი შიგნეულობას უკაწრავს. ტკივილი უძლიერდება. ონკანებიან მბრწყინავ ნიჟარასა და კარადების ფოლადის კარებს თითქოს უარყოფითი მუხტები მოაქვთ, რომლებიც მას თავიდან იშორებენ და აწვებიან. იგი დაბინდულ სასტუმრო ოთახში ბრუნდება და ფანჯრიდან ვიწრო შორტებში გამოწყობილ თოთხმეტიოდე წლის ორ გოგონას ხედავს, რომლებიც მზით განათებულ ტროტუარზე დახეტიალებენ. სხეული უკვე მომწიფებიათ, მაგრამ სახეზე ჯერაც გულუბრყვილობა ემჩნევათ. ყმაწვილი გოგონები ცოტათი ყოველთვის სასაცილოდ გამოიყურებიან, სახეზე ხარბი მოუთმენლობა აწერიათ. ბევრი კანფეტის ჭამისგან მთელი კანი მუწუკებით აქვთ სავსე. კუს ნაბიჯებით დადიან, ისევე, როგორც დრო გადის დაკრძალვის წინ. თითქოს რაც უფრო ნელა ივლიან, მით უფრო გარდაუვალად განიცდიან სასწაულებრივ გარდაქმნას მოსახვევში. ქალიშვილები, ისინი ვიღაცის ქალიშვილები არიან. აი, ჯუნიც... ბაჭია ცდილობს, მასზე არ იფიქროს. გვერდით ჩავლილი გოგონები, თავხედურად გამობზეკილი საჯდომებით, სექსში თავიანთ დროს რომ ელოდებიან, უგემოვნონი და არარეალურნი ჩანან, თვითონ კი, მათ რომ ფანჯრიდან აკვირდება, მხოლოდ ლაქაა მინაზე. რატომ არ წაშლის სამყარო ასეთ ბინძურ, უმნიშვნელო ბუჭყას? იგი

საკუთარ ხელებზე იყურება და საოცრად მახინჯი ეჩვენება.

ბაჭია ზემოთ ადის და გულმოდგინედ იბანს სახეს, ხელებსა და კისერს. სპრინგერების მდიდრულ პირსახოცებთან შეხებას ვერ ბედავს. სააბაზანოდან სველი ხელებით გამოდის, დერეფანში სპრინგერს ხვდება და ეუბნება:

– სუფთა პერანგი არა მაქვს.

– მოითმინეთ, – ჩურჩულით პასუხობს სპრინგერი და მისთვის პერანგი და შავი საკინძეები მოაქვს.

ჰარი იმ ოთახში იცვამს, სადაც ნელსონს სძინავს. მზის შუქი ჩამოშვებული ფარდების ქვემოდან მოცოცავს, რომლებიც ბავშვის მძიმედ სუნთქვის ტაქტში ირხევა. თუმცა ჰარი მთელი ძალით ცდილობს ჩაცმის გაჭიანურებას და თითოეული საკინძის შეკვრას რამდენიმე წუთს უთმობს, ეს გაცილებით სწრაფად მთავრდება, ვიდრე ელოდა. შალის კოსტიუმში სცხელა, თითქოს არც მისი ზომაა, მაგრამ რაღაც ხელს უშლის, რომ პიჯაკი გაიხადოს და ვინმეს სიამოვნება მიანიჭოს – ვის, თვითონაც არ იცის. უზადოდ ჩაცმული, ვიწრო პერანგში გამოწყობილი, სასტუმრო ოთახში ფეხაკრეფით ჩადის, ჯდება და შუშის მაგიდაზე ტროპიკულ მცენარეებს ათვალიერებს. თავს ისე აბრუნებს, რომ ფოთლები მონაცვლეობით ეფარებიან ერთმანეთს, ელოდება, რომ ამოაღებინებს. შიგნეულობა საშინელებათა მაგრად შეკუმშული გუნდაა, დაძაგრული ბუშტი, რომელსაც ვერაფერი გახვრეტს. საათი მხოლოდ ორ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთს უჩვენებს.

ყველაზე მეტად თავის მშობლებთან შეხვედრის ეშინია. მას შემდეგ, რაც უბედურება მოხდა, ვერაფრით შეძლო, რომ ძალ-ღონე მოეკრიბა და ისინი მოენახულებინა. ორშაბათ საღამოს მისის სპრინგერმა დედამისს დაურეკა და დაკრძალვაზე დაპატიჟა. ამის შემდეგ მისი ოჯახის დუმილი მასში შიშს იწვევდა. მაგრამ ერთია საყვედურების მოსმენა უცხო ადამიანებისგან და სულ სხვა – საკუთარი მშობლებისგან. ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მამამისი ერთთავად სტამბაში მუშაობაზე მის უარს ახსენებდა ხოლმე და ბოლოს იმდენი ქნა, რომ ჰარის გულში მისთვის ადგილი აღარ დარჩა. მთელი მისი სირბილე და გულკეთილობა, რომელიც მოხუცს ოდესმე მისდამი გამოუჩენია, არაფრად იქცა. დედასთან ყველაფერი სხვაგვარადაა – იგი ჯერაც ცოცხალია და მისი ცხოვრების

ჭიპლარს არის მიჯაჭვული. თუ მოვა და დატუქსავს, ვერ მოითმენს, ამას სიკვდილი ურჩევნია. სხვას რას უნდა ელოდოს? რაც უნდა თქვას მისის სპრინგერმა, აინუნშიც არ ჩააგდებს, ვინაიდან ამ ქალს მასთან შერიგების გარდა სხვა გამოსავალი არა აქვს, ზოგჯერ ისიც კი ეჩვენება, რომ მის შეყვარებას ცდილობს. დედა კი სულ სხვაა – მას არ შეუძლია უყვარდეს შვილი ან არ უყვარდეს, ისინი ორი სხვადასხვა ადამიანიც კი არ არიან, ბაჭია მის მუცელში გაჩნდა და თუ დედამ სიცოცხლე მისცა, მისი წართმევაც შეუძლია, მაგრამ თუ ზურგს შეაქცევს, ეს მისი აღსასრული იქნება. ყველაზე ნაკლებად დედის ნახვა უნდა. იგი მარტოდმარტო ზის და იმ დასკვნამდე მიდის, რომ ან თვითონ უნდა მოკვდეს, ან – დედა. საკმაოდ სულელური დასკვნაა, მაგრამ მას კვლავ და კვლავ უბრუნდება, სანამ ხმაური – მის ზემოთ სპრინგერები იცვამენ – ყურადღებას სხვა რამეზე არ გადააატანინებს.

იქნებ ზემოთ უნდა ავიდეს? არ უნდა, რომ ვინმე ჩაუცმელი დახვდეს. ბოლოს ყველანი ერთიმეორის მიყოლებით ჩამოდიან: მისტერ სპრინგერი კოხტა, დაუჭმუჭნელი, მუქი ნაცრისფერი პერანგით, ნელსონი – გოგოს თასმებიანი კოსტიუმით, ქალბატონი – პირბადიანი ფეტრის შლაპით, რომელზეც ხელოვნური იისფერი კენკრის კუნწულაა მიმაგრებული მაგარი ღეროთი, და ჯენისი – რაღაცნაირად დაბნეული და უფორმო ნაჩქარევად მორგებულ დედის კაბაში.

– მშვენივრად გამოიყურები, – უმეორებს ბაჭია.

– სად არის დიდი შავი მანქანა? – ხმამაღლა კითხულობს ნელსონი.

ამ მოლოდინში არის რაღაც უღირსი. როდესაც სპრინგერები და ბაჭია სასტუმრო ოთახში დგანან და დროის მოსაკლავად წამდაუწუმ ვერცხლისფერციფერბლატიან საათს შესცქერიან, იმ მორთულ-მოკაზმულ ბავშვებს ჰგვანან, მოუთმენლად რომ ელიან ზეიმის დაწყებას. სახლის წინ დამკრძალავი ბიუროს «კადილაკის» დანახვაზე ყველანი ფანჯარას მისცვივდებიან, მაგრამ როდესაც მეკუბოვე ბილიკს გაივლის და ზარს დარეკავს, სასწრაფოდ კუთხეებში იფანტებიან, თითქოს ოთახის შუაგულში მომწამვლელი ბომბი აფეთქდაო.

* * *

შენობა, სადაც დამკრძალავი ბიუროა განთავსებული, ადრე საცხოვრებელი სახლი იყო, მაგრამ ახლა სრულიად სხვაგვარადაა მოწყობილი. რბილბეწვიანი ბაცი მწვანე ხალიჩები ფეხის ხმას ახშობს. კედლებზე შუაზე გაყოფილი ვერცხლისფერი მილაკები სუსტ შუქს ჩრდილავს. ირგვლივ ყველაფერი – კედლები, პორტიერები და სხვა – ისეთ არაბუნებრივ ფერებადაა შეღებილი, რომლებსაც ნორმალური ადამიანი თავის ბინაში არ გამოიყენებს: ნარინჯისფერ-მოვარდისფროდ, ზღვის ტალღებისფრად და იისფრად. ამგვარი იისფერი ფხვნილით ავტოგასამართი სადგურების საზოგადოებრივ ტუალეტებში მიკრობებს ხოცავენ. მათ პატარა, ვარდისფერ, გვერდითა ოთახში მიუძღვებიან. იქიდან მთავარი დარბაზი მოჩანს, სადაც რამდენიმე რიგად ჩამწკრივებულ სკამებზე ექვსი კაცი ზის, მათ შორის ხუთი ქალია. მათგან ბაჭია მხოლოდ ერთს იცნობს – პეგი გრინგს, რომლის გვერდითაც მისი შვილი ტრიალებს – ის მეშვიდეა. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ ცერემონიას მხოლოდ ეს ორი ოჯახი დაესწრებოდა, მაგრამ შემდეგ სპრინგერებმა რამდენიმე ახლო მეგობარი დაპატიჟეს. ბაჭიას მშობლები ჯერ არ ჩანან. უხილავი უძვლო ხელები ელექტროორგანის კლავიშებზე წინ და უკან დაქრის. ინტერიერის არაბუნებრივი შეფერილობის აპოგეა სათბურის ყვავილებია, რომლებითაც პატარა თეთრი კუბოა მორთული. ოქროსფერსახელურებიანი კუბო შემაღლებულ ადგილზე დგას და მუქი ლილისფერი გადასაფარებელი აკრავს. ჰარის ეჩვენება, რომ გადასაფარებელი საცაა ჩამოცურდება და ჯადოსნური ჯოხის გაქნევით იქ ცოცხალი ახალშობილი გაჩნდება. ჯენისი დარბაზში შეიხედავს და ქვითინებს. დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელი, ქერათმიანი ახალგაზრდა, გვერდითა ჯიბიდან ნიშადურის სპირტით სავსე ფლაკონს იღებს. ჯენისის დედას იგი შვილის ცხვირთან მიაქვს, რომელიც ზიზღით იჭმუხნება, წარბებს მაღლა სწევს და თხელი ქუთუთოებიდან თვალის კაკლები მოუჩანს. ჰარი მას ხელს ჰკიდებს და ისე შეატრიალებს, რომ დარბაზში მომხდარს თვალი ვეღარ მოჰკრას.

გვერდითი ოთახის ფანჯრიდან ქუჩა მოჩანს, სადაც ბავშვები და მანქანები დადიან.

– ვიმედოვნებ, მღვდელს არ დავავიწყდით, – ამბობს შეწითლებული ახალგაზრდა მამაკაცი და მოულოდნელად ჩაიქირქილებს. აქაურობა აშკარად მოსწონს. სახეზე თითქოს ვარდისფერი უსვია.

– ეს ხშირად ხდება? – ეკითხება მას მისტერ სპრინგერი.

იგი მეუღლის უკან დგას, წინ ცნობისმოყვარეობით იხრება და ღია ფერის ულვაშს შორის შავ, ჩიტის პირის ხვრელს აღებს. მისის სპრინგერი სკამზე ზის და ხელისგულებს პირბადეს ადებს. მავთულის ღეროზე მიმაგრებული იისფერი კენკრა უცახცახებს.

– წელიწადში ორჯერ, – გაისმის პასუხად.

ტროტუართან ნაცნობი ძველი «პლიმუთი» ჩერდება. იქიდან ბაჭიას დედა გადმოდის და შესასვლელ კარს გაბრაზებულ მზერას შეავლებს. ბაჭიას ლამის გული გადაუტრიალდეს.

– ჩემი მშობლები მოვიდნენ, – ამბობს იგი.

ყველანი შეფუცხუნდებიან. მისის სპრინგერი დგება, ჰარი მასსა და ჯენისს შორის იკავებს ადგილს. სპრინგერებთან ერთად ერთ მწკრივში ყოფნით დედას იმას მაინც აჩვენებს, რომ გამოსწორდა, თვითონაც შეურიგდა ბედს და მასაც შეურიგდნენ. ბიუროს თანამშრომელი ენგსტრომების შესახვედრად გადის. ჰარი ხედავს, რომ ისინი გაკაშკაშებულ ტროტუარზე დგანან და ვერ გადაუწყვეტიათ, რომელ კარში შევიდნენ. მიმი ოდნავ განზე დგას. უკოსმეტიკოდ და სადა კოსტიუმში გამოწყობილი, იგი ბაჭიას უწინდელ უმცროს დაიკოს აგონებს. მშობლების შემყურე ვერაფრით მიმხვდარა, რატომ ეშინია მათი.

ოთახში პირველად დედა შემოდის. იგი მწკრივს თვალს შეავლებს და ხელებგაშლილი ბაჭიას უახლოვდება.

– ჰარი, ეს რა დაგმართეს? – ხმამაღლა ამბობს და შვილს ეხუტება, თითქოს უკან უნდა რომ წაიყვანოს, ცაში, საიდანაც ორივე ჩამოვარდა.

სცენა ისევე სწრაფად მთავრდება, როგორც დაიწყო. მორცხვობის ბიჭური რეფლექსის გავლენით, ბაჭია დედისგან თავს დაიხსნის და წელში სწორდება. თითქოს საკუთარი სიტყვების მნიშვნელობა არ ესმისო, დედა შემობრუნდება და

ჯენისს ეხვევა. მამა რაღაცას ბურტყუნებს და სპრინგერს ხელს ართმევს. მიმი ჰარისთან მიდის და მხარზე ეფერება, მერე კი ჩაცუცქდება და ნელსონს რაღაცას ეჩურჩულება, – ისინი ყველაზე პატარები არიან. ჰარი მათთან ადამიანურ კავშირს გრძნობს. მისი ცოლი და დედა ერთმანეთს ეხვევიან. მისის ენგსტრომი ხელებს მექანიკურად შლის, თუმცა თავისი მწუხარებით მათში გამოცოცხლება შეაქვს. სახეზე ტკივილი აღბეჭდვია. თმაგაწეწილი და სუნთქვაშეკრული ჯენისი მის გრძნობას მაინც ეხმაურება და შავი სახელოებით შემოსილი ხელებით ცდილობს მოეხვიოს მასზე მიკრულ მძლავრ სხეულს. მისის ენგსტრომი მას რამდენიმე სიტყვით თანაუგრძნობს. დანარჩენები გაოცებულნი არიან, მხოლოდ ჰარი ხედავს თავისი სიმაღლიდან, რომ დედამისს ინსტინქტი ამოძრავებს, რომელიც ყველა ჩვენგანს აიძულებს, მოვეხვიოთ მათ, ვისაც ტკივილს ვაყენებთ. ამასთან, ქალმა იგრძნო, რომ ორივენი ერთსა და იმავე, ოდითგანვე დაჩაგრულ მონათა ტომს მიეკუთვნებიან. იმასაც მიხვდა, რომ შვილს კი იბრუნებს, მაგრამ მომავალში კვლავაც მიტოვებული აღმოჩნდება.

ბაჭია ფიზიკურად გრძნობს, თუ როგორ გადის დედის გული მწუხარების ყველა სტადიას. ამას ისიც მოწმობს, რომ მისი ხელები სულ უფრო მაგრად იხუტებს მკერდში ჯენისს. ბოლოს რძალს თავს ანებებს და სევდიანი თავაზიანობით სპრინგერებს მიმართავს. მათ მისი პირველი შეძახილი ამ უბედურებით გამოწვეულ განცდას მიაწერეს – აბა, სიძისთვის ცუდი არაფერი გაუკეთებიათ, პირიქით, ჰარი იყო მათ წინაშე დამნაშავე. მისი გათავისუფლება მათთვის შეუმჩნეველი დარჩა. ჰარის გვერდით კი დგანან, მაგრამ სულ უფრო მეტად შორდებიან. სიტყვები «შვილო ჩემო», რომლითაც დედამისმა ჯენისს მიმართა, უკვალოდ იკარგება უმყოფობაში. მიმი ფეხზე დგება, მამას ნელსონი ხელში აჰყავს. მათი მოძრაობები ბაჭიას ოდნავ გვერდით ჩააჩოჩებენ.

ამასობაში მისი გული ერთ ბრუნს აკეთებს და მეორე, გაცილებით დიდ წრეზე მიდის უფრო გაიშვიათებულ გარემოში, რომელიც ოდნავ თუ უკავშირდება გარე სამყაროს.

რომელიღაც სხვა კარიდან შემოსული ეკლზი მათ შორიდან უხმობს თავისთან. შვიდივენი, ნელსონთან ერთად, დაწყალიკებით მიემართებიან ყვავილებით სავსე დარბაზისკენ და პირველ რიგში სხდებიან. შავებში გამოწყობილი ეკლზი

თეთრი კუბოს წინ სულის მოსახსენებელ ლოცვას კითხულობს. ბაჭია უკმაყოფილოა, რადგან ეკლზი მასსა და მის ქალიშვილს შორის დგას. მოულოდნელად ახსენდება, რომ არავის უხსენებია, გოგონა რომ მოუნათლავი დარჩა. «მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, თქვა უფალმა. ვისაც მე ვწამვარ, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ვინც ჩემში ცოცხლობს და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე».

ეს საგულისხმო სიტყვები ჰარის თავზე მოუხერხებელი შავი შაშვებივით გადადიან. იგი გრძნობს მათ უსაზღვრო შესაძლებლობებს. სამაგიეროდ ეკლზი ვერ გრძნობს ამას, მას სერიოზული და არაფრის მთქმელი სახე აქვს. ხმა ყალბად ჟღერს. ყველა ეს ადამიანი ყალბია, გარდა მისი გარდაცვლილი გოგონასი და ოქროთი გაწყობილი თეთრი ყუთისა.

მწყემსი, ბატკნები, ხელები. ჰარის თვალები ცრემლებით ევსება. მისი გოგონა მოკვდა. ჯუნმა იგი მიატოვა. გული სევდით აქვს სავსე, სულ უფრო ღრმად ეშვება დანაკარგის უძირო მორევში. ვეღარასოდეს გაიგონებს მის ტირილს, ვერ დაინახავს მის მარმარილოს კანს, ვეღარასოდეს შეიგრძნობს ხელებზე მის მსუბუქ სხეულს, ვერ დაინახავს, როგორ მოატრიალებს ლურჯ თვალებს მისი ხმის გაგონებაზე. ვეღარასოდეს. ეს სიტყვა აღარასოდეს გაქრება. მის სისქეში შუქი ვერასდროს გააღწევს.

ისინი სასაფლაოზე მიდიან. მას, მამამისს, ჯენისის მამასა და დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელს თეთრი ყუთი კატაფალკისკენ მიაქვთ. ყუთი მძიმეა, მაგრამ ეს მხოლოდ ხის სიმძიმეა. ისინი მანქანებში სხდებიან და აღმართს შეუყვებიან. პროცესიის დანახვაზე მთელი დასახლება დუმდება. პარმაღზე თეთრეულით სავსე კალათით გამოსული ქალი ერთ ადგილზე შეშდება, ბურთით მოთამაშე ბიჭი სირბილს წყვეტს და მათ ჩავლას ელოდება. ისინი ნაჭედი რკინის თაღით შემკულ გრანიტის ორ ბოძს გასცდებიან. დღის ოთხი საათისთვის სასაფლაო მშვენივრად გამოიყურება. მოვლილი ბალახი ძილ-ღვიძილში მზის სხივების პარალელურად ფერდობებით ძირს ეშვება. ირგვლივ საფლავის ქვების გრიფელის გრძელი ჩრდილები გაწოლილა. პროცესია ხრაშუნა ცისფერი კენჭებით მოფენილი ხეივნის გავლით მეორე სიჩქარით მიიწევს უბრალო მწვანე ბალდახინისკენ, რომელსაც მიწისა და გვიმრების სუნი ასდის. მანქანები ჩერდება. ყველანი გადმოდიან. შორს შავ

ნახევარმთვარესავით მოჩანს ტყე – სასაფლაო მაღალ ბორცვზე მდებარეობს მასსა და დასახლებას შორის. ფეხებქვეშ მილები ბოლავენ. განაპირას, გაცვეთილქონგურებიანი საფლავის ქვებს შორის, ვიღაც კაცი დადის მექანიკური გაზონსაკრეჭით. მერცხლების დიდი გუნდი რამდენიმე წამით ქვის სახლზე – აკლდამაზე ეშვება და მალევე ისევ თავის გზას განაგრძობს. კატაფალკის სიღრმიდან თეთრ კუბოს მარჯვედ ჩამოასრიალებენ გორგოლაჭებით ალისფერ სტროპებზე, რომლებიც საიმედოდ იჭერს მას პატარა, კვადრატული, მაგრამ ძალიან ღრმა საფლავის თავზე. სიჩუმის მინას ჩუმი ჭრიალი და დაძაბული ოხვრა კაწრავს. სიჩუმე. ხველა. ყვავილები მათ კვალდაკვალ მოიტანეს და ახლა ისინი ტენტის ქვეშაა დახვავებული. ჰარის უკან კორდის კუბურებით დაფარული კოხტა პატარა ბორცვი, მოთმინებით რომ ელოდება ძველ ადგილზე დაბრუნებას, მიწის სუნით სუნთქავს. მეკუბოვეები კმაყოფილნი არიან, ხელები შარვლის ბარტყებთან ჩამოუშვიათ. სიჩუმეა.

«ღმერთი – მწყემსია ჩემი, ამიტომ არაფერი გამიჭირდება»...

ღია ცის ქვეშ ეკლზის ხმა სუსტად ისმის. მექანიკური სათიბელას შორეული ჭრიჭინი ღვთისმოსავ დუმილში გადადის. ბაჭია აღელვებისა და ძალისგან თრთის. დარწმუნებულია, რომ მისი გოგონა ცად ამაღლდა. ეს რწმენა ეკლზის დეკლამაციას ისევე ავსებს, როგორც კანს – ცოცხალი სხეული. «უფალო, ღმერთო მაცხოვარო ჩვენო, რომლის საყვარელმა შვილმაც მიიღო და დალოცა თავისი პატარა ბავშვები, შეგვიწყალე, შეისმინე ჩვენი ლოცვა, მიიღე უბიწო ახალშობილის სული და აჩუქე შენი უდიდესი წყალობა და საუკუნო სიყვარული, გვიჩვენე ჭეშმარიტი გზა ცათა სასუფევლისკენ შენი ძის, იესო ქრისტეს დახმარებით. ამინ».

– ამინ, – ჩურჩულით იმეორებს მისის სპრინგერი.

დიახ. ეს ასეცაა. ბაჭია გრძნობს, რომ ყველანი, ვინც მის გარშემოა, საფლავის ქვებივით უძრავნი, ბალახსა და სათბურის ყვავილებს შეერწყნენ, ყველანი, დამკრძალავი ბიუროს თანამშრომლები, სასაფლაოს უხილავი დარაჯი, რომელმაც სათიბელა გამორთო, ყველანი ერთად შეიკრიბნენ, რათა მის მოუნათლავ შვილს ზეცად ასვლის ძალა მისცენ.

ტრიალებს ელექტროამომრთველი, სტროპები საფლავში

კუბოს ჩაშვებას იწყებს, მერე კვლავ ჩერდება. ეკლზი სახურავზე ქვიშით ჯვარს გამოსახავს, ქვიშის მარცვლები მოჩუქურთმებული სახურავიდან ერთიმეორის მიყოლებით ცვივა ორმოში. ვიღაცის ვარდისფერი ხელი დაჭმუჭნილ ფურცლებს ყრის. «გაანათლე შენი ლოცვა-კურთხევით ყველა მგლოვიარე, მიიღე შენს მხრებზე მათი ტვირთი»...

კვლავ ჭრიალებენ სტროპები. ბაჭიას გვერდით მდგარი ჯენისი ბარბაცებს. იგი ხელს შეაშველებს და ქსოვილის ზემოდანაც კი გრძნობს სიმხურვალეს. მსუბუქი ნიავი ბალდახინს არხევს. ყვავილების სუნი მაღლა იწევს. «დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ».

ეკლზი ლოცვანს ხურავს. ერთმანეთის გვერდით მდგარი ჰარის მამა და ჯენისის მამა თავს მაღლა სწევენ და თვალებს აფახულებენ. მეკუბოვეები თავიანთი ინვენტარის გარშემო ფუსფუსებენ, საფლავიდან თასმებს იღებენ. იქ მყოფნი მზისგულზე გადიან. მიიღე შენს მხრებზე მათი ტვირთი... მას ცა ესალმება. ძალის საოცარ მოზღვავებას გრძნობს. თითქოს დიდხანს ხოხავდა ბნელ გამოქვაბულში და აჩხორილი კლდეების კიდეზე ნათელი ლაქა დაინახა. იგი ტრიალდება და მწუხარებისგან გაშტერებული ჯენისი სახეს უჩრდილავს.

– მე ნუ მიყურებ, – ამბობს იგი, – მე არ მომიკლავს.

მისი სიტყვები ძალზე მკაფიოდ გაისმის, იმ უბრალოების შესაფერისად, რომელსაც ყველაფერში გრძნობს. მკაცრი ხმის გაგონებაზე ერთმანეთთან ჩუმად მოსაუბრე ყველა თავი ერთდროულად მოტრიალდება მისკენ.

ისინი ვერ ხვდებიან. მას მხოლოდ სიცხადის შეტანა სურს. იგი თავებს განუმარტავს:

– ყველანი ისე იქცევით, თითქოს ეს მე გავაკეთე. მე ახლომახლოც კი არ ვყოფილვარ. ეს მან ჩაიდინა.

ეს სიტყვები სილის გაწვნასავით გაისმის. ბაჭია ჯენისისკენ ტრიალდება და ქალის დარბილებული სახე უსაშველოდ შორეულად ეჩვენება.

– კარგი, ყველაფერი კარგადაა, – ეუბნება ცოლს, – შენ ხომ არ გინდოდა.

ბაჭია მის დამშვიდებას ცდილობს, მაგრამ ქალი ისე გამოსტაცებს ხელს, თითქოს ხაფანგი აიცილა თავიდან და მშობლებს შესცქერის, რომლებიც მაშინვე მისახმარებლად მისცვივდებიან.

ბაჭიას სახე ეწვის. საშინლად შეცბუნებულია. მისი გული პატიების სურვილით იყო აღვსილი, ახლა კი მასში მხოლოდ სიძულვილია. სძულს ცოლის სახე. ეს ქალი ბრმაა. შეეძლო მასთან ერთად ჭეშმარიტების, ჩვეულებრივი, მარტივი ჭეშმარიტების თანაზიარი ყოფილიყო, მაგრამ ზურგი აქცია. ბაჭია ხედავს, რომ დედაც კი თავზარდაცემულია, ელდისგან გაფითრდა და მის წინ კედელივით აღიმართა. თავდაპირველად ჰკითხა, ეს რა დაგმართესო, ახლა კი თვითონაც იმავეს აკეთებს. უსამართლობის სულშემხუთველი გრძნობისგან ლამის დაბრმავდეს. შეტრიალდება და გარბის.

აღმართში. მოზეიმე. საფლავის ქვებს შორის ლავირებს. აქა-იქ კარაქივით ყვითელი ბაბუაწვერები ბრწყინავენ. უკნიდან ეკლზის ხმა ესმის:

– ჰარი! ჰარი!

გრძნობს, რომ ეკლზი მისდევს, მაგრამ უკან არ იხედება.

ბაჭია ქვებს შორის კუთხეებს ჭრის და გაზონებით ტყისკენ გარბის. ხეების ბნელ ნახევარმთვარემდე უფრო შორსაა, ვიდრე ეს საფლავის სიახლოვეს მოჩანდა. სხეული უმძიმდება: აღმართი გაცილებით ციცაბო ხდება, მაგრამ სასაფლაოს რბილი მიწა სიმხნევეს მატებს, წაფერდებული ბორცვები აზამბარებს. ეს მაყურებლებით გარშემორტყმულ სტადიონზე სირბილს აგონებს. ხელგაწვდილი ტყისკენ მიისწრაფვის და ნახევარმთვარის ცენტრისკენ მოძრაობს. მაგრამ ტყე არც ისეთი საიმედო თავშესაფარია, როგორიც ეგონა. უკან მოტრიალებული, ფოთლებიდან სასაფლაოს ხედავს, სადაც პატარა მწვანე ბალდახინის გვერდით მის მიერ მიტოვებული ადამიანები შეჯგუფებულან. ეკლზი მათსა და ბაჭიას შორის შუა გზაზეა. იგი ჩერდება. შავი მკერდი ძალუმად ეწევა მაღლა. ფართოდ გახელილი თვალებით ტყესაა ჩაშტერებული. დანარჩენები – შავებში გამოწყობილი ჩამონათლები – ფუსფუსებენ, მანევრირებენ, გეგმებს აწყობენ, ერთმანეთს ცდიან, ეხმარებიან კიდეც. მათი ფერმკრთალი სახეები ტყისკენ უხმო სიგნალებს გზავნიან, ზიზღით ან სასოწარკვეთით

აქცევენ ზურგს, მაგრამ შემდეგ, მონუსხულებივით, სიგნალებს პირდაპირ ჩამავალი მზისკენ მიმართავენ. მხოლოდ ეკლზის მზერაა უძრავი. იგი, ალბათ, ძალას იკრებს, რათა დევნა განაგრძოს.

ბაჭია იხრება და ზიგზაგებით გარბის. ტყის პირას ბუჩქებსა და ახალგაზრდა ხეებში ძრომიალისგან სახე და ხელები ეკაწრება. შემდეგ ტყე უფრო მეჩხერდება. ირგვლივ ფიჭვები ბატონობენ. მათი ყავისფერი წიწვები უსწორმასწორო ნიადაგს სრიალა საფარველს აკრავს და ამ უსიცოცხლო ფენილს მზის სხივები ვიწრო კონებად ეცემა. აქაურობა ბინდითაა მოცული, მაგრამ ისე ცხელა, როგორც სხვენზე. საღამოს უხილავი მზე თავს ზემოთ მწვანე კრამიტს აცხუნებს. მკვდარი ქვედა ტოტები თვალის სიმაღლეზე გამოჩრილა. სახე და ხელები ნაკაწრებისგან უხურს. უკან მოიხედავს, აინტერესებს, ვინმე თუ მოჩანს. არავინ მოსდევს. შორს, იმ მწვანე გვირაბის ბოლოში, რომელშიც თვითონ დგას, რაღაც მწვანე ბრწყინავს – შესაძლოა, ეს სასაფლაოს სიმწვანეა, მაგრამ იგი ისევე შორია, როგორც ცის ნაგლეჯები ხის კენწეროების თავზე. მოტრიალებისას ორიენტაციას კარგავს, მაგრამ თავში ხეები სწორ რიგებს ქმნიან, რომლებიც წინ მიუძღვიან, და სულ აღმართში მიდის. თუ უფრო მაღლა ავა, სასეირნო ბილიკზე მოხვდება, თხემის თავზე რომ გაუყვანიათ, რათა ადამიანი ზემოდან დატკბეს არემარით. სხვებთან დაბრუნება მხოლოდ ქვემოთ დაშვების გზით შეიძლება.

ასაკოვანი ხეები მწკრივებს აღარ ქმნიან – ერთმანეთს უფრო მჭიდროდ ეკვრიან. წყვდიადიც მატულობს, ფერდობიც უფრო დამრეცია. ხიწვოვანი ზეწრის ქვემოდან ლიქენით დაფარული ქვები გამოჩრილა. მიწაზე დაცემულ ხეებს ბილიკებზე უცნაური, კლანჭიანი თათები გაუფარჩხავთ. იმ ადგილების ქვემოთ, სადაც მარადმწვანე მცენარეების სახურავში ხვრელები მოჩანს, სურნელოვანი კენკრა და ყვითელი ბალახი მოზღვავებულა. ეს ველობები – ზოგიერთი მათგანი საკმაოდ დიდია ჩამავალი მზის ირიბი სხივების დასაჭერად, – კიდევ უფრო ასქელებს ჩამოწოლილ წყვდიადს, და როდესაც მათზე ჩერდება, მოულოდნელად ჩამოვარდნილ სიჩუმეში ირგვლივ არსებული ყავისფერი გვირაბებიდან მის გონებამდე ჩურჩული აღწევს. უსაშველოდ მაღალ ხეებში ცივილიზაციის ნიშანწყალი, გასუფთავებული ნაკვეთიც კი არსად ჩანს. ზღვა შუქით გარემოცულს, გულში შიში ეპარება. აბა, რა იქნება, ისე დგას,

რომ, ალბათ, ყველა ხედავს – ტევრში მიმალული დათვებიცა და სხვა უსახელო ურჩხულებიც. სინათლის ამ ჭებში უმწეოდ დგომას ისევ ხიფათის შესახვედრად სიარული სჯობს ქვების, სიდამპლეშერეული ხეებისა და სრიალა ხიწვების გავლით. მწერები სიბნელეშიც არ ასვენებენ – მისი ოფლი დაუძლეველი სატყუარაა. მკერდზე რაღაც აწვება, ფეხებიც სტკივა: აღმართზე ასვლისას ზოგჯერ ორმოებში ვარდებოდა და ხიწვების საფარქვეშ მიყუჩებულ ქვებს ეჯახებოდა. ვიწრო პიჯაკს გაიხდის, დაახვევს და იღლიაში ამოიდებს. განუწყვეტლივ ებრძვის უკან მიხედვის სურვილს, მაგრამ იქ არაფერია, გარდა ტყის ყრუ, მკვდარი სიჩუმისა, და მხოლოდ მისი შიში ავსებს ხეებს შორის მიხვეულ-მოხვეულ სივრცეს ცოცხალი, მოხერხებული საფრთხით – საკმარისია, თავი უკან მიაბრუნოს, რომ იგი ყოველთვის ახერხებს მისი თვალთახედვის არიდან გაქრობას. აჯობებს, თუ თავს გააჩერებს. თვითონვე იქმნის საფრთხის ილუზიას. ბავშვობაში ხშირად ამოდიოდა ამ ტყიან ფერდობებზე. მაგრამ, შესაძლოა, მაშინ სხვა რაღაც იცავდა, რაც ახლა აღარ არის. ვერაფრით იჯერებს, რომ ტყეები მაშინაც ასეთი ბნელი იყო. ისინიც გაზრდილან. სრულიად არაბუნებრივი წყვდიადია. აბლაბუდის ძაფების მსგავსი წვრილი ტოტები თითებივით განუწყვეტლივ ფათურობს მის სახეზე. სიბნელე დღისით, მზისით, ცის ჯიბრზე – შეუჩერებლივ დახტის ზედ მის თავზე კენწეროდან კენწეროზე.

ხშირად დახრის გამო წელის ტკივილი მოეძალა. ნეტავ სწორად თუ მიდის? ბავშვობაში ტყეში ეკლესიის მხრიდან არასოდეს შესულა. ალბათ, დიდი სისულელე კია მთის თხემის გასწვრივ ციცაბოზე ფორთხვა, როდესაც მარცხნივ, სულ რამდენიმე იარდში, გზა გადის. იგი გეზს იქით იღებს, ცდილობს, პირდაპირ იაროს. ტყე ჩურჩულს უმატებს და გულში ჯერ კიდევ უბჟუტავს იმედი, რომ ასეცაა, გზა ახლოსაა. ბაჭია აჩქარებით მიიწევს ბარდებში, ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ელოდება, რომ კაშკაშა თეთრ ბოძებსა და გამალებით მქროლავი ლითონის ელვარებას დაინახავს. უეცრად ფერდობი ზედ მის ფეხებთან მთავრდება. თავზარდაცემულივით შეშდება ციცაბო ფლატეს წინ. უახლოესი ფერდობი მკვდარი ხეების ბანჯგვლიანი სხეულებითაა დაფარული, რომლებიც იმ ხეების ვარჯებს ჩაბღაუჭებიან, რაღაც მანქანებით დამრეცზე თავი რომ შეუმაგრებიათ და ხეობას უხვად უგზავნიან

ჩრდილს, თუმცა ყოველ წამს მზად არიან მწუხრის ჩასაქრობად. ამ სიბნელეში რაღაც სამკუთხედი მოჩანს და ბაჭია ხვდება, რომ ღარტაფის ძირში სარდაფი და ქვიშაქვით ნაშენი მიტოვებული სახლის დამჯდარი კედლებია. გაჯავრებული ხედავს, რომ გზა დაებნა და კვლავ ძირს ეშვება. უეცრად საშინელი გრუხუნი ჩაესმის, თითქოს ეს ნახევრად დანგრეული მტკიცებულება ბრმა ცხოვრების სამყაროში ადამიანის შეჭრისა, ნაბათს სცემს, რომლის ხმა სამყაროს კიდემდე აღწევს. იმის გაფიქრება, რომ ეს ადგილი ოდესღაც დასახლებული იყო, რომ მას ადამიანები თელავდნენ, წმენდნენ და ამუშავებდნენ, ჰაერს შავი მოჩვენებებით ავსებს, რომლებიც გვიმრებით დაფარული ფერდობიდან მისკენ საფლავებიდან ამომძვრალი ბავშვებივით მოფოფხავენ. ალბათ, აქ ბავშვები ცხოვრობდნენ, მიტკლის კაბებში გამოწყობილ ჩასუქებულ გოგოებს წყალი წყაროდან მოჰქონდათ, ბიჭები კი ხეებზე ჭდეებს აკეთებდნენ, შემდეგ სარდაფის თავზე გადებულ ფიცრებზე ბერდებოდნენ და იხოცებოდნენ, სიკვდილის წინ კი სწორედ იმ ფლატეს შეავლებდნენ ხოლმე უკანასკნელ მზერას, სადაც ახლა ჰარი დგას. ეჩვენება, რომ აქ იგი კიდევ უფრო ადვილად შესამჩნევი და დაუცველია, ვიდრე პატარა მზიან მდელოებზე. ისეთი შეგრძნება ეუფლება, თითქოს უზარმაზარი ნაპერწკლით არის განათებული, რომლის დახმარებითაც ბრმად დახვავებული მკვდარი მატერია საკუთარ თავს შეიცნობს, ნაპერწკლით, რომელიც ორი ურთიერთდაპირისპირებული სამყაროს შეჯახებისას წარმოიქმნა, ერთმანეთს რომელიღაც საშინელი ღვთაების ბრძანებით რომ შეებნენ. ბაჭიას შიგნით ყველაფერი უტრიალებს, მოულოდნელად ყურის აპკი ეხსნება და ხმა ჩაესმის. იგი კვლავ მთაზე ადის, ჩამოწოლილ წყვდიადში ტოტებს ტკაცატკუცით ამტვრევს და უცნობი არსების ხმის ჩახშობას ცდილობს, რომელიც სქელ ნისლში ხიდან ხეზე დაფრინავს და მას რაღაცას უყვირის. მაცდუნებელ შუქში ცბიერი ხრამი იკლაკნება, იკრუნჩხება და ბაჭიას ცოცხალივით უსხლტება ხელიდან.

უკვე ისეა განათებული, რომ მარჯვნივ ძველი კონსერვის ქილებისა და ბოთლების ხიწვებმიყრილ გროვას ხედავს. ბაჭია უსაფრთხოდაა, იგი ზღუდეზე გადაძვრება, გზაზე გამოდის და წელში იმართება. თვალების კუთხეებში ოქროს ნაპერწკლები აენთება და ჩაქრება. ფეხსაცმელების ქვეშ ასფალტი ჭრაჭუნებს

და ეჩვენება, რომ დაღლილობის საოცრად ხმაურიანი სიცარიელე თავისი ახალი ცხოვრების დაწყებას აღნიშნავს. ჰაერი ბეჭებს უგრილებს – ბარდებში მოხუცი სპრინგერის პერანგი ზურგზე გადახევია. ტყიდან სასტუმრო «ბელვედერიდან» დაახლოებით ნახევარ მილში გამოდის. როდესაც გზაზე მიაბიჯებს და საკიდში თითგაყრილი ლურჯი პიჯაკი მხარზე აქვს გადაკიდებული, ასე ჰგონია, ჯენისი, ეკლზი, დედა და ყველა საკუთარი ცოდვა სადღაც ათასი მილის მანძილზე დატოვა. გადაწყვეტს, რომ ეკლზს დაურეკოს – ეს იგივე იქნება, თითქოს ვინმესთვის ღია ბარათი გაეგზავნოს. ეკლზს იგი უყვარდა, სჯეროდა მისი და სატელეფონო ზარით შეხმიანებას მაინც იმსახურებს. ბაჭია გუნებაში სათქმელს ამზადებს. ყველაფერი კარგადაა, ეტყვის მას, უკვე გზაში ვარ. იმის თქმა მინდა, რომ გზა კი ბევრია, მაგრამ თქვენ ნუ ინერვიულებთ. მთავარია, ეკლზს გული არ ეტკინოს.

მთის წვერზე ჯერაც ნათელი დღეა. ზეციურ ზღვაში თევზების გუნდივით პატარა ქულა ღრუბლები მიცურავენ. სასტუმროს გარშემო მხოლოდ რამდენიმე მანქანა დგას – ძველი, ორმოცდათორმეტში გამოშვებული «პონტიაკი» და ორმოცდათერთმეტიანი «მერსედესი», – ასეთებს ფირმა «სპრინგერ-მოტორსი» მუწუკებდაყრილ ყმაწვილებზე ყიდის, რომელთაც ჯიბეში პრეზერვატივი, ბანკში კი ასი დოლარი უდევთ ხოლმე. კაფეტერიაში რამდენიმე ასეთი ტიპი პინბოლს თამაშობს – სათამაშო ავტომატს «ხტუნია ბეტსი» ჰქვია. ისინი ბაჭიას შესცქერიან და ცდილობენ, ჭკვიანური სახე მიიღონ, ერთი მათგანი კი უძახის კიდეც:

– ეგ პერანგი ამან ხომ არ გაგიხია?

მაგრამ უცნაურია, რომ მათ მის შესახებ არაფერი იციან, გარდა იმისა, რომ გატანჯული სახე აქვს. შენ ხან ასე იქცევი, ხან – ისე, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ხვდება. საათზე ექვსს ოცი აკლია. ბაჭია ყავისფერ კედელზე ჩამოკიდებულ ავტომატთან მიდის და სატელეფონო ცნობარში ეკლზის ნომერს პოულობს.

– ალო? – ცივად წარმოთქვამს ეკლზის ცოლი.

ბაჭია თვალებს ხუჭავს. ქუთუთოებქვეშა სიწითლეში ქალის ჭორფლი დახტუნავს.

– გამარჯობა. მამა ეკლზთან მინდოდა დალაპარაკება.

– ვინ კითხულობს? – ხმა მედიდურად ჟღერს – ქალმა მშვენივრად იცის, ვინც.

– ჰარი ენგსტრომი ვარ. ჯეკი შინაა?

მეორე ბოლოში ყურმილს ჰკიდებენ. ნამდვილი ბოზია! ზის საბრალო გულდათუთქული ეკლზი და ჩემს ზარს ელოდება, ეს ქალი კი მიდის მასთან და ეუბნება, რომ სხვაგან მოხვდნენ. საცოდავი არარაობა ამ ბოზზეა დაქორწინებული. ბაჭიაც ჰკიდებს ყურმილს, ესმის, როგორ ვარდება ჩხაკუნით ათცენტიანი და გრძნობს, რომ ამ წარუმატებლობის გამო ყველაფერი მარტივდება. იგი ავტოსადგომს გადაკვეთს.

მთელი საწამლავი, რომლითაც ქალი იმ საბრალო დაღლილ კაცს, ალბათ, ყურში სტენის, უკან, კაფეტერიაში რჩება. წარმოიდგენს, თუ როგორ უყვება იგი ეკლზს საჯდომზე ხელის მოთათუნების ამბავს, აშკარად ჩაესმის ეკლზის სიცილი და თვითონაც ეღიმება. ეკლზი ყოველთვის მოცინარი გაახსენდება, მასში იყო რაღაც, რაც ადამიანს აიძულებდა, თავი მისგან ცოტა შორს დაეჭირა, ალბათ, ცხვირში ლაპარაკის მანერა, მაგრამ როცა იცინოდა, გაცილებით გულღია ხდებოდა. თუ დაღვრემილ, მწებვარე ფასადს გარს შემოუვლიდი და უკნიდან მიადგებოდი. განსაკუთრებულ დაღვრემილობას მისი თავის თავში დაურწმუნებლობა იწვევდა – ნაცვლად იმისა, სათქმელი პირდაპირ ეთქვა, მხოლოდ წარბებს ამოძრავებდა და სიტყვებს განსხვავებული ხმით წარმოთქვამდა. საბოლოოდ მისგან თავის დახსნა არც ისე ცუდი იყო.

ავტოსადგურიდან ბრუერი მოჩანდა – მტვრიან წითელ ხალიჩასავით განფენილიყო ქვევით. ალაგ-ალაგ სინათლეებიც აენთოთ. ქალაქის ცენტრში ნეონის დიდი მზესუმზირა პატარა ზიზილას ჰგავდა. ქვევით მცურავი ღრუბლები გავარდისფრებულიყვნენ, ზევით კი, ცის კამარასთან, ჯერაც ეკიდა ფრთა-ღრუბლების მკრთალი და სუფთა კუდები.

იგი მთიდან ძელური საფეხურებით ეშვება, გაივლის პარკს, სადაც ჩოგბურთს თამაშობენ, უაიზერ-სტრიტს ქვემოთ მიუყვება, პიჯაკს იცვამს და სამარ-სტრიტზე გადის. გაურკვეველი მოლოდინით აღსავსეს, გული გამალებით უცემს, მაგრამ ამჯერად ადგილზე, მკერდში მაინც აქვს. ბეკის გამო შიგნით გაჩენილი მოღრეცილი ყულფი გაუქრა. მან

თავისი ქალიშვილი ცაში მიავლინა და გრძნობს, რომ იგი უკვე იქაა. ეს რომ ჯენისსაც ეგრძნო, შესაძლოა, დარჩენილიყო კიდეც. თუ არა? გარეთა კარი ღიაა და მოხუცი, პოლონურ ყაიდაზე რომ წაუკრავს თავსაფარი, ბურტყუნ-ბურტყუნით გამოდის ფ.-ჰ. პელეგრინის ბინიდან. ბაჭია რუთის ზარის ღილაკს აჭერს ხელს.

ზუმერი პასუხობს, ბაჭია სწრაფად აღებს შიგა კარს და საფეხურებით მაღლა არბის. რუთი გარეთ გამოდის, ქვემოთ იყურება და ეუბნება:

– წადი.

– რა? როგორ მიხვდი, რომ მე ვიყავი?

– შენს ცოლს დაუბრუნდი.

– არ შემიძლია. ეს-ეს არის მისგან წამოვედი.

ქალი იცინის. ბაჭია ბოლოსწინა საფეხურზე ადის და ახლა მათი სახეები ერთ დონეზეა.

– შენ მისგან წამოსვლის მეტს არაფერს აკეთებ.

– არა, ამჯერად ყველაფერი სხვაგვარადაა. ძალიან ცუდად.

– შენ თვითონ ხარ ცუდი. არც ჩემთან გამოგივიდა რამე.

– რატომ? – ბაჭია უკვე ბოლო საფეხურზე დგას, ქალისგან რამდენიმე იარდში, აღელვებული და უმწეო. იგი ფიქრობდა, რომ მისი ნახვისას ინსტინქტი უკარნახებდა, როგორ მოქცეულიყო, მაგრამ ამ რამდენიმე კვირაში რატომღაც ყველაფერი შეიცვალა. ქალიც შეიცვალა, მოძრაობები უფრო თავშეკავებული გაუხდა, წელი შეუსქელდა, ლურჯმა თვალებმა რაღაც აზრი შეიძინა.

რუთი ზიზღით შესცქერის, რაც კაცისთვის საკმაოდ მოულოდნელია.

– რატომ? – იმეორებს ქალი წარმოუდგენლად მკაცრი ტონით.

– თუ გინდა, გამოვიცნობ, – ამბობს ბაჭია, – ფეხმძიმედ ხარ.

გაოცება სიმკაცრეს წამით არბილებს.

– მაგარია, – ამბობს კაცი, ქალის წუთიერი სისუსტით

სარგებლობს და ცდილობს, იგი ოთახში შეაბრუნოს. ეს იმას ახსენებს, თუ როგორ იქცეოდა მის ხელში მოქცეული ქალის სხეული.

– მაგარია, – იმეორებს ბაჭია და კარს ხურავს. სურს, ქალს მოეხვიოს, მაგრამ იგი ხელს ჰკრავს და სავარძლის მეორე მხარეს დგება. საქმე სერიოზულადაა – რუთმა მას კისერი გაუკაწრა.

– წადი, – ეუბნება ქალი, – წადი-მეთქი.

– ნუთუ არ გჭირდები?

– მჭირდები? შენ? – ყვირის რუთი.

დაძაბული, ისტერიკული ტონისგან ბაჭიას სახე მტკივნეულად ებრიცება. გრძნობს, რომ ქალს ისე ხშირად ჰქონდა ეს შეხვედრა გონებაში წარმოდგენილი, რომ მტკიცედ გადაეწყვიტა მისთვის ყველაფრის თქმა, ეს კი არც ისე ცოტა იყო. ბაჭია სავარძელში ჯდება. მას ფეხები სტკივა.

– შენ მე იმ ღამით მჭირდებოდი, როცა წახვედი, – ამბობს ქალი, – გახსოვს, როგორ მჭირდებოდი?

– ის საავადმყოფოში იყო, – პასუხობს ბაჭია, – უნდა წავსულიყავი.

– ღმერთო ჩემო, რა ჭკვიანი ხარ, ნამდვილი წმინდანი. თურმე უნდა წასულიყავი. მაგრამ შენ უნდა დარჩენილიყავი კიდეც. იმდენად სულელი ვიყავი, რომ შენს ზარსაც კი ველოდებოდი.

– ვაპირებდი დარეკვას, მაგრამ ყველაფრის თავიდან დაწყებას ვცდილობდი. არ ვიცოდი, ფეხმძიმედ თუ იყავი.

– არ იცოდი? ეგ როგორ? ამას ბავშვიც კი მიხვდებოდა. წამდაუწუმ გული მერეოდა.

– ჩემი აქ ყოფნისას?

– ღმერთო ჩემო, რა თქმა უნდა. ოდესმე მაინც თუ გამოიხედავ შენი ძვირფასი ტყავიდან?

– რატომ არ მითხარი?

– რატომ უნდა მეთქვა? რა აზრი ჰქონდა? შენი დახმარების იმედი კაცს მაინც არ უნდა ჰქონდეს. შენ ცარიელი ადგილი ხარ.

იცი, რატომ არ გითხარი? სასაცილოა, მაგრამ მეშინოდა, რომ თუ ამას შეიტყობდი, მიმატოვებდი. შენ არასდროს მაძლევდი თავის დაცვის საშუალებას, მაგრამ ვიფიქრე, რახან ეს მოხდა, მიმატოვებს-მეთქი. თუმცა მაინც მიმატოვე. რატომ არ მიდიხარ? წადი, თუ შეიძლება. მე პირველი შეხვედრის დროსაც გთხოვე, რომ წასულიყავი. იმ დაწყევლილი პირველი შეხვედრის დროს გთხოვე. რატომ ხარ აქ?

– მე მინდა აქ ყოფნა. ასე სწორი იქნება. ძალიან მიხარია, რომ ფეხმძიმედ ხარ.

– ძალზე დაგვიანებული სიხარულია.

– რატომ? რატომ არის დაგვიანებული? – ბაჭიას შიში იპყრობს, ახსენდება, რომ ქალი ამას წინათ შინ არ დახვდა. ახლა აქ არის, მაშინ კი არ იყო. იცის, რომ ამის გასაკეთებლად ქალები შინიდან მიდიან. ფილადელფიაში არის ასეთი ადგილი.

– როგორ შეგიძლია აქ ჯდომა? – ეკითხება რუთი, – არ მესმის, როგორ შეგიძლია აქ ჯდომა – შვილი მოკლა და ზის.

– ეს ვინ გითხრა?

– შენმა ღვთისმსახურმა მეგობარმა. კიდევ ერთმა წმინდანმა. ნახევარი საათის წინ დარეკა.

– ღმერთო ჩემო, ის კიდევ ცდილობს.

– ვუთხარი, რომ აქ არა ხარ. ვუთხარი, რომ აქ არასოდეს იქნები.

– მე არ მომიკლავს საბრალო ახალშობილი. ეს ჯენისმა გააკეთა. ერთ საღამოს გავუბრაზდი და შენთან წამოვედი, ის კი დათვრა და საწყალი ბავშვი აბაზანაში დაეხრჩო. ნუ მაიძულებ ამის მოყოლას. შენ სადღა იყავი?

ქალს გაოცებისგან ენა მუცელში უვარდება, კაცს შესცქერის და ჩუმად ამბობს:

– მისმინე, შენ მართლაც სიკვდილს თესავ.

– ჰეი, რამე ხომ არ გაიკეთე?

– გაჩუმდი. წყნარად იჯექი. ახლა ჩემთვის ყველაფერი ცხადია. შენ თავად სიკვდილი ხარ. ცარიელი ადგილი. არა, ცარიელ ადგილზე უარესი. ვირთხაც კი არა ხარ, სუნიც კი არ აგდის,

ვინაიდან არაფერს სუნი არა აქვს.

– დაწყნარდი, მე არაფერი გამიკეთებია. როცა ეს მოხდა, შენთან მოვდიოდი.

– სწორედაც რომ. შენ არაფერს აკეთებ. შენ მხოლოდ ყველგან დაძრწი ბაგეებზე სიკვდილის ამბორით. წაეთრიე. სერიოზულად გეუბნები. შენს დანახვაზე გული მერევა, – გულწრფელობა ქალს ბევრ ძალას ართმევს და სკამს ეყრდნობა, ერთ-ერთს იმ სკამთაგან, რომელზეც ისინი საჭმელს მიირთმევდნენ, მასზე გადაწვა, თვალები გადმოქაჩა და პირი ფართოდ დააღო.

ბაჭია, რომელიც ყოველთვის ამაყობდა, რომ აკურატულად ეცვა, და ყოველთვის ფიქრობდა, რომ სასიამოვნო გარეგნობა ჰქონდა, ამ გულწრფელობისგან წითლდება. ეგონა, რომ აქ თავს ისევ ბატონად იგრძნობდა, ისევ დაიყოლიებდა მას, მაგრამ შეცდა. იგი საკუთარ ფრჩხილებზე თეთრ ნახევარმთვარეებს დასცქერის. სინამდვილის მოულოდნელი შეგრძნება ხელ-ფეხს უშეშებს. მისი ბავშვი მართლაც მოკვდა, ბაჭიას საქმე კი წასულია, მის დანახვაზე ამ ქალს გული ერევა. ამას რომ გააცნობიერებს, სურვილი უჩნდება, სიმწრის ფიალა ბოლომდე შესვას, რომ საბოლოოდ მიაყენონ კედელთან და ჯიქურ ეკითხება:

– აბორტი გაიკეთე?

ქალს შეაჟრჟოლებს და ხრინწიანად პასუხობს:

– შენ როგორ გგონია?

ბაჭია თვალებს ხუჭავს, გრძნობს, რომ სავარძლის სახელურების ხაოიანი გადასაკრავი თითის წვერებს უკაწრავს და ლოცულობს: ღმერთო დიდებულო, შენს სახელს შემოვევლე, არ გინდა, ეს არ წაიყვანო. ერთი ხომ წაიყვანე, მაშ, აჩუქე სიცოცხლე მეორეს! მის შიგნით აბურდულ წყვდიადში უხილავი ძალა ჭუჭყიან დანას ატრიალებს. როდესაც თვალს ახელს, ქალის თამამი პოზის მიხედვით დაასკვნის, რომ მას მისი დატანჯვა განუზრახავს.

– არ გაგიკეთებია? – კაცის ხმაში იმედი გამოსჭვივის.

ქალს სახეზე აღელვების ჩრდილი გადაურბენს.

– არა, – ამბობს იგი, – არა. საჭიროა, მაგრამ სულ გადავდებ და გადავდებ ხოლმე. არ მინდა.

ბაჭია წამოხტება, ქალს ხელებს შემოაჭდობს, ოღონდ გულში არ იკრავს, თითქოს მაგიურ წრეში მოაქცევს, და თუმცა მისი შეხებისგან ქალი შეკრთება და დაკუნთულ თეთრ კისერზე მოთავსებულ თავს ატრიალებს, მას მაინც უბრუნდება შეგრძნება, რომ კვლავ გაიმარჯვებს ქალზე.

– შესანიშნავია, – ამბობს ბაჭია, – ეს მართლაც შესანიშნავია.

– საძაგლობაა, – ამბობს რუთი, – მარგარეტმა ყველაფერი მოაწყო, მაგრამ მე... მე სულ ვფიქრობდი...

– ჰო, – ამბობს კაცი, – დიახ. ყოჩაღი ხარ. ძალზე მიხარია, – ამბობს და სახეს ლოყაზე უხახუნებს. ცხვირი სველი აქვს, – დაე, იყოს, დაე, იყოს, – ევედრება ქალს.

რუთი წამით უძრავად დგას, თითქოს საკუთარ აზრებს აკვირდება, მერე კი ბაჭიას ხელიდან უსხლტება. სახე აენთება და შეშინებული მხეცივით წინ იხრება.

– არ შემეხო! – ყვირის ისე, თითქოს მის შეხებაში სიკვდილს გრძნობს.

– მიყვარხარ, – ამბობს ბაჭია.

– ეგ მხოლოდ სიტყვებია. რას ნიშნავს – დაე, იყოს? ცოლად მომიყვან?

– ამას სიამოვნებით გავაკეთებდი.

– სიამოვნებით გააკეთებდი! შენ ყველაფერს სიამოვნებით გააკეთებდი. ცოლზე რას იტყვი? ან შვილზე?

– არ ვიცი.

– გაეყრები? არა. შენ სიამოვნებით დარჩებოდი მის ქმრად. შენ სიამოვნებით იქნებოდი ყველას ქმარი. რატომ ერთხელ და სამუდამოდ არ გადაწყვეტ, რა გინდა?

– განა არ შემიძლია? არ ვიცი.

– როგორ შემინახავ? რამდენ ცოლს შეინახავ? შენი სამსახური ხუმრობაა და მეტი არაფერი. შენ არაფრისთვის ვარგიხარ. იქნებ ოდესმე თამაშობდი კიდეც კალათბურთს, მაგრამ ახლა

არაფრის კეთება აღარ შეგიძლია. დალახვროს ეშმაკმა, თუ დაფიქრებულხარ მაინც, როგორაა ეს ცხოვრება მოწყობილი?

– გთხოვ, გააჩინე ეს ბავშვი. უნდა გააჩინო.

– რატომ? შენ რა გადარდებს?

– არ ვიცი. ყველა შეკითხვაზე კი არა მაქვს პასუხი. მე მხოლოდ ვგრძნობ, როდის არის ასე და როდის არა. შენს შემთხვევაში ასეა. ჯენისთანაც ზოგჯერ ასე იყო. ზოგჯერ კი სრულიად სხვაგვარად.

– მთავარია, ეგ ვის აინტერესებს. ვის რაში აინტერესებს, შენ რას გრძნობ?

– არ ვიცი, – პასუხობს ბაჭია.

რუთი კვნესის – ისეთი სახე აქვს, თითქოს გაბრაზებულს გადაფურთხება სურს, – შეტრიალდება და კედელს შესცქერის. კედელი უსწორმასწოროა – როგორც ჩანს, აქერცლილ საღებავზე ახალ ფენას ხშირად უსვამდნენ.

– მშია. კულინარიაში შევივლი და რამე საჭმელს მოვიტან. მერე კი დავფიქრდეთ.

– ფიქრის მეტს რას ვაკეთებ, – პასუხობს ქალი და ზურგს აქცევს, ამჯერად უფრო თამამად, – იცი, სად ვიყავი, შენ რომ მოხვედი, იმ დღეს? ჩემს მშობლებთან. მე მშობლები მყავს. შეძლებულები არ არიან, მაგრამ ეს არაა მთავარი. ისინი დასავლეთ ბრუერში ცხოვრობენ. მათ იციან. ვგულისხმობ, რომ რაღაც იციან. მათ იციან, რომ ფეხმძიმედ ვარ. ფეხმძიმობა შესანიშნავი სიტყვაა. ეს ყველას შეიძლება დაემართოს. დასაფეხმძიმებლად ბევრი ფიქრი არაა საჭირო. სიამოვნებით გამოგყვებოდი ცოლად. სიხარულით. ჩემი სიტყვები უკან არ მიმაქვს, მაგრამ თუ დავქორწინდებოდით, ყველაფერი კარგად იქნებოდა. ახლა შენ იცი. გაეყარე ცოლს, რომელთან ყოფნაც თვეში ერთხელ მოგინდება ხოლმე. ან მას გაეყარე, ან მე დამივიწყე. ეს შენი გადასაწყვეტია. და თუ არაფრის გადაწყვეტა არ შეგიძლია, მე შენთვის მკვდარი ვარ. მეც მკვდარი ვარ შენთვის და ეს ბავშვიც. ახლა კი წადი.

ამ გრძელ ტირადას რუთი წონასწორობიდან გამოჰყავს. საცაა ატირდება, მაგრამ არ იმჩნევს. ხელებით სკამის საზურგეს ეჭიდება, ცხვირის წვერი უპრიალებს, იგი ბაჭიას შესცქერის და

რაღაცის თქმა სურს. მთელი ძალით ცდილობს თავის ხელში აყვანას. ბაჭიას ეს არ მოსწონს. მას არ უყვარს, როდესაც ადამიანები მოვლენებს მიმართულებას აძლევენ. იმის მომხრეა, რომ ყველაფერი ბუნებრივად განვითარდეს.

ბაჭია ნერვიულობს, გრძნობს, რომ ქალი აკვირდება, მისგან რაღაც ქმედებას ელის. იგი კი თითქმის არ უსმენდა – ეს ყველაფერი ძალზე რთულია და ბუტერბროდთან შედარებით, რომლის ყიდვასაც აპირებს, არარეალური. იგი დგება – იმედი აქვს, რომ ჯარისკაცურად, – და ამბობს:

– სამართლიანი მოთხოვნაა. გავერკვევი. რა გიყიდო?

ბუტერბროდი და ჭიქა რძე, მერე კი გახდის მას, ამ ცხელი, დაჭმუჭნილი ბამბის კაბიდან ამოიყვანს და მშვიდად დაათვალიერებს გრილი, მკრთალი კანით მოჭიმულ, გაზრდილ წელს. ბაჭიას მოსწონს ქალები, რომლებიც პირველად არიან ფეხმძიმედ – მათი სხეული ცისკრის შუქითაა განათებული. ერთხელაც რომ მოახერხებდეს მასთან სიახლოვეს, მაშინვე დაწყნარდებოდა.

– მე არაფერი მინდა, – ამბობს ქალი.

– შენთვის ჭამა აუცილებელია.

– უკვე ვჭამე.

ბაჭია მის კოცნას ცდილობს, მაგრამ ქალი «არას» ეუბნება, თუმცა სულაც არ გამოიყურება მიმზიდველად – მსუქანია, გაწითლებული, ნოტიო და ნაირფერი გაწეწილი თმით.

– ახლავე დავბრუნდები, – ამბობს ბაჭია.

იგი კიბეზე ეშვება და გრძნობს, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ახალ-ახალი საზრუნავი უჩნდება. ჯენისი, ფული, ეკლზის სატელეფონო ზარი, დედის სახის გამომეტყველება, მწარე სიტყვების ტალღას რომ დაატეხს თავს; დანაშაულისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება ორი მუქი ჩრდილივით ერწყმის ერთმანეთს მის მკერდში. მარტო ტექნიკური დეტალებიც კი – საუბრები, სატელეფონო ზარები, ადვოკატები, ფინანსური საკითხები – იმდენად დახლართული ეჩვენება, რომ მათ არსებობას ფიზიკურად გრძნობს თავის პირთან, სუნთქვა უზომო ძალისხმევას მოითხოვს, ნებისმიერ ქმედებას, კარის სახელურზე ხელის მიკარებასაც კი, გრძელი,

მექანიკური მწკრივის სახიფათო გაგრძელებად აღიქვამს, რომელიც მის გულთან ძალზე არასაიმედოდაა დაკავშირებული. კარის მტკიცე სახელური მის შეხებას ეხმაურება და ადვილად ტრიალდება.

სუფთა ჰაერზე შიში ემატება. თავით ფეხამდე ნერვიული ჟრჟოლა დაუვლის ეთერის ბუშტუკებივით. გარემომცველი სივრცის შეგრძნება მკერდს უცარიელებს, ბაჭია საფეხურზე დგას, ცდილობს საზრუნავი დაახარისხოს. ორი ფიქრი ანუგეშებს და წარმოუდგენელი ალტერნატივებით სავსე მჭიდრო პაკეტში სინათლის სუსტ სხივს ატარებს. რუთს მშობლები ჰყავს და მას ბავშვის დატოვება სურს. შესაძლოა, ეს ორი ფიქრი მხოლოდ ერთია ნათესაობის პირდაპირი რიგის ვერტიკალში, რაღაც წვრილი მილის მსგავსი, რომელიც დროის მართობულად არის დაყენებული, მილისა, რომელშიც ოდნავაა გახსნილი ჩვენი მარტოობა. მშობლები რუთსაც ჰყავს და ჯენისსაც. ეს აზრი ამ ორივე პიროვნებას აბუნდოვანებს. რჩება ნელსონი – რაღაც მყარი, რაც ყოველთვის მასთან უნდა დარჩეს. ამ პატარა საყრდენ წერტილზე ცდილობს ყველაფრის გაწონასწორებას და ერთმანეთს წინააღმდეგობრივ პიროვნებებსა და აზრებს უპირისპირებს: ჯენისსა და რუთს, დედასა და ეკლზს, კულინარიისკენ მომავალ სწორ და კარგ გზას, სადაც შტაბელებად დაწყობილი ხილი უაბაჟურო ნათურითაა განათებული, და მეორე გზას სამარ-სტრიტის გავლით ქალაქის დასასრულისკენ. ცდილობს, ქალაქის განაპირა მხარე წარმოიდგინოს – უკაცრიელი ბეისბოლის მოედანი, ჩაბნელებული ფაბრიკა, შემდეგ ნაკადული და გრუნტის გზა. იმის იქით რა არის, თვითონაც არ იცის. გაიფიქრებს, რომ ეს, შესაძლოა, დიდი, წიდით მოფენილი უშენი ადგილია, და მის სულშიც სიცარიელე ისადგურებს.

შიშით, ნამდვილი შიშით შეპყრობილი იხსენებს, თუ რამ მოუტანა შვება ამას წინათ. ეს იყო ხვრელი, რომლიდანაც კაშკაშა ნათება მოდიოდა. იგი ეკლესიის ფანჯარას შესცქერის, რომელიც განათებული არაა – ან იმიტომ, რომ ძალიან ღარიბი ეკლესიაა, ან იმიტომ, რომ ზაფხულში გვიან ღამდება, ან უყურადღებობის გამო, – იგი მხოლოდ ქვის ფასადზე არსებული მუქი წრეა.

ქუჩებში ფარნები ანთია. შეფოთლილი სინათლის კონუსები ერთმანეთს ერწყმის და სამარ-სტრიტის უხილავი ბოლოსკენ

გადაადგილდება. გვერდით, მის მარცხნივ, ერთ-ერთი ფარნის ქვეშ, უხეში ასფალტი დასვრეტილ თოვლს წააგავს. ბაჭია გადაწყვეტს, კვარტალში გაისეირნოს, შუბლი გაიგრილოს და აზრი მოიკრიბოს. სასაცილოა, რომ ის, რაც გამოძრავებს, ძალზე მარტივი რამაა, ხოლო სივრცე, რომელშიც უნდა გადაადგილდე, ძალზე ვიწრო. ამ სიცხადისგან ძალამოცემული ფეხები თანაბარი ნაბიჯით მიიწევენ წინ. სიკეთე შიგნითაა, გარეთ არაფერია, იმას კი, რის გაწონასწორებასაც ბაჭია ცდილობდა, წონა არ გააჩნია. მოულოდნელად გრძნობს, რომ შიგნით რაღაც რეალური აქვს – სუფთა, ღრუ სივრცე მჭიდრო ბადეში. «არ ვიცი», – გაზეპირებულივით იმეორებდა რუთის ყველა შეკითხვაზე. მან მართლაც არ იცის, როგორ მოიქცეს, სად წავიდეს, რა მოხდება. ეჩვენება, რომ აზრი, თითქოს მან არაფერი იცის, ისე უსასრულოდ პატარად გადააქცევს, ისე მცირედ, რომ მისი დაჭერა შეუძლებელია. ეს სიმცირე პირთამდე ავსებს. თითქოს მეტოქეთა გუნდმა გაიგო, რომ იგი შესანიშნავი მოთამაშეა და მის წინააღმდეგ ორი კაცი გაამწესა, რომლებიც გასაქანს არ აძლევენ, ამიტომ იძულებულია, გადაცემა გააკეთოს. ასეც იქცევა და ბურთს სხვები ეუფლებიან, მას ხელში აღარაფერი აქვს, ის ორნი კი მშრალზე დარჩნენ, იმიტომ, რომ იქ, არსებითად, არც არავინ იყო.

ბაჭია ტროტუარს უახლოვდება, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მარჯვნივ მობრუნდეს და კვარტალს შემოუაროს, ნაბიჯს ქვევით დგამს და იმის შეგრძნებით, რომ ეს შესახვევი ფართო მდინარეა, მეორე მხარეს გადადის. მას მომდევნო თოვლის ლაქამდე სურს მისვლა. ეს სამსართულიანი აგურის სახლი ზუსტად ისეთია, როგორიც ის, რომლიდანაც გამოვიდა, მაგრამ ბაჭიას რაღაც ახარებს. საფეხურები და ფანჯრის რაფები მოძრაობს და მისი თვალების კუთხეებში ცოცხალივით გადაადგილდება. ეს ილუზია თავგზას უბნევს. სანამ ყურებში ქარის ზუზუნს იგრძნობს, ხელები თავისით აღიმართება ზევით, ქუსლები ჯერ მძიმედ ბრახუნებს ქვაფენილზე, შემდეგ კი, სრულიად ძალდაუტანებლად, მასში რაღაც ტკბილი პანიკა მატულობს, ნაბიჯი სულ უფრო მსუბუქი, სწრაფი და მშვიდი ხდება და იგი გარბის. გარბის. გარბის.

[1] ეროლ ფლინი – კინომსახიობი, ჰოლივუდის ვარსკვლავი 30-

40-იან წლებში; მონაწილეობდა სათავგადასავლო და სამხედრო ფილმებში.

[2] მაუსკეტერები – დისნეის «მიკი მაუსის კლუბის» წევრები და საბავშვო შოუს მონაწილეები.

[3] დარლენ გილესპი (დაიბ. 1941 წელს) – ამერიკელი მსახიობი ქალი, მონაწილეობდა საბავშვო ფილმებში.

[4] კარლ პატრიკ ო'ბრაიენი (მეტსახელად «კუბი») – ამერიკელი მსახიობი მამაკაცი, მონაწილეობდა საბავშვო ფილმებში.

[5] ნიმფომანია – გადაჭარბებული სქესობრივი ლტოლვა ქალებში, ჰიპერსექსუალურობის სახე.

[6] უინძორი – ჰალსტუხის კვანძის სახეობა.

[7] Et cetera (ლათ.) – და ა.შ.

[8] Oriole (ინგლ.) – მოლაღური.

[9] ჰილერი ბელოკი (1870-1953) – ინგლისელი მწერალი და პოეტი.

[10] იგულისხმება დურგლის შვილი იესო.

[11] გერმანული Fastnacht-დან – ყველიერი; კარნავალი.

[12] უნიატური ეკლესია – აღმოსავლური ტიპიკონის კათოლიკური ეკლესია.

[13] დეისტი-დარვინისტი – მონოთეისტი, რომლის მტკიცებითაც, ღმერთის არსში ჩაწვდენა მხოლოდ სამყაროს ბუნებაზე დაკვირვებით არის შესაძლებელი.

[14] გოლფის სპეციალური ტერმინები.

[15] ლეღმა – ყინული ან შეყინული თოვლი, რომელიც დნობას იწყებს.

[16] ფორსაიტია, იგივე ფორზიცია – ცრუჟასმინი, სახელი ეწოდა შოტლანდიელი ბოტანიკოსის, უილიამ ფორსაიტის პატივსაცემად. ეს მცენარე ჩინეთიდან ევროპაში მან ჩამოიტანა.

[17] კონფეტი (იტალ. confetti) – ფერად-ფერადი ქაღალდის პაწაწინა მრგვალი ნაჭრები.

[18] როდოდენდრონის სახეობა.

[19] მიქალი – ბიბლიური მეფე საულის ასული, დავითის ცოლი.

[20] ზანზარა – ჭაობიანი ადგილი.

[21] მკვდარი მარყუჟი (ავიაც.) – ფიგურა რთულ პილოტაჟში.

[22] ჯეიმზის ბიბლია – ბიბლია, რომელიც ინგლისურად ითარგმნა ინგლისის მეფე ჯეიმზ I სტიუარტის პატრონაჟით და გამოიცა 1611 წელს.

[23] ქარაფშუტა, თავქარიანი (გერმ.).

[24] ათანასელები და არიანელები – ადრეული ქრისტიანობის სხვადასხვა მიმდინარეობის წარმომადგენლები.

[25] ყველაზე ლამაზ ქალიშვილს, არჩეულს მაისის დღესასწაულის (ეს სახალხო ზეიმი მაისის პირველ კვირადღეს იმართება) დედოფლად, ყვავილების გვირგვინით ამკობენ.

[26] ფრამუგა (პოლონ. framuga) – სარკმლის (ან მინიანი კარის) ზედა საგდული.

[27] ბეისბოლის ვარსკვლავები, 50-60-იანი წლების ლეგენდარული მოთამაშეები.